

---

ISSN 2449-2507

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი  
Georgian National Academy of Sciences  
Adjara Autonomous Republic Regional Scientific Centre

შრომები  
IV  
Transactions

ბათუმი 2019 Batumi

---

---

---



---

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის  
„შრომები“**

მთავარი რედაქტორი **ვანო პაპუნძე**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,  
აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი

**სარედაქციო კოლეგია:**

**ვანო პაპუნძე** - თავმჯდომარე

**მამია ფაღავა** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მოადგილე

**მარინე არაშიძე** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პ/მდივანი

**ვლადიმერ ბალაძე** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ნოდარ ბარამიძე** - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი

**დავით ბარათაშვილი** - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ვაჟა ბერიძე** - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

**მარინე გიორგაძე** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**ოთარ გოგოლიშვილი** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**მიხეილ დონაძე** - კომპიუტერულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი

**ასლან დევაძე** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**დავით დევაძე** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი

**ბიჭიკო დასამიძე** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**დავით თედორაძე** - პოეტი

**ამირან კახიძე** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი

**ნოდარ კახიძე** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**გიორგი კვეციტაძე** - აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

**ქეთევან კინწურაშვილი** - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**როლანდ კობალიანი** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**ზაურ ლომთათიძე** - აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

**მიხეილ მახარაძე** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**გურამ მემარნე** - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

**მარიამ მეტრეველი** - ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი

**როინ მეტრეველი** - აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

**როინ მალაყმაძე** - ისტორიის აკადემიური დოქტორი

**ელგუჯა მემარიაშვილი** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

**ილია ნაკაშიძე** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**გურამ პაპუნძე** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**ურა ოქროშიძე** - ისტორიის აკადემიური დოქტორი

**თამარ სირაძე** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**რამაზ სურმანიძე** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

**ედმუნტს ტიერუმნიესკი** - ლატვიის რესპუბლიკის რეზეკნეს უმაღლესი ავგუსს სკოლის რექტორი

**გაიოზ ფარცხალაძე** - ტექნიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**შუშანა ფუტყარაძე** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ტარიელ ფუტყარაძე** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ანთაზ ქიქავა** - გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**რევაზ ჩაგელიშვილი** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**ასლან ცივაძე** - ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**მერაბ ხალვაში** - ისტორიის აკადემიური დოქტორი, ბსუ რექტორი

-----  
**ნინო არაშიძე** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი, ინგლისური ტექსტის რედაქტორი

**ნანა ცეცხლაძე** - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი, ქართული ტექსტის რედაქტორი

---



---

**“Transactions” of the Adjara Autonomous Republic Regional Scientific Centre of the  
Georgian National Academy of Sciences**

Editor-in-Chief - **Vano Papunidze**

C/Member of the Georgian National Academy of Sciences, Head of the Adjara Autonomous  
Republic Regional Scientific Center

**Editorial Board:**

**Vano Papunidze** - Chairman

**Mamia Paghava** - Doctor of Philological Sciences, Professor, Deputy Chairman

**Marine Aroshidze** - Doctor of Philological Sciences, Professor, Executive Secretary

**Vladimer Baladze** - Doctor of Physical and Mathematical Sciences, Professor

**Nodar Baramidze** - Doctor of Psychological Sciences, Professor Emeritus

**Davit Baratashvili** - Doctor of Biological Sciences, Professor

**Vazha Beridze** - Doctor of Economic Sciences

**Marine Giorgadze** - PhD in Philology, Professor

**Otar Gogolishvili** - Doctor of Historical Sciences, Professor

**Mikheil Donadze** - PhD in Computer Science, Associate Professor

**Aslan Devadze** - PhD in Economics

**David Devadze** - Candidate of Physics and Mathematics, Professor

**Bichiko Diasamidze** - Doctor of Historical Sciences, Professor

**Davit Tedoradze** - Poet

**Amiran Kakhidze** - Doctor of Historical Sciences, Director of the Batumi Archaeological Museum

**Nodar Kakhidze** - Doctor of Historical Sciences

**Giorgi Kvesitadze** - Academician, President of the Georgian National Academy of Sciences

**Ketevan Kintsurashvili** - Doctor of Technical Sciences, Professor

**Roland Kopaliani** - Academician of the Georgian Agricultural Academy of Sciences

**Zaur lomtatidze** - President of the Abkhazian National Academy of Sciences, Academician

**Mikheil Makharadze** - Doctor of Philosophical Sciences, Professor

**Guram Memarne** - PhD in Agriculture

**Mariam Metreveli** - PhD in Biology

**Roin Metreveli** - Academician, Vice-president of the Georgian National Academy of Sciences

**Roin Malakmadze** - PhD in History

**Elguja Medzmariashvili** - Academician of the Georgian National Academy of Sciences

**Ilia Nakashidze** - Doctor of Medical Sciences, Professor

**Guram Papunidze** - Academician of the Georgian Agricultural Academy of Sciences

**Ucha Okropiridze** - PhD in History

**Tamar Siradze** - PhD in Philology, Professor

**Ramaz Surmanidze** - Doctor of Medical Sciences

**Edmunds Teirumniesk** - Rector of Rezekne Higher Avguss School, Latvia

**Gaioz Partskhaladze** - PhD in Technical Sciences, Professor

**Shushana Putkaradze** - Doctor of Philological Sciences, Professor

**Tariel Putkaradze** - Doctor of Philological Sciences, Professor

**Antaz Kikava** - PhD in Geology-Mineralogy, Professor

**Revaz Chagelishvili** - Academician of the Georgian Agricultural Academy of Sciences

**Aslan Tsivadze** - Doctor of Chemical Sciences, Professor

**Merab Khalvashi** - PhD in History, BSU Rector

-----  
**Nino Aroshidze** - PhD in Philology, Associate Professor, Editor of English texts

**Nana Tsetskhladze** - PhD in Philology, Associate Professor, Editor of Georgian texts

**შინაარსი**  
**TABLE OF CONTENTS**

**მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა - M A T H E M A T I C S**

**მზია ცხომელიძე**

აფინური გარდაქმნები და კოორდინატიზაცია (აქსიომატიკა) ზოგადი რგოლების მოდულებისათვის

**MZIA TSKHOMELIDZE**

AFFINE MAPS AND COORDINATIZATION FOR MODULES OVER GENERAL RINGS ..... 9

**მზია ცხომელიძე, ალექსანდრე ლაში**

ალგორითმი აფინური გარდაქმნებისთვის

**MZIA TSKHOMELIDZE, ALEXANDER LASHKHI**

THE ALGORITHM FOR AN AFFINE TRANSFORMAATION ..... 12

**ი ნ ფ ო რ მ ა ტ ი კ ა - I N F O R M A T I C S**

**მიხეილ დონაძე**

IEEE\_802.16 ტიპის ფართოზოლიანი უბამტარო ქსელის უმაღლესი საკომუნიკაციო მოწყობილობების ურთიერთქმედების ალგორითმი და სტანდარტიზაცია MAC-დონის პროტოკოლების გაზაფხ

**MIKHEIL DONADZE**

ALGORITHM OF INTERACTION BETWEEN IEEE\_802.16 TYPE BROADBAND WIRELESS NETWORKS, AND STANDARDIZATION OF MAC PROTOCOLS ..... 18

**ე კ ო ნ ო მ ი კ ა - E C O N O M I C S**

**ასლან დევაძე**

ზოგიერთი მონაცემები აჭარის აგრარული სფეროს შესახებ

**ASLAN DEVADZE**

SOME DATA ABOUT THE AGRARIAN SECTOR OF ADJARA ..... 24

**ი ს ტ ო რ ი ა - H I S T O R Y**

**ოთარ გოგოლიშვილი**

1905-1907 წლების რევოლუციის გურიაში

**OTAR GOGOLISHVILI**

REVOLUTION OF 1905-1907 IN GURIA ..... 37

**ოთარ თურმანიძე**

გლეხთა კომიტეტები აჭარაში

**OTAR TURMANIDZE**

FARMER'S COMMITTEES IN AJARA ..... 60

**ზურაბ ხონელიძე**

ვისწავლოთ მშვიდობა („საუნივერსიტეტო დიპლომატიკა“)

**ZURAB KHONELIDZE**

LET'S LEARN PEACE (UNIVERSITY DIPLOMACY) ..... 71

**აიშე ბეიზა ბუიუჩინარი**

„ოქროს ურდოს“ ეთნოლოგია და მოსახლეობის ეთნიკური კინაობა

**AYSHE BEYZA BUYUKCHINAR**

A REVIEW OF THE NAME AND ETHNIC IDENTITY OF THE GOLDEN HORDE ..... 78

**ფირათ ჩაქირი**სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენები და ახალციხის ეპილეტიის გეოგრაფია  
1774 – 1787 წლებში (თურქული წყაროების მიხედვით)**FIRAT CHAKIR**

EVENTS TAKING PLACE IN SOUTH CAUCASUS AND THE SITUATION IN

AKHALTSIKHEE YALET IN 1774-1787 (ACCORDING TO TURKISH SOURCES) ..... 92

**ნადიმ ვარშანიძე, ნუგზარ ჯოსიძე, ჯუმბერ ვარშანიძე, ანა ვარშანიძე**დემოგრაფიული ვითარება ბათუმის ოლქში რუსული ადმინისტრაციული სისტემის  
დამყარების შემდეგ (1879-1900 წწ.)**NADIM VARSHANIDZE, NUGZAR ZOSIDZE, JUMBER VARDMANIDZE, ANNA VARSHANIDZE**

THE DEMOGRAPHIC SITUATION IN BATUMI REGION AFTER THE ESTABLISHMENT

OF THE RUSSIAN ADMINISTRATIVE SYSTEM (1879-1900) ..... 84

**უჩა ოქროპირიძე**ბათუმში ალექსანდრეს ბაღისა და უფლისწულ ნიკოლოზის ბულვარის  
წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია (თარგმანი)**УЧА ОКРОПИРИДЗЕ**

КРАТКИЙ ОЧЕРК ВОЗНИКНОВЕНИЯ И РАЗВИТИЯ ГОРОДСКОГО АЛЕКСАНДРОВСКОГО

САДА И БУЛЬВАРА ЦЕСАРЕВИЧА НИКОЛАЯ В ГОРОДЕ БАТУМИ (ПЕРЕВОД) ..... 97

**ციური კატამაძე**

ფოცხოვის საზღორტიფიკაციო ნაგებობათა ისტორიისათვის, (ყველის ციხე)

**TSIURI KATAMADZE**

FOR THE HISTORY OF THE POTSKHOVELI FORTIFICATIONS (KVELI CASTLE) ..... 104

**ეთნოლოგია - ETHNOLOGY****თამაზ ფუტკარაძე**ეთნიკური ისტორიის, იდენტიფიკაციისა და კულტურული მემკვიდრეობის საკითხები  
ცენტრალური ლაზეთის პოლიეთნიკურ საზოგადოებაში**TAMAZ PHUTKARADZE**

SOME ISSUES OF ETHNIC HISTORY, IDENTIFICATION AND CULTURAL MEMORY IN

POLYETHNIC SOCIETY OF CENTRAL LAZETI ..... 111

**ბეკა მგელაძე**სისხლ-მესისხლეობაში კომპოზიციის - დარიგების ხალხური ტრადიციები  
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში**BEKA MGELADZE**

FOLK TRADITIONS OF THE COMPOSITION OF ADMONITION IN VENDETTA IN

SOUTHWESTERN GEORGIA ..... 127

**პედაგოგიკა - PEDAGOGY****ნოდარ ბასილაძე**

ბუნდუკუთილობის აღზრდა ბავშვებში

**NODAR BASILADZE**

THE UPBRINGING OF KINDNESS IN CHILDREN ..... 141

**ლიტერატურის ისტორია - HISTORY OF LITERATURE****შოთა ზოიძე**

წმინდა გრიგოლ ფერაძის „რომელნი ქერუბიმთა“

**ШОТА ЗОИДЗЕ**

ГРИГОРИЯ ПЕРАДЗЕ «КТО ИЗ КЕРУБИМОВ» ..... 151

**შორენა მახაჩაძე**

ნიჰილიზმი - დეგენერაციის მარკერი

**SHORENA MAKHACHADZE**

NIHILISM - DEGENERATION MARKER ..... 169

**ენათმეცნიერება - LINGUISTICS****მამია ფალავა**

სუფიქსური წარმოება მარადიდის ტოპონიმიაში

**MAMIA PAGHAVA**

SUFFICULAR PRODUCTION IN MARADIDI TOPONYMS ..... 175

**ომარ მემიშიში**

ზმნისწინეთა სისტემა სარპის მემიშვილებში

**OMAR MEMISHISHI**

SYSTEM OF VERB REPOSITIONS IN THE SPEECH OF SARPI ..... 187

**ლევან ხალვაში, ლია გორგაძე**

სახელებისა და ზმნის მიმართებისათვის გრამატიკაში

**LEVAN KHALVASHI, LIA GORGADZE**

FOR THE NOUN AND VERB APPEALING IN GRAMMAR ..... 195

**ფოლკლორი - FOLKLORE****თინა შიოშვილი**

ქართველ მუჰაჯირთა შრომის ლექს-სიმღერები

**TINA SHIOSHVILI**

THE GEORGIAN MUHAJIR'S WORKING SONGS AND VERSES ..... 200

**თამარ მაჭუტაძე**

ანღაზის აქტუალობა საქართველოში და საფრანგეთში

**TAMAR MACHUTADZE**

URGENCY OF PROVERBS IN GEORGIA AND FRANCE ..... 215

**პატი აბაშიძე**

ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკის ხალხური წყარო

**PATI ABASHIDZE**

A FOLKSOURCE FAFFECTIONATELY RICSO OF ALEXANDER CHAVCHAVADZE ..... 220

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო

ცენტრის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში ..... 226



## მათემატიკა

### აფინური გარდაქმნები და კოორდინატიზაცია (აქსიომატიკა) ზოგადი რგოლების მოდულებისათვის

#### მზია ცხომელიძე

##### ინვარიანტული ბაზისის მქონე მოდულების კოორდინატიზაცია

შესწავლილია აფინური გარდაქმნების გეომეტრიული ინტერპრეტაცია კლასიკური ალგებრის კუთხით, დაგროვილია საკმაო მასალა ძირითადად მთავარ იდეალთა რგოლებზე, კერძოდ, ინვარიანტული ბაზისის მქონე მოდულების კოორდინატიზაცია, კერძოდ, აქსიომატიკური აღწერა. აქსიომათა სისტემა არის დამოუკიდებელი, თავსებადი აქსიომები გეომეტრიულ ინტერპრეტაციების ხასიათს ატარებს და ისინი დამოუკიდებელნი არიან. აქსიომატიკაში გვხვდება დეზარგისა და პაპის თეორემა, რომელიც განაპირობებს ზოგადი რგოლების კომუტატიურობას. არაკომუტატური რგოლების შემთხვევაში კი დეზარგის და პაპის აქსიომებს დამოუკიდებელი ხასიათი აქვთ, ხოლო კომუტატიური რგოლების შემთხვევაში ისინი იდენტურები არიან. ამ საკითხების პარალელურად განვიხილავთ გარდაქმნას, ინვერსიას. ამ გარდაქმნების კოორდინატიზაციას, აფინური გარდაქმნების მოდელზე დაყრდნობით. **დეზარგის თეორემა:** თუ სივრცეში მდებარე ორი სამკუთხედის შესაბამისი წვეროების შემაერთებელი წრფეები ერთ წერტილში იკვეთება, მაშინ სამკუთხედების შესაბამისი გვერდების გაგრძელებით მიღებული კვეთის წერტილები ერთ წრფეზე მდებარეობს.

**პაპის თეორემა:** თუ ერთ წრფეზე მდებარე სამი წერტილი  $A, B, C$  და მეორე წრფეზე მდებარე სამი წერტილი  $A_1, B_1, C_1$  შეერთებულია  $AB_1, BC_1, CA_1$  და  $A_1B, B_1C, C_1A$  მაშინ ამ წრფეების გადაკვეთის  $X, Y, Z$  წერტილები ერთ წრფეზე მდებარეობს.

აფინური ასახვები (ლათ. *affinis* ნიშნავს „შემოკლებულს“), ანუ სიბრტყის და სივრცის თავისთავზე ისეთი ასახვებია, რომელსაც სიბრტყეები გადაყავს სიბრტყეებში, სივრცეები სივრცეებში და რომლის დროსაც პარალელური წრფეები აისახებიან პარალელურ წრფეებში, ხოლო გადამკვეთი წრფეები ისევ გადამკვეთში.

ცენტრალური აფინური ასახვა არის ისეთი ასახვა რომლის კოორდინატთა სათავე უცვლელია, ე.ი. კოორდინატთა სათავე აისახება კოორდინატთა სათავეში.

ცენტრალური ასახვა კი ისეთი ასახვაა, რომელიც უძრავად ტოვებს კოორდინატთა სათავეს.

1. აფინური გარდაქმნის დროს წრფეები აისახებიან წრფეებში.
2. თუ  $N$  არის სივრცის განზომილება, მაშინ ყოველი ასახვა სივრცისა (არის ბიექცია სივრცისა თავის თავზე), რომლის დროსაც წრფეები აისახებიან წრფეებში არის აფინური. ეს უკანასკნელი შეიძლება გამოყენებული იქნას აქსიომატიზაციის დროსაც.
3. აფინური გარდაქმნები ადგენენ ჯგუფს ბუნებრივი კომპოზიციის (ნამრავლის) დროს.
4. ნებისმიერი სამი წერტილი, რომლებიც ერთ წრფეზე არ მდებარეობენ და შესაბამისად მათი ანსახვები (რომლებიც აგრეთვე არ მდებარეობენ ერთ წრფეზე) ცალსახად განსაზღვრავენ აფინურ ასახვას.

სიბრტყის აფინური გარდაქმნისას განსაკუთრებულ როლს თამაშობს ზოგიერთი კერძო ასახვა, რომლებიც გეომეტრიულ თვისებებს ატარებენ.

როდესაც განვიხილავთ კოეფიციენტების გეომეტრიულ არსს, უფრო ხელსაყრელია დეკარტეს მართკუთხა კოორდინატთა სისტემის გამოყენება.

1. კოორდინატთა სათავის მიმართ მობრუნება  $\phi$  კუთხით აღიწერება ფორმულებით:

$$x^* = x \cos \phi - y \sin \phi,$$

$$y^* = x \sin \phi + y \cos \phi.$$

2. გაჭიმვა (შეკუმშვა) კოორდინატთა ღერძების გასწვრივ გამოისახება შემდეგნაირად

$$x^* = \alpha x, \quad y^* = \delta y, \quad \alpha > 0, \quad \delta > 0.$$

გაჭიმვა აბსცისათა ღერძის გასწვრივ ხდება იმ შემთხვევაში, როცა  $\alpha > 1$ , და შეკუმშვა

$$0 < \alpha < 1.$$

3. ასახვა (აბსცისათა ღერძის მიმართ) მოიცემა შემდეგი ფორმულით  $x^* = x, y^* = -y$ .

4. პარალელური გადატანა განისაზღვრება შემდეგი ტოლობით  $x^* = x + \lambda, y^* = y + \mu$ .

სიბრტყის გარდაქმნა ეწოდება აფინური. *affinity* ინგლისურიდან - მონათესავე) თუ:

- იგი ურთიერთცალსახაა
- წრფეები აისახებიან წრფეებში

ასახვას ეწოდება ურთიერთცალსახა თუ: განსხვავებული წერტილები აისახებიან განსხვავებულ წერტილებში.

განვიხილოთ აფინური გარდაქმნები სამგანზომილებიან სივრცეში.

- N განზომილებიანი ქვესივრცე აისახება N განზომილებიან ქვესივრცეში:
- წერტილი წერტილში, წრფე წრფეში, სიბრტყე სიბრტყეში.
- პარალელური წრფეები აისახებიან პარალელურში
- ინარჩუნებს პროპორციულად - მონაკვეთი სიგრძეს, ფიგურები პარალელურობას და ფართობს.

ნებისმიერი აფინური ასახვა შეიძლება მოცემული იქნას  $3 \times 3$  მატრიცით

არაგადაგვარებული დეტერმინანტით.  $\vec{p}' = R\vec{p} + \vec{t}$

$$\begin{pmatrix} x' \\ y' \\ z' \end{pmatrix} = \begin{pmatrix} R_{11} & R_{12} & R_{13} \\ R_{21} & R_{22} & R_{23} \\ R_{31} & R_{32} & R_{33} \end{pmatrix} \begin{pmatrix} x \\ y \\ z \end{pmatrix} + \begin{pmatrix} t_x \\ t_y \\ t_z \end{pmatrix}$$

განვიხილოთ ეს მათემატიკური თვალსაზრისით. R სამგანზომილებიანი სივრცის წრფივი ოპერატორია. ვექტორი T საჭიროა პარალელური ასახვისათვის:

თუ გავამრავლებთ  $(0, 0, 0)$  ნებისმიერ  $3 \times 3$  მატრიცაზე, მივიღებთ ისევ  $(0, 0, 0)$  ვექტორს, რომელიც

R ასახვის დროს წარმოადგენს უამრავ წერტილს. პირობა, რომ დეტერმინანტი იყოს არანულოვანი განისაზღვრება საწყისი პირობით. თუ ასახვის მატრიცა R ნულოვანია მოიცემა პირობით. შესაბამისად თუ მატრიცის დეტერმინანტი R ნულია, მაშინ მთელი სივრცე აისახება ერთ ნულოვან წერტილში, შესაბამისად ურთიერთ ცალსახობას ადგილი არ ექნება.

აფინური გარდაქმნები მოსახერხებელია მოცემული იქნას მატრიცის სახით ერთგვაროვან კოორდინატებში. აფინური გარდაქმნები, როგორც წესი მოიცემა  $4 \times 4$  მატრიცით.

$$\begin{pmatrix} R_{11} & R_{12} & R_{13} & t_x \\ R_{21} & R_{22} & R_{23} & t_y \\ R_{31} & R_{32} & R_{33} & t_z \\ 0 & 0 & 0 & 1 \end{pmatrix}$$

მატრიცის ბოლო სტრიქონის პირველი სამი ელემენტი ნულოვანია, ხოლო ბოლო 1, ეს არის აუცილებელი პირობა იმისა ასახვა არის ავინური. ზოგად შემთხვევაში ნებისმიერი  $4 \times 4$  მატრიცა იწვევს პროექციულ გარდაქმნას. ეს ასახვები როგორც ადვილი მისახვედრია არის სამგანზომილებიანი სივრცის გარდაქმნა.

#### დასკვნა:

ამ გარდაქმნების კოორდინატიზაცია, ავინური გარდაქმნების მოდელზე დაყრდნობით, თეორემის შინაარსი და მისგან გამომდინარე შედეგები მნიშვნელოვანი ნაბიჯია ელემენტარული გეომეტრიული ამოცანიდან პროექციული გეომეტრიის უფრო რთულ ამოცანებზე გადასვლისას.

## AFFINE MAPS AND COORDINATIZATION FOR MODULES OVER GENERAL RINGS

MZIA TSKHOMELIDZE

### SUMMARY

In this article is considered geometric interpretation of affine transformation in terms of classical algebra, principal ideal rings, specifically invariant basis number (IBN), particularly their axiomatic definition. Axiomatic systems are discrete – compatible axioms are characterized by geometric interpretation and are independent. Axiomatics encompasses theorems of Desargues and Pappus which determine the commutativity of the rings. In case when the lines are noncommutative the axioms of Desargues and Pappus have independent pattern of use. However, in case of the lines being commutative the theories are identical. Another relevant topic connected with this subject is inversion. Due to coordinatization of these transformations, according to modules of affine maps, using inversion, the theorem of Desargues has been proven. Based on the matter, the results are important steps to solving much more sophisticated problems of projective geometry.

### ლიტერატურა:

1. Александров П. С., Лекции по аналитической геометрии..., М., 1968:
2. Постников М. М., Аналитическая геометрия, М., 1973. А. С. Пархоменко.
3. ინტერნეტი: ელექტრონული ჟურნალები

## THE ALGORITHM FOR AN AFFINE TRANSFORMATION

MZIA TSKHOMELIDZE

ALEXANDER LASHKHI

When geo-referencing data, that is, converting data from a local coordinate system to a geographic or rectangular one, the recalculation itself usually occurs behind the scenes and its features are often intelligible to the user only intuitively.

This article shows a complete recalculation algorithm and can be used to implement data binding algorithms in your software and just for a more complete understanding of what is actually happening.

Affine transformations are a subset of polynomial transformations. The affine transformation is the equivalent of a first-order polynomial transformation.

**Key words:** affine transformations, coordination, oxymatics, module, mathematics.

Affine transformations and co-ordination (oxymatics) for modules of general circles

The solution of the transformation problem is reduced to finding the coefficients of the system of equations. Recall that in the case of an affine transformation, the system of equations looks like this:

Where:

$x, y$  are the coordinates in the original coordinate system (known);

$x', y'$  are coordinates in the finite coordinate system (known);

$a_0, b_0$  - the coefficients (unknown).

Thus, to solve this system, our software should be able to perform the operations of obtaining the inverse matrix and multiplying the matrices.

The resulting set of coefficients is then substituted into the original equations and the task of obtaining new coordinates is solved for each pixel of the original raster, thus obtaining a new matrix in the output coordinate system.

In the mechanism of the Athenian transformations, two interacting parts are distinguished.

The first is the corporate networks themselves, their types, structure, magnitude, dynamics of change.

The second is a multi-agent analysis system, rules for establishing, forming new changes.

In practice, mathematicians themselves choose and develop policy schemes. These schemes are formed not without taking into account the goals and objectives set by the firm and on the basis of its organization structure, management methods.

In this process it is necessary to take into account the established traditions inside, the level of security and other internal factors. But do not forget about external factors, for example, the state of development of the analysis environment.

In developing the analysis of Athenian transformations and coordination, the main issues are solved:

- when should the analysis policy be used in the development?
- when it is necessary to react with the help of analysis on the policy of competitors;

- what measures of the analysis system should be accompanied by the introduction on the market of a new programming product, as a new innovative product;
- how to distribute certain changes in time;
- what measures it is possible to strengthen the effectiveness of security analysis;
- how to take into account in the analysis the existing internal and external limitations of activities and a number of others.

Already at the first stage of the development of analysis it is necessary to decide what goals a mathematician wants to achieve by issuing a specific corporate network. Most often, in practice, three goals are identified, which pursues an analysis of the protection of this concept:

- ensuring the sale, and hence the survival of the system,
- profit maximization in the course of corporate network security,
- market retention.

Ensuring the sale, and therefore survival, is the main goal, carrying out its activities in a highly competitive environment.

The goal of the security of the Athenian transformations is based on maintaining the organization's existing market position and favorable business conditions.

Its implementation requires the adoption of a variety of programming measures to stimulate and prevent the escalation of competition. All of the listed objectives pursued by the policy are long-term and are designed for an extended period of time.

Also, with security, you can set short-term goals for your analysis.

Among them are the following:

- to stabilize the situation;
- to reduce the impact of change;
- to maintain their leadership;
- to limit potential competition;
- to improve the image of the network;
- to stimulate the sale of transformations, which occupy weak positions in the market and others.

Analysis of this concept has some advantages:

- it is easy to correct the mistake, since consumers are supportive of such changes;
- a high level of software provides a large profit margin at relatively high costs in the beginning.

The main drawback of this strategy is that high analysis is always attractive to competitors.

To increase the competitive position of the system of affine transformations, we can recommend the following ways:

- improvement of service and warranty service, taking into account received comments when processing the questionnaires;
- selection of qualified specialists;
- development of the service;
- the possibility of an individual approach.

The Russian market, experiencing rapid growth, ran into problems.

The second aspect of development is the activity of programmers, who used to have no time to deal with their customers. They were engaged in building a basic network, technologies, but they did not have to deal with their clients: no desire, no strength, no time.

All this is stipulated:

- uncertainty of the environment;
- increasing risks in solving any problems;
- crisis condition;
- the ability to optimize resources.

The main factors that determine the information aggression towards affinity transformations can be called:

- public importance, that is, access to a social network for a person is already a necessity;
- state of treatment - there is a direct relationship between users and consumers;
- supply-demand ratio;
- competition - great variety and so on;
- direct and indirect regulation;
- qualitative characteristics - the opportunity to learn something; people look - show themselves;
- volume - a huge amount of information.

In modern conditions, the same word has different values for countries. When planning, it is necessary to take into account the time aspect, as well as the effectiveness of expressing opinions on this process.

To avoid information aggression, it is necessary to study the strategy and tactics of the processes taking place in the world. Under the learning strategy is understood the use of finance to achieve the goal. For this, a set of rules and constraints are needed for the optimal decision-making of the management decision. After achieving the results, the strategy ceases to exist, and the emergence of new goals sets itself the following strategy for implementation. In turn, tactics - a set of methods and techniques that are necessary to achieve any goal. Tasks of tactics: choice of solution; choice of methods; selection of control methods. They are a subtle and flexible tool and at the same time a powerful lever for governing the country.

The main factors that form an obstacle for the emergence of affine transformations and coordination are:

- public importance;
- state of treatment;
- supply-demand ratio;
- competition;
- direct and indirect regulation and other.

Part of the whole mechanism is the appearance of such a thing as "Athenian transformations." It forms the size of the state, but it is hidden from us, and we see countries in reality.

In this process, it is necessary to take into account the established traditions within the country, the level of costs and other internal factors.

Perhaps, given these conditions, it will be possible to avoid crises, including in our country.

Based on the material we studied, it was revealed that information flows, such as:

- flow control is interconnected with all control systems.

Hence, we can conclude that the concept of analysis is a way of understanding the phenomenon; and in science and in the academic discipline - this is a theoretical approach to the phenomena of

operations that develop between the parameters of oxyomatics for the anticipation of the occurrence of any negative situations.

Based on the material we studied, it was revealed that information flows are built on the basis of the principles of the modern state, such as:

- flow control is interlinked with all control systems;
- the presence of dynamic solutions;
- selection of several solutions;
- management is directly interrelated with the development objectives of this state.

The administration, trying to overcome a number of reforms, tried to overcome the difficulties and complexities of the development of society, as a part of the material world that had become isolated from nature.

For all this, it was necessary to achieve high achievements in a variety of industries and the impossibility of any prohibitions in his statements.

The modern state, as the political organization of this country, has established itself as a reliable leader in the public space.

The positive aspect in this case is that the conditions of the modern state are reflected not conditionally, but in full, that is, widely enough.

As shown by statistical data, in the study of the analysis there are more positive tendencies that affect the relations between people, rather than negative ones.

Most people, especially those who study this problem, hope that the process of creating modern search innovations will continue indefinitely and with the help of new technologies and innovations our world will become richer.

But it is important to note the fact that in the long term the use of a large number of prohibitions in studying modern innovations in affine transformations can become risky.

In modern conditions, people increasingly turn to the notion of "oxyomatics".

Over time, this term began to be understood in a broad sense, so several sciences began to be formed immediately, such as: mathematics and so on, in the context of globalization is widely used.

This science is engaged in the study of various kinds of trends, studies a person in all its features and manifestations, and also deals with the relationship of two principles, such as: science and its application in practice.

I want to note that many scientists often try to study these concepts in more detail and make their interpretation in history and so on.

It can be said that in the modern world it is a part of the cultural heritage, from which the main types of human activity take their beginnings, yet they do not contradict the law.

Modern innovations in the field of mathematics affect society and give an idea of people about life, about nature, about society in all forms of its manifestation.

Knowledge on such issues people accumulate over the years, and then try to apply them. After all, knowledge on such disciplines, including skills are transferred from one generation to another, it is through them that scientific and technological progress is moving, thus, the Athenian transformations directly depend on the conditions of globalization.

Thus, we can say with precision that an analysis of modern innovation processes is a question that concerns not only society, but also other interdisciplinary disciplines. Scientists are still arguing about the relationship of these two concepts.

The study of such aspects assumes that the employee of such a position should know the tools and the knowledge gained easily with practice.

The study of legal foundations implies a knowledge of vertical and horizontal methods of evaluation. For a specialist in this field, it is important to be able to find coefficients that allow studying the structure.

The process control consisted of two subsystems:

- a managed subsystem is an object;
- the control subsystem is the subject.

The object of management is:

- cash;
- capital;
- financial relations.

Control objects have the following elements:

1. Money turnover.
2. Financial resources.
3. The turnover of capital.

The subject of management is a set of tools, methods and other means that are directed at the functioning of the object.

Elements of the subject are as follows:

1. Staff.
2. Tools.
3. Methods.
4. Means.

However, for successful study of such processes it was necessary:

- provide for changes;
- explore everything.

For all this, it is necessary to perform a number of analytical procedures, which were called "sensitivity analysis".

Our country, striving to overcome a number of reforms, tries to overcome the difficulties and complexities of the development of society, as a part of the material world that has become isolated from nature.

An obligatory condition is the construction of a law-governed state, as a political organization of a given country.

For all this, high tech

In turn, the information technologies are needed in a variety of industries, including mathematics. It carries new opportunities for achieving the set goals. Thus, human rights and interests are strengthened, which is the legal basis for working with information sources.

The state, as a political organization of this country, has established itself as a reliable partner, continuing the policy of integration.



### Conclusion

It is important for us that these interests are balanced and competitive, both internationally and domestically.

The problem of studying affine transformations and coordination for modules of general circles is complex and multifaceted, many researchers in our country and abroad have been studying it, although it was not possible to reach a consensus on this issue.

A number of factors characterizing these processes generate a number of negative phenomena. Moreover, the scale of these phenomena seems quite serious, and the methods for their correction are still only in the stage of comprehension.

## ალგორითმი აფინური გარდაქმნებისთვის

### ფია ცხოველია

### ალექსანდრე ლაშხი

### რეზიუმე

სტატიაში აღწერილი ალგორითმი პროგრამულად უზრუნველყოფს აფინური გარდაქმნების მონაცემების სრულ გარდაქმნას. აფინური გარდაქმნებისას მნიშვნელოვანია, რომ ამ გარდაქმნების დამახასიათებელი რიგი ფაქტორები წარმოქმნიან რიგ უარყოფით მნიშვნელობებს, მაგრამ ეს არ არის პრობლემა, რადგან შემუშავებული პროგრამები დაბალანსებული და კონკრეტულუნარიანია.

### Bibliography

1. Arerestova ON, Babanin LN, Voiskunsky AE Mathematics. The 2nd Russian Conference. Theses. M., 2018.
2. Belinskaya EP, Zichkina AE Modern research: problems, hypotheses, results, 2015.

## ინფორმაცია

**IEEE\_802.16 ტიპის ფართოზოლიანი უგამტარო ქსელის  
შემაღლებელი საკომუნიკაციო მოწყობილობების  
ურთიერთქმედების ალგორითმი და სტანდარტიზაცია  
MAC-ლონის პროტოკოლების გაზაზგი**

**მიხეილ ღონააპ**

**აბსტრაქტი:** ნაშრომში განხილულია IEEE\_802.16 ტიპის ფართოზოლიანი უგამტარო ქსელის შემაღლებელი საკომუნიკაციო მოწყობილობების ურთიერთქმედების ალგორითმი. დახასიათებულია ქსელის არბიტრაჟის უკოლიზიო ტექნოლოგია პოლინგი. ნაშრომში წარმოდგენილი მეთოდების საფუძველზე, მუნიციპალური მასშტაბის უსადენო ქსელების სხვადასხვა დანართებისათვის სატრანსპორტო გარემოს შესაქმნელად, შესაძლებელია ფიზიკური და საარხო დონეების პროტოკოლების სტანდარტიზაცია, რაც უზრუნველყოფს მონაცემების ნაკადის სრულფასოვან გამოყენების. გარდა აღნიშნულისა, პაკეტების გადაცემის პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით, კონვერგენციის ქვედონეზე, შესაძლებელია მონაცემთა ნაკადის მართვა და IEEE\_802.16 ტიპის ფართოზოლიანი უგამტარო ქსელების სამრეწველო სტანდარტის არქიტექტურის სტანდარტიზაცია.

**გასაღები სიტყვები:** უსადენო ქსელები, მონაცემთა ნაკადის მართვა, პროტოკოლები

**Key Words:** broadband wireless network, control the data flow, network protocols

კომპიუტერული ქსელების რიცხვის სწრაფი ზრდა, წარმატებები გამტარიანი და უგამტარო კავშირების სფეროში და ზოგადად საქსელო ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ტენდენციები მიმართულია ინფორმაციის ინტეგრირებული გადაცემის შესაძლებლობის ზრდისაკენ.

უკანასკნელ წლებში საქსელო ინდუსტრიის განვითარების ერთ-ერთი ძირითად მიმართულებად იქცა ინფორმაციის გადაცემის უგამტარო ქსელები, სადაც ფართოზოლიან უგამტარო გადაწყვეტილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა ეკონომიურად და ოპერატიულად შევქმნათ ტელეკომუნიკაციური ინფრასტრუქტურა დიდ ტერიტორიაზე.

თანამედროვე BWN (Broadband Wireless Network) ქსელის გამტარუნარიანობა აღწევს 300 მგბტ/წმ. სტანდარტები IEEE\_802.11 და IEEE\_802.16 საკმაო თავისუფლებას იძლევა ცენტრალიზებული და ჰიბრიდული კოორდინაციის ფუნქციის კონკრეტული რეალიზაციის საკითხებში. სტანდარტებში აღწერილი არ არის დამაბოლოებელი სადგურების გამოკითხვის კონკრეტული მეთოდები, გამოკითხვის სიების შედგენისა და აქტიურ მდგომარეობაში ყოფნის წესები, კადრების რიგების ფორმირებისა და გადაზავნის პოლიტიკა, ასევე რეკომენდაციები სუპერ-ფრეიმების ცენტრალიზებული და განაწილებული მართვის თანაფარდობების შესახებ. დღეს დიდი ყურადღება ეთმობა საბაზო სადგურის მხრიდან დამაბოლოებელი სადგურების

## მიხეილ ღონააკი

გამოკითხვის ალგორითმების დამუშავებასა და მოდელირებას - ადაპტური დინამიკური პოლინგის სქემების შემუშავებას. [1]

IEEE\_802.11 და IEEE\_802.16 ტიპის ქსელის შემადგენელი საკომუნიკაციო მოწყობილობების ურთიერთქმედების ალგორითმი დაახლოვებით ასე გამოიყურება. სანამ აბონენტი დაიწყებს კადრების გადაცემას იგი უსმენს Wi-Fi ქსელს - თავისუფალია თუ არა ეთერი. თუ არხი თავისუფალია აბონენტი იწყებს გადაცემას. ტრანსლაციის დროს ქსელის დანარჩენი აბონენტები ლოდინის რეჟიმში იმყოფებიან. მეთოდს ეწოდება CSMA/CA. ასეთი ტექნოლოგია საკმაოდ ეფექტურია, ქსელში კონფლიქტი არ მოხდება, თუ ყველა აბონენტი ერთი საბაზო სადგურის „მოსმენის“ რადიუსში იმყოფება. შიდასაოფისე და საოჯახო ტიპის Wi-Fi ქსელებში ასეთი პირობა მისაღებია, მაგრამ როგორც კი ჩვენ ვიწყებთ ქსელის პროექტირებას შენობის გარეთ, სადაც ქსელის აბონენტები ბაზიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობენ და ქსელი შეიცავს რამდენიმე საბაზო სადგურს - ყველაფერი იცვლება. [1] დისტანციებზე მუშაობის დროს აბონენტთა დასაკავშირებლად გამოიყენება მიმართული ანტენები. ეს იმას ნიშნავს, რომ აბონენტს არა აქვს საშუალება გაარკვიოს მისი მეზობელი გადასცემს თუ არა მონაცემებს, ანუ დაკავებულია თუ არა ეთერი, ის უკავშირდება მხოლოდ ბაზას. თავისუფალია ბაზა, თუ დაკავებული ანუ ღებულობს მონაცემებს სხვა აბონენტიდან - მან არ იცის. კოლიზიების თავიდან აცილების მექანიზმი წყვეტს მუშაობას. რა უნდა გავაკეთოთ?

ერთადერთ მისაღებ გამოსავალს ამ სიტუაციაში წარმოადგენს არბიტრაჟის რთული სისტემა, რომელიც უნდა განხორციელდეს საბაზო სადგურის მხრიდან. სწორედ საბაზო სადგურმა უნდა მოაწესრიგოს აბონენტთა აქტიურობა ქსელში. ასე წარმოიშვა პოლინგის ცნება. ეს მეთოდი უგამტარო ქსელებში გამოიყენება 90-იანი წლებიდან. Wi-Fi-სგან განსხვავებით იგი არ არის სტანდარტიზებული, თითოეული მწარმოებელი ქმნის და წერს პოლინგის საკუთარ ვერსიას, ამიტომ სახვადასხვა ფირმის აპარატული ნაწილი პოლინგის გარემოში ერთმანეთს ვერ უკავშირდება.

პოლინგი - მოწესრიგებული გამოკითხვის სისტემა ანუ უკოლიზიო წვდომა (შეიძლება შევადაროთ მარკერის მეთოდს) წარმოადგენს, რამდენიმე რიგის და საერთო მომსახურების მოწყობილობას. ყოველ რიგში შედის მოთხოვნების თავისი ნაკადი. მომსახურე მოწყობილობა გარკვეული წესით აკითხავს რიგებს და ემსახურება მათში არსებულ მოთხოვნებს. პოლინგის სისტემებში სერვერი პრიორიტეტებს აკუთვნებს რიგებს განსაზღვრული წესის მიხედვით. [3]

პოლინგის საშუალებით ქსელური სისტემების კვლევის მიზანს უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს ლოდინის საშუალო დროს დადგენა სისტემის ნებისმიერი რიგისათვის, მაგრამ ამ მახასიათებლების გამომთვლელი გამოსახულებების მიღება ცხადი სახით ყოველთვის ვერ ხერხდება, ამიტომ სასურველია ყურადღება მივაქციოთ მიახლოებითი გამოსახულებების მოძიებას და აგრეთვე უკვე მიღებული მიახლოებითი მნიშვნელობების დაზუსტებას.

პოლინგის ტექნოლოგიას გააჩნია შემდეგი დადებითი მხარეები:

- კლიენტის გარანტირებული წვდომა საბაზისო სადგურთან.
- ყოველი აბონენტისათვის გამტარიანობის ზოლის მართვის შესაძლებლობა. აბონენტებს შეუძლიათ ან თანაბრად გაიყონ საბაზისო სადგურის წარმადობა (გატარების ზოლი ან პროცესორული დრო) ან კიდევ ყოველი აბონენტისათვის შესაძლებელია ინდივიდუალურად გამოიყოს გატარების ზოლის პარამეტრები (როგორც აბონენტისათვის ასევე აბონენტის შიგნით ტრაფიკის ცალკეული კლასისათვის).


- გამორიცხულია ქსელში კოლიზიების არსებობა.

• შორს მყოფი აბონენტები რომლებსაც აქვთ სუსტი სიგნალი ისევე ეფექტურად მუშაობენ როგორც სხვა აბონენტები. გადაჭრილია ე.წ. „ფარული კვანძის“ პრობლემა.

მაგრამ ამასთან ერთად არის ასევე უარყოფითი მომენტებიც:

• პოლინგის ტექნოლოგიას ესაჭიროება თანამედროვე მძლავრ პროცესორებზე აგებული საბაზისო სადგურები, წინააღმდეგ შემთხვევაში მკვეთრად ეცემა საბაზისო სადგურების წარმადობა და შედეგად მთლიანად ქსელის ეფექტურობა.

• სტანდარტების არ არსებობის პირობებში პოლინგის რეალიზება სამწუხაროდ არატრი-ვიალურ ამოცანად რჩება და შესაბამისად სხვადასხვა მწარმოებლის აპარატურის პარამეტრები ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავდება.



ნახ 1. ფართოზოლიანი უსადენო რეგიონალური ქსელის მაგალითი

განვიხილოთ ადაპტური ცენტრალური მართვის ფართოზოლიანი უგამტარო რეგიონალური ქსელის ზოგადი მაგალითი. სისტემის ცენტრალიზებული მართვის საფუძველში საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პოლინგის მექანიზმის რეალიზების კონკრეტულ წესს. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ პოლინგის კონკრეტულ მექანიზმზე და მის პარამეტრებზეა ძირითადად დამოკიდებული ცენტრალიზებული მართვის მქონე უგამტარო ფართოზოლიანი რეგიონალური ქსელის მუშაობის ეფექტურობა.

საბაზო სადგური ფორმირებას უკეთებს კადრების რიგებს თითოეული დამაბოლოებელი სადგურისათვის. თითოეულ რიგში კადრების პრიორიტეტიზაცია ხორციელდება იმ ტრაფიკის შესაბამისად, რომელსაც ისინი ეკუთვნის. შემდეგ საბაზო სადგური იწყებს გამოკითხვების ციკლს. დასაწყისში იგი მოემსახურება დამაბოლოებელ სადგურს, (პირველს გამოკითხვის სიაში). ამ დროს იგი გადასცემს მას კადრებს შესაბამისი რიგებიდან, შემდეგ გამოკითხავს მას, გადასცემს რა მას კადრ-მიწვევას გადაცემისათვის და მიიღებს რა მისგან კადრებს, რომლებიც დგანან ამ დამაბოლოებელი სადგურის გაგზავნის რიგში. მომსახურების დასრულების შემდეგ საბაზო სადგური გადაირთვება გამოკითხვის სიაში მყოფი შემდეგი დამაბოლოებელი სადგურის მომსახურებაზე. საბაზო და დამაბოლოებელ სადგურს შორის მონაცემების გადაცემის პროცესს ცენტრალიზებული მართვის პირობებში თან ახლავს დროის ზედნადები ხარჯები. საბაზო სადგური ხარჯავს დროს გადართვებზე დამაბოლოებელ სადგურებს შორის. წარმოიშობა სამსახურებრივი კადრები. [2]

ადაპტური დინამიური პოლინგის ალგორითმების დამუშავების დროს ისახება შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- იმ მეთოდის შერჩევა, რომლის თანახმადაც საბაზო სადგური განახორციელებს დამაბოლოებელი სადგურების გამოკითხვას;
- საბაზო სადგურის დამაბოლოებელი სადგურების რიგებთან მუშაობის პოლიტიკის შერჩევა;
- ზედნადები ხარჯების მინიმიზაცია, შესაბამისი მეთოდების დამუშავება;
- სისტემის ოპტიმალური პარამეტრების ანგარიშის მეთოდების დამუშავება.

ფართოზოლიანი უგამტარო რეგიონალური ქსელის ცენტრალური მართვის პირობებში საბაზო სადგურმა თავის თავზე უნდა აიღოს ქსელის ფუნქციონალური შესაძლებლობების მაქსიმალური რაოდენობა. დამაბოლოებელი სადგური პასიურ როლს ასრულებს, რომელიც მხოლოდ საბაზო სადგურის მომსახურებრივ კადრებზე რეაგირებაში მდგომარეობს.

ფართოზოლიანი უგამტარო რეგიონალური ქსელების ექსპლუატაციის დროს, ტრაფიკის გაცვლის მხრივ, ძირითადად გვხვდება ორი ტიპური სიტუაცია. პირველი - ბაზიდან დამაბოლოებელი სადგურისაკენ, ასეთი სახის ტრაფიკი ტიპურია ფართოზოლიანი უგამტარო რეგიონალური ქსელის გამოყენებისას, როგორც ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების „ბოლო მილი“. გამოკვლევებმა უჩვენეს, ტრაფიკი გარე ქსელიდან ლოკალურ სეგმენტში მნიშვნელოვნად აჭარბებს ტრაფიკს ლოკალურ სეგმენტიდან გარე ქსელში.

მეორე სიტუაციაში ჭარბობს ტრაფიკი დამაბოლოებელი სადგურებიდან საბაზოსკენ. ასეთი სახის ტრაფიკი ტიპურია ფართოზოლიანი უგამტარო რეგიონალური ქსელის გამოყენებისას, როდესაც ქსელის ობიექტებიდან, რომლებიც იმყოფებიან დამაბოლოებელი სადგურების საზღვრებს გარეთ. მაგალითად, რაიმე სახის ინფორმაციის გადასაცემად რომელიმე ინფორმაციის შენახვისა და დამუშავების ცენტრში. ასეთი სიტუაცია გვხვდება ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და დამუშავების სისტემებში.

პრინციპული განსხვავება ამ ორ სიტუაციას შორის იმაშია, რომ „დაღმავალი“ ტრაფიკის გადაჭარბებისას საბაზო სადგურისათვის, რომელიც წარმოადგენს უგამტარო ქსელის მუშაობის კოორდინატორს, წინასწარ ცნობილია დამაბოლოებელი სადგურებისათვის გადასაცემი კადრების რიგების პარამეტრები, ამიტომ საბაზო სადგურს შეუძლია წინასწარ აირჩიოს დამაბოლოებელი სადგურების რიგებთან მუშაობის პოლიტიკა. მეორე შემთხვევაში კი, როდესაც ჭარბობს „აღმავალი“ ტრაფიკი, საბაზო სადგურმა არაფერი არ იცის დამაბოლოებელ სადგურებიდან გადასაცემი კადრების რიგების შესახებ, ამიტომ მას სჭირდება დასაწყისში გამოკითხოს დამაბოლოებელი სადგურები და მხოლოდ მას შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება რიგებთან მუშაობის პოლიტიკის შესახებ.

როდესაც ქსელი მუშაობს ე.წ. „ბოლო მილის“ რეჟიმში, შეიძლება მონაცემთა ნაკადის უგულუბელყოფა დამაბოლოებელი სადგურიდან საბაზოსკენ და მოხდეს მხოლოდ დაღმავალი ნაკადის - საბაზო სადგურიდან დამაბოლოებელამდე, განხილვა. ამ შემთხვევაში საბაზო სადგური შესაბამისი რიგიდან უზავნის დამაბოლოებელ სადგურს შესაბამის კადრებს. შემდეგ ელოდება დადასტურებას დამაბოლოებელ სადგურიდან მონაცემების წარმატებული მიწოდების შესახებ და იწყებს შემდგომი რიგის კადრების გაგზავნას. რიგებს შორის გადართვის დრო შემთხვევითი სიდიდეა, ვინაიდან შეუძლებელია წინასწარ მეტყველება წარმატებული იყო თუ არა მონაცემების მიწოდება. ეს მომენტი აუცილებლად გასათვალისწინებელია სისტემის ანალიტიკური მოდელირების დროს. ცხადია, რომ თუ კადრების რიგი მოკლეა, მონაცემების გადაცემის ზედნადები ხარჯები დიდი იქნება. ამიტომ, ზედნადები ხარჯების შემცირებისათვის, სასურველია რიგის მომსახურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი სიგრძე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომები“ - 4, 2019

გადააჭარბებს დადგენილ სიდიდეს – ერთგვარ ზღურბლს. სისტემის გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით თითოეული დამაბოლოებელი სადგურის რიგების მომსახურება უნდა მოხდეს მათ სრულ ამოწურვამდე, მაგრამ თუ ერთი, ან რამდენიმე რიგი ძალზე გრძელი აღმოჩნდება და კადრის რიგში ყოფნის საშუალო დრო დიდი იქნება, ასეთი მომენტი დაუშვებელი იქნება ზოგიერთი საქსელო სერვისისათვის. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სისტემის განსაკუთრებით მნიშვნელოვან პარამეტრებს წარმოადგენს რიგის საშუალო სიგრძე და კადრის რიგში ყოფნის საშუალო დრო.

შეიძლება დავასკვნათ, რომ პაკეტური ინფორმაციის უგამტარო ქსელში მონაცემთა გამტარუნარიანობის კვლევისათვის ეფექტურია პოლინგის მეთოდები, ხოლო პაკეტების დაყოვნების შემცირებისთვის, საუკეთესო ვარიანტს წარმოადგენს გამოკითხვის ციკლური მეთოდი. BWN-თვის პაკეტების გადაცემის მაქსიმალური სიჩქარე შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს ადაპტური და დინამიური პოლინგის გამოყენებით.

IEEE 802.16-ის სტანდარტიზაციის საგანს წარმოადგენს ფიზიკური და MAC დონეების აგების პრინციპები მუნიციპალური მასშტაბის ქსელების სხვადასხვა დანართებისათვის სატრანსპორტო გარემოს შესაქმნელად. ფიზიკური დონე უშუალოდ უზრუნველყოფს მონაცემების ნაკადის მიყვანას საბაზო სადგურიდან მომხმარებლის სადგურამდე (აბონენტამდე). გადასაცემი მონაცემების სტრუქტურების მრავალსახეობის ფორმირება და ძირითადი სისტემური პროცესების მართვა კი - MAC- დონის ფუნქციებია.

MAC-დონის პროტოკოლები მართავენ გადაცემის პარამეტრებს, განსაზღვრავენ კვანძების ურთიერთქმედების წესებს, შეღწევის რიგითობას, აკონტროლებენ შეერთებების მდგომარეობას და ა.შ. IEEE\_802.16-ში ქსელის ელემენტების მართვა ცენტრალიზებულია - საბაზო სადგური აკონტროლებს გადაცემას როგორც პირდაპირ, ასევე უკუ არხებში.

ფიზიკურ დონეზე გამოყენებული სპეციფიკაციების მიუხედავად, IEEE\_802.16-x სტანდარტებს გააჩნიათ ერთიანი MAC-პროტოკოლი, რომელიც აღწერს ქვედონეების ურთიერთქმედებას, მონაცემების ბლოკების ფორმატს, პოლინგის მექანიზმს და სხვ. [4]

გარდა აღნიშნულისა, მონაცემების გადაცემის პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით, კონვერგენციის ქვედონეზე, ხდება განმეორებად პაკეტებში თავსართების მოცილება. მაგალითად, თუ პაკეტების წყარო და მიმღები გარკვეული დროის განმავლობაში არ იცვლებიან, შეერთების იდენტიფიკატორი ასოცირდება ამ ნაკადთან, ამიტომ დამატებითი მონაცემების გადაცემის აუცილებლობა არ არსებობს, მიმღებ მხარეზე ხდება თავსართების აღდგენა.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ MAC-დონეს საკვანძო როლი ენიჭება IEEE\_802.16 ტიპის ფართოზოლიან უგამტარო ქსელების სამრეწველო სტანდარტის არქიტექტურის შემუშავებაში.

## ALGORITHM OF INTERACTION BETWEEN IEEE\_802.16 TYPE BROADBAND WIRELESS NETWORKS, AND STANDARDIZATION OF MAC PROTOCOLS

MIKHEIL DONADZE

### SUMMARY

The article deals with interaction algorithm of communication devices that constitute the IEEE\_802.16 type broadband wireless network. Non-collision polling technology of network arbitrage is characterized. On the basis of the methods presented in the article, for the creation of transport environment for various appendices of municipal-scale wireless networks, it is possible to standardize physical and channel level protocols that provide a full-length use of data flow. Apart from this, for the purpose of optimization of packet delivery process, on the sublevel of convergence, it is possible to control the data flow and the standardization of industrial standard architecture of IEEE\_802.16 type broadband wireless networks.

### ლიტერატურა:

1. Вишнеvский В. М., Семенова О. В. Системы поллинга: теория и применение в широкополосных беспроводных сетях. М.: Техносфера, 2007.
2. Шахнович И., Современные технологии беспроводной связи, М.: Техносфера, 2006.
3. Маликова Е.Е., Цитович И.И. Исследование эффективности группового поллинга при зависимой активности датчиков в сетях мониторинга // Информационные процессы. 2011. Т. 11, № 2. С. 304-310.
4. D. Rai, S. Sharma, S. Naznee, Optimized RTS/CTS Exchange Approach for Better Performance in Multi-Hop WLAN Environment, International Journal of Advanced Research in Computer and Communication Engineering Vol. 1, Issue 6, August 2012.
5. <http://nrlweb.cs.ucla.edu/>
6. <http://publications.hse.ru/articles/74846663>
7. <http://www.intel.com/support/wireless/wlan/sb/CS-006205.htm?wapkw=polling>

## ეკონომიკა

### ზოგიერთი მონაცემები აჭარის აგრარული სფეროს შესახებ

#### ასლან ღვამაძე

**აბსტრაქტი:** სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების პროცესი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარეობს მაგრამ ნელი ტემპებით და მათი ფუნქციონირების ეკონომიკური შედეგები ვერ პასუხობენ აგრარულ სფეროში არსებულ გამოწვევებს. სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ნედლეულის წარმოების მთავარ სუბიექტებად კვლავაც რჩება ოჯახური მეურნეობები. აგროსფეროს მეწარმე სუბიექტების სამეურნეო საქმიანობის მცირე მასშტაბები არ იძლევა საშუალებას გაფართოვდეს წარმოების მოცულობა, კონკურენტუნარიანობა და საბაზრო სეგმენტების ათვისება. განხორციელებული მეცნიერული კვლევების შედეგების გამოყენებით შესაძლებელია აგროსფეროში მეურნეობების ცაკლეული სახეობების დაბალანსებული განვითარებისათვის, ადგილობრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის მოდელის შემუშავება. მოკვლეული მასალების სისტემური ანალიზის საფუძველზე ვლინდება აგროსფეროს განვითარებაში ძლიერი და სუსტი მხარეები, არსებული პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზების პრიორიტეტული მიმართულებები.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ნედლეულის და მისგან სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს და ის მოიცავს სხვადასხვა დარგებს. მეწარმე სუბიექტების სახით წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ფერმერული და ოჯახური მეურნეობები, რომელთა სპეციალიზაცია და სამეურნეო საქმიანობის მასშტაბები, განვითარების პერსპექტივები განსხვავებულია.

მეცნიერული კვლევების, საქართველოს სასოფლო სამეურნეო აღწერის და სხვა ინფორმაციული მასალების გამოყენებით მიღებული ანალიტიკური შეფასებები საშუალებას იძლევა წარმოჩენილ იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული სფეროს განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვროს განვითარების პრიორიტეტები, დაინერგოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ორგანიზაციის რაციონალური ფორმები.

სტატიაში ნაჩვენებია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგროსამრეწველო სფეროში მეურნეობების რაოდენობა, მეურნის იურიდიული სტატუსის მიხედვით. გაანალიზებულია მათი სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, გამოყენებული რესურსები, წარმოებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეული, გადამუშავების პროდუქცია, სახელმწიფოს მხრიდან გატარებული მხარდამჭერი პროგრამები და პროექტები. რეგიონში აგრარული სფეროს განვითარების საშუალო და გრძელვადიანი პერიოდებისათვის სამოქმედო პროგრამების მაღალმეცნიერულ დონეზე დასაბუთებისათვის მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, ფერმერული და ოჯახური მეურნეობების ფუნქციონირების მაღალი შედეგების მიღწევას, ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენის ხედვებისა და მიდგომების შემუშავება.

დღეისათვის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით აჭარაში მეურნეობების მთლიან



ასლან ღვამაძე

რაოდენობაში ცალკეული სუბიექტების (იურიდიული სტატუსის) მიხედვით, ხვედრითი წილი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი.

როგორც ცხრილი №1 მონაცემებიდან ჩანს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მუნიციპალიტეტში აბსოლუტურად დომინირებს შიგამეურნეობის რაოდენობა და იურიდიული სტატუსის მქონე მეწარმე-სუბიექტების ხვედრითი წილი 0,1-0,5%-ის ფარგლებში, რაც მიუთითებს მსხვილი სასოფლო სამეურნეო სუბიექტების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების დაბალ დონეზე.

ცხრილი 1

№	ტერიტორიული ერთეული (რეგიონი, მუნიციპალიტეტი)	მეურნეობები სულ %	შიგამეურნეობები %	იურიდიული პირი %
1	აჭარის ა. რ.	100	99,8	0,2
2	ქ. ბათუმი	100	99,5	0,5
3	ქედა	100	99,8	0,2
4	ქობულეთი	100	99,9	0,1
5	შუახევი	100	99,9	0,1
6	ხელვაჩაური	100	99,8	0,2
7	ხულო	100	99,9	0,1

საინტერესოა მონაცემები მეურნეობების განაწილების შესახებ სამეწარმეო-საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით.

ცხრილი №2

№	სამეწარმეო საქმიანობის მიმართულებები	ტერიტორიული ერთეული ( რეგიონი მუნიციპალიტეტი)						
		აჭარის ა.რ.	ქალაქი ბათუმი	ქედა	ქობულეთი	შუახევი	ხელვაჩაური	ხულო
1	კივი, ფეიხოა და სხვა	1,8	1,6	0,9	2,3	0,2	2,9	0,2
2	მეციტრუსეობა, ყველა სახის კულტურა	53,9	63,2	0,1	74,2	0,1	80,1	0,1
3	ვენახი (ყურძნის წარმოება)	52,2	6,7	40,8	26,2	70,6	8,8	8,6
4	კაკალი და თხილი	48,9	28,0	73,9	47,4	68,8	38,7	70,1
5	ხილი სხვადასხვა სახის	63,1	43,4	73,5	67,9	83,0	53,9	95,7
6	ჩაი	0,5	0,4	0,2	0,5	-	1,2	-
7	კარტოფილი	36,1	18,1	68,5	17,2	84,2	25,1	94,9
8	ბოსტნეული და ბახჩეული	66,3	55,8	87,5	68,1	83,5	87,6	90,0
9	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	52,9	20,0	75,9	58,3	80,4	47,2	80,4
10	ფუტკარი	2,3	0,2	7,5	1,7	2,9	2,1	2,3

როგორც, ცხრილ №2-ში მოყვანილი ციფრები გვიჩვენებს აჭარის აგრარული სფეროს ძირითად სასოფლო სამეურნეო დარგებში მეურნეობათა განაწილება 50-70%-იანი ხვედრითი წილით ხასიათდება. ყველაზე უფრო არასახარბიელო მდგომარეობაა მეჩაიეობის დარგში,

საერთოდ აღარ არსებობს სტატისტიკა მეთამბაქოების, მებაზრეუმეობის და სხვა ტრადიციული დარგების მიმართულებით.

მეურნეობების ტექნიკური უზრუნველყოფა და საწარმო ინფრასტრუქტურა შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

ცხრილი №3

№	ტერიტორიული ერთეულები (რეგიონი, მუნიციპალიტეტები)	ტექნიკური უზრუნველყოფა და საწარმო ინფრასტრუქტურა %		
		სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ტრაქტორები ყველა სახის	მემცენარეობის პროდუქციის წარმოება - რეალიზაცია	მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია
1	აჭარის ა.რ.	3,9	63,6	56,5
2	ქ. ბათუმი	0,9	61,7	28,3
3	ქედა	11,9	94,6	80,1
4	ქობულეთი	1,4	54,1	56,8
5	შუახევი	9,7	95,8	80,1
6	ხელვაჩაური	2,1	48,9	51,3
7	ხულო	9,6	81,9	70,8

როგორც ცხრილი №3-ის მონაცემებიდან ჩანს, საკმაოდ მნიშვნელოვანია მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებში იმ მეწარმე-სუბიექტების ხვედრითი წილი, რომლებიც აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას არამარტო საკუთარი მოხმარებისათვის, არამედ ბაზარზე რეალიზაციისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოებული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ნედლეულის და პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის შიდა ბაზრების სეგმენტებზე მიწოდებაზეა ორიენტირებული. გარდა მეციტრუსეობისა, ნაწილობრივ მევენახეობისა და მეფუტკრეობის დარგებისა, რომლის შემთხვევაშიც დომინირებს ქვეყნის გარე ბაზრებზე რეალიზაცია. რაც შეეხება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მეურნეობების აღჭურვის დონეს ჯერჯერობით მაჩვენებლები დაბალია, რაც განაპირობებს, შედარებით დაბალ შრომით ნაყოფიერებას და აგროტექნოლოგიების განხორციელების შეუსრულებლობას დროულად და ხარისხიანად.

ცხრილი №4-ში წარმოდგენილია შიგამეურნეობებში დასაქმებული წევრების რაოდენობის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა რაოდენობის ხვედრითი წილის მონაცემები.

როგორც №4-დან ჩანს, აჭარის სასოფლო-სამეურნეო დარგის შინამეურნეობების გარკვეული ნაწილის დასაქმებულთა რაოდენობა 2-3, 4-5 და 6-9 წევრის ფარგლებშია. სამაგიეროდ საკმაოდ დაბალია მაჩვენებლები 10-ზე მეტი დასაქმების მქონე შინამეურნეობის მიხედვით და ეს ციფრები 1,0-1,8-ის ფარგლებშია, რაც მიუთითებს მეურნეობის სამეწარმეო საქმიანობის მასშტაბების დაბალ პოტენციალზე, კოოპერაციის დონის არასაკმარისობაზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ჯერ კიდევ 2014 წელს შემუშავებული იქნა საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგია (აგრარული სექტორი - 2020), მასში ერთ-ერთ მთავარ და პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეულია კოოპერაციის განვითარება.

## ცხრილი №4

№	ტერიტორიული ერთეული (რეგიონი, მუნიციპალიტეტი)	დასაკმებულთა რაოდენობის ხვედრითი წილი - %					
		სულ	1	2-3	4-5	6-9	≥10
1	აჭარის ა.რ.	100	5,3	26,8	39,5	27,2	1,2
2	ქ. ბათუმი	100	3,9	24,6	42,9	26,9	1,7
3	ქედა	100	6,4	25,7	37,5	29,4	1,0
4	ქობულეთი	100	6,4	30,0	39,4	23,3	0,9
5	შუახევი	100	8,0	29,3	35,5	26,6	0,6
6	ხელვაჩაური	100	3,8	22,7	41,7	30,6	1,8
7	ხულო	100	4,5	22,6	34,9	31,9	1,1

ამ პროექტში მოყვანილი ციფრობრივი მონაცემები ადასტურებენ, რომ ქვეყანაში აგრარული სექტორის ქმედითუნარიანობის შენარჩუნებაში უდიდესი როლი შეასრულა ოჯახურმა მეურნეობებმა და ეს ფორმა კვლავაც რჩება აგრარული სექტორის განმსაზღვრელ რგოლად. სწორედ, ოჯახური მეურნეობების მიერ იწარმოება ქვეყანაში ხორბალი - 94,0% , ხორცი - 98,0%, კარტოფილი - 99,0%, ხილი - 99,7%. ყურძენი - 91,5%, ციტრუსოვანთა ნაყოფები - 99,9%, ჩაის ფოთოლი - 57,7%, ბოსტნეული - 98,0%, რძე - 99,5%, კვერცხი - 39,0% და ა.შ.

ამავე პროექტით მიჩნეულია, რომ ქვეყანაში „ოჯახური მეურნეობა ტრადიციულად ეკონომიკურ ურთიერთობებში არამხოლოდ ერთ-ერთი მთავარი სუბიექტია, არამედ ეროვნული სოციალურ-ისტორიული ფენომენიც. იგი ყოველთვის სიცოცხლის უნარიანი იყო. ეს დასტურდება ბოლო წლების კრიზისულ სიტუაციებშიც. მცირე მეურნეობები არის რესურსების ყაირათიანად გამოყენების, შემოსავლების ზრდის მოსახლეობისათვის ხელსაყრელი შრომითი რეჟიმის პოტენციალი“.

პროექტში შემოთავაზებული იყო ოჯახური მეურნეობის განვითარების სხვადასხვა შესაძლო მიმართულებები, მათ შორის:

- ოჯახური მეურნეობების კოოპერატივებში გაერთიანება (პრიორიტეტულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავების, რეალიზაციის, ტექნიკური მომსახურების და სხვა კოოპერატივების ჩამოყალიბება და მათში ოჯახური მეურნეობების ინტეგრირება).

- ოჯახურ მეურნეობებსა და მსხვილ სამეურნეო სტრუქტურებს შორის (გადამამუშავებელი, პროდუქციის შენახვის, მომსახურების საწარმოები, ვაჭრობის ორგანიზაციები და ა.შ.) საწარმოო ურთიერთობების ჩამოყალიბება(ინტეგრირება).

ბოლო წლებში მეცნიერთა, ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების ერთობლივი მუშაობით შემუშავებულ იქნა სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს აგრარული სექტორის განვითარების პრიორიტეტებს, სტრუქტურასა და მასშტაბებს, საბაზრო ურთიერთობების პირობების გათვალისწინებით. გარკვეული პოზიტიური შედეგების მიღება დაიწყო, მაგრამ ჯერჯერობით არსებული რესურსების ადეკვატური ეკონომიკური ეფექტი მიღწეული არ არის.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ოჯახური მეურნეობები კვლავაც მთავარი მწარმოებელი სუბიექტებია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის სხვადასხვა სახეობებისა, რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციონირების პრობლემებს სახეზეა სუსტი მხარეების ჭარბობა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით 2018 წლის ნოემბრის მონაცემებით აჭარის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომები“ – 4, 2019

სტატუსი აქვს 86 კოოპერატივს, ხოლო 16 კოოპერატივს ამ ეტაპზე შეჩერებული აქვს სტატუსი. 2013 წლის 12 ივლისს მიღებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონის ამოქმედებიდან, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად ახორციელებენ, როგორც უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, ისე ზოგადად სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშეწყობ პროექტებს, რომლებშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, როგორც ფერმერებს, ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, მათ შორის, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებს. რაც შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში, აღნიშნულია, რომ სამინისტროს მიერ ხორციელდება, როგორც უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერი პროექტები და პროგრამები, ასევე სხვა პროგრამები და ქვეპროგრამები, სადაც ბენეფიციართა შერჩევის ეტაპზე პრიორიტეტი ენიჭება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს.

2013 წლიდან აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად უწყობს ხელს რეგიონში ფერმერებისა და აგრომეწარმეების ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფას. ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე მიწოდებულ იქნა მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები - სათიბელები, სახნავი მოტობლოკები, შემასხურებელი აპარატები, და სხვ. მეთხილეობის დარგის ხელშეწყობის მიზნით ბენეფიციარებზე გადაცემული იქნა თხილის შესაგროვებელი და გამრჩევი აპარატები, ხილისა და ბოსტნეულის ნედლეულის საშრობი დანადგარები, რძის მექანიკური სეპარატორები და კარაქის დამამზადებელი აპარატები, მარცვლეულისა და უხეში საკვების საფქვავე დანადგარები. ბენეფიციარებზე გადაცემულია ასევე მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (თხილი, კაკალი, მოცვი, ვაზი, მანდარინი, ხურმა, კივი და სხვა) ნერგები, კარტოფილის მაღალპროდუქტიული სათესლე მასალა და სასუქები. ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე განაწილდა სასუქები. ბენეფიციარებზე გადაცემულია სასათბურე კონსტრუქციები. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსდა სასათბურე მეურნეობის აგროპარკი. მეფუტკრეობის დარგის ხელშეწყობის მიზნით ცალკეულ მეწარმეებზე გაცემულ იქნა თაფლის საწური დანადგარები და ფუტკრის სკები. აჭარის სამ მუნიციპალიტეტში (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა) დასრულდა მომსახურების (ლოჯისტიკური) ცენტრების მშენებლობა. ამჟამად მიმდინარეობს ხულოსა და შუახევის ლოჯისტიკური ცენტრების მშენებლობა.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს უცხოურ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთა მიზანია რეგიონში ფერმერებისა და აგრომეწარმეების განათლებისა და ცნობიერების ზრდის ხელშეწყობა.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოქმედი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განხორციელებული პროგრამების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილ №5-სა და №6-ში.

ასლან ღვსამი

ცხრილი №5

N	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი	მისამართი	გამგებობის თავმჯდომარე	თბილის მობილური გამრჩევი დანადგარი	მანდარინის ნაყოფის მობილური დამკალიბრებელი დანადგარი	ერთეულის ღირებულება ლარი	
						თბილის გამრჩევი	დამკალიბრებელი
1	ლეღვა	ქუბულეთი სოფ. ლეღვა	სულიკო ანანიძე	1	1	3000	8500
2	ავანგარდი	ქუბულეთი სოფ. ხუცუბანი	თამაზ თხილაიშვილი	1		3000	
3	წონიარისი	ქედა წონიარისი	ანზორ გოგიტიძე	1		3000	
4	ხალა	ქუბულეთი სოფ. ხალა	მალხაზ დიასამიძე		1		8500
5	მასაურა	ხელვაჩაური სოფ. მასაურა	რესან ნაგერვაძე		1		8500
6	ქარნალი	ხელვაჩაური სოფ. ქარნალი	რევაზ მიქელაძე		1		8500
<b>ჯამი</b>				<b>3</b>	<b>4</b>	სულ დანადგარებზე დაიხარჯა <b>43 000 ლარი</b>	

ცხრილი №6

N	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი	მისამართი	ვენახის ნერგი ცალი	აკალის ნერგი ცალი	მოცვის ნერგი ცალი	მინერალური სასუქი			120 ტონა ორგანული სასუქი	შპალერის და ეკალ. მავთული		წვეთოვანი სარწყავი სისტემა კომპ.	ნიადაგის პლანტაჟი დახვნა, დაფარცხვის მომსახურება		სულ ზღვებზე დაიხარჯა ლარი
						NPK – 1600 კგ	N – 2400 კგ	P – 600 კგ		შპალ. კგ	ეკალ. მავთ გრძ/მ		კა	ლარი	
1	გიო	ქუბულეთი სოფ. ხუცუბანი			1650	200	300	300		1200		1	0,5	532	14 465, 95
2	თავადი	ხელვაჩაური სოფ. ხელვაჩაური			1650	200	300	300		1200		1	0,5	528	14 461,95
3	დოვლათი	ქედა სოფ. ზენდიდი	1250			200	250		15	450	1200		0,5	412	6872
4	პირვრლები	ქედა სოფ. პირველი მაისი	1250			200	250		15	450	1200		0,5	406	6866
5	აგროწალკოტი	ქედა სოფ. წონიარისი	1250			200	250		15	450	1200		0,5	430	6890
6	ნენია	შუახევი სოფ. ნენია	1250			200	250		15	450	1200		0,5	426	6886
7	მთიელთა გაერთიანება	შუახევი სოფ. გომარდული		245		150	200		21		1680		0,7	662	4936,8
8	სხალთა 2014	ხულო სოფ. სხალთა		175		100	200		15		1200		0,5	490	3583
9	ხულო	ხულო სოფ. დეკანაშვილები		123		60	150		10,5		840		0,35	436	2601,7
10	თეთრათი	ქედა სოფ. ღორჯომელაძეები		87		50	150		7,5		600		0,25	320	1904,3
11	გაუ	ქედა სოფ. ხიხამირი		70		40	100		6		480		0,2	338	1592,2
<b>ჯამი</b>			<b>5000</b>	<b>700</b>	<b>3300</b>	<b>1600</b>	<b>2400</b>	<b>600</b>	<b>120</b>	<b>1800</b>	<b>12000</b>	<b>2</b>	<b>5</b>	<b>4980</b>	<b>72000</b>

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომები“ – 4, 2019

აჭარის ავტონომიური რეგიონის აკადემიური ცენტრის მიერ მოწოდებული მონაცემები აჭარის ავტონომიური რეგიონის აკადემიური ცენტრის მიერ მოწოდებული მონაცემები აჭარის ავტონომიური რეგიონის აკადემიური ცენტრის მიერ მოწოდებული მონაცემები

ცხრილი №7

1	პროექტის დასახელება	დონორი ორგანიზაცია	ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობის შესახებ
1.	საქართველოს მიუზალ მთიან მხარეში აგრო განვითარების ხელშეწყობა, მესაქონლეობის პროდუქტიულობისა და წარმოების ზრდით	სლოვაკეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და Slovak Aid განმახორციელებელი: Agro Stud Javorie s.r.o.	პროექტი დასრულებულია, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივმა ვეტერინარებმა-ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტებმა გადამზადების კურსი გაიარეს სლოვაკეთის შესაბამის ვეტცენტრებში და მიენიჭათ ინსემინაციის ექსპერტის წოდება. ასევე, პროექტის მონაწილეებს საჩუქრად გადაეცათ გენეტიკური მასალა და ხელსაწყოები, შემდგომი საქმიანობისთვის.
2.	PUM (ჰოლანდიელი უფროსი ექსპერტები)	ჰოლანდიის სამეფო	ჰოლანდიელი ექსპერტები ქართული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. ქართული მხარე ფარავს ექსპერტის საქართველოში ლოჯისტიკის ხარჯებს, დანარჩენი ხარჯი იფარება ჰოლანდიის მხარის მიერ.
3.	პროგრამა MASHAV	ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ისრაელის საელჩო საქართველოში	პროგრამა ითვალისწინებს ისრაელში, შესაბამის ორგანიზაციებში ტრენინგებს -თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაზიარებას აგრო სექტორის სპეციალისტებისთვის.
4.	ცხოველთა ჯანმრთელობის მართვა საქართველოში პროექტის ფაზა- 2	ავსტრიის განვითარების ფონდი (ADA) განმახორციელებელი: აგრობიზნესისა და სოფლად განვითარების ცენტრი (CARD) სომხეთი	პროექტი ითვალისწინებს ვეტ სპეციალისტთა გადამზადებას (თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები), ვეტ კლინიკების გახსნასა და შესაბამისი ხელსაწყოებით აღჭურვას. ასევე, სადემონსტრაციო პროექტების განხორციელებას, ფერმერებთან ერთად.
5.	მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარის ავტონომიური რეგიონის რეგიონალურ რეესპონსივობაში	ევროკავშირი განმახორციელებელი: გაეროს განვითარების პროგრამა	პროექტის მიზნები: სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ცენტრების მომსახურებების გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება; ფერმერებისა და კოოპერატივების გაზრდილი პროდუქტიულობა და კომერციული ეფექტურობა; აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაძლიერება სოფლის მეურნეობის სტრატეგიისა და შესაბამისი პროგრამების შესასრულებლად.
6.	სოფლის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ENPARD -2	ევროკავშირი განმახორციელებელი: გაეროს განვითარების პროგრამა	პროექტის მიზნები: აჭარის ავტონომიური რეესპონსივობის სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მომზადება და მიღება. აჭარის სახელმწიფო უწყებების გაძლიერება, სოფლის განვითარების პოლიტიკის გასატარებლად.
7.	ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის	ევროკავშირი განმახორციელებელი: CENN (კავკასიის გარემოსდაცვითი	პროექტის მიზნები: ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაცია, ქედის მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვა და კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვის

## ასლან ღვსაძე

	ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის	არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი)	ხელშეწყობა, სოფლის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის გზით.
8.	სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში	ევროკავშირი განმახორციელებელი: Caritas Georgia	პროექტის ითვალისწინებს, ხულოს მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და დასაქმების ზრდას, სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციის გზით.
9.	მცირე კავკასიის ალიანსების დასავლეთ საქართველოს პროგრამა	შვეიცარიის თანამშრომლობის განვითარების ოფისი სამხრეთ კავკასიაში განმახორციელებელი: MercyCorps Georgia	პროგრამა ითვალისწინებს ურთიერთთანამშრომლობას მცირე კავკასიის ქვეყნებს შორის ( საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) იმ საერთო ინტერესებზე დაყრდნობით, როგორცაა ვაჭრობა და სასოფლო-სამეურნეო სერვისების და პროდუქტების არეალის გაფართოება მეზობელ სახელმწიფოებში.
10.	საქართველოს სასოფლოსამეურნეო პოლიტიკის ინიციატივა (GAPI)	აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) განმახორციელებელი: USDA (აშშ აგრო დეპარტამენტი)	საპილოტე პროექტი მოიცავდა აჭარაში, ციტრუსის პროგნოზირების მეთოდების შესწავლას.
11.	ა (ა) იმ აჭარის ვეტერინართა რეგიონალური ასოციაცია	USDA (აშშ აგრო დეპარტამენტი)	პროექტი ითვალისწინებს აჭარაში, კერძო ვეტერინარიის განვითარებას. დღეისათვის გაერთიანებულია 58 ვეტერინარი.
12.	რეგიონალური განვითარება საქართველოში, აგრო სექტორის განვითარება მცირე ბიზნესის მხარდაჭერით	ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრო განმახორციელებელი: პროგრამა LEADER	პროექტის ფარგლებში, მეფუტკრე და მესაქონლე ფერმერებს 20% თანადაფინანსებით გადაეცათ წვრილი ტექნიკა, ასევე ჩაუტარდათ ტრენინგები სავლე პირობებში. მ/წ ოქტომბერში პროექტის მონაწილე ფერმერები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ლიტვაში, ლიტვის აგრო გამოცდილების გასაზიარებლად.
13.	სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტი (AMMAR)	IFAD (სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი) და GEF (გლობალური გარემოს დაცვის ფონდი)	პროგრამა მოიცავს პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობას, მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოებასა და მოდერნიზაციას, საერთაშორისო სტანდარტების და ტექნოლოგიების დანერგვას. ასევე, პროგრამა მოიცავს კომპონენტებს როგორც ინდივიდუალური ფერმერების, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თანადაფინანსებას.
14.	REAP (სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი)	USAID (აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო)	USAID მიერ 19.5 მლნ დოლარით დაფინანსებული სასოფლოსამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის 5-წლიანი პროექტის (REAP) მიზანია, საწარმოების განვითარება აგრობიზნესში ინვესტირებისა და მათ მოთხოვნებზე მორგებული კონსულტაციების გაწევის გზით, სოფლად შემოსავლებისა და დასაქმების ზრდა. REAP მუშაობს

			სოფლის მეურნეობის სექტორში კერძო ინვესტიციებისა და კომერციული დაფინანსების გაზრდის, აგრობიზნესის რისკების შემცირების, ფერმერთა სასოფლოსამეურნეო და ტექნიკური უნარების გაძლიერებისა და სერვისების მიწოდების, მწარმოებელ და გადამამუშავებელ საწარმოებს შორის მდგრადი კომერციული კავშირების გაფართოების მიმართულებით.
15.	მეხილეობისა და ვაზის სანერგე კოოპერატივების დახმარება ხულოს მუნიციპალიტეტში, ზემო აჭარაში	ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ჩეხეთის საელჩო საქართველოში განმახორციელებელი: გარემოზე ზრუნვის ასოციაცია „ივანი“	პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: 1)მეხილეობის მიმართულების კოოპერატივებისთვის ერთი ელექტრო და ორი ჰელიო საშრობის, ასევე ერთი ვაკუუმის შესაფუთი აპარატის შექმნა; 2) პროექტში ჩართული დიოკნისისა და დიდაჭარის კოოპერატივების 4 წარმომადგენლის პრაქტიკული ტრენინგები ხილის საშრობ საწარმოში Bio Margi ( ბადდათი) და სომხეთში; 3) კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციისთვის ეტიკეტების მომზადება; 4) ჯიდაურას სანერგე მეურნეობიდან ექსპერტის მოწვევა და ტრენინგები ვაზის ნერგებზე; 5)მოწვეული ექსპერტის კვლევა 3 ადგილობრივ ვაზის ჯიშზე, რომელიც არ არის შეტანილი ქართული ვაზის კოლექციაში; 6) ექსპურსია სხვა კოოპერატივების წევრებისთვის, პროექტის შედეგების გასაზიარებლად.
16.	მოლდოვისა და საქართველოს სოფლებისა და რეგიონების განვითარების მეთოდოლოგიური მხარდაჭერა	ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრო	პროგრამა დამტკიცებულია, რომელიც ითვალისწინებს აკვაკულტურის დარგის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ლატვიის შესაბამის ორგანიზაციებში და ლატვიელი ექსპერტების გამოცდილების დანერგვას აჭარაში. ასევე, აკვაკულტურა როგორც რეგიონალური განვითარების ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მისი სამომავლო განვითარების გეგმაზე ერთობლივი მუშაობა.
17.	პროგრამა TAIEX 1.ექსპერტთა მისია აჭარის ა/რ 2. სასწავლო ვიზიტი ლიეტუვაში	ევროკომისია	პროგრამა ითვალისწინებს მესაქონლეობის, კერძოდ სასაკლაოსა და ხორცის გადამამუშავებელი საწარმოების (წარმოება-გადამამუშავება-ექსპორტი)განვითარებას,ევროსტანდარტების დანერგვის შესახებ სემინარების ჩატარებას შემდეგ თემებზე: ევროკავშირის ბაზრებზე წვდომა, ევროკავშირის პოლიტიკა ფერმიდან მომხმარებლის მაგიდამდე, სასაკლაოების კონტროლისა და მონიტორინგის განვითარების ეფექტური სისტემები. ასევე, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, დაგეგმილია სასწავლო ვიზიტი ლიეტუვაში, გამოცდილების გასაზიარებლად.



## ასლან ღვსაძე

16.	FAO ხელშეწყობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის მიმართ ENPARD – 3 ფარგლებში	ევროკავშირი განმახორციელებელი: FAO (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია)	პროექტის მიზნებია: მცირე ფერმერებისთვის ექსტენციის მომსახურების გაუმჯობესება. ფერმერების, კოოპერატივების, მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ სოფლის მეურნეობის სფეროში ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალურ დონეზე, სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ზრდა.
18.	პროგრამა MASHAV	ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო	პროგრამა ითვალისწინებს ისრაელში, შესაბამის ორგანიზაციებში ტრენინგებს -თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაზიარებას აგრო სექტორის სპეციალისტებისთვის.
19.	საკვალიფიკაციო სემინარები	ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო	პროგრამა ითვალისწინებს აგრო სპეციალისტთა და ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლებას ჩინეთის შესაბამის დაწესებულებებში.
20.	ცხოველთა ჯანმრთელობის მართვა საქართველოში პროექტის ფაზა-2	ავსტრიის განვითარების ფონდი (ADA) განმახორციელებელი: აგრობიზნესისა და სოფლად განვითარების ცენტრი (CARD) სომხეთი	პროექტი ითვალისწინებდა ვეტ სპეციალისტთა გადამზადებას (თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები), ვეტ კლინიკების გახსნასა და შესაბამისი ხელსაწყოებით აღჭურვას.
21.	მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	ევროკავშირი განმახორციელებელი: გაეროს განვითარების პროგრამა	პროექტის მიზნები: სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ცენტრების მომსახურებების გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება; ფერმერებისა და კოოპერატივების გაზრდილი პროდუქტიულობა და კომერციული ეფექტურობა; აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაძლიერება სოფლის მეურნეობის სტრატეგიისა და შესაბამისი პროგრამების შესასრულებლად.
22.	სოფლის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ENPARD -2	ევროკავშირი განმახორციელებელი: გაეროს განვითარების პროგრამა	პროექტის მიზნები: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მომზადება და მიღება. აჭარის სახელმწიფო უწყებების გაძლიერება, სოფლის განვითარების პოლიტიკის გასატარებლად.
23.	ადგილობრივი პოტენციალის ოპტიმიზაცია სოფლის განვითარებისათვის ქედის მუნიციპალიტეტში	ევროკავშირი განმახორციელებელი: CENN (კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი)	პროექტის მიზნები: ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაცია, ქედის მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვა და კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა, სოფლის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის გზით.
24.	სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში	ევროკავშირი განმახორციელებელი: Caritas Georgia	პროექტის ითვალისწინებს, ხულოს მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და დასაქმების ზრდას, სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციის გზით.

25.	მცირე კავკასიის ალიანსების დასავლეთ საქართველოს პროგრამა	შვეიცარიის თანამშრომლობის განვითარების ოფისი სამხრეთ კავკასიაში განმახორციელებელი: MercyCorps Georgia	პროგრამა ითვალისწინებს ურთიერთთანამშრომლობას მცირე კავკასიის ქვეყნებს შორის ( საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) იმ საერთო ინტერესებზე დაყრდნობით, როგორცაა ვაჭრობა და სასოფლო-სამეურნეო სერვისებისა და პროდუქტების არეალის გაფართოება მეზობელ სახელმწიფოებში.
26.	ა (ა) იპ აჭარის ვეტერინართა რეგიონალური ასოციაცია	USDA (აშშ აგრო დეპარტამენტი)	პროექტი ითვალისწინებს აჭარაში, კერძო ვეტერინარიის განვითარებას. დღეისათვის გაერთიანებულია 58 ვეტერინარი.
27.	„აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“ - რომელიც ხორციელდება სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის (AMMAR) ფარგლებში	IFAD(სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი) GEF (გლობალური გარემოს დაცვის ფონდი) და DANIDA (დანის სერთაშორისო განვითარების სააგენტო)	პროგრამა მოიცავს პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობას, მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოებასა და მოდერნიზაციას, საერთაშორისო სტანდარტების და ტექნოლოგიების დანერგვას. ასევე, პროგრამა მოიცავს კომპონენტებს როგორც ინდივიდუალური ფერმერების, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თანადაფინანსებას.
28.	პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმე“	IFAD (სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი) და DANIDA (დანის სერთაშორისო განვითარების სააგენტო)	პროგრამა ითვალისწინებს სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერას. რაც განაპირობებს რეგიონის ეკონომიკურ ზრდასა და კერძო სექტორის გაძლიერებას .ფინანსდება მხოლოდ Startup.
29.	REAP (სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი)	USAID (აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო)	პროექტის (REAP) მიზანია, საწარმოების განვითარება აგრობიზნესში ინვესტირებისა და მათ მოთხოვნებზე მორგებული კონსულტაციების გაწევის გზით, ასევე სოფლად შემოსავლებისა და დასაქმების ზრდა. REAP მუშაობს სოფლის მეურნეობის სექტორში კერძო ინვესტიციებისა და კომერციული დაფინანსების გაზრდის, აგრობიზნესის რისკების შემცირების, ფერმერთა სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური უნარების გაძლიერებისა და სერვისების მიწოდების, მწარმოებელ და გადამამუშავებელ საწარმოებს შორის მდგრადი კომერციული კავშირების გაფართოების მიმართულებით.
30.	ENPARD –3 სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში	ევროკავშირი განმახორციელებელი: გაეროს განვითარების პროგრამა	პროექტის მიზნებია: სოფლის განვითარების პოლიტიკისა და მართვის გაუმჯობესება, სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ყველა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ზრდა, მათ შორის ადგილობრივი თემებისა - სოფლად განვითარების საკითხებში.

სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების, ფერმერული და ოჯახური მეურნეობების განვითარების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან მხარდამჭერი პოლიტიკის გატარების ეფექტურობაზე მიუთითებს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა, სადაც აგრარულ სფეროში სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის დანერგვის მიზნით ინფრასტრუქტურის გაფართოებამ უზრუნველყო განვითარების ექსტენსიური გზის ინტენსიურით შეცვლა. დღეს ამ ქვეყნებში აგრარული სფეროს თითქმის ყველა დარგი დინამიური განვითარების სტაბილური მდგომარეობით ხასიათდება.

ა.შ.შ-ში ფერმერული მეურნეობა „ოჯახური ფერმა“ ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა აგრარულ სფეროში. ისინი სამეწარმეო საქმიანობის მოცულობიდან გამომდინარე რამდენიმე კატეგორიად იყოფა, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის მიხედვით. 250 ათას ა.შ.შ დოლარზე მეტი შემოსავლით წელიწადში ქვეყანაში 160 ათასზე მეტი სუბიექტია. მათი ხვედრითი წილი 8%-ია მეურნეობათა საერთო რაოდენობაში. მათ მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხვედრითი წილი 80%-ს აჭარბებს. ამ კატეგორიის სუბიექტებს „ოქროს ფონდი“ - სახელით მოიხსენიებენ - მცირე ფერმები (ფერმერები) ქვეყნის განსაკუთრებული „ოქროს განძია“, რომლებიც აქტიურადაა ჩაბმული ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრაში, პროდუქციის ექსპორტის გაფართოებაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კოოპერაციის განვითარებას სოფლის მეურნეობაში. მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მრავალი ფორმები, რომელთაც წარმოების მთლიან მოცულობაში უდიდესი ხვედრითი წილი გააჩნიათ. მნიშვნელოვანია სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობითი და სტრუქტურული მაჩვენებლები მცირე ზომის ფერმერულ მეურნეობებში, რომელთა 98% ოჯახური საწარმოებია. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოქცეულია პენსიონერთა საკარმიდამო მეურნეობებიც, რომლების მიწებს იჯარით გასცემენ. რაციონალური სახელმწიფო სტრატეგიის შედეგად მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტით გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, მაღალია წარმოების კონკურენტუნარიანობა და შემოსავლები. კანადაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფართო სპექტრია, რომლებიც ძირითადად უზრუნველყოფენ თავიანთი მეპაიე ფერმერების პროდუქციის რეალიზაციას, ქვეყანაში ხორციელდება სტაბილურად განვითარებადი მხარდამჭერი პოლიტიკა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და სხვა მეწარმე სუბიექტების მიმართ. პოლონეთში აგრარულ სფეროში მეწარმე სუბიექტების საერთო რაოდენობაში უდიდესი ხვედრითი წილი გააჩნია პირად (ოჯახურ) მეურნეობებს. სულ ქვეყანაში 2681,5 ათასი ასეთი მეურნეობაა. რომელთაგან 774,5 ათასს გააჩნია მიწის ნაკვეთი 0,5-2,0 ჰექტარი, 742 ათასს 2,5 ჰექტარი, 685 ათასს - 5 ჰექტარამდე, 479,9 ათასს - 10 ჰექტარი, 50 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობით მეურნეობები 1300-ზე მეტია. ბელგიაში 80 ათასამდე მეურნეობაა, საშუალო ზომად ითვლება 20-25 ჰექტარი მიწის ფართობით. ნაკლებადაა ფერმა 300 ჰექტარამდე ფართობით. კოოპერირების ფორმები მრავალგვარია. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენისას ფერმერი უხდის გადასახადს კოოპერატივს. დანიაში ყველა ფერმერი კოოპერატივის წევრია, კოოპერატივი თავის წევრებს ეხმარება ნედლეულის წარმოებაში, გადამამუშავებაში, რეალიზაციაში და საჭირო რესურსების შეძენაში. დიდ ბრიტანეთში ფერმერთა 70%-ზე მეტი კოოპერატივების წევრებია, მნიშვნელოვანია ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება კოოპერატიული გაერთიანებების განვითარებაში.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრარული სფეროს განვითარებისათვის აუცილებლად უნდა ჩაითვალოს სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების, ფერმერული და ოჯახური მეურნეობების რეალურ გარემოებებზე დაფუძნებული ჩამოყალიბება და ფუნქციონირების სისტემის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება თვითგანვითარების პრინციპების გამოყენებაზე, აქტიური სახელმწიფო მხარდაჭერის პირობებში.

## SOME DATA ABOUT THE AGRARIAN SECTOR OF ADJARA

ASLAN DEVADZE

### SUMMARY

Dynamic and structure of agrarian sector development are changed by influence of market economic relations. New model is become the basis of organization of producing, recycling, storage and realization of agricultural products of raw materials. The ratio has changed between scale of various form of farming and legal status. Family and farming farms, agricultural cooperatives are gradually development by various entrepreneurial profiles.

Scientific and statistic researches show that there are some problems in agrarian sector development in Adjara autonomic republic. To solve the problems is one of the most important and top priority tasks, and it is all connected with the balanced development of family, farming and cooperative farms and with reveal real potential. The material in this article confirms that family farms are dominated in agricultural farming in all branches of agribusiness. Agricultural cooperatives and farming industries are few; their production volumes indicators and material-technical base and financial resources are weak.

As a result of state support policy, positive results are visible, but it is not enough to get the desired results.

### ლიტერატურა:

1. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2014 წელი;
2. ასლან დევადე, „აჭარის რეგიონში აგრარული სფეროს განვითარების არსებული მდგომარეობით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემები“. ბათუმი, 2018 წელი, შრომები, III ISSN 2449-2507;
3. გურამ პაპუნძე, ასლან დევადე, სოფიო პაპუნძე, ნინო სედიშვილი. „მეცატრუსეობის და მეჩაიეობის დარგების განვითარება აჭარის რეგიონებისათვის პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს“, ბათუმი, 2018 წელი, შრომები, III ISSN 2449-2507;
4. ბსუ აგრარული და მემზრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის 2018 წელს შესრულებული სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ანგარიში. ბათუმი, 2019 წელი;
5. ასლან დევადე, „აგრარული სფეროს განვითარების დონე წარსულში და დღევანდელი სტრატეგია აჭარის რეგიონში“. ბათუმი, 2017 წელი, შრომები II ISSN 2449-2507
6. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ოფიციალური მასალები, წერილი №03/13 04.01.2019 წელი.

## ისტორია

### 1905-1907 წლების რევოლუცია გურიაში

#### ოთარ გოგოლიშვილი

რუსეთის იმპერიის ისტორიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია 1905-1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. რადგანაც საქართველო იმ დროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა, ამდენად ჩვენი ქვეყანა უდიდესი მონდომებით ჩაება ამ რევოლუციაში. საქართველომ (რომელიც იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახით) ამ რევოლუციას დაუკავშირა მისი მომავალი, კერძოდ, ჩვენს ქვეყანას მიეცა იმედი ავტონომიის მოპოვებისა იმპერიის შემადგენლობაში. ეს იქნებოდა პირველი ნაბიჯი სრული დამოუკიდებლობისაკენ. ამ რევოლუციამ გააძლიერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. დღის წესრიგში დადგა ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის. ამ რევოლუციამ სამოღვაწეო ასპარეზზე მთელი არსებით გამოიყვანა პოლიტიკური პარტიები თავიანთი სამოქმედო პროგრამებით, მიზნებითა და ტაქტიკით. აქ გამოჩნდა, თუ არა მიზანს ისახავდა თითოეული პოლიტიკური ორგანიზაცია. კერძოდ, სოციალ-დემოკრატების მენშევიკური ფრთა, რომელიც უძლიერესი იყო პარტიებს შორის და უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ხალხის ფართო მასებში, იბრძოდა მოსახლეობის სოციალური თავისუფლებისათვის. სამწუხაროდ, ეროვნული საკითხისადმი ნაპილისტური დამოკიდებულება ამ რევოლუციის დროსაც სრულად წარმოჩნდა. ბოლშევიკები, რომლებიც მცირერიცხოვანნი იყვნენ იმ დროს, უპირისპირდებოდნენ ყოველგვარ ეროვნულობას და გამთიშველ როლს ასრულებდნენ, სოციალისტ-ფედერალისტები კი, სოციალურ საკითხებთან ერთად ისწრაფოდნენ ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის, რაც შეეხება სოციალ-რევოლუციონერებს და ანარქისტებს, ისინიც ძირითადად სოციალურ-დემოკრატიულ მომართულებას მოჰყვებოდნენ. ამ რევოლუციამ გამოაღვიძა დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც მანამდე მიძინებული იყო და სულს დაფავდა. ქართველი ინტელიგენცია, ხელში მაღლააწეული ეროვნული დროშით, იბრძოდა ქართველი ერის თავისუფლებისათვის და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. მათმა მჭექარე ხმამ “შეანგრია კაცთმოძულე რუსული იმპერიალიზმის საშინელი შენობის კედლები” და საგონებელში ჩააგდო „ყველა ქართველთა მოძულე“ კავკასიის მეფისნაცვალი და მისი სისხლისმსმელი სატრაპები.

საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად 1905-1907 წლების რევოლუცია მძლავრად განვითარდა გურიაში.

გურიის გლეხობის მდგომარეობა განსაკუთრებული სიღატაკით ხასიათდებოდა. გურიის გლეხობა მიწის დიდ ნაკლებობას განიცდიდა. მაგალითად, თბილისის ოლქში სახმარი მიწების საერთო ფონდიდან თითოეულ სულზე მოდიოდა 0,44, ქუთაისის ოლქში - 0,39, სოხუმის ოლქში - 0,64, დესტინა, ხოლო ბათუმის ოლქსა და გურიაში ბევრად უფრო ნაკლები. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლამ აქ უფრო მწვავე და ღრმა ხასიათი მიიღო, ვიდრე ამიერკავკასიის სხვა გლეხური დასახლების რაიონებში. საქართველოს, კერძოდ, გურიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყო ამ მხარეში რევოლუციურად მებრძოლი ორგანიზაციების წარმოშობას, რომლებმაც

დიდი მნიშვნელობის ბრძოლები გამართეს რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ. ასეთი ბრძოლები განსაკუთრებული დამაბულობით გამოირჩეოდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. მასებში რევოლუციური აქტივობის ზრდას ხელი შეუწყო ყოფილი გურული მუშების აქტიურობამ, რომელთაც უკვე გამოვლილი ჰქონდათ რევოლუციური ბრძოლების დიდი გზა ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებში მუშაობისას.

უნდა ითქვას, რომ შავი ზღვის პირას ნავსადგურებისა და სამრეწველო საწარმოთა წარმოშობა-განვითარებამ და მუშახელზე დიდმა მოთხოვნამ მიიზიდა გურიის გლეხთა ნაწილი, ჩააბა ისინი მუშათა კლასის რიგებში. “ნაწილი გლეხობისა აუტანელი პირობების გამო ქალაქებში გარბოდა ლუკმაპურის საშოვნელად. ამ ძიებაში ისინი პოლიტიკურ წრთობას ღებულობდნენ.” ბათუმში, ფოთში, ადლერში, სოჭში, ბაქოში და სხვა ქალაქებში მომუშავე ბევრი გურული გლეხი აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ წრეებში. ისინი აქ შეთვსებულ რევოლუციურ იდეებს ავრცელებდნენ სოფლად, რაც ნაყოფიერ გავლენას ახდენდა გურიაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ზრდაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბათუმის, ფოთისა და სხვა ქალაქების სამრეწველო ცენტრების ფაბრიკა-ქარხნების მუშახელის აბსოლუტურ უმრავლესობას გურულები წარმოადგენდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბათუმის როტმილდის ქარხანა და ნავსადგური, ხოლო ფოთის ნავსადგურში მტვირთავებად გურული მუშები დომინირებდნენ. 1900-1901 წლებში ბათუმში მომხდარ ანტისამთავრობო გამოსვლებში სწორედ ისინი აქტიურობდნენ. ამ ამბებით აღშფოთებული ბათუმის ოკრუგის უფროსი ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ: “როტმილდის ქარხანაში უმრავლესობას გურიიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან წამოსული გლეხები შეადგენდნენ. ამათ შორის გურულები გამოირჩევიან შეუპოვრობით და მთავრობისადმი დაუმორჩილებლობით. დანაშაულებრივ კომიტეტში (იგულისხმება სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი – ო. გ) გაერთიანებულთა უმრავლესობას სწორედ ისინი წარმოადგენდნენ.... როტმილდის ქარხანაში მოწყობილი ყველა ანტისახელისუფლო გამოსვლებში წამყვან როლს გურული აგიტატორები ასრულებენ და, რაც ყველაზე უფრო სახიფათოა, გურულები ხშირად დადიან ბათუმის ოლქის მაჰმადიანებით დასახლებულ სოფლებში და მათთან ეწევიან ანტისამთავრობო აგიტაციას და სურთ მათი აყოლიება. ჩვენდა სამწუხაროდ, მაჰმადიანების ერთი ნაწილი თანაგრძნობით იკიდება მათ აგიტაციას,...ამიტომ სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია სახიფათო გურული ელემენტების თავიდან მოშორება.” აღშფოთებულ ბათუმის ოკრუგის უფროსს გურული მუშების გასახლებით სურს სახელმწიფოს გადარჩენა. თურმე, იმპერიის დასაწყნარებლად გურულების გასახლება ყოფილიყო საჭირო. ასევე, აღსანიშნავია ფოთის პოლიცემისტერის, ჩვენის აზრით, უაღრესად შოვინისტური და სახეფათო წერილი ქუთაისის გუბერნატორისადმი, სადაც პოლიცემისტერი ადანაშაულებს გურულებს მეგრელების “ბუნტოვშიკად” გახდომაში, რომ თურმე მეგრელები არაქართული ელემენტები ყოფილან, რადგან ისინი არ ლაპარაკობენ ქართულად. ეს გურულები კი, მათ აიძულებენ როგორც ქართულად ლაპარაკს, ასევე მონაწილეობის მიღებას ანტისამთავრობო გამოსვლებში, რომელიც ფოთში 1901-1902 წლებში რამდენჯერმე მომხდარა.

გურიიდან გამოსული მოსახლეობის სიძულვილითაა შედგენილი ბათუმის მოსახლეობის აღწერა. 1903 წელს, როდესაც შოვინისტმა აღმწერებმა გურულები, მეგრელები, იმერლები ცალკე ხალხად გამოიყვანა და პროცენტული რაოდენობა მიუთითა, ამით აღშფოთებული

ბათუმის თვითმმართველობის წევრი გრიგოლ ვოლსკი 1903 წლის მაისში ქალაქის თვითმმართველობის სხდომაზე უკმაყოფილებას ვერ მალავდა და უგუნურებაში ადანაშაულებდა შოვინისტ ადმწერებს, რომლებიც ვერ ერკვეოდნენ საქართველოს ისტორიაში, ხელოვნურად თიშავდნენ ქართველებს და ამით აპირისპირებდნენ ერთმანეთს. იმავე სხდომაზე ქალაქის თვითმმართველობის მდივანი ივანე მესხი თხოვდა ქალაქის თავს ივანე ანდრონიკაშვილს, რომ მას მკაცრად გაეპროტესტებინა ეს მზაკვრული, შოვინისტური „ემშაკობა“ კავკასიის მეფისნაცვალთან.

ბათუმის ოლქის, ფოთის მშრომელთა გამოსვლებში დიდი წვლილი შეიტანა რევოლუციურმა ლიტერატურამ, რომელიც იქიდან დიდი რაოდენობით შედიოდა გურიის სოფლებში. რევოლუციური ლიტერატურის შინაარსს აგიტატორები უყვებოდნენ მოსახლეობას და მოუწოდებდნენ მათ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ყველა პიროვნება უარყოფითად როდი იყო განწყობილი გურიის მოსახლეობისადმი. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც დადებითად ახსენებდა გურულებს, იყო როტმილდის ქარხნის დირექტორი ფრანგი გიონი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქარხანას გაფიცებმა დიდი პრობლემები შეუქმნა. როდესაც ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორმა მოსთხოვა გიონს შეემცი-რებინა გურულების რაოდენობა, მან გუბერნატორს უპასუხა, რომ გურულები მაღალკვალიფიციური მუშები არიანო. იოსებ სტალინი, რომელიც ბათუმში 1901 წლის გვიან შემოდგომაზე ჩამოვიდა სამოღვაწეოდ, თბილისის პარტიული ამხანაგისადმი გაგზავნილ წერილში 1902 წლის თებერვალში აღნიშნავდა, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული მუშათა წრეების აბსოლუტურ უმრავლესობას გურულები წარმოადგენდნენ. ეს არცაა გასაკვირი; სტალინის აზრით, გურულები რევოლუციურად განწყობილი ხალხია და მათზე დაყრდნობა ნამდვილად შეიძლებაო [სიხარულიძე, 1955:15].

იმ დროს განსაკუთრებით გაძლიერდა ე.წ. ყაჩაღად გავარდნა, ანუ ფირალობა, რომელიც მთელი სიძლიერით სწორედ გურიაში წარმოჩნდა. ფირალობა იყო მთავრობისადმი უკმაყოფილო ხალხის პროტესტის გამოვლინება, ამასთანავე, ამ სოციალურ მოვლენაში დიდი წვლილი შეიტანა რევოლუციურმა ლიტერატურამ. მაგალითად, 1901 წლის ზაფხულში აგიტატორების მგზნებარე აგიტაციის შედეგად 15 ახალგაზრდა ტყეში გავარდა ფირალად. ფირალობით აღშფოთებული ოზურგეთის მაზრის უფროსი 1902 წლის იანვარში აცნობებდა ქუთაისის გუბერნატორს, რომ ფირალობამ ლამის წალეკოს მთელი გურიაო. თანაც ამ “დანაშაულებრივ ელემენტებს” სოფლის მოსახლეობა მახარს უჭერს, ჩინოვნიკებს შიშით “გული უსკდებათ”, ღამე კი, მათთვის ნამდვილად საშინელი კომმარიაო. შემდეგ მაზრის უფროსი განაგრძობს, რომ ხშირია თავდასხმები სოფლის ადმინისტრაციაზე, პოლიციელებზე, ჯარის ნაწილებზე, შეძლებულ გლეხებზე. მაზრის უფროსი სთხოვს გუბერნატორს დაახმაროს ჯარის ნაწილები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გურიაში ფირალები გახდებიან მდგომარეობის ნამდვილი ბატონ-პატრონო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფირალებად მართო რევოლუციურად განწყობილი ხალხი არ გარბოდა, ხშირი იყო დამნაშავე, ბანდიტი ელემენტების გაყაჩაღებაც. სწორედ ისინი გამოირჩეოდნენ სისასტიკითა და დაუნდობლობით. ისინი უბრალო მშრომელ მოსახლეობასაც აწიოკებდნენ. მაგალითად, ცნობილი იყო ყაჩაღი დავით ცენტერაძე, რომელიც ციმბირში იყო გადასახლებული მკვლელობისათვის. 1900 წელს ის ციმბირიდან გამოიქცა, გაყაჩაღდა და მთელი ორი წლის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა ოზურგეთის მაზრის მოსახლეობას. 1902 წლის აგვისტოში ყაჩაღი ცენტერაძე მიკლეს სოფელ ნიგოთითან და მისი გვამი ტყეში დააგდეს ნადირთა შესაჭმელად.

უაღრესად საყურადღებოა თავად მაჭუტაძის საპროტესტო წერილი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისადმი, რომელშიც თავადი აღშფოთებით აღნიშნავდა, რომ გურიაში ყაჩაღობამ ლამის დამანგრეველი ხასიათი შეიძინოს. შეშინებული გლეხები ვერ ბედავენ მიწის დამუშავებას, რადგან საღამოს მათ გაუგზავნიან ქალაქს, რომელზედაც თოხი, ხანჯალი და კუბოა გამოსახული. რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ ის გლეხი კვლავ გააგრძელებს მუშაობას, მას აუცილებლად მოკლავენ. ასეთივე ხანჯლისა და კუბოს გამოსახულებიანი ქალაქი მან რამდენიმეჯერ მიიღო, თანაც თავადი გააფრთხილეს, რომ „ტყეში გავარდნილი რევოლუციონერებისათვის“ (ასე უწოდებდა ზოგიერთი ფირალი საკუთარ თავს - ო.გ.) გარკვეული რაოდენობის თანხა და ამასთანავე იარაღიც გაეგზავნა, თორემ მასაც ბოლოს მოუღებდნენ. წერილში იყო თხოვნა, რომ მთავრობას რაიმე ღონისძიება განეხორციელებინა”.

გურიის თავადობა, აგრეთვე, ოზურგეთის მაზრის უფროსისაგან მოითხოვდა გადამჭრელი ზომების მიღებას ამ, მათთვის დამლუპველი “სენის” - ფირალობის აღსაკვეთად, მაგრამ ეს მოვლენა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მისი აღმოფხვრა ვერ მოხერხდა [ხუციშვილი, 1955:20].

1903 წელს დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ბევრი მუშა სამუშაოს გარეშე დატოვა. უმუშევრები მონაწილეობას ღებულობდნენ ანტისახელისუფლებო გამოსვლებში და პრობლემებს უჩენდნენ მთავრობას. ბათუმის ოლქის ხელისუფლებამ ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორისაგან მოითხოვა ჯარის გაგზავნა უმუშევრების ოლქიდან გასასახლებლად, რადგან ადგილობრივი ძალები საკმარისი არ იყო. 1903 წლის 27 იანვარს ბათუმში შემოვიდა კაზაკთა შენაერთები, რომლებმაც პოლიციასთან ერთად დაიწყეს “ბუნტში მონაწილე მუშების დაპატიმრება და ქალაქიდან გასახლება”. განსაკუთრებული იერიში მიიტანეს 1902 წლის 9 მარტის ცნობილი დემონსტრაციის მონაწილეებზე, რადგან, როგორც ბათუმის ოკრუგის უფროსი აღნიშნავდა: “ამ დემონსტრაციის მონაწილე მუშათა დიდი ნაწილი გურულები იყო. აგრეთვე, მოკლულთა შორის სწორედ ისინი ჭარბობდნენ”. 1903 წლის მარტის ბოლოსათვის ბათუმიდან გასახლეს 400 კაცი. გასახლებულებიდან ბევრი თავიანთ სოფლებს დაუბრუნდა, ბევრი კი რუსეთში წავიდა. ამან კიდევ უფრო გააქტიურა რევოლუციური მოძრაობა გურიის სოფლებში, რომელმაც დიდი თავსატეხი გაუჩინა ხელისუფლებას. ქალაქიდან გასახლებული მუშები გლეხობაში ეწეოდნენ დიდ რევოლუციურ მუშაობას, აქეზებდნენ მათ ხელისუფლების წინააღმდეგ, გლეხებს აიძულებდნენ ბოიკოტი გამოეცხადებინათ მემამულეებისათვის და არ დაემუშავებინათ მათი მიწები. ისინი გლეხებს უხსნიდნენ მათი ჩაგვრის მიზეზებს, აცნობდნენ საერთო მტრის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებსა და მეთოდებს.

ამ დროს გურიაში დაწყებული აგრარული მოძრაობის ნიადაგზე სიციალ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდამ საკმაოდ ფართო გასაქანი ჰპოვა საქართველოში.

1903 წლის მაისში გურიის მთელ რიგ სოფლებში ადგილი ჰქონდა გლეხების შეტაკებებს ერთის მხრივ მემამულეებთან, მეორეს მხრივ, კი ჟანდარმებთან. გლეხთა გამოსვლებმა მოიცვა მთელი გურია. დამლამობით იკრიბებოდნენ და ცისქვეშ ატარებდნენ დიდ კრებებს, სადაც იხილავდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებს. კერძოდ, კრებებზე გამოჰქონდათ დადგენილებანი ღალისა და საიჯარო ფასის შემცირების, საძოვრებზე და ტყეზე გადასახადების მოსპობის შესახებ. გლეხები მოითხოვდნენ აგრეთვე საეკლესიო გადასახადების მოსპობასაც.

გლეხთა მოთხოვნები მემამულეებმა და სამღვდლოებამ იუცხოვეს, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ გლეხები არ ხუმრობდნენ და თანხმობა განაცხადეს გლეხთა მოთხოვნებზე. ამის შესახებ ოზურგეთის მაზრის უფროსი აცნობებდა ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორს,



რომ: “ჩვენ იძულებული გავხდით გლეხთა ზოგიერთი მოთხოვნა დაგვეკმაყოფილებინა. საჭიროა დროის მოგება, თორემ გლეხები უკვე დაუმორჩილებელნი არიან. ვფიქრობ, მდგომარეობა რომ არ გამოვიდეს კონტროლოდან, საჭიროა ეგზეკუციების ჩაყენება სოფლებში, ხალხის დაშინება. ამასვე მოითხოვს გურიის თავადაზნაურობა და სამღვდელეობა.

დაშინებული თავადაზნაურობაც ამოქმედდა. თავადი დავით გურიელი რამდენჯერმე იყო ქუთაისის გუბერნატორთან და სთხოვდა მას ეგზეკუციების შემოყვანას გურიაში, მაგრამ ეს ვიზიტები არ დარჩენილა სოციალ-დემოკრატების მხედველობის მიღმა. 1903 წლის მარტში ოზურგეთში შედგა სოციალ-დემოკრატების საიდუმლო კრება, რომელსაც ესწრებოდა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრებიც. ამ სხდომაზე გადაწყვიტეს, მთელი ძალით აემოქმედებინათ ტერორი და ამ საქმეში გამოეყენებინათ როგორც ფირალები, ასევე მოსახლეობაც. აქვე მიიღეს გადაწყვეტილება გრიგოლ გურიელის ლიკვიდაციის შესახებაც. ასევე, კომიტეტის სხდომამ დაადგინა, რომ “გაესაღებინათ თავადაზნაურთა უმრავლესობა”, რათა შიში და პანიკა დაეთესად ხელისუფლებაში. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდა კომიტეტის წევრი გიორგი გოგოლაძე, რომელმაც გააფრთხილა სხდომის მონაწილენი, რომ შესაძლებელი იქნებოდა ხელისუფლებას მკაცრი ზომები მიეღო და მოსახლეობა აეწიოკებინა (რაც მართლაც მოხდა შემდეგში). უმრავლესობის გადაწყვეტილება „ურყევი“ იყო.

1903 წლის გაზაფხულზე გრიგოლ გურიელი კვლავ ქუთაისში წავიდა. იქ რამდენიმე დღეს დარჩა. კომიტეტმა მას ჯაშუშები მიუგზავნა, რომლებიც მის ყოველ ფეხის ნაბიჯს უთვალ-თვალედნენ. უკან დაბრუნებისას ის სუფსასთან რამდენიმე გასროლით მოკლეს. რამდენიმე დღის შემდეგ მოკლეს აგრეთვე მაჭუტაძე, ქ. ნაკაშიძე. ამ უკანასკნელის ჯერ სახლი გადაწვეს, შემდეგ კი თვითონ მოკლეს, ხოლო ერთ-ერთი მათგანი, ვახტანგ ქარცივაძე, რომელსაც ჯაშუშობა დააბრალეს, სოფელ ჩოჩხათთან გამოასალმეს სიცოცხლეს [1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში, 1955:44-47].

ასეთმა მოქმედებებმა, რომელთაც თან დაერთო გლეხთა მასობრივი გამოსვლები, ისე დააშინა ხელისუფლება, რომ თვითონ ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორი სმაგინი გაემგზავრა გურიაში. მან ჯარის ნაწილებთან ერთად შემოიარა გურიის სოფლები, რათა “თვითონ გაეგო, რა სურდა ამ “ბუნტოვშიკ” ხალხს, რომლებმაც აიყოლეს მთელი ბათუმის ოლქი და ფოთი”. განსაკუთრებით ამაღელვებელი გამოდგა გუბერნატორის შეხვედრა სოფელ ხიდისთავში, ჩოჩხათში, მიქელ-გაბრიელში (დღევანდელი სოფელი შრომა, ოზურგეთის რაიონი).

რაც შეეხება სოფელ ხიდისთავს, აქ სოფლის საზოგადოებამ, რომელიც განთქმული იყო მთელ ქუთაისის გუბერნიაში და რომელსაც ხელმძღვანელობდა სოფლის მამასახლისი, უაღრესად ნიჭიერი და განათლებული ადამიანი ერეკლე კალანდაძე, გუბერნატორს გადაუშალა ის მდგომარეობა, რომელიც გურიაში იყო შექმნილი, აღუწერა გლეხთა გასაჭირი და წარუდგინა მოთხოვნები სუფთა რუსულით.

გუბერნატორი დაინტერესდა ამ პიროვნებით და გაიგო, რომ ერეკლე კალანდაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელს გურიაში. მას ერთნაირად პატივს სცემდნენ როგორც სოციალ-დემოკრატები, ასევე თავადაზნაურები, მაზრის რუსული ადმინისტრაცია და გლეხები. ის იყო უაღრესად სამართლიანი კაცი. ყველა მასთან მიდიოდა ჭკუის საკითხავად, ეხმარებოდა ყველა გაჭირვებულს. თანაც, ერეკლე კალანდაძე 1898 წელს სხვებთან ერთად ნამყოფი ყოფილა

პეტერბურგში და იმპერატორის ადმინისტრაციის ჩინოვნიკებთან ჰქონია საუბარი. გუბერნატორმა მოისმინა ეს მოთხოვნები და ხალხს მიმართა, რომ მოსახლეობამ უნდა გადახადოს აუცილებელი სახელმწიფო გადასახადები: “ხოლო იმ გადასახადებს, რომელიც თქვენ ზედმეტად მიგაჩნიათ, შეიძლება, თუ ამას ჩათვლის მაზრის ხელმძღვანელობა საჭიროდ, არ გადაიხადოთ”. შემდეგ ის მიუბრუნდა ერეკლე კალანდაძეს და უთხრა, რომ ის მოხიბლულია მისით და წუხს, რომ აქამდე ამ ჭკვიან კაცთან მას შეხვედრა არ ჰქონიაო. ერეკლემ გუბერნატორს აუხსნა, რომ აუცილებლად უნდა გაუქმდეს გადასახადები სამოვრებზე და ტყით სარგებლობაზე, რადგან ამის გარეშე ძნელია აქაური გეხკაცის არსებობა.

ამ შეხვედრაზე გუბერნატორს წარუდგა ხიდისთაველი ალისტრახო კალანდაძე, რომელმაც საუბრისას მოიყვანა ციტატები წიგნიდან “ორი ევროპა” და გუბერნატორს უთხრა, რომ ის იმყოფება ისეთ საზოგადოებაში, რომლის წევრებმა მეტი იციან, ვიდრე ზოგიერთმა რეგენმა სამაზრო ჩინოვნიკმაო. ამით ისე გაკვირვებულა გუბერნატორის თანმხლები პირი ვინმე ჩუგაინოვი, კიდევ აღუნიშნავს, რომ „ამ ბროშურის შესახებ არა თუ ამ მივარდნილ სოფელში, შეიძლება ქალაქებშიც არაფერი არ იცოდნენო” და გაცემა გამოუხატავს აქაური გლეხების განსწავლულობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ გუბერნატორს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და მოსთხოვეს, თუ არ გამოასწორებდა მდგომარეობას, ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდებოდა, მან ისიც აღნიშნა: “აქაური გლეხები განათლებულები ყოფილანო” [საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 123, აღწ.12, საქმე 98, ფურც.12].

სოფელ ჩოხჩახში კი, რომ იტყვიან, “გუბერნატორი ნემსის ყუნწში გააძვრინეს”, თანაც შეურაცხყოფა მოიყენეს. გლეხი, ვინმე გოგუაძე, რომელმაც ეს გააკეთა გაროზგეს. ხალხის აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ გუბერნატორმა სასწრაფოდ დატოვა სოფელი. ასეთივე მღელვარე გამოდგა გუბერნატორის შეხვედრა სოფელ მიქელ-გაბრიელის გლეხობასთან. აქ მას წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნები: 1) გაუქმდეს არსებული საიჯარო პირობები და სახნავი მიწებიდან მემამულეებს ეძლეოდეს მოსავლის მეათედი ან მერვედი; 2) გაუქმდეს გადასახადი სამოვარზე; 3) გაუქმდეს საეკლესიო გადასახადი; 4) კანონის წინაშე ყველა თანასწორი იყოს.

მიქელ-გაბრიელის შეხვედრაზე გლეხმა ხომერიკმა აღნიშნა, რომ ასეთივე დიდი მღელვარება ადრეც იყო და მას ბატონყმობის გადავარდნა მოჰყვაო. ახლა რაიმე სასიკეთო მოვლენა მოხდება და ამას ალბათ ხალხი მალე დაინახავსო.

ჩოხატაურში შეხვედრის დროს გუბერნატორს გადასცეს ქალაქი, რომელზედაც გამოსახული იყო ხანჯალი და კუბო (გუბერნატორს გაახსენდა თავად მაჭუტაძის წერილი, რომელშიც თავადი აღნიშნავდა, რომ ასეთ ქალაქებს ვისაც გაუგზავნიდნენ, მას აუცილებლად მოკლავდნენო). მან მოსახლეობას დაწყნარებისაკენ მოუწოდა და თვითონ სასწრაფოდ დატოვა იქაურობა.

გურიაში მოგზაურობის შემდეგ გუბერნატორმა სმაგინმა წერილი გააგზავნა კავკასიის მთავარმართებელის სახელზე, რომელშიც დაწვრილებით აღწერა გურიაში შექმნილი მდგომარეობა, ისაუბრა ფირალებზე, რომლებიც აშინებდნენ მოსახლეობას და უგზავნიდნენ ქალაქებს ხანჯლისა და კუბოს გამოსახულებით, რაც სიკვდილს ნიშნავდა. ასეთი ქალაქი მასაც გაუგზავნეს ჩოხატაურში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს. გუბერნატორი ამბობდა, რომ მოსახლეობის “გონების დაბნელებაში” დიდი წვლილი შეიტანა რევოლუციურმა ე.წ. მარქსისტულმა აგიტაციამ, რომელიც საშინლად მოედო მთელ კუთხეს და მასობრივად აიყოლა მოსახლეობა: “საინტერესოა ის, რომ, განაგრძობს გუბერნატორი, გურიის მოსახლეობა ნაკლებად მორწმუნენი არიან და ესეც მარქსისტების ბრალია. ეკლესიაში ისინი ქუდით შედიან და

პაპიროსსაც ეწევიან. ერთი ასეთი აღმამფოთებელი ამბავი მოხდა. ერთ ეკლესიაში მარქსისტებმა ღმერთის გამოსახულების მაგივრად მოინდომეს მარქსის სურათის დაკიდება, მაგრამ იმის გამო, რომ ის ებრაელი იყო, მოხუცებმა წინააღმდეგობა გაუწიეს”.

ბოლოს გამოითქვამოსაზრება იმის შესახებ, რომ აუცილებელია სამხედრო წესების გამოძახება. გუბერნატორი იმასაც აღნიშნავდა ამ წერილში, რომ გურიის მოსახლეობა უფრო განვითარებული და ნასწავლია, ვიდრე ქუთაისის გუბერნიის სხვა კუთხეების მოსახლეობა, ხოლო რაც შეეხება ბათუმსა და მის ოლქს, აქაც ძლიერია გურულების გავლენა და მასებზე ზემოქმედება”.

გურიაში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ აიძულა კავკასიის მთავარმართველები 1903 წლის 6 აგვისტოს გურიაში გამოეცხადებინა სამხედრო მდგომარეობა. 12 აგვისტოსათვის გურიაში მთელი პოლკი შევიდა და ყველა სოფლის საზოგადოებაში ჩადგა ეგზეკუცია. ეს კი საწინააღმდეგო მოვლენა მოხდა, ახლა აზნაურებმა და თავადებმა “აიშვეს”, დააპატიმრეს ყველა, ვისზეც კი ისინი მიუთითებდნენ. ჯაშუშობამ ფართო გასაქანი მიიღო. დაპატიმრებული 300 კაცი ფეხით გარეკეს ბათუმისა და ქუთაისის ცეხეებისაკენ. ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურთან მოხდა შეტაკება. ჯარისკაცების მიერ დაპატიმრებულებს, სულ 30 კაცი, სოფლის დასაწყისში დახვდა შეიარაღებული გლეხების რაზმი ივანე სალუქვაძის მეთაურობით, 12 კაცი გაიქცა, მაგრამ შეტაკებისას სალუქვაძე და კიდევ მისი ხუთი ამხანაგი მოკლეს. ამით განრისხებულმა ჯარის უფროსმა ხელახლა მოაწყო სოფელ ლიხაურში ჩხრეკა და ამჯერად გაქცეულების ცოლ-შვილიც დააპატიმრა და მათ 16 კაცი ზედ მიაყოლა. ჯარისკაცები და კაზაკები სცემდნენ დაპატიმრებულთ, თვითონ ცხენებზე ისხდნენ, მათ კი, აიძულებდნენ სირბილით გავლას. ნაცემი პატიმარი გლეხებიდან ბევრი ციმბირში გადაასახლეს [სცსია, ფ. 123, აღწ. 12, ს. 98, ფ. 45].

გურიაში სამხედრო წესები 1904 წლის გაზაფხულამდე გაგრძელდა. გლეხებს აიძულებდნენ სამხედრო ძალით იმ ზარალის დაფარვას, რაც თავზე დაატყდა მემამულეებს, ეკლესიასა და მთავრობას გაფიცვებითა და გლეხთა ბოიკოტით, მმთარობამ დაკეცა ყველა ბიბლიოთეკა, ძველ მამასახლისებს აღარ ენდობოდნენ და ახლებს ნიშნავდნენ.

ასეთი შიში და მდგომარეობა გაგრძელდა 1904 წლის დეკემბრამდე. 1904 წლის დეკემბერში დაიწყო და 1905 წლის იანვარში კვლავ მთელი სომხადრით აზვირთთა ადრე დაწყებული გლეხთა გამოსვლები. ვითარება ისევ უმართავი შეიქმნა. ამჯერად ეგზეკუციებით გადაბოროტებული მოსახლეობა არავითარ შიშს არ გრძნობდა და არაფრის წინაშე უკან არ იხევდა. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ოზურგეთის მაზრაში ხელისუფლებას არავინ არაფერს ეკითხებოდა. 1905 წლის 2 თებერვალს მაზრის უფროსი აცნობებდა ზემდგომ ორგანოებს, რომ: “მაზრაში სრული ანარქიაა. ყველაფერი ადგილობრივი კომეტეტების ხელშია. მოსახლეობა აღარ მიმართავს არც მაზრის ხელმძღვანელობას, არც სოფლის მამასახლისებს და არც სამაზრო სასამართლოს. ყველა კომიტეტში გარბის საქმის მოსაწესრიგებლად. ამჯერად, მაზრაში სულ 8 საბოქაულოა, აქედან ერთი ბოქაული მოკლეს, 2 დაჭრეს, სხვები შიშით მიიმალნენ”. შემდეგ იყო თხოვნა, ისევ ეგზეკუციაზე და ჯარის ნაწილების გამოგზავნაზე, თუმცა მთავრობას ჯერ ამისთვის არ ეცალა, რადგან სხვაგან არანაკლები მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი.

იმართებოდა მიტინგები. 1905 წლის 7 თებერვალს ოზურგეთში გაიმართა დიდი მიტინგი, სადაც იყო მოწოდებები ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. მიტინგის შემდეგ მოსახლეობამ ქვები დაუშინა ოზურგეთის სამაზრო შენობას და მინები ჩაამსხვრია. 9 თებერვალს სოფელ მაკვანეთთან შეიარაღებულმა რაზმელებმა მოკლეს ერთი ჟანდარმი. 12

თებერვალს ცეცხლს მისცეს ივანე ნაკაშიძის სახლ-კარი. 16 თებერვალს ლანჩხუთში მოკლეს ვინმე გოგავა, რომელიც ჯაშუშობაში იყო შემჩნეული, 19 თებერვალს შეტაკება მოხდა შეიარაღებულ რაზმელებსა და ჟანდარმერიას შორის სოფელ ნატანებთან, რომლის დროს ოთხი ადამიანი მოკვდა.

ოზურგეთის მაზრის უფროსი ლაზარენკო დაუყოვნებლივ მოითხოვდა დამსჯელი ექსპედიციის შემოყვანას და “ხალხის დაწყენარებას”, მაგრამ კავკასიის მთავარმართებელმა “შედარებით სიფრთხილე გამოიჩინა” და ერთბაშად დაძრა დამსჯელი ექსპედიცია გურიის მასახლეობის წინააღმდეგ, თუმცა ჯარის ნაწილები საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. მთავარმართებელმა კიდევ ერთხელ მოინდომა ხალხის “შეგონებით” დამოშმინება და ამ მიზნით ოზურგეთის მაზრაში გაგზავნა კავკასიის მთავარმართების საბჭოს წევრი სულთან კრიმ-გირეი, რომელსაც დაევალა დაერწმუნებინა მოსახლეობა დამორჩილებოდნენ მეფის ხელისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ განმეორდებოდა ის, რაც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მოხდა გურიაში. კერძოდ, ჯარის შემოყვანა და ეგზეკუციების ჩაყენება, თანაც ოზურგეთის მაზრაში კვლავ გაანახლეს ადრე გამოცხადებული სამხედრო წესები.

სოციალ-დემოკრატები მზად შეხვდნენ სულთან კრიმგირეის ვიზიტს გურიაში. წინასწარ შემოიარეს სოფლები, გამართეს კრებები, სადაც შეიმუშავეს პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნები.

სულთან კრიმ-გირეი 23 თებერვალს შეუდგა ოზურგეთის მაზრის სოფლების საზოგადოებების ჩამოვლას. მთავრობამ ამ მოგზაურობის დროს “მიიღო სიფრთხილის მკაცრი ზომები”, მოსახლეობა გააფრთხილეს, რომ თუ გაბედავდნენ კრიმ-გირეის სიცოცხლის ხელყოფას, მთელ მხარეს “გადაბუგავდნენ”. ამ მუქარას ხელისუფლებამ “ხალხის დასაშინებელი” მანევრები მიაყოლა. კერძოდ, მზადყოფნაში მოიყვანეს კახაკთა ასეული, ქუთაისის გუბერნიაში შექმნილი ე.წ. “რიონის რაზმი” გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით ნატანებთან განალაგეს “ყოველი შემთხვევისათვის”. მაზრის უფროსი ლაზარენკო წინასწარ დადიოდა იმ სოფლებში, სადაც სულთანი კრიმ-გირეი უნდა წასულიყო და ხალხს აფრთხილებდა, რომ “ზედმეტი არ მოსვლოდათ”. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა „მომზადებული შეხვდა“ ამ ვიზიტს [ბოგუცკაია,1971:25-31].

1905 წლის 23 თებერვალს კრიმ-გირეი ეწვია სოფელ ბახვს, სადაც გლეხებმა მთელი ხალხის სახელით თავიანთი მოთხოვნები წამოაყენეს სპეციალურ “მანიფესტში”. ამ მანიფესტში ბახველმა გლეხებმა გაბედული ნაბიჯი გადადგეს და ისეთი დემოკრატიული მოთხოვნები წამოაყენეს, რომელიც შემურდებოდა ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის საზოგადოებას. თვით სულთან კრიმ-გირეი განცვიფრებული დარჩენილა მსგავსი მოთხოვნებით. მოგვიანებით კავკასიის მთავარმართლების სახელზე გაგზავნილ წერილში ის აღნიშნავდა, რომ: “ბახვეული გლეხები ზედმეტად გათვიცნობიერებული ყოფილან და ის მოთხოვნები, რომლებიც მათ წამოაყენეს, რომ შესრულდეს, საერთოდ ძირი გამოეთხრება მონარქიულ წყობილებასო”.

ამ მანიფესტში ბახველმა გლეხებმა კრიმ-გირეის შემდეგი სახოს მოთხოვნები წამოუყენეს: 1) მიწის უსასყიდლოდ გადაცემა გლეხობისათვის; 2) სიტყვის, პრესის თავისუფლება; 3) უფასო დაწყებითი საყოველთაო სწავლება; 4) გადასახადების გაუქმება და სხვა.

ბახვეული გლეხები არჩევნების საკითხსაც შეეხნენ და აღნიშნავს, რომ მთავრობა პირდაპირი, ფარული, თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე უნდა აირჩესო. კრიმ-გირეი გლეხებს დაპურდა, რომ მოთხოვნებს ხელისუფლებას აცნობებდა, ისიც აღნიშნა, რომ ზედმეტი

აქტიურობა “შესაძლებელიყო სასიკეთოდ არ დამთავრებულიყო” და გლეხებს “ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩადგომისაკენ” მოუწოდა.

უფრო მძაფრი შეხვედრა მოუხდა კრიმ-გირეის ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურში.

შეხვედრას უამრავი ადამიანი დაესწრო. ოზურგეთის მაზრის უფროსი კრიმ-გირეის ესაუბრა ლიხაურის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს არის ისტორიული სოფელი და რომ ამ სოფელში გამრჯე ადამიანები ცხოვრობენ. საუბარში ჩაერია ლიხაურელი გორდელაძე, რომელმაც კრიმ-გირეის უთხრა, რომ გარდა იმისა, რაც მაზრის უფროსმა თქვა ლიხაურზე, ეს სოფელი მამაცურად იბრძოდა 1841 წლის გურიის აჯანყებაში და რომ ამ აჯანყებამ შეარყია თვითმკერობის საძირკვლები და გლეხებს თავისუფლება მოუტანაო. ეს არ მოეწონა მაზრის უფროსს, მაგრამ მისი გაროზგვა ვერ გაბედა, რადგან ხალხის შეეშინდა.

ლიხაურელთა სახელით კრიმ-გირეის წარუდგა სოფელში ავტორიტეტის და პატივცემული პიროვნება დავით გოგოლიშვილი. მან ისაუბრა იმ გასაჭირზე, რომელიც აქაურ გლეხობას ჰქონდა, კრიმ-გირეის შეახსენა სოფელში არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მომხდარი ამბავი, როდესაც ეგზეკუციის დროს კაზაკებმა ააწიოკეს მოსახლეობა, ბევრი ადამიანი დაატყვევეს, ამათგან ზოგი ცეხეში გარდაიცვალა, ზოგი კი, ციმბირში იქნა გასახლებული. მათი ცოლ-შვილი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. ეგზეკუციის დროს კაზაკები თვითნებობდნენ, მოსახლეობის აწიოკებდნენ, როზგავდნენ, მიჰქონდათ საჭმელ-სასმელი, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი საშინლად აწამებდნენ. მანვე მოითხოვა, რომ მთავრობას ხალხისათვის ყურადღება მიექცია, გაეუქმებინა გადასახადები, სოფლის მამასახლისის თავადვე ხალხს აერჩია. სულთან კრიმ-გირეი მამასახლისის შესახებ შეეკითხა დავით გოგოლიშვილს, რომ აქაური მამასახლისის შესახებ მოსახლეობას საყვედური არ გამოუთქვამს და რა მნიშვნელობა ჰქონდა, მამასახლისის არჩეული იქნებოდა თუ დანიშნული, დავით გოგოლიშვილმა უპასუხა, ჩვენი მამასახლისი იუნციაციის პიროვნებაა, მაზრის უფროსის დავალების უსიტყვოდ შემსრულებელი. ისე კი, ბატონო ხელისუფლების წარმომადგენელო, - თქვა დავით გოგოლიშვილმა, - დემოკრატიული საზოგადოებისათვის და დემოკრატიული, სახალხო სახელმწიფოსათვის უმჯობესი იქნებოდა, რომ ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები ხალხმა თვითონ აირჩიოს და ეს თქვენც კარგად მოგეხსენებოდეს.

დავით გოგოლიშვილის საუბარს ხალხის მხრიდან ხშირად თან ახლდა შემახილები: “სწორია”, “დიახ, დავითი მართალს ამბობს” და სხვა. დავით გოგოლიშვილის მოსაზრებას მხარი დაუჭირა ამბაკო სალუქვაძემ, რომელმაც კრიმ-გირეის უთხრა, რომ თუ მთავრობა ხალხს არ მიხედავს, ისეთი სირთულეები შეიქმნება, რომ ძნელად თუ თავს დააღწევს მასსო.

ლიხაურში შეხვედრის შემდეგ კრიმ-გირეიმ უკმაყოფილებით აღნიშნა, რომ ეს რა “ბუნტოვშიკი” საზოგადოებაში ვიყავიო. მაზრის უფროსი დაემუქრა ლიხაურელებს, რომ “ასეთ თავხედობას ძვირად დაუჯენდა”, განსაკუთრებით “თითი დაუქნია” დავით გოგოლიშვილს, რომელიც, მისი თქმით, “ბუნტის” მოთავე და ხელმძღვანელი იყო, ვარლამ გობრონიძეს, რომელმაც კრიმ-გირეის პირსისხლიანი მთავრობის წევრი უწოდა, ამბაკო სალუქვაძეს, გიორგი ჭანტურიშვილს და სხვებს [სცსია, ფ.125, აღწ.12, ს. 101, ფურც. 34-39].

რაც შეეხება კრიმ-გირეის შეხვედრებს ჩოხატაურში, ხიდისთავსა და ოზურგეთის მაზრის სხვა სასოფლო საზოგადოებებში, აქაც ის მეტად რთულ ვითარებაში წარიმართა. ჩოხატაურში კრიმ-გირეის გლეხთა დეპუტაციის სახელით მოთხოვნები წაუყენეს ტიმოთე სიორიძემ კრიმ-გირეის მოსთხოვა, რომ მას ის წინადადებები, რომლებიც გლეხებმა კანონიერად დააყენეს, უახლოეს ხანში შეესრულებინა. თუმცა, მან ისიც აღნიშნა, რომ მას (კრიმ-გირეის) მხოლოდ

აზრის გამოთქმის საშუალებას თუ მისცემდნენ მთავრობაში და ნაკლებად სჯეროდა მთავრობას რაიმე კარდინალური გარდაქმნები განეხორციელებინა, ხოლო დავით სიხარულიძემ აღნიშნა: “სიმართლე ურყევია, ჩვენ უკან არაფრის დიდებით არ დავიხვეთ, რადგან ვიბრძვით სამართლიანი საქმისათვის, თანაც უკან დასახევი გზაც მთავრობამ ყოველმხრივ მოგვიჭრა”.

ადრე ნახსენები ოზურგეთის მაზრის სოფელ ხიდისთავის (გუბაზეულის ხეობის მშვენიება - ასე უწოდებდა ამ სოფელს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ - ო.გ.) გლეხებმა მოითხოვეს არსებული სოციალ-პოლიტიკური წყობილების რადიკალური გარდაქმნა: “ჩვენ თვითონ მოვაწყობთ ჩვენს საქმეს. სანამ ჩვენი მოთხოვნები დამაკმაყოფილებელი არ იქნება, არ დავცხრებით - მიმრთავდნენ ხიდისთაველები კრიმ-გირეის.

ასევე, კრიმ-გირეის თავიანთი მოთხოვნები წაუყენა ლანჩხუთელ გლეხთა დეპუტაციამაც. აქ ხალხის სახელით მას წარუდგინა კირილე ჩხაიძე, სიმონ სურგულაძე, ნიკოლოზ ჯიბლაძე, აქესენტი თავდიშვილი. კირილე ჩხაიძემ, რომელსაც განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული, კრიმ-გირეის უთხრა, რომ მეფე ერთნაირად ჩაგრავს, როგორც ქართველ, ასევე რუს გლეხობას და აღნიშნა: “დარწმუნებული ვარ იმაში, გურიის მოსახლეობის ჭირ ვარამს რუსეთის გლეხობაც გაიზიარებს, მხარში ამოგვიდგება და ერთნაირი ძალით გასრესს მტარვალეზსო”. დავით გოგეშვილმა აღნიშნა, გადასახადები, რომლებიც აძვალტყავებს ხალხს და ამდიდრებს ერთ მუჭა მუქთახორებს, თუ არ მოისპობა, ჩვენ თვითონვე მოვსპობთ მას და მუქთახორებსაც ზედ მივავოლებთო. ნიკოლოზ ჯიბლაძე დაემუქრა კრიმ-გირეის და მის მთავრობას აღსასრული უწინასწარმეტყველა. აქესენტი თავდიშვილმა მოითხოვა ტყით სარგებლობაზე გადასახადების გაუქმება. ამ შეხვედრაზე მოხდა ასეთი ინციდენტი. სიმონ ბარამიძემ კრიმ-გირეის პირში მიახალა: “ამ ერთი დახეული ჩოხის მეტი არაფერი მაქვს და აი, ესეც შენი იყოსო”, ჩოხა გაიძრო და მას ესროლა. ხალხის განრისხების შიშით სიმონ ბარამიძის გაროზგვა ვერ გაბედეს, მაგრამ 1905 წლის დეკემბერში ის დააპატიმრეს და გააციმბირეს, როგორც გამოუსწორებელი „ბუნტოვნიკი“ [სცსია, ფ.125, აღწ.12, ს. 101, ფურც. 44-47].

კრიმ-გირეიმ ოზურგეთის მაზრის 25 სოფლის საზოგადოებიდან ჩამოიარა თორმეტი და მას გლეხებმა ყველგან შეუპოვარი, რევოლუციური ხასიათის მოთხოვნები წაუყენა.

კრიმ-გირეის გურიაში ამ მოგზაურობის დროს თან ახლდა ვინმე სერგეი დემენტიევი, რომელიც განცვიფრებული დარჩა გურული გლეხების შეუპოვარი, შემტევი ხასიათით. მოსკოვის სახელმწიფო დოკუმენტების შენახვა-გამოყენების ცენტრალურ არქივში ინახება მისი წერილი კავკასიის მთავარმართებლის სამოქალაქო ნაწილის უფროსის სახელზე, სადაც ის ამბობს: “პირდაპირ გასაკვირია საიდან აქვს ამ ხალხს (გურულებს) ასეთი შემტევი ბუნება. გასაგებია, რომ გურიას ძალიან უჭირს, მაგრამ ასევე უჭირს სხვა მაზრებსაც, მაგრამ იქ ასეთი არ შეგვხვედრია. გლეხები არაფერს არ ერიდებოდნენ, ზოგიერთ სოფელში კრიმ-გირეის გალახვაც კი მოინდომეს, ზოგან კი ძლივს გამოვასწარით, ისიც კაზაკების დახმარებით. ასევე, ისიც გამიკვირდა, რომ ზოგი გურული ჩვენთან შეხვედრაზე სუფთა რუსულით ლაპარაკობდა და ისეთ ნაკითხობას ამჟღავნებდა, რომ განცვიფრებული ვიყავით... ასეთი “ბუნტოვნიკები” რომ რუსეთის იმპერიის სხვა ადგილებში იყოს, დარწმუნებული ვარ, მის უდიდებულესობა იმპერატორს ძალიან გაუჭირდება... ესენი მართლაც არიან „დიდი ბუნტისთავეები“. ამიტომ ვფიქრობ, რომ საჭიროა „ამ მხარის ძალის გამოყენებით დაწყნარება“, მასიური დაპატიმრებები, გადასახადები, ეგზეკუციების დიდხანს გაჩერება ამ მაზრაში... თორემ გლეხების აქ დანთებული ხანძარი, სხვასაც გადაედობა და ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება“ [რუიცსა, ფ. 1379, აღწ. 26, საქმე 1008, ფურც. 12-29].

ამ წერილში მეფის სატრაპი იჩენს დიდ სიძულვილს და აქეზებს ხელისუფლებას მხარის წინააღმდეგ დამსჯელი ღონისძიებების გატარებაში.

კრიმ-გირეის მოგზაურობა გურიაში წარუმატებელი გამოდგა. როგორც გაზეთი “ვპერიოდ” წერდა: “კრიმ-გირეი თბილისში გამოიწვიეს - დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილია”. კავკასიის მთავარმართებლისადმი (მოგვიანებით, რამდენიმე თვის შემდეგ კავკასიაში კვლავ აღდგა სამეფისნაცვლო - ო.გ.) წარდგენილ მოხსენებით ბარათში კრიმ-გირეი აღნიშნავდა გურიის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობას, ადგილობრივი ადმინისტრაციის უუნარობას. იმასაც აღნიშნავდა, რომ სოფლის ზოგიერთი მამასახლისი კიდევ თანაუგრძნობს “ბუნტოვშიკებს”, ამბობდა, რომ მოსახლეობა უკიდურესად გაჭირვებულია. ეს შესაძლებელია ზოგიერთმა “არასწორმა გადასახადმა” კი გამოიწვიოს, ბოლოს ისიც საჭიროდ მიიჩნევა დამსჯელი ზომების გაძლიერებას. 1905 წლის მარტისათვის დამსჯელი ღონისძიების გატარება ხელისუფლებამ ვერ შეძლო, რადგან “სამისოდ სათანადო საბაზი ვერ გამოჩნა”.

1905 წლის გაზაფხული გურიის სოფლებში გამოირჩეოდა „დიდი დაძაბულობით და ხელისუფლებისადმი სრული დაუმორჩილებლობით”.

გურიის მთელი პოლიტიკური და ეკონომიკური მართვის სადავეები გადავიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელში, კერძოდ ამ პარტიის მენშევიკური ფრთის ხელში. ამ პარტიას ჰქონდა განსაკუთრებული სტრუქტურა, რომელიც თავისი შინაარსით დახვეწილი იყო. სწორედ გურიის სოციალ-დემოკრატია გახლდათ ის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც “მთელი თავისი არსებით წარმოიქმნა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წ.წ.) დროს”. სწორედ ამიტომ იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა უმრავლესობა გურულები (გურიის მოსახლეობის უმრავლესობა ამ პარტიის წევრი იყო-ო.გ.) და ამიტომაც იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა უმრავლესობა გურიიდან. ბევრმა მათგანმა წრთობა სწორედ პირველი რევოლუციის დროს მიიღო (1905-1907წ.წ.) როგორც გურიაში, ასევე კავკასიის სხვა ადგილებში.

სოციალ-დემოკრატიული პარტია განაგებდა მთელი გურიის ცხოვრებას. პარტიის ცენტრალური ბირთვი არალეგალურად (ზოგად ლეგალურად) ოზურგეთში, ჩოხატაურში, ლანჩხუთში, ხიდისთავში, ნატანებში და სხვაგან მონაცვლეობით იმყოფებოდა. ცენტრალურ ბირთვთან შექმნილი იყო სხვადასხვა “სამუშაო ჯგუფები”, კერძოდ, გლეხობასთან, ახალგაზრდობასთან, ჯარისკაცებთან და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფირალებთანაც კი. თითქმის ყველა სოფელში არსებობდა ორგანიზაციის სტრუქტურული დანაყოფი, რომელიც ბირთვს ექვემდებარებოდა და ასრულებდა მის მითითებებს. სოფლად არსებულ ჯგუფს ევალებოდა აგიტაციის ჩატარება გლეხობაში, ბოიკოტის გამოცხადება მემულეებისადმი, გადასახადებზე უარის თქმა.

ფაქტობრივად, ძირითად სამაზრო ხელისუფლებას არავინ არაფერს ეკითხებოდა, ყველა მათთან მიდიოდა საქმის მოსაგვარებლად.

1905 წლის 21 აპრილს ოზურგეთში საიდუმლოდ შეიკრიბა პარტიის ცენტრალური ბირთვი, რომელმაც განიხილა საკითხი სოფლებში მიტინგების მოწყობის შესახებ და ის იყო, სხდომა დასასრულს უახლოვდებოდა, რომ ჟანდარმერიამ შენობას ალყა შემოარტყა და დანებება ითხოვა, მაგრამ ეს არ გააკეთეს. ატყდა ორმხრივი სროლა. გახურებული ბრძოლის დროს ჟანდარმებს თავს დაესხა ზურგიდან ხალხის ჯგუფი, რომელმაც აიძულა ჟანდარმები ბრძოლა შეეწყვიტა. სროლის დროს მოკვდა ერთი ჟანდარმი - ვასილ გოგუაძე, დანარჩენები კი წავიდნენ. პარტიაში ეჭვი აიღეს ჯამუშებზე, რომელიც მთავრობას მიგზავნილი ჰყავდა შიგნით. ეჭვობდნენ, რომ ოზურგეთელი ისიდორე თოიძე და აკაკი ხომერიკი საიდუმლოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომები“ - 4, 2019

თანამშრობლობდნენ ხელისუფლებასთან და ეს ეჭვი მართლაც დამტკიცდა იმ მომენტში, როდესაც ორივე მათგანი ღამით საიდუმლოდ შეხვდნენ ოზურგეთის მაზრის კანცელარიის წარმომადგენელს [გოგოლიშვილი, 1996:45].

1905 წლის 2 მაისს პარტიის დავალებით ისიდორე თოიძე “საქმის დალატისათვის” მოკლეს, ხოლო ხომერიკმა შეძლო მიმალვა, მაგრამ 1907 წელს ისიც “გაასადეს” ქუთაისში, დუქანში ქეიფის დროს.

1905 წლის 29 აპრილს ლანჩხუთში ისევე შეიკრიბა პარტიის ცენტრალური ბირთვი, სადაც გადაწყდა საზეიმოდ აღნიშნათ ყველგან 1 მაისი.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პარტიის ცენტრალური ბირთვის გადაწყვეტილებები “ელვის სისწრაფით” ვრცელდებოდა მთელს გურიაში. ასე მოხდა ამჯერადაც. 1905 წლის 1 მაისი აღნიშნეს ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ხიდისთავის, სუფსის და სხვა სოფლების მშრომელებმა. მათ გამოიტანეს ლოზუნგები “ძირს თვითმპყრობელობა”, “გაუმარჯოს მშრომელთა ერთობას” და სხვა. ზოგ ადგილებში დემონსტრანტებს შეხლა-შემოხლა მოუხდათ პოლიციასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლანჩხუთის საპირველმისო დემონსტრაცია. პოლიციამ მოინდომა მისი ძალის გამოყენებით დაშლა. ერთ-ერთი პოლიციელი შეეცადა დემონსტრანტისათვის წაერთმია ლოზუნგი და დაეხია, მაგრამ ის ისე სცემეს, რომ “საწყალი ძლივს გამოიტანეს დემონსტრანტების ჯგუფიდან”. პოლიციამ მაინც შეძლო რამდენიმე მათგანის დაპატიმრება, მაგრამ მალე პოლიციის განყოფილებას მიადგა ხალხის მოზრდილი ჯგუფი და მოითხოვა დაპატიმრებულების განთავისუფლება. შიშით, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო არ გაუარესებულიყო, ისინი გაათავისუფლეს.

1905 წლის გაზაფხულზე (კერძოდ მაისში) პირველად გაისმა გამოთქმები “გურიის რესპუბლიკა” და “გურიის გუბერნატორის” შესახებ. ეს სიტყვები ხშირად იხმარებოდა ოფიციალურ მიმოწერებში. ასე მაგალითად, ოზურგეთის მაზრის უფროსი ქუთაისის გუბერნატორისადმი გაგზავნილ წერიულში აღნიშნავს, რომ “დანაშაულებრივი კომიტეტის” წევრების თავგასულობა იმდენად შორს წავიდა, რომ ნორმალური გონება მას ვერ აღიქვამს... ამას წინათ ჩემთან იყვნენ ამ კომიტეტის წევრები და წამომიყენეს ულტიმატუმი ე. წ. “გურიის რესპუბლიკის” სახელით და აღნიშნეს, რომ თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, ვიტოვებთ უფლებას შევასრულოთ “გურიის გუბერნატორის” დავალებებიო”. გაკვირვებულ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს უთქვამს: “გურიის რესპუბლიკა, გურიის გუბერნატორი - ეს კიდევ რა ახალი ჯანდაბაა. ეტყობა, მათ ფანტაზიას საზღვარი არ გააჩნია, სანამ ისინი კიდევ შორს არ წასულან და სულ დამოუკიდებლობა არ გამოუცხადებიათ თავიანთი პარტიული სტრუქტურებით, ამიტომ იმოქმედებთ მკაცრად, ნალე მოგაშველებთ დამატებით ჯარის ნაწილებს”.

“გურიის რესპუბლიკის” შესახებ ასევე საუბარია კავკასიის მეფისნაცვლისადმი 1905 წლის ივნისში ბათუმის ოლქის გუბერნატორ ფონ-პარკაუს მიერ გაგზავნილ წერილში. გუბერნატორი შემფოთებულია იმით, რომ მეზობელი გურიიდან ბათუმის ოლქში ხშირად გადმოდიან ე.წ. რევოლუციონერები და ცდილობდნენ ხალხის აყოლიებას ანტისამთავრობო გამოსვლებში მონაწილეობის მისაღებად. მას ამის მაგალითად მოჰყავს 1905 წლის 12 მაისს ქობულეთში (ჩურუქ სუს საპოლიციო უბანი) ჩატარებული მიტინგი, რომელზედაც ანტისამთავრობო მოწოდებებით გამოვიდნენ გურული რევოლუციონერები ნიკოლოზ მმგელაძე, აღმასხან ნიკოლაიშვილი, ერმალო სირაძე და სხვები. გუბერნატორის წერილში ასევე საუბარია მთაგინაურის საძოვრებზე გამართულ კრებებზე, სადაც აჭარელმა და გურულმა გლეხებმა ერთმანეთს სოლიდარობა გამოუცხადეს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში და საზეიმო



ფიციც კი დადეს, რომ ერთგულნი იქნებოდნენ ამ საქმეში... წერილში გუბერნატორი შემოფოთებით საუბრობს მეზობელ გურიაში მიმდინარე გლეხთა მასიურ გამოსვლებზე. აღნიშნულია, რომ გურიაში დანაშაულებრივი კომიტეტი სრულიად ფლობს ძალაუფლებას და რომ იქ უკვე კომიტეტის წევრები მოქმედებენ ე.წ. “გურიის რესპუბლიკის” სახელით, რომელიც ზოგიერთი რევოლუციონერის თქმით, “სრულიად ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია და ბოლომდე იბრძოლებს მეფის თვითმპყრობელობის ანტიხალხური რეჟიმის წინააღმდეგ”. გუბერნატორი მეფისნაცვალს სთხოვს, თუ დროულად არ აილაგმება ამ დანაშაულის კომიტეტის საქმიანობა, დიდი სირთულეები შეიქმნებაო [გოგოლიშვილი, 1996:56-60].

1905 წლის ივნისში გურიაში იმყოფებოდა რუსეთის საიმპერატორო კანცელარიის ჩინოვნიკი, ვინმე იაკობ მენზერი, რომელიც შეხვედრია “გურიის გუბერნატორს” და აღწერს გურიაში შექმნილ მდგომარეობას.

მოსკოვის უახლესი ისტორიის არქივში (1905-1907 წ.წ. განყოფილებაში) ინახება მენზერის ჩანაწერები გურიაზე. ვფიქრობთ, ეს არის მეტად საინტერესო და საყურადღებო მოსაზრებები. მენზერი ამბობს, რომ რუსეთის ვრცელი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე გურია ერთ-ერთი ლამაზი მხარეა. აქაური მოსახლეობა მეტად სტუმართმოყვარეა, გურია, - განაგრძობს მენზერი, -- ცნობილია თავისი ღვინითაც, თითქმის ყველა მოსახლე ღვინოს აყენებს, რომელსაც აქაურები “ადესას” უწოდებენ...

გურულებისათვის მეტად მშფოთარე აღმოჩნდა 1905 წელი. თითქმის ყოველდღე ხალხი იკრიბებოდა სოფლების ცენტრში და ჰქონდათ გამუდმებული სჯა-ბაასი პოლიტიკური ცხოვრების შესახებ... ნაკლებად ნახავთ სხვაგან ისეთი პოლიტიზირებულ ხალხს, როგორც ეს გურიაშიაო. თანაც, გურულები ძალიან ეტანებიან სწავლა-განათლებას. ნაკლებად შემხვედრია სხვაგან იმდენი ნასწავლი ადამიანი, რამდენიც გურიაში ვნახეო. აქაური გლეხებიც კი, რომელთაც დარიბული სახლები აქვთ, თქვენ წარმოიდგინეთ, გესაუბრებიან ისეთ საკითხებზე, რომ პირდაპირ გაოცებული დარჩებით... გურიაში ძლიერია სიციალ-დემოკრატიების გავლენა. ამ პარტიას ყველა ემორჩილება. გურულებმა ხელისუფლებას სრული ბოიკოტი გამოუცხადეს და შექმნეს მათი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც “გურიის რესპუბლიკა” უწოდეს, ამ რესპუბლიკაში პირველ კაცად ითვლებოდა მათი გუბერნატორი, რომელიც დიქტატორული წესით განაგებს ყველაფერს. ის წყვეტს აქ ყველა საკითხს. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ სო ფლის მამასახლისები, რომლებიც გურიის სამაზრო ხელისუფლებას უნდა ემორჩილებოდნენ, შიშით იქ ვეღარ მიდიან და ყველა საკითხს ამ გუბერნატორთან ათანხმებენ. სამაზრო ხელისუფლება დამრთხალი და დაბნეულია. გურიის გუბერნატორმა მოსთხოვა სამაზრო ჩინოვნიკებს დაეცალათ შენობა, რადგან იქ მას სურდა მისი შტაბის გადატანა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ყველა დადგენილება, რომელსაც ეს გუბერნატორი აწერდა ხელს, სავალდებულო იყო ყველასათვის შესასრულებლად. გუბერნატორი ხელმძღვანელობდა პარტიასთან არსებულ შეიარაღებულ რაზმებს, რომლებიც ახდენდნენ სხვადასხვა სახის ტერორისტულ აქტებს ხელისუფლების წინააღმდეგ... ეს გუბერნატორი გურიის ნამდვილი არაოფიციალური მბრძანებელიაო.

მენზერის წერილი გურიის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რადგან მას მოჰყავს მეტად საყურადღებო ფაქტები, რომლებიც მათელ წარმოდგენას გვიქმნიან გურიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. რა თქმა უნდა, ეს ე.წ. “გურიის რესპუბლიკა” ხელოვნურად გამოგონილი ტერმინი იყო. ის უფრო პროტესტის გამოხატულებას წარმოადგენდა და უპირის-პირდებოდა ცარიზმის სახელისუფლებო სტრუქტურებს. ის ამით აფრთხილებდა ხელისუფლებას, რომ მათ უკვე მოფიქრებული აქვთ თავიანთი პოლიტიკური ორგანიზაცია და თუ

მართლაც დაემხომა მათი ბატობობა, სახელისუფლებო სტრუქტურები საძებარი არ იქნებოდა. შეიძლება ამანაც გააბოროტა და გაამხეცა ხელისუფლება, რომელმაც მოგვიანებით გურიაში სიკვდილის ბორბალი დაატრიალა და ისე გადაბუგა, რომ მსგავსი არ ჩაუდენია ადრინდელ არც ერთ ველურ დამპრობელს. სწორედ, გურია გახდა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ის მხარე, რომელმაც საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია და მსოფლიო ალაპარაკა [რუცსა, ფ. 1379, აღწ. 26, საქმე 1008, ფურც. 66-78].

გურიაში დატრიალებული ამბებით ევროპა დაინტერესდა და საერთაშორისო კონფერენციებზე პირველად საქართველოს შესახებ ანტირუსული რეზოლუციებიც კი მიიღო. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

რაც შეეხება გურიის გუბერნატორს, მას მართლაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები მას ყველგან დაემბდნენ, მაგრამ კონსპირაცია იმდენად შენიღბული გახლდათ, რომ ვერსად მიაგნეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციის დროს ასეთი გუბერნატორები სხვაგანაც იყვნენ და ამ შემთხვევაში გურია არ იყო გამონაკლისი, ან თუნდაც პირველი. მაგალითად, ცნობილია ბარცხანის გუბერნატორის შესახებ (ბათუმის გარეუბანი), რომ ბარცხანის ამ გუბერნატორის დადგენილება ყველასათვის შესასრულებლად სავალდებულო იყო, ხოლო ნამდვილ გუბერნატორს თითქმის არავინ ემორჩილებოდა. ასევე იყო გურიაშიც. აქაური გუბერნატორი მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

გურიაში მენშევიკების გარდა, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ესერების შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფები. ისე, როგორც სხვაგან, 1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ხშირად იმართებოდა პოლიტიკური დისკუსიები მათ შორის. 1905 წლის მარტის ბოლოს ლანჩხუთში შედგა პოლიტიკური დისკუსია მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის. სხვათა შორის, ბოლშევიკები ცდილობდნენ პარტიის გურიის კომიტეტში უპირატესობის მოპოვებას, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ. მწვავე დიალოგი გაიმართა მათ შორის გლეხებთან მუშაობის ტაქტიკაზე. ბოლშევიკებმა ნიკო დუმბაძემ სცადა კრების დარწმუნება იმაში, რომ მენშევიკების ტაქტიკა გლეხებთან მუშაობის საკითხში მიუღებელიაო, მაგრამ მას დაუმტკიცეს, რომ სწორედ ბოლშევიკები ცდილობდნენ გლეხებისათვის გზის ახნევას და არასწორი მოქმედებით ჩიხშიც კი შეჰყავთ გლეხთა რევოლუციური სულისკვეთებაო.

ამ სხდომაზე კიდევ სხვა ბრალდებები წაუყენეს ბოლშევიკებს, რომლებიც იძულებულნი გახდნენ კრება დაეტოვებინათ.

ყველაზე ძლიერი დისკუსია მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის გაიმართა ივლიშში, სოფელ ხიდისთავში. ამ დისკუსიაში, რომელსაც მიტინგის სახე ჰქონდა, ბოლშევიკებს მეთაურობდა იოსებ სტალინი, მენშევიკებს კი - ი. რამიშვილი. იოსებ სტალინი საუბრობდა ბოლშევიკების ტაქტიკის სისწორეზე, ხელისუფლებასთან ბრძოლის სხვადასხვა ფორმაზე, გააკრიტიკა მენშევიკები და აღნიშნა, რომ ქალაქებში მენშევიკები და ნაციონალისტები შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ა.შ. სტალინის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ი. რამიშვილი, რომელმაც უარყო სტალინის ბრალდებები, ბოლშევიკებს და პირადად სტალინს უწოდა პროვოკატორი, თან ხალხი დაარწმუნა იმაში, რომ მენშევიკების ავტორიტეტით დაბოღმილი ზოგიერთი ბოლშევიკი გამყიდველობასაც არ ერიდება და მთავრობაში აბეძლებს მენშევიკური პარტიის წევრებსო. ამის მაგალითად მოიყვანა მიმდინარე წლის თებერვალში ჩოხატაურში მომხდარი მოვლენა, როდესაც ჟანდარმებმა მოკლეს აგიტატორი კარლო დოლიძე. შემდეგ დაამტკიცა, რომ დოლიძის სიკვდილში დიდი წვლილი მიუძღოდა ბოლშევიკ ყაჭიევილს, რომელიც ჟანდარმერიის აგენტი აღმოჩნდა. მოიყვანა კიდევ სხვა მაგალითები. სტალინმა სცადა საპასუხო

სიტყვაში გამოსვლა, მაგრამ მას ხალხმა ამის საშუალება ამ მისცა, შეძახილებით “პროვოკატორო, დატოვე ტრიბუნა”, “ესეც სხვებივით გამცემი იქნება”, სტალინის დაატოვებინეს იქაურობა.

ხიდისთავის დისკუსიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი კავკასიის მასშტაბით. რსდმპ კავკასიის კომიტეტმა გამოსცა პროკლამაციები, რომლებშიც რამდენჯერმე იყო ნახსენები ხიდისთავის ჩატარებული დისკუსია. ამ დისკუსიის შესახებ მასალებს ვპოულობთ რსდმპ ბათუმის კომიტეტის ანგარიშში. ასევე, იმდროინდელ პრესაშიც აისახა ის. თუმცა, ორივე მიმართულების (როგორც მენშევიკური, ასევე ბოლშევიკური) გაზეთები თავიანთი კუთხით წარმოაჩენდნენ მას.

გურიაში შედარებით სუსტი იყო სოციალისტ-ფედერალისტების ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის მცირერიცხოვანი ჯგუფი მოქმედებდა ოზურგეთში, ჩოხატაურში, ლანჩხუთსა სიფსაში. მათი აგიტაცია წარმატებული არ აღმოცნდა იმის გამო, რომ აქ სოციალ-დემოკრატების გავლენა მასებზე უძლიერესი იყო. მიუხედავად ამისა, ფედერალისტები მაინც ცდილობდნენ პროპაგანდის მეშვეობით ხალხის მასების შემობრუნებას, თანაც თავიანთ საქმიანობაში ხშირად იყენებდნენ სოციალისტურ, გლეხებისათვის მისაღებ ლოზუნგებს. მაგალითად, 1905 წლის ივლისში ოზურგეთში, ხალხის თავშეყრის ადგილებში გაჩნდა პროკლამაციები, სადაც ხალხს მოუწოდებდნენ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ეროვნული სახელმწიფოს შექმნისაკენ. 1905 წლის 6 აგვისტოს ჩოხატაურში დააკავეს გიორგი ბერძენიშვილი და ვახტანგ თავაძე, რომლებიც ხალხს ესაუბრებოდნენ საქართველოს წარსულის შესახებ და აგონებდნენ იმ დროს, როდესაც ქვეყანა თავისუფალი იყო. მოგვიანებით გამოირკვა, რომ გიორგი ბერძენიშვილი და ვახტანგ თავაძე ეკუთვნოდნენ ფედერალისტების პარტიას. ასევე, ფედერალისტური პარტიის გურიის ბიუროს წევრები გივი წულაძე და როსტომ შარაძე ხშირად დადიოდნენ გურიის სოფლებში და მოსახლეობას უკითხავდნენ პატრიოტული ხასიათის ნაწარმოებებს. საინტერესოა ფედერალისტური პარტიის წევრის გ. სიხარულიძის წერილი, სადაც ის გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ გურიის გლეხობა მთლიანად “მოწამლულია სოციალ-დემოკრატებისაგან”. მათი გავლენა აშკარაა. ჩვენც ვცდილობთ მასებში გასვლას, აგიტაციით ჩვენს მხარეს დაყენებას, მაგრამ ამას ზოგჯერ ვახერხებთ, ბევრ შემთხვევაში კი იმედგაცრუებულნი ვართ. იგივე სიხარულიძე, როდესაც ბათუმის ოლქზე საუბრობს, აღნიშნავს, რომ იქ ქობულეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი მათ მხარეს დადგა. საარქივო მასალები იტყობინებიან 1905 წლის 30 ივლისს სუფსაში ჩატარებული პოლიტიკური კრების შესახებ, რომელშიც ფედერალისტებიც მონაწილეობდნენ. სოციალ-დემოკრატებმა ისაუბრეს აგრარული მოძრაობის შემდგომი განვითარების შესახებ და აღნიშნეს, რომ გლეხთა მოძრაობაში იწყებოდა ახალი ეტაპი, რომელიც ხალხის მდგომარეობას უკეთესობისაკენ შეცვლიდა. სოციალ-დემოკრატებმა ოილია ორმოცაძემ თქვა, მისთვის ცნობილია ის, რომ სუფსაში მოქმედებს ქართველი ნაციონალისტების ჯგუფი, რომლებიც თურმე შეკრებებს აწყობენ და ცდილობენ გლეხების “აყოლიებას”. მან კრებას უთხრა, რომ ქალაქებში ნაციონალისტები მოქმედებენ შეთანხმებულად ბურჟუვებთან და ცდილობენ ნაციონალისტური ლოზუნგებით მშრომელთა ერთიანობის რღვევას, ამას კი, ხალხი არ დაუშვებსო. სოციალ-დემოკრატებმა ვარლამ ლომთათიძემ კრებას მოახსენა, რომ რამდენიმე ნაციონალისტი დღევანდელ კრებას ესწრება და მათ გასაგონად ვამბობ, რომ დროა გონს მოეგონ და ნუ ცდილობენ საერთო საქმის გაფუჭებას. ეს მათ უნდა გადასცენ თავიანთ პარტიულ ამხანაგებს. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სოციალისტ-ფედერალისტული პარტიის წევრი გიორგი მიქაბერიძე, რომელმაც კატეგორიულად უარყო ბრალდებები და აღნიშნა, რომ ეროვნული საკითხი სრულებით არ

აფუჭებს საერთო საქმეს და არავითარ ზიანს არ აყენებს ხალხის რევოლუციურ მოძრაობასო. პედაგოგმა აკაკი წილოსანმა კი, აღნიშნა, რომ ხალხს უნდა უყვარდეს სამშობლო, უნდა ცდილობდეს მის ბედნიერებას და აქეთვე უნდა იყოს მიმართული როგორც ჩვენი, ასევე თქვენი საქმიანობაო. რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატები არ დაეთახმნენ მას და კრებას მიაღებინეს მათთვის სასურველი დადგენილება [გოგოლიშვილი, 2005:60-78].

ასევე საყურადღებო პარტიული შეკრება გაიმართა 1905 წლის აგვისტოში ქალაქ ფოთში. ამ სხდომას თავჯდომარეობდა სოციალ-დემოკრატი ალექსანდრე გაბელია. სხდომას ესწრებოდნენ გურიის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წევრები. ალექსანდრე გაბელიამ ისაუბრა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. ყურადღება გაამახვილა სამეგრელოსა და გურიაში გაჩაღებულ გლეხთა მოძრაობაზე. განსაკუთრებით გამოყო 1905 წლის ივნისში სოფელ რუხში მომხდარი მოვლენა, როდესაც გლეხებმა დაარბიეს სოფლის ადმინისტრაცია და მთელი ძალაუფლება აიღეს ხელში. მან ასევე აღნიშნა ფოთის პორტში დაწყებული გაფიცვის შესახებაც, რომლის დროსაც შეტაკება მოხდა მუშებსა და პოლიციას შორის. გურიის კომიტეტის წევრმა მიხეილ ცინცაძემ მიმოიხილა გურიაში შექმნილი ვითარება, ისაუბრა გლეხთა გამოსვლებზე და აღნიშნა, რომ სამეგრელოს ქუთაისის გუბერნიისა და გურიის გლეხობა ერთობლივი ბრძოლით მიაღწევს სანუკვარ მიზანს. ამ კრებაზედაისვა საკითხი იარაღის შემოტანისა და ხალხში გავრცელების შესახებ. ფოთელმა სოციალ-დემოკრატმა ალექსანდრე სიჭინავამ თქვა, რამდენადაც მისთვის ცნობილია, მთავრობა ემზადება გადამწყვეტი შეტევისათვის, ამისათვის ჩვენც მზად უნდა ვიყოთ, თანაც მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით.

კრების დადგენილება დაეგზავნა გურიის, ბათუმისა და ქუთაისის კომიტეტებს.

გურიის კომიტეტი აქტიურად ცდილობდა იარაღის შემოტანა-გავრცელებას, თანაც შეაიარაღებული რაზმელები ზოგჯერ ტყვია-წამლის ნაკლებობას განიცდიდნენ. 1905 წლის ივლისში გრიგოლეთში შემოზიდეს სხვადასხვა სახის იარაღი და დიდძალი ტყვია-წამალი. იარაღის ნაწილი გადაიგზავნა ოზურგეთში, ნაწილი კი ჩოხატაურში. ლანჩხუთში პოლიციამ მიაგნო ადგილს, სადაც მალავდნენ იარაღს. შეტაკებისას მოკლეს ორი რევოლუციონერი. ასევე, მოკვდა ერთი პოლიციელი. მსგავსი მდგომარეობა შეიქმნა სოფელ ხიდისთავში, როდესაც ჯაშუშების მეშვეობით პოლიციამ მიაგნო იმ კონსპირაციულ სახლს, სადაც მალავდნენ იარაღს და ტყვია-წამალს. აქაც შეიარაღებულ შეტაკებას ორი ადამიანის სოიცოცხლე ემსხვერპლა. ჩოხატაურში კი, მორიგი რეიდიდან დაბრუნებულ პოლიციას, რომელსაც ხელმძღვანელობდა გოგიბერიძე, გზაში დაუხვდნენ მებრძოლი რაზმელები. სროლის დროს მოკვდა თვით გოგიბერიძე, ხოლო მებრძოლი რაზმელების მხრიდან დაიღუპა მათი მეთაური სერგი პაიჭაძე. რამდენიმე მათგანი დაიჭრა. ამის შესახებ აღშფოთებული დაბა ჩოხატაურის ბოქაული ატყობინებს მაზრის უფროსს და სთხოვს ახალი პოსტების გახსნას თითქმის ყველა სოფელში, რადგან ძნელი ხდება მთელს ტერიტორიაზე “ყანჩალების დევნაო”. მაგრამ ართუ ახალი პოსტების გახსნა, არამედ ძველის მოვლასაც კი ვერ ახერხებდა მთავრობა. უფრო მეტიც, იმ პოსტებზე რომლებიც მთავრობას უკვე გახსნილი ჰქონდა, შიშით ჯარისკაცები ვერ დგებოდნენ, არამედ იქ ხშირად შეიარაღებული რაზმელები იდგნენ და მდგომარეობას აკონტროლებდნენ. ეს ვითარება ამკარად გამოჩნდა ზაფხულის პერიოდში, როდესაც მთელს საქართველოში აზვირთდა რევოლუციური მოძრაობა.

1905 წლის ზაფხულში რევოლუციონერებმა საიდუმლოდ შეძლეს დიდი რაოდენობით იარაღისა და ტყვია-წამლის შემოტანა. შეიარაღების დიდი ნაწილი მებრძოლი რაზმების ხელში მოხდა. ამასთან დაკავშირებით ფოთიდან აცნობებდნენ ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს

უფროსს: “ჩვენ ფოთთან შევამჩნიეთ რამდენიმე მავი, რომელიც საეჭვოდ მივიჩნიეთ. ჟანდარმებმა ნავებზე მყოფთ მოსძიებოვს გაჩხრეკის უფლება მიეცათ, მაგრამ მათ საპასუხოდ ცეცხლი გაგვიხსნეს, რომლის დროსაც მოკვდა ჟანდარმი პავლე ალანია. დამხმარე ძალების მეშვეობით შეცმულით ორი თავდამსხმელის მოკვლა, ერთი დავაკავეთ. სულ ოთხი ნავი იყო, რომელზედაც დიდი რაოდენობით იარაღი, ძირითადად, ჯარაბინები და მაუზერის სისტემის რევოლვერები აღმოჩნდა... ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ დაკავებული იარაღის ნაწილი განკუთვნილი იყო გურული შეიარაღებული რაზმელებისათვის, ნაწილი კი - სამეგრელოს კომიტეტისათვის. ასევე, ჩვენ ისიც დავადგინეთ, რომ მათ ადრე შეძლეს ქუთაისში და მის მიმდებარე სოფლებში იარაღის შემოზიდვა და ამიტომაც არის, რომ ქუთაისში ამ ბოლო დროს გახშირდა ტერორისტული აქტები” [თურმანიძე, 1979:40].

დიდი რაოდენობით ტყვია-წამალი ხელთ იგდო გურიის კომიტეტმა, რომელიც ხელმძღვანელობდა მის შემოტანას და დარიგებას. 1905 წლის ზაფხულში გურიაში გახშირდა ინდივიდუალური ტერორი. მარტო ივლის-აგვისტოში მას შეეწირა 10 ადამიანის სიცოცხლე. ისიც აღსანიშნავია, რომ შეიარაღებულ რაზმელებს მიეტმასმა ბევრი კრიმინალური ელემენტი, რომელიც დანიშნულს უფრო ჩადიოდა ვედრე რევოლუციურ ქმედებას. მართალია, ასეთების წინააღმდეგ კომიტეტი ილაშქრებოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა მის აღკვეთას. თანაც ისიც უნდა ითქვას, რომ კონტროლიც ძალიან სუსტი იყო. როგორც გაზეთი “სხივი” წერდა, გურიის გზებზე სიარული ძალიან სახიფათოა, რადგან ყველგან იარაღიანი ხალხი იმყოფება, ტყეები კი სავსეა ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილო შეიარაღებული ადამიანებით.

ივლის-აგვისტოში ხშირად იმართებოდა შეიარაღებული დემონსტრაციები. მაგალითად, 21 აგვისტოს დაბა ჩოხატაურსა და 27 აგვისტოს კი, ლანჩხუთში გამართა ასეთი დემონსტრაციები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო გლეხობის დიდმა ნაწილმა. ლანჩხუთში ხალხმა მოახდინა იარაღიდან გასროლა. ყოველი ორატორის გამოსვლას ისინი იარაღიდან ჰაერში გასროლით პასუხობდნენ, ხოლო ჩოხატაურში მიტინგის შემდეგ დაერივნენ დაბის ხელმძღვანელის შენობას და სულ ერთიანად “მიღწე-მოღწეს”. გლეხებს შეიარაღებული აჯანყების მოწყობისაკენ, მემამულეებთან და შეძლებულ გლეხებთან ანგარიშსწორებისაკენ ომახიანად მოუწოდებდნენ სოციალ-დემოკრატი აგიტატორები.

1905 წლის ზაფხულში გლეხთა ამგვარი მოძრაობით მოცული იყი არა მარტო გურია, არამედ მთელი საქართველო. ანტისამთავრობო მოძრაობა განსაკუთრებით დაძლიერდა შემოდგომაზე. სექტემბერში მთელი გურია მემამოხე გლეხების ხელში იყო. სოციალ-დემოკრატების მეთაურობით და მითითებით გლეხებმა ნატანებში, სუფსაში, ლანჩხუთსა და თითქმის ყველა სოფელში მოსპეს სოფლის კანცელარიების ყოველგვარი საქმეები. დვაბზუში, შემოქმედსა და რიგ სხვა საზოგადოებებში დაწვეს სასოფლო სამმართველოები. გლეხებმა შექმნეს სახალხო თვითმმართველობის ახალი აპარატი, აირჩიეს ათისთავები, ასისთავები, ათასისთავები, შეადგინეს კომიტეტები და ყველაფერი ისე მოაწყვეს, რომ თავიანთ საქმეებს თვითონვე განაგებდნენ. გლეხებმა მემამულეებს მასიურად ჩამოართვეს მიწები, მოუსპეს ღალისა და სხვა “სავალდებულო” გადასახადების მოცემა. ოზურგეთის მაზრის უფროსი ლაზარენკო დამრთხალი და დაბნეული აღმოჩნდა. 1905 წლის აგვისტოს ბოლოს ოზურგეთში იმყოფებოდა მეფისნაცვლის კანცელარიის თანამშრომელი ვინმე ვასილიევი, რომელიც “ადგილზე გაეცნო შექმნილ რთულ მდგომარეობას” და მეფისნაცვლის სახელზე შედგენილ მოხსენებით ბარათში აღნიშნა, რომ გურიაში სრული ქქაოსია, მთავრობა სავსებით პარალიზებულია, გლეხები მოქმედებენ “გამომწვევად და თავაშვებულად.”

ამ და კიდევ სხვა მსგავსი მოხსენებით ბარათების საფუძველზე, მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანება გასცა, რომელშიც ვკითხულობთ: “არეულობამ იფეთქა გურიაში, სადაც ხალხი მთავრობას აღარ ემორჩილება, შეიარაღებულნი თავს ესხმიან ჯარებს, ანგრევენ რკინიგზასა და მთავრობის დაწესებულებებს”. მეფისნაცვალი ავალბდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბს ოზურგეთში გაეგზავნა დამსჯელი ექსპედიცია. ოზურგეთის მაზრაში შექმნილი მდგომარეობით აღშფოთებული ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორი სასწრაფო შეტყობინებას აგზავნიდა კავკასიის მეფისნაცვლის სახელზე, რომელშიც ის პირდაპირ ამბობდა, რომ “გურიაში მიმდინარე არეულობა... წარმოადგენს დიდ საშიშროებას მთელი კავკასიისათვის”.

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბმა ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორს დაავალა შეედგინა საექსპედიციო რაზმი, ე.წ. რიონის რაზმი. მართლაც, 1905 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ამოქმედეს ასეთი რაზმი, რომელიც დიდი შეიარაღებული სამხედრო ძალა იყო. ამ რაზმს დაექვემდებარა ქუთაისის გუბერნიაში მყოფი რკინიგზის დამცველი ჯარები და ჯარის ის ნაწილები, რომლებიც სექტემბრის შუა რიცხვებისათვის დაბანაკებული იყვნენ ქუთაისის გუბერნიის ტერიტორიაზე. მაგრამ ბრძანება მოქმედებისათვის საექსპედიციო რაზმს იმ მომენტისათვის ჯერ არ მიუღია, რადგან, როგორც ჩანს, მთავრობა უცდიდა მდგომარეობის „იდეგ უფრო გამწვავებას“. ამ რაზმის მეთაურად კავკასიის სამხედრო შტაბის ბრძანებით დაინიშნა სიმხევით ცნობილი გენერალი ალიხანოვ-ავარსკი.

თავდაპირველად ალიხანოვ-ავარსკიმ რაზმის ერთი ნაწილი, ძირითადად, კაზაკები, ნიკოლოზ კარპუხინის მეთაურობით, ოზურგეთში გაგზავნა მაზრის უფროსის ლაზარენკოს დასახმარებლად. ეს მოხდა სექტემბრის ბოლოს.

1905 წლის ოქტომბრის დასაწყისი უმძიმესი აღმოჩნდა ხელისუფლებისათვის. კერძოდ, 10 ოქტომბერს გლეხებმა მოახდინეს ხელისუფლების წარმომადგენლების ნამდვილი რბევა. ლიხაურში, შემოქმედში, სუფსაში, ხიდისთავში და სხვა სასოფლო საზოგადოებებში მათ დაწვეს სოფლის კანცელარიის შენობები, სცემეს ჩინოვნიკებს, გადაწვეს რამდენიმე მემამულის სახლი. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჩოხატაურის გლეხები. აქ მდგომარეობას მთლიანად ისინი აკონტროლებდნენ.

1905 წლის 12 ოქტომბერს შეიარაღებული გლეხები თავს დაესხნენ სამხედრო მატარებელს სუფსა და ჯუმათში, საიდანაც გაიტაცეს იარაღი, ძირითადად, რევოლვერები. ამ თავდასხმაში განსაკუთრებით აქტიურობდა ჩოხატაურელი ალექო შარაშიძე, რომელსაც სახელი ჰქონდა განთქმული, როგორც უბადლო მსროლელს.

16 ოქტომბერს შეიარაღებული გლეხები თავს დაესხნენ ჩოხატაურის უბნის სამმართველოს, მაგრამ რამდენიმე ჩაფარმა მათ წინააღმდეგობა გაუწია და სროლისას ერთი გლეხი, გვარად მინდაძე, მოკლეს. ამის გამო რაზმელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ხუთი ჩაფარი და წაიღეს ბერდანის თოფები, შაშხანები და რევოლვერები.

ამ ხანებში დიდი შეტაკება მოხდა იმავე ჩოხატაურში თავს დაესხნენ კაზაკებს და 3 მათგანი მოკლეს, დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

18 ოქტომბერს აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ბერდანის თოფები და დიდძალი ვაზნა. მათ ტყვედ ჩაიგდეს ბოქაული გოგუა და რამდენიმე ჩაფარი.

ასევე ძლიერი ბრძოლა გაიმართა სოფელ ნიგოთთან. რევოლუციონერებმა საჯავახოსა და ნიგოთს შორის რკინიგზის ლიანდაგი აპყარეს, მაგრამ მათ აქ მოულოდნელად თავს საესხა კაზაკთა რაზმი. ორმხრივი სროლისას 18 გლეხი მოკლეს, ორი დაიჭრა, ხოლო სუფსაში გლეხები თავს საესხცნენ ტყის პირას ჩაფრებს, გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, 5 ჩაფარი მოკლეს.

ოქტომბერში დაწყებული შეირაღებული ამბოხების გამო ქუთაისის გუბერნატორი კავკასიის პოლიციის გამგეს აცნობებდა, რომ: “მთელი გურია აჯანყებულია არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. გურიის აჯანყებულ გლეხებს უეჭველად მჭიდრო კავშირი აქვთ რკინიგზისა და ქალაქის გაფიცულ მუშებთან. ოზურგეთის მაზრაში ძალიან საშიში მდგომარეობაა. აჯანყებულთა წინააღმდეგ ადგილობრივი ხელისუფლება სრულ უძლურებას იჩენს.

გაზეთი „ვპერიოდ“ კი აღნიშნავდა რომ: „ოზურგეთის მაზრა მთლიანად გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ხელშია... სასამართლოები მხოლოდ ხალხის წარმომადგენლებისაგან შედგება და მარტო რევოლუციურ კომიტეტებს ემორჩილებიან“ [ვპერიოდ, 1905, № 88].

მდგომარეობა მეტად საგანგაშო შეიქმნა მას შემდეგაც, როდესაც სოციალ-დემოკრატებმა შეძლეს აგიტაციის საშუალებით ჯარისკაცთა ერთი ნაწილის გადმობირება და ოზურგეთის მაზრის გლეხების მხარეზე გადაყვანა. ასე მოხდა 1905 წლის სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრის დასაწყისში, როდესაც 60 ჯარისკაცი იარაღით ხელში გლეხების მხარეზე ჩოხატაურში ებრძოდა ხელისუფლების წარმომადგენლებს. ამ ფაქტმა ისე აღაშფოთა ხელისუფლება, რომ მან გადაწყვიტა “საბოლოოდ გადაეწყვიტა აჯანყებულთა ბედი”.

ჩოხატაურში ყოფნისას ლაზარენკომ გაიგო, რომ სოფელ ხიდისთავში რაზმელებმა ორი ჩაფარი მოკლეს. ამის გამო მან კაზაკების ერთი ნაწილი სოფელში გაგზავნა. აქაც საშინელება დაატრიალეს კაზაკებმა, გადაწვეს სახლები, დახოცეს ხალხი.

20 ოქტომბერს, როდესაც ლაზარენკო ჩოხატაურიდან ოზურგეთში ბრუნდებოდა, სოფელ ნასაკირალთან თავს დაესხა შეირაღებული რაზმელები. აქ მოხდა დიდი ბრძოლა რომელშიც ორ დღეს გაგრძელდა. მსგავსი ბრძოლა დიდი ხანია არ ყოფილა გურიაში. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ დოკუმენტში ვკითხულობთ: “აჯანყებულთა ტყვია წვიმასავით ცვიოდა... წინ და უკან საშინელი ტყვიის ცეცხლი იყო დანთებული.”

ჟურნალი “მოგზაური” კი აღნიშნავდა: “ამ ბრძოლის შედეგად ლაზარენკოს რაზმიდან მოკლულ იქნა 16 ჩაფარი, დაიჭრა 13, უკვალოდ დაიკარგა 11. რაზმელებმა ხელთ იგდეს 6 ბერდანის თოფი, 75 შაშხანა, 15 ცხენი. რამდენიმე სტრაჟნიკი და პოლიციელი ტყვედ წაიყვანეს...” [მოგზაური, 1905, №79].

ასევე, რსდმპ ბათუმის კომიტეტმა გამოუშვა ბიულეტენი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 20 ოქტომბერს, საღამოს 8-9 საათზე ატყდა თოფის და ბომბერის სროლა და გათავდა 21 ოქტომბერს, შუადღისას ორ საათზე. პლასტუნები ამოწყვიტეს და იარაღი წაართვეს, მხოლოდ თხუთმეტამდე გაიქცა სადღაც. ჩაფრები, რომლებიც ლაზარენკოს ახლდნენ, ერთის მეტი ყველა გაწყდა. ის ერთი და თარჯიმანი დაატყვევეს. წითელი რაზმიდან 4 კაცამდე მოკლეს.

ნასაკირალის ბრძოლა, მთავრობის შეაფხებით, “მეტისმეტი იყო თავგასული ყაჩაღებისაგან” და მან გადაწყვიტა გურიის გლეხობა სამაგალითოდ დაესაჯა. მეფისნაცვალმა ალიხანოვ-ავარსკის დაუსახა შემდეგი ამოცანა: მოესპო და გაენადგურებინა აჯანყებულთა ჯგუფები, დაეპატიმრებინა ამ აჯანყების მომწყობნი და მეთაურნი, მოეთხოვა მოსახლეობისაგან მათი გაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ აგზავნიდნენ უნდა ჩაეყენებინა, აჯანყებულთა ხელშემწყობნი და დამნაშავეთა მფარველნი სასტრიკად უნდა დაესაჯა რაზმის უფროსს. ასევე, ალიხანოვ-ავარსკის დაევალა აღედგინა მთავრობის მოხელეთა და დაწესებულებათა უფლება-მოვალეობანი.

ოზურგეთის მაზრის გლეხობას საშინელი განსაცდელი მოელოდა. გურია უნდა გადაიბუგოსო - ასეთი იყო მეფისნაცვალის ბრძანება. ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიცია მთელს გურიას უნდა დასცხრომოდა თავს მეხვიით და გაენადგურებინა ის. დამსჯელმა

ექსპედიციამ სოფელ ნაგომარში საშინელება დაატრიალა-მასიურად გადაწვა და დაანგრია საცხოვრებელი სახლები, დახვრიტა უდანაშაულო მოსახლეობა. ჯარისკაცები ხალხს აიძულებდნენ ეთქვათ ვინ მონაწილეობდა გურიის აჯანყებაში. მიუხედავად იმისა, რომ გამცემნი ნაკლებად აღმოჩნდნენ, ზოგიერთი სულგაყიდული ადამიანის წყალობით მაინც იგებდნენ და იმით სახლ-კარს ანადგურებდნენ. შემდეგ ისინი სოფელ აკეთს შეესივნენ და ისეთივე უბედურება დაატრიალეს. კაზაკები და ჯარისკაცები არ ინდობდნენ არც გლეხებს და არც მემამულეებს, ყველაფერს ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ.

გურიაში დამსჯელი ჯარის გაგზავნასთან დაკავშირებით, მთელს საქართველოში იმართებოდა მიტინგები, სადაც ხალხი მოითხოვდა გურიაში სამხედრო წესების მოხსნას და იქიდან დამსჯელი ჯარის გამოყვანას. მაგალითად, 1905 წლის 23 ოქტომბერს ბათუმში და 30 ოქტომბერს თბილისში შედგა ხალხმრავალი მიტინგები. ბატუმში რკინიგზის მუშებმა და მოსამსახურებმა გამოაცხადეს გაფიცვა და მოითხოვეს დამსჯელი ჯარების მოძრაობის შეჩერება. ასევე, თბილისის მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მკაცრად გააფრთხილეს მთავრობა, რომ თუ ის გურიას გაანადგურებდა, მთელი ხაკხი ფეხზე დადგებოდა და ხელისუფლებას ისეთ მდგომარეობაში ჩააყენებდა, რომ გამოსავალი არსაიდან ექნებოდა.

ოზურგეთის მაზრიდან დამსჯელი ჯარის გამოყვანა მოითხოვა გარე კახეთის გლეხთა დელეგაციამაც, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა მეფისნაცვალთან.

რევოლუციონერი მუშები საქმით პასუხობდნენ მხარდაჭერას გურიისადმი, მაგალითად, სადგურ ძირულაში ხალხმა არ მისცა მოძრაობის შაშუალება სამხედრო მატარებელს, რომელსაც ჯარი მიჰყავდა გურიის წინააღმდეგ საბრძოლველად. რკინიგზის სადგურ გომში კი, დააკავეს საგანგებო მატარებელი. აფეთქებდნენ ხიდებს, ყრიდნენ ლიანდაგებს. ამის გამო ქუთაისის ჟანდარმთა განყოფილების უფროსი გამყრელიძე წერდა კავკასის პოლიციის გამგეს: „ქუთაისიდან გასული სამხედრო მატარებელი, რომელსაც მიჰყავდა კაზაკები, დაიმსხვრა, რაც გამოწვეული იყო რელსის აყრით. ასევე მოიქცნენ რკინიგზის ხაზზე თბილის-ხაშურის შორისაც.“

ცარიზმის სატრაპი ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ქართველი ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნისათვის და ოზურგეთის მაზრიდან ჯარის ნაწილები გამოეყვანა, თუმცა უბედურების დატრიალება გურიაში ჯარმა მაინც შეძლო [შველიძე, 1993:78].

ყოველივე ამის შემდეგ გურიაში “დაცხრა” ვითარება. მთელი გურია ძალიან დაზარალდა. მთავრობამ დაიწყო მასიური დაპატიმრებები, რომლებიც გრძელდებოდა როგორც 1905 წლის დეკემბერში, ასევე მთელი 1906 წლის მანძილზე. მთავრობის შეტევას გურიის აჯანყებაში მონაწილე გლეხების გაყაჩაღება მოჰყვა: “ტყვეები გაივსო მთავრობისაგან ძებნილი ხალხით”. ტაქტიკა შეცვალეს სოციალ-დემოკრატებმა. ისინი იატაკქვეშეთში გადავიდნენ. აი, რას წერს ქუთაისის გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს 1906 წლის 16 მარტს: „რევოლუციური აგიტაცია ახლა ხალხში საიდუმლოდ წარმოებს. იარაღი, რომელიც აჯანყების დღეებში აჯანყებულებს ხელთ ეპყრათ, ისევ მათ ხელშია, კარგად შეიარაღებული რევოლუციური რაზმები ემალებიან სამხედრო ძალებს...სოფლებიდან გაქცეული მემამულეები ჯერ კიდევ ვერ ბედავენ უკან დაბრუნებას ტყეში გავარდნილი რევოლუციონერების შიშით. მათ იციან, რომ დაბრუნებას მათი სიკივდილით დასჯა მოჰყვება... ჩვენის მხრიდან რეპრესიული ზომების გამოყენება, აჯანყებულთა სახლებისათვის ცეცხლის წაკიდება და მრავალრიცხოვანი დაპატიმრებები ხალხის სასტიკ გაბრაზებას და მღელვარებას იწვევს“.



ამ მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, რომ მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, რომლებიც გრძელდებოდა 1906-1907 წლებში, ხალხი არ უშინდებოდა სიმნელეებს, მამაცურად განაგრძობდა ბრძოლას რეაქციული ძალების წინააღმდეგ.

როგორც ზემოთ ავლინებთ, გურია იყო ის მხარე და გურიაში დატრიალებული ტრაგედია გახდა იმის მიზეზი, რომ მსოფლიო საქართველოთი პირველად დაინტერესდა და საქართველოზე პირველად ალაპარაკდა. ყველაფერი ეს მოხდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, საერთაშორისო დონის ანარქისტისა და დიდი მამულიშვილის ვარლამ ჩერქეზიშვილის მეშვეობით.

ცნობილი ქართველი მეცნიერი, პროფესორი დიმიტრი შველიძე, ვარლამ დიდებულ გამოკვლევაში - "აი, ვინ იყო, ქართველნი, ვარლამ ჩერქეზიშვილი", შესანიშნავად საუბრობს ყოველივე ამის შესახებ.

ვარლამ ჩერქეზიშვილისათვის ჯერ კიდევ ევროპაში ყოფნის დროს გახდა ცნობილი სასტიკი რეპრესიების შესახებ. გაზეთები ყოველდღიურად იუწყებოდნენ საქართველოში მიმდინარე დაპატიმრებებს, რბევა-აწიოკებას და სხვა. ცნობილი იყო ის ფაქტიც, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სამასონ ფირცხალავამ ფეხით შემოიარა მთელი გურია და გაზეთ "ცნობის ფურცელში" დაწვრილებით აღწერა ის საშინელება, რომელიც იქ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელმა ექსპედიციამ დაატრიალა.

1906 წელს ვარლამ ჩერქეზიშვილი უცხოეთიდან საქართველოში ჩამოვიდა, რომელსაც თან ახლდნენ ცნობილი ინგლისელი ჯურნალისტი ნევენსონი და საქართველოს დიდი მეგობარი, ქალბატონი დრაიპორტი, რომლის ხელშეწყობით უცხოეთში შეიქმნა საქართველოს დახმარების ფონდი, კერძოდ გურია-იმერეთის დაზარალებული მოსახლეობისათვის. დრაიპორტმა შეძლო ინგლისში შემოწირულობის შეგროვება საქართველოსათვის და 1906 წელს თბილისში თან ჩამოიტანა.

ვარლამ ჩერქეზიშვილმა უცხოელები მთელ საქართველოში შემოატარა და საკუთარი თვალთა დახმარებით ის საშინელება, რაც რუსეთმა აქ ჩაიდინა.

განსაკუთრებით ადასფოთა ნევენსონი გურიაში ნანახ გაგონილმა. მათ მოინახულეს გადაძვარი სოფელი ნიგომარი, დაათვალიერეს დანგრეული შენობები, ნახეს კარვებში საზამთროდ თავშეფარებული ოჯახები.

შემდეგ ინახულეს სოფელი აჯეთი მდინარე სუფსის მეორე ნაპირზე, აქაც აღმოფოთდნენ ნანახით და ისევ ნაგომარში დაბრუნდნენ. ნაგომარში ნევენსონმა და ჩერქეზიშვილმა ღამე ერთ ნახევრადანგრეულ სახლში გაათიეს.

გლეხებმა ნევენსონს მოუთხრეს გურიის ამბები, კერძოდ, ნევენსონმა გლეხებისაგან გაიგო, თუ როგორ დაიწყო რევოლუციური მოძრაობა გურიაში, როგორ შეიქმნა გურიის რესპუბლიკა, როგორ განვითარდა მოძრაობა და რეპრესიები, რომელმაც ნახევრად დაანგრია გურია და გააუბედურა მოსახლეობა.

გურიაში ნევენსონი გლეხთა სიმტკიცემ და გამძლეობამ განაცვიფრა. ის მოიხიბლა გურულებით, როგორც უმადლესად და უფაქიზესად აღზრდილი ხალხით. მან ვარლამ ჩერქეზიშვილს უთხრა: „რა უბედურება არის, რომ ბედმა თქვენ რუსის დესპოტიზმს დაგაკავშირათ“.

ინგლისში დაბრუნებულმა ნევენსონმა დიდი სიმართლით აღწერა რუსული დესპოტიზმის მიერ ჩადენილი საშინელებანი გურია-იმერეთში. ვარლამ ჩერქეზიშვილი, ჯერ კიდევ უცხოეთში ყოფნისას, ყოველმხრივ ეხმარებოდა რევოლუციურ საქართველოს. სწორედ მისი ინიციატივით ქართველებმა უცხოეთში შეიძინეს გემი „სირიუსი“, დატვირთეს 7000 თოფით და

მილიონ ასი ათასი ტყვიით და საქართველოსაკენ გამოუშვეს. “სირიუსი” ფოთის ნაპირებს 1905 წლის ნოემბერში მოადგა. მართალია, ამ დროს გურიაში აჯანყება დამცხრალი იყო და რეპრესიები ბობოქრობდა, მაგრამ სხვა მხარეებსკი მზადდებოდა მძლავრი გამოსვლები ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს იარაღი რევოლუციონერების ხელში აღმოჩნდა, თუმცა ჟანდარმერიამ აგენტურის წყალობით შეძლო აიარაღის ნაწილის დასაკუთრება.

ვარლამ ჩერქეზიშვილმა უცხოელებს საქართველო გააცნო. ევროპაში დაბრუნებისას მან შემოიკრიბა თანამოაზრეთა გუნდი და შექმნა “საქართველოს დამხმარე კომიტეტი”. სწორედ ამ კომიტეტმა ვარლამის დიდი აქტიურობით შეიმუშავა მემორანდუმი, რომელიც უნდა გადასცემოდა ჰააგის მეორე საერთაშორისო კონფერენციას. მემორანდუმის შედგენაში ვარლამთან და სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ბრიუსელის უნივერსიტეტის სამართლის აღიარებულმა პროფესორმა ერნესტ ნისმა. სწორედ მან გააცნო ჰააგის მეორე საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს მემორანდუმის ტექსტი. ეს იყო პირველი შემთხვევა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, რომ ცივილიზებულმა მსოფლიომ საქართველოს შესახებ დაილაპარაკა [შველიძე, 2000:78-87].

ამრიგად, გურია საქართველოს ის მხარე, სადაც მძლავრად განვითარდა სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა. გლეხობამ შეძლო სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ხელმძღვანელობით ძალაუფლების დროებით ხელში აღება და შექმნა რევოლუციური ორგანო, ე.წ. „გურიის რესპუბლიკა“ „რიის გუბერნატორის“ მეთაურობით.

1905 წლის გაზაფხულზე, ზაფხულში და განსაკუთრებით შემოდგომაზე გურიაში განვითარებულმა ანტისამთავრობო გამოსვლებმა, მსგავს მოვლენებს ბიძგი მისცა საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ხელისუფლებამ აჯანყებულთა გასანადგურებლად მხარეს შეუსია დიდი ჯარი, რომელმაც არნახული რბევა-აწიოკება და ნგრევა გამოიწვია. გურიაში დატრიალებულმა ტრაგედიამ მთელი მსოფლიო აღაშფოთა და ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას საქართველოს მხარდამჭერი მემორანდუმი მიაღებინა.

## REVOLUTION OF 1905-1907 IN GURIA

OTAR GOGOLISHVILI

### SUMMARY

Along with other parts of Georgia, 1905-1907 revolution strongly evolved in Gurria. We can to say boldly, that this region was the pioneer of revolutionary movements throughout Russian empire. In the soviet historiography was consolidated the opinion, that the reason of start revolutionary movement was “bloody week», which had place in Petersburg on 9 jenuary,1905. This opinion is wrong.

Long before, in 1900-1904, the peasants’ massive protest against landowners, which started in Gurria, played the great role in the development of revolutionary movement,

On March 9,1902, Workers’ great demonstration and massacre in Batumi was a big event, which deserved attention not only in Russia, but abroad. Therefore, the revolutionary movements began not on 9 jenuary,1905, after events which had place in Petersburg, but long before in 1901-1904 in the southwestern Georgia. However, April 9,1905, was a tremendous stimulus, which accelerated revolutionary movement throughout Russian empire.

## ლიტერატურა:

1. ვ. სიხარულიძე, გლეხთა მოძრაობა გურიაში 1900-1905 წლებში, თბ., 1955
2. ი. ხუციშვილი, 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955
3. 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში (დოკუმენტების კრებული), თბ., 1955
4. თ. გოგოლიშვილი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1910 წლებში, ნაკვეთი I, ქუთაისი, 1996
5. თ. გოგოლიშვილი, სოციალური და ეროვნული მოძრაობა ბათუმის ოლქში 1900-1921 წლებში, ბათუმი, 2005
6. თ. თურმანიძე, გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, ბათუმი, 1979
7. დ. შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები, ნაკვეთი I, თბ., 1993
8. დ. შველიძე, აი, ვინ იყო ქართველთა ვარლამ ჩერქეზიშვილი, თბ., 2000
9. ნ. ბოგუცკაია, გლეხთა მოძრაობა გურიაში 1905-1907 წლების რევოლუციის დროს, თბ., 1971
10. სცსია - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 123, აღწ. 12, საქმეები 98, 101
11. რუცსა - რუსეთის უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, განყოფილება 1905-1907 წლების რევოლუცია, ფ. 1379, აღწ. 26, საქმე 1008
12. ჟურნალი „მოგზაური“, 1905, №79
13. გაზეთი „ვპერიოდ“, 1905, № 88

## გლეხთა კომიტეტები აჭარაში (1921-1923)

### ოთარ თურმანიძე

აჭარაში გლეხთა კომიტეტების ჩამოყალიბება 1921 წლის ივლისის მეორე ნახევარში დაიწყო. მისი ინიციატორი და ორგანიზატორი საქართველოს რევოლუციური კომიტეტი იყო. გლეხთა კომიტეტების შემადგენლობაში უღარების გლეხები შეიყვანეს, ამიტომ ამ ორგანიზაციას ღარიბთა კომიტეტები შეარქვეს. გლეხთა კომიტეტები დაუპირისპირეს ბეგებს და მისი მეშვეობით ცდილობდნენ მეჯლისის ჩამოშორებას ხელისუფლებისაგან, ერთმმართველი კომუნისტური რეჟიმის დამყარებას. საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს სრული შესაძლებლობა ჰქონდა აჭარაში ერთმმართველი კომუნისტური პარტოკრატია დაემყარებია ძალადობით, მაგრამ ამ გზით არ წავიდა. კომუნისტებმა აჭარაში, როგორც საერთოდ საქართველოში, გააძლიერეს სოციალურ ფენებსა და წოდებებს შორის მტრობის, სიძულვილის, გაუტანლობის პროპაგანდა და უღარიბესი გლეხობის გამოყენებით ცდილობდნენ კომუნისტური რეჟიმის განუყოფლად გაბატონებას.

ამის დასტურია აჭარაში 1921 წლის მეორე ნახევარში განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები. როგორც ცნობილია, 1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. ახალი ხელისუფლების დროებითი საგანგებო ორგანო ბათუმისა და მისი ოლქის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი იყო, რომელიც 1921 წლის 17-18 მარტს ჩამოყალიბდა. რეგიონის თავისებურება ის იყო, რომ რევოლუციური კომიტეტის შექმნით ხელისუფლებისათვის ბრძოლა არ დამთავრებულა. იგი ახალ სტადიაში შევიდა. ამ ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდა სამი მთავარი ძალა: კომუნისტები საოლქო კომიტეტისა და რევკომის სახით, სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი მემედ აბაშიძის ხემძღვანელობით და სედაი მილეთი (ხალხის ხმა), რომელსაც სათავეში ედგა თურქული ორიენტაციის ჯგუფი. მაგრამ სედაი მილეთს ადგილობრივ მოსახლეობაში სუსტი გავლენა ჰქონდა. ამიტომ ძალაუფლებისათვის ფაქტობრივად ორი ძირითადი ძალა იბრძოდა.

კომუნისტებისათვის ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი იყო კლასობრივი მიდგომები. ისინი, თავიანთი პროგრამიდან გამომდინარე, უგულვებელყოფდნენ კლასების თანაარსებობას, თანაცხოვრებასა და თანამშრომლობას, იბრძოდნენ კაპიტალისტების, თავადაზნაურების, სასულიერო პირების პოლიტიკური და ეკონომიკური დაუძღურების, საბოლოოდ კი ლიკვიტაციისათვის. არსებითად განსხვავებული პოზიცია ეკავათ მეჯლისის წარმომადგენლებს და მის ლიდერს მემედ აბაშიძეს. სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი სოციალური ფენებისა და წოდებათა თანამშრომლობის იდეას ქადაგებდა. ცხადია, ამ ორგანიზაციის ავტორიტეტი საკმაოდ მაღალი იყო. ამასთან, მეჯლისი მოითხოვდა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში აჭარისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭებას და თავგამოდებით იცავდა რელიგიური რწმენის თავისუფლებას.

საზოგადოებაში მაღალი ავტორიტეტის გამო სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავჯდომარე მემედ აბაშიძე და ამ საზოგადოების წევრი რეჯებ ნიჟარაძე 1921 წლის აპრილში ბათუმის ოლქის რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანეს, მაგრამ სულ მალე (მაისში) გამოიყვანეს. კომუნისტებმა დაიწყეს მეჯლისის დისკრედიტაცია. საქართველოს

კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის 1921 წლის 9 მაისის დადგენილებაში მეჯლისი დახასიათიებულია როგორც რეაქციული ძალა. მეჯლისი თურმე გამოხატავს ბეგების, ანტანტის, მენშევიკების და სხვა მტრების ინტერესებს, თითქოს იგი ატარებდა შოვინისტურ პოლიტიკას, რასაც გამოუწვევია აჭარის მოსახლეობის აღშფოთება. ამიტომ ბოლშევიკები მხარს არ დაუჭერდნენ არსებულ მეჯლისს. პარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის დადგენილებაში მოქმედი მეჯლისი მიჩნეულია დროებითად და დასმულია მისი დათხოვნის საკითხი (რკა, 1963:40). მართლაც, ბათუმის საოლქო რევკომის 1921 წლის 25 მაისის დადგენილებით დაითხოვეს მეჯლისი, დაინიშნა ახალი არჩევნები. საოლქო რევკომის იმავე წლის 21 მაისის დადგენილებით შეიმუშავეს ახალი მეჯლისის არჩევის წესი და პირველი სხდომის გახსნის ცერემონიები (რკა, 1963:41).

ახალი მეჯლისის პირველი სხდომა გაიხსნა 1921 წლის 6 ივნისს. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტისა და ოლქის რევკომის წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში ბეგები და სასულიერო პირები ერთხელ კიდევ წარმოჩინეს ხალხის მტრებად. თავადაზნაურების და სასულიერო წოდების წინააღმდეგ ბრძოლა მეჯლისის ყრილობის დამთავრების შემდეგ გაძლიერდა. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტმა და ოლქის რევკომის პრეზიდიუმმა 1921 წლის 5 ივლისს მიიღეს ერთობლივი დადგენილება „ბეგებთან ბრძოლის შესახებ“. ბეგები კონტრრევოლუციურებად და ტერორისტებად გამოცხადეს. დადგენილება ავალეზდა შესაბამის სამსახურს აელაგმათ ისინი ძალის გამოყენებით (რკა, 1963:46).

ახალი მეჯლისის თავმჯდომარედ აირჩიეს ხასან ლორთქიფანიძე, მოადგილედ - ზია ხარაზი. მის შემდგენლობაში 27 კაცი შედიოდა. მაგრამ თავადაზნაურებისა და სასულიერო წოდების წარმომადგენლები აღარ იყვნენ მისი წევრები. მეჯლისის ახალი შემადგენლობა, განსაკუთრებით კი ხასან ლორთქიფანიძე პარტიის საოლქო კომიტეტისა და ოლქის რევკომის ბრძად მორჩილი არ აღმოჩნდა. მეჯლისის ხემძღვანელობა სამართლიანად ეწეოდა ბრძოლას ხელისუფლებაში მოსვლისა და აჭარისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭებისათვის. საქართველოს რევოლუციური კომიტეტი იძულებული გახდა 1921 წლის 16 ივლისისათვის გამოეცა დეკრეტი აჭარის ავტონომიის შექმნის შესახებ. ამ დეკრეტით აჭარაში ხელისუფლების ერთადერთ ორგანოდ გამოცხადდა მეჯლისი, სახალხო კომისართა საბჭო და ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც აირჩეოდა საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე (რკა, 1963:47-49).

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 16 ივლისის დადგენილებამ, რითაც მეჯლისი გამოცხადდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთადერთ ორგანოდ, საოლქო რევკომის ხელმძღვანელობის გულისწყრომა გამოიწვია. ისინი ამ დადგენილებაში ბათუმის საოლქო რევკომის დისკრედიტაციას ხედავდნენ, თითქოს ამ დადგენილებამ ავტორიტეტი შეულახა საოლქო რევკომს. სინამდვილეში ეს ასე არ იყო. საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ტაქტიკური სვლები გააკეთა. ადგილობრივი გლეხების გაერთიანება მოახდინა, ორგანიზებული ღარიბი გლეხები ბეგებისა და მეჯლისის წინააღმდეგ გამოიყვანა, თანდათანობით შეამზადა პირობები მეჯლისის ხელისუფლებისაგან ჩამოცილებისა და კომინისტური დიქტატურის დამყარებისათვის.

მართალია, ღარიბი გლეხების კრებების მოწყობა და გლეხთა კომიტეტების შექმნა 1921 წლის ივლისის მეორე ნახევარში დაიწყო, მაგრამ მასობრივი შეკრებები და მიტინგები აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში მიმდინარეობდა. 1921 წლის 18 აგვისტოს ხულოში გაიმართა გლეხთა მრავალათასიანი მიტინგი, რომლის ორგანიზაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტმა და ოლქის რევკომმა. მათ ეკუთვნით ამ შეკრების საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომები“ - 4, 2019

სცენარის დადგმა. პარტიის საოლქო კომიტეტისა და ოლქის რევკომის ხელმძღვანელობამ იმდაგვარად წარმოაჩინა საქმე, თითქოს გლეხებმა სტიქიურად დაიწყეს გამოსვლები ბეგების, მოქმედი მეჯლისის წინააღმდეგ. ღარიბი გლეხების სახელით კომუნისტებმა გაახმოვანეს ლოზუნგები: „თავდაპირველად რევოლუცია, შემდეგ- ავტონომია“. ეს ნიშნავდა პირველ რიგში კომუნისტური ხელისუფლების დამყარებას, შემდეგ შეიძლებოდა ლაპარაკი ავტონომიაზე.

გლეხებმა არც კი იცოდნენ, რას ნიშნავდა „რევოლუცია“, „ავტონომია“, რა იყო მეჯლისი, რევკომი. მიუხედავად ამისა ხულოს მაზრის გლეხთა შეკრების დადგენილება მოითხოვდა მეჯლისის დათხოვნას, ახალი ხელისუფლების შექმნას. კრებაზე აირჩიეს გლეხთა სამაზრო კომიტეტი 7 კაცის შემადგენლობით, რომელსაც თავისი მუშაობა უნდა წარემართა მხოლოდ ბათუმს საოლქო რევკომის ხელმძღვანელობით (რკა, 1963:52-53).

უღარიბესი გლეხების შეკრებები და მიტინგები აჭარის სხვა მაზრებში, სასოფლო თემებსა და სოფლებშიც გაიმართა. ამ შეკრებებზე აქტიურობდნენ შერიფ აბდიბა, ეროვნებით აფხაზი, მემედ გოგიბერიძე, რიზა გოგიტიძე, ოსმან მოწყობილი თახსიმ ხიმშიაშვილი, ხასან ბერიძე, ზეჟერია ლორთქიფანიძე, იუსუფ ცივაძე, ოსმან ცენტერაძე, სულეიმან სარჯველაძე, ჯემალ ფაღავა, ფერათ ლორთქიფანიძე, მემედ გათენაძე, ახმედ ჩხეიძე, ქემალ ნოლაიდელი, რეჯებ თხილაიშვილი და სხვები. 1921 წლის 31 აგვისტოს შეიქმნა აჭარის უღარიბეს გლეხთა ცენტრალური კომიტეტი 9 წევრით. თავმჯდომარედ აირჩიეს შერიფ აბდიბა. კომიტეტის ძირითადი ამოცანები იყო მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა, ფეოდალების ბატონობისაგან განთავისუფლება, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მთლიანად აჭარაში. გლეხთა ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა საქართველოს რევოლუციური კომიტეტისაგან დაბეჯითებით მოითხოვდა აჭარაში თბილისიდან გამოცდილი კომუნისტების გამოგზავნას, რათა ადგილზე ჩატარებიათ ახსნა-განმარტებითი მუშაობა საბჭოთა რევოლუციის მნიშვნელობის შესახებ და გაეწიათ ხელმძღვანელობა გლეხებისათვის ბატონყმობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში (რკა, 1963:54-55).

მეჯლისი არ აპირებდა თავისი პოზიციის ასე მარტივად დათმობას, შეურიგებლად იბრძოდა კომპარტიის საოლქო კომიტეტისა და ოლქის რევკომის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელები თავიანთი პოზიციების განმტკიცებისათვის იყენებდნენ ბათუმის მუშათა კლასს პროფკავშირების წარმომადგენლობით და ღარიბ გლეხთა კომიტეტებს. ცხადია, პარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტსა და ოლქის რევკომს ზურგს უმაგრებდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი და უთანაბრო ბრძოლაში მეჯლისს საკმარისი ძალა არ აღმოაჩნდა თავისი პოზიციის დასაცავად. იგი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1921 წლის 31 აგვისტოს გაიმართა რევკომის, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის, პროფკავშირებისა და ღარიბთა ცენტრალური კომიტეტის გაერთიანებული სხდომა. იგი ეხებოდა საკითხს რევკომის შემადგენლობაში მეჯლისის, პროფკავშირებისა და ღარიბთა კომიტეტის წარმომადგენელთა შეყვანის შესახებ. სხდომაზე მოისმინეს ხასან ლორთქიფანიძის მოხსენება მეჯლისისა და აჭარის ღარიბთა კომიტეტის შეთანხმების ძირითადი პრინციპების შესახებ. საქმე ის არის, რომ ღარიბ გლეხთა ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნით 1921 წლის 31 აგვისტოს გაიმართა მოლაპარაკება მეჯლისთან რევკომის რეკონსტრუქციის შესახებ. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის წარმომადგენლებიც. დადგენილება თხოვდა საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს, შეექმნა აჭარის რევკომი მეჯლისის, აჭარის ღარიბთა კომიტეტისა და პროფკავშირების

წარმომადგენლებისაგან. აჭარის რევკომს უფლება მისცემოდა ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისრების თანამდებობაზე კანდიტატების წამოყენების შესახებ (რკა, 1963:55-56).

კომუნისტებმა მიაღწიეს თავიანთ საწადელს. ეს იმაში გამოიხატა, რომ ბათუმის რევკომი გამოცხადდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ერთადერთ ორგანოდ. იგი წარმოდგენილი იყო მეჯლისის, ღარიბთა კომიტეტისა და ბათუმის პროლეტარიატისაგან. ბეგებს და კაპიტალისტებს არ ეძლეოდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, განხორციელებოდა მაზრებისა და სასოფლო რევკომების გადარჩევნები. არჩევნების ხელმძღვანელობა დაეკისრა რევკომს და არა მეჯლისს (რკა, 1963:57-58). ამის შემდეგ ღარიბთა კომიტეტის როლი კიდევ მეტად გაიზარდა. ამას ისიც მოწმობს, რომ მეჯლისმა თავისი წარმომადგენელი მიავლინა ღარიბთა კომიტეტში, რომელსაც დაეკისრა მათ შრის ურთიერთობის მოწესრიგება.

გლებთა კომიტეტის შექმნის შემდეგ აჭარაში ხელისუფლებისათვის მებრძოლი ახალი ორგანიზაცია გაჩნდა. მართალია, კომუნისტები ღარიბ გლებებს იყენებდნენ ბეგებისა და მეჯლისის წინააღმდეგ, მაგრამ გლებთა კომიტეტს საკუთარი ამოცანები ჰქონდა, რომელიც განსხვავდებოდა როგორც მოქმედი მეჯლისის, ისე რევკომის მიზნებისაგან. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აჭარის გლებთა კომიტეტს მეჯლისის სერიოზულ ოპოზიციურ ძალად და ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ძირითად მიმართულებად თვლიდა. ამითაც იყო განპირობებული, რომ გლებთა კომიტეტის წარმომადგენლები შედიოდნენ განახლებული მეჯლისის შემადგენლობაში. რევკომის 9 წევრიდან სამი გლებთა კომიტეტის წარმომადგენელი იყო. ესენი არიან: ჯემალ ფაღავა, ზექერია ლორთქიფანიძე და ხასან ბერიძე (რკა, 1963: 61-63). გლებთა კომიტეტის წარმომადგენელი ჯემალ ფაღავა ავტონომიური რესპუბლიკის პირველ მიწადმოქმედების სახალხო კომისრად დანიშნეს.

აჭარაში 1921 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში მიმდინარეობდა რევკომებისა და გლებთა კომიტეტების გადარჩევნები, რის შედეგად ახალი შემადგენლობა ჩამოყალიბდა. გრძელდებოდა ხელისუფლებისათვის ულმობელი ბრძოლა, დაპირისპირება და თავდასხმები. კომუნისტური პარტოკრატია ამისათვის იყენებდა უღარიბეს გლებთა ჩამორჩენილ, შეუგნებელ ნაწილს. მაგალითად, 1921 წლის 8 სექტემბერს ხულოს სამაზრო ცენტრში მაზრის ღარიბთა კომიტეტის წევრებმა დაარბიეს ადგილობრივი რევკომი, რომლის წევრების ნაწილი ბეგები ყოფილან. ისინი შენობიდან გამოყარეს, რევკომი დაითხოვეს. რევკომის შენობაზე გამოკიდეს წითელი დროშები ნამგლითა და უროთი გამოსახული. ღარიბთა კომიტეტმა თანამდებობიდან მოხსნა ხულოს მაზრის მილიციის უფროსი. ხულოს მაზრაში ხელისუფლება გლებთა კომიტეტმა თავის ხელში აიღო (რკა, 1963: 60-61).

ქედის მაზრაში ღარიბ გლებთა კომიტეტი 1921 წლის სექტემბერში შეიქმნა. აჭარის გლებთა ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 22 სექტემბრის დაგენილებით ქედის მაზრაში მოსახლეობის ხელმძღვანელობა დაეკისრა ღარიბთა კომიტეტს. საქმე ის არის, რომ ქედის მაზრის რევკომის წევრები შანტაჟისა და დევნის გამო თავშეფარების მიზნით თურქეთში გადავიდნენ და მაზრა ხელმძღვანელობის გარეშე დარჩა. 1921 წლის 23 სექტემბერს ქედის მაზრაში გაიმართა გლებთა შეკრება, რომელშიც 2500 კომლის წარმომადგენელი მონაწილეობდა. შეკრების თავმჯდომარე იყო შაქირ შერვაშიძე, ხოლო მდივანი - ხასან ბეჟანიძე. კრებაზე მოხსენებით გამოვიდნენ თახსიმ ხიმშიაშვილი და ხასან ბერიძე. მათ ილაპარაკეს ღარიბ გლებთა კომიტეტის დანიშნულებისა და ამოცანების შესახებ. კრებაზე იმსჯელეს ძველი რევკომის საქმიანობის შესახებაც (აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 7, ფურც. 5-12).

სამაზრო, სათემო და სასოფლო გლეხთა კომიტეტების ორგანიზაციისათვის ხალხმრავალი შეკრებები გაიმართა კაპანდიბის, დოლოგნის, აჭარისწყლის, კახაბრის, მარადიდის, ორთაბათუმის, ქობულეთის, ჩაქვის, ჭახათის სოფლებში, რომლებშიც მონაწილეობდნენ აჭარის გლეხთა ცენტრალური კომიტეტის წევრები: შერიფ აბდიბა, მემედ გოგიბერიძე, ოსმან მოწყობილი, რიზა გოგიტიძე, ოსმან ცენტერაძე, სულეიმან სარჯველაძე იუსუფ ცივაძე და სხვები. ამ კრებებზე გლეხთა კომიტეტების წევრებთან ერთად აირჩიეს რეკომენდების წევრებიც. მაგალითად, 1921 წლის 2 და 3 ოქტომბერს გაიმართა კაპანდიბის და აჭარისწყლის სასოფლო თემების კრებები, სადაც სიტყვით გამოვიდნენ შერიფ აბდიბა, ოსმან მოწყობილი და მემედ გოგიბერიძე. აჭარისწყლის სასოფლო თემის გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს სალიხ ჯინჭარაძე, წევრებად - ოსმან ბერიძე, ახმედ ბეკირიშვილი, ახმედ გორგოშაძე, ფერათ ლორთქიფანიძე, ოსმან წულუკიძე, ხასან ცისკარიძე, ალი გვიანიძე, ქამილ ჟღენტი და სხვები (აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 7, ფურც. 6; ს.13, ფურც.14, 15, 27-28).

ორთაბათუმის სასოფლო თემში, სადაც 34 დსახლება შედიოდა, გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს სულეიმან სარჯველაძე, თანაშემწედ - დაუთ ხალვაში. სოფელ კაპრე-შუმში-ხუსეინ კორძაია; კაპანდიბის თემში, სადაც 12 სოფელი შედიოდა, გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს მუსა თედორაძე, თანაშემწედ - იუსუფ მიქელაძე. ქვედა მარადიდის თემში - ალი დიდმანიძე და სხვა. გლეხთა კომიტეტები აჭარის ყველა მაზრასა და სასოფლო თემში შეიქმნა, სადაც აირჩიეს თავმჯდომარეები, თანაშემწეები და კომიტეტის წევრები. მაგალითად, კინტრიშის სასოფლო თემის გლეხთა კომიტეტის დავმჯდომარედ აირჩიეს რეჯებ გოხიძე, ქობულეთის თემის - ხუშუტ მჟავანაძე, ჩაქვის - სულეიმან ბარამიძე, ჭახათის თემის - მემედ გოგიტიძე. ქობულეთის სასოფლო თემის სოფელ გვარას გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარე იყო ოსმან მოწყობილი; კინტრიშის სასოფლო თემის სოფელ წყაროვკაში - ქემალ ნოლაიძე, სოფელ კვირიკეში - სულეიმან ცენტერაძე და სხვა. ღარიბ გლეხთა კომიტეტის წევრებმა, განსაკუთრებით თავმჯდომარეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. სამწუხაროდ, XX საუკუნის 30-იან წლებში მრავალი მათგანი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად იქცა (აცსა, ფ. რ-11, ან. 1, ს. 27, ფურც.1-4).

სასოფლო და სათემო გლეხთა კომიტეტების ჩამოყალიბების შემდეგ შეიქმნა სამაზრო კომიტეტები. ჭოროხის მაზრის გლეხთა კომიტეტი შეიქმნა 1921 წლის 30 ივლისს, ქედისა და ხულოს მაზრებში-ავგისტოსა და სექტემბერში. კინტრიშის მაზრის გლეხთა კომიტეტი შეიქმნა 1921 წლის ოქტომბერში. მის შემადგენლობაში 28 კაცი შედიოდა. თავმჯდომარედ აირჩიეს რამიზ ჯაფარიძე, მოადგილედ - აზიზ კაიკაცისშვილი, პრეზიდიუმის წევრად - რეჯებ ბეჟანიძე. კომიტეტს ჰყავდა ორი მდივანი - ვარლამ მახარაძე და ნიკო ამირიდი. საქმეთა მმართველი იყო დათიკო კვაჭანტირაძე, საქმისმწარმოებელი - სოკრატე წულაძე, მოლარე - ასლან თამაზაშვილი, რეგისტრატორი - მარუსია წულაძე. კომიტეტს ემსახურებოდა შიკრიკი და დარაჯი. კინტრიშის მაზრის გლეხთა კომიტეტის შემადგენლობაში, როგორც წევრები, შედიოდნენ სასოფლო თემების და ღარიბთა კომიტეტების თავმჯდომარეები: ჩაქვის- სულეიმან ბარამიძე, კინტრიშის - რეჯებ გოხიძე, ქობულეთის - ხუშუტ მჟავანაძე, ჭახათის თემის - მემედ გოგიტიძე (აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 9, ფურც. 5-7; ფ. რ-11, ან. 1, ს. 27, ფურც. 1-4).

გლეხთა კომიტეტებს ისეთი მნიშვნელობა მიანიჭეს, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება სახლემწიფო ბიუჯეტიდან აფინანსებდა, მათ საერთო მუშაობას წარმართავდა და ამავე დროს აკონტროლებდა. აჭარაში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ამოცანების პრაქტიკული შემსრულებლები იყვნენ დამბაროვი, საჯაია, ურუშაძე. 1921 წლის "Transactions" of the Adjara AR Regional Scientific Centre of the Georgian National Academy of Sciences, vol. - 4, 2019



სექტემბერსა და ოქტომბერში რევკომსა და მეჯლისს შორის იმდენად გამწვავდა ურთიერთობა, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება იძლებული გახდა აჭარიდან ისინი გაეწვიათ. მაგრამ მათ დამცველად გამოვიდა გლეხთა ცენტრალური კომიტეტის ბიურო, რომელმაც 1921 წლის ოქტომბერს მოისმინა შერიგ აბდიბას მოხსენება აჭარის პოლიტიკური ხელმძღვანელების ღამბაროვის, საჯაიას, ურუშაძის შესახებ. ღარიბთა ცენტრალური კომიტეტის ბიურო თხოვნით მიმართავდა საქართველოს მთავრობას დაეტოვებინათ ისინი აჭარაში სამუშაოდ. მიუხედავად ამისა ღამბაროვი დროებით ჩამოაცილეს რევკომს, დანიშნეს საქართველოს საგარეო საქმეთა კომისარიატის წარმომადგენლად ბათუმში (რკა, 1963: 65, 74).

ხასან ლორთქიფანიძე, რომელიც დროებით რევკომის თავმჯდომარე იყო, კომუნისტების პლატფორმაზე გადავიდა. ამას ისიც მოწმობს, რომ ხელს უწყობდა გლეხთა კომიტეტების ჩამოყალიბებას. ხასან ლორთქიფანიძე 1921 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს რევკომს დეპეშით ატყობინებდა: ღარიბთა კომიტეტები შექმნილია მთლიანად აჭარის მასშტაბით და გლეხები აქტიურად მონაწილეობენ მის საქმიანობაში. დაპატიმრებული არიან ის პირები, რომლებიც გამოვიდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მათი დაპატიმრება მოხდა ადმინისტრაციული ძალების გარეშე, თვითონ გლეხების მიერ. ჩემი ბრძანებით დაპატიმრებულები განთავისუფლებულები არიან (რკა, 1963: 79-80).

მართალია, მეჯლისმა შეიცვალა თავისი პოზიცია რევკომთან დაკავშირებით. ზეწოლის შედეგად მეჯლისმა დათმო ხელისუფლება და რევკომი გამოაცხადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ერთადერთ ორგანოდ, მაგრამ კომუნისტური ხელისუფლება არსებულ მეჯლისს მაინც უნდობლობით ეკიდებოდა. თანდათანობით ამზადება მის დათხოვნას და ახალი შემადგენლობის მეჯლისის შექმნას, რომელსაც აირჩევდნენ გლეხთა ყრილობაზე. ამის ინიციატორად და ორგანიზატორად გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტი. 1921 წლის 2 ნოემბერს პარტიის საოლქო კომიტეტმა მიიღო დადგენილება ე. წ. უპარტიოთა ყრილობის მოწვევის შესახებ, სადაც დაასამარებდნენ კომუნისტური რეჟიმის მოწინააღმდეგე ძალებს. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის დადგენილებით „უპარტიოთა ყრილობა“ გაიხსნა 1921 წლის 7 ნოემბერს, „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ გამარჯვების დღეს. ყრილობას დაესწრო 292 დელეგატი, რომელთა შორის 230 სოფლის ღარიბი გლეხი იყო. ყრილობის მომზადებასა და მიმდინარეობაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ღამბაროვი, ჟღენტი, ქავთარაძე, რამიშვილი და სხვები (რკა, 1963: 82-85, 89).

ღარიბ გლეხთა ყრილობაზე ცენტრალური აგილი ეკავა მიწის საკითხს. რეზოლუციაში, რომელიც 9 ნოემბერს მიიღეს, ნათქვამია: საჭიროა სახნავი მიწების, სამოვრებისა და ტყეების გამოკვლევა. მიწები უნდა ჩამოერთვას ფეოდალებს და უსასყიდლად გადაეცეს იმათ, ვინც საკუთარი შრომით ამუშავებს. პირველ რიგში ღარიბ გლეხებს. მათ უნდა გადაეცეს ასევე სახელმწიფო და საუფლისწულო მიწებიც. დადგენილებასა და დელეგატების გამოსვლებში ლაპარაკია სავაყუფო მიწების შესახებაც. აღინიშნა, რომ სავაყუფო მიწები დაიტაცეს სასულიერო პირებმა და აუცილებელია მათი დაბრუნება მეჩეთებისათვის. დაგმობილია მიწის იჯარით გაცემა.

ღარიბ გლეხთა ყრილობამ განიხილა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მდომარეობა და აღნიშნა, რომ ამ მხრივ აჭარაში უმძიმესი ვითარება იყო. რეზოლუცია მოითხოვდა აჭარაში საავადმყოფოებისა და საფერშლო პუნქტების გახსნას, მოსახლეობისადმი უფასო სამედიცინო დახმარებას. კიდევ უფრო მძიმე ვითარება არსებობდა მოსახლეობის სურსათით მომარაგებაში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომები“ – 4, 2019

მოსახლეობის ნაწილი შიმშილობდა. ყრილობამ გადაჭრით მოითხოვა დამშეულთათვის დახმარების გაწევა. ყრილობის დადგენილებით დაევალა რევკომსა და ღარიბთა კომიტეტს შეესწავლა მოსავლის მდგომარეობა, თხოვნით მიემართათ საქართველოს მთავრობისათვის, რათა გამოეყოთ აჭარისათვის საჭირო სურსათი. ღარიბთა კომიტეტს დაევალა აგრეთვე მისი სამართლიანი განაწილება (რკა, 1963:234-235). ყრილობის მუშობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მარლთმსაჯულების საკითხებს. მოხსენებით გამოვიდა ხასან ლორთქიფანიძე. ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ უახლოეს დროში უნდა ჩატარდეს სახალხო სასამართლოების არჩევნები (რკა, 1963:85-86).

ღარიბ გლეხთა ყრილობამ მუშაობა დაამთავრა 11 ნოემბერს. მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ვ. ი. ლენინს, საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს. ყრილობის ბოლო სხდომაზე აირჩიეს გლეხთა ცენტრალური კომიტეტისა და მეჯლისის ახალი შემადგენლობა. გლეხთა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში აირჩიეს 47 კაცი, რომელშიც ყველა ძველი წევრი შევიდა. გლეხთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს შერიფ აბდიბა. ყრილობის დადგენილებით დაითხოვეს მანამდე არსებული მეჯლისი, რომელიც შეამკეს „შავი მეჯლისის“ სახელწოდებით. აირჩიეს ე. წ. წითელი მეჯლისი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს რევკომის პრეზიდიუმის გაფართოებულმა სხდომამ 1921 წლის 15 ნოემბერს დაამტკიცა აჭარის ავტონომიური მეჯლისის ახალი მეჯლისი (რკა, 1963:88).

„წითელი მეჯლისის“ შემადგენლობაში 50 კაცი შედიოდა. მის შემადგენლობაში შეიყვანეს გლეხთა ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრი. ხულოს მაზრიდან „წითელი მეჯლისის“ წევრი იყო 9 პიროვნება. მათ შორის: იუნუს ბერიძე, მურად მახარაძე, მუხამედ ველიოლი (დავითაძე); კინტრიშის მაზრიდან – 7 კაცი. მათ შორის: ისმაილ კაიკაციშვილი, ქემალ ნოღაიდელი, ხასან თხილაიშვილი, ხუსეინ გოგიტიძე, ახმედ ხალვაში; ქედის მაზრიდან – 6 პიროვნება: მემედ გათენაძე, ხასან ჩალოლი (ჩავლეიშვილი), შუქრი თურმანიძე; აჭარისწყლის მაზრიდან – 3; ბათუმის მაზრიდან – 7 კაცი: ყარაღა ხალვაში, ხასან ბაკურიძე, მურად ბაკურიძე, დურსუნ თედორაძე და სხვ. „წითელი მეჯლისის“ შემადგენლობაში შედიოდნენ გლეხთა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებიც: ზექერია ლორთქიფანიძე, ოსმან ცენტერაძე, რიზა გოგიტიძე, ხასან ბერიძე, ჯემალ ფაღავა, ახმედ ტარიელოლი, ხუსეინ კომახიძე, სულო ქუჩუკოლი, სულეიმან სარჯველაძე (აცსა, ფ. რ-11, ან. 1, ს. 31, ფურც. 1-5).

გადარჩევნების შედეგად შეიქმნა გლეხთა სამაზრო და სათემო კომიტეტების ახალი შემადგენლობა. მაგალითად, ბათუმის მაზრის გლეხთა კომიტეტის შემადგენლობაში 10 კაცი შედიოდა. თავმჯდომარედ ირჩიეს ოსმან ცენტერაძე; კინტრიშის გლეხთა სამაზრო კომიტეტში შედიოდა 11 წევრი. თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს რამიზ ჯაფარიძე; აჭარისწყლის მაზრის გლეხთა კომიტეტის წევრი იყო 7 კაცი. თავმჯდომარედ აირჩიეს ახმედ გორგოშაძე; ქედის მაზრის „ფუხარა კომიტეტის“ თავმჯდომარედ აირჩიეს მემედ დიასამიძე. 1922 წლის ივნისში ბათუმის მაზრის ღარიბ გლეხთა კომიტეტი გაუქმდა, მოტივაცია ის იყო, რომ ერთ შენობაში ჰქონდათ რეზიდენცია. 1921 წლის ივლისის მეორე ნახევრიდან ნოემბრამდე ღარიბ გლეხთა კომიტეტები დაკავებული იყო ორგანიზაციული მუშაობით და ე. წ. „შავი მეჯლისის“ წინააღმდეგ ბრძოლით. ბოლშევიკებმა ღარიბთა კომიტეტების დახმარებით დაამყარეს ერთმმართველი კომუნისტური რეჟიმი. ამის შემდეგ, ღარიბი კომიტეტების მუშაობა ახალ სტადიაში შევიდა. ის იხილავდა სახელმწიფო დაწესებულებებში გლეხთა წრიდან კადრების გაგზავნას, პატიმრების განთავისუფლების, სურსათის განაწილების, მეჩეთების რემონტის, მიწის, საძოვრების, ტყის სარგებლობის და სხვა საკითხებს.

ღარიბთა კომიტეტის რეკომენდაციით აჭარის სახელმწიფო ორგანოებში სამუშაოდ მიიღეს ზეჟერია ლორთქიფანიძე, სულეიმან დიასამიძე, ხასან ბერიძე, შერიფ აბდიბა, ხასან ლორთქიფანიძე, ახმედ (ემინახმედ) დემეტრაძე, სულეიმან ბარამიძე, ოსმან მოწყობილი, ჯემალ ფაღავა, რიზა გოგიტიძე, ხასან ჩალოღლი, მემედ გათენაძე და სხვები. აღნიშნული პირები ავტონომიური რესპუბლიკის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეები გახდნენ. მაგალითად, ოსმან მოწყობილი, მემედ გოგიბერიძე, ზეჟერია ლორთქიფანიძე სხვადასხვა დროს აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს თამჯდომარედ მუშაობდნენ. სახალხო კომისრის თანამდებობაზე დააწინაურეს ჯემალ ფაღავა, ხასან ბერიძე, ხასან ჩალოღლი, მემედ გათენაძე, ახმედ დემეტრაძე და სხვები.

სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებში კადრების დანიშვნა-დაწინაურების საკითხს კომუნისტური პარტიული ორგანოები წყვედნენ. მაგრამ ამ მიმართულებით გლეხთა კომიტეტები თავის დადებით აზრს გამოთქვამდნენ, რეკომენდაციას აძლევდნენ ღარიბ გლეხთა ფენებიდან გამოსულ ნიჭიერ ახალგაზრდებს სახელმწიფო აპარატში თანამდებობათა დასაკავებლად. პარტიული ორგანოების ხემძღვანელები, კონიუნქტურიდან გამომდინარე, გლეხთა კომიტეტის რეკომენდაციებს, შეთავაზებებს პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ. ცხადია, ასეთ მიდგომებს დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ღარიბ გლეხთა კომიტეტის ერთმნიშვნელოვნად შეფასება არ შეიძლება. მან უარყოფითი როლი შეასრულა საზოგადოების ერთიანობის შექმნაში. ხელი შეუწყო კომუნისტების მიზანდასახულებას განსხვავებული სოციალური ფენების დაპირისპირებას. იგი ბოლშევიკების ბრმა იარაღი აღმოჩნდა კომუნისტური რეჟიმის ჩამოყალიბებაში. კომუნისტური ხელისუფლება მეთოდურად იყენებდა ღარიბთა კომიტეტებს მათთვის არასასურველი პირების პარალიზებისათვის. გლეხთა კომიტეტების საქმიანობაში დადებითია ღარიბ გლეხთა წრიდან ნიჭიერი ახალგაზრდების საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ სამსახურში ჩაყენებისათვის ზრუნვა. ამასთან, ღარიბ გლეხთა კომიტეტი გაბედულად იბრძოდა უსამართლო დაპატიმრებების წინააღმდეგ. აჭარის „ფუხარა ხალხის“ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1922 წლის 7 იანვარს განიხილა საკითხი პოლიტიკური პატიმრების შესახებ. მაშინ საჭიოთა ხელისუფლებას დაპატიმრებული ჰყავდა ხიმშიაშვილების, ბიბინიევილების, ქიქავების, ფაღავების საგვარეულოს წევრები და სხვები. ბიუროს დადგენილებაში წერია: დატოვებულ იქმნან ციხეში ხუსეინ-ბეგ ბიბინ-ზადე, ბექირ აბუსერიძე, რიზა-ბეგ წულუკიძე; განთავისუფლდნენ ციხიდან და გადასახებული იქმნან ისრაფილ ხიმშიაშვილი, სელიმ ხიმშიაშვილი, ბეხრი ხიმშიაშვილი; ციხიდან განთავისუფლდნენ და ადგილზე საცხოვრებლად დატოვონ ზაბით ხიმშიაშვილი, დევრიმ ხიმშიაშვილი, სული ბიბინ-ზადე. ალბათ ამ კატეგორიის პატიმრები განთავისუფლების შემდეგ პოლიტიკური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. სრულიად განთავისუფლდნენ ხუსეინ მჟავანაძე, მამუდ ბიბინ-ზადე, იუსუფ ქიქავა, სულეიმან ფაღავა, ზია ხარაზი, ისმაილ ლორთქიფანიძე (აცსა, ფ. რ-12, ან. 1, ს. 3, ფურც. 4)

აჭარის საგანგებო კომისიამ 1922 წლის თებერვალში დააპატიმრა მუსლიმანი ქართველების კიდევ ერთი ჯგუფი. მათ შორის ღარიბ გლეხთა ცენტრალური კომიტეტის წევრები. აჭარის გლეხთა ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაპატიმრებულთა საკითხი განიხილა 23 თებერვალს. ბიურომ თხოვნით მიმართა აჭარის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს აჭარელი მუსლიმების განთავისუფლების თაობაზე, რადგან ისინი უსამართლოდ იყვნენ დაპატიმრებულები

მაშინდელ ვითარებაში დადებითად ჩაითვლება გლეხთა კომიტეტის ბრძოლა აჭარის ავტონომიის სტატუსის პოლიტიკური და იურიდიული განმტკიცებისათვის. გლეხთა ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1922 წლის 24 თებერვალს იმსჯელა აჭარის ავტონომიის შესახებ და მიიღო სათანადო დადგენილება. ღარიბ გლეხთა ცენტრალური კომიტეტის ბიურო თხოვნით მიმართავდა აჭარის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს საქართველოს საბჭოების ყრილობაზე აჭარიდან წარგზავნილ დელეგატებს თახსიმ ხიმშიაშვილს, რეჯებ ნიჟარაძეს, აბდულ გოგოს, ხასან ჩიჯავაძე, სულეიმან დიასამიძეს დაევალონ ყრილობაზე დააყენონ საკითხი აჭარის ავტონომიის უფლებებისა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან დამოკიდებულების შესახებ. გლეხთა ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოითხოვდა საქართველოს საბჭოების ყრილობის დადგენილებაში აჭარის ავტონომიის, მისი უფლება-მოვალეობის ოფიციალურ დაფიქსირებას (აცსა, ფ. რ-12, ან. 1, ს. 3, ფურც. 13-14).

აჭარის საბჭოების პირველი ყრილობის (1922 წლის იანვარი) შემდეგ, როდესაც შეიქმნა სახემწიფო ხელისუფლების ახალი ორგანოები-ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო, სამაზრო და სათემო საბჭოები და მისი აღმასკომები, მეჯლისისა და რევოლუციური კომიტეტის არსებობა აღარ იყო საჭირო. ისინი გაუქმდა. მაგრამ გლეხთა კომიტეტი დარჩა. ამის შემდეგ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში წარმოიქმნა მართვის პარალელიზმი. სასოფლო თემის საბჭოების გვერდით ფუნქციონირებდა ღარიბთა კომიტეტები. ხელისუფლების განხორციელებაში ისინი ერთმანეთს ეცილობოდნენ. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა 1922 წის 14 მაისს განიხილა ღარიბთა კომიტეტების ფუნქციონირების საკითხი. პრეზიდიუმის სხდომზე ამ საკითხის შესახებ განხსავებული აზრი დაფიქსირდა. ნაწილი მოითხოვდა ღარიბთა კომიტეტების გაუქმებას, რადგან ხელისუფლებაში შეიმჩნეოდა დაბნეულობა, აჭარლებმა არ იციან ვის მიმართონ. მეორე ნაწილი ღარიბთა გლეხთა კომიტეტების გაუქმებას, პოლიტიკური თვალთახედვით, არასწორად თვლიდა, რადგან ასეთი სვლა გავლენას იქონიებდა გლეხთა პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

ამ საკითხზე თავისი პოზიცია დააფიქსირა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ტაკოევმა. მან განმარტა: მოსკოვში ამ თემაზე არსებული კომისიის შემადგენლობაში ყოფნის დროს, რომელსაც სერებრიაკოვი ხემდღვანელობდა, მე დავაყენე საკითხი ღარიბთა კომიტეტების საერთოდ გაუქმების შესახებ, მაგრამ არ მიიღეს. შემდეგ მეორე წინადადება შევიტანე: გავაუქმოთ ღარიბთა კომიტეტების ცენტრალური კომიტეტების ბიუროები, დავტოვოთ მხოლოდ სასოფლო ღარიბთა კომიტეტები. ეს წინადადებაც უარყვეს. ახლა დავრწმუნდი, რომ ღარიბთა კომიტეტები საჭიროა. მათი ფუნქცია უნდა იყოს საბჭოების აპარატზე კონტროლის განხორციელება. დროთა განმავლობაში ღარიბთა კომიტეტები ამოწურავენ თავიანთ ფუნქციებს და შევლენ სასოფლო საბჭოების აღმასკომის შემადგენლობაში (აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს.49, ფურც. 78).

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობა ავტონომიური რესპუბლიკის ღარიბთა კომიტეტის უკმაყოფილო იყო. ამიტომ მუშაობდა ამ ორგანოში ახალი, სანდო კადრების მოსაზიდად. 1922 წლის მაისში პარტიის საოლქო კომიტეტმა განიხილა ახალი არჩევნების ჩატარების საკითხი. ამისათვის სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელმაც მოამზადა საჭირო მასალები და შეადგინა პროცედურის წესები. მაზრებსა და სასოფლო თემებში მიამაგრეს პასუხისმგებელი მუშაკები. მაგალითად, ხულოს მაზრაში მიავლინეს ალექსანდრე

თაყაიშვილი, შალვა დადიანი, რიზა გოგიტიძე, გიორგი კალანდაძე, კაპიტონ კალანდარიშვილი, ელიზბარ კალანდაძე, თეოფანე კუტუბიძე; ქედის – გრამიტონ სვანიძე, ალექსანდრე დუმბაძე, მურად ბერიძე, ბეგლარ კუტუბიძე, თეოფანე დოლიძე და სხვები. აჭარისწყლის მაზრაში – ნანი რამიშვილი, ირაკლი ურუშაძე, სელმან ლორთქიფანიძე, ბესარიონ სიხარულიძე, ივანე სიხარულიძე და სერგო ანთაძე; ბათუმის – პარმენ ნოდია, სულეიმან დიასამიძე, სერგო კალანდაძე, იპოლიტე ბახტაძე და სხვა; კინტრიშის მაზრაში – ვიქტორ სიხარულიძე, რეჯებ ნიჟარაძე, მემედ კაიკაციშვილი და სხვები (აცსა, ფ. 3-1, ს. 49, ფურც. 80).

აჭარის ღარიბ გლეხთა მეორე ყრილობა გაიხსნა 1922 წლის 4 ვნისს ქ. ბათუმში. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა 99 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 12 დელეგატი სათათბირო ხმით. პრეზიდიუმში აირჩიეს 9 კაცი: სულეიმან დიასამიძე, რეჯებ ნიჟარაძე, გიორგი რამიშვილი, რიზალი გოგიტიძე, კირილე თავბერიძე, ფერათ ლორთქიფანიძე, ახმედ დიმიტრაძე, ხასან გოგიტიძე, ახმედ ეფენდი დიასამიძე; სამდივნოში და სამანდატო კომისიაში აირჩიეს სამ-სამი კაცი. ყრილობას მიესალმა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე სულეიმან დიასამიძე და პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი გიორგი რამიშვილი. მათ სიტყვაში ბევრი წარმოჩენილი არიან, როგორც ხალხის მტრები (აცსა, ფ. რ-12, ან. 1, ს. 3, ფურც. 44-48).

ღარიბ გლეხთა II ყრილობის დღის წესრიგში 7 საკითხი იდგა. ძირითადი იყო ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ანგარიში. მოხსენებით გამოვიდა ოსმან მოწყობილი. აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ღარიბთა ცენტრალური კომიტეტის ბიუროში შევიდა 313 განცხადება, რომლებიც ეხება შარიათის, მიწის, წყლის, გზების, სარწყავი არხების გაყვანას, მეჩეთების რესტავრაციას და სხვა საკითხებს. დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან მიღებულია 445 მომართვა, რომლებიც განხილვისთვის გაეგზავნათ შესაბამის ადრესატებს. ღრიბთა ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ჩაატარა 22 სხდომა, სადაც განხილულია 146 საქმე (აცსა, ფ. რ-12, ან. 1, ს. 3, ფურც. 44-45). მოკლე დროში ასეთი მუშაობის ჩატარება ადასტურებს გლეხთა ცენტრალური კომიტეტის დიდ ავტორიტეტს მოსახლეობაში. ღარიბი მოსახლეობა გლეხთა კომიტეტის სახით დამხმარე ძალასა და მფარველს ხედავდა. ყრილობამ მოისმინა მიწათმოქმედების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრების მოხსენებები აღნიშნულ დარგებში არსებული მდგომარეობის შესახებ. ყრილობამ მოითხოვა მემამულეების კონფისკაციაქმნილი მიწების სამართლიანი განაწილება. საგრძნობი ყურადღება დაეთმო ტყეების დაცვას და სხვა საკითხებს.

ალექსანდრე თაყაიშვილმა და შალვა დადიანმა გააკეთეს მოხსენებებ ღარიბთა კომიტეტის ამოცანებისა და ორგანიზაციული საკითხების შესახებ. ღარიბთა კომიტეტი მიჩნეულია დროებით ორგანიზაციად. მისი ამოცანაა მასების შეკავშირება, ხელისუფლების ორგანოებზე კონტროლის განხორციელება (აცსა, ფ. რ-12, ან. 1, ს. 3, ფურც. 44-48). ღარიბ გლეხთა ცენტრალური კომიტეტის ბიუროში 9 კაცი აირჩიეს: რეჯებ ნიჟარაძე, ახმედ დემეტრაძე, ალექსანდრე თაყაიშვილი, რიზალი გოგიტიძე, სულეიმან დიასამიძე, რეჯებ თხილაიშვილი, ახმედ დიასამიძე. კანდიდატებად - მეველუდ ქარცივაძე და ფერათ ლორთქიფანიძე. აჭარის ღარიბთა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს რეჯებ ნიჟარაძე, მდივნად - ახმედ დიმიტრაძე. 1922 წლის 22 დეკემბერს ღარიბთა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეიყვანეს თახსიმ ხიმშიაშვილი და ოსმან მოწყობილი. 1923 წლის ბოლოს ღარიბთა კომიტეტი გაუქმდა, რამდენადაც მისი ფუნქციები ამოწურულად ჩაითვალა (თურმანიძე, 2008: 74).

## FARMER'S COMMITTEES IN AJARA

OTAR TURMANIDZE

### SUMMARY

In the second half of July 1921 and August in Adjara were formed Farmers' committees. The initiator of its creation was the Central Committee of the Communist Party of Georgia. The goal of creating a peasant committee was to eliminate the power of the poor through the rural poor. The peasant committee has fulfilled this task. In January 1922, the peasants' committee had the right to control the state organs. In 1923, in Ajara, peasants' committees were abolished, as their tasks were to be fulfilled.

#### გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

1. აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 7, 9, 13 – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე 7, 9, 13.
2. აცსა, ფ. რ-11, ან. 1, ს. 27, 31 – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-11, ანაწერი 1, საქმე 27, 31.
3. აცსა, ფ. რ-12, ან. 1, ს. 3 – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-12, ანაწერი 1, საქმე 3.
4. აცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 49 – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი პ-1, ანაწერი 1, საქმე 49.
5. რკა, 1963: – Революционные комитеты Аджарии в борьбе за становление и упрочение советской власти (март 1921 г. – январь 1922г.). Сухуми, 1963.
6. თურმანიძე, 2012: – თურმანიძე ო., აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია ( 1921-1940), ბათუმი, 2012.

## ვისწავლოთ მშვილობა („საუნივერსიტეტო დიპლომატია“)

### ზურაბ ხონელიძე

**აბსტრაქტი:** საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან დღემდე ერთერთ ყველაზე მტკივნეულ და გადაუჭრელ პრობლემად რჩება არამართო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არამედ თვით აფხაზეთა და ქართველთა შორის ხელოვნურად წარმოქმნილი სიძულვილის, მტრობის, გაუცხოების, შეხედულებების აღმოფხვრისა და ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციული სიყვარულის, პატივისცემის, თანაცხოვრების, ჭირისა და ლხინის გაზიარების დამოკიდებულების განვითარება.

მართალია ბოლო წლებში სხვადასხვა გზებითა და მოქმედებებით იგეგმება და იდგმება გარკვეული ნაბიჯები არსებული დაპირისპირების გადაჭრისათვის, მაგრამ ჯერჯერობით სასურველი შედეგები მიღწეული არ არის, ავტორი სტატიაში საუნივერსიტეტო სივრცისა და რესურსების ფარგლებში აყალიბებს პოზიტიურ ხედვას რომლის განხორციელებაც დადებითი შედეგების მომტანი გახდება და ეს ითვალისწინებს „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ ამოქმედებას.

ავტორის ნაფიქრალი და გააზრებული “საუნივერსიტეტო დიპლომატიის” ინოვაციური იდეა პირველად გაჟღერება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. რეალურად, საქართველოს შემადგენელი ნაწილის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - 1932 წელს დაარსებული სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის (1979 წლიდან სოხუმის/აფხაზეთის უნივერსიტეტის) სამართალმემკვიდრის, მრავალსაუკუნოვან ზოგადქართულ საგანმანათლებლო ტრადიციების მატარებელ უმაღლეს საგანმანათლებლო-სამეცნიერო კვლევით კერაზე. უნივერსიტეტში, რომელიც ეფუძნება ქართველი და აფხაზი ხალხების საერთო სულიერ და ინტელექტუალურ ფასეულობებს, მულტიკულტურული სისტემების მდგრადობის განმსაზღვრელ - ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. რეალურად წარმოადგენს აფხაზეთთან დამაკავშირებელ ერთ-ერთ ძირითად ცოცხალ, საკვანძო, ეფექტიან სიცოცხლისუნარიან ორგანიზაციულ სტრუქტურას. ეს არის მოცემულობა, რომელიც არა მხოლოდ გავლენას ახდენს, არამედ განსაზღვრავს მის ბედსა და დანიშნულებას.

ქართული სახელმწიფოს ბედის თანაზიარი, „პოლიტიკის მსხვერპლი“ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული მნიშვნელობა, განსხვავებული სტატუსი, ექსკლუზიური სოციალური მისია, არ ამოიწურება მხოლოდ საგანმანათლებლო ფუნქციით, უპირატესობასთან ერთად იგი არამხოლოდ საკუთარ ბედზე, არამედ ქვეყნის ერთიანობაზე- სამშობლოზე ზრუნვის ისტორიული პასუხიმგებლობაა. მართალია უნივერსიტეტის მიზანი (მსგავსად საქართველოში მოქმედი სხვა უმაღლესი სასწავლებლებისა) არის საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობითა და რეალური ინტერნაციონალიზაციის გზით, საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ორგანული ინტეგრირება, მაგრამ, მის ამ უმთავრეს საგანმანათლებლო ფუნქციასთან ერთად, ამოცანა, რომელიც გამოკვეთა მიზანმა-“წეგატიური მშვიდობიდან” - “პოზიტიურ მშვიდობაზე” (Galtung J. 1996) გადასვლის აუცილებლობა - უნივერსიტეტისაგან მოითხოვს ინტელექტუალური რესურსის მაქსიმალურ მობილიზებასა და აუცილებელ კონკრეტულ ქმედებებს, როგორც მინიმუმ:

უნივერსიტეტის ბედის ძალით განსაზღვრული - განსაკუთრებული მისიის, დამატებითი და განსხვავებული პროფილის გამოკვეთას, სტრატეგიული ფუნქციის იდენტიფიცირებას, მისი დანიშნულებისა და ფილოსოფიის კონსტანტაციას, მიზნისა და რეალიზაციის საშუალების - გზის განსაზღვრას;

- I. სამეცნიერო დიალოგის საფუძველზე მშვიდობის, როგორც უალტერნატივო ღირებულებითი კატეგორიის კვლევასა და ლობირებას, მრავალპროფილური სამშვიდობო განათლების მიღებასა და კონფლიქტის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის განვითარებას. საგანმანათლებლო - საუნივერსიტეტო სივრცის მოდერნიზაციას და მის ჩართვას სამშვიდობო პროცესში (Dewey J., 1997);
- II. საქართველოს დედაქალაქში - თბილისში, მისი დროებითი არსებობის ლეგიტიმაციის გამართლებას (Blumenberg H., 1985), რაც მოემსახურება უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდას, საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთობების გაღრმავებას, რაც თავის მხრივ გამორიცხავს აფხაზეთის თემის გვერდის ავლას და უზრუნველყოფს მისი აქტუალურობის პერმანენტულ რეჟიმში შენარჩუნებას.

ფაქტია, საქართველოში კონფლიქტის ტრანსფორმაციის სამშვიდობო პროცესში მონაწილეობენ და ჩართულნი არიან სტრუქტურები, რომელთა დიდი ნაწილი, არასაკმარისი რესურსის, სუბიექტური, თუ ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე, სამშვიდობო პროცესის სრულფასოვან აქტორად ვერ ჩამოყალიბდა. მაგალითისათვის - I. სახელმწიფო-სახელისუფლებო, განსაკუთრებით აღმასრულებელი და საკანონდებლო, მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკის დე-იურე მთავრობა და უამაღლესი საბჭო. მართალია, მათ გააჩნიათ აუცილებელი სახელისუფლებო რესურსი, მოტივაცია და შინაგანი მოთხოვნილება, მაგრამ წარმოადგენენ რა, კონფლიქტის მონაწილე მხარეს (ხშირ შემთხვევაში პერსონალურ დონეზე), რის გამოც არ აქვთ საკმარისი თავისუფლების ხარისხი, შეზღუდულნი არიან შეფასებებში, გამოხატვის ფორმებში და მით უფრო მოქმედებებში. მათი ნების მიუხედავად, ან და სხვა ფაქტორების, თუნდაც ბუნებრივი და საზოგადოებრივის გათვალისწინებით, მათი საქმიანობა ბოლომდე ეფექტიანი და სრულფასოვანი ვერ იქნება. II. არასახელმწიფო - საერთაშორისო ორგანიზაციები (გლობალური, რეგიონული) სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორი, მართალია, არ წარმოადგენენ მხარეს, ისინი ხასიათდებიან თავისუფლების შედარებით მაღალი ხარისხით, მაგრამ არ გააჩნიათ რა, სახელისუფლებო რესურსი. შეზღუდული შესაძლებლობებიდან და არასაკმარისი თავისუფლებიდან გამომდინარე კონცენტრირებულნი არიან შედარებით ნაკლებ ან ლოკალურ პრობლემებზე, იძულებულნი არიან მოემსახურონ „დამკვეთის“ პოლიტიკურ ნებას, შემოიფარგლონ მხოლოდ განწყობების გამოხატვით და ისეთი რეკომენდაციული ხასიათის საქმიანობით, რომელსაც არ გააჩნია განხორციელების მექანიზმი - პერსპექტივა.

ფაქტია, ამა თუ იმ ორგანიზაციული სტრუქტურის, განსაკუთრებით ავტონომიური რესპუბლიკების არსებული სახით, არა თუ ფუნქციონირება, არამედ არსებობაც კი, ხელს უშლის სამშვიდობო პროცესს, იწვევს კონფლიქტის დარეგულირების მიმართ საფუძვლიან იმედგაცრუებას, რაც, თავის მხრივ, ჩვენი ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით საზოგადოების ნიჰილისტურ განწყობებში ტრანსფორმირდება. ასეთია რეალობა და მას თვალი უნდა გაუხსნა.

საკითხისადმი ჰოლისტური და სისტემური ანალიზი გვაიძულებს მოვიძიოთ ის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუციური ერთეული, რომელიც:

არ აღითქმება კონფლიქტის მონაწილე პირდაპირ, ან ირიბ მხარედ, ექნება, როგორც საზოგადოების, აგრეთვე ხელისუფლების მხრიდან ისტორიულად დამკვიდრებული ნდობისა და თავისუფლების მაღალი ხარისხი;



უზრუნველყოფს უალტერნატივო სამშვიდობო ფორმატის ფორმირებას, სივრცე: თავისუფალი-აკადემიური, ენა: სამშვიდობო-დიპლომატიური, დიალოგის საფუძველი: სამეცნიერო-კვლევითი. რაც უზრუნველყოფს, უპირველეს ყოვლისა, ომის სინდრომისაგან თავისუფალ, ყველაზე ჯანსაღი ძალის - სტუდენტი-ახალგაზრდობის ჩართულობას პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში;

იქნება განსაკუთრებული, ეთნიკური, მენტალური და სოციალურ-კულტურული ფასეულობების შემაკავშირებელი, სახელმწიფოსაგან ასოცირებადი აპოლიტიკური ორგანო - ინსტიტუცია, რომელიც ობიექტურობისაგან დაცლილი შედეგების გამართლებას დაუპირისპირებს ყოველმხრივ დასაბუთებულ, ჭეშმარიტ მეცნიერულ აზრს.

დასახელებულ და ყველა არსებულ სხვა აქტორზე მეტად, ერთად-ერთი სახელისუფლებო რესურსის მფლობელი ინსტიტუცია, რომელიც ძირითადად აკმაყოფილებს აღნიშნულ და სხვა აუცილებელ მოთხოვნებს, არის - უნივერსიტეტი. საუბარი არის, არა ზოგადად, არამედ მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტებზე, მათ შორის კი მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, რომელსაც თავისივე სივრცეში შეუძლია შექმნას თვისობრივად ახალი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი პლატფორმა, რომელიც აფხაზეთის უნივერსიტეტთან ერთად, დროსთან თავსებადობითა და მარტივი წესით - საერთო შეცდომების აღიარებისა, თუ გულწრფელ მონანიებით, ორივე მხარისათვის სასარგებლო, ნებაყოფლობითი ურთიერთობით (სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურების აქტიური ჩართულობით), სათავეს დაუდებს:

არსებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით აღიწეროს, გაანალიზდეს და შეფასდეს (შუამავლების გარეშე) ქართული სახელმწიფოსა და მისი დამფუძნებელი ხალხების - ქართველისა და აფხაზის თანაცხოვრების განვლილი გზა, აფხაზეთში მათი გაუცხოვებისა და ურთიერთდაპირისპირების რეალური მიზეზები - რადიკალური ცვლილებების დაწყებიდან დღემდე. ერთად განვსაზღვროთ “ვინ ვართ, სად ვართ და სად მივდივართ?” (**ხონელიძე ზ., 2013**). თუ არ გვინდა დროის მკაცრ (წინასწარ ცნობილ) განაჩენს დაველოდოთ და კვდომილებისაკენ მიდრეკილ (ცალ-ცალკე) სივრცეებად ჩამოვყალიბდეთ, ხელახლა უნდა გავიაზროთ, რომ ეთნიკური სხვაობის მიუხედავად, აფხაზებს კულტურულად და სულიერად არ ყავთ უფრო ახლობელი ერი, ვიდრე ქართველები. მეტიც, აფხაზეთი არასოდეს არ ყოფილა საქართველოს გარეშე და საქართველო უაფხაზეთოდ. სხვა ბუნებრივ, ადამიანურ საწყისებსა და ჩვენს შორის არსებულ იდუმალ კავშირებზე, რომ არაფერი ვთქვათ, ფაქტია - აფხაზები და ქართველები მუდამ ერთი მიწის შვილები იყვნენ და მხოლოდ ქართველებს არ აქვთ კომპლექსი (აფხაზეთში - აფხაზები ცხოვრობენ, ქართველებთან ერთად);

ქართულ-აფხაზური შემდგომი ურთიერთობებისათვის საფუძველის - სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელების განწყობის შექმნის წინაპირობაა - სასიცოცხლოდ აუცილებელი ეროვნებათაშორისი თანხმობის საზოგადოებრივი კონსენსუსისა (**Locke J., 1967**) და კონსოლიდაციის საერთო პლატფორმის მოძიება (**Э.М. Андреев, А.В. Кузнецова, 2004**), რომელიც ყველა არსებულ წინამდებეობაზე მაღლა იდგება, მისცემს საშუალებას - ქართველებსა და აფხაზებს განსხვავებების მიუხედავად, ფასეულობათა თავსებადობით დამლიონ გათიშულობა და თავი აღითქვან - მთავარ ამოცანაზე ორიენტირებულ ერთიან ორგანიზმად. შეიმუშავებს სამხედრო ძალის გამოუყენებლობის ერთობლივი დოკუმენტს, რომელიც უნდობლობის, სამხედრო ძალადობაზე და ამგვარი ძალადობის მზადებაზე საფრთხის შეგრძნების მოხსნის და ის

ქართულ-აფხაზური რეალური რეინტეგრაციის პროცესის დაწყების მთავარ ფაქტორად შეიძლება იქცეს;

დეფინიციების - თავისუფლების, სუვერენიტეტის, უსაფრთხოების, კულტურული თვითმყოფადობის სწორ, ეროვნული ფენომენის გათანამედროვეებულ გაგებას (**Hobsbawm E. J. E., 2012**), დროის - გლობალური პროცესის პერიფერიაზე მიღწევად სახელმწიფო წარმონაქმნად ქცევის საფრთხის შეჩერებას, საერთო მიზნების პროგნოზირებას, საზოგადოებებს შორის კონსენსუსის, კონსოლიდაციის პლატფორმითა და ერთმანეთის საჭიროებათა - ურთიერთ-განპირობებულობის პრინციპის დაცვით გათიშულობის დაძლევა, რეალურად, პროვინციულ-ეთნიკური აზროვნებაზე მოქალაქეობრივ-სახელმწიფოებრივი პრიმატის მიღწევას. სამშობლოს მსახურების ახალი შესაძლებლობების ერთად გაჩენას;

კვანძის გახსნის ახლებური მცდელობა, რომელიც შეკრეს გარე დესტრუქციულმა აქტორებმა, შიდა სახელისუფლებო და სხვა პირად ინტერესს მორგებულ ძალებზე დაყრდნობით, მოითხოვს მთავარ კითხვაზე პასუხის გაცემას: სად არის ბალანსი ქართველებისა და აფხაზების ინტერესებს შორის? აფხაზისთვის, დღევანდელ სამოქმედო სივრცეში აფხაზური კულტურის ეროვნული იდენტობის შენარჩუნება, მის ყალბ - მოჩვენებით დამოუკიდებლობასთან ერთად, შეუძლებელია, რის გამოც ის განწირულია კვდომილებისკენ. ერთადერთი ხსნა არის ის, რაც ისტორიულად არსებობდა - ქართულ-აფხაზური ბუნებრივი საცხოვრისის ერთიანი სივრცე. იგულისხმება, ჩვენი მოძმე აფხაზი ხალხი - ჩაკეტილი და მათი გაქრობისაკენ გამზადებული სივრცის ნაცვლად, გავაფართოვოთ მათი სამოქმედო არეალი - სასიცოცხლო სივრცე საქართველოს მაშტაბით, დავაკავშიროთ და გავხადოთ ცივილიზებულ სამყაროს ნაწილი - ქართველებთან ერთად. ხოლო ქართველები დაიწყებენ სრულფასოვანი, ეფექტიანი, ძლიერი და სამართლიანი სახელმწიფოს შექმნას. ამ უმთავრესი მიზნის უზრუნველყოფისთვის გავაფართოვებთ სამოქმედო სივრცეს აფხაზეთის ამოქმედებით და სხვ.;

სრულიად ახალი, მსოფლმხედველობრივი და გარემო პირობების შესაბამისი კონცეფციის გენერირებას, მისი მოქმედების სფეროს, გეოგრაფიული არეალის (სივრცის) (**Brzezinski Z., 2016**), პარტნიორებისა (ქვეყნის შიგნითა და ქვეყნის გარეთ) და დაინტერესებულ პირთა ქსელის განსაზღვრას. ერთიანი კონფეციის ჩამოყალიბებას, რომლის მიზანია მოემსახუროს ჩვენ საერთო - ქართულ-აფხაზურ ინტერესს, რომლის განხორციელება შესაძლებელია გეოპოლიტიკური ცენტრების, პოლიტიკური სისტემების, ქვეყნების, სოციალური ჯგუფების ინტერესების იდენტიფიცირებით, დაახლოებითა და ჩვენს საერთო - ერთიან სახელმწიფოებრივ ინტერესებთან თანხვედრით;

ქართველი და აფხაზი ხალხების აზროვნებაში პარადიგმულ ცვლილებებს, ცნობილი ტრაგიკული მოვლენების შემდგომ გაჩნილი განსხვავებებისა და წინამდებებების, კულტურულ-მენტალური გაუცხოების აღმოფხვრას. არსებული გათიშულობის - პოზიტიური-კონსტრუქციული განწყობით შეცვლას. ქართულ-აფხაზური სამომავლო თანაცხოვრებისათვის ჩვენი საზოგადოებების მომზადების ხელშეწყობას. ერთიანობის პოსტულატიდან გამომდინარე პასუხს კითხვაზე: რა გზით მივდივართ და ვისი ნების აღმსრულებლები ვართ?! საერთო ისტორიულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, ერთ მთავარ ამოცანაზე - ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენაზე ორიენტირებულ ორგანიზმად ქცევას;

საერთო ქართულ-აფხაზური უნივერსიტეტების ხელოვნური გაყოფის, სოხუმის სახელმწიფო და აფხაზეთის უნივერსიტეტებად, პროცესისა და დამდგარი შედეგით გამოწვეული წინამდებებების საერთო ძალისხმევით დაძლევა, მათ შემდგომ ჯანსაღ (პრინციპით -

მსგავსი იკურნება მსგავსით), არა დომინანტურ ურთიერთობებს. პასიური ლიდერისა და უნივერსიტეტებიდან საერთაშორისო მაშტაბის სამშვიდობო ინიციატივების გაუქვდერებლობით დამდგარი - არსებული რეალობის უკეთესით შეცვლას. აფხაზეთის უნივერსიტეტის (სოხუმი) და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თბილისი) ირენტეგრაციას, სამშვიდობო პროცესის დემოკრატიზაციას, როგორც საგარეო ისე საშინაო პოლიტიკურ ფორმატებში, ახალგაზრდული ვერსიის შექმნასა და საგანმანათლებლო კომპონენტების გაძლიერებას;

საგანმანათლებლო ფორმატის ჩამოყალიბებით, საერთო გამოწვევებისა და საფრთხეების მოხსნის, ინტერესების თანხვედრის იმ ახალი სისტემების შექმნას, რომელიც უნივერსიტეტს მორალურ-ინტელექტუალური ფუნქციის შეძენასთან ერთად საშუალებას მისცემს აფხაზეთში (ასევე ცხინვალის რეგიონში ე.წ. სამხრეთ ოსეთში), მცხოვრები მოსახლეობის განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოწყვადი ჯგუფის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობას, წარმატებისა და შემოქმედებითი თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნის შეძენასა და ხედვის ჩამოყალიბებას;

ქართველი და აფხაზი მეცნიერ-მკვლევარების, განსაკუთრებით საზოგადოებრივი პროცესის მთავარი სულისჩამდგმელი, პოლიტიკური თუ სოციალური ცვლილებების ავანგარდის - სტუდენტი ახალგაზრდობის შეზღუდული შესაძლებლობების გადალახვის, განსხვავებული, ცოდნაზე ორიენტირებული, გარემო პირობების გაუმჯობესებით, თაობათა ახალ ღირებულებებზე აღზრდის, სააზროვნო ველის გაფართოვების, ჯანსაღი და განსხვავებული ინფორმაციული რესურსის შექმნას. სამოქმედო არეალის გაზრდის მიზნით, მათ ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო და მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში;

ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის სრულფასოვანი წევრობის რეალური განცდისა და თანაარსებობის პრინციპების ჩამოყალიბებას, ერთობლივი სამშვიდობო ღონისძიებების მშვიდობის დიპლომატიების/ელჩების მომზადებასა და სხვა ტრადიციების დამკვიდრებას. მშვიდობის სწავლებისა და კონფლიქტოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის განვითარებას, მათ სისტემურ და მეცნიერულ დონეზე კვლევას, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების შესწავლას და მონაწილე მხარეების და მათი ინტერესების დადგენას, შესაძლო თანხვედრას და ა.შ.

რეალურად გარდაიქმნან უნივერსიტეტები, იქცნენ აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან, და საქართველოს ცივილიზებულ სამყაროსთან შემაკავშირებელი ფუნქციის მქონე, ჰარმონიული ურთიერთობისა და თანამშრომლობის ინსტიტუციურად ძლიერ, სისტემურად გამართულ უნიკალურ გზად, გასაღებად და ხიდად. ხიდად, რომელსაც ორი საყრდენი - ნაპირი გააჩნია, ერთი - სოხუმი - აფხაზეთის უნივერსიტეტი, მეორე - თბილისი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

„საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ ეგიდით შექმნილი ფორმატი, ორი ყველაზე ახლობელი ერის წარმომადგენლებს დაგვეხმარება იმის გარკვევაში- “თუ რა გვჭირს? რა სენით ვართ შეპყრობილნი (დაავადებულნი)?“. გამოსავალი არა ჩვენგან შორს, მიუწვდომლის წიაღში, ორმა ძმამ- ქართველმა და აფხაზმა, შუამავლების გარეშე საკუთარი ჯანსაღი წარმოდგენებისა და რეალობის შესაბამისობაში უნდა ვეძებოთ სწორი არჩევანით ერთად განვსაზღვროთ ახალი მიზანი, დავასაბუთოთ მისი საჭიროება, ერთიანობის სარგებლიანობა, სისტემური მიდგომით ჩამოვყალიბოთ მსოფლმხედველობისა და გარემო პირობების შესაბამისი, თანმიმდევრული მოქმედების ერთიანი პროგრამა. მიზნის მიღწევის სხვა დანარჩენი მცდელობა, როგორც დღემდე განცალკევებული „ერთიან ინტერესს მოკლებული“, მომავალშიც არაეფექტიანი

იქნება, არა თუ დაგვაცილებს პრობლემის (თავს მოხვეული კონფლიქტის) გადაწყვეტას, არამედ გაგვიჩენს ახალ საფრთხეებს.

უნივერსიტეტი არა თუ გაურბის პრობლემას, პირიქით, საუბრის ნაცვლად ცდილობს მოემსახუროს მშვიდობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ქმნის საქართველოში მშვიდობის კვლევების აკადემიური, შესაფერისი სასწავლო და კვლევითი გარემო, ამყარებს ჯანსაღ ურთიერთობებს „სოხუმთან“ და დგამს კონკრეტულ ნაბიჯებს. მაგალითისათვის - საუნივერსიტეტო სივრცეში შექმნა „სამშვიდობო განათლების კვლევითი ცენტრი“, მიმართულებებით: I. კონფლიქტოლოგია და რეგიონული პოლიტიკა; II. აფხაზეთის კვლევები, III. საუნივერსიტეტო დიპლომატია. ცენტრი უახლოეს მომავალში, აფხაზი მეცნიერ-მკვლევარების, ახალგაზრდებისა და საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით ჩამოყალიბდება სისტემურად გამართულ, ინსტიტუციურად ძლიერ საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციად, რომელიც შეისწავლის არამარტო საქართველოში არსებულ კონფლიქტებსა თუ მასთან დაკავშირებულ გლობალურ საკითხებს, არამედ, რეგიონში და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებს, კვლევითი და საგანმანათლებლო ნაწილში კონკრეტული პრობლემატიკის, აკადემიური თემების გარდა იგეგმება მშვიდობის კვლევების მოდულების, ახალი საგნების, მიმართულებებისა და სასწავლო-კვლევითი დისციპლინისათვის დამახასიათებელი აკადემიური პრაქტიკის დანერგვა, კონკრეტულ სამეცნიერო საკითხებზე ფოკუსირება, სახლემწიფოსათვის პროგრამების შემუშავება-შეთავაზება და სხვ. უნივერსიტეტი იზიარებს შემდეგ ფილოსოფიას: „იმისათვის, რომ მივაღწიოთ მშვიდობა, უნდა ვისწავლოთ მშვიდობა“.

უნივერსიტეტმა გააღო კარი საკითხით დაინტერესებულ ყველა ჯანსაღი სუბიექტისთვის, გააჩინა რეალური მოლოდინი შიდა და გარე რესურსების მაქსიმალური მობილიზების, სამოქმედო არეალის გაზრდისა და სივრცის გაფართოების გზით იქცეს თავისუფლების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის, შიდა, ეთნიკური, ეთნოპოლიტიკური თუ სხვა ტიპის კონფლიქტების მიზეზების გამოვლენის, მათი დაძლევის, სამშვიდობო განათლების, სწავლების საბაზო, აკადემიურ, სამეცნიერო კვლევით სივრცე-გარემოდ, ინტელექტუალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სულიერი ცხოვრების რეგიონულ საუნივერსიტეტო ცენტრად.

## LET'S LEARN PEACE (UNIVERSITY DIPLOMACY)

ZURAB KHONELIDZE

### SUMMARY

The article deals with the mission of the Sokhumi/Abkhazian University and its role in settling the Georgian-Abkhazian issue.

According to the author, the University represents one of the real ways linking to Abkhazia. Therefore, the government should actively utilize the “university diplomacy” in the settlement of the Georgian-Abkhazian relationship as a lever to restore trust and relations between the two nations.

**ბიბლიოგრაფია**

1. **ხონელიძე ზ.** - საქართველოს არჩევანი სამხრეთ კავკასია - გეოპოლიტიკური სივრცე. თბილისი: 2013.
2. **Galtung J.** - Peace by Peaceful Means. Peace and Conflict, Development and Civilization - Oslo: SAGE Publications Ltd. 1996.
3. **Dewey J.** - Democracy And Education. USA: Free Press; Later Printing edition. 1997.
4. **Blumenberg H.** - The Legitimacy of the Modern Age. Germany: MIT Press. 1985.
5. **Locke J.** Two Treatises of Government. Cambridge: Cambridge University Press; 2 edition. 1967.
6. **Андреев, Э.М. Кузнецова А.В.** -Культура патриотизма и консолидация общества. Москва: Общество И Право. 200 4.
7. **Hobsbawm E. J. E.** - Nations and Nationalism Since 1780. Cambridge: Cambridge University Press. 2012.
8. **Brzezinski Z.** - The Grand Chessboard: American Primacy and Its Geostrategic Imperatives. USA: Basic Books; 2 edition. 2016.
9. **Mancur Olson-** Dictatorship, Democracy, and Development, 1993.
10. **Нуреев Р. М.** Джеймс Бьюкенен и теория общественного выбора. — В кн.: Бьюкенен Сочинения, Дж. М. Конституция экономической политики. Расчёт согласия. Границы свободы / Нобелевские лауреаты по экономике. Т. 1 / Фонд экономической **инициативы**. — М.: Таурис Альфа, 1997.
11. **Williams, David Lay-** Rousseau's 'Social Contract': An Introduction. Cambridge University Press. 2014.
12. **Гаврилишин О.** - Пятнадцать лет преобразований в посткоммунистических государствах. Москва. 2007.

## „ოქროს ურდოს“ ეტიმოლოგია და მოსახლეობის ეთნიკური პინაოზა

### აიშე ბაიზა ბუიშქინარი

ოქროს ურდოს სახელმწიფო უმეტესად მონღოლურ, ყივჩაღურ, თათართა ტომებს და სხვადასხვა მცირე ეთნიკურ ჯგუფებს მოიცავდა. იგი მონღოლურ სახელმწიფოს გამოეყო, მაგრამ პოლიტიკური და ორგანიზაციული თვალსაზრისით შუა საუკუნეების „თურქულ-მონღოლური“ ტიპის პოლიტიკური გაერთიანებას წარმოადგენდა. ჩინგიზ ხანის სიკვდილამდე მონღოლთა იმპერია მისმა შვილებმა გადაინაწილეს. ჩინგიზ ხანის უფროსი შვილის ჯუჩის კუთვნილ ტერიტორიებზე შემდგომში შეიქმნა სახელმწიფო, რომელიც ოქროს ურდოს სახელწოდებით არის ცნობილი.

ოქროს ურდოს სახელმწიფო შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პოლიტიკური გაერთიანებაა. სახელმწიფო, რომლის საზღვრებიც მოიცავდა საკმაოდ ფართო გეოგრაფიას: ყივჩაღის სტეპებს, ჩრდილოეთ კავკასიასა და ხვარაზმს. დასავლეთის საზღვრები კი აღმოსავლეთ ევროპამდე იყო გადაჭიმული. მას მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა როგორც მეზობელ, ისე მისდამი დაქვემდებარებულ ხალხებსა და სახელმწიფოებთან. ოქროს ურდომ მისი წესრიგი დაამყარა სამხრეთ რუსეთის სტეპებში (İlyas Kamalov, 2003:211). მისი გეოგრაფიული არეალი უფრო დაწვრილებით რომ გადმოვცეთ: აღმოსავლეთით მდინარე ირტიშიდან, დასავლეთით მდინარე დუნაიმდე და სამხრეთით დარუბანდამდე და არანამდე, ჩრდილოეთ საზღვარი კი ბულგარეთამდე ვრცელდებოდა (İlyas Kamalov, 2003:202). სამეცნიერო წრეებში არსებული კვლევების საფუძველზე, ამ პოლიტიკური გაერთიანების ტერიტორიის სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე 5600 ვერსტია. სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე მანძილი კი 4000 ვერსტია. ოქროს ურდოს, XIV საუკუნის მეორე ნახევრამდე, როგორც აზიაში ასევე აღმოსავლეთ ევროპაში დიდი პოლიტიკური ძალის მქონე სახელმწიფოს, მჭიდრო დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა ამავე პერიოდის ისეთ სახელმწიფოებთან, როგორცაა: ეგვიპტის მამლუქები, ილხანები, მცირე აზიის სელჩუკები, თემურიდები, ოსმალეთი, ბიზანტია, რუსეთის სამთავრო, ბულგართა სამეფო, უნგრეთი, საქართველო და სომხეთი (A. Melek Özyetgin, 2008:367).

XII საუკუნის ბოლოს მდინარეების ირტიშისა და ენისეის შორის მდებარე რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ტომობრივი გაერთიანებები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებოდნენ. ამ რეგიონში ყირგიზების, ალახინების, ყივჩაღებისა და ოირატის ტომებთან ერთად მათი მონათესავე ოღუზების<sup>1</sup> პოლიტიკური გაერთიანების ქვეშ მყოფი თურქულენოვანი და მონღოლურენოვანი ტომებიც ცხოვრობდნენ (Mehmet Kıldıroğlu, 2013:72). მონღოლთა თავდასხმებმა საკმაოდ ვრცელ გეოგრაფიულ არეალზე დიდი გავლენა მოახდინა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩინეთის, შუა აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ეთნიკური და კულტურული სტრუქტურის თავიდან ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებით, ძირეულად შეიცვალა თურქული სამყაროს ეთნიკური მოზაიკა. ყარლუხების, ყივჩაღების, უიღურების მსგავსმა თურქულმა ტომებმა არსებობა მონღოლეთის იმპერიის ქვედა ფენებში გააგრძელეს

<sup>1</sup> Tokuz Oğuz (Dokuz Oğuz/Chiou-Hsing) თურქული ტომებიდან ერთ-ერთის, ტოლესის ხალხის სახელწოდებაა, რომლებიც მდინარე ტოლას შემოგარენში და აღმოსავლეთ გოქთურქების პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში იყვნენ დასახლებულნი (იხ: Ahmet Taşağıl, 2014:21).

(Osman Gazi Özgüdenli, 2005:228). ოქროს ურდოს სახელმწიფო, მომთაბარე ტომების მიერ დაპყრობების გზითშექმნილი პოლიტიკური გაერთიანება იყო. იგი აერთიანებდა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს; მხოლოდ მმართველი წრეები და სამხედრო ადმინისტრაცია შედგებოდა მონღოლებისაგან (İlyas Kamalov, 2003:199). დაბალ ფენებს კი ძირითადად სხვადასხვა თურქული ხალხები წარმოადგენდნენ. ამიტომ ოქროს ურდოს მხოლოდ მონღოლთა სახელმწიფოდ მოხსენიება მართებული არ იქნება.

ყივჩალები და თათრები ოქროს ურდოს სახელმწიფოში ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს წარმოადგენდნენ. იმის გამო, რომ ოქროს ურდოს სახელმწიფო ყივჩალებით დასახლებულ „ყივჩალთა სტეპებზე“, იგივე „ყივჩალთა ველებზე“ ჩამოყალიბდა, მას ხშირად ამავე სახელწოდებითაც მოიხსენიებდნენ. ხშირად ოქროს ურდოს ჯუჩის შვილების, ჯუჩის ხალხის (ულუსი) ქვეყნასაც ეძახდნენ. იმდენად, რამდენადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს თათრები შეადგენდნენ, მას ხშირად „თათარ-მონღოლთა“ სახელმწიფოს უწოდებდნენ.

შუა აზიაში ყივჩალთა ბატონობა ჩინგიზ ხანისა და მისი სახელმწიფოს შექმნამდე გაგრძელდა. ყივჩალების ძალაუფლების გავრცელების არეალი საკმაოდ ვრცელ გეოგრაფიულ ტერიტორიებს მოიცავდა. იმის გამო, რომ ორ საუკუნეზე მეტ ხანს ეს ტერიტორიები ყივჩალთა საბინადროს წარმოადგენდა, ამ გეოგრაფიული არეალის მათი სახელით მოხსენიება გასაკვირი არ უნდა იყოს. მეორე მხრივ, თათრების შესახებ წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ომის, ნგრევისა და ძარცვის გამო მათ „თათრები“ უწოდეს (Alaaddin Ata Melik Cüveynî, 2012:2; İbnü'l Esir, 316-317).

დღეს მსოფლიო ისტორიოგრაფიაში ცნობილი ოქროს ურდო, რომელსაც ხშირად სახელმწიფოდ, სახანოდ და ზოგჯერ იმპერიადაც კი მოიხსენიებენ, მისი არსებობის პერიოდში აღნიშნულ სახელს არ ატარებდა. ამ სახელთან დაკავშირებით თურქულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებულ ფორმებს ვხვდებით. სახელწოდება „ოქროს ურდო“ სხვადასხვა სახით გვხვდება: „ალთინ ორდუ“, „ალთინ ორდა“, ან ამ ორი სიტყვის გაერთიანებული ფორმა. ისლამურ და რუსულ წყაროებში და მოგზაურთა ჩანაწერებში ეს პოლიტიკური ორგანიზაცია მოხსენიებულია როგორც „ჯუჩის ულუსი“, „ყივჩალთა სტეპები“, ან ყივჩალების სტეპების მმართველის ბერქე ხანის ქვეყანა (Hayrunnisa Alan, 2012:2).<sup>2</sup> ესპანურ და იტალიურ წყაროებში ოქროს ურდოს შესახებ გვხვდება ტერმინი „თათარისტანი“. მხოლოდ მარკო პოლოს მის „მოგზაურობის წიგნში“ უწოდებს „დასავლეთ საყაენოს“ (Stephen Kotkin, 1996:6).

ტერმინი „ოქროს ურდო“ („Золотая Орда“) პირველად 1564 წლის ყაზანის ქრონიკებში გამოჩნდა, როდესაც მას არსებობა დიდი ხნის შეწყვეტილი ჰქონდა. ეს ტერმინი XIV ზეპირ-სიტყვიერებაში გამოიყენებოდა. სიტყვა „ოქრო“ გაბრწყინებულს, დიდებულს გულისხმობდა. ოქროს ურდოს უღელქვეშ მყოფი რუსეთისგან ასეთი შეფასება წარმოუდგენელია, ამიტომაც ცხადია, ეს ტერმინი მოგვიანებით წარმოიშვა (İlyas Kamalov, 2003:203; 2007:65). რუსული ქრონიკების მიხედვით, რუსი თავადები „ოქროს ურდოს“ ყაენის კარავს, რეზიდენციას უწოდებდნენ, სადაც ისინი ხშირად მიდიოდნენ და „იარლილ“-ს<sup>3</sup> ლეზულობდნენ (İlyas Kamalov,

<sup>2</sup>აღნიშნული ტერმინის მაგალითები შესაძლებელია ვიხილოთ იმ პერიოდის მოგზაურთა ჩანაწერებში: İbn Battûta. İbn Battûta Seyahatnâmesi, I. çev. A. Sait Aykut, Yapı Kredi Yayınları, İstanbul, 2010. Rubruck, Moğolların Büyük Hanına Seyahat (1253-1255), Çev. Ergin Ayan, Ayışığı Kitapları, İstanbul, 2001.

<sup>3</sup>იარლილი - მონღოლურ და თურქულ სახელმწიფოებში ბრძანებულება, რომელსაც მმართველი გასცემდა. თურქული წარმომავლობის სიტყვაა. İlyas Kamalov, Yarlık, DİA, C. 43. İstanbul, 2013. გვ. 334. მონღოლთა დაქვემდებარებაში მყოფი მმართველები ვალდებული იყვნენ ყაენისაგან დამოწმებული „იარლილები“ მიეღოთ. İlyas Kamalov, “Altın Orda Devleti’nde Toprak ve Vergiler”, *Altın Ordu ve Kazan Hanları*, Kaknüs Yayınları, İstanbul, 2003. გვ. 204.

3003:204).<sup>4</sup> სახელმწიფოს ადრინდელი სახელწოდება „ჯუჩის ულუსი“ ბუნებრივად ჟღერს, რადგან ოქროს ურდოს საფუძველი, ბათუ ყაენის მამის, ჯუჩის დროს ჩაეყარა. მიუხედავად იმისა, რომ ოქროს ურდო ამ სახელს ატარებდა, ჯუჩი ხანს უშუალოდ არანაირი მონაწილეობა არ მიუღია ოქროს ურდოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში (A. Yu. Yakubovskiy, 1976:53).

ჯუჩი ხანის ნაადრევი გარდაცვალების შემდგომ 1227 წელს მის შვილებს ბათუს და ორდასმამის მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებით ვერ შეთანხმდნენ. ისინი გადაწყვეტილების მისაღებად ბაბუასთან, ჩინგიზ ხანთან მივიდნენ (İlyas Kamalov, 2007:67). ჯუჩის ვაჟებს შორის მემკვიდრეობის გადანაწილებისას ორდას სურდა, რომ სახელმწიფო მმართველობა ბათუ ყაენს გადაეხარებინა, თუმცა ბათუ ყაენი მხარს უჭერდა მემკვიდრეობის უფროსი ძმისთვის გადაცემას, რადგან მამის მემკვიდრეობაზე უფლება სწორედ მას ჰქონდა (Mustafa Kafalı, 1970:64). მიღებული მოსაზრებისა და ოთემიშ ხანის „ჩინგიზნამეს“ მიხედვით „ჩინგიზ ხანმა, ბათუ ყაენს „ოქროს კარავი“ (Altın Busagalı/Aksamlı Ak -Otağ) იგივე „თეთრი ურდო“, ხოლო მისი ძმას ორდა ყაენს „ვერცხლის კარავი“ (Gümüş Busagalı/Aksamlı Gök-Otağ) იგივე „ლურჯი ურდო“ დააარსებინა. ბათუ ყაენის მმართველობის ქვემდასავლეთიკვიჩალთა სტეპების საყაენო, ანუ „თეთრი ურდო“ (ოქროს ურდოს), ხოლო ორდა ხანის მმართველობის ქვეშ აღმოსავლეთიკვიჩალთა საყაენო „ლურჯი ურდო“ შეიქმნა (Mustafa Kafalı, 1970:59). სპარსულ წყაროებში ბათუ ყაენის ქვეყანას „თეთრი ურდო“ ჰქვია (İlyas Kamalov, 2003:204; Mehmet Saray, 1989:538). თურქული საისტორიო ტრადიცია თვლის, რომ ტერიტორიების მსგავსი გადანაწილების მიუხედავად, სახელმწიფო ერთია მისი „მარჯვენა და მარცხენა განშტოებებით“ (Mustafa Kafalı, 1976:1; İlyas Kamalov, 2003:204). მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ცენტრალური ნაწილი აღმოსავლეთში იყო, ოქროს ურდოს სახელმწიფო დასავლეთიკვიჩალთა სტეპებში ჩამოყალიბდა და დროთა განმავლობაში გაფართოვდა და გაძლიერდა კიდევ.

ჯუჩის ულუსის „ფერებით“ განსხვავებამ ისტორიკოსებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგი მათგანი, ანგარიშს უწევს თურქულ ტრადიციას და აღმოსავლეთის საყაენოს „თეთრ ურდოს“, ხოლო დასავლეთისას „ლურჯ ურდოს“ უწოდებს. იმ ქრონიკებშიც, რომლებიც ამ ტენდენციას არ ითვალისწინებენ, მაგალითად, როგორცაა რუსული ქრონიკები, ლურჯი ფერი „აღმოსავლეთის“ ფერად არის მიჩნეული. საფიქრებელია, რომ ლითონის ფასეულობის მიხედვით დახარისხებულია ფერები. ამის მიხედვით ოქრო და თეთრი ფერი აღმატებულია ვერცხლსა და ლურჯ ფერზე. ასე რომ, ტრადიციის მიხედვით ამ მხარეების ფერებით აღნიშვნა მიღებულია, რადგან თურქები, დასავლეთს „თეთრი“, აღმოსავლეთს კი „ლურჯი“ ფერებით მოიხსენიებენ (İlyas Kamalov, 2007:67; Reşat Genç, 1997). სახელმწიფოს ნამდვილი სახელწოდება „თეთრი ურდო“ რომც ყოფილიყო, თანამედროვეობაში „ოქროს ურდო“ ჰქვია. ოქროს ურდოს ხალხის გასაჭირზე, მმართველების მხრიდან ამ გასაჭირისგან მათი ხსნის მცდელობებზე, პოლიტიკურ და ფილოსოფიურ აზროვნებაზე საინტერესოდ მოგვითხრობს თათართა ცნობილი ხალხურ ეპოსში - „ედიგეი“ („იდიგე“) (Ramilya Yarullina Yıldırım, 2002:68; Rustem Sulti, 1998:35).

ეს პოლიტიკური გაერთიანება ყივჩალთა გეოგრაფიულ არეალში თათართა მონაწილეობით შეიქმნა. დღესდღეობით, თურქ-მონღოლთა წარმომავლობის შესახებ გადაჭრით საუბარი დღესაც შეუძლებელია, თუმცა შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს პოლიტიკური

<sup>4</sup>ილიას ქამალოვმა აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა ნაშრომიდან: A.G. Muhamadiyev, *Bulgaro-Tatarskaya Monetnaya Sistema XII-XV vv*, Moskova, 1983, გვ.42.



გაერთიანება თურქულ-მონღოლურ-თათრული ელემენტების საფუძველზე შეიქმნა. თურქული ტომების, თათრებისა და მონღოლების ერთ არეალში თანაცხოვრების გამო ამ პოლიტიკური გაერთიანების სხვადასხვა სახელით მოხსენიება სრულიად ბუნებრივია.

მოკლედ აღვნიშნავთ, რომ დაპყრობილი რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა ყივჩაღებისგან შედგებოდა. სწორედ ამიტომ ამ რეგიონს ყივჩაღების სტეპები უწოდეს, არაბულ წყაროებში კი იგი ოქროს ურდოს სახელწოდებითაა მოხსენიებული. მათში ამ სახელმწიფოს სახელწოდება იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ ვინ მართავდა ამ გეოგრაფიულ არეალს. მაგალითად, „თათრების დიდი ხანის ბერქეს ქვეყანა“, „ჩრდილოეთ ქვეყნების ხანის ოზბეკის ქვეყანა“, „ყივჩაღთა სტეპების ხანის თოქთას ქვეყანა“, „ბათუს ულუსი“, „ბერქეს ულუსი“ და ა.შ. (İlyas Kamalov, 2007:63-64). თურქებსა და თურქული წარმომავლობის სახელმწიფოებში, ჩვეულებრივი მოვლენაა სახელმწიფოს მისი დამაარსებლის სახელით მოხსენიება. მაგალითად, ოსმალეთის იმპერია, სელჩუკთა სახელმწიფო, თემურიანთა იმპერია და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თურქულში ტერმინი ოქროს ურდო სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი. დასავლურ წყაროებში ეს განსხვავებები არ ჩანს. ინგლისურში “Golden Horde”, ფრანგულში “Horde d’or”, რუმინულად “Hoarda de Aur”, ქართულად “ოქროს ურდო” და სხვ. თურქულში ასეთი სახეცვლილება იმიტომ მოხდა, რომ ოქროს ურდოს სახელმწიფოს არსებობის პერიოდში, მას თურქები სხვა სახელებით მოიხსენიებდნენ, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ იგი მონღოლთა და თურქთა შერეული პოლიტიკური ერთეული იყო.

მონღოლურად “Orda” კარავს, ოთახს ნიშნავს (Mehmet Saray, 1989:538). სხვა მოსაზრებით “Orda” ან “ordu” სიტყვებს თურქულ და მონღოლურ ენებზე ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს და სამშობლოს ნიშნავს (İlyas Kamalov, 2007:64-75). ეს მოსაზრება XI საუკუნეში მანასკერტის ბრძოლის კვალდაკვალ გაჩნდა. მაჰმუდ ქაშგარელმა 1072 წელს დაიწყო და 1074 წელს დაასრულა მუშაობა პირველ თურქულ ლექსიკონზე, რომელიც არაბებისთვის თურქული ენის სასწავლებლად იყო განკუთვნილი. მასში სიტყვა „ordu“ (Mustafa S. Kaçalin, 1994:446) განმარტებულია როგორც „ყენის სატახტო ქალაქი“ და ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქებიდან ერთ-ერთი ქაშგარი ყენების ქალაქი იყო და “Ordu kent”-ად იწოდებოდა (Kaşgarlı Mahmud, 1985:124;1986:440-441). უფრო მოგვიანებით კი ამ სიტყვას განმარტავენ როგორც „სამხედრო გაერთიანება“, „სასახლე“, „ამალა“, „ბანაკი“, „ოჯახი ქეჩის კარავში“, „ცნობილ პირთა ცოლების სამყოფი ადგილი“. თურქული და მონღოლური ენებიდან სიტყვა “orda” ჯერ რუსულში, ხოლო რუსულიდან ევროპულ ენებში დამკვიდრდა. რუსულად ეს სიტყვა „ხანის კარავს“, „ხანის სასახლეს“, „სტეპების მომთაბარე ერთობას“ აღნიშნავს (İlyas Kamalov, 2007:64). 1290 წლის შემდგომ ხმარებაში შემოტანილი ეს ტერმინი ჯუჩის ულუსის აღსანიშნავად გაჩნდა და მოგვიანებითაც გამოიყენებოდა.

სამეცნიერო ნაშრომებსა და სხვადასხვა წყაროებში ოქროს ურდოს პოლიტიკური ფორმირება და იერარქია სხვადასხვა ტერმინებით მოიხსენიება. სიტყვა ხანი, ჩინგიზის შემდგომ გავრცელდა და ცენტრალურ საყაენოზე დამოკიდებული ხალხების მმართველების წოდება იყო (Ekrem Kalan, 2012:120).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ოქროს ურდო მისი ძლიერების ხანაში თურქულ-მონღოლური სახელმწიფო იყო. ეს მდგომარეობა მას სხვა მონღოლური სახელმწიფოებისგან განასხვავებს. თურქული მოდემის ტომების ყარლუხ-ყივჩაღების და თათრების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

## A REVIEW OF THE NAME AND ETHNIC IDENTITY OF THE GOLDEN HORDE

AYSHE BEYZA BUYUKCHINAR

### ABSTRACT

The Golden Horde state was established between 1241-1502 in the time of Batu Khan the son of Jochi Khan. Golden Horde was initially a Mongol state. However, after a while because of the ethnic elements in the geography began to Islamization and Turkization. That's why; it is not true to say that the Mongolian or the Turkish state. In this study, a general evaluation about the name and ethnic identity of the state will be given

### ლიტერატურა:

1. **Melek Özyetgin**, “Altın Orda Devlet Teşkilatı’nda Elçilik Terminolojisi”, Proceedings of the Second International Symposium on Islamic Civilisation in Volga-Ural Region”, Kazan 24-26 June 2005., İstanbul, 2008.
2. **Ahmet Taşağul**, “Çengiz Öncesi Türkler ve Moğollar”, *Avrasya’nın Sekiz Asrı Çengizozoğulları*, Yay. Haz. Hayrunnisa Alan, İlyas Kemaloğlu, Ötüken Yayınları, İstanbul, 2014.
3. **Akdes Nimet Kurat**, *IV-XVIII. Yüzyıllarda Karadeniz Kuzeyindeki Türk Kavimleri ve Devletleri*, Murat Kitabevi Yayınları, Ankara, 2002.
4. **Alaaddin Ata Melik Cüveynî**, *Tarih-i Cihan Güşâ*, çev. Mürsel Öztürk, TTK, Ankara, 2013.
5. **Yu. Yakubovskiy**, *Altın Ordu ve Çöküşü*, çev. Hasan Eren, Milli Eğitim Basımevi, Ankara, 1976.
6. **Ekrem Kalan**, “Tarihi Kaynaklara Göre Cuçi Adının Kökeni ve Cengiz Kağan’a Oğul Olma Sorunsalı”, *Tarih İncelemeleri Dergisi*, C.27. S.1. 2012.
7. **Hayrunnisa Alan**, “Altın Orda Hanlığı’nda Hakimiyet Anlayışı ve Karaçi Beylerin Ortaya Çıkışı”, *Tarih Dergisi*, S. 54., ( 2011/2), İstanbul, 2012.
8. **Istvan Vasary**, *Kumanlar ve Tatarlar Osmanlı Öncesi Balkanlar’da Doğulu Askerler (1185-1365)*, Yapı Kredi Yayınları, İstanbul, 2015.
9. **İbn Battûta Seyahatnâmesi**, I. çev. A. Sait Aykut, Yapı Kredi Yayınları, İstanbul, 2010.
10. **İbnü’l Esir**, *İslâm Tarihi El- Kâmil Fi’t Târih Tercümesi*, C.12. Bahar Yayınları, İstanbul.
11. **İlyas Kamalov**, “Altın Orda Devleti’nde Toprak ve Vergiler”, *Altın Ordu ve Kazan Hanları*, Kaknüs Yayınları, İstanbul, 2003.
12. **İlyas Kamalov**, “Altın Orda Devleti’nin Adı Üzerine”, *Avrasya Fatihî Tatarlar*, Kaknüs Yayınları, İstanbul, 2007.
13. **İlyas Kamalov**, “Yarlık”, *DİA*, C. 43. İstanbul, 2013.
14. **Kaşgarlı Mahmud**, *Dîvanu Lûgat’it Türk Tercümesi*, C:1., terc: Besim Atalay, TTK, Ankara, 1985.
15. **Kaşgarlı Mahmud**, *Dîvanu Lûgat’it Türk Dizini “Endeks”*, düzenleyen: Besim Atalay, TTK, Ankara, 1986.
16. **Mehmet Saray**, “Altın Orda Hanlığı”, *DİA*, C.2., İstanbul, 1989.
17. **Mustafa Kafalı**, “Cuci Ulusu ve Ak Orda (Altın- Orda) Gök Orda Hanlıkları”, *Tarih Dergisi*, S. 24., İstanbul, 1970.

18. **Mustafa Kafalı**, *Altın Ordu Hanlığı'nın Kuruluş ve Yükseliş Devirleri*, Edebiyat Fakültesi Matbaası, İstanbul, 1976.
19. **Mustafa S. Kaçalın**, “Divanü Lugati't – Türk” , DİA, C.9. İstanbul, 1994.
20. **Osman Gazi Özgüdenli**, “Moğollar”, DİA, C. 30., İstanbul, 2005.
21. **Ramilya Yarullina Yıldırım**, “Edigey Destanında Hayvanların Fonksiyonları”, Avrasya Uluslararası Araştırmaları Dergisi, C.1. S.1. 2002.
22. **Reşat Genç**, *Türk İnanışları ile Milli Geleneklerinde Renkler ve Sarı Kırmızı Yeşil*, Atatürk Kültür Merkezi Yayınları, Ankara, 1997.
23. **Rustem Sulti**, *Edigey Destanı*, Türksoy Yayınları, Ankara, 1998.
24. **Rubruck**, Moğolların Büyük Hanına Seyahat (1253-1255), Çev. Ergin Ayan, Ayışığı Kitapları, İstanbul, 2001.
25. **Stephen Kotkin**, “Defining Territories and Empires: from Mongol Ulus to Russian Siberia 1200-1800”, Slavic Research Center, 1996.

## დემოკრატიული ვითარება ბათუმის ოლქში რუსული ადმინისტრაციული სისტემის დამყარების უმჯობეს (1879-1900წწ.)

**ნალინ ვარშანიძე, ნუზარ ზოსიძე  
ჯუმბარ ვარშანიძე, ანნა ვარშანიძე**

ბათუმის ოლქში რუსული ადმინისტრაციის დამყარებისთანავე თავი იჩინა იმ წინააღმდეგობებმა, რომლებიც ობიექტურად არსებობდნენ და რომლებსაც ცარიზმის პოლიტიკურ სისტემაში რეალური გადაწყვეტილების პერსპექტივა პრაქტიკულად არ გააჩნდათ. თავდაპირველად ახალმა ხელისუფლებამ რიგი ზომები მიიღო ადრე დადებული პირობების აღსასრულებლად. მაგალითად : 1879 წლის 3 თებერვალს კავკასიის არმიის მთავარსარდალმა დაამტკიცა ბათუმის გუბერნიის ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობანი, რომლითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მიწათსარგებლობის ძველი წესი[1], იმავე წლის 1 მარტს შეიქმნა საადგილმამულო კომისია, რომელსაც ქართველი პატრიოტი დიმიტრი ბაქრაძე ჩაუდგა სათავეში[3]. რეალურად ომის დამანგრეველი შედეგების აღმოფხვრა არ მომხდარა. ნათელი იყო, რომ რუსეთი არ აპირებდა აჭარაში სტატუს-ქვოს შენარჩუნებას. მისი სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა ვერ შეეგუებოდა უცხო სხეულის არსებობას. ჯერ კიდევ 1879 წ. 27 იანვარს რუსეთსა და ოსმალეთს შორის კონსტანტინეპოლში სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით რუსეთის იმპერიის ახალ ქვეშევრდომებს 3 წლის ვადაში ემიგრაციის უფლება მიეცათ. გასაგებია, რომ ცარიზმი წინ წლების მსგავსად (იგულისხმება სამცხე-ჯავახეთსა და ჩრდილო კავკასიაში დატრიალებული მოვლენები), ოღონდ შენიღბული გზით, მისთვის არასასურველი ელემენტების თავიდან მოშორებას აპირებდა. ჩვენდა საბედნიეროდ, ქართულმა საზოგადოებრიობამ ამჯერად მალევე აუღო ალღო კოლონიზატორთა ზრახვებს. განსაკუთრებული დამსახურება ამ მხრივ გაზეთ „დროებას“ მიუძღვის. ამ გამოცემის უმეტეს ნომერში გამოქვეყნებული მწვავე სტატიების წყალობით მკითხველი იგებდა აჭარელთა უკმაყოფილებისძირითად მიზეზებს. მოსახლეობა ყველაზე უფრო მწვავედ გადასახადების უკანონო დაწესებას განიცდიდა, რისთვისაც რუს ჩინოვნიკებს უყენებდა პრეტენზიებს[8]. მწერალი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე გ.წერეთელი თვალნათლივ გვიჩვენებს აჭარელი კაცის სატკივარს: „აქამდის ჩვენ ამ ქვეყნის პატრონი ვიყავით. აქ ბოლოზები(საზღვრები) სულ ჩვენი იყო,საქონელი, რაც გამოვიდოდა, შეგვეძლო ისე შემოგვეტანა, ბაჟს ვერავინ გადაგვახდევინებდა, მერე იმ საქონელს თქვენსკენ გადმოვიტანდით და ბევრი სარგებლობა გვრჩებოდა.... სულთანისაგან ჯამაგირები გვქონდა, ამ ჩვენს ქვეყანაში ქვეყნის გამგეც ჩვენ ვიყავით და ქვეყნის დამცველიც .... თქვენ რომ მოხვედით (იგულისხმება რუსული ხელისუფლება), ჩვენ მაშინ რისი მაქნისი უნდა ვიყოთ აქ თქვენი უფროსები მოვა, თქვენი ჯარი ჩამოვა, ბოლოზებს თქვენი კაცები დაიჭერენ - ჩვენ რაღა ვქნათ, ან თუ საქმეში აღარ ვიქნებით, ტყუილათ ვინ გვარჩენს, მჭადს ვინღა გვაჭმევს „[8] ზემოთ ხსენებული ავტორის აზრით გამოსავალი შემდეგში მდგომარეობდა: „თუ გინდათ არეულობა დაცხრეს ბათუმის მაზრაში და აჭარა-ლივანაში, ჯერ გადასახადს ნუ გამოართმევთ, გამოიყვანეთ ის მილიცია, რომელიც ოსმალეთის მთავრობის ხელში იყო და იმსახურეთ, მიეცით უწინდელ მოსამსახურე ბეგებს თავისი შესაფერი თანამდებობები, და მაშინ ნახავთ, რომ აჭარა-

ლივანის და ბათუმის ხალხი პირველი ერთგული ხალხი გახდება ჩვენი მთავრობის“ [8]. სამწუხაროდ, რუსული ადმინისტრაცია ასეთ რეკომენდაციებს ნაკლებად აქცევდა ყურადღებას. დიდმპყრობელურმა პოლიტიკამ რეგიონში კრიტიკულამდე დამაბა სიტუაცია. შექმნილი ვითარების შესასწავლად კავკასიის მეფისნაცვალმა თავის აპარატიდან საგანგებოდ მოავლინა მთავარი სამმართველოს უფროსი. უნდა აღინიშნოს, რომ თვით რუსმა მოხელეებმაც კი ვერ მოიხსნეს ოლქში შექმნილი ვითარებაზე პასუხისმგებლობა და იძულებულნი გახდნენ შეერბილებინათ კოლონიზატორული პოლიტიკა. მაგალითად, შემსუბუქდა ხარჯის (თახშირი) გადასახადი; თანამდებობიდან მოიხსნა გენერალ-გუბერნატორი კომაროვი, რომელიც თავისი პირადული თვისებების გამო კიდევ უფრო ამძიმებდა ისედაც კონფლიქტურ სიტუაციას.

საბოლოო ჯამში საკადრო ცვლილებებმა, ისევე როგორც 1883 წ. გატარებულმა ადმინისტრაციულმა რეფორმამ არასახარბიელო ვითარება კარდინალურად ვერ შეცვალა და ჯერ კიდევ ომის დროს დაწყებული ემიგრაციის შეჩერება ვერ უზრუნველყო. ოსმალეთის აგენტები მოხერხებულად იყენებდნენ შექმნილ სიტუაციას და მუსლიმან ქართველებში მუჰაჯირობის პროპაგანდას ეწეოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართული საზოგადოებრიობა, 1828-1829 წწ. დრამატული მოვლენებისგან განსხვავებით, სათანადო ყურადღებას უთმობდა ამ პრობლემას, მუსლიმანი ფანატიკოსებისა და ველიკოდერჟავნიკების მიერ ერთობლივად აგორებული ტალღის შეჩერება მაინც ვერ შეძლო.

მუჰაჯირობის პროცესი დაახლოებით რვა წელს მიმდინარეობდა და სხვადასხვა გამოანგარიშებით 30-დან 50 ათასამდე კაცს დაატოვებინა მშობლიური კერა. განსაკუთრებით დაზარალდა ქობულეთ-ჩაქვის, გონიოსა და ქვედა აჭარის რაიონები[2]. შემთხვევითი არაა ის, რომ მუჰაჯირთა ძირითადი კონტიგენტი ზღვისპირეთის ზოლიდან გავიდა. რუსი იმპერიალისტები განსაკუთრებულ დაინტერესებას სწორედ ამ რეგიონის მიმართ იჩენდნენ. მაღალმთიანი, სავარგულებით მწირი რაიონები მათვის ნაკლებად მიმზიდველი იყო. მართლაც, ცარიზმმა და მისმა დამქაშებმა, უპირველეს ყოვლისა არაქართული წარმოშობის ბურჟუაზიამ, მაშინვე ისარგებლა ადგილობრივი მოსახლეობის ემიგრაციით და თითქმის მთელი ზღვისპირეთი იმპერიისთვის სანდო ელემენტებით, განსაკუთრებით გადამდგარი სამხედროებით გაავსო.

მუჰაჯირობა დიდად შეუწყო ხელი პორტო-ფრანკომაც, რომელიც 1886 წლამდე არსებობდა. შემთხვევითი არაა, რომ მუჰაჯირობა ყველაზე უფრო ინტენსიურად დროის სწორედ ამ მონაკვეთში წარიმართა. თავისუფალი ვაჭრობის პირობებში სრულიად დაუცველი აღმოჩნდა ადგილობრივი მწარმოებელი. სულ რაღაც რვა წელში ბათუმი უცხოური კაპიტალის სანედლეულო ბაზად და დასავლური საქონლის გასაღების ბაზად იქცა. თუმცა, მიუხედავად მავალი უარყოფითი თვისებისა, პორტო-ფრანკომ დიდი როლი შეასრულა ბათუმის, როგორც სანავსადგურო, სამრეწველო და საერთოდ ქალაქური ტიპის დასახლებად გადაქცევის საქმეში[5].

უნდა ითქვას, რომ ქართული საზოგადოებრიობა ხმალამოწვდილი იდგა ქართული ეროვნული ინტერესების დაცვის სადარაჯოზე. სწორედ მათი და ადგილობრივი პატრიოტების დამსახურებაა ის, რომ აჭარის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მამა-პაპათა მიწაზე დარჩა.

უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო 1888 წ. ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ჩამოყალიბება, რომელიც 1903 წლამდე ქუთაისის გუბერნატორის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ქალაქის პირველ თავად კ.გავრონსკი მოგვევლინა. მომდევნო ხანებში ინიციატივა ქართველების ხელში გადავიდა. 1895 წ. ქალაქის თავად ლუკა ასათიანი აირჩიეს, რომელიც შემდეგ დ. ანდრონიკაშვილმა შეცვალა. უნდა ითქვას, რომ ქართულ ლობისტურ წრეებს

სომხური თემის გავლენიანი წრეები უპირისპირდებოდნენ. თუმცა ჩვენმა თანამემამულეებმა შეძლეს თავიანთი ინტერესების დაცვა და თვითმმართველობაში ძლიერი ეროვნული ბირთვი შექმნეს, რაც ძალზედ წაადგა ქალაქის განაშენიანების საქმეს და რაც, მთავარია, აქ მიძინებული ქართული სულის აღზევებას შეუწყო ხელი[5].

XIX ს. 90- იანი წლებიდან რუსეთის იმპერიაში ახალ ეტაპზე ავიდა უკვე დიდი ხნის წინ დაწყებული სოციალური მოძრაობა. უნდა ითქვას, რომ მარქსიზმის განვითარება ბათუმის ყოველდღიურ ცხოვრებასაც შეეხო. ამას ობიექტური მიზეზები ქონდა. პორტო-ფრანკოს გაუქმების შემდეგ საკმაოდ დაწინაურდა მრეწველობა, რასაც ქალაქში საქართველოს და რუსეთის იმპერიის სხვა რეგიონებიდან მრავალი პროფესიონალი მუშისა თუ სოფლად უსაქმოდ დარჩენილი გლეხის მოზიდვა მოყვა. 80-იან წლებთან შედარებით მუშათა რაოდენობა შთამბეჭდავად გაიზარდა. მუშათა აქტიურმა ნაწილმა სხვადასხვა მიმართულების წრეები დაარსა.

ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად მონაწილეობდა ქალაქის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს და მთლიანად კავკასიის მთლიანი რეგიონებისთვის საერთო, ისტორიულად დამახასიათებელი პატრიარქალურ ურთიერთობათა სიმყარე, რაც აჭარაში ოსმალური ბატონობის წლებმა კიდევ უფრო გააღვივა. შემთხვევითი არაა, რომ შედარებით პრიმიტიულ სოციალურ ურთიერთობებს შეგუებული აჭარლობა სახელმწიფოებრივად უფრო ნაკლებად ორგანიზებულ ოსმალეთში გაცილებით თავისუფლად გრძნობდა თავს, ვიდრე ევროპასთან ასე თუ ისე ახლოს მდგომ რუსეთში. დიდ როლს თამაშობდა კონფესიური დაპირისპირების მომენტიც. მაგალითად, თუ სულთანი მაჰმადიან ქართველს მილიციაში ან რეგულარულ არმიაში სამსახურის ნებას რთავდა, რუსი ჩინოვნიკი ზოგჯერ ობიექტური, ხშირად კი ამათუიმ ცხოვრებისეული პრევენდენტის წყალობით გავრცელებულ სტერეოტიპის გავლენით უნდობლად უყურებდა მართლმადიდებლობისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოს ყოფილ ქვეშევრდომს. იგივე, ოღონდ ცოტათი განსხვავებულ კონტექსტში შეიძლება ითქვას აჭარელ კაცზეც. კავკასიის სხვა მუსლიმანური კუთხეებისგან განსხვავებით, რუსეთი აქ ყველაზე უფრო ლოიალურ დამოკიდებულებას წააწყდა. ამას მრავალი მიზეზი ქონდა, რომელთა გარჩევა შორს წაგვიყვანდა. ფაქტია ის, რომ ჩვენებურებმა დაიმსახურეს რუსული ადმინისტრაციის გარკვეული კეთილგანწყობილების იმედი, რაც ცარიზმა თავის აგრესიული მოქმედებით უმაღვე გააქარვა და საკმაოზე მეტი არგუმენტი მისცა იმ ხალხს, რომლებიც უნდობლად უყურებდნენ „გიაურთა“ ნებისმიერ ახალწამოწყებას.

ძალზედ მნიშვნელოვანი იყო რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ არამარტო მუსლიმანური თუ სხვა რელიგიის მატარებლების, არამედ საერთოდ, ე.წ. „ნაცმენების“ მიმართ გატარებული ეროვნული პოლიტიკისთვის დამახასიათებელი რეციდივები. გასაგები მიზეზების გამო, ცარიზმი ნაკლებად იყო დაინტერესებული განაპირა მხარეების სამეურნეო თუ კულტურული დაწინაურებით, ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა ჩამორჩენილი სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობები არარუსებისგან დასახლებულ რეგიონებში ხელოვნურად დაეკონსერვებინა.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარა თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, რბილი კლიმატით, ზღვის რესურსებით, გეოსტრატეგიული მდებარეობით უმველესი დროიდან იზიდავდა მრავალ უცხოელს, XIX საუკუნემდე აქ ძირითადად სასოფლო და სათემო ტიპის დასახლებები იყო. ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის პერიოდში თანდათანობით ვითარდება ახალი ტიპის,

საქალაქო დასახლებები, ცხოველდება აღებ-მიცემობა, ფართოვდება ეკონომიკური ურთიერთობა სხვადასხვა რეგიონებთან. ამ მხრივ ყველაზე უფრო დაწინაურდა ბათუმი, რომელმაც შავიზღვისპირეთის სხვადასხვა ქალაქებს შორის საპატიო ადგილი დაიჭირა[6].

გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების გამო იმპერიის შორეული ადგილებიდან ჩვენ მხარეში აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხის (ასურები, ქურთები და ა.შ) წარმომადგენელი მოეშურებოდა. ისინი რეგიონის ზოგიერთ მნიშვნელოვან ადგილს ირჩევდნენ დასახლებლად თუ სამომთაბაროდ ამის გამო ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჩქარი ტემპით მრავლდებოდა უცხო ერთა წარმომადგენლები, განსაკუთრებით ქოროხის ქვემო წელსა და ზღვისპირეთში (კახაბერი, ბათუმის შემოგარენი, ქობულეთი).

რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს ხელმწიფე-იმპერატორისგან ქრისტიან მოსახლეობისადმი გამოჩენილი მფარველობის შემდეგ საქართველოსა და მათ შორის ბათუმის ოლქისადმი ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ ბერძენთა, სომეხთა, ქურთთა და სხვათა ლტოლვა გაიზარდა. ბათუმის ნავსადგურის გაფართოების და ზღვაოსნობის განვითარების საფუძველზე თანდათან გაცხოველდა ქალაქის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, რასაც უპირველესად მოჰყვა მისი მნიშვნელობის ზრდა, აგრეთვე უცხოელი ვაჭრების, მრეწველობისა და მუშების ბათუმისადმი დაინტერესება. „ჩვენი გემების გამოჩენამდე - წერდნენ რუსი მოხელეები - ვაჭრობა ბათუმში იყო უმნიშვნელო და ეს ნავსადგური მხოლოდ თავშესაფარის საქმეს ემსახურებოდა, რედუტ-კალეში მიმავალ ან იქედან ტრაპიზონში მომავალ გემებისათვის. სანაოსნო ხაზის გახსნამ სავაჭრო ბრუნვა 11 43039 მანეთსა და 25 კაპიკს უდრის. ბათუმი ფლობს პატარა, მაგრამ უშიშარ და იმდენად მოხერხებულ ნავსადგურს, რომ ჩვენი გემები თვით ნავსადგურთან ჩერდებიან: აგრეთვე, ის მდებარეობს სპარსეთის სატრანზიტო გზაზე, რომელიც მხოლოდ იმიტომ გადის ტრაპიზონისაკენ, რომ მიდამოებში მშვიდობიანობა არაა. მომავალში კავკასიაში ტრანზიტის მოწყობის შემდეგ ბათუმი მალე დაიკავებს ტრაპიზონის ადგილს, მით უფრო, რომ ნავსადგურის გაშენება ფოთში (თუ ეს შესაძლებელია) დიდ დროს და კაპიტალს მოითხოვს. მანამდე კი ბათუმი წარმატებით მოიზიდავს კავკასიის ტრანზიტს, იმ შემთხვევაში თუ თურქეთის მთავრობა შეძლებს გაცვლის ან შესყიდვის საშუალებით, ასეთ შეძენას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სავაჭრო და წმინდა ეკონომიკური დამოკიდებულებისათვის“ [10] კიდევ უფრო გასაგებია, თუ სწორედ რის გამო გაიმართა დიდი ბრძოლები ბათუმისა და მისი მიდამოების დასაუფლებლად 1877-1878 წლების ომის დროს. გარდამავალ პერიოდში ქალაქ ბათუმში დემოგრაფიული ბუმი შეინიშნებოდა, რის შედეგადაც ის პოლიეთნიკურ ქალაქად იქცა. როგორც ანატოლიაში მოღვაწე ინგლისელი კონსული ვ.ჯ. პალგრევი გვაცნობს: 1872 წელს ქალაქში 4970 სული ცხოვრობდა (4500 მაჰმადიანი, 350 ბერძენი, 120 სომეხი, თურქების, აფხაზ-ჩერქეზებისა და რაოდენობა არაა მითითებული) (11) 1877-1878 წლების ომის დაწყების შემდეგ ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა გაიხიზნა. ოსმალეთის ქვეშევრდომთა დიდი ნაწილი სტოვებდა არა მარტო ქალაქსა და დაბებს, არამედ რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცეულ სხვა დასახლებულ პუნქტებსაც. ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის ჩამოყალიბების დროს ქალაქის მოსახლეობა 3000-მდე სულს ითვლიდა. მუჰაჯირებად წასულები რუსული ადმინისტრაციის მოხელეებმა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან გადმოსახლებულებმა შეავსეს. 1880 წლისათვის ქალაქის მოსახლეობა 500 სულით გაიზარდა. 1882 წლის გაზაფხულზე ქალაქ ბათუმში ცხოვრობდა 8671 კაცი. ბათუმის მოსახლეობის ეთნო-კონფესიური შემადგენლობა ამ წლისათვის შემდეგ სურათს ქმნიდა (იხ. ცხრილი № 1).

ცხრილი № 1

ეთნიკური შემადგენლობა				კონფესიური შემადგენლობა			
ეროვნება	მამ.	მდ.	სულ	სარწმუნოება	მამ.	მდ.	სულ
რუსი	599	381	980	მართლმადიდ.	2185	973	3158
ქართველი	347	167	514	მაჰმადიანი	889	393	1282
გურული	105	62	167	სომ.გრიგორ	385	111	496
იმერელი	100	28	128	სომ.კათოლ.	251	65	316
სომეხი	703	205	908	კათოლიკე	122	56	178
ბერძენი	801	365	1166	პროტესტანტი	53	43	93
ლაზი	70	7	77	იუდეველი	110	69	179
ებრაელი	102	71	173	—	—	—	—
აფხაზი	197	180	377	—	—	—	—
თურქი	509	97	606	—	—	—	—
სპარსი	105	7	112	—	—	—	—
გერმანელი	86	59	145	—	—	—	—
ინგლის.	5	5	10	—	—	—	—
ფრანგი	14	10	24	—	—	—	—
იტალიელი	13	6	19	—	—	—	—
პოლონელი	45	25	70	—	—	—	—
სხვადასხვა	214	70	284	—	—	—	—

თუ დავაკვირდებით ცხრილში მოცემულ ეთნიკურ შემადგენლობას, ნათლად დავინახავთ რომ ქართველი კუთხურობის ნიშნით არიან დაყოფილი (ქართველი, გურული, იმერელი) აჭარელი საერთოდ არ ჩანს, ეტყობა რუს მოხელეებს აჭარლები თურქებში ჰყავთ გაიგივებული. უნდა ითქვას, რომ ეს მექანიკური შეცდომა არ ყოფილა. სამწუხაროდ რუსი ჩინოვნიკები შეგნებულად ანაწევრებდნენ ქართველ მოსახლეობას ეთნიკური და კონფესიური ნიშნით, რათა ქალაქის ეთნიკური სურათი მათ სასარგებლოდ გადაეჭრათ. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომებმა ადრევე იწყეს ბათუმიდან გახიზვნა, თურქული ენა კიდევ რამდენიმე წელს გამოიყენებოდა ევროპელებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების საქმეში. თუმცა, რეგიონში მიმდინარე ეთნიკურმა პროცესებმა, რუსული ადმინისტრაციის მიზანმიმართულმა პოლიტიკამ თანდათან ძველი სახელმწიფო ენის შეცვლა განაპირობა. რუსული ენა, იმპერიის სხვა ნაწილების მსგავსად, სწრაფი ტემპით იკავებდა გაბატონებულ მდგომარეობას.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ბათუმში საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენელთა დამკვიდრების შემდეგ, ქართული ენა ფართოდ გამოიყენებოდა ქალაქელთა ურთიერთობებში. სხვადასხვა მიზეზის გამო, სომხურსა და ბერძნულს, მიუხედავად, ამ ენებზე მოლაპარაკეთა მრავალრიცხოვნებისამნიშვნელოვანი გავლენა არ მოუპოვებია.



ბათუმისა და მისი შემოგარენი ზღვისპირეთი (ქობულეთი, კახაბერი და სხვ) უძველესი დროიდან დემოგრაფიულად პოლიეთნიკური იყო, ხოლო მთიანი აჭარა მონოეთნიკურად ვითარდებოდა. აჭარის ასეთ განვითარებას მრავალი ფაქტი უწყობდა ხელს.

როგორც აღნიშნეთ, ბათუმის ოლქის სავაჭრო-ეკონომიკურმა განვითარებამ თავიდანვე შექმნა პირობები იმისათვის, რომ აქ თავი მოეყარა არა მარტო კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის, არამედ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპისა თუ ამერიკის კონტინენტის წარმომადგენლებს. ოლქში ცხოვრობდნენ, ვაჭრობდნენ, საწარმოებსა და სახელოსნოებში მუშაობდნენ აფხაზები, ბულგარელები, ბერძნები, გერმანელები, დანიელები, ებრაელები, ზანგები, თურქები, ინგლისელები, იტალიელები, ლეკები, პოლონელები, რუმინელები, რუსები, ფრანგები და სხვ.

ბათუმის ოლქში შექმნილი დემოგრაფიული სურათი სრულად რომ წარმოვიდგინოთ, აუცილებელია ადგილობრივ მოსახლეობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების მოკლე მიმოხილვა. ზემო აჭარა (ცენტრით ხულოში) იყოფოდა 23 სასოფლო თემად, რომელშიც 128 სოფელი იყო გაერთიანებული. მოსახლეობის საერთო რაოდენობა 17227 სულს (2581 ოჯახს) შეადგენდა. აქედან 8969 მამაკაცი და 8258 ქალი ქვემო აჭარაში (ქედა) იმდენივე სასოფლო თემი, ოღონდ გაცილებით უფრო ნაკლები დასახლებული პუნქტი (63) არსებობდა. მოსახლეობის საერთო რაოდენობა 11 822 სულს (2563 ოჯახი) შეადგენდა. აქედან 6304 მამაკაცი და 5518 ქალი. გონიოს უბანში (ზედა მარადიდი) მხოლოდ 13 სასოფლო თემი და შესაბამისად 60 სოფელი, 1900 ოჯახი (10051 სული), 5200 მამაკაცი და 4851 ქალი იყო. კინტრიშის უბანი (ჩურუქ-სუ): 20 სასოფლო თემი (40 სოფელი) 1271 ოჯახი (7464 სული), 4038 მამაკაცი და 3426 ქალი. მთლიანად ბათუმის ოლქში 8315 ოჯახი, 46 564 სული 24 511 მამაკაცი და 22 053 ქალი იქნა აღწერილი.

უმრავლესობას ადგილობრივი მუსლიმი ქართველები შეადგენდნენ (აჭარლები 41 693 სული, აქედან 21 990 მამაკაცი, ლაზები 1785 სული, აქედან 918 მამაკაცი) აფხაზთა რაოდენობა 915- ს (475 მამაკაცი), ქურთებისა 685-ს (367 მამაკაცი), თურქების 674 (57 მამაკაცი) სომხებისა 404- ს (204 მამაკაცი) სოლო რუსებისა სულ 107 (57 მამაკაცი) მოსახლეს აღწევდა. დანარჩენ ეთნოსთა (ბერძნები, ლიტველები, გერმანელები, ებრაელები და სხვა) წარმომადგენლობა უმნიშვნელო იყო.

განხილული მასალებიდან ნათლად ჩანს ბათუმის ოლქში დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ განვითარებული სერიოზული დემოგრაფიული ცვლილებები მართალია რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დამყარების შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი გაიხიზნა, მაგრამ ოსმალეთიდან, რუსეთის შიდა მხარეებიდან აქეთ დამრულ ბერძნების, რუსების, სომხების, ქურთებისა და სხვათა ხარჯზე დემოგრაფიული ბალანსი აღდგა.

ქალაქის მნიშვნელობის ზრდისა და ტერიტორიული გაფართოების შედეგად ბათუმსა და მის შემოგარენში დასახლდნენ რუსი პლანტატორები, ჩინოვნიკები, უცხოელი კაპიტალისტები, მრეწველები, საქმოსნები, ვაჭრები. ახალი ხელისუფლებისაგან გატარებული ღონისძიებების შედეგად ბათუმი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსახლებულებმაცმეავსეს. ქალაქში მშენებლობისა და სანიტარული პირობების გაუმჯობესების შედეგად სხვადასხვა ერის მოქალაქეთა ადაპტაციის პროცესი მთლიანობაში ნორმალურად განვითარდა.

სამაგიეროდ, ცუდი დღე დაუდგათ ქ. ბათუმის გარეუბნებსა და ქობულეთში ჩამოსახლებულთ. განსაკუთრებით ეს რუსეთის შიდა გუბერნიებიდან, ციმბირიდან და ნაწილობრივ სხვა მხარეებიდან გადმოხვეწილთ შეეხება. ადგილობრივი მეურნეობის თავისებურებებში

გაურკვეველ რუს გლეხებსა თუ წვრილ ჩინოვნიკებს ძალზედ გაუჭირდათ ახალ პირობებთან შეგუება. ხშირ მოუსავლიანობებს ზედ მალარიის დამლუპველი ზემოქმედებაც დაერთო.

თუმცა, ყოველივე ეს დემოგრაფიულ პროცესებზე გავლენას მხოლოდ პირველ ეტაპზე ახდენდა. თანდათანობით, შესაბამისი ღონისძიებების დროულად გატარების წყალობით მდგომარეობა გაუმჯობესდა და ემიგრანტებმაც უფრო მჭიდროდ მოიკიდეს ფეხი.

მიზანმიმართული კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად ქალაქსა და მთელს ზღვისპირეთში უცხო ელემენტებმა პრივილეგური პოზიციები დაიკავეს, ეს ნათლად აისახა ამ მხარეში მიწის ფონდის გადანაწილების პროცესშიც!

აჭარის კოლონიური ათვისების დაჩქარების მიზნით იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლების დაქვემდებარებაში მიწების გადასვლა უფრო მომგებიანი იყო. ახალი რეგულაციები რელიგიური დაწესებულებების მიწებსაც შეეხო. ქრისტიანულ ეკლესიებსა და მონასტრებს ის მიწები რჩებოდათ, რაც ოსმალთა ბატონობისას ჰქონდათ, მაგრამ გაყიდვის უფლება არ ჰქონდათ. ეკლესიების ადამონასტრების გაუქმების შემთხვევაში ადგილ-მამულები სახაზინო უწყებაში გადადიოდა, მუსლიმანური რელიგიური დაწესებულებების მიწები სოფლად სახელმწიფოს უნდა გამოსეციდა, ხოლო ქალაქებში - საქალაქო გამგეობებს. გამოსყიდვის შემდეგ მათი მართვა ამიერკავკასიის მუსლიმანური სასულიერო დაწესებულებების მართვის ანალოგიურად მოეწყობოდა.

დიდ სიმწელებთან იყო დაკავშირებული ბათუმის ოლქის მუჰაჯირთა მამულების ზუსტი აღრიცხვა. ეს იმით აიხსნება, რომ ემიგრაციას განუწყვეტელი ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, არსებული არასრული მასალები მუჰაჯირთა მიწების ოდენობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის.

ამრიგად, ბათუმის ოლქის მიწათმფლობელობის ხასიათსა და ფორმებში საგრძნობი ცვლილებები მოხდა. სახელმწიფოს საკუთრება ადგილმამულებზე რეალურად დამყარდა. ვაჭარ-მრეწველთა და ცარიზმის ჩინოვნიკების სახით სოფლად მიწისმფლობელთა ახალი ჯგუფი - აგრარული ბურჟუაზია ჩამოყალიბდა [6]. ასეთმა პოლიტიკამ მხარეში დემოგრაფიული სურათის შეცვლას შეუწყო ხელი. სხვადასხვა დროს ჩატარებული აღწერების შედეგების ჩვენეულ ანალიზს თუ დავეყრდნობით ირკვევა, რომ ოლქში ყველაზე მეტად რუსი მოსახლეობის რაოდენობა იზრდება. თითქმის ასეთივე სტატისტიკური მაჩვენებლები აქვთ სომხებს, შედარებით ნაკლები ტემპით მრავლდებოდა ბერძენთა, ჰემშილთა (მუსლიმანი, სომხები და ქურთები) და ებრაელთა რაოდენობა. უმნიშვნელო იყო ევროპელთა, ჩრდილოეთ კავკასიელთა და სხვა ხალხების წარმომადგენელთა რიცხოზრდი ზრდის მაჩვენებელი.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მკვიდრთა თუ ოსმალეთის ქვეშევრდომობაში მყოფი ქართული წარმოშობის (ლაზები, ისტორიული ტაო-კლარჯეთის მცხოვრებნი) პირების რაოდენობრივი მატების ტემპი საკმაოდ მაღალი იყო, თუმცა უცხოტომელთა პროცენტული წილი მას გაცილებით უფრო აღემატებოდა რაც შეეხება ადგილობრივ მუსლიმ ქართველებს ბათუმში მათი რიცხვი ძირითადად ბუნებრივი მატების და ქალაქის გაფართოების შედეგად იზრდებოდა. გვხვდებოდნენ აგრეთვე ახლო მდებარე სოფლებიდან ქალაქში სამუშაოდ და შემდეგ მუდმივ საცხოვრებლად დარჩენილი აჭარლებიც.

ასეთი იყო ის დემოგრაფიული სურათი, რომელიც რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ორი ათეული წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა აჭარაში.

## THE DEMOGRAPHIC SITUATION IN BATUMI REGION AFTER THE ESTABLISHMENT OF THE RUSSIAN ADMINISTRATIVE SYSTEM (1879-1900)

NADIM VARSHANIDZE, NUGZARZOSIDZE,  
JUMBER VARDMANIDZE , ANNAVARSANIDZE

### SUMMARY

As soon as the Russian administration was formed in the Batumi region, objective obstacles arose that had no real prospects for the tsarist political system.

The political situation in the region was tense. It should be noted that even the Russian officials themselves were not able to disclaim responsibility for the situation in the district and were forced to turn into colonialism.

It should be noted that Georgian society stood to guard over the protection of Georgian national interests. The merit of them and local patriots is that the majority of the population of Adjara remained on the land of their fathers.

Undoubtedly a progressive event occurred in 1888. The government of Batumi was created, which was led by the governor of Kutaisi until 1903.

It is also important that after the creation of various regions of Georgia in Batumi, Georgian language was widely used in relations of the city, despite the Armenian and Greek population of the city, those languages did not have a significant impact in this regard.

All the situation mentioned above made serious demographic changes in Batumi region. This was the demographic picture that took shape in Ajaria over two decades after the Russian-Turkish war of 1877-1878.

### ლიტერატურა:

1. სსცსა. ფ.5. აღწ. 1 საქ. 5684
2. ახვლედიანი: ხ. ახვლედიანი, ნარკვევების საქართველოს ისტორიიდან.
3. ბარამიძე 1999: ბარამიძე ი. საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999
4. სურგულაძე სიორიძე 1996 : ა. სურგულაძე, მ. სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი 1996
5. სიჭინავა 1956 : ვლ. სიჭინავა, ბათუმი. 1956
6. Zosidze N, Varshanidze., „RUSSIAN AGRARIAN COLONIAL POLICY IN BATUMI REGION IN THE 80S OF THE 19TH CENTURY” , Open Access Peer-reviewed Journal , ScienceReview . 3(10), March 2018 Vol. 8;
7. გაზ. „დროება“, 1879, № 40
8. გაზ. „დროება“, 1880, № 168
9. Акты т. XII стр. 574-575
10. Отчет консула В. палгрева 1872 г. ИКОИРГО . Т. VII, тифлис. 1882

## სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენები და ახალციხის ეიალეთის მდგომარეობა 1774 – 1787 წლებში (თურქული წყაროების მიხედვით)

### ფირათ ჩაქირი

ქუჩუქ-კაინარჯას ზავის შემდგომ, 1775 წლის 30 მარტს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ კავკასიაში რუსული არმიის მთავარსარდალს, გენერალ მედემს წერილი გაუგზავნა. წერილში ერეკლე II ითხოვდა რუსული ჯარების კავკასიაში შემოსვლას, ხოლო სანაცვლოდ რუსებს დახმარებას ჰპირდებოდა. ასევე, ინფორმაციას აწვდიდა დაღესტანისა და აზერბაიჯანის მოსახლეობის საერთო მდგომარეობის შესახებ.

ამ პერიოდში რეგიონში სამი ძირითადი ძალა ცდილობდა ქართული სამთავროების გადაბირებას. ამ მიზნით ჩილდირის ეიალეთის გუბერნატორმა სულეიმან ფაშამ, ოსმალეთის ხელისუფლების დავალებით საქართველოს, აზერბაიჯანის სახანოებსა და დაღესტანს საჩუქრები დაუგზავნა. მასვე დაევალა გაეკონტროლებინა აღნიშნული რეგიონები (Uzunçarşılı, 2011: 216).

ერეკლე II-მ თავისი ელჩი მირზა გიორგი, ჩილდირის გუბერნატორის დახმარებით, სტამბოლს გაგზავნა და ოსმალეთის ხელისუფლებას აცნობა, რომ თავისი ქვეყანა ოსმალეთის მხარეზე იყო. გარდა ამისა, ერევანისა და ხოის ხანებმა განაცხადეს, რომ ერეკლე II-ის მოკავშირეები იყვნენ და დახმარება ითხოვეს (Ahmet Cevdet, 2016: 61). ამის გამო, სულთან აბდულჰამიდ I-მა ერეკლე II-ს საჩუქრად ოფიციალურ დოკუმენტთან (ოფიციალური წერილი, რომელიც იგზავნებოდა ფადიშაჰის მიერ და რომლითაც ფადიშაჰი ანიჭებდა რაიმე წოდებას, მაგ. ვეზირი, ბეილერბეი და სხვ.) ერთად 1000 ოქრო, ქურქი და ცხენი გაუგზავნა. გარდა ამისა, ჩილდირის ეიალეთის გუბერნატორს სულეიმან ფაშას უბრძანა, რომ საჭიროების შემთხვევაში ერეკლე II-ს 3000 კაციანი არმიით დახმარებოდა (Ahmet Cevdet, 2016: 64).

ერეკლე II ფიქრობდა, რომ 1775 - 1779 წლებში გამამდიდინარე ოსმალეთ-ირანის ომი, ოსმალეთის სახელმწიფოს გამარჯვებით დასრულდებოდა. ამის გამო, აღიარა ოსმალეთის სახელმწიფოს ძალაუფლება და მიიღო საჩუქრები. საპასუხო საჩუქრები გაუგზავნა სულთანს ერეკლემაც. ამრიგად, ქართლ-კახეთი ბოლოჯერ 1776-1783 წლებში დაექვემდებარა ოსმალეთის სახელმწიფოს (Ahmet Vasif, 1994: 107).

ხოის ხანს აჰმედ ხანს და შაჰის ხანს მეჰმედ ჰასან ხანს ეზინოდათ, რომ ერეკლე II დაიპყრობდა მათ სახელმწიფოებს. ამის გამო, ჩილდირის ეიალეთის გუბერნატორს სულეიმან ფაშას წერილი გაუგზავნეს და აცნობეს, რომ ოსმალეთს ემორჩილებოდნენ. აღნიშნულის საფუძველზე ერეკლე II-მაც შაჰის ხანს გაუგზავნა წერილი და ითხოვა მათ შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარება (Bilge, 2015: 278).

1779 წელს გარდაიცვალა ირანის შაჰი ქერიმ ხან ზენდი. მისი გარდაცვალებისთანავე ყუბის ხანმა ფათ ალი ხანმა ისარგებლა შექმნილი არეულობით და მოისურვა შაჰი გამხდარიყო. ამ მიზეზით, განჯისა და ერევანის ხანებთან ერთად თავს დაესხა ქართლ-კახეთს. ამის საფუძველზე, ერეკლე II-მ ყარაბაღის ხანთან იბრაჰიმ ხანთან ერთად შექმნა კავშირი. ერეკლე II-ისა და ყარაბაღის ხანის გაერთიანებულმა არმიამ დაამარცხა განჯისა და ერევნის ჯარები. “Transactions” of the Adjara AR Regional Scientific Centre of the Georgian National Academy of Sciences, vol. – 4, 2019

ხოლო მოგვიანებით განჯისა და ერევნის სახანოები შევიდნენ ერეკლე II-ის დაქვემდებარებაში. ამ პერიოდში რუსეთი, ერთის მხრივ ერეკლე II-თან, ხოლო მეორეს მხრივ, აზერბაიჯანის ხანებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებას ცდილობდა (Bilge, 2015: 279).

აღნიშნულ პერიოდში ერეკლე II ოსმალეთის მოკავშირეც გახდა და განჯისა და ერევნის სახანოებიც დაიქვემდებარა. ამის გამო, იმერეთის მეფე სოლომონ I შიშობდა, რომ ერეკლე II-ს იმერეთის ტერიტორიებიც არ დაეპყრო. ამ მიზეზით იგი დაეხმარა ალექსანდრეს, რომელიც ქართლ-კახეთის ტახტზე გამოთქვამდა პრეტენზიას. ალექსანდრემ გამოიყენა ერეკლე II-ს წასვლა ერევანში და აჯანყება წამოიწყო. ერეკლე II სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში და ჩაახშო აჯანყება. ალექსანდრემ თავი ფათ ალი ხანს შეაფარა და ქართლ-კახეთში მყოფი თავისი მომხრეების საშუალებით შეეცადა სიტუაციის შემობრუნებას. შველა ითხოვა რუსეთისგანაც. ამის საპასუხოდ, ერეკლე II-მ დახმარება ითხოვა გერმანიისა და ვენეციისგან, თუმცა უშედეგოდ. ამის შემდეგ მან დახმარებისათვის რუსეთს მიმართა. სწორედ ამ საფუძველზე, 1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკის ციხეში, რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის გაფორმდა 13 მუხლიანი ხელშეკრულება, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის სახელწოდებით არის ცნობილი. გეორგიევსკის ტრაქტატს ქართლ-კახეთის მხრიდან ხელი მოაწერა იოანე მუხრან-ბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ, ხოლო რუსეთის მხრიდან კი გენერალმა პოტიომკინმა (Ahmet Vasif, 1994: 76-77). 1783 წლის 18 აგვისტოს ერთ ოსმალურ დოკუმენტში ჩილდირის მმართველი სულეიმან ფაშა საუბრობს იმაზე, რომ რუსები ჯერ კიდევ არ შესულან თბილისში და იმყოფებიან ჩერქეზთა ტერიტორიებზე, ხაზს უსვამს სოლომონ I-სა და ერეკლე II-ს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას. აღნიშნავს, რომ აკვირდება ამ ორი მეფის მოქმედებებს და აცხადებს, რომ მათ მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების წამოწყების შემთხვევაში მზადყოფნაში იქნება (BOA, HH / 12 – 445.).

ოსმალეთის სახელმწიფომ, აღნიშნული ტრაქტატის გაფორმების შემდეგ, დაიწყო კავკასიაში არსებული ციხე-სიმაგრეების გამაგრება-გამლიერება. გამლიერდა ფოთის, ბათუმისა და სოხუმისა ციხეები და გაზარდა ჯარისკაცების რაოდენობა. შერემონტდა ახალციხის, ახალქალაქის, აწყურისა და ხერთვისის ციხეები. იმერეთის მეფე სოლომონ I-მა და სამეგრელოს დადიანმა კაცია II-მ ფოთის ციხის მეთაურს გურჯუზადე ჰალილ ფაშას ელჩი გაუგზავნეს და აცნობეს, რომ ოსმალეთის მხარეზე იყვნენ (Bilge, 2015: 280). 1783 წლის 4 ოქტომბერს, ჩერქეზულმა ტომებმა ოსმალეთის სახელმწიფოს გაუგზავნეს წერილი, სადაც აცხადებდნენ, რომ ჩავიდოდნენ თბილისში და ერეკლე II-სა და სოლომონ II-ის მხარეს გამოვიდოდნენ. ასევე, ჩერქეზული ტომები იძლეოდნენ გარანტიას, რომ არ დაესხმოდნენ თავს ოსმალეთის ტერიტორიებს მანამ სანამ, რუსეთსა და ოსმალეთს შორის იქნებოდა მშვიდობიანი ურთიერთობა (BOA, HH / 10 – 333 - C.).

რუსებმა, იმისათვის, რომ გადმოელახათ კავკასიის მთები და შესულიყვნენ საქართველოში, თერგის ხეობაში დარიალის გადასასვლელზე დაიწყეს სამხედრო გზის მშენებლობა. ერეკლე II-ს სურდა ამ საქმისათვის გამოეყენებინა ლეკი მოსახლეობა, თუმცა მათ ამაზე უარი განაცხადეს იმ მოტივით, რომ ისინი მუსლიმები იყვნენ და ჩილდირის ეიალეთში გადავიდნენ. ჩილდირის მმართველი მათ იარაღითა და საკვებით დაეხმარა (BOA, HH / 10 – 333 - H.). 1783 წლის 25 ნოემბერს თავრიზის ხანმა განაცხადა, რომ რუსეთის მიერ კავკასიონის გადმოლახვა მთლიანად ისლამურ სამყაროს დაემუქრებოდა და გაგზავნა წერილი, სადაც მითითებული იყო რუსეთის წინააღმდეგ რეგიონის ყველა მუსლიმი ხანის გაერთიანების აუცილებლობის შესახებ

(BOA, HH / 10 – 333 - F.). დარიალის გადასასვლელის მშენებლობის დასრულების შემდეგ, პოლკოვნიკ ბურნაშევის მეთაურობით 1800 კაციანი რუსეთის არმია 1783 წლის 3 ნოემბერს შევიდა თვილისში. რა თქმა უნდა, რეგიონში რუსეთის არსებობის მთავარი მიზანი იყო ანატოლიაზე გალაშქრება, დაღესტანის ალყაში მოქცევა და ასევე ირანზე გალაშქრება (Bilge, 2015: 281).

ოსმალეთის სახელმწიფო შეეცადა რუსეთის ამგვარი მოძრაობებისათვის პასუხი გაეცა. ამ მიზნით, ოსმალეთის სახელმწიფომ აზერბაიჯანისა და დარესტანის ხანებს წერილები დაუგზავნა და მათგან საქართველოზე თავდასხმა მოითხოვა. ამის გამო კუმის გუბერნატორმა მეჰმედ ხანმა, დაღესტანის მოსახლეობამ, ყარაბახის მეთაურმა იბრაჰიმ ჰალილ ხანმა და საქართველოს საზღვარზე მუსლიმმა მოსახლეობამ ჩილდირის ეიალეთის გუბერნატორს სულეიმან ფაშას აცნობეს, რომ ომისათვის მზად იყვნენ (Karagöz, 1993: 117). როგორც 1785 წლის 2 ნოემბრით დათარიღებული დოკუმენტიდან ირკვევა, აზერბაიჯანის ხანებმა ოსმალეთს შეჰფიცეს, რომ თუ ოსმალეთი ერეკლე II-ის წინააღმდეგ განახორციელებდა სამხედრო მოქმედებებს, ოსმალეთის მხარეს დაიკავებდნენ, და ჩილდირის მმართველს სულეიმან ფაშას გაუგზავნეს გაერთიანების წერილი (BOA, HH / 2 – 58 - C.).

ომისათვის, რომ ოსმალეთის სახელმწიფოს რაიმე რეაგირება არ მოეხდინა, ერეკლე II-მ წერილი გაგზავნა. ამ წერილით განაცხადა, რომ „რუსების სამხედრო მოქმედებები არ იყო მიმართული ოსმალეთის წინააღმდეგ, რუსები თბილისში ჩამოვიდნენ ირანთან და დაღესტანთან დაკავშირებული საქმეებისათვის“. თუმცა, ჩერქეზეთში ოსმალეთის სახელმწიფოს ჯაშუშებმა აცნობეს, რომ „რუსებმა თბილისი ჯარი გაგზავნეს და ლეკების ეზგების ტერიტორიაზე ორი ციხე-სიმაგრე ააშენეს“. ასევე, ჩილდირის ეიალეთის გუბერნატორი სულეიმან ფაშა რეგულარულად აწვდიდა სტამბოლს ინფორმაციას საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ (Bilge, 2015: 281).

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ ამ პერიოდში, როგორც მუსლიმი მოსახლეობის, ასევე ქართული სამთავროების მიმართ დაიწყო რიგი ზომების გატარება. ოსმალეთმა საქართველოსთან ურთიერთობის დალაგება დაავალა ფოთის ციხის მეთაურსა ვეზიფ ჰალილ ფაშას და აბაზა მეჰმედ ფაშას (Karagöz, 1993: 118).

1784 წლის 24 იანვარს ერეკლე II-მ აღიარა გეორგიევსკის ტრაქტატი და იმავე დღეს რუსეთთან ერთგულების ფიცი დადო. ერთი დღის შემდეგ აღნიშნული მდგომარეობა გაეცნო თბილისის მოსახლეობას განკარგულების სახით. აღნიშნულის შემდეგ, ერეკლე II-ის კონკურენტი ალექსანდრე ხანი რუსებმა დაატყვევეს. ქართლ-კახეთში მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობა განჯისა და ყარაბახის სახანოებში იქნა გადასახლებული. რის გამოც, ყარაბახის ხანმა იბრაჰიმ ჰალილ ხანმა ქართლ-კახეთთან გაწყვიტა მეგობრული ურთიერთობა (Gökçe, 1979: 78).

იმერეთის მეფე სოლომონ I შეეცადა რუსეთს დაახლოებოდა, ვინაიდან იმერეთის ტერიტორიებს, ოსმალთ წაქეზებით, თავს ესხმოდნენ აჭარისა და ლაზეთის მოსახლეობა. სოლომონ I-მა, რომელსაც ოსმალეთი მფარველობდა, ჩილდირის ეიალეთის გუბერნატორისგან სულეიმან ფაშასგან დახმარება და აღნიშნული თავდასხმების შეჩერება ითხოვა, მაგრამ სულეიმან ფაშას თავდასხმების შესაჩერებლად არაფერი მოუმოქმედებია. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, სოლომონ I შეეცადა რუსეთს დაახლოებოდა. რუსეთი კი ამ პერიოდში ისედაც იმერეთის მეფის გადმობირებას ცდილობდა. ეკატერინემ სოლომონ I-ს ფულადი დახმარება აღმოუჩინა (Bilge, 2015: 283). ოსმალეთის სახელმწიფომ სულეიმან ფაშას მიერ გაგზავნილი წერილებიდან შეიტყო, რომ ერეკლე II ემზადებოდა ჩილდირსა და ყარსზე თავდასხმისათვის, ხოლო სოლომონ I კი ჩილდირზე, ფოთსა და ანაკლიაზე თავდასხმისათვის (Ahmet Vasif, 1994: 84-85). 1784 წლის აპრილის თვეში სოლომონ I გარდაიცვალა.

როგორც ოსმალურ წყაროებიდან ირკვევა, სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, იმერეთის მოსახლეობა გაიყო სამ ჯგუფად და გაურკვეველი იყო თუ ვინ გახდებოდა იმერეთის მეფე. თუმცა, ოსმალეთს ყველაზე მეტად იმის ემინოდა, რომ იმერეთის ტახტზე ერეკლე II-ის მომხრე მეფე არ ასულიყო (BOA, HH / 25 - 1228.). ოსმალეთის სახელმწიფო გეგმავდა იმერეთის ტახტზე აყვანა ქართველ პრინცი ლევანის ძე ქაიხოსრო, რომელიც ოსმალეთს ემორჩილებოდა და სტამბოლში ცხოვრობდა, ხოლო მის დამხმარედ ჯანიქლი ალი ფაშას გამოგზავნიდა 8000 ჯარისკაცით (BOA, HH / 10 - 333 - C.). მაგრამ, რუსებმა ოსმალეთზე სწრაფად იმოქმედეს და დავითი არჩილის ძე იმერეთის მეფედ გამოგზავნეს. ოსმალეთის სახელმწიფოს ომი არ შეეძლო. ვინაიდან იმერეთის მეფეები ემორჩილებოდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს, დავით მეფემ ოსმალეთის სახელმწიფოს აცნობა, რომ ის გახდა იმერეთის მეფე (Bilge, 2015; 285).

1783 წელს ერევანის ხანის ჰუსეინის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლე II-მ ერევანზე თავდასხმები დაიწყო. ჩილდირის ეიალეთის გუბერნატორმა აღნიშნულის შესახებ გააფრთხილა სტამბოლი და დახმარება ითხოვა. აღნიშნულის გამო სულთან აბდულჰამიდ I-აზერბაიჯანის სახანოებს ელჩი გაუგზავნა და დახმარება აღმოუჩინა მათ. განხორციელებული დიპლომატიური ნაბიჯის შედეგად შაქის, ხოსისა და ყარაბახის ხანებმა გამოთქვეს თანხმობა, რომ ემოქმედათ ჩილდირის ეიალეთის გუბერნატორ სულეიმან ფაშასთან ერთად რუსებისა და ქართველების წინააღმდეგ. ოსმალეთის სურვილით ავარიის ხანმა ომა ხანმა და ელისუს ხანმა ალი ხანმა 1784 წლის 1 ივნისს დალაშქრეს ქართლ-კახეთი და გაძარცვეს (BOA, HH / 27 - 1281.). ერეკლე II-მ ჩილდირის ეიალეთის გუბერნატორისგან თავდასხმების შეწყვეტა მოითხოვა, მოგვიანებით ომარ ხანმა ლორის რაიონში დაამარცხა ერეკლე II-ის ჯარი. ერეკლე II-მ თავი თბილისის ციხეს შეაფარა, ხოლო ომარ ხანმა ციხე ალყაში მოაქცია. ომარ ხანმა თბილისი ვერ აიღო და უკან დაიხია. ვინაიდან ჯარმა დიდი დანაკლისი განიცადა, ომა ხანმა მოისურვა ზამთარი ახალციხეში გაეტარებინა. ოსმალეთის სახელმწიფომ კი ნება დართო. ომარ ხანის ჯარისათვის სულეიმან ფაშამ სტამბოლიდან 5000 ყურუმის (ოსმალეთის ფულის ერთეული) გამოგზავნა ითხოვა. ამის გამო, ერეკლე II-მ თავდასხმებში ბრალი დასდო სულეიმან ფაშას და სტამბოლში წერილი გაგზავნა, რითაც სულეიმან ფაშას გადაყენებას მოითხოვდა. ოსმალეთის ხელისუფლებამ აღნიშნული ბრალდება არ მიიღო, თუმცა ფაშას გაუგზავნა გაფრთხილება, რომ მშვიდობიანი ურთიერთობის საწინააღმდეგოდ აღარ ემოქმედა (BOA, C. HR. / 12 - 552.).

ვინაიდან, ომარ ხანის ჯარს აეკრძალა ახალქალაქში დარჩენა, ის კვლავ თავს დაესხა ქართლ-კახეთის ტერიტორიებს, თუმცა რუსეთის ჯარმა დაამარცხა მისი ჯარი და უკან განდევნა. თუმცა, ერთი წლის შემდეგ, ომარ ხანი კვლავ თავს დაესხა ქართლ-კახეთს. ომარ ხანის ჯარმა გაანადგურა ეჩმიაძინის ეკლესია და მონასტერი. იმამ მანსურის აჯანყების გამო რუსები არ დაეხმარნენ ერეკლე II-ს. ამის გამო ერეკლე II იძულებული გახდა ომარ ხანისათვის წლიურად 65000 რუბლი ხარკი გადაეხადა (Zinkeisen, 2011: 364-365).

1786 წელს, საქართველოში რუსეთის ჯარები შეადგენდა 75.000 ჯარისკაცს. ჩილდირის გუბერნატორმა სულეიმან ფაშამ სტამბოლს აცნობა, რომ აზერბაიჯანის სახანოებს შორის დასრულდა უთანხმოება და სურდა მათთან ერთად თავს დასხმოდა ქართლ-კახეთს. სულეიმან ფაშას დაევალა ზედამხედველობა გაეწია გასაგზავნი ჯარისკაცებზე და იარაღზე. ასევე, სულეიმან ფაშას ებრძანა, რომ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობიდან შეეკრება 4000-იანი ჯარი (Ahmet Vasif, 1994: 329). აზერბაიჯანის ხანებმა 1787 წელს ჩილდირის გუბერნატორს გაუგზავნეს ელჩები და ერთგულების ფიცი აღუთქვეს (Bilge, 2015: 289). ამ პერიოდში ერეკლე II ყუბის ხანის ფათ ალი ხანის მოკავშირე გახდა და გაძარცვა ნახჭევანის რეგიონი. ამის საპასუხოს დაღესტნელმა ომა ხანი ზავით შეეკრა იბრაჰიმ ხანოს და თავს დაესხა კართლ - კახეთს.

საბოლოოდ, 1787-1792 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის დაწყებით დასრულდა ოსმალეთის იდეაც - გაეუქმებინა ქართული სამთავროები და ბოლო მოელო კავკასიაში რუსეთის არსებობისათვის. ოსმალეთის იმპერია, როგორც კავკასიაში ასევე რუმელიაში გადავიდა თავდაცვით პოზიციაზე რუსეთის წინააღმდეგ. რეგიონში ისლამურ სახელმწიფოებს შორის დაგეგმილი გაერთიანება კი ამ ომთან ერთად დასრულდა. ოსმალეთ-რუსეთის ომის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ აქტიური ფორმით დაიწყო საქართველოში დამკვიდრება, ხოლო 1801 წელს მოახდინა ქართლ-კახეთის ძალადობრივი მიერთება.

## EVENTS TAKING PLACE IN SOUTH CAUCASUS AND THE SITUATION IN AKHALTSIKHEEYALET IN 1774-1787

(According to Turkish Sources)

FIRAT CHAKIR

### ABSTRACT

Following the 1774 Treaty of Kuchuk-Kainarji, the Russian did not stop military movement against the Georgian Kingdoms and the Russian pressure increased. Despite this pressure, the Ottomans and Iran sought ways to maintain their relations with the Georgian Kingdoms, but were not successful in destroying Russian pressure. After the treaty of Georgiyevsk (1783), King Heraclius II of Kartli and Kakheti allied with the Russians, in this way Russia's power in Georgia increased and Russia organized campaigns on both the Ottoman, Iran and Azerbaijani Khanates. In response to these operations, the Ottoman Empire planned military and diplomatic relations with Russia and Georgia because of the strategic position of Akhaltsikhe province. In this article, the situation of Akhaltsikhe province and Georgian kingdoms will be examined according to Turkish documents.

### ბიბლიოგრაფია:

#### ოსმალური საარქივო დოკუმენტები:

- 1) HH (Hatt-ı Hümayun)
- 2) C. HR. (Cevdet-i Hariciye)

#### ლიტერატურა:

1. **Zinkeisen, 2011** – Zinkeisen J. W., *Osmanlı İmparatorluğu Tarihi*, C. 6., İstanbul.
2. **Karagöz, 1993** – Karagöz R., *Osmanlı İmparatorluğu'nun Kafkasya Siyaseti*, Ondokuz Mayıs Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü, Yüksek Lisans Tezi, Samsun.
3. **Ahmet Vasıf, 1994** – Efendi A. V., *Mehasinül Ashar ve Hakaikül Ahbar*, Ankara.
4. **Uzunçarşılı, 2011** – Uzunçarşılı İ. H., *Osmanlı Tarihi*, C. 4. İstanbul.
5. **Ahmet Cevdet, 2011** – Paşa A. C., *Osmanlı İmparatorluğu Tarihi*, C. 2. İstanbul.
6. **Bilge, 2015** – Bilge S. M., *Osmanlı Çağı'nda Kafkasya 1454-1829 (Tarih - Toplum - Ekonomi)*, İstanbul.
7. **Gökçe, 1979** – Gökçe C., *Kafkasya ve Osmanlı İmparatorluğunun Kafkasya Siyaseti*, İstanbul.



## ბათუმში ალექსანდრეს ბაღისა და უფლისწულ ნიკოლოზის ბულვარის წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია

(ბათუმის საქალაქო მმართველობის გამომცემლობა, ა.ვ. კულჩიციკის ტიპოგრაფია. *იბეჭდება  
ქალაქის თავის განკარგულებით*)

(Краткий очерк возникновения и развития городского Александровского Сада и бульвара  
Царевича Николая в г. Батуми, 1903)

აღნიშნული საკითხისადმი არსებული დიდი ინტერესის გამო მოცემული ისტორია რუსულიდან ვთარგმნეთ და ვთავაზობთ დაინტერესებულ მკითხველს. გასული საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებული ნარკვევი, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება პრობლემით დაინტერესებული სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

### უჩა ოქროპირიკი

1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმში (როგორც უკვე რუსულ ქალაქში) პირველად შემოსულებს, თურქული ბათუმი დაგვხვდა შემდეგი სახით: მოსახლეობის ნაგებობანი, ძირითადად ერთსართულიანი და ზოგიერთ შემთხვევაში ორსართულიანი, განლაგებული იყო სანაპირო ყურეს გასწვრივ და, საჭიროა ვთქვათ, წვრილი ხრემით მოკირწყლულ, ორ თუ სამ მის პარალელურ ქუჩაზე თავისებური დახრილობით შუაში წვიმის წყლის ნაკადის გასატარებლად; ამავე ქუჩებზე თავმოყრილი იყო, დღეს ამ სახელის მატარებელი – „თურქული ბაზარი“, რამდენიმე თურქული ბინძური და გაცვეთილი (ძველი – უ.ო.) სახლით, რომელთაც მაშინ საყავებსა და სასტუმროებს ეძახდნენ. ამ ცენტრს იქით, სამივე მხარეს – სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით, როგორც ნაგებობანი, ისე ყოველგვარი ნიშანი, მაჩვენებელი ქალაქური დასახლებისა, უფრო და უფრო იშვიათი ხდებოდა; ასე რომ, მაგ. იმ ადგილიდან, სადაც დღეს განლაგებულია დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა და უფრო დასავლეთით ამ ქუჩიდან, მდებარეობდა პატარა ტყე, რომელიც ახლოს იყო „ნური გელის“ ტბასა და ზღვის ნაპირებთან და წარმოადგენდა ისეთ ხშირსა და გაუვალს, რომ მასში ველურ თხებსა და ტურებზე ნადირობდნენ. ბევრისთვის, ვინც მაშინ ჩამოვიდა და უზრუნველად ცხოვრობს ბათუმში დღევანდლამდე, დაუვიწყარია იქამდე აქ არნახული 1879 წლის მძიმე ზამთარი, როდესაც ქალაქის ნაწილებში, რომელთაც დღეს ეწოდებათ „ნური“, მოსახლეობა ცხოველებს კლავდა უბრალო კომბლებით.

ასეთივე სანახაობას, ხშირსა და გაუვალ ბუჩქოვან ტყეს, წარმოადგენდა ნური-გელის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთი უბანი, რომელიც პირველად 1881 წლიდან მაშინდელი ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორის, გენერალ-მაიორ ს. მ. სმეკალოვის მიერ მონიშნული იქნა საქალაქო ბაღის გასაშენებლად. ეს ტბა, რომელსაც უკავია 40 000 კვ. საყენი ფართობი, 1879 წელს არენდით გაიცა მ.ს.ბ-ზე 100 მანეთად წელიწადში, მარგალიტის მარცვალთა მოსაპოვებლად, თითქოსდა მის სანაპიროზე ნაპოვნი იყო მარგალიტის ნიჟარათა ნაკვალევი. ეს არენდა დიდხანს არ გაგრძელებულა... არენდა ერთი წლის შემდეგ დამთავრდა, ამასთან არცერთი ცალი მარგალიტის მარცვალი, რა თქმა უნდა, არ ყოფილა მოპოვებული.

ქალაქის ბაღის მოწყობამდე ბათუმში არსებობდა ორი კერძო ბაღი – ერთი მაშინდელი რუსეთის კონსულის, მცენარეთა დიდი მოყვარულის, ბ-ნ ჯიუდიჩის სახლის წინ (შემდგომში ეწოდა გუბერნატორის), რომელმაც ამ ბაღისათვის საზღვარგარეთიდან და სხვა ადგილებიდან

გამოიწერა იშვიათი ეგზოტიკური მცენარეები და დეკორატიული ხეები. ამ ბაღიდან ბევრი ძვირფასი მცენარე გადარგეს ქალაქის ბაღში, სადაც ისინი დღესაც ცოცხლობენ. მეორე ბაღი, რომელსაც საზოგადოებრივი ეწოდება, მოაწყო ბათუმში რუსების მოსვლამდე ყოფილმა ბათუმის საფაშალიკოს მმართველმა ჰამიდ-ფაშამ, იმ კვარტალში, სადაც ამჟამად სამეურნეო მმართველობის შენობა, მშენებარე ტაძარი და თავად ვიზიროვის და კოჩხოვეის სახლებია განლაგებული. ამ ბაღს ეწოდებოდა „მელეტომ-ბაღა“ და გაშენებული იყო იმ ფულით, რომელიც შესწირეს ბათუმისა და მისი შემოგარენის მაშინდელმა მოსახლეობამ.

ასე, რომ ქალაქის ბაღის გაშენების პირველი ინიციატივა, რომელსაც შემდგომში ალექსანდრეს ბაღი ეწოდა იმპერატორ ალექსანდრეს საპატივცემულოდ, რომლის დროსაც რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომის შედეგად მოხდა ბათუმის ოლქისა და ქალაქ ბათუმის შეერთება რუსეთის იმპერიასთან, ეკუთვნის ამჟამად გარდცვლილ სმეკალოვს. პოლიციის სამმართველოს საარქივო საქმეებიდან, რომლებიც მაშინ გაიცა, მოსახლეობის მიერ არჩეულ დეპუტატებთან, ქალაქის მმართველებთან ერთად, როგორც ჩანს, 1881 წ. დასახელებულმა მმართველობამ კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს მითითებით და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიერ ბაღის გაშენების პროექტის დამტკიცებით პრუსიის ქვეშევრდომ რესლერთან, ფოთის ბაღის გამშენებელთან, 1881 წლის 1 აპრილს დაიდო ხელშეკრულება 10 წლის ვადით შემდეგი მთავარი პირობებით: **პირველ ხუთ წელიწადს სწავლული მებაღე რესლერი ვალდებულია, საბოლოოდ გააშენოს ბაღი, მის მიერვე მოწონებული და დაწესებული წესებისა და მის მიერვე შემუშავებული გეგმის მიხედვით, ამასთან ბაღი უნდა შედგებოდეს ორი განყოფილებისაგან: პარკისა და სასეირნო ბაღისაგან, ეკიპაჟებისა და ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი გზებით.** ამავდროულად რესლერი ვალდებული იყო 1, 2, 5 და 10 წლის განმავლობაში ბაღში დაერგო ბუჩქოვანი, წიწვოვანი, კვიპაროსისა და სხვა დეკორატიული (მცენარეები) ხეები; მოეწყო განსაკუთრებული სკოლა ორნამენტული და დეკორატიული ხეებისა და კულტურული განყოფილება ბაღის სასეირნო ნაწილში; ქალაქის მმართველობის მითითებით ქალაქის ქუჩებში დარგოს ოთხ და ხუთწლოვანი ხეები და ეს გააგრძელოს ხელშეკრულების ვადის დამთავრებამდე; ყურადღება მიაქციოს მათ სწორად ზრდას. მებაღეს უფლება ეძლეოდა კულტურული განყოფილებიდან, ისევე როგორც სკოლიდან, ზედმეტი ხეები და (მცენარეები) ნარგავები გაეყიდა თავის სასარგებლოდ, მაგრამ რადგანაც ბაღის ეს ნაწილები ემსახურებოდა მებაღის მიერ ხელშეკრულების პირობების პირნათლად შესრულებას, მეხუთე წლის ბოლოს, კულტურული განყოფილებისა და სკოლის ნარგავები სპეციალისტების გაანგარიშებით უნდა ღირებულიყო 1500-დან 2000 რუბლამდე, ხოლო სახელშეკრულებო ვადის ბოლოს (ე.ი. 10 წლის შემდეგ) – 3000 რუბლი.

წარმოებულ სამუშაოზე დაწესებული იყო კონტროლი ხელშეკრულების მიხედვით ქალაქის მმართველობის საერთო სამსახურის სახით ქალაქის თავის თავმჯდომარეობით, და ყოველწლიური სამუშაოების შედეგების მიხედვით, მებაღე ვალდებული იყო შეუსრულებელი სამუშაო დაუყოვნებლივ შეესრულებინა, ზედმეტად შესრულებული სამუშაოები კი მას ეთვლებოდა (შემდეგი) მომდევნო წლის ანგარიშში. დაბოლოს, მებაღის მიერ სახელშეკრულებო ვადის გასვლამდე თანამდებობის უმიზეზოდ დატოვება, ისევე როგორც ქალაქის მხრიდან მებაღის უმიზეზოდ დათხოვნა, ორივე მხრიდან გარანტირებული იყო 3 ათასი მანეთი პირგასამტეხლოთი. სამუშაოების დასაწყებად ერთდროული ხარჯებისათვის ასიგნებული იყო 3500 მანეთი, რომელთაგან ინსტრუმენტების შესასყიდად და მოსაწყობად 650 მანეთი,

მებაღისათვის სახლის ასაგებად 2000 მანეთი, მუშების ხარჯისთვის 600 მანეთი და ღობის მოსაწყობად – 300 მანეთი. მებაღესვე დაენიშნა 600 მანეთი შემოსავალი ყოველწლიურად.

თუმცა უეჭველია, რომ პირველი და ძალიან მტკიცე საძირკველი საქალაქო ბაღისა, ჩაყრილი იქნა ბ-ნ რესლერის მიერ, რომლის მეშვეობითაც ქ. ფოთში მოეწყო და არსებობდა ბაღი. იგი სარგებლობდა ძალიან სოლიდური და გამოცდილი მებაღის სახელით, მაგრამ როგორც პოლიციის სამმართველოს საქმეებიდან ჩანს, მან მცირე ხანს იმუშავა ბათუმის ბაღში, ყოველ შემთხვევაში, დამოუკიდებლად. უკვე ერთნახევარი წლის შემდეგ, კერძოდ, როგორც საპორტო ქალაქ ბათუმის სამმართველოს ჟურნალიდან ირკვევა, 1882 წლის დეკემბრიდან, დადგინდა ქალაქის ბაღის მოწყობის საქმე თავის გამგებლობაში მიეღოთ, რისთვისაც ითხოვდნენ თანხმობას, 1883 წლიდან ხარჯთაღრიცხვაში ორი წლის განმავლობაში წელიწადში 2500 მანეთის შეტანას. თავის მხრივ, თავად რესლერი, თითქმის მისი მებაღის თანამდებობაზე მოსვლის წლიდანვე მიმართავს ბ-ნ გუბერნატორს და მის თანაშემწეს მოხსენებებით, რომლებშიც ის ჩივის არა მარტო ქალაქის პატრონების მიერ მისთვის ბაღის მოსაწყობად ფულის არაკუთრატულად მიწოდებაზე, არამედ პირადად მისთვის განკუთვნილი ქონების მითვისების შესახებ, რაც საერთოდ ძალიან ამუხრუჭებდა საქმის წარმატებით მიმდინარეობას. სხვათა შორის, ამ გარემოებას ამტკიცებს ერთ საქმეში შემორჩენილი წერილი, რომელიც ეკუთვნის მაშინდელი ბათუმის პორტოს უფროსს, კონტრ-ადმირალ ა. ი. გრევეს, მებაღეობის დიდ მოყვარულს, რომელიც სამხედრო გუბერნატორის დავალებით მიწვეული იყო ბაღის სამუშაოებზე სამეთვალყუროდ. 1883 წლის 23 სექტემბრის N92, წერილში, ბ-ნი გრევე განმარტავს, რომ მებაღე რესლერზე თანხების არადროულად გადაცემა შეუძლებელს ხდის „აღექსანდრეს ბაღის „აყვავებას“ და ხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას როგორც მებაღისგან, მისგან აღებული მოვალეობების აკურატულ შესრულებაზე, ისე საკუთარი თავისაგან, როგორც ბაღის საქმის მოსაწყობად მოწვეული მონაწილისაგან. ის, აგრეთვე, აფრთხილებს, რომ თუ ეს არაკუთრატულობა შემდგომშიც გაგრძელდება, მაშინ ის იძულებული იქნება უარი თქვას ამ საქმეში ყოველგვარ მონაწილეობაზე.

1884 წლის 6 ივნისს მებაღე რესლერი გარდაიცვალა, ვერ მოასწრო რა საბოლოოდ დაემთავრებინა მისგან დაწყებული ბაღის გაშენების საქმე, და ერთი წლის შემდეგ, 1885 წლის 4 ივნისის განსაკუთრებული ხელშეკრულებით ალექსანდრეს ბაღისა და მაშინ უკვე დაწყებული ბულვარის მოწყობის ხელმძღვანელად 5 წლის ვადით 1885 წლის 1 იანვრიდან მოწვეული იქნა მებაღე აზნაური მ. ზ. დ'ალფონსი.

დ'ალფონსის ქალაქის მებაღედ დანიშნვიდან ცოტა ხნის შემდეგ წარმოიშვა აზრი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირზე ბულვარის მოწყობის შესახებ, აზრი, მოტივირებული ბათუმის მაშინდელი პოლიცმაისტერის ვოზნესენსკის მიერ – ზღვის სანაპიროზე სასეირნო ადგილის უქონლობის გამო; ამასთან მისი მოწყობის დასაწყისისათვის მოთხოვნილი იქნა 2000 მანეთი; სამუშაოების დაწყებას ხელს უშლიდა შემდეგი გარემოებები: ბულვარის მოსაწყობად მიჩნეული უბნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ქოხი, რომელიც ეკუთვნოდა სამსახურიდან გადამდგარი უნტეროფიცრის ცოლს, ყოფილ მოწყალეების დას სულ ახლახან დამთავრებულ რუსეთ-თურქეთის ომში, ა. შჩერბას, რომელმაც ეს ქოხი შეიძინა მეორე მოსახლისაგან დასაშლელად. აღნიშნულ შჩერბას ამ ადგილიდან გასაყვანად და ქოხის დასანგრევად, რომლის გარეშეც არ შეიძლებოდა ბულვარის მოწყობის სამუშაოების დაწყება, საჭირო გახდა ნახევარი წელი და მხოლოდ 1884 წლის ბოლოს ადმინისტრაციამ მოახერხა ქოხის დასანგრევად

გაყიდვა, ამასთან მის მფლობელს ჯილდოდ ამისთვის გადაეცა 60 მანეთი და ამას ზევით გამოეყო ნაკვეთი მაშინ უკვე დაწყებულ დასახლება გოროდოკში (სლობოდახოლოდნაია).

ბულვარის გაშენება, რომელსაც ეწოდა უფლისწულ ნიკოლოზის სახელი, მემკვიდრე უფლისწულის საპატივცემულოდ, ამჟამად ბედნიერნი თვითმპყრობელს ნიკოლოზ II-სა, წარმოებდა მეზღვეების - რესლერისა და რეიერის გეგმის მიხედვით, რომლებიც, სამწუხაროდ, არ შემონახულა საპოლიციო სამმართველოს საქმეებში. თუმცა ამ საქმეებში მოიპოვება ბულვარის და მასზე ვიღაც კასუმოვის მუსიკოსებისათვის აშენებული პავილიონის განაშენიანების გეგმა, რომელიც ითხოვდა ნებართვას ამ სამუშაოების ნარდად ჩატარებაზე, რაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ მას უარი მიუღია, მაგრამ საქმეში არ მოიპოვება ამის დამადასტურებელი არავითარი ცნობა.

1884 წლის ბოლოსა და 1885 წლის დასაწყისში წარმოებდა ბულვარში ნარგავების დარგვა და მასში მხოლოდ ორი ხეივნის განაშენიანება: ერთის ბულვარის ქუჩის გასწვრივ და მეორე ზღვის სანაპიროსთან, და ამ ხეივნებს შორის გზების გაყვანა. პირველდაწყებითი განაშენიანება გაკეთდა ბულვარის დასაწყისიდან ბურუნ-ტაბიეს მიმართულებით ტაძრის შესახვევამდე. შემდგომი განაშენიანება და მისი სიგრძეში გაზრდა ისევ ორი ხეივნით და სათანადო გზებით წარმოებდა: 1886 წელს არტილერიის სახლამდე და 1894 წ. ვოზნესენსკის ქუჩამდე.

ამასთან არ შეიძლებოდა სამუშაოების წარმოება ბულვარის გასაფართოებლად, იმის გამო, რომ ჯერ კიდევ 1888 წ. ზღვა გამოდიოდა თითქმის იმ ადგილამდე, სადაც ახლა დგას ბულვარის საგუშაგო ბუფეტით. მაგრამ ზღვის თანდათანობით უკანდახევამ, მდ. ჭოროხის ჩამონატანების წყალობით, 90-იანი წლების დასაწყისში შესაძლებელი გახდა მეორე და მესამე პარალელური ხეივნის მოწყობა, რაც 1895 წელს დაიწყო და 1897 წ. შეპელევსკისა და ვოზნესენსკის ქუჩებამდე მიაღწია. ამ დროისათვის ბულვარი გრძელდება საპყრობილის შესახვევამდე, ამასთან მისი სიგრძე 470 საჟენია. ბულვარის საერთო ფართობი უდრის 11790 კვ. საჟენს (~28,300 კვ.მ.).

ბულვარის სიგანე, ზღვის სანაპიროს მოხაზულობის მიხედვით, ყველგან ერთნაირი არ არის: ასე, რომ დასაწყისში „ბურუნ-თაბიეს“ სიმაგრესთან ის 51 საჟენს უდრის, შუაში, გოსპიტალის წინ – 25 საჟენს, ხოლო ბოლოში, საპყრობილეს შესახვევთან – 9 საჟენს.

ბულვარის მოსაწყობად, ისევე როგორც ეს ზემოთაა აღნიშნული, ქალაქის ბადის შემდგომი სამუშაოები დაიწყო 1885 წელს და წარმოებდა მეზღვე დ'ალფონსის მიერ. 1886 წელს კავკასიაში ხელმწიფე იმპერატორის მოსალოდნელი ჩამობრძანების გამო, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით, შეიქმნა განსაკუთრებული კომისია ბაღსა და ბულვარში წარმოებული სამუშაოების სამეთვალყუროდ შემდეგი შემადგენლობით: ვიცე-ადმირალი გრევე, ბათუმის მომრიგებელი მოსამართლე გუსონი, საფრანგეთის კონსული დე-ლიაშომი და ქალაქის სასწავლებლის ინსპექტორი ბოგდანოვი. ამ კომისიის გადაწყვეტილებით დ'ალფონსს ხელშეკრულების ვადა გაუგრძელდა 1891 წლის 1 იანვრამდე, მაგრამ მას მოუხდა არენდის ვადის დასრულება. საკრებულოს 1889 წლის 11 მარტის დადგენილებით, მმართველობის მიერ დ'ალფონსთან ხელშეკრულების პირობების არ შესრულების საფუძველზე მომხდარი გაუგებრობის გამო, 18 მარტიდან ის გადაყენებული იქნა მეზღვის თანამდებობიდან და კინალამ პოლიციის დახმარებით გააძევეს ბაღიდან.

სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ დ'ალფონსს ვერ აპატიეს ძალიან დიდი დამოუკიდებლობა ბადისა და ბულვარის მოწყობის სამუშაოებში. ორივე ეს დაწესებულება ჯდებოდა ძალიან ძვირი და იშვიათი სხვადასხვა სახეობის მცენარეების გამო, რომლებიც მან გადმორგა ჩაქვში საკუთარი მეზღვეობის დაწესებულებიდან ქალაქის ხარჯზე, მანამდე კი “Transactions” of the Adjara AR Regional Scientific Centre of the Georgian National Academy of Sciences, vol. – 4, 2019

ქალაქის ბაღშივე, ასევე ქალაქის სასწავლებელში გადმორგული იქნა მეზაღე რესლერის მიერ რამდენიმე ძვირფასი ხე და მცენარე გუბერნატორის სახლის ბაღიდან, რის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ. ამასთან ეს ბაღიც გაშენებული იყო იმავე რესლერის მიერ.

დ'ალფონსის შემდეგ, კერძოდ, 1889 წლის მაისიდან 1898 წლამდე ბაღსა და ბულვარს ხელმძღვანელობდა რესლერის ყოფილი მოწაფე, პრაქტიკოსი მეზაღე ნ. ტყეზუჩავა. ამასთან ყველა სამუშაოებს 1895 წლამდე ხელმძღვანელობდა მმართველობის ყოფილი წევრი ა. ი. კონდერი, მემცენარეობის დიდი მოყვარული, რომელიც ყოველთვის დიდი სიყვარულითა და გულისყურით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ საქმეს, უძღვნიდა რა მას ადრე დილის საათებსა და თითქმის მთელ სადილობის შემდეგ დროს. 1898 წ. თებერვლიდან 1902 წლამდე მეზაღედ მოწვეული იყო ნიკიტის სასწავლებლის კურსდამთავრებული აკ. ხოშტარია, ამჟამად გაგარინის კლიმატური სადგურის ხელმძღვანელი; 1902 წ. აპრილიდან ამ დრომდე მეზაღედ არის თბილისის მეზაღეობის სადგურის კურსდამთავრებული დ. ლიონიძე.

ბაღისა და ბულვარის მოწყობა შემდგარია, განსაკუთრებით ბულვარი, ე. ბათუმის მშვე-ნებაა, მაგრამ ჯერ კიდევ დაუმთავრებელია. აქაურმა კლიმატურმა და ნიადაგურმა პირობებმა მოითხოვა დიდი ძალისხმევა და ხარჯები, ბათუმში განსაკუთრებით ზაფხულში და შემოდგომაზე ხანგრძლივი წვიმების და ჰაერის ტენიანობის მიუხედავად, აქ ისეთი გვალვები იცის, რომ გარდაუვალია მიმართო ნარგავების ხელოვნურ მორწყვას ბაღსა და ბულვარში. ამას მიაქცია ყურადღება ბაღის მოსაწყობი სამუშაოების დაწყების წინ მეზაღე რესლერმაც, ითხოვა რა, მორწყვისათვის ტბის წყალის უხარისხობის გამო, გამოეყვანათ ჯერ კიდევ თურქეთის ხელისუფლების დროს მოწყობილი წყალგაყვანილობიდან წყალი და მასში რამდენიმე ადგილას მოეწყოთ აუზები და ჭები, რაზეც ჯერ კიდევ 1884 წელს ასიგნებული იყო 300 მანეთი, თუმცა წყალი მოგვიანებით გამოიყვანეს, კერძოდ, 1886 და 1887 წლებში. იქამდე კი ნარგავების მორწყვა ბაღში ხდებოდა ჭიდან ამოქაჩული წყლით. უფრო მეტ სირთულეს წარმოადგენდა, განსაკუთრებით ბულვარში, ნიადაგი. ალექსანდრეს ბაღის უალრესად თხელ ნიადაგს, მსხვილი სილის მნიშვნელოვანი მინარევით, განსაკუთრებით ხშირი წვიმები და ბათუმის თბილი კლიმატი, რომელიც იწვევს სწრაფ გამოშრობასა და გამორეცხვას მასაზრდოებელი ნივთიე-რებებისა, საჭიროს ხდის ყოველწლიურ აუცილებელ მნიშვნელოვან დანახარჯებს სასუქებზე, რომლის უკმარისობა ადგილზე კიდევ უფრო ართულებს სამუშაოების ნორმალურ წარმოებას.

ბულვარში, საკუთარი ნიადაგი საერთოდ არ არსებობს: ბულვარის მთელი ტერიტორია წარმოადგენს მსხვილი ხრემის მძლავრ ფენას, მოტანილს ზღვის მოქცევისას მდ. ჭოროხის ჩამონატანებიდან. ამის გათვალისწინებით აქ დარგვა წარმოებს ორმოებსა და მეტ-ნაკლებად ფართო არხებში 2-2 1/2 არშინ სიღრმეზე, რომელშიც ხრეში შეცვლილია ხელოვნური ნიადაგით თიხის, სილისა და ნაკელის შემადგენლობით, რომელიც მოაქვთ მეზობელი ადგილებიდან. სამუშაოს ეს ნაწილი – ნიადაგის სასუქით გამდიდრება, როგორც ადრე, ახლაც შეადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ხარჯს ბაღისა და ბულვარის შენახვისას, მუშაობაში ყველა სიძნელების მიუხედავად, როგორც ალექსანდრეს ბაღი, ისე მეფისწულ ნიკოლოზის ბულვარი რამდენიმე წელიწადში გაიზარდა და მიიღო სრულად კეთილმოწყობილი სახე: ბულვარი, თავისი მდგომარეობით, ზომითა და სილამაზით წარმოადგენს ბათუმის ყველაზე წარმტაც ნაწილს, რომლისაც, ამ მხრივ, ბევრ ზღვისპირა ქალაქს შეშურდებოდა.

ბათუმის გავლით იშვიათია, ვინმე მაღალი თანამდებობის პირს ემოგზაურა, რომ არ სტუმრებოდა ბაღსა და ბულვარს, 1888 წ. თავისი სტუმრობით კავკასია გააბედნიერა ღმრთისგან დალოცვილმა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე III, უავგუსტეს ოჯახთან ერთად. ბათუმში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომები“ – 4, 2019

გავლისას 25 სექტემბერს აღნიშნული წლისა, ხელმწიფე იმპერატორმა და უავგუსტესმა ოჯახმა ინება ქალაქის ბაღში დაერგათ შემდეგი ნარგავები: იმპერატორ ალექსანდრე III – *Magnoliagrandiflora*, ხელმწიფე იმპერატრიცა მარია თევდორეს ასულს – *CedrusDeodora*, მეფის მემკვიდრე ნიკოლოზს, ახლა მეფე ხელმწიფე იმპერატორ ნიკოლოზ II – *CunninghamiaSinehsis* და დიდ მთავარს, გიორგი ალექსანდრეს ძეს – *Oleailicofolia* და *CedrusDeodora*. 1888 წელსვე მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ინება ბაღში დაერგა *QuerebusSuber*. ნარგავთა რიცხვიდან, რომლებიც სხვადასხვა დროს მაღალჩინოსანმა პირებმა გააკეთეს, ყურადღებას იქცევენ შემდეგნი: მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მინისტრი ა.ს. ერომოლოვი – *Magnoliagrandiflora*, (1897 წ.), ყოფილი სამხედრო მინისტრი ვანოესკი – *AgaveAmericana* (1886 წ.), ყოფილი ფინანსთა მინისტრი ვიშნეგრადსკი – *Chamaeropssexcelesa* (1890 წ.), ყოფილი სამიმოსვლო გზების მინისტრი გიუბენეტი – *Retinispora aurea* (1890 წ.), E. U. B. პრინცი კ. პ. ოლდენბურგი – *PinusAustriaca* (1834 წ.), იუსტიციის მინისტრი ნ. ვ. მურავიევი – *Laurusnobilis* (1895 წ.) და სხვა.

ქალაქის ალექსანდრეს ბაღი, 13518კვ. საჟენი ფართობით, განთავსებულია ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მარინის პროსპექტის ბოლოს, ტბა „ნური გელის“ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს და შედგება საკმაოდ კარგად ფორმირებული ძვირფასი წიწვოვანი და დეკორატიული მცენარეებისაგან, რომელთაგან ბევრი დარგულია მაღალი თანამდებობის პირთა მიერ. მიმდინარე 1903 წლამდე ალექსანდრეს ბაღი შედგებოდა სასეირონო და სანერგე განყოფილებისაგან, მაგრამ ამ წლის გაზაფხულიდან სანერგე აქედან გადაიტანეს ქალაქის სასაკლავოს მიმდებარე უბანში, მდ. მეჯინი -სუზე (მეჯინა/მეჯინისწყალი - მთარგმნელი), ქალაქიდან ორი ვერსის მანძილზე, სადაც ჩამოტანილი თიხის მდიდარი და ღრმა ნიადაგი უფრო უზრუნველყოფს, ყველა თვალსაზრისით, სანერგეში ნარგავთ გაზრდას და ამცირებს ხარჯებს სასუქებზე, რადგანაც სასაკლავოსთან არის მუდმივი მარაგი ნაკელის სასუქისა. ადგილი, დაკავებული 1903 წლამდე ქალაქის ბაღში სანერგის მიერ, გათვალისწინებულია ბათუმის ბოტანიკური განყოფილებისათვის, რომლის მოწყობა დაიწყება მ/წლის შემოდგომაზე.

ბაღის ნარგავთა ასორტიმენტი საკმაოდ მრავალფეროვანია და შედგება სხვადასხვა სახეობის და მრავალგვარი წიწვოვანი, მარადმწვანე, დეკორატიული და ფოთლოვანი ჯიშის ხეებისაგან და ბუჩქებისაგან.

წიწვოვანი მცენარეებიდან საყურადღებოა: *Abiesexcelsa*, *Abies Nordmaniana*, *Araucariaimbricata*, *Casuarinatenuissima*, *Cunninghamiasinensis*, *CedrusDeodora*, *ChamaecyparisLawsoniana*, *Chamaecyparisargentea*, *Criptomeria Japonica* და *elegans*, *Cupressuspyramidalis*, *Horizontalis*, *funebri*, *macrocarpa*, *pungens*, *peruviana*; *Frenellaglauca*, *cricoides* და *Australis*, *Juniperusvirginiana*, *Libocedrusdecurrens*, სხვადასხვა სახეობა *Pinus*, *Keinosporaurea* და ARGENTEA, *Taxodiumdistichum*, *Taxusbaccata*, სხვადასხვა სახეობა *Thuia* და სხვ.

მარადმწვანეებიდან ბაღში მოიპოვება: *Arbutusunedo*, *Acacia Dealbata* და *melanoxylon*, *Agaveamericane*, *Araliapapyrifera*, *Arundo-donax*, *AzaleaJaponica*, ასორტიმენტი (13 სახეობა) *Bambusa*, სხვადასხვა *Buxusu*, *camelliajapjnica*, *Dracaenaindivisa*, ასორტიმენტი *Eucalyptus*’ოფს, *gyneriumargenteum*, *gardeniaradicans*, *grevillearobusta*, *Magnoliagrandiflora*, *Musamartini*, *Mespilusjaponicas*, *CitrusLimonum*, *LaurusCamphora*, *Camphoraofficinalis*, *PittosporumTobirae*, *Phormiu*, *tenax*, *Philocereus Houlettii*, *Neriumoleander*, *quercus: Suber*, *ilex*, და *Japonica*, *Vibunumtinus*, *Vuccarecurvata*, *filomentosa* და *alofilia*, *Oleailicifolia* და *fragrans* და მრავალი სხვა. “Transactions” of the Adjara AR Regional Scientific Centre of the Georgian National Academy of Sciences, vol. – 4, 2019

არის აგრეთვე ფოთლოვანთა დიდი ასორტიმენტი *Chamaerops excelsa*, *Phoenix canariensis*, *Cabalpalmeta* და *Cecas revolute*.

თითქმის იგივე ნარგავებია ძირითადად წარმოდგენილი ქალაქის ბულვარშიც. ნარგავთა ჯგუფი ალექსანდრეს ბაღში და ბულვარში საკმაოდ მრავალფეროვანია. მცენარეები დაჯგუფებულია ან ცალკეული კულტურულ სახეობებად (უმთავრესად წიწვოვანები), ან ხეივნებად. ზოგანაც არის მეტ-ნაკლებად ვრცელი სპეციალური წიწვოვანი მცენარეების უბნები კლუმბებში (ყვავილნარებში) ყველგან გავრცელებულია გაზონები და ზოგიერთ ადგილას ყვავილის ხალიჩები.

ბაღისა და ბულვარის საერთოდ ყველა ნარგავის მოსავლელად ქალაქის დაწესებულებებსა და მის ქუჩებში დასაქმებულია ერთი მეზღვე, 800 მანეთი ხელფასით, 400 მან. ბინის ხარჯით წელიწადში; მეზღვის დამხმარე (თანაშემწე) 420 მან. ხელფასით. წელიწადში და 12 ბაღის მუდმივი მუშა და დარაჯი, რომლებიც თვიურად ღებულობენ 20-დან 25 მანეთამდე. ქალაქის საერთო ხარჯი წლიურად ბაღისა და ბულვარის სანერგის შესანახად შეადგენს 9 ათას მანეთამდე. ბაღისა და ბულვარის მთელი ხარჯი ამ დროისათვის გამოიხატება მრგვალ თანხაში 115 ათასი მანეთის ოდენობით.

დასკვნის სახით უნდა მივუთითოთ, რომ ბაღების უმრავლესობა, რომლებიც ეზოებს ალამაზებს, როგორც კერძო საცხოვრებელ სახლებში, ასევე მრავალ დაწესებულებაში ბათუმში, თავის წარმოშობას უნდა უმაღლოდეს ქალაქის ბაღსა და სანერგეს. ამ უკანასკნელებმა მისცეს მასალა ქალაქში ზოგიერთი ქუჩის განაშენიანებას, აგრეთვე მიმდინარე 1903 წელს 120 საწოლზე საავადმყოფოს ბაღისა და ნახევრადბაღნარების გასაშენებლად ქალაქის ახალი საზოგადოებრივი მმართველობის შენობის წინ.

**რუსულიდან თარგმნა უჩა ოქროპირიძემ.**

## **КРАТКИЙ ОЧЕРК ВОЗНИКНОВЕНИЯ И РАЗВИТИЯ ГОРОДСКОГО АЛЕКСАНДРОВСКОГО САДА И БУЛЬВАРА ЦЕСАРЕВИЧА НИКОЛАЯ В ГОРОДЕ БАТУМИ (ПЕРЕВОД)**

**УЧА ОКРОПИРИДЗЕ**

### **РЕЗЮМЕ**

В переводе изложен интересная история возникновения и развития городского Александровского сада и бульвара цесаревича Николая в городе Батуми. В нём рассказано о той большой работе, которая сопровождала создание этих центров культуры и отдыха. Указаны все виды растений, которые были высажены в этих садах и отмечены те виды деревьев, посаженных были представителями российской царской семьи и другими государственными деятелями Российской империи.

## ფოცხოვის საფორტიფიკაციო ნაგებობათა ისტორიისათვის (ყველის ციხე)

### ციური ქათაგაჰი

შუა საუკუნეების საქართველოში არსებობდა მძლავრი თავდაცვითი სისტემა საფორტიფიკაციო ნაგებობებისა (ციხე-სიმაგრეები, კოშკები...), რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ისე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, რაც უცილობლად გულისხმობდა სატრანზიტო - საგზაო მაგისტრალების დაცვასა და კონტროლს. ასეთი მძლავრი ბასტიონების სიმრავლე კი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური დაწინაურების შედეგი იყო.. ციხე-სიმაგრეებითა და საგზაო მაგისტრალებით, გარკვეული მიზეზების გამო, გამოირჩეოდა სამხრეთ საქართველო. რეგიონი, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობისა და სულიერების მძლავრი ფორპოსტი, რომელიც უზრუნველყოფდა საიმედო კავშირს საქართველოს ცალკეულ კუთხეებსა თუ მეზობელ ქვეყნებთან, და საქართველოს უსაფრთხოების სამხრეთი კარიბჭე.

სამხრეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთი მძლავრი რგოლი იყო ქართულ წერილობით წყაროებში ხშირად მოხსენიებული ყველის ციხე. ის მდებარეობდა არსიანის მთების აღმოსავლეთ კალთაზე აჭარის, ფოცხოვის და შავშეთის მიჯნაზე და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ვახუშტის მიხედვით, „წურწყუმს (წურწყაბს – ც.ქ.) ზეით, ჯაყის წყალზედ არს ყუელის ციხე, მრავალჯერ შემუსვრილი და აწ ოხერი. ყუელს ზეით მთაში არს ზარზმის მონასტერი...აწ უქმი...ჯაყის წყლის სათავიდამ გარდავალს აჭარასა და შავშეთს გზანი და ფოცხოვის წყლის სათავიდამ ერუშეთს გარდავალს გზა...“ (ვახუშტი, 1973: 665). დიდი მეცნიერის ამ ცნობამ ყველის ციხის ლოკალიზაცია ცოტათი გაართულა. ექვთიმე თაყაიშვილიც ფიქრობდა, რომ ყველის ციხე ჯაყის წყალზე მდებარეობდა, რაც დამკვიდრდა კიდევ ისტორიოგრაფიაში, თუმცა მოგვიანებით ეს შეხედულება მართებულად უარყოფილი იქნა, რადგან ჯაყისწყალი ფოცხოვის აღმოსავლეთ ნაწილშია, ხოლო ყველი დასავლეთ ფოცხოვში. ამდენად ყველს ჯაყისწყალთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს (გურჯისტანის ვილაიეთის ..., 1958: 441). აქვე აღსანიშნავია, რომ ფოცხოვი ცალკე პროვინციას არ წარმოადგენდა: ექ. თაყაიშვილის თანახმად, ფოცხოვის საბოქაულო ახალციხის მაზრასთან ერთად ძველი სამცხის ერთ-ერთი უბანი იყო; პ.ინგოროყვას მიხედვითაც, ამჟამად თურქეთის საზღვრებში მდებარე ფოცხოვის რაიონი ძველი მესხეთის პროვინციის სამცხის ნაწილია (ინგოროყვა, 1954: 300).

თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით ფოცხოვს დასავლეთით აჭარა და შავშეთი საზღვრავს, აღმოსავლეთით-ახალციხისა და ასპინძის, ჩრდილოეთით-ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტები, ხოლო თურქეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციული დაყოფით ფოცხოვი არდაჰანის პროვინციის ფოსოფის ილჩეში შედის. ფოსოფიდან 24 კმ.-ში მდებარეობს სოფელი კოლქოი (kolköy), სადაც 2016 წლის აგვისტოში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ექსპედიციამ ინახულა და აღწერა მდინარის ხეობისაკენ წინ წაზიდულ უზარმაზარ კლდოვან ბორცვზე ამენებული ციხის ნანგრევები. ციხის სამი მხარე მიუვალია, მხოლოდ დასავლეთი მხარეა შედარებით სუსტად დაცული. ჩვენამდე მოღწეული საფორტიფიკაციო ნაგებობა საკმაოდ დაზიანებულია. ციხის გეგმას კლდოვანი “Transactions” of the Adjara AR Regional Scientific Centre of the Georgian National Academy of Sciences, vol. – 4, 2019



ბორცვის კონფიგურაცია განსაზღვრავს. ციხის შიდა სიგრძე 58 მ-ია, ხოლო სიგანე სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვაა. შედარებით კარგადაა გადარჩენილი და ჩვენამდე მოღწეული მისი დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. ნაგებობას როგორც ზემოთაც აღინიშნა, აქვს ერთადერთი შედარებით იოლი მისადგომი სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან. ეს გაუთვალისწინებიათ ციხის მშენებლებს და ეს მონაკვეთი საგულდაგულოდ გაუმაგრებიათ. მისადგომის ყელზე ზემოდან კლდოვანი ქანის შვერილებზე დაუშენებიათ ოთხკუთხა ფორმის კოშკი, რომელიც უშუალოდ კეტავს ამ ერთადერთ სუსტ წერტილს. კოშკის დიდი ნაწილი დღემდე შედარებით კარგადაა შემორჩენილი. მისი დასავლეთი და სამხრეთი გარე კედლები 4 მ-ის სიმაღლემდეა დაცული. რაც შეეხება მის შიდა სივრცეს, თითქმის სამირკვლების დონემდეა მორღვეული. აღმოსავლეთი გალავნის კედლის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლების კვეთაში დატანებული ყოფილა კოშკი. ამჟამად მისი მცირე ნაწილია მხოლოდ შემორჩენილი. შედარებით კარგადაა დაცული მისი დასავლეთი და სამხრეთი კედლები. აქ შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლეა 2,5 მ, სიგანე 5 მ. კლდოვანი ბორცვის თავზე დაშენებულ ციხეს დამატებით იცავდა და აკონტროლებდა მისგან აღმოსავლეთით 31 მ-ის დაცილებით მდგარი ოთხკუთხა ფორმის კოშკი. იგი ციხის შემადგენელი ტერიტორიის ბოლო მონაკვეთშია გამართული. ნაწილობრივ შემორჩენილია მისი დასავლეთი და სამხრეთი კედლები 2,5 მ-ის სიმაღლეზე. დანარჩენი სამირკვლებიანადაა მორღვეული, ისე რომ კოშკის ზომების აღება არ ხერხდება. მისი კედლების სიფართოე 75-80 სმ-ია. ციხის შიდა სივრცეში შეინიშნება სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებიც. მათი დანიშნულების განსაზღვრა ჭირს. ძეგლის ტერიტორიაზე ჩანს ოქროს მამიებელთა კვალიც.

შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ ციხის მშენებლობაში გამოყენებულია საშუალო ზომის კარგად დამუშავებული და გვერდებჩამოსწორებული ქვები. აქა-იქ, განსაკუთრებით დასავლეთის კოშკის კედლებში, ჩანს კარგად დამუშავებული შირიმის ქვების გამოყენების შემთხვევებიც. ძირითადად კედლების წყობაში რიგები დაცულია. წინასწარეული მონაცემებით ციხე შეიძლება IX-X სს-ით დათარიღდეს. (საგრანტო პროექტ „არტაანის“ სამეცნიერო ექსპედიციის სავლე მუშაობის ანგარიში-2016 წ.20-27 აგვისტო).

ასე გამოიყურება დღეს სოფელ კოლქოიში (**kolköy**) არსებული ციხის – **kolkale** – ნაშთები. ესაა შუა საუკუნეების ქართულ წერილობით (ნარატიულ და ეპიგრაფიკულ) წყაროებში ხშირად მოხსენიებული ყველის ციხე. აქვე აღსანიშნავია, რომ ყველის ციხე სოფელ კოლქოისთან მდებარეობს და არა ყალა-ბოინის ტერიტორიაზე, როგორც უკანასკნელ ხანებში, ალბათ, შეცდომითაა მითითებული ისტორიოგრაფიაში (**ქართლის ცხოვრების ...**, 2013: 565). თანაც ყალა-ბოინის (სავარაუდოდ, ჯაყის ციხის) და ჭანჭახის ციხეები მდებარეობს ჯაყისწყლის მარცხენა სანაპიროზე, ხოლო სოფელი კოლქოი (**kolköy**), რომელთანაც დაფიქსირებულია ყველისციხის – **kolkale** ნანგრევები ფოცხოვისწყლის სათავეებთანაა, მდინარის მარცხენა სანაპიროზე. შესაძლოა ზემოხსენებული შეცდომაც ვახუშტის გავლენით აიხსნას (თუ კორექტურა არაა). ამჟამად ს. ჯანაშიას ეროვნულ მუზეუმში ინახება ორი დაზიანებული წარწერა: ერთი ყველის ციხიდან სტელა-ჯვარი და მეორე – ყალა-ბოინის ეკლესიის ბალავრისა (**ქართული წარწერების კორპუსი**, 1980: 134-136; 267-269). ეს ორი ძეგლიც სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტიდან, ბუნებრივია, გამორიცხავს ყველის ციხისა და ყალა-ბოინის იგივეობას. საერთოდ, ტოპონიმი „ყველი“ რუკებსა თუ ლიტერატურაში ხშირად დამახინჯებულია: „კველისა“, „კველისციხე“, „ქველი“-ც კი (**გურჯისტანის ვილაიეთის...**, 1958: 441). მ. ჯანაშვილის მითითებით, „ყველი და ყველის ციხე“ კლასიკური მწერლების მიერ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომები“ – 4, 2019

„კუელი“-ად (თუ ყუელი-ად) იყო წოდებული (ჯანაშვილი, 1915:17). მაგრამ არ გვხვდება „ყალა-ბონი“ „ყველის ციხის“ ნაცვლად. როგორც ჩანს, „კოლქოი“-ც და „კოლ კალე“-ც დამახინჯებული „კოლ ან კველ“ ტოპონიმებიდან უნდა მოდიოდეს. ასევეა ამჟამად მიღებული თურქულ ისტორიოგრაფიაშიც: **kolköy-სოფელი ყველი; kolkale-ყველის ციხე (GUNDOGDU, 2000:110-111).**

შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში საკმაოდ ხშირად იხსენიება „ყველის ციხე“, „ყველის ხევი“, „ყუელის თავი“, „ყველის წვერი“. რაც ნათლად მიუთითებს ამ გეოგრაფიული პუნქტისა და საფორტიფიკაციო ნაგებობის უაღრესად მნიშვნელოვან როლზე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ ყველის ციხის რაიონში შედიოდა გზები, როგორც სამცხიდან, ისე ჯავახეთ-ერუშეთიდანაც. ნ. ბერძენიშვილის მითითებით, სამცხიდან გზა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით არტაანისაკენ მიდიოდა...ჯერ კიდევ ჯაყის ციხეს მისვლამდის ახალციხე-არტაანის გზას გამოეყოფოდა შტო, რომელიც ყველის ციხის გავლით ყველის წვერის გადასავალით არსიანს გადალახავდა და იმერხევის ანუ შავშეთისწყლის ხეობაში შედიოდა, სადაც მას ციხე გარყოფისა უდარაჯებდა..ეს გზა გაივლიდა წყეთის ციხეს, შატბერდს, ოპიზას და დოლისყანას შეურთდებოდა სამაგისტრალო გზას „აფხაზეთიდან“ არტაანს რომ მიდიოდა (ბერძენიშვილი, 1966: 92-94). ასევე აღსანიშნავია, რომ სამცხე-ერუშეთიდან შავშეთისა და აჭარისაკენ მიმავალი გზები ყველის ყურის სანახებში იყრიდნენ თავს და აქედან სამი უღელტეხილით გადადიოდნენ შავშეთში და ორით კი აჭარაში (იქვე:105). ყველის ციხის და, ზოგადად, „ყველისციხის ქვეყნის“ სტრატეგიული მნიშვნელობა კარგად იყო ცნობილი ბიზანტიურ მწერლობაშიც. „ყველის ციხე“, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული სიმაგრე მოხსენიებული აქვს X ს. ბიზანტიელ ისტორიკოსს კონსტანტინე პორფიროგენეტს. მისი ცნობით, „ქართველთა სამეფოში“ მიმდინარე შიდა დაპირისპირების პროცესში (X ს. დასაწყ.) გურგენ მაგისტროსმა თავის სიმამრს-აშოტ კისკას წართვა არტანუჯი და „საბადლოდ მისცა მას ტიროკასტრონი (ბერძნ. სიტყვასიტყვით-ყველის ციხე) და აჭარისწყლის გასწრივი ქვეყანა, რომელიც რომანიის მოსაზღვრე იყო კოლორისთან (დაბა კაპადოკიის საზღვარზე)“ (გეორგიკა, 1952: 276). იგივე ავტორი თავის ნაშრომში „ცერემონიების შესახებ“ იბერიის კურაპალატის ქვეშევრდომ ოთხ ერისთავს შორის ასახელებს-ყუელის ერისთავს (ასევე აჭარის ერისთავს, კარნატის და ვერიასახის) (გეორგიკა, 1952: 291-293). დ. მუსხელიშვილის აზრით, ბიზანტიური წყარო „ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამთავროს.. სამოხელეო იერარქიას“ უნდა ასახავდეს. ორი უკანასკნელი ადმინისტრაციული ერთეული კი კოლა-არტაანის (კარნატის) და ქართლის-შიდა ქართლის (ვერიასახის) საერისთავოებს უნდა გულისხმობდეს. ხოლო მათთან ერთად ყველის ერისთავის დასახელება მიუთითებს, რომ „ყველი სამცხის უმთავრესი ცენტრი უნდა ყოფილიყო იმ დროს და სრულიად უცილობელია, რომ ყველის საერისთავოში, მაინცდამაინც სამცხე უნდა იგულისხმებოდეს“ (მუსხელიშვილი, 1980: 180-184). ქართულ წერილობით წყაროებში „ყუელი“, როგორც ადმინისტრაციული ერთეული-საერისთავო, არ იხსენიება, თუმცა უცნობი მემატანე ასახელებს „მურვან ჯაყელს, ერისთავს ყუელისას“ („მატიანე ქართლისაი“, 1955: 310). ივ. ჯავახიშვილი მართებულად შენიშნავდა, რომ „ყველი მაგარი ციხე იყო, რომელიც არსიანის გზა უდარაჯებდა და ერისთავის რეზიდენციადაც ითვლებოდა“ (ჯავახიშვილი, 1983: 59). ყოველივე ეს კი „ყუელის ქვეყნის“ უაღრესად მნიშვნელოვან როლსა და ადგილზე მიუთითებს როგორც საერო, ისე სასულიერო ცხოვრებაში, რაც დასტურდება ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურით, საისტორიო თხზულებებით, ეპიგრაფიკული წარწერებითა და დღემდე შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლებით.

ქართული აგიოგრაფიული მწერლობის თვალსაჩინო თხზულებაში – „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ – ავტორი აღწერს რა სამცხეში მიმდინარე სამონასტრო მშენებლობისა და საადგილმამულო ურთიერთობების ცალკეულ პერიპეტიებს, მიუთითებს, რომ ოპიზიდან ზარზმისაკენ წამოსულმა სერაპიონმა, მისმა უმცროსმა ძმამ იოანემ და სხვებმა „ვითარცა გარდავლეს მთაი იგი არსიან წოდებული და მოვიდეს ხევსა ყველისასა“, მიქაელ პარეხელის მითითებით იოანე აშენებს **იოანეწმინდას** მონასტერს ზარზმაში მისვლამდე (**სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, 2008: 218**). აგიოგრაფის ეს ცნობა ადასტურებს, რომ იოანეწმინდის მონასტერს სერაპიონ ზარზმელის ძმა აშენებს **ყველის ხევის** სანახებში. ამასთან დაკავშირებით კი უაღრესად მნიშვნელოვანია ყველის ციხიდან 1899 წელს თბილისში საეკლესიო მუზეუმისათვის გადაცემული ზემოხსენებული სტელა-ჯვარი ასომთავრული წარწერით. ესაა იოვანე ერისთავის მოსახსენებელი, რომელიც ყვავასძეთა სახელითაა შესრულებული – „საყდარი იოვანე ერისთავისა, სახელითა ღმრთისაითა, იოვანე ერისთავისაი, ესე ჯუარი ჩუენ ყვავას-ძეთა ავჰმართეთ“ (**ქართული წარწერების კორპუსი, 1980: 134-136**). წარწერა თარიღდება IX- X სს.-ით. ეს ეპიგრაფიკული წარწერა იოანეწმინდის მონასტრის არსებობასაც ადასტურებს და შესაძლოა, ბიზანტიური წყაროს ცნობასაც ყველის საერისთაოს შესახებ. ხოლო აგიოგრაფის ცნობა ვახუშტის მითითებას, რომ „ყველის ზეით მთაში არის ზარზმის მონასტერი“. ეს სტელა შეიძლება იოანეწმინდის მონასტრიდანაც იყოს. სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილეებმა ციხესთან ეკლესიის ნაშთებსაც მიაკვლიეს. ვფიქრობთ, რომ იოანეწმინდის მონასტერი უნდა იგულისხმებოდეს XVI ს. ბოლოს ოსმალურ წყაროებში მითითებულ ყველის მონასტერში (**გურჯისტანის ვილაიეთის.., 1958: 440**). ასევე საინტერესოა მეორე წარწერაც, რომელიც ყალა-ბონის (მდებარეობს თურქეთში, ჯაყის წყალზე) წარწერის სახელითაა ცნობილი. ისიც იოვანეს მიერ იოანე ნათლისმცემლის სახელზე აგებული საყდრის ბალავრიდან, ზუსტად დათარიღებული 983 წლით (**ქართული წარწერების კორპუსი, 198: 267-269**). ალბათ, არაა შემთხვევითი, რომ „ყველის ქვეყანაში“ არსდება იოანეწმინდის მონასტერი, აღიმართება სტელა-ჯვარი, ცოტა მოშორებით შენდება იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაც, რაც ნათლად ადასტურებს რეგიონის არა მარტო სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას, არამედ ეკონომიკურ განვითარებასა და სასულიერო-კულტურული ცხოვრების დაწინაურებას.

X საუკუნეში ყველის ციხესთან დრამატული მოვლენები განვითარდა. 914 წელს საქართველოს არაბთა სარდალი აბულ-ყასიმი შემოესია. არაბები ყველის ციხეს შემოადგნენ. ციხეს ამ დროს გურგენ დიდი, ერისთავთ-ერისთავი ფლობდა. ყველის ციხის დამცველთა გმირობა აშოტ კუხის ბრძანებით აღწერა სტეფანე მტბევარმა აგიოგრაფიულ ძეგლში – „გობრონის წამება“. აგიოგრაფის ცნობით, ყველისციხის ალყა 28 დღეს გაგრძელდა. მას მხოლოდ 133 ქართველი იცავდა, რომელთაც ჭაბუკი მიქელ-გობრონი ხელმძღვანელობდა. მოალყეები არტაანის საზღვრებიდან ლუკმა-პურის საშოვნელად გადმოსულ ხალხს იჭერდნენ და ციხის დამცველთა დასაშინებლად იქვე თავს კვეთდნენ. მტერმა საბოლოოდ გატეხა ყველის ციხის დამცველთა წინააღმდეგობა და გობრონი თანამებრძოლებთან ერთად მოწამეობრივად აღესრულა (**წამება გობრონისა, 2008: 264-265**).

ყველის ციხე ხშირად იხსენიება „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებშიც, რაც ციხის სტრატეგიულ მნიშვნელობას ადასტურებს საუკუნეთა განმავლობაში. აბულ ყასიმის შემოსევის შესახებ უფრო დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის სხვა ქართული წყარო, რომლის თანახმად ქართლის და ჯავახეთის მოოხრების შემდეგ აბულ-ყასიმი სამცხეში შეიჭრა და თმოგვის ციხეს შემოადგა, მაგრამ ვერ აიღო. შემდეგ „შემუსრა ყველის-ციხე და შეიპყრეს გობრონი“ (**ვახუშტი, 1973:133**).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომები“ – 4, 2019

XI ს. შუა ხანებში სამცხე და ყველის ციხე ბაღვაშთა საგვარეულოს ხელშია. თუმცა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი დიდი ფეოდალი ლიპარიტ ბაღვაში და მისი ძე ივანე მესხმა აზნაურებმა, მათ შორის სულა კალმახელმა, შეიპყრეს და ბაგრატ IV-ს (1027-1072 წ.წ.) მიჰგვარეს. ხოლო მისთვის წართმეული არტანუჯი, ყველი, უფლისციხე და ბირთვისი სულა კალმახელს გადაეცა (**მატიანე ქართლისაი, 1955: 305**), რომელიც ამიერიდან იწოდებოდა ციხისჯვარელ-ჯაყელად. XI ს.-ის 60-70-იან წლებში საქართველოში თურქთა თარეში გახშირდა. იმავე მემატინის თანახმად, ალფ-არსლანი „უგრძნეულად მოვიდა და შემუსრა კანგარი და თრიალეთი, და დღესა ერთსა მარბიელმან მისმან მიუწია **ყუელის ყურსა**, გარდავიდა შავშეთს, კლარჯეთს და ტაოს ვიდრე ფანასკერტამდე“ (**მატიანე ქართლისაი, 1955: 306**). დავითის ისტორიკოსის ცნობით, გიორგი II-ს (1072-1089 წ.წ.) „ყუელს გარე მდგომს დაესხნეს უგრძნეულად თურქნი დიდნი“. როგორც ისტორიკოსი გვაუწყებს ამირა აჰმადი კარის (ყარსის) აღების შემდეგ სამცხეში შემოვიდა და „მოვიდეს ესენი შინაგამცემითა ქრისტიანეთათა, აოტეს გიორგი მეფე და სპაი მისი...მეფე წავიდა მეოტი აჭარით აფხაზეთად“ (**დავითის ისტორიკოსი, 1955: 319**). ისტორიკოსის ეს მითითება ადასტურებს, რომ ყველის ციხიდან აჭარაში გადასვლა და „აჭარით აფხაზეთად“ წასვლა შეიძლებოდა. „ყველის ციხის სანახებიდან აჭარაში ორი გზა შედის: ყველის წვერის გადასავლით მერეთის ხევში და ურემას გადასავლით სხალთის ხევში. ციხე ხიხათა (ვარდის ციხე) და საერისთავოსაერისთავო საჯდომი-ხიხანი სხალთას სათავეში და შესანიშნავი ტაძარი (მონასტერი) სოფ. სხალთას კარგად მოწმობენ ამ ხეობით აჭარაში მიმავალი გზის მნიშვნელობას“ (**ბერძენიშვილი, 1966: 103**). აღსანიშნავია, რომ პატივცემული მეცნიერი დანახებით მიუთითებდა, „სამწუხაროდ, ყველა ამათ (გზების – ც.ქ.) ნიშანდობლივი დადგენა ადგილობრივ შეუსწავლელად შეუძლებელია“ (**ბერძენიშვილი, 1966: 94**). ამ საკითხების შესასწავლად და დასაზუსტებლად ამაჟამად გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა.

ყველის ციხეს არა, მაგრამ „ყუელის თავსა“ და „ყუელის ხევს“ ხშირად ახსენებს XIV ს. ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი მონღოლთა ურდოების შემოსევებისა და სამხრეთ საქართველოში მათი ურთიერთდაპირისპირების აღწერის დროს. აჯანყებული მონღოლი უფლისწული თეგუდარი, რომელიც დედაწულით არტაანში მომთაბარებოდა მდევარს გაურბის. მან „გარდმოიარა არსიანი აქეთ, სირმონ ჩამოვლო მთა ყუელისა და მოვიდეს ორნივე თავსა ყუელისასა“ (**ჟამთააღმწერელი, 1959: 259-261**). ფიცხელ ბრძოლაში თეგუდარი დამარცხდა და ივლტოდა „მთასა ღადოსასა, ჯნალის თავსა...რომელიმე აჭარით და რომელიმე ნიგალისხევით, რომელი ყოვლად უვალ იყო კაცთაგან“. აჭარის ხეობაშივე ზვავმა დამარცხა თეგუდარის ათასამდე მებრძოლი.

XVI ს. მეორე ნახევარში ირან-ოსმალეთის ომის განახლებამდე სამცხეში მიმდინარე შიდა დაპირისპირებისას ყველის ციხე ხელიდან ხელში გადადის (**„პარიზის ქრონიკა“, 1980: 48, 49; ეგნატაშვილი, 1959: 520, 521; „მესხური მატიანე“, 1961: 46, 47**). მისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე ყველის ციხე მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ოსმალთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებშიც, თუმცა ამის დამადასტურებელი პირდაპირი ცნობები ჯერ არ მოგვეპოვება. ხოლო XVI ს. ბოლოს შედგენილ ოსმალურ წყაროში „ყველი“-ს სახელ-წოდებით სამი პუნქტია დასახელებული: 1. ყველის მონასტერი (ვფიქრობთ, იოანეწმინდა – ც.ქ.) – 4 კომლი, შეწერილი აქეთ 9000 ახჩა; 2. სოფელი ყველი – 32 კომლი, 12000 ახჩა; 3. სათესველი ზედა ყველი (**გურჯისტანის ვილაიეთის.., 1958: 440**). აღსანიშნავია, რომ ამ ცნობისაგან განსხვავებით 1834 წ. ერთი საარქივო დოკუმენტით სოფელ ყველში მხოლოდ 20 კომლია დარჩენილი (**გურჯისტანის ვილაიეთის.., 1958: 440**), ხოლო ყველის ციხე „დავთრის“ შედგენის

დროსაც „ოხერი“ და მიტოვებული ყოფილა, რასაც მოგვიანებით მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილიც.

ყველის ციხეს არ ახსენებს XVII ს. ცნობილი ოსმალთა ისტორიკოსი და მოგზაური ევლია ჩელები, შესაძლოა ციხე უკვე მიტოვებულია, რასაც ოსმალური „დავთრებიც“ ადასტურებს. მაგრამ ევლია ასახელებს ფოცხოვის ციხეს, ახალციხის ვილაიეთში სანჯაყ-ბეგის ტახტითაო (ჩელები ევლია, 1971; 302; ჩელები ევლია, 1973:112), ოსმალთა ბატონობის დროს ფოცხოვი გურჯისტანის ვილაიეთის ადმინისტრაციული ერთეული ლივა ანუ სანჯაყი იყო. თუმცა არ ჩანს რომელ ციხეზეა საუბარი. ხომ არ იგულისხმება ყველის ციხე? გადაჭრით ამის მტკიცება ჯერჯერობით შეუძლებელია.

სოფელი ყველი მოხსენიებულია XVIII ს. პირველ მესამედში შედგენილ „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარშიც“. სოფელი, რომელიც ფოცხოვის ლივის მზვარეს ნაჰიეში შედის, 20 წელიწადში სამ მეპატრონეს იცვლის და შეწერილი გადასახადებიც 7660 ახჩიდან 5250 ახჩამდე მცირდება (ჩილდირის ეიალეთის..., 1979: 124,151,174). ალბათ, მოსახლეობის შემცირების გამო.

ყველის ციხეს ოსმალთა მიერ დაპყრობილი ახალციხის სანჯაყების ჩამოთვლისას ასახელებს იოანე ბატონიშვილიც (1768-1830 წ.წ.) (ბაგრატიონი, 1986:82).

ამრიგად, მრავალფეროვანი საისტორიო წყაროები ნათლად წარმოაჩენს ყველის ციხის, და ზოგადად, ყველის ციხის „ქვეყნის“ როლსა და მნიშვნელობას შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ცხოვრებაში; ციხის სტრატეგიულ მდებარეობას ფოცხოვის საფორტიფიკაციო სისტემაში, მასზე გამავალ მნიშვნელოვან საგზაო მაგისტრალებს და ა.შ. ხოლო ციხის დაზიანებული ნაშთების არქეოლოგიური შესწავლა კიდევ მრავალ უცნობ ფურცელს გადაშლის საქართველოს ისტორიაში.

## FOR THE HISTORY OF THE POTSKHOVELI FORTIFICATIONS (KVELI CASTLE)

TSIURI KATAMADZE

### SUMMARY

Based on the Georgian and foreign sources (Byzantine, Ottoman), the work represent the Kveli Castle place located in Potskhovi and the significance in political processes on going in Sothern Georgia in middle centuries, the roads running there and the situation existing for the given moment. The conclusion is made that, studding of the monument is significantly important for filling the white pages of Georgian History.

### გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

1. **ბაგრატიონი, 1986:** – ბაგრატიონი იოანე, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბილისი.
2. **ბერძენიშვილი, 1985:** – ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (თორი, ჯავახეთი), თბილისი.
3. **ბერძენიშვილი, 1966:** – ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი.
4. **გეორგიკა, 1952:** – გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), IV (2), თბილისი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომები“ – 4, 2019

5. **GUNDOGDU, 2000:** – Gundogdu Hamza, Kaleler ve Kuleler kenti Ardahan, Ankara.
6. **გურჯისტანის ვილაიეთის.., 1958:** – გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ს. ჯიქიამ, თბილისი.
7. **დავითის ისტორიკოსი, 1955:** – დავითის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფის დავითისა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.
8. **ეგნატაშვილი, 1959:** – ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.
9. **ვახუშტი, 1973:** – ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.
10. **ინგოროყვა, 1954:** – ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბილისი.
11. **მატიანე ქართლისაი, 1955:** – მატიანე ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.
12. **„მესხური მატიანე“, 1961:** – „მესხური მატიანე“ (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, XV- XVI ს.ს.), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ქრ. შარაშიძემ, თბილისი.
13. **მუსხელიშვილი, 1980:** – მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბილისი.
14. **„პარიზის ქრონიკა“, 1980:** – „პარიზის ქრონიკა“ (ცხოვრება საქართველოსა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ.ალასანიამ, თბილისი.
15. **ჟამთააღმწერელი, 1959:** – ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.
16. **სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, 2008:** – ბასილი ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ქართული აგიოგრაფია, III, თბილისი.
17. **ქართლის ცხოვრების .., 2013:** – ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, შეადგინეს: გ.გამყრელიძემ, დ.მინდორაშვილმა, ზ.ბრაგვაძემ, მ.კვაჭაძემ, თბილისი.
18. **ქართული წარწერების კორპუსი, 1980:** – ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები (აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, V-X ს.ს.), შედგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი.
19. **ჩელები ევლია, 1971:** – ჩელები ევლია, „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, თბილისი.
20. **ჩელები ევლია, 1973:** – ჩელები ევლია, „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. II, თბილისი.
21. **ჩილდირის ეიალეთის.., 1979:** – ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წ.წ.), ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბილისი.
22. **წამება გობრონისა, 2008:** – სტეფანე მტბევარი, წამება გობრონისა, ქართული ჰაგიოგრაფია, III, თბილისი.
23. **ჯავახიშვილი, 1983:** – ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, თხზ., ტ. II, თბილისი.
24. **ჯანაშვილი, 1915:** – ჯანაშვილი მ., მესხეთი, თბილისი.

## ეთნოლოგია

### ეთნიკური ისტორიის, იდენტიფიკაციისა და კულტურული მემკვიდრეობის საკითხები ცენტრალური ლაზეთის კოლიეთნიკურ საზოგადოებაში<sup>5</sup>

#### თავაზ ფუტკარაძე

ლაზები ერთ-ერთი ელინიზებული ხალხია თანამედროვე თურქეთში, რომელთა საცხოვრისი ისტორიულად პონტოდ წოდებული ლაზეთია (პონტო ბერძნულია და ნიშნავს ზღვას, პონტო-ზღვისპირა მხარე). იგი მოიცავდა დღევანდელ ქალაქებს: ტრაპიზონს, რიზეს, ორდუსს, სამსუნს, სინოპს. ლაზებმა უდიდესი როლი შეიტანეს მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში. ისინი არაერთხელ მოველინენ ისტორიას, როგორც სახელმწიფოს ჩამომყალიბებელ-საფუძველჩამყრელი ეთნოსი.

ლაზეთისა და ლაზების ეტიმოლოგიური წიაღსვლებისათვის საინტერესო ინფორმაციაა დაცული სტრაბონის გეოგრაფიაში. ტრაპეზუნდთან მცხოვრები ქალდეველების საცხოვრისი ადწერისას სტრაბონი ეტიმოლოგიურად ერთმანეთ სუკავშირებს სიტყვებს: ქალდეებს, ხალიბებს, ალიბებს, ალაზონებს და ამაზონებს. ის ქალდეებს ალაზონების//ალიზონების სახელით მოიხსენიებს. მისი აზრით, ქალდეები იგივე ალიბებია, ალიბები კი ალიზონები//ალაზონები//ამაზონები. სტრაბონი მიიჩნევს, რომ ცნობილი ამაზონი ქალები ქალდეების ტომს ეკუთვნოდნენ. ალაზონების ტომის საცხოვრისად იგი საზღვრავს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს – სინოპსა და ტრაპეზუნტს შორის მდებარე ტერიტორიას. სტრაბონი ალაზონებს ხალიბების (ხალდეების// ქალდევეების) ტომის წინაპრებად მიიჩნევდა, რომლებიც მოგვიანებით ჭანებად იწოდნენ (КАРПОВ С, 2007:32). ძვ. წ. VI-IV საუკუნეებისათვის სინოპეს რეგიონი დასახლებული ყოფილა მეტალურგი ხალიბებით (გ. გოზალიშვილი, 1965:22), რომლებიც მოგვიანებით ლაზებად იწოდებიან. მათი საცხოვრისი მდ. გალისიდან (ჰალისიდან) ვრცელდებოდა ტრაპეზუნტისაკენ.

ლაზეთა//ჭანთა სამკვიდრო ტერიტორიაზე მითრიდატე პონტოელის ინიციატივით ლაზებმა ჩამოაყალიბეს სამეფო. პონტოს სამეფო ფაქტობრივად იყო ლაზების ქვეყანა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ჰეგემონობისათვის ბრძოლაში წარმოადგენდა რომის ერთადერთ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს. ქსენოფონტეს ცნობით, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური ტომები (ქარდუხები, ტაოხები, ქალდეები) არმენიელებისაგან განსხვავებით დაუმორჩილებელი იყვნენ (КАРПОВ С, 2007:32). ლაზები ბოლომდე იბრძოდნენ რომის ექსპანსიის წინააღმდეგ. ევროპულ (განსაკუთრებით ბერძნულ) სამეცნიერო ლიტერატურაში ლაზების

<sup>5</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „ისტორიული ჭანეთის ცენტრალურ ნაწილში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები-ს“ ფარგლებში საგრანტო პროექტი N 217910

მიერ პონტოს სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიულ ფაქტს არც თუ ისე იშვიათად ყურადღების მიღმა ტოვებენ.

ანალოგიური მოსაზრებებია გამოთქმული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ნ. მარის თქმით, „ჭანები თავიანთ თავს უწოდებენ ლაზებს“. მეცნიერს თან ახლდ ალაზი ფევი-ბეი, რომელსაც მისთვის უთქვამს: „კონსტანტინოპოლში ლაზებს უწოდებენ შავიზვისპირეთის მცხოვრებთ, სამსუნელებსაც და სინოპელებსაც. სინოპელები ლაზებად მოიხსენიებენ სამსუნელებს, სამსუნელები კი ტრაპიზუნტელებსო“ (გოზალიშვილი, 1965:194). ქალდიას “ყველა ქართველი ტომების სამშობლოდ“ მიიჩნევდა ივ. ჯავახიშვილიც (ჯავახიშვილი, 1951: 424).

ქართული სახელმწიფოს ძლევამოსილების ეპოქაში თამარ მეფის მხარდაჭერით ლაზებმა მე-13 ს. დასაწყისში ხელახლა შექმნეს ლაზთა სახელმწიფო - ტრაპიზონის იმპერია. წამყვანი როლი ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ითამაში ქართულმა სამეფომ თამარის მეთაურობით, რომელმაც თავისი საგარეო-პოლიტიკური აქტიურობით, სელჩუკების წინააღმდეგ წარმოებული წარმატებული ბრძოლებით და პირდაპირი სამხედრო დახმარებით ხელს უწყობდა ტრაპიზონის გარშემო პონტოს მოსახლეობის კონსოლიდაციას (КАРПОВ С.П. 1981:5). რადგან ქართველებს კონსტანტინოპოლის დაკავება დასწრეს, თამარის გეგმა შეიცვალა. 1204 წელს საქართველოს სახელმწიფომ შექმნა ტრაპიზონის იმპერია, ანუ ქართველებმა შექმნეს საკუთარი ბერძნულ-ლაზური იმპერია (მახოზეშვილი გ., <http://tbilisebi.ge/index.php?newsid=268447214>). ბერძნული არისტოკრატისა და სამხედრო რესურსის დიდმა ნაწილმა კონსტანტინოპოლის სამხრეთ-აღმოსავლეთით გადაინაცვლა და დააარსა ნიკეას იმპერია.

ახალი სახელმწიფოს დაარსება (რომელიც ფაქტობრივად, მე-12-13 სს. მიჯნაზე წარმოადგენდა ნახევრად დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროს) იყო ბიზანტიის დეცენტრალიზაციის ხანგრძლივი პროცესის შედეგი. ახალ სახელმწიფოს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ლაზეთის იმპერია“, ვინაიდან ეს ტერიტორია ისტორიულად ქართული (ხალდურ-ხალიბურ-ჭანურ-ლაზური) იყო. ტრაპიზონის საკეისროში აბსოლუტური უმრავლესობა (ან, დიდი უმრავლესობა მაინც) – ეთნიკურად ქართველი – ლაზები და ჭანები ცხოვრობდნენ, თუმცა, ქალაქებში დიდი რაოდენობით სახლობდნენ ბერძნები ან ელინიზებული ქართველები, სომხები, ებრაელები (მახოზეშვილი გ., <http://tbilisebi.ge/index.php?newsid=268447214>). ჯვაროსანთა ლაშქრობების პარალელურად იმპერიაში ძლიერდება სეპარატისტული ტენდენციები ლაზებით, ბერძნებითა და სომხებით დასახლებულ პონტოს (ხალდიის) ტერიტორიაზე (КАРПОВ С. П. 1981:5).

კონსტანტინეპოლი ჯვაროსნებმა საფრთხის წინაშე დააყენეს. სწორედ მაშინ შეიჭრა ქართული სახელმწიფო პონტოს ბიზანტიურ ტერიტორიებზე. ქართულ სამხედრო ძალას დაფუძნებული კომუნოსებისა და ქართველების მომხრე ძალების მოქმედებით შეიქმნა ტრაპიზონის იმპერია (მამისთვალისშვილი ე., 2014:88-89). ჯარის ძირითადი კონტინგენტი შედგებოდა ქართველებისაგან. აღნიშნულის შესახებ შთამბეჭდავ ინფორმაციას იძლევა თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდვარი: „მოიწიეს ოდესმე ჩვეულებისაებრ ქველის-მოქმედებათათვის ამისა მონაზონნი შავისა მთისა, ანტიოქიით და კვიპრისა ჭალაკით, ეგრეთვე მთაწმიდით და მრავალთა ადგილთათ. შეიწყნარა თამარ ჩვეულებისაებრ ვითარ ანგელოზნი, და მრავალ დღე არა გაუშენა, მერმე მისცნა ყოველთა დიადი, და აღავსნა ყოვლითა საკმრითა, უკანასკნელ მათგან უფრო შორიელთა მისცა დიდძალი ოქრო, თვთ მათთვის და ყოველთა მონასტერთაგან საყოფელად. წარვიდეს მონაზონნი იგი და მიიწიენეს რა კონსტანტინეპოლედ, ესმა მეფესა ბერძენთას ააღიქსის, ანგარსა, რომელმან ძმასა თვსსა ისაკს თუალნი დასწვუნა და



მეფობა წარულო... იხილა სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს და წარულო მათ მონაზონთა. ცნა რა ესე თამარ მეფემან, ნაცვლად სხუა უფროსი წარგზავნა მათ წმიდათა მიმართ, და ამით უმეტეს არცხვინა ეშმაკი. ხოლო განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი, 2 და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლალონისა და პონტოსანი, და მისცა ნათესავსა თვსსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილ (ქართლის ცხოვრება, 1959:142-143).

ტრაპიზონის იმპერიის განვითარებაში საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღოდა ბერძნულ-ბიზანტიურ სამხედრო, სავაჭრო, საზღვაო რესურსს, რა თქმა უნდა, ქართველ მოსახლეობასთან ერთად. ქვეყანაში სახელმწიფო ენა ბერძნული იყო, რის გამოც, მკვიდრი ლაზები, კულტურითა და შეგნებით, თანდათან უფრო შორდებოდნენ დედა სამშობლოს. მათი ელინიზება (გაბერძნება) გრძელდებოდა. ტრაპიზონი პირდაპირ რომ შემოეერთებინათ, სახელმწიფო ენა ქართული იქნებოდა, მეტად გავრცელდებოდა და ქართული სალიტერატურო ენა დაკულტურა და, რაც მთავარია – ქართული თვითშეგნება. ქართველმა პოლიტიკოსებმა მაინც „საბერძნეთად“ ჩათვალეს ლაზეთი. მომდევნო საუკუნეებში ქართველი მოგზაურები და მწერლები ტრაპიზონს „ბერძენთა მეფის საჯდომად“ მიიჩნევდნენ. (მახოზეშვილი გ., <http://tbilisebi.ge/index.php?newsid=268447214>).

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ისტორია გამოწვეილვით შეისწავლა ზურაბ ავალიშვილმა და ისტორიული წყაროების მოშველიებით ამ საქმეში ობიექტურად წარმოაჩინა თამარ მეფისა და ქართველების წვლილი (ზ. ავალიშვილი, 1989:52-98).

რუსულ და თურქულ ინტერნეტსაიტებზე, ცალკეულ პუბლიკაციებში ჩნდება ყალბი ვერსია იმის შესახებ, რომ ტრაპიზონის იმპერია თითქოსდა თურქების აქტიური მონაწილეობითა და მხარდაჭერით შეიქმნა. (Лазы...[https:// kavkazplus. com/news. php?id=2476#.W3xXJiQzbIU](https://kavkazplus.com/news.php?id=2476#.W3xXJiQzbIU)).

თურქ ისტორიკოსებს შორის შეიძლება დავასახელოთ ანკარის უნივერსიტეტის აწ გარდაცვლილი პროფესორი ფაჰრეთთინ კირზიოღლუ, რომელიც სტატიაში „შავი ზღვის რეგიონის თურქული ტომების შესახებ, ლაზთა და ჰემშინების მოკლე ისტორია“ - ისტორიული წყაროების უხეში დამახინჯებითა და თურქული იდეოლოგიის დამკვიდრების მიზნით ცდილობს, ლაზები თურქული მოდგმის ხალხად გამოაცხადოს, ისტორიული წყაროებით დამტკიცებული ჭეშმარიტება კი შეთხზულად (ბაწაში წ., 2015: 407). ტრაპიზონის იმპერიასაც ზემოთ დასახელებული ავტორი თურქების დამსახურებად მიიჩნევს.

თანამედროვე თურქი მეცნიერები ტერმინ ლაზეთსა და ლაზისტანს გაკვრით ახსენებენ. ლაზისტანის მაცხოვრებლებს ისინი „ყარადენიზელებს“ (შავიზღვისპირელებს), უწოდებენ, რითაც სურთ წაშალონ ლაზების იქ ცხოვრების კვალი. ზოგი ავტორი იქ მცხოვრებთა შორის, მართალია, ლაზებსაც ასახელებს ჰემშილების, პონტოს ბერძენების, თურქების გვერდით, მაგრამ მათ უმცირესობის სახით წარმოაჩენენ. ჩვენ სარწმუნოდ მიგვაჩნია მეცნიერებაში არსებული შეხედულება იქ მცხოვრები გაბერძნებული და გასომხებული ლაზების არსებობის შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ ლაზისტანის, მათ შორის ცენტრალური ლაზეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას. ამდენად, ლაზეთისა და ლაზების ნაცვლად ყარადენიზისა და ყარადენიზელების გამოყენებით ვერ შეიფუთება რეალური ისტორია და საკვლევი რეგიონის ეთნიკური სურათი.

ტრაპიზონის იმპერიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში არის განსხვავებული შეხედულებები. მაგ. გერმანელი მეცნიერი ი. ფალმერაიერი იმპერიის წარმოშობას შინაგან კანონზომიერებებს უკავშირებდა. მისი აზრით, პონტოელები ადრიდანვე ფიქრობდნენ დამოუკიდებელი „სავაჭრო“ რესპუბლიკის ჩამოყალიბებას. იმპერიის ჩამოყალიბების მოტივად ავტორი თვლის კონსტანტინელოელების მიერ პონტოელთა უფლებების ხელყოფას, თურქ-სელჩუკების მმართველური თავდასხმებისა და „ქართველების პრეტენზიებისაგან“ თავდაცვის აუცილებლობას (Fallmerayer J., 1844:55-56).

ფალმერაიერის გავლენით მცდარ დასკვნებს აკეთებდა ზოგიერთი სხვა მეცნიერიც. მხედველობაში გვაქვს ჯ. ფინლეის გამოკვლევები, რომლებშიც უარყოფილია ქართველების წვლილი ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში (Finley G. 1851:317-318)

განსხვავებული მოსაზრება განავითარა აკად. ა. კუნიძე. მისი აზრით, თამარის ამოცანა იყო სელჩუკების წინააღმდეგ ჩამოყალიბებინა ქრისტიანული სახელმწიფო ბოსფორსა და მცირე აზიაში. სწორედ მისი ინიციატივითა და აქტიურობით დაარსდა ტრაპიზონის იმპერია (Куник А., 1854:705-733). ბერძნებმა არ გაიზიარეს ეს შეხედულება და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ კონსტანტინელონიდან გამოსულების წამყვანი როლი. მათი აზრით, ლაზები იყვნენ მხოლოდ დაქირავებული მეომრები (С. Карпов, 2007:25-38).

კომპრომისული მოსაზრება განავითარა ინგლისელმა მეცნიერმა უ. მილერმა. იგი იმპერიის დაარსებაში თანაბარ როლს ანიჭებდა როგორც ქართველებს, ისე ადგილობრივ მოსახლეობას (Miller W., 1926:15). უსპენსკის აზრით კი ბერძნები შეადგენდნენ ტრაპიზონის მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს. აღმოსავლეთ ნაწილში უმრავლესობა ლაზები იყვნენ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ელინიზმის ინტერესებს. იმპერიის დაარსებაც ელინიზმის ინტერესებთან მოდიოდა წინააღმდეგობაში. ამავე დროს, თამარ მეფის ინტერესებში შედიოდა შავიზღვისპირეთის ამ რეგიონებში გაბატონება, რაც წარმოადგენდა მისი მამის პოლიტიკის გაგრძელებას, რომლის ჯარებმაც თავის დროზე ერზრუმამდე და ტრაპიზონამდე მიაღწიეს (Ф. Успенский, 2007:479-480). ქართველების წამყვან როლს ამ პროცესებში აღიარებენ აგრეთვე ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან ა. ვასილიევი (Vasiliev A. A. 1936:18-20), კარპოვი (Карпов, С. 2007), მ. ლევჩენკო (Левченко М., 1940:234), ალენი (Allen W., 1932:108), მელიროფი (იხ. КАРПОВ С. 2007:89), კ. სალია (Salia K., 1971:181-183), ნ. ბერძენიშვილი, ვ. დუნდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი (ბერძენიშვილი ნ..., 1962:203-204), მ. ლორთქიფანიძე (ლორთქიფანიძე მ., 1974:161) და ა. შ.

ამდენად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ტრაპიზონის იმპერია თამარის დახმარებით შეიქმნა და მასში ჭარბობდა ლაზური (ქართული) ელემენტი. ცხადია, ახლადგამოჩენილ თურქებს აწყობდათ ბიზანტიის წინააღმდეგ ახალი პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბება, მაგრამ ტრაპიზონის იმპერიის ჩამოყალიბებაში მათ დამსახურებასა და ტრაპიზონის იმპერიის, როგორც „თურქულ-ქართული“ სახელმწიფოს შესახებ გამოთქმული ვერსიები (მათ შორის ცნობილი ისტორიკოსის უსპენსკის მოსაზრებანი, Ф. Успенский, 1948), ჩვენის აზრით, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. რაც შეეხება ლაზთა სახელმწიფოს განადგურებას, მე-15 ს. შუა ხანებში, ეს ნამდვილად იყო ოსმალთა „დამსახურება“.

ტრაპიზონის დაცემისას 1461 წლისათვის, რეგიონის მოსახლეობის თითქმის 100% ქრისტიანი (მართმადიდებელი) იყო (<http://tao-klarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>). უფრო მეტი, XIII-XV საუკუნეებშიც კი პონტოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთნიკუ-

რად ქართველები (ლაზები) იყვნენ. რეგიონის სანაპირო ზოლში მცხოვრებთ ლაზებს უწოდებდნენ, მთიან ზოლში მაცხოვრებლებს კი ჭანებს (Жордания Э., 2002:131-137). ეთნონიმების „ჭანეთი“-ს და „ჭანიკა“-ს გავრცელება შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ლაზებისა და ჭანების იდენტურობითაა განპირობებული, რაც თავის მხრივ საფუძვლად დაედო იმას, რომ როგორც შუა საუკუნეების, ისე თანამედროვე უცხოელ ავტორთა ნაწერებში ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოიყენებოდა ტერმინები: ლაზი, ჭანი, ლაზიკა, ჭანეთი, ლაზისტანი, ჭანიკა და ა. შ. (Жордания Э., 2002:131-137). თავად ლაზი ავტორები თავიანთ გამოკვლევებში ხაზს უსვამენ ლაზების კავკასიურ წარმომავლობას (Aksoylu K., 2010:23-25), ემიჯნებიან საერთო ქართული წარმომავლობის იდეას, რაც ჩვენის აზრით, მხოლოდ პოლიტიკური კონიუქტურითაა ნაკარნახევი და თურქეთის პოლიტიკური ელიტის იდეოლოგიის გავლენასა თუ შიშს უნდა მიეწეროს.

ოსმალთა დაპყრობების შემდეგ იწყება ქრისტიანული მოსახლეობის ისლამიზაციის პროცესი. ოსმალები ატარებდნენ მეტად მზაკვრულ და ცბიერ პოლიტიკას, რომლის მიხედვით მუსლიმებს ქრისტიანულ ქალაქებში ასახლებდნენ და პირიქით, ქრისტიანებს ოტომანთა ისლამურ ნაწილში. ამის შედეგად, 1486 წლისა ღწერით, ქალაქის მოსახლეობის უკვე 19% იყო მუსლიმი და 81% - ქრისტიანი (მართმადიდებელი) (<http://tao-klarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>). რიზეს რეგიონში 1486 წლისათვის იყო 5378 ქრისტიანული ოჯახი. მათი რიცხვი 1520 წლისათვის გაიზარდა 6706-მდე, მაგრამ 34 წლის შემდეგ, 1554 წლის მონაცემებით ქრისტიანი მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 4860-მდე (გიორგი ანდრიაძე, 2012: 9). საკუთრივ ტრაპიზონში, 1486 წლისათვის ცხოვრობდა 2474 მუსულმანური და 59620 ქრისტიანული ოჯახი, ხოლო თორულში ხუთი მუსულმანური და 1087 ქრისტიანული ოჯახი (ანდრიაძე გ., 2012:18). დაახლოებით ასეთივე სურათია 1523 წლისათვის. მე-16 ს. 20-იან წლებში ტრაპიზონის მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი ქრისტიანია (ანდრიაძე გ., 2012:18). ეს განპირობებული იყო იმით, რომ ოსმალური პოლიტიკის ცბიერების მიუხედავად იწყება შიდა მიგრაციული პროცესები, რომლის მიხედვით ქრისტიანებმა ისევ დაიწყეს ტრაპიზონში დაბრუნება. შესაბამისად, იქ მუსლიმანთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა (14 პროცენტამდე). მზაკვრულ პოლიტიკას მრავალეთნიკური თურქეთის პოლიტიკური ელიტა ატარებდა და ატარებს თანამედროვე პერიოდშიც. ეს არის ეთნიკური ნიშნების წაშლისა და იძულებითი ასიმილაციის ცბიერი და შორსგამიზნული პოლიტიკა.

მსგავსი სურათია ცენტრალური ლაზეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში. მაგ. ჯანჯაში - (კარიე - ი ნეფსი ჯანჯა//დღევანდელი გიუმშიზანეს ცენტრი) 1554 წ. მოსახლეობის 78 პროცენტი ქრისტიანია და 22 პროცენტი მუსულმანი (ანდრიაძე გ. 2012:45). ხელისუფლების წინაშე რეალურად დადგა საშიშროება, რომ თორული, ტრაპიზონი თუ სხვა დასახლებული პუნქტები ქრისტიანული აღმსარებლობის მოსახლეობის სამკვიდროდ იქცეოდა. ხელისუფლებამ გაატარა დეპორტაციის ხელშემწყობი ღონისძიებანი, რის შედეგადაც საგრძნობლად მოიმატა მუსულმანების რიცხვმა. 1553 წლისთვის მუსლიმებისა და ქრისტიანების თანაფარდობამ შეადგინა 47/53%, ხოლო 1583 წლისათვის - 46/54% (ანდრიაძე გ., 2012:45). აღწერის მასალებში ცალკე ჯგუფების სახითაა წარმოდგენილი მუსლიმანები, სომეხი ქრისტიანები და ქრისტიანები. ქრისტიანებში სავარაუდოდ უნდა იგულისხმებოდნენ ბერძნები და ლაზები.

სად წავიდა დანარჩენი ქრისტიანი მოსახლეობა? უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაწილი ამოწყდა, ნაწილმა განიცადა ასიმილაცია, ნაწილი კი გადმოსახლდა საქართველოში.

მოსახლეობის „ნებაყოფილებითი“ ისლამიზაციისათვის ოსმალეთის ხელისუფლება იყენებდა ეკონომიკური იძულების ბერკეტებს, ქრისტიანს გაცილებით მაღალ გადასახადს ახდევინებდა, ამავე დროს ცალკე გადასახადს უწესებდა ღორსა და ვენახზე, მიწას აძლევდა იმას, ვისი შვილიც ასკერში იმსახურებდა, ასკერში კი მხოლოდ მუსულმანს ეძლეოდა სამსახურის შესაძლებლობა. მუსულმან ყმებზე ქრისტიან თავადს ბატონობის უფლება ერთმეოდა. თავადაზნაურობა საკუთარი მამულებიდან აყრა-გადასახლების რისკის ქვეშ დადგა. ამიტომაც იყო, რომ ლაზების გარკვეული ნაწილი საქართველოს შიგა პროვინციებში გადმოსახლდა, დარჩენილები კი გამუსულმანდნენ და თანდათან გათურქდნენ. ა. ბრაიერის თქმით, მკვიდრი მოსახლეობის გამუსულმანება დიდ სიძნელეებს წააწყდა (A. Bryer. 1988:24). გამუსულმანების მიუხედავად მოსახლეობა ინარჩუნებდა ენას. ნაწილი მოსახლეობის ფარული ქრისტიანი იყო, ნაწილი კი ღრმად მორწმუნე მუსულმანი გახდა.

აღნიშნული პროცესების შესახებ საინტერესო ინფორმაციებს გვაწვდის ჯ. პალგრევი, რომელიც 1867 წლიდან ტრაპიზონში ბრიტანეთის კონსულის თანამდებობას იკავებს. მისი ინფორმაციით, „ორივე სქესის მცხოვრებთა საერთო რიცხვი 850 000-ს აღწევს; მათ შორის დაახლოებით 56 ათასი ქრისტიანია. ამ უკანასკნელთა 2/3 თავის თავს ბერძნებს უწოდებენ. დანარჩენები სომხებია“ (აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, 1882:4). პალგრევის ინფორმაციით, მაჰმადიანი მოსახლეობა ძირითადად ლაზებისაგან შედგება. „ეს მშვენიერი რასაა, წერს პალგრევი, ისინი კარგი მხვენელ-მთესველები და გამოცდილი მეზღვაურები არიან... შემდეგ თავისი მნიშვნელობით მოდის თურქმენტა ელემენტი. ეს რასა ლაზებთან შედარებით უხეშია როგორც ფიზიკურად, ისე ზნეობრივად... აღმოსავლეთ საზღვარზე ბევრია ქართველი ტომობრივად თავისი ყველა კარგი და ცუდი თვისებით. თურქული წარმოშობის მუსულმანთა ოჯახები კი გაფანტულია მთელ ოლქში. უკანასკნელ წლებში მათ მიემატათ კავკასიიდან გადმოსახლებული ჩერქეზებისა და აფხაზების დიდი ნაწილი (მუჰაჯირები, თ. ფ.), აგრეთვე ცოტა ლეკები, სულ 11 ათასი ოჯახი... ამ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე ყირიმელი თათრები და რუსეთიდან გამოქცეული კაზაკების პატარა კოლონია“ (აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, 1882:4-5).

ბრიტანეთის საგარეო უწყებისათვის 1867 წლის 17 აპრილს მომზადებულ სპეციალური ანგარიშში ჯ. პალგრევი საუბრობს ტრაპიზონის ქურუმლების შესახებ. პალგრევის თქმით, ქურუმლები - სოფელ ქურუმლის მცხოვრებნი (მდებარეობს ტრაპიზონსა და ერზურუმს შორის), შეადგენს 2000 კომლს (10 000 სულს. (BryerA., 1988:65). მისივე ინფორმაციით, 1829 წელს, როდესაც რუსებმა აიღეს თავად ქურუმლიც, მათი დიდი ნაწილი გადასახლდა რუსეთის კავკასიაში, კერძოდ საქართველოში. ქრისტიანებად გამოცხადების შემდეგ მათ შეეძლოთ არამართო სამხედრო სამსახურისადმი თავის არიდება, არამედ რუსეთის პროტექტორატის ქვეშ განთავისუფლებულიყვნენ ოტომანთა წინაშე არსებული ნებისმიერი ვალდებულებისაგან. რუსეთის ასეთი გააქტიურება, რომელიც მოგვიანებით ბუმერანგივით ისევ ქურუმლებს შემოუბრუნდათ ტრადიციული რუსული თვითმყრობლური პოლიტიკის გამო, აღიზიანებდა არამართო თურქეთს, არამედ დასავლეთსაც. ცხადი იყო, რომ ქურუმლები გამოვიდნენ „პაიკების“ როლში და სავლეთის, რუსეთისა და ოტომანთა იმპერიის დიდ პოლიტიკურ თამაშში (<http://tao-klarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>)

პალგრევი ქურუმლებს ქსენოფონტეს მოლაშქრეთა მემკვიდრეებად მიიჩნევს და კრიპტოქრისტიანებად მოიხსენიებს. ბრაიერის აზრით კი ისინი არ არიან რომელიმე ერთი კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. იგი გულისხმობს ბერძნებს, ლაზებს



(ქართველი, ლაზი), ჰემინგუს, რომლებიც ზამთრის ველებზე იყვნენ ფარული ქრისტიანები, ზაფხულის მაღალმთიან სამოვრებზე მცხოვრები კი ქრისტიანები. (<http://taoklarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>).

ცხადია, მთაში მოსახლეობა უფრო თავისუფალი იყო. მათ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ გადასახადები და ქრისტიანებიც მთებში აფარებდნენ თავს. ცენტრალური ლაზეთის ქრისტიანთა ცენტრი იყო სუმელას (ლაზურად "სამება") მონასტერი, სადაც 1900-იან წლებშიც კი კრიპტოქრისტიანები მიდიოდნენ აღმსარებლობისათვის.

რუსეთ-თურქეთის 1853-1856 წლების ომის შემდეგ, კრიპტოქრისტიანების ნაწილი რუსეთის იმპერიაში (საქართველოში) გადმოსახლდნენ. რუსეთის მხარდაჭერით მათი გადმოსახლება არაერთხელ განხორციელდა. რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომის დროს პონტოელებმა თავის გადარჩენის მიზნით დაიწყეს თავშესაფრის ძებნა. ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით რუსეთს იმპერიაში (თბილისის გუბერნიაში, ქვემო ქართლში, თრიალეთში) უნდა გადაესახლებინა პონტოელი ბერძნები (Понтийские греки... [www.pravda.ru/world/formerussr/georgia/12-07-2012/1121807-pontis-greeks-0/](http://www.pravda.ru/world/formerussr/georgia/12-07-2012/1121807-pontis-greeks-0/)).

თუმცა ბერძენთა გარკვეული ნაწილი მანამდეც (1813 წ.) ჩასახლდა წალკაში. ერთ-ერთი ნაკადი 1916 წელს შემოვიდა. ზოგიერთი ავტორი მათ ქალდეველებად მოიხსენიებს (<http://taoklarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>). ნიშანდობლივია, რომ წალკიდან წასულ ბერძნებს დღეს საბერძნეთსა და კვიპროსში "პონტიელი ქართველები" სახელით მოიხსენიებენ.

პალგრევის ცნობით ფარული ქრისტიანები ცხოვრობდნენ შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: ქურუმლი, იაგილდერე, სტარვიზიგანითურთ, სანტა, ქალდია (გუმშიზანე), თორული, მაჭკისველი, ანუ ვაზელონის ეპარქია, სუმელას ეპარქია, გალიანას ხეობა, ანუ პერისტეროტას ეპარქია, ლერის (ლორის) ველი, კელკიტი; ჭერიანა, ჭანჭრაკი, ბულანჩაკი, ანუ დასავლეთ გირესუნი, საკუთრივ ტრაპიზონი (Bryer. A., 1988:32).

ცენტრალური ლაზეთის პროვინციებიდან ფარული ქრისტიანებით გამორჩეული იყო თანამედროვე მაჩკა, რომელიც მაჭუკის სახელით მოიხსენიება. ლაზთა ისტორიის ეს მონაკვეთი შეიძლება სწორედ მაჩკის მაგალითზე განვიხილოთ. მაჩკელების ცენტრი იყო ვაზელონის მონასტერი. ბრაიერის აზრით, ყველაზე მეტად სწორედ მათ შეინარჩუნეს ქრისტიანობა. 1857 წლისათვის აქ მოსახლეობის 89 პროცენტი ქრისტიანია (<http://tao-klarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>).

ა. ბრაიერის აზრით, მაჭკის სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვრებზე, 1000 მ სიმაღლეზე ზემოთ, ბერძნული დასახლებების გამოჩენამდე - XVII საუკუნეში პონტოს სოფლის დასახლებები მოწყობილი იყო კავკასიურ ყაიდაზე (გვაროვნული კლანები, თემური მოწყობა და ხევსბერის ინსტიტუტი), რაც სრულიად უცხოა ბიზანტიური კულტურისათვის. მისიზრით, ამადგილებისა (ტრიკომია, მაჭკა, გემორათუსურმანა) და ადამიანთა სახელები ძალიან ჰგავს ქართული დასახლებების სახელებს (<http://tao-klarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>).

ბრაიერი მოიხსენიებს ტოპონიმებს: **ჭანიჭა-ჭანიჭათი**-არგიროპოლის-გიუმშიზანე ანუ „ვერცხლის ქალაქი“; **ჭოითურა**, **ჭერიანი-ჭერიანა**-ულუშირან, **ჭითე**-ბუიუკჩით, **ჭითა**-დირლიკ; ე.წ. "პონტოს კარიბჭე" - „პარჭარია“; **ჭიმპიკა**-ზუმბიკა; **იმერა** თავისი ცნობილი სამოვრებით "ვაჟას" მთაზე; დორილა-თორული; მოგვიანებით ისლამური ფუნდამენტალიზმისადმი ერთგულებით გამორჩეული **ოფლისი**-ოფი, **ჩაიკარა**, **თორნიკე**, **დოუბერა**-ლივერა-იაზლიკ და

მრავალი სხვა, თუმცა ამ ტოპონიმების კავკასიურ (ქართულ) წარმომავლობაზე ავტორი არაფერს ამბობს (<http://tao-klarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>).

თანამედროვე საქართველოში მრავლადაა ლაზურ-ქანური ტოპონიმიკა: **ქანიეთი**, **ქანიეთური** - სოფლები გურიაში (ოზურგეთი); **ქანისწყალი** - მდინარე სამეგრელოში (წალენჯიხის, ჩხოროწყულსა და ხობის რაიონებში) (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1987:382); **ქანიშვილი** - გვარი გურიაში და ა.შ. ქვემო მაჭკის ძირითადი საქმიანობა იყო მევენახეობა-მეღვინეობა და ნაკლებად, ზეთისხილის წარმოება. ღვინო განთქმული იყო მთელი შავი ზღვის სანაპიროზე XIII-XVII საუკუნეებში, რის შესახებაც დღემდე შემორჩა ზეპირი ისტორიები, რომლის შესახებაც მინიშნებით საუბრობდა ზოგიერთი რესპონდენტი. მაჭუტელების მმართველი იყო ქანიჭითას საგვარეულო, რომელსაც ი. ჯავახიშვილი ჭინჭაძეებთან აიგივებს (ჯავახიშვილი ივ., 1982:147-148). თურქი ავტორის მ. გოლოღლუს მტკიცებით ეს საგვარეულო აშკარად პროქართული იყო (Gologlu M., 1973:186-188).

ისმება კითხვა: ვინ არიან მაჩკელები? მართლაც განეკუთვნებიან თუ არა ისინი ისეთ სუბეთნიკურ ჯგუფს, როგორებიც არიან გურულები, ოფელები და ჰემშინლები, რომელთა საზოგადოებები უკვე იშლებოდა XIV ს-ში? ამ შემთხვევაში რა გარეფაქტორებმა ითამაშა როლი მათი საზოგადოების შეცვლაში? ბრაიერის აზრით მაჭკების საგვარეულოს კლანური მოდელი უთუოდ ახლოს არის კავკასიურ გვაროვნულ მოდელებთან. იმდროის ყველა მოგზაური ადასტურებს ლაზური ენის ქართულ წარმოშობას. ავტორი ყურადღებას ამახვილებს პატრონყმობის ინსტიტუტზე, რომელიც ქართული სინამდვილისათვის იყო დამახასიათებელი (Bryeriu A., 1988:79). მიუხედავად ამისა იგი დ. უინფილდთანერთად, მის მიერვე გამოთქმული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ მაჭკელებს ალბანელების შთამომავლებად მიიჩნევს, რაც რა თქმა უნდა საეჭვოა და დამატებითი კვლევებს საჭიროებს.

ისლამიზაციის სასტიკი და ცბიერი პოლიტიკის გატარების მიუხედავად, ცენტრალურ ლაზეთში მე-20 ს. 20-იან წლებამდე უმცირესობის სახით, მაგრამ მაინც შემორჩა ქრისტიანული მოსახლეობა, ზემო მაჩკაში კი ქრისტიანები იმ დროისათვის საკმაოდ მრავლად იყვნენ შემორჩენილნი. ასიმილაციურმა პოლიტიკამ განსაკუთრებული სისასტიკით იჩინა თავი 1930-40-იან წლებში. 1938 წ. კანონით ეროვნულ უმცირესობებს აკრძალათ გაერთიანებების შექმნა. იგულისხმებოდა რელიგიური გაერთიანებაც. ეროვნული უმცირესობების მოაზრებენე ნაწილს ძალად აწერინებდნენ განცხადებას, რომ ისინი იყვნენ თურქები, სკოლებში იკრძალებოდა არათურქული სახელმძღვანელოების გამოყენება, ვინც არ საუბრობდა თურქულად, მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული კანონის ძალით შესამღებელი იყო მათი გადასახლება თურქულ დასახლებულ პუნქტებში, ფართოდ იყენებდნენ რეპრესიულ მეთოდებს (დაპატიმრება, ყალბი ბრალდებები სახელმწიფო დაღატაკისა თუ ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ ტერორის განხორციელების მცდელობა) და ა. შ. (Новейшая история, 1955:243-245). არც თუ იშვიათი იყო ეროვნულ ნიადაგზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შორის დაპირისპირებათა ინსპირირება. ამის მიუხედავად თურქეთის ხელისუფლებამ ბოლომდე ვერ მოახერხა ლაზების ასიმილაცია. მაჩკაში მცხოვრები ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც თავს ლაზად მიიჩნევს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლაზები „ასიმილირდნენ“, მეორე რესპონდენტი კი მართალია თავს თურქად მიიჩნევს, მაგრამ აღიარებს, რომ „დედეს დედეს დედე იყო ლაზი“.

სოფ. ჰამსიქოიში (დელრი მენდერეს ხეობა) (ჰამსი ხუთს ნიშნავს. იგი 5 სოფელს აერთიანებს: ზავერი//დიქქოი, ფარკნალი//გიუხელ იაილა, მელანლი, ჩიჰარლი და ჰამსოქოი) მცხოვრები 82 წლის რესპონდენტის ნური ერდოღანის ინფორმაციით, მისი წინაპრები ლაზები

იყვნენ და ტრაპიზონის სოფელ ტონიდან ავიდნენ. მთხრობელი ლაზისტანის საზღვრებსაც აზუსტებს. „ლაზისტანი იწყებოდა სამსუნიდან ხოფამდე და ზღვისპირეთიდან თორულამდე. თორულში, მაჩკაში, ტონიაში, აღასარსა და ჩებილში სულ ლაზები არიანო“, ამბობს იგი.

მსგავსი შეხედულებებია ქარაბანას ხეობის სოფლების: დუზქოის, ქალკიას, ჰამენიას, ჰალქოის, ესკილარის, ჰოროვის, მუჩურას მოსახლეობაშიც. დუზქოის მცხოვრები ჰამით ალთინ დამი (79 წლის) ადასტურებს სოფელში ბერძნების ცხოვრების კვალს, ხოლო ამჟამად იქ მაცხოვრებელ თურქებს შუა აზიიდან მისულად მიიჩნევს. მთხრობელი არ გამორიცხავს წარსულში ლაზების მკვიდრობას: „იტყვიან, ზღვისპირეთი ლაზებისააო. ყველა შავიზრვის-პირელს ლაზს ეძახიან, მაგრამ დღეს არ არიან, შესაძლოა ასიმილირდნენო“. იგივე აზრისაა სუმელას ხეობის სოფ. კირატაში მცხოვრები რესპონდენტი. მისი თქმით იქ კი ცხოვრობდნენ ბერძნები, მაგრამ „ათათურქმა გარეკა და ეხლა ყაიბოლდიო“ (აღარ არიანო, თ. ფ.)

თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური ელიტა დღესაც ცდილობს თურქული ცნობიერების ჩამოყალიბება-გამნტიკიცებას ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებში, ასახლებს მათ თურქებით დასახლებულ პროვინციებში, ცვლის ანთროპონიმის (გეოგრაფიული სახელები, ადამიანთა სახელები) და ა. შ. რასაც სამწუხაროდ მოაქვს გარკვეული შედეგები პანთურქიზმის იდეოლოგიის სასარგებლოდ.

დღეისათვის თურქეთში მცხოვრებ ლაზთა აბსოლუტური უმრავლესობა მუსულმანია. ცენტრალური ლაზეთის დიდ ნაწილში თითქმის წაშლილია მეხსიერება ლაზთა იქ ცხოვრების შესახებ. ზენაიერის მაცხოვრებლები ადასტურებენ იქ ჩერქეზების ცხოვრების კვალს, თუმცა ლაზების მკვიდრობას უარყოფენ. „აქ ადრე რუმები იყვნენ, ჩვენი წინაპრები კი დიარბექირში ცხოვრობდნენ, საიდანაც გადმოსახლდნენ აქ ელიფოლლებისაგან ნაციდ მიწაზე“. კითხვაზე, თუ სად წავიდნენ „რუმები“, პასუხობენ, რომ „ომის დროს თურქებმა განდევნესო“. ასეთივე შეხედულებისანი არიან ხარშიტის ხეობის სოფ. გიოზელერის, ჩამლიჯას, იმერას, ჰასქოის მაცხოვრებლები. მთხრობელ სეიფერ დედეს თქმით აქ იერლი ადრე ბერძნები იყვნენ, თურქები მათ ნასახლარზე ამოვიდნენო. საინტერესოა რესპონდენტის მიერ გაჟღერებული წინადადება: „ერზრუმელები ჩვენ ლაზს გვეძახიან, მაგრამ არ ვართ ლაზიო“. შესაძლოა წარმოშობით მართლაც არ იყვნენ ისინი ლაზები, ან იყვნენ ჯერ ელინიზებული, შემდეგ კი გაათურქებული ლაზები, მაგრამ რესპონდენტთა ინფორმაციები ნათელი დადასტურებაა იმ ასიმილაციური პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდნენ და ატარებენ ოსმალთა თუ თურქი პოლიტიკური ხელმძღვანელები.

მკვლევარები იქაურთა ყოფაში სუსტად, მაგრამ მაინც ხედავენ კავკასიურ ელემენტებს. რესპონდენტები დღესაც აღნიშნავენ, რომ მაჩკაში, ისევე როგორც საქართველოში იყო 365 ეკლესია (წელიწადის თითოეულ დღეზე. საქართველოში წმ. გიორგის სახელობის). ზოგიერთი ავტორი მაჭკას მაჭახელსაც უკავშირებს, რადგან ფუძე „მაჭა“-ს მატარებელი უამრავი ტოპონიმი თანამედროვე საქართველოში: მაჭახელი, მაჭარა, მაჭარულა, მაჭახლისწყალი, მაჭახლის-პირი, მაჭარწყალი და ა. შ.

ამდენად, მაჩკა ჭანური ტოპონიმი და ჭანების სამკვიდრო. ბრაიერი ჰემშინების ნაწილსაც გასომხებულ ჭანებს მიიჩნევს (თუმცა ჭანებს ალბანელების მემკვიდრეებად განიხილავს?!).

კავკასიური ელემენტები თვალშისაცემია აღმოსავლეთ ლაზეთში. ცალკეულ რეგიონებსა და დასახლებულ პუნქტებში აღინიშნება ქრისტეობა, მარიამობა, „სტაროშინა“ (ჯვრის თვე)-ამაღლების დღესასწაული, მიტრა-ლიტროპის კულტი (აღინიშნება ზაფხულის ბუნიობისას ზღვაში ბანაობით), სამზარეულოში გამოიყენებენ ღვინის ძმარს, სვამენ მაჭარს, ამზადებენ

ფელამუშს, ზოგიერთი მიირთმევს გარეული ღორის ხორცს, პურის ცხობისას ასვამენ ჯვარს, ორნამენტში წამყვანია ვაზის კულტი, მუსლიმანობის მიუხედავად მიუღებელია მათთვის მრავალცოლიანობა, თურქებისაგან განსხვავებით ატარებდნენ გვარებს და ა. შ. (ბაწაში წ., 2015:422-423). თანამედროვე თურქულ ფოლკლორში ლაზებს დასცინიან, ამასხარავებენ, რაც იმის მანიშნებელია, რომ თურქები მათ არ მიიჩნევენ ნამდვილ თურქებად.

ცენტრალური ლაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა თავს თურქად მიიჩნევს, თუმცა იქ ცხოვრობენ ძველი, აბორიგენული მოსახლეობის (ბერძნების, ლაზების) ნაწილი. ზოგადად უნდა ითქვას, რომ თურქეთში მცხოვრებ ჭანებს თავიანთ წარმომავლობაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ: ბევრს თავი შუა აზიიდან მოსული თურქი ჰგონია; ნაწილის აზრით, ცალკე ეროვნებაა, არც თურქი და არც ქართველი; და მხოლოდ მცირე ნაწილი აღიარებს ქართულ წარმომავლობას (გიორგი კრავეიშვილი, გაზ. „კვირის პალიტრა“, 18 აგვისტო, 2018 წელი).

ისტორიულ წარსულში, ოსმალთა მოსვლამდე ლაზეთში არ დასტურდება თურქულენოვანი მოსახლეობის კვალი, გარდა ოღუზების შთამომავლებისა, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ისტორიაში. მათი შთამომავლები ამჟამად შალჰაზარში (ტრაპიზონის პროვინცია) ცხოვრობენ (Bernt Brendemoen, 2002:18). უნდა ვივარაუდოთ, რომ მანამდე იქ უკვე ნაწილობრივ ელინიზებული კავკასიური ტომების სამოსახლო იყო (Michael M., 1971:318-345). ამითაა განპირობებული ის კულტურული მსგავსება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსა და კავკასიას შორის, რომლის შესახებაც საუბრობენ მკვლევრები. ეს გამოიხატება სოფლის სტრუქტურაში, სახლების ტიპში, დასახლების ფორმებში და ა. შ. (Karl Koch, 1836:378; W.E.D. Allen, A., 1932; Özhan Öztürk, 2005:35, 757-768; Bernt Brendemoen, 1990 (Proceedings from 32nd meeting of the Permanent International Altaistic Conference). ლაზების ეროვნული ჩასაცემელი პონტოელი ბერძნებისაგან არ განირჩევა. რაც შეეხება ყოფას, მასში შერწყმულია ისლამური, ბერძნული და კავკასიური ელემენტები.

სახვადასხვა შეფასებით თურქეთში 700 000-მდე მუსულმანი ბერძენია (Арман Акопян, <http://www.noravank.am/rus/issues/detail.php?ELEMENT-ID=2812>). თურქების ექსპანსიის შედეგად მათ განიცადეს ასიმილაცია. შესაბამისად თანდათან გაბატონდა თურქული თვითშეგნება, თუმცა გვხვდება სოფლები, სადაც დღემდე დამახინჯებულ ბერძნულ ენაზე საუბრობენ. მაგალითად, შავი ზღვის სანაპიროზე არსებობს იზოლირებული სოფელი 5 000 მაცხოვრებლით, რომელთა დიალექტიც ძალიან ახლოსაა ძველბერძნულ ენასთან. ლინგვისტების აზრით, მათი დიალექტი შეიძლება ჩაითვალოს ენად, რომელზეც საუბრობდნენ სოკრატე და პლატონი (სოფელი თურქეთში, სადაც ბერძნულ ენაზე მეტყველებენ. <http://georgians.gr/sofeli-turqetshi-sadac-berdznul-enaze/>).

ამ დიალექტს ენათმეცნიერები ”რომეიკას” უწოდებენ. მასზე მოსაუბრე ხალხი ძველი ბერძნების პირდაპირი შთამომავლები არიან, რომლებიც ქრისტეშობამდე მე-7-6 საუკუნეებში შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ. ეს ტეროტორია პირველად სწორედ მაშინ დასახლდა. მაგრამ ამავე დროს არსებობს მეორე ვარაუდი, რომლის მიხედვითაც შესაძლოა, რომ ესენი არიან ტომები, რომლებიც აიძულეს ესაუბრათ საკუთარ, ძველბერძნულ ენაზე (სოფელი თურქეთში, სადა ცხერძნულ ენაზე მეტყველებენ (<http://georgians.gr/sofeli-turqetshi-sadac-berdznul-enaze/>)). ამ რეგიონის მოსახლეობა მუსლიმია, ამიტომაც მათ ჰქონდათ თურქეთში ცხოვრების უფლება ლოზანას ხელშეკრულების დადების შემდეგ (სოფელი თურქეთში, სადა ცხერძნულ ენაზე მეტყველებენ (<http://georgians.gr/sofeli-turqetshi-sadac-berdznul-enaze/>)). მთხრობელთა გადმოცემით, ძველბერძნულად ლაპარაკობენ აგრეთვე სუმელას ხოების სოფ. აქაცუში (ძვ. ლარჰანი) მცხოვრებნი.



ბერძნული კვალი აშკარადაა გამოხატული არაერთ დასახლებულ პუნქტში, მათ შორის სოფ. გურგენაჯალში (დელი მენდერეს ხეობა, ტრაპიზონის პროვინცია). ჯ. პალგრევის თქმით, „დეირდმენდ-დერე ანუ წისქვილის მდინარე ტრაპიზონიდან აღმოსავლეთით, ეს არის ფართო და მქუხარე მდინარე, გამოსადეგი წისქვილებისათვის, საიდანაც წარმოედება მისი სახელი“ (იხ. აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, 1882:3). რესპონდენტის თქმით, იქ ადრე ბერძნებს უცხოვრიათ, სოფლის მიკროტოპონიმების ნაწილი ბერძნულია, თუმცა აქაურები თავს თურქებად თვლიანო. მთხრობელმა აგვიხსნა, რომ მათი „ლექს-სიმღერები ბერძნულის მსგავსია, საკრავი ქამანჩა ბერძნებისაა და სხვებმა იგი ჩვენგან წაიღესო“. რესპონდენტმა ჩვენს წინაშე ბერძნულადაც იმღერა. მისი ინფორმაციით, 1975 წელს სოფლის სკოლის 41 მოსწავლიდან მხოლოდ ხუთი ლაპარაკობდა თურქულად, დანარჩენები ბერძნულად საუბრობდნენ. ახლა კი ეს თანაფარდობა თურქულის სასარგებლოდ შეიცვალაო. მთხრობელი ასიმილაციის პროცესის დაჩქარებას ისლამს უკავშირებს. მისივე თქმით, სოფელში ცხოვრობენ ადგილობრივებიცა და მოსულებიც. ტრაპიზონის სამეფოს შექმნას რესპონდენტი თამარ მეფეს უკავშირებს: „თამარა ჭკვიანი ქალი იყო, ყივჩაღები ჩამოასახლა და კომუნოსებს სახელმწიფო შეუქმნა. ტრაპიზონი 250 წელი დედაქალაქი იყო. აქ ლაზები არ იყვნენ, ბერძნები არიანო“ (სავარაუდებელია, რომ ლაზებმა განიცადეს ელინიზაცია, ოსმალთა მძლავრობის ხანაში კი გათურქდნენ).

საინტერესოა რესპონდენტის მონათხრობი ძველი ლაზეთის ტერიტორიაზე ხაზარების ცხოვრების შესახებ. მისი აზრით, ხაზართა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ისინი ანატოლიაშიც მოვიდნენო. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად დაასახელა სოფ. ზავერა, რომელშიც ამჟამად ხაზართა შთამომავლები ცხოვრობენო.

აღნიშნული ინფორმაცია მრავალმხრივია საინტერესო. ერთის მხრივ იგი აღიარებს თამარ მეფის მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ისტორიულ ფაქტს (პირდაპირ თუ ირიბად ლაზების კვალსაც), ამავე დროს ბერძნების მკვიდრობასაც და იმას, რომ თურქები მოსულები არიან, თუმცა მათი დიდი ნაწილი თავს მაინც თურქად მიიჩნევს. კითხვაზე, თუ სად წავიდნენ ბერძნები, პასუხობენ, რომ ქრისტიანობის გამო ისინი გაასახლეს ლოზანას ხელშეკრულების შესაბამისადო.

მართლაც, მოსახლეობის გაცვლა ლოზანის ხელშეკრულების ძალით განხორციელდა. იგი გაფორმდა 1923 წლის 24 ივლისს ერთიმხრივ ბრიტანეთს, საფრანგეთს, იტალიას, იაპონიას, საბერძნეთს, რუმინეთსა და სერბია-ხორვატია-სლოვენიას, მეორეს მხრივ, კი თურქეთს შორის. ფაქტობრივად მან შეცვალა სევრის 1920 წლის ხელშეკრულება და განსაზღვრა თანამედროვე თურქეთის საზღვრები (თურქეთმა შეინარჩუნა აღმოსავლეთი თრაკია, იზმირი და სხვა ტერიტორიები, რომლებიც დაკარგა სევრის ხელშეკრულების შედეგად. ამავდროულად თურქეთმა უარი თქვა არაბეთზე, ეგვიპტეზე, სუდანზე და ა. შ.). მოლაპარაკების ფარგლებში ცალკე მოეწერა ხელი ხელშეკრულებას საბერძნეთსა და თურქეთს შორის, რომელიც ითვალისწინებდა ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ადგილმონაცვლეობას - მოსახლეობის იძულებით გაცვლას. საინტერესოა, რომ რეგიონის მოსახლეობა საკმაოდ კარგადაა ინფორმირებული ლოზანის ხელშეკრულების შესახებ. საბერძნეთსა და თურქეთს შორის მოსახლეობის გაცვლა ხორციელდებოდა არა ეთნიკური, არამედ რელიგიური ნიშნის მიხედვით. ბერძნულენოვანი, მაგრამ მუსულმანი ბერძნები იძულებული გახადეს დაეტოვებინათ საბერძნეთი. ბალკანეთიდან გაასახლეს თურქებთან ერთად მუსულმანი ბულგარელები და მაკედონელები//პომაკები, ულახები//მუსულმანი რუმინელები, მუსულმანი ალბანელები - დაახლოებით

500 ათასი კაცი (Лозаннский мирный договор, <http://riataza.com/2017/12/09/lozannskiy-mirnyiy-dogovor/>).

თურქეთიდან (ანატოლიიდან) გაასახლეს ქრისტიანები, რომელთა შორის აღმოჩნდნენ ქრისტიანი თურქი-კარამანცები. გასახლებულთა საერთო რაოდენობა იყო დაახლოებით 1,2 მილიონი კაცი (Лозаннский мирный договор, <http://riataza.com/2017/12/09/lozannskiy-mirnyiy-dogovor/>).

ბულგარეთსა და თურქეთს შორის მოსახლეობის იძულებით გაცვლას ადგილი არ ჰქონია. ყველა მართლმადიდებელმა ბულგარელმა დატოვა თურქეთი, მაშინ როცა ბულგარეთში განაგრძობდნენ ცხოვრებას თურქულენოვანი მუსულმანები. ხელშეკრულება უშვებდა გამონაკლისს, რომლის მიხედვით კონსტანტინეპოლიდან და ზოგიერთი სხვა დასახლებიდან არ ითვალისწინებდა ქრისტიანების გადასახლებას.

ამდენად, თანამედროვე ცენტრალური ლაზეთის ტერიტორიაზე მრავლად უნდა იყვნენ როგორც ელინიზებული და შემდეგ გათურქებული ლაზების შთამომავლები, ასევე გათურქებული ბერძნების მემკვიდრეები. ა. აკოპიანი იმოწმებს ბერძნული წარმოშობის ერთ-ერთი თურქი ჟურნალისტისა და პუბლიცისტის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც თანამედროვე ტრაპიზონის მოსახლეობის 70 პროცენტი ისლამიზირებული ბერძენია. (Арман А., <http://www.noravank.am/rus/issues/detail.php?ELEMENT-ID=2812>), სამწუხაროდ იგი ბერძნებთან ერთად ასახელებს სომხებს და არაფერს ამბობს ლაზების შესახებ.

თანამედროვე მსოფლიოში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების ფონზე სომეხი ნაციონალისტების წრეში გაჩნდა მოსაზრებები სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფო საზღვრების ცვლილებების მიზნით 1921 წლის მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების გაუქმების შესახებ. სხვათა შორის ისინი აღიარებენ ამ ხელშეკრულებათა უსამართლობას საქართველოს მიმართაც, თუმცა მათ არ სურთ გაიხსენონ სევრის 1920 წლის ხელშეკრულება, რომელიც გარკვეულწილად მხარდაჭერილი იყო ამერიკის მიერ. ე.წ. „ვილსონისეული (აშშ-ს პრეზიდენტი) სომხეთი“ სხვა არაფერი იყო, თუ არა „დიდი სომხეთის“ შექმნის არარეალური გეგმა, რომელიც თავის საზღვრებში გულისხმობდა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილსაც. ეს პროექტი კერძოდ პეტრე დიდისა და ეკატერინეს მმართველობის დროს იქნა შემუშავებული რუსეთის იმპერიაში.

სევრის ხელშეკრულებით ოსმალეთი ვალდებული იყო ქურთებისა და სომხებისათვის გამოეყო ტერიტორიები. ეს ხელშეკრულება მიუღებელი აღმოჩნდა ქემალისტებისათვის. ქემალ ათათურქის ინიციატივით თურქეთმა არ ცნო დამამცირებელი ზავის პირობები, ომი გამოუცხადა ანტანტის ქვეყნებს და მოიგო კიდევ.

სევრის ხელშეკრულებით მხარდაჭერილი ვილსონის სომხეთი თავის თავში აერთიანებდა აღმოსავლეთში ქრისტიანობის ფორპოსტს (КАРПОВ С. П. 1981:168, 169) - ტრაპიზონის პროვინციასაც, რომლის მიხედვითაც იქედან უნდა გაესახლებინათ მკვიდრი ლაზური მოსახლეობა (Лазы...**KavkazPlus**). ლაზისტანი, მათი წარმოდგენით, უნდა გადაქცეულიყო დიდი სომხეთისათვის დერეფნად შავ ზღვაზე გასასვლელისათვის. ამ მოსაზრებას ემხრობოდა აშშ-ის პრეზიდენტი ვილსონი. მოკავშირეების მისამართით ვილსონის მიერ გაგზავნილ წერილში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ უნდა დაკმაყოფილებულიყო სომეხი ნაციონალისტების მოთხოვნები, რათა სომხებს ჰქონოდათ გასასვლელი შავ ზღვაზე. არავის უკითხავს ლაზებისათვის, მისაღები იყო თუ არა ეს წინადადება. თავად სომხები კი დასავლურ სამყაროს

უმტკიცებდნენ, რომ იქ ცხოვრობენ ველური ხალხი, რომლებიც ვალდებულნი არიან ცივილიზებულ სომხეთს დაუთმონ საკუთარი მიწები (Лазы: **KavkazPlus**).

აღნიშნული გეგმის რეალიზაცია გულისხმობდა საქართველოსათვის სამცხე-ჯავახეთისა და ბათუმის პორტის დაკარგვასაც, რასაც სავარაუდოდ ადგილობრივი არასომეხი, განსაკუთრებით კი მუსულმანური აღმსარებლობის მოსახლეობის აყრა-გადასახლებაან გენოციდი მოყვებოდა შედეგად. ამერიკის, საფრანგეთის, ინგლისის მმართველი წრეების მიერ მხარდაჭერილი სევრის ხელშეკრულება ფაქტობრივად იყო ქართველი ხალხის ამ შესანიშნავი ეთნოგრაფიული ჯგუფისა და სრულიად საქართველოსათვის სასიკვდილო განაჩენი. სხვათა შორის, სომხებს იმ პერიოდში თურქების წინააღმდეგ აჯანყებისათვის აქეზებდა რუსეთიც, სანაცვლოდ დიდი სომხეთის შექმნას პირდებოდა.

სომეხმა ნაციონალისტებმა ისარგებლეს პირველი მსოფლიო ომის დაწყებით და ნამდვილი გენოციდი მოუწყეს მუსულმანურ (ქურთები, თურქები) მოსახლეობას, მათ შორის ლაზებს და აჭარლებს, შავშებს.

არსებობდა ლაზებისა და აჭარლების წინააღმდეგ სომხების მიერ ჩადენილი მხეცობების ამსახველი დოკუმენტები, რომლებიც განადგურდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ, თუმცა ალექსი ტოლსტოის ამის შესახებ აქვს მინიშნებები და ირიბი მტკიცებულებანი. საბჭოთა პერიოდში დაწერილ ერთ-ერთ ნაწარმოებში იგი იხსენებს გენერალ იუდენიჩს, რომელმაც სომხების მონაწილეობით განადგურა რამდენიმე აჭარული სოფელი (Лазы...,KavkazPlus), თუმცა სომხებისავე ჩაგონებით ტოლსტოიც ფიქრობდა, რომ აჭარაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, თაღიანი ხიდები სხვა „კულტურული ხალხის“ მიერაა აშენებული. სომხების სისასტიკეზე საუბრობს ნ. ნოვიკოვი თავის წიგნში „Операции на Черном море и совместные действия армии и флота на побережье Лазистана“, უფრო კონკრეტულად კი წიგნის ქვეთავში „ტრაპიზონის დაცემა“.

სომეხთა სულწასულობამ გადაარჩინა ლაზები სრულ განადგურებას. სომეხი ბოევიკები არ დაელოდნენ ამერიკისა და დასავლეთის ქვეყნების ჯარის შემოსვლას. დაშნაკებმა თავიანთი ბანდები დაძრეს „ვილსონისეული სომხეთის“ გეგმის განსახორციელებლად, თუმცა თურქებმა ისინი შეაჩერეს, შემდეგ კი მთლიანად განადგურეს ისინი. დამარცხებულმა სომეხებმა იკადრეს ეთხოვათ ქართველებისათვის დაეკავებინათ ლორე, რათა დაშნაკებს იქ შეეფარებინათ თავი. სანაცვლოდ, კი სამი თვის შემდეგ სომეხებმა ლორესა და შულავერში მოაწყეს აჯანყება და გზა გაუხსნეს საბჭოთა ოკუპაციას.

ლაზეთისა და ლაზების რთულმა ისტორიულმა ვითარებამ, რომელშიც მოუწიათ მათ ცხოვრება, სერიოზული დადი დაასვა მათ ეთნიკურ ცნობიერებას. ლაზთა დიდი ნაწილი თავს არ მიიჩნევს ქართული ეთნოსის ნაწილად. მათი აზრით ლაზები ცალკე ეთნიკური ჯგუფია. მეორე ნაწილი კი თავს თურქად მიიჩნევს. ძალზე მცირეა ქართული ორიენტაციისა და ცნობიერების მქონე ლაზთა რაოდენობა. ეს არცაა გასაკვირი. საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის ხელისუფლება ატარებდა ეთნიკური უმცირესობების ასიმილაციის პოლიტიკას. თვით საბჭოთა კავშირშიც იყო ლაზების ანტიქართველებად გამოცხადების მცდელობანი. 1920-იანი წლების ბოლოს აფხაზეთში გამოდიოდა გაზეთი „წითელი ლაზეთი“ („მჭითა ლაზისტანი“). იგი თურქეთის ლაზეთშიც ვრცელდებოდა. მისი დამაარსებელი იყო ვინმე ისკენდერ ციტაში. იგი ასრულებდა სოხუმის ლაზური სკოლების ინსპექტორის მოვალეობას და პროპაგანდას უწევდა ლაზების არაქართველობას (კრავიშვილი გ., 2018, ასევე, გაზ. „კვირის პალიტრა“, 18 აგვისტო, 2018 წელი).

მსგავს რეციდივებს ადგილი ჰქონდა სხვა დროსა და სხვა რეგიონებშიც. ლაზთა არაქართველებად გამოცხადების ანტიქართული იდეოლოგია დღემდე გრძელდება. ქართულმა სახელმწიფომ პრიორიტეტების განსაზღვრისას უმთავრესი პრობლემად ისტორიულ საქართველოში მცხოვრებთა ეთნიკური ცნობიერების განმტკიცებისათვის ხელშეწყობა უნდა გაიხადოს. უნდა დაფინანსდეს კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციები, გამოიცეს ორენოვანი წიგნები საქართველოს ისტორიის საკითხებზე, ითარგმნოს ქართული მხატვრული ლიტერატურა თურქულ ენაზე, ხელი შეუწყოს ქართული კულტურის (მუსიკალური კულტურა, თეატრი, კინო...) პოპულარიზაციას, უფასოდ მოამარაგოს სახელმძღვანელო ლიტერატურით. გასათვალისწინებელია, რომ ისტორიულ საქართველოში არიან პროქართული ორიენტაციის ქართველები//ლაზები. საზღვრების გახსნის შემდეგ არაერთ ლაზს განუმტკიცდა ეროვნული თვითშეგნება. ლაზებისა და მეგრელების კავშირებმა, ენის ერთობამ არაერთი ლაზი დააფიქრა თავის წარსულზე, თუმცა ქართველობის მოსურნე არაერთი ქართველი//ლაზი ღიად ვერ ქართველობს (ერიდება დამატებით პრობლემებს). ერთმა ქართველმა გვითხრა კიდევ: „აქამდინ თავს ჩაქუჩით გვიჭეჭყავდენ და მევტანეთ ქართველობა. ქართულ სახელებ რომ არ გვარქმევიებდენ, რომ არ დეგვეკარქა, ძროხას დავარქვით. ახლა თქვენზეაო“. შთამბეჭდავი განაცხადია. ეს არის ნაპერწკალი, რომელიც უნდა გაღვივდეს. ამისთვის აუცილებელია აღნიშნული პრობლემის სახელმწიფოებრივი ინტერესების არეალში მოქცევა. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს პროქართული ლაზებისათვის მოქალაქეობის მინიჭება, პრესამ, ტელევიზიამ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ ლაზური ფოლკლორის, მუსიკალური კულტურის, ტრადიციული ყოფის პოპულარიზაციაზე, რომლებსაც არაფერი საერთო არ აქვს ბერძნულთან, მით უმეტეს თურქულთან, თუმცა აშკარაა თურქულის გავლენა. პრობლემის მოგვარებას სასიკეთოდ წაადგება აგრეთვე ქართულ სკოლებში სპეციალური საგნის შემოღება, რომელიც მიაწვდის მოსწავლეებს ზოგად ცოდნას ლაზური, მეგრული და სვანური ენების შესახებ.

## SOME ISSUES OF ETHNIC HISTORY, IDENTIFICATION AND CULTURAL MEMORY IN POLYETHNIC SOCIETY OF CENTRAL LAZETI

TAMAZ PHUTKARADZE

### SUMMARY

Lazians are one of the elite people in modern Turkey, whose housing is Lazeti, historically called pontto. It included today's cities: Trabzon, Rize, Ordu, Samsun, Synopsis. Lazians has played a major role in the history of civilization. They have repeatedly come up with history as a formation of the state-based ethnos. The present article discusses the history of Lazeti, issues of Ethnogenesis and Ethnography.

### ლიტერატურა:

1. ავალიშვილი, 1989 -ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთადროიდან. ოთხისაისტორიო ნარკვევი, თბ.
2. ანდრიაძე, 2012 - გიორგი ანდრიაძე, უცნობი ისტორიული საქართველო, თბ.
3. აზიის თურქეთისა, 1982 - აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, ანგარიშები ჯიფორდ პალგრევისა ანატოლიის პროვინციის შესახებ (1867-68, 1869 და 1872 წლებში), რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების უწყების მე-7 ტომის დანართი, თბ.
4. ბაწაში, 2015 – წ. ბაწაში, ლაზთა ეთნოგენეზისი, ლაზეთი და ლაზები თურქულ გამოცემებში, თბ.
5. ბერძენიშვილი, 1962 - ნ. ბერძენიშვილი, ვ. დუნდუა, მ. დუმბაძე, გ.მელიქიშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. 1, თბ.
6. გოზალიშვილი, 1965 - გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბ.
7. ინგოროყვა, 1954 - პავლეინგოროყვა, „გიორგი მერჩულე“. თბ.
8. კრავიშვილი, 2018 - გიორგი კრავიშვილი, თურქეთის ლაზები და ეროვნული
9. აღთქმის პრობლემა, ჟურნ. „ისტორიანი, N 91, ასევე, გაზ. „კვირის პალიტრა, 18 აგვისტო, 2018 წელი;
10. ლორთქიფანიძე, 1974 - მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს ისტორია XI-XII საუკუნეების მიჯნაზე, თბ.
11. ლორთქიფანიძე, 1953 - ო. ლორთქიფანიძე, ტრაპიზონის სამეფოს აღმოცენების საკითხისათვის, თბ.
12. ლაზები, 2015 - ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში, თბილისი;
13. მამისთვალიშვილი, 2013/2014 - ელდარ მამისთვალიშვილი, ბასილი
14. ეზოსმოდვარი ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, 2013 / 2014, ტ. XV-XVI;
15. "ტბეთის სულთა მატიანე", 1977 - "ტბეთის სულთა მატიანე". თ. ენუქიძე. თბ.
16. ქსენოფონტი, 2010 - ქსენოფონტი, კიროსი სანაბასისი, ანტიკური კავკასია, ენციკლოპედია I, თბ.
17. ქართლის ცხოვრება, 1959 - ქართლის ცხოვრებას. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 2, თბ.
18. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1987 - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 11.თბ.
19. ჯავახიშვილი, 1951 - ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ.
20. ჯავახიშვილი, 1950 - ი. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ.
21. ჯავახიშვილი, 1982 - ი. ჯავახიშვილი. "ქართველიერისისტორია". ტ. III. თბ.
22. Allen, 1932 - W.E.D. Allen, A History of the Georgian People, London;
23. Allen, 1963 - W.E.D. Allen, A history of Georgian People, Georgetown, 1963; London;
24. Aksoylu, 2010 - K., Laz Kulturu (Tarih, dil, Gelenek ve Toplumsal yapim 2-bashi, Istanbul;
25. Bryer, 1988 - Bryer. A. The Crypto-Christians of the Pontos and.... London;
26. Bryer, 1985 - Bryer A. The Byzantine Monuments and Topography of the Pontos. Vol 1-2; Washington;
27. Bryer, 1960 - Bryer A. Trebizond: the Last Byzantine Empire // History Today. T. 10;
28. Bryer, 2002- Bryer A,with David Winfield. "The Post-Byzantine Monuments of the Pontos". Ashgate;
29. Brendemoen, 2002 - Bernt Brendemoen, The Turkish dialects of Trabzon, Oslo;
30. Brendemoen 1990 - Bernt Brendemoen, Laz influence on the Black Sea Turkish
31. Dialects - 1990 Proceedings from 32nd meeting of the Permanent International Altaistic Conference;

32. Gologlu, 1973 - Gologlu M., "Anadolu'nun Devleti Pontos", Ankara;
33. Vasiliev, 1936 - Vasiliev A. A. The Foundation of the Empire of Trebizond (1204–1222) //Speculum.. Vol II;
34. Koch, 1836 - Karl Koch, Reise duch Russland nach dem Kaukasis chen Istmus in den Jahren., v.1;
35. Karagöz, 1998 - Karagöz İ., "Tarihsel Süreçte Trabzon Halkı", Trabzon;
36. Meeker, 1971 - Michael Meeker, The Black Sea Turks: some aspects of their ethnic and cultural background, International Journal of Middle Eastern Studies;
37. Miller, 1926 - Miller W., Tradizond The last Greek Empire, London;
38. Salia, 1971 - Salia K., Quelques pages de L histoire de Georgie//Bedi Kartlisa, T. 28.Paris;
39. Fallmerayer 1844 - Fallmerayer J., ph. Original Fragmente, inschriften and andres
40. Matcriale zur Geschicthe des Kaiserlums Trapezunt//Abhandlungen der Historischen klass der Bayerischen der wissenschaften, bd.4;
41. Finleu 1851 - Finleu G.,The Histoty of Grece from ast conquest by the crusaders to ist cohquest by the Turks and of the empire of Trebzond 1204-1461. London;
42. Öztürk 2005 - Özhan Öztürk, Karadeniz;
43. Карпов, 2007 - с. П.История трапезундской империи, Санкт-Петербург;
44. Карпов, 1981 - Карпов с. П. Трапезундская империя и Западноевропейские государства в XIII-XV вв. Москва;
45. Карпов, 2001 - Карпов с.п. образование трапезундской империи (1204 - 1215 гг.) // вв. Москва;
46. КАРПОВ 1982 - Карпов С. П. От фемы Халдия к империи Великих Комнинов //Византия и ее провинции. Свердловск,;
47. Куник 1854 - Куник А. А. Основание Трапезундской империи в 1204 г. //УЗ имп. АН. По I и III отд.. Т. 2;
48. Левченко 1940 - Левченко М., История Византии, краткий очерк, т. 15, Москва-Ленинград;
49. Новейшая история , 1955 - Новейшая история, Москва;
50. Новиков, 1927 - Новиков Н, „Операции на Черном море и совместные действия армии и флота на побережье Лазистана, Ленинград; ,1994– Страшон, 17. XII.Москва;
51. Успенский 1948 - Ф. Успенский, История Византийской империи, т. 3, М-Л;
52. Успенский, 1929 - Успенский Ф.И. Очерки из истории Трапезундской империи, Ленинград;
53. Жордания, 2002 - Жордания Эрекле, Картвельское население Понта в XIII-XV вв, Москва;

#### ინტერნეტრესურსები:

1. გიორგი მახობეშვილი, რატომ აღმოჩნდა ქართველების მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსება შეცდომა. <http://tbiliselebi.ge/index.php?newsid=268447214>;
2. Лазы – незаслуженно замалчиваемый историками «евроцентристами» выдающийся народгосударственник <https://kavkazplus.com/news.php?id=2476#.W3xXJiQzBIU>;
3. Machuka. <http://tao-klarjeti.com/portal/en/2013-04-23-14-11-18/machuka>;
4. Понтийские греки: думаем вернуться в Грузиюю [www.pravda.ru /world/ formerussr/georgia/12-07-2012/1121807-pontis-greeks-0/](http://www.pravda.ru/world/formerussr/georgia/12-07-2012/1121807-pontis-greeks-0/);
5. Арман Акопян, ИСЛАМИЗИРОВАННЫЕ ГРЕКИ ТУРЦИИ, [http://www.noravank.am /rus/issues/detail.php?ELEMENT-ID=2812](http://www.noravank.am/rus/issues/detail.php?ELEMENT-ID=2812);
6. <http://georgians.gr/sofeli-turqetshi-sadac-berdznul-enaze/>;
7. Лозаннский мирный договор, <http://riataza.com/2017/12/09/lozannskiy-mirnyiy-dogovor/>;
8. Лазы: Севрский договор как смертный приговор для народа, Московский и Карский договора – как спасение. KavkazPlus).

## სისხლ-მისისხლეობაში კომპოზიციის<sup>6</sup> - დარიგების ხალხური ტრადიციები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

### ბეჰა გველიაძე

სისხლის აღების ჩვეულება მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხს ახასიათებდა. ვენდეტა<sup>7</sup> არსებობდა იმ ხალხთა ცნობიერებაშიც, რომლებმაც სახელმწიფოები შექმნეს. კავკასიის ხალხების (კოვალევსკი, 1886; გარდანოვი, 1964; გაგლოთი, 1979: 9; ინალ-ივა, 1965: 431; კარაპეტინი, 1966: 69), ისე როგორც საქართველოს მთიელების (ხიზანიშვილი, 1982; ხარაძე, 1947; 1951; 1959; კეკელია, 1970; 1971; ფუტყარაძე, 1971; რობაქიძე, 1972: 11) გარდა, იგი

<sup>6</sup>სიტყვა „კომპოზიცია“ ლათინური compositio-დან მომდინარეობს დაშერიგებას, მორიგებას-შერიგებისას ბრალდებულის მხრიდან მატერიალური და საურვებელის ანაზღაურებას ნიშნავს.

<sup>7</sup>სოციოკულტურულ ანთროპოლოგიასა და ეთნოლოგიაში სისხლის აღება, შურისძიება - ვენდეტა (Dlutrache, Blood Revenge, Vendeta) მკვლევლობისათვის, წყენინებისა თუ მატერიალური ზარალისათვის სშურისძიებას ეწოდება. იგი ფართოდ იყო გავრცელებული პირველყოფილ საზოგადოებაში, განსაკუთრებით, მისი განვითარების გვიანდელ საფეხურზე, როგორც კოლექტიური ურთიერთდახმარების ფორმა, რაც სახელმწიფოს გაჩენამდე არსებული საზოგადოებების ცხოვრებისეული ციკლის ორგანიზაციისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა. შემდეგში, ურთიერთდაცვა, გამოხატული სისხლის აღების წესში, ფუნქციურად მხოლოდ დამნაშავეთა ადასჯით შემოიფარგლებოდა. იგი არამხოლოდ უეჭველად განსახორციელებელ საქმედ, არამედ წმინდა მოვალეობადაც ითვლებოდა. საზოგადოებრივი განვითარების შედარებით გვიანდელ საფეხურზე პირი, რომელიც შურისძიებას თავს არიდებდა, მაშინ იგი დასახლებიდან იკვეთებოდა და მემკვიდრეობასაც კარგავდა. თავდაპირველად, დაზარალებულის გვარი მწყენებლის გვარზე შურს შეუზღუდავად იძიებდა. თავად ტერმინი „სისხლის აღება“ ამათუიმ ხალხის ჩვეულებითი სამართლის ლექსიკის ნაწილი იყო და ტრადიციული ყოფის რეალიებს ასახავდა. პირველყოფილისა ზოგადობის რღვევასთან ერთად სისხლის აღების ჩვეულება სულ უფრო და უფრო მეორეხარისხოვანი ხდებოდა. ნათესაური ორგანიზაციის ფარგლებში შურისმაძიებელთა და მოპასუხეთა რიცხვი ნათესავთა გარკვეულ ჯგუფამდე ვიწროვდებოდა. საბოლოოდ იგი მხოლოდ ყველაზე ახლობელი ადამიანის და ღვიძლი ნათესავის მოვალეობად იქცა. შურისმაძიებლები მხედველობაში ღებულობდნენ ფიზიკური და მატერიალური ზარალის რაოდენობას, დაზარალებულისა და შურისძიების ობიექტის ასაკს, სქესს, საზოგადოებრივ სტატუსს. რიგითი დამნაშავე გვარს შეეძლო დაზარალებულისათვის გადაეცა. მაგალითად, ასე ხდებოდა იტელმენებში, ხოლო პრივილიგირებული ჯგუფის წევრები დასაშვებია დაუსჯელნი დარჩენილიყვნენ, ვთქვათ, არაბ მომთაბარეებში შეიხის გვარის წარმომადგენლები. თანამიმდევრულად კომპოზიციის სისტემადაც ითარდებოდა - ყალიბდებოდა დარიგების ჩვეულება, ძირითადად, დაზარალებულისათვის საზღაურის მატერიალური ანაზღაურების სახით. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ძველრუსული ვირა (Вира), გერმანული ვერგელდ (Wergeld) და ბლუთგერდ (Blutgeld) და სხვა მისთანანი. საზღაურის დადგენის შემდეგ, უპირველესად, ზარალის რაოდენობა და მხარეთა სტატუსი ითვალისწინებოდა. კოლექტიური პასუხისმგებლობა ანდა კომპოზიცია ტერიტორიულად გაერთიანებულ ნათესაურ წრეში იყო შემონახული. ასე, მაგალითად, ა. პერშიცის მიხედვით ძველრუსულ სამეზობლო თემში, მკვლელის უპოვნელობის შემთხვევაში, დაზარალებულს ე. წ. „ველურვირას“ უხდიდნენ. აგრარულ და ოლიგარქიულ - სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებებში სისხლის აღების წესი და კომპოზიცია სწორედ ამ სახით შემონახა, ისე როგორც რიგ ქვეყანაში - ალბანეთში, სერბეთში, სამხრეთ იტალიაში, კორსიკაში, იაპონიაში, სადაც იგი არსებობას გვიანდელ პერიოდებამდე აგრძელებდა. კომპოზიციის უძველესი სახელმწიფოების სამართლებრივი კოდექსებიც იცნობდა. ამ მხრივ საყურადღებოა ჰამურაბის კანონები, ბარბაროსთა სამართალი, შარიათი... ბუნებრივია, ამ ტიპის სამართლებრივი აქტების საფუძველი ჩვეულებითი სამართალი იყო (დაწვრ. იხ.: კოსვენი, 1925; კოხი, 1974; პერშიცი, 1986:83-84).

გავრცელებული იყო მსოფლიოს მრავალ ხალხში, განსაკუთრებით, ბერძნებსა და გერმანელებში (იხ.: კაგაროვი, 1937). სისხლის აღების ტრადიციას არანაკლები ადგილი ეკავა პრიმიტიული საზოგადოებების სამართლებრივ ცხოვრებაში, მაგალითად, ავსტრალიელებში თუ ქმარი შურისძიებაზე უარს ამბობდა, მაშინ მას ცოლი ეყრებოდა (პერშიცი, 1986: 83-84). მისი წარმოქმნა შორეულ წარსულთან - კაცობრიობის ისტორიის ადრეულ საფეხურებთან იყო დაკავშირებული, კერძოდ, მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ სისხლის აღების წესი ინდუსტრიამდელ, პირველყოფილ-გვაროვნულ ეპოქაში იღებდა სათავეს (მორგანი, 1934; ბრომლეი, 1981: 206; ხარაძე, 1939: 25; ბარდაველიძე, ჩიტაია, 1939: 3). მან არსებობა ოლიგარქიულ - სოციალურად დანაწევრებულ საზოგადოებებშიც განაგრძო. ამდენად, სისხლის აღების წესი, რომელიც უძველესი ეპოქებიდან მოყოლებული ჰეტეროგენულ-ოლიგარქიულ საზოგადოებაშიც ფუნქციონირებდა, მსოფლიოს ხალხთა კანონთა კრებულებში, მათ შორის, ქართულ სამართლებრივ ძეგლებშიც აისახა (ბაგრატიონი, 1957; ჯავახიშვილი, 1928; სურგულაძე, 1952; 1965; დოლიძე, 1957; ფუტყარაძე, 1964). სისხლის აღების წესის ადგილი ქართული სახელმწიფოებრიობისა და სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოების პირობებში აშკარად გამოხატული წოდებრივი ხასიათის სისხლის აღების ნორმამ დაიჭირა (შამილაძე, 1961:83), ე. ი. ქართულ ფეოდალურ სამართალში გათვალისწინებული იყო წოდებრივი მდგომარეობა და სისხლის საფასურიც ამის მიხედვით განისაზღვრებოდა (დოლიძე, 1953:5). ქართველ მთიელებში, კერძოდ, მთიულებში სისხლის აღების ჩვეულების არსებობა „განჩინების“ საბუთითაც თვალნათლივ დასტურდება (ხარაძე, რობაქიძე, 1965:44). სახელმწიფოებრიობის პირობებში სისხლის აღების ჩვეულება ტრადიციულ პერიფერიებში თავს იჩენდა იმ დროს, როცა პოლიტიკური მმართველობითი უჯრედები და, შესაბამისად, სამართლებრივი ინსტიტუტები სუსტდებოდა, თუმცა დროთა მსვლელობისა და ეპოქალური ცვლილებების პროცესში ეს ჩვეულება მივიწყებას მიეცა, მაგრამ განსაკუთრებულ ვითარებაში იგი აქა-იქ მოდერნიზებული სახით მაინც იჩენდა ხოლმე თავს (იხ.: მგელაძე, ქამადაძე, 1997).

ქართული ჩვეულებითი სამართლის ისტორიის შესწავლა გადაუდებელ ამოცანათა რიგში დგას, რადგან სავლელ-ეთნოგრაფიული მასალების მოპოვება თანამედროვეობაში თანდათანობით შეუძლებელი ხდება, თუმცა ის რაც დღემდე ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიერ შეკრებილია, ძველქართულ წერილობით წყაროებთან ერთად ფასდაუდებელი მნიშვნელობისაა, რადგან მათი მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია შუასაუკუნეების სამოქალაქო და სისხლის სამართლის, ხალხური სასამართლო ორგანიზაციების შესახებ ვიმსჯელოთ და ჩვეულებითი სამართლის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სურათი აღვადგინოთ. ამის განხორციელებაში უაღრესად ფასეულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს - სამცხისა და აჭარის ხალხურის სამართლის ცალკეული ეპიზოდის რეკონსტრუქცია. ქართველ მთიელთა შორის, კერძოდ, სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაში ცნობილი ჩვეულებითი სამართლისა და კომპოზიციის შესასწავლად განსაკუთრებით ძვირფას ცნობებს ბექა-აღბუღას სამართალიშეიცავს, რომელშიც XIII-XIV საუკუნეების საქართველოს სოციალური და იურიდიული წყობაა ასახული. ბექა-აღბუღას კანონმდებლობის ძირითად წყაროს ადათობრივი სამართალი შეადგენდა და იგი საყურადღებოა ჩვეულებითი სამართლისა და ოფიციალური კანონმდებლობის ურთიერთ-მიმართებათა კვლევის თვალსაზრისითაც (დოლიძე, 1953:50, 85). ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლომდე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში ხალხურმა სამართალმა ჩვეულებითი სამართლის ისტორიული იერსახე ასე თუ ისე შეინარჩუნა. იგი ზოგადქართული სამართლის რეგიონული - ლოკალურივარიაციის პრიორიტული ნიშნებით ხასიათდებოდა,



უფრო ზუსტად, სახეზე გვექონდა ზოგადქართული ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში სამართლებრივი კულტურის მრავალმხრივი ლოკალური ნიშანი. საერთოდ, სისხლის აღების ტრადიციის სფეროში ეთნოგრაფიული წყაროებით მხოლოდ XIX საუკუნის რეალობის აღდგენა ხერხდება, თუმცა წარსულის სცენების რემისცენაცია სავსე და ფეოდალური სამართლის შეჯერების საფუძველზე მეტ-ნაკლებად სრული სურათის აღდგენის საშუალებასაც იძლევა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ჩვეულებით სამართალში უპირველესად ყურადღებას სისხლის სამართალი იქცევს, სადაც მეტად საინტერესო ტრადიციები იკვეთებოდა. სისხლის სამართალი პირველ რიგში სისხლის აღებასთან, კერძოდ, მოსისხლეთა დარიგებასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებსა და დასჯის ხალხურ ფორმებს ასახავდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის სამცხესა და აჭარაში მოქმედმა ზოგადქართული ხასიათის ჩვეულებითმა სამართალმა სისხლ-მისისხლეობის სფეროში ადათობრივი ნორმების მთელი რიგი ნიშანი შეინარჩუნა (იხ.: მგელაძე, 1984: 46-61). ჩვეულებითი სამართლის ფუნქციონირება, თავის მხრივ, სწორედ ამ ტიპის საზოგადოებრივი კატეგორიის - სისხლის აღების წესისა და კომპოზიციის სისტემის არსებობითაც იყო განპირობებული. რადგან სისხლის აღებისა და კომპოზიციის სისტემის სამართლებრივი ნორმები ადათებს შეესატყვისებოდა, ამდენად იგი ძველი სოციალური ურთიერთობის საყურადღებო მხარეებსაც შეიცავდა.

აჭარაში კომპოზიციის შესატყვისი ტერმინი **დარიგება** იყო. ასე ეწოდებოდა მტრულად განწყობილი ოჯახებისა და ნათესაური ჯგუფების, გვარების შერიგებას. სისხლითნათესაურ გაერთიანებაში ასაკით უფროსი, გამორჩეული და ავტორიტეტული პირები ჰყავდათ. სადავო საკითხების გარჩევისას ისინი მატერიალურ სარგებელს არ იღებდნენ, მაგრამ თვალყურს ადევნებდნენ და მოგვარეთა ყოველდღიური ცხოვრებითავე იყვნენ დაინტერესებულნი. ავტორიტეტული უხუცესებისაგვარეულოს დამცველებად გამოდიოდნენ და ცდილობდნენ უცხო საგვარეულოს წარმომადგენლის მიერ სისხლიერი ნათესავის უმიზეზოდ დაჩაგვრაარ მომხდარიყო. ასეთი პირები შემრიგებლის როლშიც გამოდიოდნენ და სოფლისა და სხვა საგვარეულოთა თავკაცებთან, ე. წ. „წინაჲ კაცებთან“ - „წინაჲ პირებთან“, „ინამძღვრებთან“, იგივე, „საქმის კაცებთან“ თუ „თავიკაცებთან“ ერთად, მედიატორებადაც გვევლინებოდნენ (მგელაძე, 1985: 27-29). გამორჩეული პირები ზოგან „დაფასებულ კაცებად“ და „მეწინავე კაცებადაც“ იწოდებოდნენ. ეს თავისებური ხევისხერები არა მარტო მოსისხლეთა შერიგების, არამედ სისხლის სავალდებულო აღების საკითხებსაც განსაზღვრავდნენ (ქამადაძე, 1997: 18). ვახტანგ შამილაძის შენიშვნით, აჭარაში სისხლის აღებისას გამოსყიდვასა და კომპოზიციას საკმაოდ ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა მიღებული. მოსისხლეთა შესარიგებლად - გვარის ანდა სოფლის რამდენიმე უხუცესს, სამ-ხუთ კაცს გამოყოფდნენ, რომელთა შორის ყველაზე გავლენიან პირს შერიგების პროცესში წამოჭრილი ყველა საქმის მოგვარება ევალებოდა (შამილაძე, 1961: 83). სამართლის ძეგლების მიხედვით, ძველ სამცხე-საათაბაგოში მოდავე მხარეთა მომრიგებლად **შუაკაცები** გვევლინებოდა. შუაკაცთა სასამართლო იგივე მედიატორთა სასამართლო იყო (დოლიძე, 1953:94). ხევსურეთში უხუცესთა სასამართლო არსებობდა, რომელსაც „ხევსურული რჯული“ ეწოდებოდა, ხოლო რჯულის კაცებს **მებჭენი - ბჭეები** ერქვათ (ხარაძე, 1947: 164-169). სისხლ-მისისხლეობის პირობებში ადათით მინიჭებულ მოვალეობებს ოჯახისა და გვარის **წინაჲ პირები** ანხორციელებდნენ და არა თემის მმართველი ორგანოს - „მოყრიანობის“ უხუცესები, რადგან სისხლის აღება თუ შერიგება-კომპოზიცია პირად-უფლებრივი ხასიათის სამართლებრივი მოვლენა იყო და იგი მხოლოდ დაპირისპირებულ მხარეთა კომპეტენციას გამოხატავდა, მაგრამ როცა შუღლი თაობებში გადადიოდა და სისხლის აღება

პერმანენტულად გრძელდებოდა, როცა იგი თემის, როგორც ერთიანი სოციალური ორგანიზმის ფუნქციონირებას საფრთხეს უქმნიდა, მაშინ, ბუნებრივია, თემი თავის უფლებებს ეყრდნობოდა და პრობლემა „მოყრიანობის“- თემის სათათბირო ორგანოში განიხილებოდა, შესაბამისად, შუაკაცებიც თემის საერთო დადგენილებით გამოიყოფოდა. ასეთ ვითარებაში შემრიგებელთა უფლებამოსილება საკმაოდ გაფართოებულ ფორმატში წარმოგვიდგებოდა. სოფლისა და თემის თავაკაცების გადაწყვეტილებას, რაშიც შესაძლოა ნათესაური ჯგუფების - „ნოგროთა“ უხუცეს წევრებსაც მიეღოთ მონაწილეობა, ორივე მხარე უნდა დამორჩილებოდა. რომელიმე მხარის წინააღმდეგობის შემთხვევაში მათ მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად საქმე ბოლომდე მაინც მიჰყავდათ (ქამადაძე, 1997: 21), ე. ი. თუ მოსისხლე მტერი შერიგებაზე არ თანხმდებოდა, მაშინ შემრიგებლები მკვლელს ანდა მის ახლობელს - მამასა და ძმას კისერში საბელს ძალით ჩააბამდნენ და დაზარალებულისა და მისი ნათესავების ნებართვის გარეშე მოკლულის სახლში წაიყვანდნენ (მგელაძე, 1984: 55-56). როგორც ვხედავთ, აჭარაში, როცა საქმე მკვლელობას ეხებოდა, შერიგების პროცესის სირთულიდან გამომდინარე, მასში ორივე მხარე ებმებოდა. შერიგების პროცესის დასაწყისში დაზარალებულის მხრივ უშუალოდ მოკლულის ოჯახის წევრი მონაწილეობას არ ღებულობდა და ბრალეული მხარე დაზარალებულთან შუამდგომლობისათვის, უმეტესად, დაზარალებულის მოყვარეს ანდა, მუსლიმანური საზოგადოების პირობებში, ოჯახის ნათლიას - „ქირვას“ მიმართავდა. გაგზავნილის სურვილს ნათესაური ჯგუფის - ნოგროს უხუცესს, „მეწინავე კაცს“ გაანდობდნენ. შერიგების პროცესის მომდევნო საფეხურზე, ორივე მხრივ რამდენიმე პირი მონაწილეობდა. სწორედ ამ ეტაპზე გვარისაგან, პრობლემის სირთულიდან გამომდინარე, დასაშვებია, სოფლისა და, საერთოდ, თემისაგანაც შერიგების მიზნით უხუცესები, სამი-ხუთი პირი არჩეულიყო, რომელთაგან შერიგების პროცესში ყველაზე გავლენიანს ყველა წამოჭრილი საკითხი უნდა გადაეწყვიტა (იხ.: მგელაძე, 1984: 55; 2004: 174-178; ქამადაძე, 1997: 19). სწორედ ამის გამო ვარაუდობენ, რომ რადგან შერიგება თავისთავად რთული პროცესი იყო და ორივე მხარის თანხმობით შემრიგებელთა შორის ერთ-ერთი თავაკაცად ინიშნებოდა, იგი საერთოდ დაზარალებული სოფლის ანდა ნათესაური ჯგუფის - ნოგროს თავაკაცი უნდა ყოფილიყო, გამომდინარე იქიდანაც, რომ მის ავტორიტეტსა და მჭერმეტყველებაზე საბოლოო შედეგი დიდად იყო დამოკიდებული (ქამადაძე, 1997: 19).

ჩვეულებითი სამართალი იცნობდა მკვლელობის სხვადასხვა სახეობებს და, შესაბამისად, კომპოზიციის - დარიგების პროცესში განზრახ და გაუფრთხილებელ მკვლელობებს ერთმანეთისაგან ანსხვავებდა. ამასთან, ქართული ჩვეულებითი სამართალი ერთმანეთისაგან მკვლელობის ფორმებსაც განასხვავებდა. მკვლელობის სახესხვაობაზე დიდი იყო დამოკიდებული შერიგების შედეგი. ასე იყო აჭარაშიც, სადაც ერთმანეთისაგან განზრახ მკვლელობა და გაუფრთხილებლობით - „ყეზით მკვლელობა“ განირჩეოდა. სამართალწარმოების პროცესში მნიშვნელობა ჰქონდა დაქირავებული მკვლელის მონაწილეობასაც. იყო შემთხვევები, როცა შეურაცხყოფილი მხარე გარკვეული მიზეზების გამო შეურაცხმყოფელის შურისძიებას ვერ ახერხებდა, ამიტომ იგი სათანადო სახისა და რაოდენობის ხარჯს გაიღებდა და ჩანაფიქრი დაქირავებული მკვლელის მეშვეობით სისრულეში მოჰყავდა. მსგავს პირობებში დასაშვებია შემკვეთთან შერიგება მომხდარიყო, მაგრამ უშუალო აღმსრულებელთან მტრობა საშვილი-შვილოდ გრძელდებოდა (ქამადაძე, 1997: 20). ჯერჯერობით მოსისხლეთა შერიგებისა და სისხლის გამოსყიდვის რამდენიმე სახე გამოყო: 1. გაუფრთხილებლობით - „ყეზით“ მკვლელობა; 2. შემოკვდომა - როცა მკვლელს ერთის ნაცვლად მეორე შემოაკვდებოდა; 3. ერთ გვარში „სისხლის დაწოლა“; 3. განზრახ მკვლელობა, როცა მკვლელი წინასწარ ჩაფიქრებულ

მკვლელობას განახორციელებდა ანდა დაზარალებული მძიმედ დაიჭრებოდა, მაგრამ არ მოკვდებოდა; 5. დაქირავებული მკვლელობა, როცა სისხლის ამღები მტერს მოსყიდულ პირს მოაკვლევინებდა (დაწვრ. იხ.: ნოღაიდელი, 1935: 34).ლიტერატურაში დადგენილია, რომ როცა ერთი, კონკრეტული პირის მკვლელობა იყო განზრახული და შეცდომით მეორეს კლავდნენ, მაშინ შერიგებისას მნიშვნელობა ჰქონდა დასრულებულ მკვლელობას და მკვლელობის მცდელობასაც. აქ საინტერესოა ისიც, რომ ადათი კრძალავდა ნათესაური ჯგუფის - ნოგროს შიგნით მკვლელობისას სისხლის აღებას და თუ მკვლელობა მაინც მოხდებოდა - ერთი გვარის წევრებს შორის „სისხლი დაწვებოდა“, მაშინ პრობლემა აუცილებლად შერიგებით უნდა დასრულებულიყო (ქამადაძე, 1997: 20).

აჭარაში შერიგების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა **დამოყვრება** იყო. გვიანი შუა-საუკუნეების აჭარაში დამოყვრების გვერდით ტერმინი „დადოსტებაც“ გავრცელდა. მკვლელობის შემდეგ შერიგების მიზნით ორივე მხარის შუამავლები შუაში ჩადგებოდნენ და მკვლელის ნათესაობიდან ქალს მოკლულის ახლობელს მიათხოვებდნენ. პირიქით არ ხდებოდა. მოკლულის მხარე მკვლელის მხარეს შერიგების მიზნით ქალს არასოდეს არ მიათხოვებდა და თუ ამგვარი ქორწინებას ადგილი მაინც ექნებოდა, მაშინ ეს მოკლულის ნათესაობას დამცირებდა ჩაეთვლებოდა. დამოყვრების შემდეგ საგვარეულოთა შორის მტრობა და სისხლის აღება შეწყდებოდა (ქამადაძე, 1997: 21-22). მაინც, აჭარის მთიანეთში წარსულში შუღლი თავს იჩენდა ხოლმე შესაძლო მოყვრებს შორის, განსაკუთრებით მაშინ, როცა დასაქორწინებელი ვაჟი ქალს მისი მშობლების თანხმობის გარეშე იტაცებდა - ძალით წაიყვანდა (იხ.: მგელაძე, 1996: 214-215; ბექაია, 1974: 52).ჩვეულებრივ, ქალის მოტაცება ადრე არამართო აჭარის, არამედ მთლიანად საქართველოს სხვა კუთხესა და, საერთოდ, კავკასიის ხალხებში საკმაოდ გავრცელებული ჩვეულება იყო. მოტაცების წესმა განვითარებული შუასაუკუნეების სამცხურ კანონებშიც ჰყოვა ასახვა. ბექა ჯაყელისა და მისი შვილიშვილის - აღბუღას სამართალში პუნქტობრივად ჩამოთვლილი სამართლის ასეთი მუხლის შედეგად თუ როგორი განჩინება შეიძლება დამდგარიყო. ბექა-აღბუღას სამართალში, სამართლის 39-ე მუხლში ნათქვამია, რომ სხვისი დანიშნულის მომტაცებელს „სამდურავისა კიდე დასაურებლად“ ძველი საქმრო „რას ემართლების“ (დოლიძე, 1953: 302), ე. ი. ერთის მიერ დანიშნულის ჯვრისწერამდე სხვის მიერ მოტაცება დანაშაულად არ ითვლებოდა. ასეთ ვითარებაში, ორივე მხარის ნათესავებს საქმე თავად უნდა გაერჩიათ, ხოლო მომტაცებელს ქალის ძველი დანიშნულის გული უნდა მოეგო. ამით გვარებს შორის მტრობა ისპობოდა (მგელაძე, 1996: 215). ბუნებრივია, აქ კარგად გამოსჭვივის ხელისუფლების მცდელობა, რათა მომდურავებს შორის დამოკიდებულებას სისხლ-მესისხლეობის ფორმატი არ მიეღო და ისიც ჩანს, ნოვაციების მიზნით კანონით განსაზღვრულ სივრცეში ოფიციალური სამართალი ჩვეულებით ნორმებს დაუპირისპირდეს. საქართველოს მთიანეთში, რაც მთიულური ეთნოგრაფიული მასალებითაც მტკიცდება, ქალის მოტაცება წესის დარღვევად მიიჩნეოდა და თითქოს იზღუდებოდა კიდევ, მაგრამ თავად საქციელი საძრახისად და სირცხვილად არ ითვლებოდა (ჭყონია, 1955:35, 112). მოტაცების დროს დარიგების პროცესი ამსახველი ფაქტები აჭარის ეთნოგრაფიულმა ყოფამაც შემოგვინახა. თუ მომტაცებელს არ გაუმართლებდა და მოტაცებისას საპატარძლოს დაატოვებინებდნენ და, მიუხედავად ამისა, იგი ქალის გატაცებას კვლავ ეცდებოდა და, პირიქით, თუ მოტაცებისას ქალის ნათესაობის წევრთა დევნა მარცხით დამთავრდებოდა, მაშინ სასიამორო მომტაცებელს შესარიგებელ თანხას – „ასარიგებელს“ სთხოვდა (ბექაია, 1974: 53). ქალის მოტაცების ნიადაგზე

წარმოქმნილი უთანხმოება - მტრობა, უმრავლეს შემთხვევაში, მართლაც, მორიგებით მთავრდება და მთხრობელები ამას იმით ხსნიდნენ, რომ სოფელსა და თემში მტრობა დაუშვებელი იყო. ამის გამოც, არამართო მოტაცების, არამედ ქალის მიუკარებლობისას საქმის მოგვარებაში თემი ჩაეროდა (მგელაძე, 1996: 217). ქალის ცოლად გატაცების დროს შერიგება უფრო იოლი ყოფილა, ვიდრე მისი გაუპატიურებისა თუ სხვა ტიპის ზნეობრივი დანაშაულისათვის (ქამადაძე, 1997: 18). ეს ბუნებრივიცაა, რადგან გაუპატიურება - ქალზე ძალით ნამუსის ახდა, კონკრეტულ ფიზიკურ შეურაცყოფად, მოტაცება კი ჩვეულების აღსრულების გამოვლინებად აღიქმებოდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ესეც დასჯად კატეგორიაში იყო მოქცეული.

აჭარაში საინტერესო ჩვეულებას მოსისხლისათვის ყელზე ბაწრის შებმა და მისი მოკლულის სახელზე მსხვერპლად შეწირვის ინსცენირება წარმოადგენდა. ამგვარი შერიგების პროცესის ბოლო მომენტი უშუალოდ დამნაშავისათვის ერთობ დამამცირებელი იყო, რითაც დაზარალებული მხარე მორალურ კმაყოფილებას ღებულობდა (ქამადაძე, 1997: 20). თუ საქმე მოსისხლეთა შერიგებასეხებოდა, მაშინ მკვლელს ყელზე ბაწარს შემოაბამდნენ და მოკლულის საცხოვრებელს ირგვლივ სამჯერ შემოატარებდნენ. ყელზე თოკწაბმული მკვლელის მოკლულის საცხოვრებელზე სამჯერ შემოატარება გარდაცვლილის სახელზე მსხვერპლად შეწირვის იმიტაციას წარმოადგენდა. მსხვერპლშეწირვის რიტუალის გამოხატვისას იცოდნენ თქმა: „დამნაშავე ყურბნათ შემოგარეს ოჯახსო” (მგელაძე, 1984: 55-56). ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით, გავლენიან უხუცესს კისერში თოკწაბმული მკვლელი მოკლულის ოჯახში მიჰყავდა, რომელიც მომმეთა წინაშე თავდახრილი მუხლზე ეცემოდა. მას მოკლულის ჭირისუფალი ფეხს წამოჰკრავდა - პანლურს ამოჰკრავდა და ამით პირად ღირსებას ულახავდა (შამილაძე, 1961:84). მეორე ანალოგიური ვარიანტით, შერიგების მიზნით მკვლელს კისერზე ბაწარს შემოაბამდნენ და მოკლულის საფლაგზე სამჯერ შემოატარებდნენ. თუ მოსისხლე შერიგებაზე არ იყო თანახმა, მაშინ შემრიგებელნი მკვლელს ანდა მის ახლობელს - მამას, ძმას კისერში ბაწარს თვითონ შეაბამდნენ და დაზარალებულის ძმა-ბიძაშვილებთან, მამა-ბიძებთან შეთანხმების გარეშე მოკლულის სახლში მიიყვანდნენ (ბოჭორიშვილი, 1976: 151-152). აჭარაში სამართლის ისტორიის მკვლევართა მიერ შერიგების პროცესში პირადი ღირსების შემლახავი მოქმედების სხვა ვარიანტებიცაა გამოვლენილი. მაგალითად, როდესაც საბელჩაბმულ დამნაშავეს ოთხზე შემდგარს დაზარალებული სახლის ირგვლივ შემოატარებდნენ. ასეთ დროს დაზარალებულები დამნაშავეს პირუტყვის სადგომში ახორში დააბამდნენ და მარილთან ერთად რამდენიმე კონა ჩალას დაუდებდნენ, განსაკუთრებით ქალის მოტაცების ანდა სხვა უმნიშვნელო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში (ქამადაძე, 1997: 20). სვანეთში, როცა მედიატორები შერიგების თაობაზე შეთანხმებას მიაღწევდნენ, დაზარალებული დამნაშავის სახლში შესარიგებლად შედიოდა და მკვლელის შინაურებს კერაზე წყლის დასხმით ცეცხლს ჩაუქრობდა. იყო შემთხვევები, როცა დამნაშავე დაზარალებულს კერასთან პატიებას შეევედრებოდა. სახლში ხვეწნა მედიატორების გადაწყვეტილებითა და დაზარალებულის მოთხოვნითაც სრულდებოდა. მიხეილ ჩართოლანის მონაცემებით, კერასთან შევედრება შეიძლება სხვადასხვა სახის ყოფილიყო: ყელზე მიბმული ღვლეჭით კერასთან მისვლა, კერასთან მიწოლა, კერის წინ დაჩოქება ანდა კარიდან კერამდე ჩოქვით მისვლა, ნეკი-ნეკზე გადაქდობილი დაჩოქებით თუ კერასთან მიწოლითვედრება, ჩოქვითკერის სამჯერ შემოვლა (ჩართოლანი, 1961:134,139,143-144). კერა, როგორც შერიგების წმინდა ადგილი, დღეს თურქეთში მოქცეული აჭარის მეზობელი ქართული კუთხეების მოსახლეობის სამართლებრივი ხასიათისზეპირ ისტორიაშიცაა ასახული. ერთი ასეთი ისტორიის თანახმად, რომელიც მურმან ქამადაძეს შუშანა

ფუტკარადის თურქეთში, კერძოდ, სინოპში შეკრებილი საველე მასალების დღიურებიდან ამოუკრეფია, კარგად იკვეთება შერიგების პროცესში ისეთი საკრალური სიმბოლოები, როგორცაა ქალი და თეთრი მანდილი, კვარი და სანთებელა, დანთებული ცეცხლი, კერა და ბუხარი. ეთნოგრაფიული წყარო ტაო-კლარჯეთის სინამდვილეს ასახავს, რომელიც შუმანა ფუტკარადის სინოპში მცხოვრები აიშე ლომინადისაგან ჩაუწერია. აიშე ლომინადის მონათხრობით, „თოთომ-ნენეჲ ჭკვიანი და დაფიშმანებული ქალი იყო. თევვექელი უიმისოდ დიდ საქმეს ვერ იქდენ. გოდოროღლები და თავადიები ბორჩხის ქლასქურიდან და ხებიდან ჩაბარგულან სოფელ ოსმანიეში და გაღმა-გამოდმა დასახლებულან. გოდოროღლებს ციცი პყოლიან და თავადიებს უთქმიან მისი თხოვნა. თავადიების ბადვი რუმ ესკერში წასულა, გოდოროღლებს სხვისთინ მუუცემიან ის ციცი. ამისთვინ გაჰერსებულან თავადიების კაცები და ის ხათუნი უკან მუუტაცნიან. ამ ყავდაში ბადვის ემიას ციცას ბაბოი მუუკლავს, ემიაც დაიარალებულა და ციცაიც. ოცი დღის მემრე ციცი მომკვდარა. ორმოცი წელიწადი გოდოროღლები და თავადიები ჟუჟევდენ ერთმანეთს. გოდოროღლებს ქორწილი ჰქონებინ და თელი სოფელი დუუპაიჟნიან თავადიების გარდა. ბოლოხან ხუთი წელიწადი იყო კლელობა არ მომხდარა. გუდუუწყვეტიან შერიგება, ჰამარასოინა შევრიგდეთო, თოთომ-ნენეს ვჰკითხოთო. ნენეს შამუთლია, რუმ ჩემი ბადვი წეიყვაითო, თეთრი მენდილჩი პაწაი შეშა შიახვიოს, პაწაი კვარი და სანთებელი წეილოსო, მივიდეს გოდოროღლებთან, შევდეს დუულაპარაებლი და ოჯახშიცეცხლი დაანთოს და თქვასო: მე შენთან ოჯახის დასანელებლათ კი არა გასაცოცხებლად მუელიო. გერჩენ ასე უქნიან, სამოცი ცხენოსანი წაჰყოლია, შესულა უსულით, დუუნთია ცეცხლი და იმფრა უთქვამს. შერიგებულან და იქიდანაც სამოცი ცხენოსანი წაჰყოლია, ღელის გაღმა-გამოდმა ორთალული აადინეს მართენას სროლითო“. შერიგების კერასთან გამართულ რიტუალს წარსულში აჰარაშიც ჰქონდა ადგილი, რაზეც მურმან ქამადაძის მიერ შეკრებილი საველე-ეთნოგრაფიული მასალებიც მეტყველებს. მაგალითად, ხულოს რაიონის სოფელ კურცხლებში მცხოვრებლებს გაგონილი ჰქონიათ, რომ „ზათი ახალათ შერიგებულ ფხარეს ბუხარში ცეცხლი ნა დიენთო და მემრე იქდენ შერიგებას. უფრო სიძის შერიგებაზე იზემდენ ამას“, ე. ი. კერასთან შერიგებას მხარეები ქალის ძალით მოტაცების შემეგ მიმართავდნენ(დაწერ. იხ.: ქამადაძე, 1997: 22).

თითქმის ყველა ხალხში შერიგების პროცესის თანმხლები კომპოზიცია - საზღაურის გადახდა, დაურვება, მკვლელის ოჯახისათვის მატერიალური კონპესაციის დაკისრება იყო. მატერიალური საზღაურის გადახდას განსაკუთრებით ქონებრივი შურისძიების დროს ჰქონდა ადგილი. აჰარაში ქონებრივი შურისძიებისას იცოდნენ სახლის დაწვა, საქონლის მოკვლა, მოსავლის გაჩანაგება. დანაშაული საპასუხო საურავით უნდა ანაზღაურებულიყო. დამზარალებელი იძულებული ხდებოდა დანაკლისი ზოგჯერ მატერიალურადვე აენაზღაურებინა, მაგალითად, დაღუპულ ხარში ერთი ხარი მიეცა. ქონებრივი შურისძიების დროს, როცა შურისმაძიებელს სახლის დაწვა სურდა, რამდენიმე ხნით ადრე ოჯახის წევრებს ანდა მოწინააღმდეგის ნათესაურ ჯგუფს - ნოგროს რომელიმე წევრს უბედურების მოახლოებას რაიმე საშუალებით შეატყობინებდა. შესაძლოა სახლის ბანზე ქვაც შეეგდო და სახლეულის წევრთათვის „ამბავი მიეცა“. მიზნის განსახორციელებლად ისეთ დროსარჩევდნენ, როცა სახლში არავინ იქნებოდა. თუ სახლის დაწვას ვერ მოახერხებდნენ, შურისმაძიებლები მეტოქეს ბაღჩაში

\*ოჯახი ჭოროხის აუზის ქართულ მოსახლეობაში ცეცხლის დასანთებ ადგილს, კერას, ბუხარს აღნიშნავდა.

სიმინდს გაუჭრიდნენ, ძროხას მოუკლავდნენ, ტყეში დადგმულ ფუტკრის სკას გადმოუგდებდნენ. ცხადია, შურისძიების ეს სახე სისხლის აღებასგამორიცხავდა, მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის ნიადაგი შემზადებულად ითვლებოდა(მგელაძე, 1984: 54).

კომპოზიცია - შერიგება მატერიალური საზღაურით აჭარის მთიანეთში წარსულში მაინც სისხლ-მესისხლეობის თანმხლები მოვლენა იყო. სხეულის დაზიანებასთან ანდა მკვლელობასთან დაკავშირებით ბრალმდებელი მხარე სისხლის საფასურის შესახებ თავის შეგებებულ მოთხოვნებს წამოაყენებდა. აჭარაშიც „დადებული სისხლის“ გათანაბრებისათვის „მოსანკლენოში“ გარკვეული მატერიალური საზღაურის გადახდა აუცილებლობას წარმოადგენდა. **მოსანკლენო** სისხლის აღების პერიოდში გარკვეული მატერიალური და ფულადი საზღაური იყო. გადასახადის ერთი დადგენილი ნორმა არ არსებობდა (მგელაძე, 1984: 46-61; ქართველი... 2018). სისხლის საფასურის რაოდენობის განსაზღვრა შემრიგებლებზე იყო დამოკიდებული. მხედველობაში მიიღებოდა განზრახ - „ყეზით“ მკვლელობა, აგრეთვე, როცა მოკლულს მკვლელის წინაშე ბრალი მიუძღოდა. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ბრალი მცირდებოდა (ქამადაძე, 1997: 21). სისხლის აღებისას დაზარალებული მხარის ოჯახისათვის გარკვეული სისხლის დასაურვებელი მატერიალური სახის გადასახადის შემოღება სისხლითნათესაური კავშირების შესუსტებაზე მიუთითებდა. სისხლის აღების საფასურის ანაზღაურება ძირითადად მატერიალური და ფულადი სახით მიმდინარეობდა. სისხლით ნათესავეებს ნატურის სახით უხდიდნენ, მაგრამ მოსისხლეების შერიგება ფულის ანდა მიწის გადაცემით, პირუტყვის ჩუქებითაც ხდებოდა. ასევე, იცოდნენ დაზარალებულებისათვის ძვირფასი საოჯახო ჭურჭლეულობის გადაცემა (შამილაძე, 1961 :84; მგელაძე, 1984: 56). სისხლის საფასურის განსაზღვრისას მნიშვნელობა ჰქონია მოკლულის გვარის იერარქიულ - წოდებრივ მდგომარეობას. ეს კარგად ჩანს განვითარებული შუასაუკუნეების სამცხის სამართლებრივი სისტემიდანაც. ბექა-ალბუდას სამართალში დაურვების სისტემა დაზარალებულ მხარეს შესაბამისი პირობების გათვალისწინებით მკვლელის მატერიალური დოვლათის ნახევრით აკმაყოფილებდა დადაზარალებულს სისხლი გვარისა და ღირსების მიხედვით უნდა ანაზღაურებოდა. სამართლის ძეგლში კომპოზიციის სისტემა, როგორც ისიდორე დოლიძე მიუთითებდა, იმ მატერიალური საზღაურით შეიცვალა, რომელიც დამნაშავეს დაზარალებულის ნათესავეებისათვის მოკლული პირის, გვარის, მამულისა და პატივის მიხედვით უნდა მიეცა(დოლიძე, 1953: 287, 333-334). ხევსურეთში დასაურვებელ თანხას მოხუცთა საბჭო საზღვრავდა (ხარაძე, 1964). ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დგინდება კომპოზიციის ორგვარი სახე: ერთი, როდესაც იგი განკუთვნილი იყო დაზარალებული გვარის სასარგებლოდ, ხოლო მეორე – საზოგადოებრივი დარღვევის კონპესაციის სახით სოფლის თემის სასარგებლოდ. მაგალითად, სვანური ხალხური სამართლის წესების მიხედვით, ის ოჯახი, რომელიც საზოგადოების მიერ დადგენილ წესებს არღვევდა და ამით საზოგადოების წევრებს ზიანს აყენებდა, სოფლისა და თემის სასარგებლოდ საურავის სახით - „ჰიბარს“ იხდიდა (ხარაძე, რობაქიძე, 1965:71). „განჩინების“ ანალიზის საფუძველზე დადგენილია სისხლის რიგის სახელით ცნობილი კომპოზიცია, რომელსაც თემის კაცები - ბჭეები განსჯიდნენ და დააწესებდნენ. გადახდა ნათესაური კატეგორიების მიხედვით წარმოებდა, რომელთაგან უმთავრესი „სახლის რიგის“, „სამმო რიგისა“ და „სადედო რიგის“ გადასახადი, რაც მკვლელს და მის ნათესავეებს საქონლის გარკვეული რაოდენობის გაცემით უნდა აენაზღაურებინა (ხარაძე, რობაქიძე, 1965: 45). ხალხური სამართლებრივი ნორმების ამსახველი მოტანილი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ სისხლის საფასური არც თუ ისე პატარა იყო და იგი ერთი ოჯახის მიერ ყოველთვის ვერ დაიძლეოდა ხოლმე, რის გამოც კომპოზიციაში

ნათესაობის ახლო და ფართო წრეც ერთვებოდა. აჭარის მთიანეთშიც, როცა სისხლვალდე-ბულის ოჯახი ეკონომიკური მდგომარეობის გამო სისხლის საფასურის გადახდას ვერ ახერხებდა, მაშინ მატერიალური საზღაურის დაფარვაში ოჯახის განაყოფთაგან შემდგარი ნათესაური ჯგუფი - ნოგრო, ასევე, მთლიანად საგვარეულო და სამოყვრო წრეც კი ღებულობდა მონაწილეობას. საველე-ეთნოგრაფიული წყაროები უშუალოდ მიუთითებენ ჩვეულებით სამართალში ნათესაურ ჯგუფის წევრებს შორის უფლება-მოვალეობების ხასიათზე, სადაც, ხშირად, დამნაშავეს ტვირთს მამა, ძმა ანდა ბიძაშვილი როცა ღებულობდა თავზე. ასევე, ამის დასტურია შუაკაცების მიერ მკვლელის მამის, ძმისა და ბიძაშვილის მოკლულის საცხოვრებელში თუ საფლავზე თოკწამბული მიყვანის ჩვეულება. სისხლით ნათესავთა მორალური და მატერიალური მხარდაჭერა ახლო ნათესავებში უფრო ძლიერი იყო, ვიდრე შედარებით მოცილებულ განაყოფ ოჯახებს შორის, მაგრამ თუ ოჯახს შესარიგებელი საქონლის, მიწის ანდა ფულის გაღების შესაძლებლობა არ გააჩნდა და მას ახლო განაყოფების ძალებითაც ვერ ანაზღაურებდა, მაშინ, მიუხედავად სისხლით ნათესავთა სიმორე-სიახლოვის მიხედვით დიფერენციაციისა, მკვლელის ოჯახის დამცველად და მხარდამჭერად მთელი გვარი გამოდიოდა. ისინი შერიგების პროცესში შუაკაცებს უთანხმდებოდნენ და დაზარალებული ოჯახისა და გვარის მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ, რის შემდეგაც მათ სასარგებლოდ დაწესებულ საზღაურს იხდიდნენ. ამ შეხედულების ერთ-ერთი მოწმობაა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მომდინარე მსგავსი მონაცემები. მთიულეთში დაჭრის შემთხვევაში **შამრიგებლები** ანუ **შუაკაცები** ორივე მხარის ნათესაური, გენეალოგიური ორგანიზაციის - „მამიშვილობათა“ წევრებს დაეთათბირებოდნენ და ამის შემდეგ დაზარალებულის ნახმლევეზე რამდენ ხორბლის მარცვალსაც დაადებდნენ, დამჭრელის ოჯახსაც დაჭრილის ოჯახისათვის იმდენი ძროხაუნდა გადაეცა. აქ საინტერესოა ის გარემოება, რომ მატერიალური სიღარიბის შემთხვევაში, ოჯახის მხარში მდგომად გვევლინებოდა ჯერ მამიშვილობის - მცირე ნათესაური ჯგუფის განაყოფი ოჯახები, ხოლო შემდეგ ზოგადად მოგვარეები (იხ.: მგელაძე, 1984: 46-61). ამდენად, აჭარაში სისხლების დროს მკაფიოდ იყო გამოკვეთილი ნათესაური ჯგუფის - ნოგროსა და საგვარეულოს წევრთა ურთიერთდახმარება, მაგრამ სისხლის აღებისას დადასტურებული სისხლით ნათესავის დაცვა და მატერიალური თუ მორალური მხარდაჭერა, გარკვეულ ფარგლებში ზოგჯერ მაინც ფარულად მიმდინარეობდა. ის ოჯახი, რომელიც მკვლელს შეიფარებდა, მხარში ამოუდგებოდა და მატერიალურადაც ეხმარებოდა, თავად შეიძლებოდა მსხვერპლის ობიექტი გამხდარიყო. წესით, მკვლელს ნათესაური ჯგუფი - ნოგრო უნდა დახმარებოდა. სწორედ ასე გადაიზრდებოდა ინდივიდებს შორის მტრობა, სისხლით ნათესაურ ჯგუფებს შორის მტრობად.

კომპოზიციის სისტემაში აჭარაში ყურადღებას ქალის - დედის მკერდთან და რძესთან დაკავშირებული ჩვეულებათა ციკლიქცევს, რომელიც წარმომავლობით საკმაოდ ძველ სოციალურ და სამართლებრივ ნორმებთანაა დაკავშირებული (მგელაძე, 1984: 57-58). ჩვეულებათა ერთი ჯგუფი ხელოვნური დანათესავების ფორმასთან - „რძით ნათესაობასთან“, ხოლო მეორე ჯგუფი - სისხლის აღების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ადათებთან იყო ასოცირებული. სხვადასხვა რიტუალიზებული სახით რძით დანათესავება დამშობილებას, დადობილებას, ძმობილ-დობილობას, შვილობილობასაც განაპირობებდა და აჭარაში ისეთი ტერმინებით აღინიშნებოდა, როგორებიც იყო: **რძიდან დობილობა (ძუძუდან დობილობა)** და **ძუძუთი ძმობილობა**. ასევე, ტრადიციული ტერმინოლოგიიან ყურადღებას იქცევდა რძით ნათესაობის გამომხატველი სიტყვები - **ძუძუნაწოვრობა (ძუძუნაჭამობა)**, **ერთ ძუძუზე გამამდარნი**, **ერთი ძუძუ ნაწოვი** და სხვა მისთანანი (დაწვრ. იხ.: მგელაძე, 1987: 100).

ნიმანდობლივია, რომ ყოფაში რძით ნათესაობა და სისხლით ნათესაობა ერთ დონეზე განიხილებოდა, შესაბამისად, ეგზოგამიის - გვარშიდა ქორწინების აკრძალვის წესიც მკაცრად რეგლამენტირებული იყო, თუმცა მაინც გადამწყვეტი იყო არა სისხლი, არამედ დედა და ნაწოვი რძე (მგელაძე, 1973: 100; მგელაძე, 2002: 275-290; 2004: 153-164; ). აჭარაში დაახლოების მსურველ ოჯახებს შორის შეთანხმების საფუძველზე რძით ნათესაობა ფორმალურად ძუძუზე კბილის დადგმითაც მყარდებოდა. რძით დანათესავებულ და ნაშვილებ პირს დედობილის „პერანგში გაატარებდნენ“. შვილად აყვანისას, ხშირად, მცირეწლოვან ბავშვს დედობილის ძუძუზე კბილს სამჯერ ადგმევინებდნენ. მოზრდილი მამაკაცების დამშობილება, ფიცის გარდა, ერთ-ერთი პირის მიერ მეორეს დედის ძუძუზე კბილის დადგმითაც ხდებოდა. აჭარაში ძუძუზე კბილის დადგმა და ამ გზით დანათესავება აჭარაში გამოვლენილ თქმულება-გადმოცემებსა და ზღაპრებშიცაა ასახული (იხ.: მაცაბერიძე, 1958: 76-77). აჭარის მეზობელი გურიის ზოგიერთ კუთხეში „შვილებულის“ მიერ დედობილის ძუძუზე კბილის დადგმის სიმბოლიზებული ცერემონიალი ეკლესიაში მღვდლის თანდასწრებითაც კი სრულდებოდა, რომელსაც **მამობილი** და მისი ახლო ნათესაობა ესწრებოდა (მგელაძე, 1987: 103-104). სამეგრელოშიც დედობილის ძუძუზე კბილის დადგმა ჩვეულების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ძუძუს სიმბოლიური მოწოვით შვილად აყვანის წესი სვანეთში, ფშავში და საქართველოს გარდა კავკასიის სხვა კუთხეში, მათ შორის, ბალყარეთშიც სცოდნიათ (იხ.: კოვალევსკი, 1890: 7, 73; მაკალათია, 1934: 100; ხარაძე, 1939: 25; 1960: 115, ასევე, რძით დანათესავების შესახებ იხ.: გარდანოვი, 1959; სმირნოვა, 1951; ჯავახაძე, 1983).

აჭარის მთიელებში ძუძუზე კბილის დადგმის სიმბოლიური გამოხატულებანი განსაკუთრებით ხშირი იყო სისხლ-მესისხლეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში, კერძოდ, სისხლ-მესისხლეობის პროცესში კომპოზიციის სისტემაში. შემრიგებლის როლში დედა გამოდიოდა, ხოლო დანათესავების საშუალებად - ძუძუ და რძე. მოსისხლეთა დარიგება მოსისხლე გვარების, ზოგჯერ კი - მთლიანად თემის ხანდაზმული, ავტორიტეტული მამაკაცების მეშვეობით წარმოებდა. მათ მითითებას შესაძლოა დაზარალებული ოჯახის მიერ მკვლელის შვილად აყვანა მოჰყოლოდა. სისხლ-მესისხლეობაში საკუთრივ რძით დანათესავების როლზე აჭარაში მწირი მასალა მოგვეპოვება, თუმცა გადმოცემათა ერთი ნაწილი მასთან დაკავშირებულ არაერთ საინტერესო ეპიზოდს მაინც გვისურათებს. აჭარის ეთნოგრაფიული წყაროებით, სისხლ-მესისხლეობის პროცესში ერთ-ერთ მკვლელს დაზარალებული ძმების სახლში შეღწევა მოუხერხებია. მას ოჯახის დედა აუძულებია მისთვის ძუძუ პირშიჩაედო. შემოსწრებულ ძმებს ესდაუნახავთ, თოფები დაუწევიათ და თავი დაუხრიათ (ნოლაიდელი, 1964). მკვლელის მიერ მოკლულის დედის ძუძუზე კბილის დადგმა, ე. ი. ძუძუს წოვების სიმულაცია, როგორც შერიგების ერთ-ერთი ფორმა, აჭარაში მხოლოდ გადმოცემებშია შემორჩენილი. ამ წესის ანალოგიური ვარიანტები, მათ შორის, შერიგების მიზნით ძუძუზე კბილის ძალით დადგმა, საქართველოს სხვა კუთხეში, მაგალითად, გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში, ასევე, ხევშიც იყო დამოწმებული (კოვალევსკი, 1890: 35, 216; მაკალათია, 1934: 100; ინალ-ივა, 1965: 442; ჭყონია, 1958: 46).

აჭარაში კომპოზიციის სისტემაში, ასევე, დასტურდებოდა მოსისხლის შვილად აყვანის ფაქტებიც, როცა შურისმამიებელი მამა მკვლელს გარდაცვლილი შვილის ადგილს უთმობდა, მაგრამ ამას განსაკუთრებული ვითარება და ისიც შუაკაცთა საგულდაგულო ჩარევა განაპირობებდა. ზემო აჭარაში ჩაწერილი ერთი გადმოცემით, შუაკაცებს მკვლელი გარდაცვლილის მამასთან სახლში მიუყვანიათ, მაგრამ იგი შემთხვევით შინ არ ყოფილა. მკვლელი



საწოლის ქვემოთ დაუმაღავთ. შინ მობრუნებულ მამას შუაკაცების დანახვისას უგვრძნია, რომ დამნაშავეც მათთან იყო, მიუგნია მისთვის და საწოლის ქვემოდან გამოუთრევია. შუაკაცების მიერ გამართული მოლაპარაკების მთელ მანძილზე მკვლეელი საწოლთან იყო დაჩოქილი. საბოლოოდ საქმე ისე მობრუნებულა, რომ მამას მკვლეელი უშვილებია და მისთვის გარდაცვლილი შვილის სისხლიანი და საგანგებოდ შენახული ტანსაცმელიც კი ჩაუცმევია (მგელაძე, 1984: 57). გადმოცემის სხვა ვარიანტით, ჭვანის ხეობაში მამის მკვლელობისათვის შვილს მოსისხლე შურის საძიებლად მოუხელთებია, მამის საფლავზე მიუთრევია, ხელფეხი შეუკრავს და დასასჯელადიქვე მიუგდია. დაზარალებულის დედას ეს ამბავი შეუტყვია, სასაფლაოზე მიუბრუნებია, ძუძუ ამოუღია და შვილისათვის მიუმართავს: „შვილო თუ არ გაუშვი მაგი კაცი, ჩემი ძუძუ არამი მიქნიაო“. შვილი დედის ბრძანებას წინ ვერ აღუდგა და მის ნებას დაჰყვა. მან მკვლეელი მოძმედ გაიხადა, ხოლო დედამ იშვილა (მგელაძე, 1984: 57). შერიგების ჩვეულებასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო მასალა თავის დროზე ჯემალ ნოღაიდელმა შეკრიბა, რომელიც მკვლევარის პირად საოჯახო არქივშია დაცული. ამ მასალებიდან ჩანს, რომ საგვარეულოთა წევრების შერიგების, მტრების დაზავების მძიმე ტვირთში დედა ზოგჯერ განსაკუთრებულ როლს ასრულებდა (ნოღაიდელი, 1964). ჯემალ ნოღაიდელს კინტირის ხეობის სოფელ გვარაში, თეთროსნის მიდამოებში მცხოვრებ გედევანიძეთა საგვარეულოს ოთხი ძმის ისტორია აქვს ჩაწერილი. გედევანიძეებს მეზობელთან, ჭვანიდან ჩამოსახლებულ ერთ კაცთან მტრობა ჰქონდათ. ძმებს მასთან ჩხუბი მოსვლიათ, რის გამოც, ჩამოსულ ჭვანელებს ერთ-ერთი ძმა შემოკვდენიათ. მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ ძმები გედევანიძეები მკვლელს დასდევნიან. მკვლელის კვალს არ აცივებდნენ და ფეხდაფეხ მისდევდნენ, მაგრამ მისი სისხლება ვერ მოახერხეს. რამდენიმე თვის შემდეგ ჭვანელს სოფელ გვარაში ხმა დაურხევია - თითქოს ამა და ამ დროს ხინოს გზით ზემო აჭარაში გადავდივარო. ძმები გედევანიძეები დამნაშავეს დიდი დანაშაულიდანვე ჩაუსაფრდნენ, მაგრამ ჭვანელი ამ დროს თურმე სოფელ გვარაში იმყოფებოდა. სანამ ძმები დაბრუნდებოდნენ, კეთილმსურველის რჩევით, ჭვანელი გედევანიძეების ოჯახში მისულა და მათი დედისათვის შვილობა უთხოვია. გედევანიძეების დედას იგი შებრალებია და თავის ოჯახში დაუმალავს, სადამოთი მობრუნებული ვაჟებისათვის კი განუცხადებია: „იმ კაცმა, რომელსაც თქვენ სასიკვდილოდ დასდევდით, დედობა მთხოვა. მან მოწოვა ის ძუძუ, რომელიც თქვენ გიწოვიათო“. ძმები იძულებული გამხდარან მოსისხლესათვის დანაშაული ეპატიებინათ და იგი ძმად მიუჩნევიათ (ნოღაიდელი, 1964). შვილად აყვანის შემდეგ აჭარაში შვილობილსა და მამულებლის ნათესაურ ჯგუფებს შორის არა მარტო მშვიდობიანი ურთიერთობა მყარდებოდა, არამედ საფუძველი სისხლით ნათესაობასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებსაც ეყრებოდა. ხელოვნურად დანათესავებულ ნათესაურ ჯგუფებს შორის გარკვეულ თაობებში ეგზოგამია - გვარშიდა ქორწინების აკრძალვა იყო დაცული და ადგილი ჰქონდა სოლიდარობას ქორწინების, ბავშვის დაბადების, მიცვალებულის დაკრძალვისა და სხვა ამდაგვარი ტიპის ურთიერთობათა სფეროში, ისე როგორც ეს ბუნებრივად აღმოცენებული სისხლით ნათესაური ჯგუფის წევრებს შორის ხდებოდა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, აჭარაში სისხლ-მესისხლეობის სფეროში ხელოვნური დანათესავების აღწერილი ფორმა ზოგადქართული, ასევე, ზოგადკავკასიური რძით ნათესაობის ერთ-ერთი რეგიონული ნაირსახეობაა, რაც ბუნებრივი მოვლენა ჩანს, რადგან იგი წარმოშობისა და ჩამოყალიბების პროცესში, შესაბამისად, განვითარების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხესთან მჭიდრო კულტურულ-ისტორიული კავშირურთიერთობების პირობებში ურთიერთგავლენებს განიცდიდა. მიუხედავად ოსმალთა

სამასწლოვანი მმართველობისა, სამცხემ და აჭარამ ქართული ეთნიკური ტრადიციები, მათ შორის, სისხლ-მესისხლეობის სფეროში შერიგების ძირ-ძველი ადათები, ასევე, შერიგებისას რძით დანათესავების არქაული პლასტები თითქმის უცვლელად შემოინახა, რომლებიც საქართველოში სოციალურ ურთიერთობათა ძველი ფორმებისა და ხალხური სამართლებრივი ნორმების დადგენისათვის ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს. ამასთან, მოსახლეობამ არა მარტო შემოინახა, არამედ თაობიდან თაობას გადასცა უძველესი ქართული ტრადიციები.

## FOLK TRADITIONS OF THE COMPOSITION OF ADMONITION IN VENDETTA IN SOUTHWESTERN GEORGIA

BEKA MGELADZE

### SUMMARY

Criminal Law used to take an important place in the Georgia customary law in the past. Like many other parts of Georgia, criminal law used to be based on customs and traditions in Ajara region as well. The tradition of vendetta preconditioned the sustainability of folk courts. The process of vendetta also implied reconciliation of the rival parties that had been accomplished through legal norms as well as customs and traditions. The article deals with the causes and types of manslaughter and the traditional forms of reconciliation of rivals.

### ლიტერატურა:

1. **ზაგრატიონი**, 1957 - იოანე ზაგრატიონი. სჯულდება, თბილისი.
2. **ზარდაველიძე, ჩიტაია**, 1939 - ვ. ზარდაველიძე, ვ. ჩიტაია. ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, თბილისი.
3. **ბოჭორიშვილი**, 1976 - ლ. ბოჭორიშვილი. აჭარაში 1974 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IV, თბილისი.
4. **ბექაია**, 1976 - მ. ბექაია. ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი.
5. **ბრომლეი**, 1981 – Ю. В. Бромлей. Современные проблемы этнографии (очерки теории и истории), Москва.
6. **გაგლოთი**, 1979 – З. Д. Гаглойти. Очерки по этнографии осетин, Тбилиси.
7. **გარდანოვი**, 1959 - В. К. Гарданов. «Кормильство» в древней Руси. – СЭ, №6, Москва.
8. **გარდანოვი**, 1964 - В. К. Гарданов. Система композиции в обычном праве адыгов (черкесов) XVIII – первой половины XIX в., Москва.
9. **დოლიძე**, 1953 - ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, თბილისი.
10. **დოლიძე**, 1957 - ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბილისი.
11. **ინალ-იფა**, 1965 - Ш. Д. Инал-Ипа. Абхазы (историко-этнографические очерки), Сухуми.
12. **კაგაროვი**, 1937 – Е. Кагаров. Пережитки первобытного коммунизма в общественном строе древних греков и германцев, М-Л.
13. **კარაპეტიანი**, 1966 – Родственная группа «Азг» у армян (вторая половина XIX – начало XX в), Ереван.

14. **კეკელია**, 1970 - მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I, თბილისი.
15. **კეკელია**, 1971 - მ. კეკელია. ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილება და სამართლის საკითხები. - თსუ-ს „შრომები“, თბილისი.
16. **კოვალევსკი**, 1886 – М. М. Ковалевский. Современные обычай и древний закон, т. I, Москва. 1886.
17. **კოვალევსკი**, 1890 – М. М. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе, т. I, Москва.
18. **კოვალევსკი**, 1890 – М. М. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе, т. II, Москва.
19. **კოსვენი**, 1925 – М. О. Косвен. Преступление и наказание в догосударственном обществе, М.-Л.
20. **კოხი**, 1974 – K. F. Koch. The Anthropology of Warfare, Reading, Mass.
21. **მაკალათია**, 1934 - ს. მაკალათია. ხევი, ტფილისი.
22. **მაცაბერიძე**, 1958 - ვ. მაცაბერიძე. 1958 წლის აჭარის ფოლკლორული ექსპედიციის დღიურები. - ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, საქმე №3.
23. **მგელაძე**, 1973 - ვლ. მგელაძე. ზემო აჭარული სოფელი ძველად, ბათუმი.
24. **მგელაძე**, 1996 - ვლ. მგელაძე. ქორწინება და საქორწინო წესჩვეულებანი აჭარაში. - კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიეზანი საქართველოში, I, ბათუმი.
25. **მგელაძე**, 1984 - ნ. მგელაძე. ნათესაური ურთიერთობების ზოგიერთი საკითხი აჭარაში ადათობრივი ნორმების შუქზე. - მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3, თბილისი.
26. **მგელაძე**, 1985 - ნ. მგელაძე. ნათესაურ ურთიერთობათა ზოგიერთი საკითხი აჭარაში კომპოზიციის სისტემის შუქზე. - XVII რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები (ეძღვნება ნიკო ბერძენიშვილის დაბადების 90 წლისთავს), ბათუმი.
27. **მგელაძე**, 1987 - ნ. მგელაძე. ხელოვნური დანათესავების ზოგიერთი საკითხი აჭარაში. - ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, III, თბილისი.
28. **მგელაძე, ქამადაძე**, 1997 - ნ. მგელაძე, მ. ქამადაძე. ლინჩის სასამართლო საქართველოში. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კოლხეთის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, გაერთიანებული სამეცნიერო სესიის მასალები, II, ბათუმი.
29. **მგელაძე**, 2002 - ნ. მგელაძე. ეგზოგამიის ზოგიერთი თავისებურება ქართველი ხალხის ტრადიციულ საზოგადოებაში. - „ოჩხარი“ (ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური მიეზანი), თბილისი.
30. **მგელაძე**, 2004 - ნ. მგელაძე. აჭარული **ნოგრო** და **გვარი**, ბათუმი.
31. **მორგანი**, 1934 – Л. Г. Морган. Древнее общество, Ленинград.
32. **ნოღაიდელი**, 1935 - ჯ. ნოღაიდელი. ეთნოგრაფიული ნარკვევები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი.
33. **ნოღაიდელი**, 1964 - ჯ. ნოღაიდელი. მასალები აჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიისათვის, 1964 - ხელნაწერი, აღწერა №1, საქმე №8, პირადი საოჯახო არქივი.
34. **პერშიცი**, 1986 - А. И першиц. Месть кровная. – Свод этнографических понятий и терминов (социально-экономические отношения и соционормативная культура), Москва.
35. **რობაქიძე**, 1972 – А. И. Робакидзе. Кавказоведческие проблемы этнографии. – Кавказский этнографический сборник, IV, Тбилиси.
36. **სმიროვა**, 1951 – Я. С. Смирнова. Аталычество и усыновление у абхазов. – СЭ, №2, Москва.
37. **სურგულაძე**, 1952 - ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბილისი.

38. **სურგულაძე**, 1965 - ივ. სურგულაძე. ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბილისი.
39. **შამილაძე**, 1961 - ვ. შამილაძე. გვაროვნული წყობილების ერთი გადმონაშთის შესახებ. - ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, №5, ბათუმი.
40. **უნივერსალური...** 2006 - უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი.
41. **ფუტყარაძე**, 1957 - ი. ფუტყარაძე. ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბილისი.
42. **ფუტყარაძე**, 1971 - ი. ფუტყარაძე. მთიულთა ჩვეულებითი სასისხლო სამართალწარმოების საკითხები. - კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, III, თბილისი.
43. **ქამადაძე**, 1997 - მ. ქამადაძე. სისხლის აღების ჩვეულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი აჭარაში. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კოლხეთის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, გაერთიანებული სამეცნიერო სესიის მასალები, II, ბათუმი.
44. **ქამადაძე**, 1997 - მ. ქამადაძე. სისხლის აღების ჩვეულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი აჭარაში, ბათუმი.
45. **ქართველი...** 2018 - ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი - აჭარა, თბილისი.
46. **შამილაძე**, 1961 - ვ. შამილაძე. გვაროვნული წყობილების ერთი გადმონაშთის შესახებ. - ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, №5, ბათუმი.
47. **ჩართოლანი**, 1961 - მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი.
48. **ჭყონია**, 1958 - ილ. ჭყონია. ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბილისი.
49. **ხარაძე**, 1939 - რ. ხარაძე. დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, ტფილისი.
50. **ხარაძე**, 1947 - რ. ხარაძე. ხევსურული რჯული (სისხლ-მესისხლეობა). - ანალები, I, თბილისი.
51. **ხარაძე**, 1951 - რ. ხარაძე. ხევსურული ანდრეზი ხალხური სამართლის წყარო. - მიმომხილველი, II, თბილისი.
52. **ხარაძე**, 1959 - რ. ხარაძე. თემური მმართველობის გადმონაშთები საქართველოში. - ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, თბილისი.
53. **ხარაძე**, 1960 - რ. ხარაძე. სოფლის თემი ბალყარეთში. - მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, თბილისი.
54. **ხარაძე**, 1964 - Р. Л. Харадзе. Хевсурское Алгумы – древняя форма общественно-экономического объединения. - კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, I, თბილისი.
55. **ხარაძე, რობაქიძე**, 1965 - რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე. მთიულეთის სოფელი ძველად, თბილისი.
56. **ხიზანიშვილი**, 1982 - ნ. ხიზანიშვილი. რჩეული იურიდიული ნაწერები, თბილისი.
57. **ჯავახაძე**, 1983 - Н. В. Джавахадзе. Система родства осетин. – Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси.
58. **ჯავახიშვილი**, 1928 - ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, ტფილისი.

## ჰელაბოზიკა

### გულკეთილობის აღზრდა გაშვებში

#### ნოდარ გასილაკი

კეთილი ზავში ციდან როდი ვარდება.  
იგი უნდა აღზარდო.

#### ვ. სუხომლინსკი

გულკეთილობის აღზრდა ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, რადგან „კეთილი გრძნობები სინდისის ერთგული დარაჯია“ (ვ. სუხომლინსკი), სინდისი კი ადამიან-ნურობის, კაცურკაცობის ძირითადი ნიშანია. სინდისიერ ადამიანს ყველგან და ყოველთვის, ყველა სიტუაციასა და ვითარებაში ძალუძს კრიტიკული თვალთ შეხედოს თავის მოქმედებას, თვითვე შეაფასოს საკუთარი საქციელი, მოსთხოვოს თავის თავს მორალურ ვალდებულებათა შესრულება. ეს ვალდებულება, საზოგადოების მოთხოვნები მისთვის კანონადაა ქცეული. ასეთი ადამიანი ყოველთვის ზნეობრივად იქცევა, მაშინაც კი, როცა მას არავინ უთვალთვალეს და დარწმუნებულია, რომ მის სასიკეთო საქმეს ვერავინ გაიგებს არც ამ საქციელის ჩადენის მომენტში და არც შემდეგ.

ზნეობრივად სრულყოფილ ადამიანს ისეთი გული უნდა ჰქონდეს, რომ უმაღლეს შუბლს მეორე ადამიანის წუხილისა და დარდის გაგება, ჭირ-ვარამის თვალეზში ამოკითხვა. იგი მუდამ მზად უნდა იყოს, დახმარების ხელი გაუწოდოს დავრდომილსა და გაჭირვებულს, გული გაუთბოს დადარდიანებულ და დამწუხრებულ ადამიანს, რომელსაც ჰაერივით სჭირდება სხვისი თანაგრძნობა და გამხნევება. სხვისი უბედურება საკუთარ უბედურებად უნდა მივიჩნიოთ და ბედნიერად უნდა ვიგრძნოთ თავი, როცა ახლობელს თუ შორეულს მხარში ამოვუდგებით და ჭირ-ვარამს შევუმსუბუქებთ.

რა კარგად გამოხატა ეს იდეა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ნოდარ დუმბაძემ: „ადამიანის სული, გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, - წერდა იგი, - იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული; თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“... (დუმბაძე, 1989: 715-716).

ადამიანისადმი მხარდაჭერა, მისი პიროვნების პატივისცემა, საჭიროების შემთხვევაში მისთვის თავდადება კი უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის მეგობრივი ცხოვრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში არაფრის მაქნისი ვიქნებით ქვეყნისათვის, ხალხისათვის -ვერც ვერავის გავიტანთ და არც არავინ გავიტანს. „სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი, გზა ცხოვრებისა“, - ბრძანებს დიდი ილია. ვისაც ეს არ ესმის, ის ზნეობრივად უვიცი და საზოგადოებისათვის ზედმეტი ბარგია.

„ადამიანის ერთადერთი დანიშნულება... სიკეთის ქმნაა, - წერს საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. - ყოველი კაცი სანთელს უნდა ჰგავდეს, ირგვლივ მყოფთ

ერთდროულად უნდა უნათებდეს და ათბობდეს კიდეც. ყოველმა ჩვენგანმა თავისთავს უნდა ჰკითხოვს: ანათებს თუ არა იგი და ათბობს თუ არა ადამიანებს“.

ადამიანთა ურთიერთობის ამ რთულ სამყაროში ბავშვის შეყვანა, მისი გარკვევა ადამიანთა ცხოვრების საიდუმლოებათა ლაბირინთებში აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი და ამავე დროს ურთულესი ამოცანაა. ბავშვმა ამქვეყნად მოვლენის პირველი დღეებიდანვე უნდა შეიგრძნოს, რომ გარემომცველ სამყაროში ყველაზე ძვირფასი კაპიტალია ადამიანი, რომელსაც ყველგან და ყოველთვის ყურადღება, დაფასება და პატივისცემა სჭირდება.

მომავალი ადამიანი, რომელსაც ჩვენ ვზრდით, სრულყოფილი და სრულქმნილი არ იქნება, თუ მისი გული სიკეთით სავსე და ბოროტებისადმი შეურიგებლობის გრძნობით არ არის დამუხტული, თუ მის ყოველ მოქმედებაში არ გამოსჭვივის სიკეთისადმი ლტოლვა, მისწრაფება, რომ თავისი არსებობით ბედნიერება და სიკეთე მოუტანოს მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს, სამშობლოს, საზოგადოებას. „ბავშვი შეიძლება იყოს დისციპლინისანი, გულმოდგინე, წესიერი, შრომისმოყვარე, მაგრამ თუ მისი გული ამხანაგების მწუხარებას, შემფოთებას ან საზრუნავს არ ეხმაურება, თუ იგი მზად არ არის თავისი კეთილდღეობა შესწიროს სხვა ადამიანს, სამშობლოს, - მთელი მისი ღირსება გროშადაც არ ღირს“, - გვასწავლის ვ. სუხომლინსკი (Либединская, 1970).

რაკი ადამიანი საზოგადოების წევრია, იგი ვალდებულია თავისი ცხოვრების მიზნად სხვა ადამიანებისადმი სამსახური გაიხადოს, იფიქროს არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ სხვებზეც, კერძოდ, იმაზე, თუ ვის რაში გამოადგეს, ვის რა სიკეთე უყოს. ეს მისი ადამიანური ვალია. სიკეთის ტვირთი, შეძლებისდაგვარად, ყველამ უნდა ზიდოს, ვისაც ღმერთმა ამ საწუთროში ცხოვრება არგუნა. სხვა შემთხვევაში მის არსებობას ჩალის ფასი აქვს.

სიკეთეს - ადამიანებისადმი სიყვარულს, პატივისცემასა და დაფასებას - ბავშვი, უწინარეს ყოვლისა, ოჯახის უფროსი წევრების ურთიერთდამოკიდებულებით სწავლობს. მშობელთა პირადი მაგალითი საუკეთესო საშუალებაა მოზარდი თაობის სულის გაკეთილშობილების, მასში ჭეშმარიტი ადამიანური თვისებების ჩამოყალიბებისა. ამის საუკეთესო მაგალითია გაზეთ „თბილისში“ ამ სამი ათეული წლის წინ გამოქვეყნებული წერილი. 1987 წლის იანვრის ბოლოს კოლხეთის დაბლობზე დატრიალებული სტიქიური უბედურების დროს გვიჩინების სახლში წყალი მეორე სართულამდე ავიდა. ვერტმფრენი სახურავის ზემოთ „დაეკიდა“ და თოკის კიბე ჩამოუშვა. ოჯახის ფეხმძიმე რძალმა ვერ შეძლო ამ კიბით ვერტფრენში ასვლა. მაშინ ოჯახის შვიდივე წევრმა უარი თქვა ევაკუაციაზე, სხვენზე ავიდნენ და თავი საფრთხეში ჩაიგდეს.

საბედნიეროდ, მათი სახლი სტიქიას გადაურჩა და ისინი მეორე დღეს კატარღით გადაიყვანეს „დიდ მიწაზე“. მაგრამ ხომ შეიძლება უბედურება დატრიალებულიყო?

„ვაჩუქოთ ერთმანეთს სიხარული“, - ასეთია ჭეშმარიტი აღზრდის, ჰუმანიზმის ძირითადი პრინციპი. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას როდი აქვს მომადლებული ეს საჭირო და აუცილებელი უნარი - მიანიჭოს სხვას სიხარული, გაუთბოს გული და ცხოვრების სინამტკბილობა განაცდევინოს. ეს იმიტომ, რომ მას ასეთი თვისებები არ ჩაუნერგეს არც ოჯახში და არც სკოლაში.

ბავშვი პიროვნებად გახდომის გარკვეული მონაცემებით იზადება. თვით მასშია მოცემული მისი პიროვნების საშენი მასალა - ადამიანის შინაგანი სამყარო, უმდიდრესი განძი, მაგრამ იგი მხოლოდ მადასია, რომელსაც მიკვლევა, ამოღება და დამუშავება სჭირდება; იგი დიდ ფასეულობათა მხოლოდ შესაძლებლობაა, რომელიც სინამდვილედ ოჯახმა, სკოლამ, საზოგადოებამ, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა აქციოს. ეს სინამდვილე კი ბავშვში ადამიანური

თვისებების ჩანერგვა-განვითარება და საბოლოოდ მისგან ჭეშმარიტი მოქალაქის, კაცური კაცის ჩამოყალიბებაა, რაც ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

„ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა“ - ბრძანებდა დიდი ილია. ეს იმას ნიშნავს, რომ რა თვისებებსაც ჩაეყრება საფუძველი მის გრძნობა-გონებაში ამქვეყნად მოვლენის პირველი დღეებიდანვე, ის თვისებები გაღვივდება და განვითარდება მასში. ამ თვისებებს კი, კეთილსაც და ბოროტსაც, ბავშვი, უწინარეს ყოვლისა, ოჯახში, მშობლებისაგან იძენს. თუ ოჯახის წევრები

ყურადღებიანი, გულისხმიერი ადამიანები არიან, ბავშვიც ასეთი იქნება, ხოლო თუ ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ და მათთვის უცხოა მაღალი იდეალები, ასეთ ოჯახში გაზრდილი კაცისაგან სიკეთეს ნუ მოელი.

ბავშვს პატარაობიდანვე უნდა ჩაუუნერგოთ რწმენა, რომ ამქვეყნად ის მარტო არ არის, რომ იგი მშობლების, საზოგადოების, თავისი ერის, ქვეყნის შვილია და დაბადებიდანვე არა მარტო უფლებები დაჰყვა, არამედ მოვალეობებიც დაეკისრა. ესაა მოვალეობა ერისა და ქვეყნის წინაშე, საკუთარი ადამიანური არსის წინაშე. ამიტომ ღრმად ცდებიან ის მშობლები, რომელებსაც მზე და მთვარე ამოსდით თავიანთ შვილებზე, ნიავსაც კი არ აკარებენ, უქმნიან უზრუნველ ცხოვრებას - ყველაფერს აძლევენ და არაფერს მოითხოვენ მათგან. ასე გაზრდილი ბავშვისათვის ცხოვრების პრინციპად იქცევა დევიზი - „ჩემთვის ნებადართულია ყველაფერი, არავისთან არაფერი საქმე არ მაქვს, მთავარია ჩემი სურვილი“ (ვ. სუხომლინსკი). ასე ხდება იგი საკუთარი სურვილების მონა, შემდეგ კი - სულით ხორცამდე ეგოისტი“, დესპოტი, რომელსაც არავინ და არაფერი ახსოვს, გარდა საკუთარი თავისა. ასეთ ვაი-შვილს ჰგონია, დედა და მამა იმიტომ არსებობენ, რომ მას ემსახურონ და თუ თვითონ მათ წინაშე ვალშია, ვერ წარმოუდგენია.

ეს რომ ასე არ მოხდეს, როგორც ვ. სუხომლინსკი გვასწავლის, ბავშვს პატარაობიდანვე უნდა გავუღვივოთ კეთილი გრძნობები - სხვისი სამსახური, სხვათა სიკეთისათვის ზრუნვა; უნდა ვასწავლოთ სხვის თვალეზში ურვის, შეშფოთების, წყენის, მარტოობის ამოკითხვის უნარი. „ადამიანს თვალეზში შეხედე - ეს სულის სარკეა. შეიძელ იგრძნო, თუ რით ცხოვრობს ადამიანი, რა ახარებს ან აწუხებს მას“, - არიგებდა ვ. სუხომლინსკი თავის აღსაზრდელებს. მაგრამ ეს არც ისე ადვილია. ამიტომაც ნატრობენ ნოდარ დუმბაძის რომანის „მე ვხედავ მზეს“ პერსონაჟები ცის სარკედ გადაქცევას: ცა რომ სარკე იყოს, ავიხედავდით მაღლა და დავინახავდით, ვის უჭირს და ვის ულხინს - შემდეგ დალხინებულები წავიდოდით გაჭირვებულებთან და წავეშველებოდითო.

ზნეობრივი გრძნობები ბავშვს პირველად უნდა გაუჩნდეს თავისი ოჯახის წევრების, ახლობლების, განსაკუთრებით კი დედის მიმართ. „თუ ადამიანი ცხოვრების დასაწყისშივე არ ისწავლის დედის პატივისცემას, - წერს ცნობილი მწერალი სერგეი მიხალკოვი თავის წიგნში „ყველაფერი ბავშვობაში იწყება“, - მაშინ მისთვის სამყაროს ცენტრი ყოველთვის საკუთარი პიროვნება იქნება, ის, ვისთვისაც ყველაფერი შეიძლება, რომლის წინაშე ყველა მოვალეა, ყველამ უნდა ასიამოვნოს მას. და ამის გამო მარტო მშობლები და მახლობლები როდი დაიტანჯებიან. რამდენ ტკივილს მიაყენებენ თვით მას, ვიდრე მიხვდებოდეს თავისი შეცდომის მთელ სიღრმეს“ (მიხალკოვი, 1970: 50).

დედის შრომის სიდიადე, მისი გმირობა ჩვენ, უფროსებს, ასე თუ ისე, გვესმის, რადგან არაერთხელ გამოგვიცდია მისი სიხარულიცა და წუხილიც, მაგრამ პატარებს? მათ მხოლოდ უყვართ დედა და მეტი არაფერი, ოდნავი წარმოდგენაც არა აქვთ იმაზე, რომ დედისადმი მარტო სიყვარული არაა საკმარისი, არამედ საჭიროა ამ სიყვარულის საქმით გამოხატვა და არა ლიტონი

სიტყვებით. ეს ძალზე კარგად გვიჩვენა ვ. სუხომლინსკიმ იგავში „მეშვიდე ქალიშვილი“. მისი შინაარსი ასეთია: შორიგილოცავ, წარმატებებს გისურვებ! გზიდან დაღლილ-დაქანცული დედა ბრუნდება შინ. ქალიშვილები ერთმანეთს ეჯიბრებიან ლამაზსიტყვაობაში, უყვებიან იმის შესახებ, თუ როგორ მწვავედ განიცდიდნენ უმისობას და აზრადაც არ მოსდით, რომ დაღლილ დედას ყურადღება და დასვენება სჭირდება. უმცროსმა ქალიშვილმა არაფერი უთხრა, აღნიშნავს მწერალი, თუმცა სათქმელი ბევრი ჰქონდა. მან დედას ფეხსაცმელები გახადა და ტაშტით წყალი მოუტანა ფეხების დასაბანად.

და აი, სწორედ აქ უშვებენ დედები შეცდომას. ბევრი მათგანი მთელ სიცოცხლეს ბავშვებზე ზრუნვაში ატარებს: უკერავს, უქსოვს, კერძებს უმზადებს, ლოგინს ულაგებს, საბანს უსწორებს, აცმევს, აჭმევს და ა.შ. ასე უმუშავდება ბავშვს აზრი - დედა იმიტომ არსებობს, რომ მას ემსახუროს, და თუ თვითონ მის წინაშე ვალშია, ვერ წარმოუდგენია.

ასეთ ოჯახებში გაზრდილი ბავშვები ხშირად გულქვა, ეგოისტ არსებად იზრდებიან და ამაში ბრალი, უწინარეს ყოვლისა, თვით მშობლებს მიუძღვით, რადგან ისინი ყველა მოთხოვნას უსრულებენ შვილებს, სამაგიეროს კი არაფერს მოითხოვენ მათგან, არ ასწავლიან შრომას, გარჯასა და დედისადმი საოჯახო საქმეებში დახმარებას. ასეთები მხოლოდ სიხარულის მომხმარებლები არიან, მუდამ თავისკენ „მიითლიან“ და სხვებზე არ ფიქრობენ, ვერ ამჩნევენ დედის მშვენიერ, მდიდარ და თავგანწირულ სულს. ასე გაზრდილი ბავშვისგან საეჭვოა დადგეს გულისხმიერი, მოსიყვარულე ადამიანი, ჭეშმარიტი მოქალაქე, მამულიშვილი.

ვ. სუხომლინსკიმ პედაგოგიკაში დაამკვიდრა მოვალეობის კატეგორია. დიდ პედაგოგს სიკეთე ვერ წარმოედგინა მოვალეობის გარეშე. „მოვალეობა და კიდევ მოვალეობა - აი, ის ატმოსფერო, რომელშიც უნდა ვზრდიდეთ ადამიანის მიერ ნაშობ არსებას, - გვასწავლის გამოცდილი პედაგოგი, - რათა მას ღირსეულად ერქვას ადამიანის დიდი სახელი“ (სუხომლინსკი, 1981: 11). ჩარლზ დარვინი კი წერდა: „ყველაზე მთავარ განმასხვავებელ ნიშანს ადამიანსა და ცხოველს შორის წარმოადგენს ზნეობრივი გრძნობა ანუ სინდისი... მისი მბრძანებლობა კი გამოიხატება მოკლე, მაგრამ ძლიერი და უაღრესად ტევადი სიტყვით - „მევალება“ (Дарвин, 1907: 113).

მოვალეობის სულისკვეთებით ბავშვის აღზრდის მიზნით უნდა დავივიწყოთ მის უზრუნველ ბავშვობაზე ფიქრი და ყოველდღიურ ცხოვრებაში შევიტანოთ სიძნელე, დაბრკოლება, წინააღმდეგობათა გადალახვა, რამეთუ სულიერი კეთილშობილება ყალიბდება მხოლოდ შრომითი ძალისხმევით, დამატული შრომის პირობებში. სხვათა სიკეთისათვის ზრუნვის დროს სულიერი და ფიზიკური ძალების დამატება, წინააღმდეგობების გადალახვა, სიძნელეთა დაძლევა ზნეობრივად ამაღლებს, აკეთილშობილებს ადამიანს. შენს ადამიანურ გზებზე ქვებია, არიგებდა სუხომლინსკი თავის მოსწავლეებს, თუ შენს სიცოცხლეში არც ერთი ქვა არ შეგინიშნავს და არ გადაგიგდია გზიდან, ადამიანი არა ხარ.

ბავშვი პატარაობიდანვე უნდა მივაჩვიოთ მშობლებისადმი მოკრძალებულ დამოკიდებულებას, პატივისცემას, დამჯერებლობას. ამის ხელსაყრელი პირობები იქმნება მრავალშვილიან ოჯახებში, სადაც ბავშვი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს და-ძმებს, ერთშვილიანობა კი ქმნის ეგოიზმისა და სხვებისადმი უპატივცემულობის გრძნობის განვითარების ნოყიერ ნიადაგს. ასეთ პირობებში გაზრდილი ბავშვი ხშირად უხეში, თავნება, ეგოისტი და ინდივიდუალისტი ხდება. ამის მიზეზი, მეტწილად, მშობელთა გადაჭარბებულ, ავადმყოფურ სიყვარულში უნდა ვეძიოთ. როცა ბავშვი გრძნობს, რომ ყველაფერს აპატიებენ, ის უხეშად და



უდიერად იქცევა, რაც ტოლ-ამხანაგებთან, მოხუცებთან და გარშემო მყოფ ადამიანებთან ურთიერთობაში მჟღავნდება.

მშობლები სასტიკად უნდა ებრძოდნენ ბავშვთა შორის ენის მიტან-მოტანას და ჭორიკანობას. ჩვენც უნდა ვერიდოთ ბავშვების თანდასწრებით სხვების ლანძღვა-გინებას, აუგად მოხსენიებას და ყველა საშუალებით უნდა ვცდილობდეთ მეზობლებთან, ნათესავებთან, კოლეგებთან კარგი ურთიერთობის დამყარებას.

ასევე უნდა ვერიდოთ ბავშვებისათვის ზედმეტი, განსაკუთრებით კი დამამცირებელი სახელების დარქმევასა და დამახებას. ბავშვებსაც უნდა ავუკრძალოთ ერთმანეთის შეურაცხმ-ყოფელი სახელების დამახება, როგორცაა: დიდთავა, თავგაბერილი, თავგასიებული, ვირთავა, მაიმუნი და ა.შ., რადგან ეს მანერა, შესაძლებელია, საერთოდ ადამიანებისადმი ცინიკურ, უპატივცემულო დამოკიდებულებაში გადაიზარდოს.

ადამიანის სიყვარულთან ერთად, ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ცხოველების, ფრინველების, მწერებისა და ყველა სხვა ცოცხალი არსების სიბრალული. ხე, ბალახი, ყვავილი, მზის ამოსვლა და ჩასვლა, ფრინველების ჭიკჭიკი, ფუტკრების ზუზუნი, კალიების ჭრიჭინი, - ყოველივე ეს უნდა აღიბეჭდოს ბავშვის სულში, თუ გვინდა, რომ იგი გაიზარდოს კეთილი და მისი გული უხვად იყოს გადაშლილი ადამიანთა წინაშე. ეს კი ხანგრძლივი და რთული საქმეა. „ინჟინერი შეიძლება გახდეს 5 წელიწადში, - წერს ვ. სუხომლინსკი, - ადამიანობის სწავლას კი მთელი სიცოცხლე სჭირდება“ (სუხომლინსკი, 1996: 33). ძნელია პატარას ჩაუნერგო, რომ ყვავილი უნდა უყვარდეს, არ გათელოს, არ მოწყვიტოს, „იმიტომ რომ მასაც ტკივა“, მაგრამ სავსებით შესაძლებელია აღზარდო მასში გულკეთილობის გრძნობა, თუ ბავშვს პატარაობიდანვე შევაყვარებთ შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს, ჩაუნერგავთ მათი მფარველობის გრძნობას. ამ თვისებების ჩანერგვაში გადამწყვეტი როლი დედამ უნდა ითამაშოს, რადგან დედა ბავშვისათვის ყველაზე ძვირფასი და სათნო არსებაა, მის სიტყვასა და მაგალითს დიდი ძალა აქვს. სამწუხაროდ, ყველა მშობელი როდი ითვალისწინებს ამას. ზოგიერთი მათგანი არაფრად აგდებს იმას, რომ ბავშვი მის თვალწინ აწვალებს ცხოველებს, ბუდეს უნგრევს ან ხოცავს ფრინველებს. ხალხური სიბრძნე კი გვასწავლის: „შენმა შვილმა რომ ჭია მოკლას, დასაჯე, რადგან აქედან იწყება კაცის კვლა“. ზოგიერთი გაუნათლებელი მშობელი ყოველივე ამას ბავშვის შეუგნებლობითა და ცელქობით ხსნის, გაიზრდება და ყველაფერს მიხვდებაო, ფიქრობს იგი და ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ამ გზით ბავშვს უმუშავდება შეუბრალებლობა ცოცხალი არსების მიმართ, რამაც შემდგომში შეიძლება თავი იჩინოს ადამიანებთან დამოკიდებულებაშიც.

ზოგიერთი მშობელი კი ბავშვებს არა თუ უშლის კატის, ძაღლის, ხბოს ან სხვა რომელიმე შინაური ცხოველისა თუ ფრინველის წამებას, არამედ თვითონაც აქეზებს მათ ასეთი საქციელისაკენ.

ჟურნალისტი ნარგიზა მგელაძე თავის წიგნში „არ შეიძლება განზე იდგე“ წერს: „პატარები ვიყავით, როცა მე და ჩემ ძმას მეზობელმა ჩიტი გვაჩუქა... ეს საჩუქარი არა მარტო ჩვენთვის, მთელი ჩვენი თანატოლებისათვის დიდ ამბად იქცა... დილიდან საღამომდე მოდიოდნენ მნახველები. ჩვენც დიდი ამბით გამოგვიქონდა გალია სახლიდან და ხუთი-ათი წუთით უფლებას ვაძლევდით ამხანაგებს დამტკბარიყვნენ ჩიტის მშვენებით.

იმ დღეებში ერთმა მეზობლის ბიჭმა, როგორც დედა ამბობდა, „უზნეო საქციელი“ ჩაიდინა. როცა ბებიამისს ჭიდან ჩაფით წყალი მოჰქონდა, მხარზე შედგმული ჩაფი ქვით ჩაუმსხვრია, მოხუცი ქალი სულ ერთიანად გაიწუწა და ავად გახდა. ამ საქციელის გამო ჩვენ აგვეკრძალა ამ ბიჭის ეზოში შემოშვება.

ბოროტმა ბიჭმა შურისძიების ორიგინალური ხერხი მოიგონა. ეზოში შემოიპარა, გალის კარი გააღო და საწყალ ჩიტს ქვით თავი გაუჭეჭყა...

როცა დედა სამსახურიდან დაბრუნდა და ყოველივე გაიგო, მაშინვე ბიჭის დედასთან გადავიდა და პასუხი მოსთხოვა: - მოგცლიათ ერთი თქვენ, - მიიღო პასუხი, - მაგასაც რა, კაცი ხომ არ მოუკლავს, გავუშვებ ხვალ ტყეში, ჩიტების მეტს რას დაიჭერს“ (მგელაძე, 1979: 30-31).

ამგვარ დედებს არ სურთ იცოდნენ, რომ სწორედ ასეთი ბავშვებისაგან „იჩეკებიან“ ხულიგნები, ცინიკოსები, მძარცველები და კაცისმკვლელები, შემდეგ კი უკვირთ, საიდან გამოჰყვა მათ შვილს ასეთი თვისებები.

ქალაქად, სადაც შინაური ცხოველები და ფრინველები არ გვყავს, სასურველია, ბავშვებს ოჯახში მოვუწყოთ ცოცხალი კუთხე, აკვარიუმი. აქ ისინი მიეჩვევიან მცენარეებსა და ცხოველებზე ზრუნვას, მათდამი გულისხმიერ, სათუთ დამოკიდებულებას. ბავშვები უნდა წავაქეზოთ, როცა ისინი გარეულ ფრინველებს უყრიან საკენკს, უშენებენ და ხეებზე კიდებენ პატარ-პატარა ბუდე-სახლებს, შევლიან გაჭირვებაში ჩავარდნილ ცხოველებს და ა.შ., რაც ხელს უწყობს მათი სულის გაფაქიზებას, მათში სიკეთის, სიბრალულისა და სხვა ჭეშმარიტი ადამიანური გრძნობების გაღვივებას. ილია ჭავჭავაძე წერდა: „მადლი სიბრალულისა დედაა ყველა სხვა მადლისა. ადამიანის გულს ამან უნდა აწოვოს თავისი ძუძუ... თუ გებრალემა, უსამართლობას ვერ უზამ; თუ გებრალემა, უნამუსოდ ვერ მოექცევი; თუ გებრალემა, გეყვარება კიდევ; თუ გებრალემა, ნუგეშსაცა სცემ; თუ გებრალემა, გულით წმინდით განიკითხავ; თუ გებრალემა, შეიწყნარებ; თუ გებრალემა, შეუნდობ“ (ჭავჭავაძე, 1938: 458).

ამიტომ აუცილებელია ბავშვს პატარაობიდანვე ჩავუნერგოთ სიბრალულის, ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის გრძნობები. რაც უფრო ძლიერი იქნება მასში ეს გრძნობები, მით უფრო სიკეთისათვის თავდადებული მებრძოლი იქნება იგი, რეაგირების გარეშე არ უნდა დავტოვოთ, უბრალო ცელქობად არ უნდა მივიჩნიოთ ბავშვობის ასაკში ცოცხალი არსების მიმართ უსულგულო დამოკიდებულების არც ერთი შემთხვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზოგიერთის აზრით, ეს წვრილმანი შემდგომში შეიძლება უარყოფით ქცევაში გადაიზარდოს და მსხვილმანად იქცეს.

ს. მიხალკოვი იმავე წიგნში გვთავაზობს ასეთი მაგალითს:

ფანჯრის რაფასთან პატარა და-ძმა თამაშობს, დედა სამზარეულოში ფუსფუსებს, მამა კი საწერ მაგიდას უზის. ბავშვებს მოსწყინდათ ქუჩაში ცქერა და პეპელა დაიჭირეს, მინას რომ აფრინდებოდა, ფრთები დააწყვიტეს და ფანჯრის რაფაზე დასვეს. პეპელა ადრე დაფრინავდა, ახლა კი დაცოცავს. ეს მათთვის საინტერესოა.

- შეხე, შეხე, როგორ დაბობლავს! - იძახიან გახარებული ბავშვები და პეპელას სანახავად მშობლებს უხმობენ.

მამას არ მოსწონს მათი ასეთი თამაში.

- პეპელას ფრთები ისევე სჭირდება, როგორც ადამიანს ხელები, - უხსნის იგი ბავშვებს. - განა გესიამოვნებათ, თქვენც რომ ასე მოგეპყროთ ვინმე ღონიერი, როგორც თქვენ მოეპყართ პეპელას? ტკივილი არავის არ უნდა მიაყენოთ (მიხალკოვი, 1970: 110-111).

მართლაც, დღეს ბიჭმა შეიძლება პეპელა არ დაინდოს ან შურდულით ბელურას სიცოცხლე მოუსპოს, ხვალ ლეკვს ან კატის კნუტს ქვას ესვრის, შემდეგ კი კაცს დანას ჩასცემს და ასე თანდათანობით გაიზრდება მასში სადისტური გრძნობა.

აღნიშნულ თემაზე საუბრისას მარტო დადებითი მაგალითების ჩვენებით არ უნდა შემოვიფარგლოთ. საჭიროა, ბავშვებს ვუჩვენოთ ასევე მახინჯი და დასაგმობი თვისებები,

რომლებიც ადამიანებს ჯერ კიდევ მოსდგამთ. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა. იგი უხილავი ძაფებითაა დაკავშირებული სხვა ადამიანებთან, უწინარეს ყოვლისა კი, მშობლებთან. ამიტომ პირველ რიგში ჩვენ უნდა ვიყოთ ჰუმანიზმის, გულკეთილობის, მზრუნველობის მაგალითის მაჩვენებლები, რათა ამ გრძნობებით აღვზარდოთ ჩვენი შვილები.

აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ საკმარისი არაა, მოზარდი თვითონ იყოს გულკეთილი, წესიერი, შრომისმოყვარე. ამასთან ერთად, იგი უნდა იყოს ყოველგვარი უყარათობის, დაუდევრობისა და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი. ზნეობრივი აღზრდის ამოცანა მარტო ბოროტების წინააღმდეგ იმუნიტეტის შემუშავება კი არ არის, არამედ მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის თვისებების აღზრდაცაა.

თითოეული ჩვენგანი დაუნდობლად უნდა ებრძოდეს უსამართლობას, ბოროტებას, ადამიანებში ჯერ კიდევ შემორჩენილ მანკიერებებს, რამეთუ „ჭეშმარიტი კაცობა არქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ქონაა მადლისა“ (ი. ჭავჭავაძე). ზოგიერთები კი თავს იმით ინუგეშებენ, რომ ცუდი არაფერი ჩაუდენიათ, ცოდვა არ აწევთ კისერზე. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ზნეობრივად სრულქმნილი პიროვნებისათვის საკმარისი არ არის. ადამიანი, რომელიც არაფერს აშავებს, მაგრამ არც სასიკეთო საქმეს აკეთებს და მისი საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვით ამოიწურება, ზნეობრივ პიროვნებად არ ჩაითვლება. მისი კაცური კაცობა იმ დღიდან იწყება, როცა იგი სხვათა ჭირისა და ლხინის მოზიარე ხდება, როცა იგი „ჩვენს“ აძლევს უპირატესობას „მესთან“ შედარებით.

ეს აზრი მშვენივრად გამოხატა დიდმა ილიამ მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ ლუარსაბი ევედრება ღმერთს, შვილი მისცეს: „წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდეები, კაცი მე არ მამიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს, - რაზედ ვარისხებ ღმერთსა?“ - კითხულობს იგი. დიდი ილია კი ღმერთის პირით პასუხობს: „მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით - რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია,

- ესეც კარგია: უარარაობას ეგ სჯობია. მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?“ (ჭავჭავაძე, 1984: 308) შენ მხოლოდ საკუთარ კუჭზე ზრუნავდი. ეს იყო შენი მთავარი საზრუნავი და სადარდებელიო, მიანიშნა თავისი პასუხით ილია ჭავჭავაძემ ლუარსაბს.

ცნობილია, რომ ისეთი ბავშვისაგან, რომელსაც არ გააჩნია მუსიკის, მხატვრობის ან პოეტობის თანდაყოლილი ნიჭი, შეუძლებელია დიდი მუსიკოსის, მხატვრის ან პოეტის აღზრდა, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გულკეთილად აღიზრდება ნებისმიერი ბავშვი, თუ მის აღზრდას ადრეული ასაკიდანვე შევუდგებით.

ყოველივე ზემოთქმული ერთხელ კიდევ მოგვაგონებს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანებში სულიერი სიკეთის აღზრდას, გაუმართლებელი სიმკაცრის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლას, რასაც, სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი გულგრილად ეკიდება, ზოგჯერ კი საწინააღმდეგოდაც მოქმედებს. არის შემთხვევები, როცა ბავშვი, მისი თანდასწრებით, დასცინის მოხუცებს, ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებს, თავად კი გაწყრომის ნაცვლად, უწონებს ასეთ საქციელს მოზარდს: ყოჩაღ, რა კარგად გადაგიღია მისი მანერებიო. ადამიანის ნაკლზე ყურადღების შეჩერება და მისი კიდევ უფრო ხაზგასმა დიდ სულიერ ტრავმას აყენებს მას, რაც მისდამი ველური დამოკიდებულების ნიშანია.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია ბავშვში პატარაობიდანვე აღვზარდოთ სიბრალულის, ჰუმანიზმის - კაცთმოყვარეობის გრძნობები. რაც უფრო ძლიერი იქნება მასში ეს გრძნობები, მით უფრო სიკეთისათვის თავდადებული მებრძოლი იქნება იგი, მით უფრო

აქტიური იქნება ცხოვრებაში. რეაგირების გარეშე არ უნდა დავტოვოთ, უბრალო ცელქობად არ უნდა მივიჩნიოთ ბავშვობის ასაკში ცოცხალი არსების მიმართ უსულგულო დამოკიდებულების არც ერთი შემთხვევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზოგიერთის აზრით, ეს წვრილმანი შემდგომში შეიძლება უარყოფით ქცევაში გადაიზარდოს და მსხვილმანად იქცეს.

„მაგონდება ასეთი შემთხვევა, - წერს ა. ო. პინტი წიგნში „თქვენთვის მშობლებო“, - ორი მეორეკლასელი ბიჭი ეზოში კატის კნუტს აწვალებდა. ერთი ბიჭი ძეხვის ნაჭრით ხიბლავდა და იზიდავდა მას, მაგრამ, როგორც კი კატის კნუტი გაქცევას დააპირებდა, მეორე ბიჭი მას კუდით იჭერდა. გაწვალებული და შეშინებული პატარა ცხოველი კნაოდა, ცახცახებდა, ცდილობდა ეკბინა მათთვის, ბიჭები კი იცინოდნენ. იქვე, შორიახლოს, მათი დედები საუბრობდნენ.

ბოლოს რომელიღაც გამვლელი აღშფოთდა:

- რატომ არ შეაწყვეტინებთ თქვენ შვილებს ამ უკუღმართ თამაშს, ვისთვის ზრდით უღმობელ, უგულო ადამიანებს?

- მათ ხომ ჯერ არაფერი ესმით! უბრალოდ ერთობიან... - უპასუხა ერთ-ერთმა დედამ“ (პინტი, 1976: 147).

აი, ასეთია, უმრავლეს შემთხვევაში, შეუგნებელ მშობელთა პასუხი შვილების სადისტურ საქციელზე.

ამ თემაზე თავის მოსაზრებას გამოთქვამს ასევე ცნობილი ხელოვანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი სერგეი ობრაზცოვი. იგი წერს: „იმისათვის, რომ გავზარდოთ კეთილი, ნამდვილად კეთილი ადამიანი, უნდა ვასწავლოთ მას სიბრაღე... თუ ერთი წლის ბავშვი კატის კნუტს კუდზე ექაჩება და კისკისებს, დედა კი იქვე დგას და იღიმება, აღზრდა დაწყებულია - საზიზღარი აღზრდა“.

დიახ, კატის კნუტის თუ ლეკვის წვალებიდან ადამიანის აბუჩად აგდებამდე ერთი ნაბიჯია. პროფესორ ბოსეს, პარიზის კონვენტის წევრს, ეკუთვნის ასეთი სიტყვები: „მალისადმი შენი დამოკიდებულებით მე შემიძლია გავიგო, თუ როგორი ადამიანი ხარ შენ“.

ბავშვებში ცოცხალი არსებისადმი სიყვარულის გამომუშავებას ხელს უწყობს ექსკურსიები ზოოლოგიურ პარკებსა და სახელმწიფო ნაკრძალებში, სადაც მოზარდები საკუთარი თვალით იხილავენ, თუ როგორი მზრუნველობით უვლიან და უფრთხილდებიან ადამიანები ცხოველებსა და ფრინელებს. გარდა ამისა, კარგ შედეგს იძლევა ამ მიმართებით ბავშვებზე გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიებისა და მათი გამონათქვამების გაცნობა-შესწავლა.

გულკეთილობასთან გვაქვს საქმე, როცა პატარა ბავშვი ხედავს მუდამ ს=აქმით დატვირთულ დედას და ცდილობს, შეუმსუბუქოს ტვირთი - ეხმარება საოჯახო საქმეების შესრულებაში: იატაკის მოწმენდაში, ჭურჭლის დარეცხვაში, სუფრის გაშლა-ალაგებაში და სხვა საქმეებში. მაგრამ მშობელთა ერთი ნაწილი არ ამღევეს ბავშვს ამის ნებას, რაშიც ისინი დიდად ცდებიან.

ცუდად იქცევიან ის მშობლებიც, რომლებიც ბავშვს გაწეული სამსახურისათვის საჩუქარს პირდებიან. ამით ისინი ამზადებენ მომავალ მექრთამეებს და არა გულკეთილ, მოსიყვარულე ადამიანებს. სიკეთე ბავშვის შინაგანი ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს, მისი ხასიათის განუყოფელ თვისებას უნდა წარმოადგენდეს. ბავშვი ღრმად უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ მხოლოდ სიკეთე და სიმართლე აიყვანს კაცს ადამიანობის უმაღლეს მწვერვალზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ყოველგვარი ქცევა მოჩვენებითი იქნება.

ჩვენდა საბედნიეროდ, მშობელთა უმრავლესობა ამას ასწავლის და უნერგავს საკუთარ შვილებს, მაგრამ მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც მცდარი წარმოდგენა აქვთ გონივ-

რული აღზრდის საფუძვლებზე და დარწმუნებულნიც არიან თავიანთ მოქმედებათა სისწორეში. აი, მაგალითიც: ავტობუსი გასვლას აპირებდა, როცა წინა კარებიდან ერთი მოხუცებული ქალი ამოვიდა. ირგვლივ მიმოიხედა და რადგან თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა, იქვე კარებთან გაჩერდა. მის წინ იჯდა ახალგაზრდა ქალი ექვსი-შვიდიოდე წლის ბიჭთან ერთად. მოხუცმა სთხოვა ბიჭუნას, დაეთმო მისთვის ადგილი. ბიჭი მაშინვე წამოხტა ზეზე, მაგრამ დედამ მკლავზე ხელით დაქაჩა და აიძულა ისევ დამჯდარიყო. როცა მგზავრებმა შენიშვნა მისცეს, ამ უკანასკნელმა თავი იმით იმართლა, რომ ეს ბავშვთა ადგილია და მას აქ ჯდომის უფლება აქვსო, თავად მას კი აზრადაც არ მოსვლია, თავისი ადგილი შეეთავაზებინა მოხუცი ქალისათვის.

და რა გასაკვირია, თუ ასეთი დედები აღზრდიან გულცივ, უსულგულო ადამიანებს, რომლებიც თავიანთი საქციელით ხასიათს გაუფუჭებენ, წყენასა და მწუხარებას მოუტანენ გარშემო მყოფთ.

ყოველ ჩვენგანს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ყველაფერი ბავშვობაში იწყება, რომ „ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა“ (ი. ჭავჭავაძე), რა თვისებებსაც ჩაეყრება საფუძველი მის გრძნობა-გონებაში, ის თვისებები გაღვივდება და განვითარდება მასში. ამიტომ, სანამ გვიან არ არის, ყველაფერი უნდა ვილონოთ იმისათვის, რომ ჩვენს „მომავლის ყვავილებში“ სიკეთის ნერგმა იხაროს.

ბავშვთა სულის გაფაქიზების, მათში ჭეშმარიტი ადამიანური გრძნობების გაღვივების მიზნით ხშირად უნდა მოვიშველიოთ ცოცხალი სიტყვა. საუბრისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ პატარები კონკრეტული სახეებით აზროვნებენ. ამიტომ საუბარი უნდა წარვმართოთ მათთვის ნაცნობ თემაზე, სკოლის, სოფლის, ქალაქის ცხოვრებიდან აღებული მაგალითების მოშველიებით. ხელიდან არ უნდა გავუშვათ არცერთი ხელსაყრელი შემთხვევა, რომელიც შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული ბავშვებში ჰუმანური გრძნობების გამომუშავებისათვის.

ასე თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა შევიყვანოთ ჩვენი აღსაზრდელები მოვალეობის ლაბირინთებში და საფუძველი ჩავუყაროთ მათ გულებში იმ წმინდა გრძნობას, რასაც ადამიანებისა და ნებისმიერი ცოცხალი არსების სიყვარული ჰქვია.

## THE UPBRINGING OF KINDNESS IN CHILDREN

NODAR BASILADZE

### RESUME

The upbringing of kindness in one's heart is one of the main tasks of moral education. A person, like any kind of education, has a basis in the family. A child should be grown up as the most valuable among all living beings in this world, who always has the attention, appreciation and respect.

child must first feel the love of a human being in the family among his relatives, especially the mother, but the love of the mother should not be expressed in the empty words, but in the work done.

Together with human love, the child should be taught the pity related to animals, birds, insects, and all the other living creatures, otherwise he will be grown up as an ungodly, heartfelt, contradictory creature.

It is known that a child who has no innate talent for music, painting or poetry can bring up a great musician, artist or poet, but any child will be gifted up if we grow up in kindness from an early age.

The upbringing of kindness in children.

---

---

**ლიტერატურა:**

1. დუმბაძე, 1989: დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მეორე, თბ., 1989.
2. მგელაძე, 1979: მგელაძე ნ., არ შეიძლება განზე იდგე, თბ., 1979.
3. მიხალკოვი, 1970: მიხალკოვი ს., ყველაფერი ბავშვობაში იწყება, თბ., „ნაკადული“, 1970.
4. პინტი, 1976: პინტი ა. ო., თქვენთვის, მშობლებო (პედაგოგის ფიქრები მოსწავლეთა აღზრდაზე), თბ., 1976.
5. სუხომლინსკი, 1981: სუხომლინსკი ვ., მშობელთა პედაგოგიკა, თბ., 1981.
6. სუხომლინსკი, 1996: სუხომლინსკი, ვ., წერილები ვაჟიშვილს, ბათუმი, 1996,
7. ჭავჭავაძე, 1984: ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, თბ., 1984.
8. ჭავჭავაძე, 1938: ჭავჭავაძე ი., პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1938.
9. Дарвин, 1907: Дарвин Ч., Мое мирозерцание (окончание), - Библиотека для самообразования, 1907, № 4.
10. Либединская, 1970: Либединская Л., Педагогический диалог,-Лит.Газ.ета, 1970, №15

## ლიტერატურის ისტორია

### წმინდა გრიგოლ ფერაძის „რომელი ქარუბიშა“

#### შოთა ზოიძე

გრიგოლ ფერაძე საქართველოსა და პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ წმინდანადაა შერაცხული.

სტატიაში „წმინდანი და მეცნიერი–გრიგოლ ფერაძე“ პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე ამბროსი გრიშოკაშვილი წერს, რომ 2002 წლის 5 დეკემბერს ვარშავის უნივერსიტეტში ჩატარებულა საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ამ უნივერსიტეტის პროფესორის ხსოვნას მიეძღვნა. ჩვენშიც და პოლონეთშიც 6 დეკემბერი წმინდა გრიგოლ ფერაძის ხსენების დღეა და ყოველწლიურად იმართება კონფერენციები. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ უცხოეთის უნივერსიტეტში პატივს მიაგებენ ქართველი ემიგრანტი პროფესორის ხსოვნას.

გრიგოლ ფერაძე იყო ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიის კანდიდატი, ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი და ფილოლოგიის პრივატდოცენტი, წმინდა ნინოს პარიზის ქართული ეკლესიის დამაარსებელი და პირველი წინამძღვარი, ვარშავის უნივერსიტეტის პატროლოგიის პროფესორი. იგი იყო, ამავე დროს, სულიერი კულტურის ნიჭიერი მკვლევარი და პოეტი, ჟურნალი „ჯვარი ვაზისას“ გამომცემელი და რედაქტორი.

გრიგოლ ფერაძის საერო, სასულიერო, სამეცნიერო მოღვაწეობისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესახებ ჩვენში საკმაოდ მდიდარი კომენტარები გვაქვს, მაგრამ მისი პოეტური მემკვიდრეობის შესახებ, თითქმის არაფერი. იგი უნდა განვიხილოთ XX საუკუნის ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ჭრილში, რომელიც მთლიანად ქართული მწერლობის ძალიან მნიშვნელოვანი შენაკადია.

საქართველოში XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის კვლევა, გასაგები მიზეზების გამო, ტაბუდადებული იყო. ემიგრანტი მწერლის გვარის ხსენებაც კი იკრძალებოდა. გასული საუკუნის მეოთხე მეოთხედიდან, შეიძლება ითქვას, აკრძალვა ნაწილობრივ მოიხსნა და ჩვენს მკვლევარებსაც ახალი სუნთქვა გაეხსნათ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფესორების გურამ შარაძის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის, შუშანა ფუტკარაძისა და სხვათა ღვაწლი.

ნეტარხსენებულმა გურამ შარაძემ საქართველოში ჩამოიტანა და დასტამბა ემიგრანტი მწერლის ვიქტორ ნოზაძის ჩვენში უცნობი წერილი, რომელიც ავტორს 1952 წლის იანვარში ბუენოს-აირესიდან პარიზში ქართველთა საბჭოსადმი გამოუგზავნია. ამ წერილში საინტერესო კომენტარებია გრიგოლ ფერაძის მრავალმხრივ ღვაწლილზე. ჩემთვის, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ის უფროა, რომ დაფიქსირებულია წმინდანის პოეტური მემკვიდრეობის შესახებ. ვიქტორ ნოზაძე წერს: „ამას გარდა, მას ჰქონდა საკუთარი რელიგიური ხასიათის ლექსები, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე დავბეჭდე კრებულში „ქართლოსი“. დღესდღეობით ეს ჟურნალი ჩემთვის მიუწვდომელია, მაგრამ მომავალში აუცილებლად შევავსებ ამ ხარვეზს.

უთუოდ საინტერესოა პარიზში გამომავალ ჟურნალ „გუმბაგში“ დასტამბული წმინდა ნინოს პარიზის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვრის ილია მელიას წერილები, რომლებიც ასევე გურამ შარაძემ ჩამოიტანა და გამოაქვეყნა თავის წიგნში „უცხოეთის ცის ქვეშ“. პირველ წერილში ვკითხულობთ: „ჩვენ ბევრს მოველით მამა გრიგოლის ცხოვრების შესახებ მისი პოლონელი მართლმადიდებელი მეგობრისაგან. ჩვენი მხრით კი, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია მოწმობა მხოლოდ იმ წლებზე, როცა ის ჩვენი სამწყსოს მოძღვარი იყო, მისი ბერად აღკვეციდან დაწყებული. იღბლად ჩვენ გვაქვს მისი ბიოგრაფიული მოკლე ცნობები, რომელიც დაბეჭდილია ჩვენი სამრევლოს კრებულ „ჯვარი ვაზისაში“, #1. ეს კრებული დასტამბულია მამა ფერადის მიერ და იგი მას ხელმძღვანელობდა ბოლომდე, ე.ი. 1931–1934 წლები და სულ გამოვიდა 4 ნომერი. ბიოგრაფიული ცნობები მოკლეა, მაგრამ მისი ღირსება ისაა, რომ იგი სანდოა, რადგანაც შედგენილია თვით მ. გრიგოლის მიერ და მის მიხედვით შეიძლება იმ ზოგიერთი შემჩნეული შეცდომის გასწორება, რომელსაც ადგილი აქვს სამშობლოში გამოცემულ ნაბეჭდებში“ (შარაძე, 1993:377).

ვიდრე უშუალოდ გრიგოლ ფერადის პოეტური მემკვიდრეობის ანალიზზე გადავალ, მიზანშეწონილად მიმაჩნია მისი ბიოგრაფიის რამდენიმე მომენტის გახსენება: დაიბადა 1899 წლის 13 სექტემბერს, სიღნაღის რაიონის სოფელ ბაკურციხეში, 1918 წელს დაასრულა თბილისის სემინარია. იყო ჩვენი გამოჩენილი მეცნიერის კორნელი კეკელიძის მოწაფე. მისივე რეკომენდაციითა და არტურ ლაისტის დახმარებით 1921 წელს სასწავლებლად გაემგზავრა გერმანიაში. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერმანიაში, საფრანგეთში; ინგლისში, პოლონეთში, ქალაქ ვარშავაში 1942 ზელს დააპატიმრეს გესტაპოს ჯალათებმა და საკონცენტრაციო ბანაკში ამოხადეს სული. გარდაცვალების თარიღი ჯერ არ არის დაზუსტებული: წყაროებში აღნიშნულია 1942 და 1944 წლებში. საგულისხმოა ისიც, რომ 1945 წელს აუშვიცის (ოსვენციმის) ბანაკს გადარჩენილი ყოფილი პატიმარი ვარშავის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტ დიონიციან ამბოზს, რომ მამა ფერაძე გაზის კამერაში მისი ერთი თანაპატიმრის მაგივრად წავიდა ( შარაძე, 1993: 390).

წყაროებში დაფიქსირებულია, რომ გრიგოლ ფერაძე ისევ ქართველებმა ჩაუშვეს გესტაპოში, მიზეზების ახსნა შორს წავიყვანს.

საერთოდ, ადამიანის წმინდანად შერაცხვის რვა პირობაა მიღებული. რომელთაგან გრიგოლ ფერადის კანონიზაციას საფუძვლად დაედო მოწამეობრივი სიკვდილი ქრისტესათვის, გამორჩეული საეკლესიო და საგანმანათლებლო მოღვაწეობა, ერისა და ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურება, კეთილმსახურება, მართალი, წმინდა ცხოვრების წესი, უმწიკვლო მართლმადიდებლობა.

გრიგოლ ფერადის პოეტური მოღვაწეობა წმინდანის სულიერი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ამ თვალთახედვით განვიხილავთ მის პოეტურ ნიმუშს „რომელნი ქერუბიმთა“.

ჩემი თვალთახედვით, ეს ლექსი, ზოგი პოემასაც უწოდებს, ჩვენი ლიტერატურის იმ ჟანრს მიეკუთვნება, რომელიც წარმოიშვა ქართულ ენაზე ღვთისმსახურების შესრულების აუცილებლობით. მას ლიტურგიკა ეწოდება. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის აზრით, იგი თანამედროვე ქართულ ენაზე ღვთისმსახურების დასაწყისია. გრიგოლ ფერადის ეს ლექსი თავისი აღნაგობით, გამოხატვის ფორმებით ძველი ქართული პოეტური ლიტურგიკის ნიმუშს უფრო გვაგონებს, ვიდრე XX საუკუნის პირველი მეოთხედისა თუ პირველი ნახევრის ლიტერატურულ ფაქტს. ტექსტი საკმაოდ ვრცელია. ხუთას სტრიქონს აჭარბებს. ამიტომაც პოემა უწოდეს. ცხადია, ამ აზრსაც აქვს არსებობის უფლება. ჩემი ფიქრით, იგი იამბიკოების ჯამს



უფრო მოგვაგონებს, მით უმეტეს, გვხდება ძირითადად ურთიმო და რითმიანი სტრიქონებიც. საქართველოში რითმიან იამბიკობს დემეტრე მეფე წერდა. თუმცა გრიგოლ ფერაძის ეს ლექსი იამბიკოს ნიმუშად არ განიხილება.

გრიგოლ ფერაძის მხატვრული სტიქია, საკომენტარო ლექსის მიხედვით, მთლიანად XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის ჩარჩოში თავსდება, – მდიდარია ნოსტალგიითა და ღარიბია მხატვრული შთაგონებით. აქ წინაურდება ფრანგული კონსერვატული რომანტიზმის მანიფესტის ავტორის, შატობრიანის მოსაზრება, ემიგრაციაში მყოფი მწერლის მხატვრული შთაგონების იმპულსებზე როცა საუბრობს: „სამშობლოდან გადახვეწილი კაცისათვის, – ამბობს შატობრიანი, ველ–მინდვრები მოკლებულია ფერების ელვარებას, ცის გუმბათი ისე დაბლაა დაწეული, რომ მის გაქყლეტას ლამობს“ (შატობრიანი, 1947:79).

უცხოებაში მყოფი მწერლის მხატვრული შთაგონება რომ ღარიბია, ამას ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებაც ადასტურებს. მათ შორის, გრიგოლ ფერაძის ნაწერებიცაა.

ჩვენს ხელთ არსებულ ლექსში დავაფიქსირეთ ტროპული მეტყველების არაერთი ნიმუში, გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სინტაგმები, რომელთა ბუნებას განსაზღვრავს მეტყველების ექსპრესიულობასა და აზრის მრავალფეროვნებას, ცვლის სიტყვის შინაარსს, მაგრამ აზრის გაგების კოეფიციენტი კიდეც უფრო მაღლდება. აქ ისეთ სახეობრივ მეტყველებასთან გვაქვს საქმე, როცა პოეტის მიერ გამოყენებული მეორე საგნის თვისება პირველზე, ან პირიქით, გადატანით წარმოდგენილია შორეულ საგანთა დაახლოება. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტროპული მეტყველების ნიმუშები, როგორცაა „სევდის ნისლი“, „ლოდინით ავსება“, „კოჭლი თარგმანი“, „ოცნების ფრთები“, „სიზმრის წიგნი“, „სულის გასაღები“, „უხილავი სული“, „უზომო სევდა“, „ლაჟვარდის რიდე“, „გულის მურაზი“, „მწიფე ყანა“, „ცხოვრების ზღვა“, „კაცეთის ამაოება“, „უცხო სიამე“, „ქართველი ევა“, „ურემი მოლოდავს“ და ბევრი სხვა. აქ არის როგორც უკვე სმენილი ნიმუშები („გულის მურაზი“), ისე უაღრესად ორიგინალური ტროპული სინტაგმები („სიზმრის წიგნი“, „ქართველი ევა“, „კოჭლი თარგმანი“, „მემკრთალი სევდა“ და ბევრი სხვა).

ტროპული მეტყველების ფერაძისეული ნიმუშების დემონსტრირებით ჩვენ ვცადეთ ავტორის მხატვრული ოსტატობის სურათის ჩვენება. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ წმინდანი პიროვნების პოეზია მიუწვდომელ მწვერვალზე აგვყავს. ნამდვილად არ გვინდა ავცდეთ ზომიერების ზღვარს. ჩვენი მიზანია, დავაფიქსიროთ ლიტერატურული ფაქტი და ავტორის წმინდა სახელს ნამდვილად არ ჭირდება ჩვენი დითირამები.

ამ ლექსიდან ჩვენ წინაშეა თეოლოგიასა და მწერლობაში ღრმად ჩახედული და ღვთიური ინტელექტით კურთხეული პიროვნება. ჩემი ჯეროვანი ყურადღება მიიქცია ლექსში გამოვლენილმა ბიბლიურმა სახეებმა და ძველი ქართული მწერლობის ნიმუშებმა, მ.შ. დავით გურამიშვილის „დავითიანით“ შთაგონებულმა სახეებმა.

განსაკუთრებულად საყურადღებოა გრიგოლ ფერაძის დამოკიდებულება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ აფორიზმებისადმი. მაგალითად, „რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“, რეფრენივით გასდევს გრიგოლ ფერაძის მხატვრულ შთაგონებას. მინდა საილუსტრაციოდ წარმოვიდგინოთ ერთი ფრაგმენტი:

„რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“,  
 სთქვა ერთხელ შოთამ და ჩემთვის გაგება ამის ძნელია.  
 მაგრამ მეორე სიბნელე მე მესმის კარგად მეღწევა,  
 რომელიც სინათლეს ებრძვის, სინათლეს კი ვერ ეწევა.

რას ნიშნავს ჩვენი ნათარგმნი „და ბნელი მას ვერ ეწია“,  
ნუთუ იმიტომ, რომ ვიღაც სიბნელეს უხვად ეწია“.

(ფერადე, 1932:242)

ციტირებული ტექსტიდან თვალსაჩინოვდება სინათლისა და სიბნელის დასაბამისმიერი ჭიდილი, რომელიც სიკეთისა და ბოროტების სინონიმიცაა. ეს ორთაბრძოლა ადამის მოდგმის თვალის ახელიდან არ ჩამოდის ჩვენი სიცოცხლისმატარებელი პლანეტის სცენიდან. შოთა რუსთაველიდან გრიგოლ ფერადემდე განფენილ დროთა სივრცეში გრიგალივით მომწყვდეულია სინათლისა და სიბნელის, სიცოცხლისა და სიკვდილის, კეთილისა და ბოროტის, ანგელოზისა და ეშმაკის, ომისა და მშვიდობის ორთაბრძოლის პლანეტარული, ანუ საკაცობრიო სევდა. სამშობლოდან გადახვეწილი პოეტის შთაგონებით გაჟღენთილია ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ნუგეშისმომგვრელი ლოცვებით. გზადაგზა ჩვენი ნორჩი გენიის ნიკოლოზ ბარათაშვილისებური მარტოობის ბურუსიც თრგუნავს და ტატოსეული „ქართლის ბედის“ მეტაფორაც გაიღვებს:

„უცხოეთში მყოფს, როდესაც სევდა, ნისლი, ბურუსი გულს დამიბურავს, /არვინ მყავს ახლოს: ვისაც გავენდო, ვინც გამიდევენის სულიდან ურვას./ ვისწრაფი ისევ შენსკენ, მშობელო, შენ გაქვს წამალი კურნება ამისი...“ (ფერადე, 1932:242).

უსამშობლობით დაღლილი „სულის კურნების“ ძიება კერძოდ, გრიგოლ ფერადისა და, ზოგადად, ქართველ ემიგრანტთა ტრაგიკული ბედისწერაა, ლიც აჩრდილივით დასდევს ქართველი ემიგრანტი პოეტების სახისმეტყველებას.

აქვე გთავაზობთ პოემის სრულ ტექსტს:

### რომელნი ქერუბიმთა

(ხილვა)

რომელნი ქერუბიმთა საიდუმლოთ ვემსგავსებით –  
და ცხოველსმყოფ სამებასა სამწმიდასა არსობასა გალობასა შევწირავთ –  
ყოველივე მსოფლიო დაუტეოთ ზრუნვა!  
უცხოეთში მყოფს, როდესაც სევდა ნისლი ბურუსი გულს დამიბურავს,  
არვინ მყავს ახლოს: ვისაც გავენდო, ვინც გამიდევენის სულიდან ურვას.  
ვისწრაფი ისევ შენსკენ, მშობელო, შენ გაქვს წამალი კურნება არსის.  
ჩემო სამშობლოვ, ჩემო სოფელო, შენ მომარიდე თავიდან თარსი!  
მსურს დაბრუნება. აქ დავიღალე, როგორც მოხუცი წელთა სიმძიმით.  
ქუჩამ გამცვითა, ღრიალმა ძრწოლამ და სიყვარული ჭუჭყში ჩავაგდე,  
ჩემო სშობელო, მოვილტვი შენსკენ, უშენოდ ყოფნა დღეს მე აქ მიმძიმს.  
მომეცი ხელი, რომ ფეხზედ დავდგე!  
და საღამო რომ მოგვევლინება–მზე რომ განდევენის ყველა მამხილველს,  
ოცნების ფრთები მე შემეზმება და შენსკენ ვიწევ.  
მე შენთან ვარ იქ. არ შევუდრკები მაშინ მახვილებს  
და გადავკოცნი სამშობლო მიწებს.

\*\*\*

სადაა ნეტავ ჩემი სამშობლო და ქვეყნის სული დღეს სად ბინადრობს?  
რომლის შეპყრობა ვერავის ძალუმს, რომელიც იფლობს უთვალავ ჟამ დროს!  
გგონია იყოს მეტეხის ციხე, რომლის სალ კლდეზედ ჯვარს ეცვა დედა.

სისხლი ედინა მას ურიცხვი და მოეშორა შარავანდედი.  
და მაინც დარჩა, მაინც უნათებს დღეს ყოველ ქართველს სისხლიან კვლებით  
და წელში ერთხელ ყველას ანახვებს მტკვარში სასწაულს არაბის ძვლების<sup>1)</sup>  
მეტეხი არის ჩვენი სამშობლოს გოლგოთის თხემი, ქრისტე რომ აღწევს!  
სადაა ნეტავ ჩვენი ბეთლემი, გამოქვაბული მწყემსების და მზე?!  
აწმყოს ძალით დაფანტულს დახურდავებულ ვნებით,  
ვერ ძალუძს სხივის შობა და დიდების აღდგენა  
აწმყოს, რომელშიც სული მეტეხის კლდეს გაეცნო,  
არა აქვს სიხალისე სიხარულის და ფრენის.

\*\*\*

დღეს გავიგე წარსული, მომავალიც შევიტყვე,  
მეწვია აღსასრული—ვარ სიკვდილის ტყვე.  
მორჩა ამდენ ხნის ცნება, გამოცანაც აიხსნა,  
ნუთუ მისთვის ოცნება დრტოდა აქამდისინაც!  
ზღაპრის შედეგს შევეცან, სიზმრის წიგნი აღარ მჭირს,  
ბოროტებას გავეცან და გავეცან სოფლის ჭირს.  
ქართლის ბედი ჩვენშია და ჩვენშია სამშობლო,  
ვინც რომ ოჩემჩირშია, არ იქნება დღეს ობლად.  
იდუმალ ძარღვებით ვგრძნობ, რომ მაინც ძლიერი ვარ  
და ჩემ გულში ისე ვგრძნობ: ხარ, იქნები, ყოფილხარ,  
ხანდისხან კი ვიწვები მისთვის, რისთვის მომესპა  
თამარ მეფის მიწები, აღმაშენებელის სპა.  
მისთვის, რისთვის გააკრეს ქართლოსი მეტეხის კლდეს,  
ბორკილებით შეაკრეს მისი ხელი, რომ არ ვლდეს.  
სული ბორკილს ვერ ეტყვის<sup>2)</sup> მაგრამ თვის ბინას შესცვლის  
დამკვიდრდება უღრან ტყეს ან იანგელოზებს ცას.

\*\*\*

მე დღეს ცას ვერ შევსწვდები, მე ვარ ქართლოსის შვილი,  
წარმართ გრძნობით ნასახი. ჩემი თავის მტერ—მშველი.  
ქართლოსის იფქლიან თესლს გაურიეს ღვარძლები  
ვინმე მავნე ძალებმა (გაიგეთ ვინც არა იცით!)  
ნარევ თესლით შობილი ღვარძლი აქ სიწმინდეს სძლევეს  
და შეუერთდი მიწას მტკიცე ურყევი ფიცით.  
უღრანი ტყე სავსეა ნანგრევებით, ტაძრებით,  
იქ უწინ ულოცნიათ ჩვენ წინაპრებს ანთებით.  
დღეს ამ ნანგრევთა ნახვით ენა პირში მაძრება.  
იქ ვერვის ინახულებ ხელთანთებულ სანთლებით.  
ხალხის სულის გასაღებს შორს ნუ ეძებ, იქ არი.  
სული მეტეხის კლდიდან ეშურება ნანგრევებს.  
მოგზაურს ღამით აფრთხობს, რაღაც გმინვა საზარი.  
ფიქრობს, გაუმართიათ იქ ქორწილი ქაჯდევეს.  
დადექ სიწმინდით, გონების ყური არიდე მიწას, ყოველ ბიწიერს,

მაშინ მერწმუნე შენც, მიმიხვდები, რომ იქ არავინ არვინ ჯვარს იწერს.  
 ეს არის გმინვა ქართლოსის სულის ოხვრა ქვეყნის ვრცელ ვნების კვირაზედ.  
 ლოცვა: მოხსენი ამდენი ტვირთი და შეიბრალე ერი საბრალო!  
 რისთვის სტანჯავ მას ნეტავ? რაზედ  
 ნეტავ? რისთვის ცოდვა აბრალე?!  
 მოიხსენ ქუდი და მოწიწებით შეუერთდი გუნდს, უხილავ სულთა  
 და როს იქნები შენ მოძმეთ შორის ან გზით ხვიდოდე,  
 უთხარი ყოველთ ის, რაც გადმოგცეს ასეთი ოხვრით ღამით ტანჯულთა,  
 ჯერ: გეპატოს შენი ცოდვები.  
 შემდეგ: ვიდოდე<sup>3)</sup>.

\*\*\*

ეს ნანგრევები მე გავამრთელე, ოცნებამ შექმნა იგინი სრულად,  
 გარშემო ქვები ქვებზედ დავაწყე–ჭერი დავხურე ჩუქურთმით მოვრთე.  
 ქართულ გემოვან თვალს შეუფარდე და განიწმინდა, რაც სჩანდა კრულად.  
 ანგელოზებმა ფრთა მომაშველეს და გააქანეს ქალაქისაკენ.  
 ქალაქისაკენ: სადაც ტანჯულნი, სადაც მაშვრალნი ცრემლებში სხედან.  
 ზოგს გულის ყური იქ მიუპყრია კაენის ბეჭდის და ლაქისაკენ,  
 ზოგს კი ამძიმებს უზომო სევდა.  
 ქალაქი არის საბრალო დაბა, ის თავს იწონებს დიდ შენობებით,  
 და დღეს კი იგი მთლად გაინაბა და ჩაიმარხა თვისი შვენება.  
 ის ებრძვის ლუკმას. ქალაქის შვილი აღარ ამღერებს ჩანგურს და სიმებს,  
 დათალხულია იგი მას უკან, როცა ზარები სწყვიტა სამებამ.  
 ცხოვრების წიგნის ვეშაპი დიდი – რომელიც ჰყლაპავს, ჰყლაპავს და ჰყლაპავს,  
 როგორც ყოველი ქალაქი ფლიდი, ყოველ სიწმინდეს ამხვრევს და ლაფავს.  
 მაგრამ მერწმუნეთ, მეც მიყვარს იგი როგორც არის, როგორც იყო.  
 მან ინახულა ათასთა რიგი, რიგრიგობითაც გამოირიყა.  
 ჩვენ ტფილისს შენ დღეს ვერ გააკვირვებ ვერც ბიწითა და ვერც უმიწობით.  
 ის დაგანახვებს ბევრს რამ საკვირველს და ყველას თვისი ხვედრი უბოძა.  
 რაფის<sup>4)</sup> აჩრდილი დაეძებს ლანდებს, რაფის აჩრდილი მის მატთანე,  
 სამწუხაროა, ქალაქს არ ჰყვანდეს თვის მომღერალი დავითიანი.

\*\*\*

განკითხვის დღეს კი, როს მაცხოვარი სოფლად ჩამოვა ერთი მოსამე,  
 მაშინ აღსდგება ტფილისს ცხედარი, დაგვირგვინდება როგორც მოწამე.  
 ტფილისს ვესტუმრეთ, ეს იყო დიდი ეპიფანია, სასწაულთ ხილვა.  
 გულს მიდრეკავდა ლაჟვარდის რიდე, დამამძიმებდა ამდენი ხილვა.

\*\*\*

ჩვენ გზად კი გვქონდა ტყენი უღრანი, მთები, სამშობლოს ნაცად–ნაფერნი,  
 ძირს მიწას ჰვლობდნენ ცეცხლნი და სრვანი და ამძიმებდნენ გადასაფრენებს,  
 გზაზედ სულები შეკრთენ, შეიძრენ: „საით მიდიხარ, ვისთან ან რისთვის?  
 ქალაქისკენ! ნუთუ არ იგრძენ, მას აღარა აქვს დრო ჩვენი ღვთისთვის“!..  
 გზაზედ აჩრდილნი მთლად ჩამომშორდნენ, ვიყავი მარტო ანგელოზთთანა;  
 და მათთან ერთად ავივსე ლოდნით, თუ ვინ დაგვხვდება ჩვენ ქალაქთანა.

სიომ შეაკრთო ოდნავ სამრეკლო, უცებ გაისმა ნელი რაკუნი,  
 შემდეგ უმატა, უჩქარა რეკამ და განიფანტა მთელი უკუნი.  
 მწყემსებს მთის მწვერვალს ესმათ ეს რეკა და ცეცხლიც ნახეს მცურავი ცაზედ,  
 შეხვდენ ღვთის სახეს მუხლის მოდრეკით. სულ განაბულნი უმზერდნენ გზაზედ.  
 შესწყვიტა თვისი ლექსი ქიტესამ (ის თვის მეგობრებს ღამით ართობდა),  
 „ხოვლევის იქით არის ფიცესი. ფიცესს რა საზღვრავს, აღარ ამბობდა.  
 ჩემთვის ერთია გინდა იქ იყოს: მანგლისი, ოლთი, მტკვარი, არეზი.  
 ამ ღამით ზევა ორად გაიყო, სთქვი ჩქარა შენი გულის მურაზი!  
 მწყემსების ლოცვა არაა გრძელი, მწყემსის სურვილი არაა დიდი.  
 შინაარსით კი ისაა ვრცელი და თითო ასო იწონის ოქროთ.  
 „დიდება ღმერთსა მაღალთა შინა, ქვეყნად მშვიდობა  
 და სათნოება ადამის ტომთა“.  
 ეს იმას ნიშნავს, უნდა მოისპოს ამ ქვეყნად ზაკვა, შური, ფლიდობა.  
 ჩვენ ყველანი ვართ ძმები თვისტომნი.  
 რევოლუციის მწყემსს არაფერი არ გაეგება,  
 პირველი ცეცხლი კი მან დააგდო ამ ქვეყანაზედ  
 და თვის ცხოვრებით, თვის ცხოვარებს ის დაეგება,  
 როგორც ნამგალი მწიფე ყანაზედ.  
 მაგრამ დიდება მაღალთ სამყაროს  
 ღვთისთვის, რომ მხოლოდ მათ დავუტოვოთ.  
 ქვეყნად მშვიდობა ვინ დაამყაროს,  
 ან სათნოება კაცთ სათვისტომოდ!  
 დიდება უნდა ამღერდეს სოფლად  
 და ღმერთს მიერთვას, როგორც ზეცაში.  
 მშვიდობა მაშინ არ ივლის ობლად,  
 როგორც ეული კომეტა ცაში.  
 ხელში ვიღებ მე დედანს, რადგან თარგმანი კოჭლობს  
 და სულ სხვა აზროვნება მე თავში მიტრიალებს,  
 სამ საფეხურის ნაცვლად, ლოცვა უფრო მოკლეა  
 შინაარსით და წყებით მძიმდება და რეალობს:  
 „დიდება ღმერთსა, მაღალთა შინა ქვეყანაზედ“  
 (მძიმეს ვშლი, რადგან იგი არაა ორიგინალი).  
 „მშვიდობა კაცთა შორის სათნოიანთა“. –  
 ეს უნდა გახდეს სურვილთ ფინალი.  
 მაგრამ ვსპობ ესეთ სურვილს მსჯელობის  
 რა საჭიროა ან რისთვის მიინდა?  
 აზრი თვის თავით, თავის მთელობით  
 არის უმწიკველოს ნანატრი წმინდა.  
 მე ფაუსტობა არ მეღიმება, ჩვენი ფაუსტიც სულ სხვაა წამის.  
 ვაგნერობა კი მეთაკილება–მისგან საკმაოდ ვარ განაწამი!

\*\*\*

გზა არის შორი და ირგვლივ ბნელა,  
 ქვეყანას სძინავს ცოდვებში ხვეულს,

ვხედავ: ურემი მოლოდავს ნელა,  
 ბორბლით აყვირებს შარას დანგრეულს.  
 რეკა არ უფრთხობს ძილს სოფელს მძინარს,  
 მხოლოდ დედაკაცს გამოელვია  
 და გადახედა ბიჭუნას მძინარს.  
 (დიდი ხანია იმას ელვია)  
 გავარდა გარედ საბრალო ძიძა  
 და როს წითელი ზეცა იხილა,  
 მეტანიობას იხდიდა მიწა.  
 ცა და ქვეყანა იპყრობს დღეს შენ შვილს.  
 იგი გახდება ქართლოსის მხსნელი  
 და საქართველოს გამოუდარებს,  
 მასში ისახის ბეთანიელი.  
 ის მიადგება საფლავთა კარებს,  
 დედას უხარის, დღეს მან იხილა  
 იდუმალის წინ ფარდის აწევა  
 და ოცნებამ მე განმიხილა,  
 რომ გარდაიქმნება ქართველი ევა.

\*\*\*

აღიღეთ ბჭენი, ამსხვრიეთ კლიტე,  
 მოდის უფალი, ღმერთი დიდებისა.  
 ანგელოზთ ძალნი ჰიმნებსა შლიდნენ,  
 ციურ სიმშვიდით და მორიდებით.  
 ხავერდის ხალად მთელი ბუნება,  
 გადაშლილიყო. სამკაულს იღებს,  
 რომ მომხიბლველი მისი მშვენება  
 შემურდებოდათ ძმათ ვანაიკებს.  
 ჩვენ მივდიოდით ეთეროვან გზით,  
 ბრწყინვა უკვდავი—ბრწყინვა მარადი.  
 უცებ მომესმა ყივილი ქათმის  
 და გამახსენდა პეტრეს ღალატი.

\*\*\*

ასეთი იყო ჩვენი სავალი,  
 სავალი სავსე ნათელ სხივებით,  
 ყოველ ჩვენგანის ფეხებით ნავალს  
 ეცვიებოდა ოქროს მძივები.  
 სვეტიცხოველთან ვიპყართ წუთი  
 და ჯვარის საყდარს რომ გადავცილდით,  
 მივყევით მტკვარის ნაპირებს მრუდეს.  
 გზაში სამ წმიდა გალობას ვცვლიდით.

\*\*\*

ცისკრობა იყო მთლად გადასული,  
 როცა სიონში ჩვენ შევიჭერთ.

მასში აღარ სჩანს ქვეყნის ასული,  
 სპეტაკი სულით და თავდაჭერით.  
 დიდმა ზარებმა არ შექმნეს რეკა,  
 ბანს არ აძლევდა მგალობელთ გუნდი.  
 ტამარს არ აჩნდა ხალხების დრეკა,  
 რამ საზეიმო, თუ გნებავს თუნდაც.  
 მყისვე იცვალა მისი ჩვენება და გარდაიქმნა ვითარცა ორბი.  
 მერწმუნეთ, მისი სახის შვენება სულ თვალწინ მიდგას სულ ჩემკენ მორბის.  
 ათეთრდა მისი გუმბათი, მზებით აყვითლდა ჭერი ოქროს ნაირად,  
 ცით გადმოეშვა ბრწყინვალე შუქი, ვით ცისარტყელა ნაირ–ნაირად.  
 სიონს კი შერჩა ქართველი სახე და გემოვნება ქართველი ქალის.  
 ქვრივად<sup>5)</sup> მორთული ფეხამდის თალხი, ნაზი გრძნობით და კლდესავით სალი.

\*\*\*

ეს იყო კვირას და ჟამი დადგა ჟამის წირვისთვის,  
 სიონი ქვრივი დათალხული ცეცხლში ელავდა.  
 მოვიდნენ ქვრივნი აქ ნუგეშისთვის და ტირილისთვის,  
 და ყველას გული უცხოდ ღელავდა:  
 „რას ნიშნავს, მითხარ, სიონის დედას დღეს უელვარებს სპეტაკად ღვარი,  
 მანგლისის დედა მუდამ მტირალი, დღეს კი ზეიმობს და მეღიმება.  
 ნინო ჯვარის წინ, სდგას თვითონ იგი, ხელში უჭირავს თავისი ჯვარი.  
 ცხადია ეს, თუ მავნე ჩვენება?!  
 სუნი სუნნელი დღეს სულ სხვაგვარად გუნდრუკს ანდრუკებს.  
 ჭერი ნიოტი დარღვეული მთლად შეცვლილია,  
 მზიური შუქი ჰგავს ციურ შუქებს.  
 მთელი ტამარი გარდაქმნილია“.  
 შიგნით უსაზღვრო ნეტარება ყველას აღმერთებს  
 და მით ავიწყებს დღიურ ურვილებს,  
 იდუმალ ძალით ჩვენთან აერთებს,  
 ჩვენთან აერთებს იმათ სურვილებს.  
 ამ წამის განცდა არის უბადლო  
 და თუ შენ მშობელს შენ შეხვედრით ვერ მოევლევი,  
 იყავი შენთვის. შეურიგდება თავის მწარე ბედს,  
 საფლავშიაც კი ღიმილი პირზედ ევლება.

\*\*\*

წირვა დაიმწყო, სხივი ანათებს  
 დაძველებულ და დაფლეთილ სამოსს.  
 ჩემი ოცნება მათზედ უნართავს  
 მწყემსებს. ბიბლიის მეხბორე ამოს.  
 მერწმუნეთ! წირვა ბევრი მინახავს,  
 აქამდისინ კი არ განმიცდია,  
 თუმცა ვებრძოდი დამკვიდრებულ ხავსს,  
 და ჩემი გული ბევრჯელ მიცდია.

მინდოდა: სულით ჩავსწდოდი სიღრმეს,  
 მსურდა, ჩემ სისხლზედ ის განმეცადა,  
 რაიც მე მაშინ მოძღვრებმა მიძღვრეს,  
 ბევრი ვეწვალე, ბევრი ვეცადე,  
 მაგრამ ამაოთ! ჩემში ეს გრძნობა  
 იყო ნამკვიდრი პაპის პაპიდან.  
 მას ემჩნეოდა ნესტი და ობი,  
 როგორც ჩემ მოძმეთ ჩვენი დაბიდან.  
 და დღეს კი შევსწვდი, დღეს განვიცადე უცხო სიამე უცხო დიდება!  
 გული აღმომხდა აქამდის მცოდე – სისხლით აღსავსე მსხვერპლათ იდება!  
 გონება შესწყდა. ენა დადუმდა, ენა ქართული მოლაპარაკე.  
 ჯერ ცივად ტანში მთლად გამაჟრჟოლა, შემდეგ გაათბო იგი უზომოთ.  
 და შევსწვდი ზეცას, როგორც არაკებს.  
 და დაბლა მიწას ჩემ გოჯის ზომით.  
 მაშინ ცხად მექნა მთელი სამყარო, მთელი კაცეთის ამაოება.  
 ძირი და ფესვი კაცთა ცოდვების.  
 მათი სიცილის მარაოება  
 და შინაარსი მათი ბოდვების.  
 შემძულდა თავი! ვეველტოდი დაბას და კაცთ მოედანს,  
 უდაბურ ალაგს ხანძეთის სალ–კლდეს ვესალმებოდი.  
 აღარვინ შველას, ლხენას მომიტანს,  
 გასამგზავრებლად ვემზადებოდი.  
 ამ დროს მომესმა ძახილი ცივად:  
 „საით მიილტვი, საბრალო მონავ?  
 დარჩი შენ ერში, გადიქეც ხიდათ,  
 სოფლის სიმძიმეს გოჯზედ ნუ სწონავ!  
 გიყვარდეს იგი, ევლე მის სახეს  
 და მასში სძებნე ღვთის ჩანასახი“.

\*\*\*

ქართლოსის სულში ღვთის ჩანასახის  
 ძნელია პოვნა, გინდ მთლად გაიღოს.  
 ნეტავ, რის მსგავსად იგი დავსახო.  
 რა მაგალითი მისთვის ავიღო,  
 სოფლათ მოვდივართ, დედაქალაქად,  
 ჯეჯილის სუნი ჩვენ აგვდის ყველას.  
 ყანამ ნიშანი შუბლს აქანდაკა  
 და გვესმის ცოტა ჩვენ მიწის წველის.  
 თუ გგვსურს, რომ მოგვცეს ჩვენ მან ნაყოფი,  
 ბარაქიანად და ერთი ასად,  
 ბუნების სიზრქე მას არ ეყოფა,  
 მას დასჭირდება ხელოვანთ მასსა.  
 ამდენ სისხლს ჩვენი რჩეული ძმების,



ქართლის მკერდზედ როს წითლად იღვარა,  
 ეძლო წალეკა მიწის სიბილწის,  
 ვითარ ცის წარღვნას და ან ნიაღვარს.  
 იმდენი ხორცი, იმდენი ძვალი  
 მან ჩაიხუტა, როგორც ნადავლი.  
 რომ მოგვეძებნა ყველა მათ კვალი,  
 შეგვექმნებოდა ბაბლის ბადალი,  
 და ჩვენი მიწა კი მიწად დარჩა,  
 ჭლეტი, გამხდარი, სისხლით ღარიბი.  
 ნავსი, მოშხამო როგორც რომ ჩარჩი,  
 თავისთვის ძუნწი, სხვისთვის ურგები.  
 ეკალს, კუროსთავს, შხამიან ბალახს,  
 შიმშილს და ცრემლებს და ვაი-ვაგლახს,  
**ნაცარქექიებს და ქონდრის კაცებს**  
**ჩვენ დღეს ის გვაძლევს.**

დილა შეცურდა ცხოვრების ზღვაში  
 და ცხოვრების ზღვა მას დახვდა ღიმიტ,  
 მოისვა გვერდით პატარა ნავში,  
**ხელში კი მისცა წიგნი და სიმი.**  
 თანაც თვალები მწარედ უხვია,  
 არ შემკრთალიყო ტალღების ცქერით.  
 უძირო წყალი მუდამ უხვია  
 დანაპირებით და გარდაქელით.  
 და ამ ტალღებზედ ბორძიკალობას,  
 ქალაქში ყველა იმედს ეძახის.  
 ნავით არ ისმის ტკბილი გალობა,  
 თვალებ აბმული განიცდის მახეს.

\*\*\*

წირვა სრულდება, საზეიმო წილს  
 ვაღწევთ ყველანი და ნეტარება  
 გვანდობს, ვითარ ჩვილს ჭუჭყი სასანთლის.  
 ჩვენ ქერუბიმთა გუნდს ვედარებით.  
 ანგელოზთა გუნდს, რომელნიც მარად  
 უკუნისამდე დაუსაბამოდ  
 ციურ საყდართან მართავენ პარადს:  
 „უფალი ღმერთი, ჩვენი საბაოთ  
 სამჯერ წმიდა არს, მისი დიდებით  
 სავსე არიან ცა და ქვეყანა“.  
 ციურ სპათაგან ის იდიდება,  
 მაგრამ ამ ქვეყნად ესეა განა?!  
 ჩვენ ვედარებით იმ ქერუბიმებს,  
 ძალგიმს ადარო ქვები რუბინებს,  
 უფო უდაბნო აღმაფრენის მტილს,

ან მთლად ჯანსაღი სნეულით შრეტილს,  
ჩვენ ვედარებით იმ ქერუბიმებს.  
თვალ-წინ წარმიდგა სულ სხვა ქერუბი,  
რომელიც უვლის ჩვენ პირველ ბინებს,  
ცეცხლიანი და იქეცი შუბით.  
ჩვენი ქერუბიც იდგა დარაჯად,  
კავკასიონს რომ მოსწყდა დურუჯი.

\*\*\*

გუნდი კი ტაძრად ჰიმნებს აგრძელებს  
და გვეუბნება დასტოვეთ ზრუნვა,  
ჭირი დღიური, სოფლის მანძილნი  
და ჯოჯოხეთის ქვეყანად ბრუნვა.  
დავუტეოთ აწ ზრუნვა ყოველი,  
დღიური ურვა და ლუკმა პური,  
ზეცის ძალთაგან შველას მოველი,  
მათკენ მიპყრია მე გულისყური.

\*\*\*

ჩვენც გვქონდა ერთ დროს რამ საზრუნავი,  
როცა ზეიმით საქმეს უდექით.  
შეკვაზმეთ ჩვენი პატარა ნავი,  
ოკეანეში გზას გავუდექით.  
დავტოვეთ ძველი ჩვენ ნავთსადგური,  
ზღვაოსნობის კი არა ვიცოდით.  
ქართული ჟინით, ქართული შურით  
და ქართველური ცეცხლით ვიწოდით.  
ახალ ნავთსადგურს ვერ მივაღწიეთ,  
(რომელ მზეებზედ ის თქვენ გეგონათ?!)  
დაიმსხვრა ნავი და გავიწირეთ.  
ასეთი საქმე მონებს შვენოდათ,  
ჩვენ გვიტაცებდა კითხვა მორიგი  
და აზროვნება ჭკუას იკლებდა.  
**უდაბურ რიყით დაგვყავდა იგი,  
ვინც ცხოვრებისკენ გზეებს იკვლევდა.  
ჩვენ მივატოვეთ უძლებ შვილივით  
მამის სახლ-კარი, ძმა და გოშია,  
და გადავვარდით შვების მტილიდან  
გველებით სავსე ცხელ უდაბნოში.**  
სიმშვილი გვვლავდა, მელორეობა  
ვიღაცა უცხო თესლთან ვიკისრეთ.  
ასპიტი გვწამლავს და მორიელი  
და ბასილისკო გვიდგა მოისრეთ.  
ღორების საჭმელს სიმმაგით ველი  
და როცა სული-სულს დაებირა,

**გარდაცვლილიყო ჩვენი მშობელი  
და მისი დაბა სხვას დაეჭირა.**

ამ ჭირს სხვა ჭირიც თავზედ დაერთო,  
შენ გზები ისე მოლიპ–მილიპე.  
„ამდენი ხანი მე ვიყავ თქვენთან,  
შენ კი მე ვერ მცნობ დღესაც, ფილიპე“<sup>(6)</sup>  
მოკლე ზღაპარი ძველის თაობის,  
წინდი მყობადის ჩვენი დროისი.  
როგორ შევექმნით ჩვენ სხვა თაობას,  
როცა არ ვიცით: რაა მისი.  
სხვაც ბევრი გვექონდა ჩვენ საზრუნავი  
და დაგვავიწყდა თავი და თავი.

\*\*\*

ზეცის სამსხვერპლოს სწვდება საკმელი,  
როგორც აბელის მსხვერპლი უმანკო.  
ამ ნეტარების წამს ლოცვით გელი,  
მინდა გიმღერო–მინდა შეგამკო.  
იხსენიებენ სახელთ გარდაცვლილთ,  
იმათ ხსენებას ბევრი შეჰნატრის,  
მათ არ იხილეს თვის ცხოვრების სვლით,  
შხამი ძმის, როგორც დაუნდობელ მტრის,  
მათი იყოს მცა ხსოვნა მარადი!  
და ღვთის მშვიდობა იმათ დაიცავს,  
იმათ ცხოვრების ფერად–ფერადებს  
ბრწყინვალე შუქი გარემოიცავს.  
ჩვენზედაც დგება საყდარში რიგი  
და თუ მის მადლმა არ დაგვიფარა,  
**ჩვენ ვერ გვიშველის ვერც ერთა ლიგა,  
ვერც ხევსურეთის მოჟანგო ფარი,**  
ჩვენ ურვიან გზებს ღმერთს აბარებენ,  
ჩვენ მატარებლებს მოლიპული გზით  
ქართველ წმინდანთა გუნდს ავალევენ,  
რომ წინ გვიძლოდნენ მიზნიან გეზით.  
რომ ღვთის სინათლე ჩვენ გვინათვიდეს,  
ბნელი ცხოვრება სამხრად აქციოს.  
ჩვენი ნაშენი სახლუკაები  
ნათლის სასახლედ გარდააქციოს:  
დედა ავედრებს ღვთიურ დედაკაცს,  
გამორიყულებს იქაც და აქაც.

\*\*\*

„რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“,  
სთქვა ერთხელ შოთამ და ჩემთვის გაგება ამის ძნელია.  
მაგრამ მეორე სიბნელე მე მესმის, კარგად მეღწევა,

რომელიც სინათლეს ებრძვის, სინათლეს კი ვერ ეწევა.  
 რას ნიშნავს ჩვენი ნათარგმნი „და ბნელი მას ვერ ეწია“<sup>7)</sup>  
 ნუ თუ იმიტომ, რომ ვიღაც სიბნელეს უხვად ეწვია.  
 არა მგონია „ეწია“ არის ქართული გრძნეობა,  
 ენის სიმდიდრის ნაყოფი და გრძნობათ უამრეობის.  
 ვერსია მეტყვის: „სიბნელემ ნათლის შეგნება ვერ შესძლო“  
 და მეორე კი: „სიბნელეს ნათლის შეპყრობა ვერ ეძლო“  
 და არის ბრძოლა მას აქეთ–სათავეს ვერვინ მიაგნო:  
 არის სიბნელე ბოროტი, თუ არ სიბნელე უგონო.  
 ჩვენი მთარგმნელი ამ ალაგას ინტუიციით ეწია,  
 როდესაც მან ჩვენ მოგვითხრა: „სიბნელე მას ვერ ეწია“,  
 სიბნელე არის იმისთვის ბოროტება და უვიციც,  
 მიაგენ შენ ჩვენ ბუნებას, ჩვენი სასულე შენ იცი!  
 რომ შენს დროშიაც არ სჩანდა ქართლი უმანკო და წმინდა.  
 მე მსურს მის სიღრმეს ჩავუწვდე, ამის გაგება მე მინდა.  
 მემატანის სიტყვების ერი მარტივი და სადა  
 ერი ლიტონი მითხარი–ნეტავ სადაა, ეს სადა?!

\*\*\*

წირვა სრულდება და ქერუბიმებს  
 იდუმალი და უხილავ წესით,  
 მეფე დიდების დაჰყავთ შუბებზედ,  
 აღმაფრენით და ვნების ტალკვესით.  
 მაცხოვარი და მეუფე ყოვლის  
 ყოველთა არსთა შემწყნარებელი!..

\*\*\*

ჩემი ოცნებაც თავის ფრთებსა შლის,  
 მისდევს ანგელოზთ, როგორც მხლებელი.  
 და იმართება აქ ლიტანია.  
 გოლგოთის მსხვერპლი კვლავ მეორდება.  
 მღვდელნი იხდიან ჩუმ მეტანიას,  
 და დედამიწა მიწას შორდება.  
 და მისტიურად განცდილი წუთი  
 წყალით და ღვინით დაიფერება.  
 ძველი უდაბნოს რჩეული მითი –  
 ახალი აღთქმის ტანჯულ ფერებით.  
 შემდეგ მეუფე შუბებს ეხსნება,  
 დაბლა მიწაზედ დაისადგურებს.  
 ეს არის მისი ღვთიური ნება,  
 რომ ხრწნილში ეძებს თვისთვის სადგურებს.  
 რომ ხრწნილი კაცი–ცოდვით მორევი  
 განასპეტაკოს და აღამაღლოს!  
 ამდენ სიყვარულს მე ვერ ვერევი,  
 ამდენ სიმდაბლეს დიდების მაღლის!

\*\*\*

შენც ემსგავსები ციურ მაცხოვარს,  
ჩემო ქვეყანავ, ჩემო სამშობლოვ,  
შენც გატარებენ მახვილის წვერზედ  
უცხო ძალები დაობლებულად,  
გუნდი არაა ეს ანგელოზთა,  
არამედ მიწა და ძალნი მისნი:  
არაზნი, სპარსნი და სარკინოზნი,  
თურქნი, სკვითელნი და შენი თვისნი.  
შენც ეძებ ბინებს, ეძებ სადგურებს,  
მაგრამ რომელში დაისადგურებ?!  
ქართლოსის შვილში აღარ გაქვს ბინა,  
მან სულ სხვა ხატნი გარს მოიფინა!

\*\*\*

ოხ, ამოდენა ცოდვის მხილებით,  
ვიყავ ტანჯული და მოწამლული.  
ძალგვიძს ჩვენ კიდევე გარდაქმნილება!  
ძალგვიძს განვაპოთ ზღვა მეწამული!  
შენ გსურს, რომ იყოს აქ დასასრული?!  
კეთილი, კარგი და ბედნიერი.  
ვთსქვა: ჩვენი ერი არის ხნიერი  
და ამისგამო იქნება სრული.  
შენთვის არ კმარა, თუ აქამდისინ  
რისხვა არ შეგვხვდა, როგორც გომორას:  
უმაღლე ბავშვებს, უმაღლე დედებს,  
უმაღლე მწყემსებს და მათ ჰომეროზს.

\*\*\*

კოტეს<sup>8)</sup> ჰანგებსაც მე ვერ წავბაძავ  
ნაცარ-ქექია ჩვენ გვიხსნის, ვიტყვი,  
იგია ჩვენი ცხოვრების ბოძი.  
მოიგერიებს მტერს თავის რისხვით,  
ნაცარ-ქექიის არაფერი მწამს  
და არც არასოდეს რამ მეწამება.  
იმისი თვალი და ყური მიწას  
არცა შორდება, არც ეწამება.  
სიმინდის ზევით თუ კიდევე არის  
რამე ქვეყანა, რამე სამყარო  
მისთვის ერთია. იყოს მაძლარი!  
მასზედ იმედი როგორ ვამყარო!..  
პატარძლეული ხეფაანთ დათა  
არის ორფეხზედ მავალი დათვი.  
კარდანახელი ამაყი დარჩო  
თვის ხელს მარჯვენას მარცხნით ვერ არჩევს.

და ხანდაკელი გლეხი ჭრიჭინა  
 თეძამში ცხენებს არ გააჭენებს.  
 იმათთვის არის დიდი სიბილწე  
 თუ თავგმა მათი ქვევრი წაბილწა.  
 ნიკა, გიგუა, ბალა, ქიტესა,  
 თვისი პურისთვის ჯვარს აცვამს ქრისტეს.  
 მე დღეს არავის, არავის ვაბრალებ,  
 მხოლოდ უსაზღვროდ მებრალებიან.

\*\*\*

მე არ მივმართამ ალეგორიებს,  
 არ ვიტყვი: ერთხელ ცა გაიხსნება,  
 ზეცა გადმოვა ალილიერის  
 და ნათელს ბნელში გზა გაეხსნება.  
 მუქთახორობას არ დაგვაჩვია  
 ჩვენმა ცხოვრებამ. რაც მივალწიეთ,  
 მას ჩვენი სისხლით ნაპოვნი ჰქვია.  
 მისი სიმძიმე ჩვენვე ავწიეთ.  
 სახე მე არ მჭირს ალეგორული,  
 არც განცხადება და არც სიმბოლო,  
 თავი ამ სიტყვის იყო ქართული  
 იყოსმც ქართული ამ სიტყვის ბოლო.

\*\*\*

მე დღეს არვის არ ვეკამათები,  
 არცა მჭირია რომ ვიკამათო.  
 არ ვარ პარტიის წევრი მართები,  
 საპნის ბურთისთვის კამათი ვმართო.  
 ისე სდგას მაღლა ეს ჩემი სიტყვა  
 თქვენ ნაცოდვარზედ, ნათქვამ, ნაფიქრზედ.  
 რომ ის წალეკავს მათ როგორც სეტყვა,  
 შენც მიმიხვდები, თუ დაუფიქრდი.  
 ეს ჩემი სიტყვა შეიქმნა ტანჯვით.  
 შეყენებული მწერდა წერილებს:  
**„მოიხსენ პირით დუმილის ჯაჭვი  
 და უპატრონე ქართლოსის შვილებს“.**  
 მხოლოდ სიკვდილი, მხოლოდ დანგრევა,  
 მხოლოდ ხრწნილება და ცეცხლში დაწვა  
 თქვენ შეგიძლიანთ, მისი ბუნების მწარედ აღრევა  
 და წითლად ხოკა იმისი დაწვის.  
 თქვენ ავადმყოფურ ოცნებით უსპობთ  
 იმას, რაც კიდევ დღეს ჯანსაღია.  
**რისთვისა ხოცავს, თუ ახლებს ვერ შობს  
 ეგ თქვენი აზრი მდარე და მძაღე!**  
 ჩვენ ვართ მშვიდობის მქადაგებელნი

სათნობისა და სიყვარულის.  
 ჩვენ ნავალ კვალებს გზაზედ ეგება  
 სრული ცხოვრება და სიხარული.  
 ჩვენც გვსურს თქვენსავით. მიტომ მოველით,  
 რომ ქვეყნად ცეცხლი ჩამოგვეტანა  
 და თუ მის კვალი დააჩნდა სოფელს,  
 ამას დაგვმადლის მემატთანე.  
 სიკვდილის უმალ მკვდრეთით აღსდგება,  
 ორბისა მსგავსად ახალი არსი.  
 მომმეთ წინაშე პასუხის გება  
 იქნება მისი სვლის შინაარსი.  
 ჩვენ ვსპობთ მხოლოდ მას, რაც ცოდვილია.  
 ხელით კი დაგვაქვს შენთვის მალამო.  
 ვართ ძველი შჯულის მკაცრი ილია,  
 ხვედრათ კი გვერგო ჩვენ დღეს **ბალამო!**<sup>9)</sup>

\*\*\*

მეც მას გპირდები, რაც შემძლიან  
 ფანტაზიებით გზებს არ გიხლართავ.  
 რაც შენში ბედით მწარედ იძლია,  
 მას მივადგები, იმას მივმართავ.  
 და თუ ჩვენ მხარეს ოდეს ეღირსა  
 მკვდრეთით აღდგომა და განახლება,  
 ეს ჩემი სიტყვაც, შენთვისაც ღირსი,  
 იმის შენობის კუთხეს ახლდება.

გრიგოლ ფერაძე  
 ღვინობისთვე, 1929. ქ. ბონნი.

### შენიშვნები:

- 1) ხალხის გადმოცემით, 5 იანვარს წმ. აბოს წამების დღეს, ტფილისში, მოწამეთა ხიდთან ჩნდებიან მისი მტკვარში არაბთა მიერ გადაყრილი წმ. ნაწილები.
- 2) ე.ი. ვერგახდება ტყვედ.
- 3) მარკოზი 2,9
- 4) რაფი, ცნობილი რომანისტი მე-19-ე საუკ., რომელიც მომეტებულ წილად იღებდა სიუჟეტებს ტფილისის ცხოვრებიდან.
- 5) სიონის ტაძრის შენება, დაწყებული ვახტანგ გორგასლანის მიერ, დაასრულა გვარამ მეფის დროს ერთმა უცნობმა ქვრივმა (იოსელიანი, სიმველენი ქალაქ ტფილისის, (რუსულად, ტფ., 1866), გვ. 94).
- 6) იოანე 14,9.
- 7) იოანე 1,5.
- 8) კოტე მაყაშვილი.
- 9) ბალამი, წინასწარმეტყველი ძველი შჯულის, დავალება ჰქონდა შეეჩვენებინა ებრაელთა ერთ-მაგრამ შეჩვენების მაგიერ იგი აკურთხა. რიცხვთა 22, 23, 24.

**ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, #4, პარიზი, 1934, გვ. 31-55.**

## ГРИГОРИЯ ПЕРАДЗЕ «КТО ИЗ КЕРУБИМОВ»

შოთა ზოიძე

### РЕЗЮМЕ

О духовной и гражданской деятельности Григория Перадзе мы имеем очень много комментариев, как в Грузии, так и за её пределами. Но подобнее ничего не встречал и его поэтической наследственности. Моё исследование первая попытка критического анализа имеющего под рукой поэтического образца—этого святого деятеля.

В этой работе представлен анализ художественного достоинства одного стихотворения («Кто из Керубимов»). Установлен, что это стихотворение носящий как нравственный и познавательный постулат и как поэтический образец, достойное место займёт в грузинской эмигрантской поэтической антологии.

### ლიტერატურა:

1. წმ. გრიგოლ ფერაძე, „რომელნი ქერუბიმითა“, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, #2, 1932, პარიზი, გვ. 3–5, გ. შარაძე–„უცხოეთის ცის ქვეშ“, წიგნი II, გამომც. „მერანი“, 1993 წ.,
2. პაპროცკი, 2006 – ჰერნიკ პაპროცკი – „გრიგოლ ფერაძე – ხიდი ქართველთა და პოლონეთს შორის“, გაზ. „24 საათი“, 1 სექტემბერი, # 193.
3. კაპანაძე, 2011 – შუშანიკ კაპანაძე – „წმინდა მღვდელმონაწამე არქიმანდრიტი გრიგოლი“, გაზ. „ყველა სიახლე“, 30 ნოემბერი – 6 დეკემბერი, # 47.
4. ფერაძე, 2012 – რომანოზ ფერაძე – „წმინდანად შერაცხული გმირი“, გაზ. „ყველა სიახლე“, 13–19 იანვარი, # 24.
5. ჯაფარიძე, 2004 – გოჩა ჯაფარიძე – „გრ. ფერაძე პოლონეთში“, გაზ. „24 საათი“, 24 დეკემბერი.
6. გრიშკაშვილი, 2009 – ამბროსი გრიშკაშვილი – „წმინდანი და მეცნიერი“ (უცნობი მასალები გრ. ფერაძის შესახებ“, თბილისი.
7. ფერაძე, 2005 – ილია ფერაძე – „გრიგოლ ფერაძე „მღვდელი მონაწამე, მოქალაქე, მეცნიერი“, თბილისი.
8. შარაძე, 1993 – გურამ შარაძე, „უცხოეთის ცის ქვეშ“, მეორე წიგნი, გამომც. „მერანი“.
9. ჭილაია, 1971 – ანდრო ჭილაია, „ლიტერატურისმცოდნეობის მოკლე ცნობარი“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.
10. შატობრიანი, 1947 – რანსუა რენე შატობრიანი, „უკანასკნელი აბენსერაჟი“, გამომც. „საბჭოთა მწერალი“, თბილისი.
11. ფერაძე, 1932 – ფერაძე გრიგოლ, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, პარიზი.



## ნიჰილიზმი - ღებენარაციის მარკერი

*/მიხეილ ჯავახიშვილის რომანების - „კვაჭი კვაჭანტირაძე“  
და „ჯაყოს ხიზნები“ - მიხედვით/*

### შორენა მასაჭაძე

ნიჰილიზმი ლათინური სიტყვაა და არაფერს/არარას ნიშნავს. მას ბევრი სხვადასხვა განმარტება გააჩნია, მაგრამ ჩვენ ამ ტერმინს გამოვიყენებთ მისი ზოგადფილოსოფიური მნიშვნელობით, როგორც საყოველთაოდ მიღებული ღირებულებების, იდეალების, ზნეობრივი ნორმების, კულტურის ეჭვქვეშ დაყენება, უარყოფა. სიტყვა „ნიჰილიზმს“, ჩვენი გაგებით, აქვს აშკარად უარყოფითი კონოტაციები. მასში შეერთებულია სკეპტიციზმი და ტოტალური იმედგაცრუების, უპერსპექტივობის განცდა, რასაც ბუნებრივად მიჰყავს ადამიანი იმის დაშვებამდე, რომ ყველაფერი ნებადართულია, აქედან ანარქიამდე, უზნეობის ზეიმამდე, ჩვენს შემთხვევაში კი - ყველაფერი ქართულის უარყოფამდე - (დაწყებული საქართველოს ისტორიით, აწმყოთი და მომავლის პერსპექტივით, კულტურითა და ტრადიციებით, ენითა და მწერლობით, ხალხითა და მიწითაც კი) - ერთი ნაბიჯია. შესაძლებელია, ეს ვინმეს არსებული სურათის მეტისმეტ გამუქებად ან პოსტმოდერნისტული ეპოქისათვის (რაც კრიზისული ეპოქის სინონიმია) დამახასიათებელ ღირებულებათა გადაფასების ბუნებრივ თუ თანამდევ პროცესად მოეჩვენოს, მაგრამ, ფაქტია, დღეს ქართულ სინამდვილეში, რაც ყველაზე უფრო შემამფოთებელია, ქართულ მწერლობაში (ხელოვნებაში - ზოგადად) ნიჰილიზმი ყვავის. ეს უპირველესად უცხო კულტურის (თუ - უფრო უკულტურობისადმი) მონური ქედმოდრეკა და მიბაძვაა, რასაც მოსდევს „ზნეობრივი გახრწნა, ეროვნულ-ფიზიკური დეგენერაცია, ასნაირი ბოროტება, ავაზაკობა და ისევ უსახელო სიკვდილი“ (ჯავახიშვილი, 2011:332).

ჯერ კიდევ 1927 წელს წერდა მიხეილ ჯავახიშვილი: „ამერიკანიზაცია, ინდუსტრიალიზაცია ძალიან კარგია, მაგრამ ხელოვნებაში იგი პრიმიტიულობას უდრის... არ გვარგებს, ძველი ხალხი ვართ, სიბრძნით და ტრადიციებით დატვირთულნი“ (ჯავახიშვილი, 2011:389). ამას ამბობდა ევროპაში განათლებამიღებული ადამიანი, რომელმაც იცხოვრა ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი დიქტატურის ეპოქაში, „მწერლობის მოთვინიერების“ ხანაში, მართალია, მისი „მოთვინიერება“ ვერ შეძლეს, მაგრამ ამ „ურჩობას“ შეეწირა კიდევ. გავიხსენოთ მისი სიტყვები: „რწმენა ვინმესი ან რაიმესი - ქრისტესი, მაჰმადისა, ეროვნებისა, პროგრესისა - აი, მხოლოდ ეს რწმენა და განვითარებული გონება ასხვავებს მეტყველ ადამიანს ურწმუნო პირუტყვისგან...“ (ჯავახიშვილი, 2011:331). საუბედუროდ, სწორედ ამ „რწმენას“ უკრძალავდნენ ბოლშევიკები მწერალს, ამ რწმენის გამო სდევნიდნენ და ბოლოს - ამის გამო სიცოცხლაც მოუსწრაფეს.

არადა, მიხეილ ჯავახიშვილი ის მწერალია, ილიას მკვლელობის ღამეს ერის მამის სისხლიან ბალიშზე რომ ედო თავი. მას არც თავისი ცხოვრებით, არც - შემოქმედებით ერთი წუთითაც არ გადაუხვევია ილიას გზიდან. მან ილიასეული პირუთვნელობით ამხილა ქართველი ხალხის ნაკლი, ილიასეული გაბედულებით, თავგამეტებით იბრძოდა ეროვნულის, ქართულის შესანარჩუნებლად. სამწუხაროდ, აღსასრულიც ილიასეული ერგო (თუ - უარესი - არა! ჩვენ ხომ მისი საფლავიც არა გვაქვს!) მას კალამი, მართლაც, გოლგოთის ჯვრად ექცა!

ვნახოთ, როგორი გულისტკივილი ისმის ჯავახიშვილის სიტყვებში: „დღევანდელი ქართული მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერებაც, მეტად მცირე გამონაკლისის გარდა, მოსკოვის ნაბუშარია. საკუთარი ქართული სული იშვიათად მოსჩანს სადმე. მხოლოდ სრულ თავისუფლებას შეუძლიან ეს უცხო სისხლი მოგვაშოროს. მხოლოდ ქართულის ფოლადურ რომანტიკას შეუძლიან სავსებით განგვეკურნოს, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენს ირგვლივ და ჩვენს სულიერ-ფიზიკურ ცხოვრებაშიც ნამდვილი გამაჯანსაღებელი კატაკლიზმი მოხდეს - „ჩვენ კი ჩვენს თავს არ ვეყუდნით“ და ამიტომ მოლოდინის მეტი აღარა დაგვრჩენია არა“ (ჯავახიშვილი, 2011:381).

ისევ და ისევ „ბედნიერი ერის“ ავტორი გვახსენდება, როცა ვკითხულობთ: „სამი რამ აკლია ქართველს: ეროვნული შეგნება, რეალობის ალღო და შრომის უნარი.

- ძალიან ცოტა ჰკლებია, არ ვიცი, რაღა შერჩა.

- მადა, ზარმაცობა, ოცნება“ (ჯავახიშვილი, 2011:396).

ის კარგად ხედავდა, რომ გაწითლებული, „დამარცხებული და განადგურებული საქართველო დაემსგავსა ქეციანს, დაღრეჯილს, დაშინებულ და კბილებალესილ მგელს“, ხედავდა, როგორ „დაგვცა და გაგვათახსირა რუსულმა კულტურამ“, ამიტომ თავადაც ისე დადიოდა თავის „დედაქალაქში, როგორც სასაფლაოდან დაბრუნებული ქვრივი“, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, „თითქო ჩემს დასაფლავებას ვესწრები-მეთქი“ (ჯავახიშვილი, 2011:382-385), მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მწერალს სძულდა ბოლშევიკური საქართველოს „დღევანდელობა“, მას არასოდეს შეუტანია ეჭვი მის ნათელ, მზიან ხვალინდელ დღეში, მუდამ სწამდა მისი მომავალი. მან იცოდა: ამ რწმენის გარეშე ერისა და ქვეყნის გადარჩენისთვის ბრძოლა შეუძლებელი იყო: „დღევანდელ ქართველ მწერალს რწმენა აკლია და კრიზისის სათავეც სწორედ აქ არის. რასაც ამბობს, არა სჯერა და რაცა სჯერა, ვერა სწერს. როცა სატირალი აქვს, იცინის და სადაც ეცინება, სტირის. ამიტომ არის მისი პათოსი ყალბი და მჩატე. მოჰგლიჯეთ პირიდან ბოქლომი და ნახეთ: ისე ატირდება, რომ მისი ცოდვით ქვაც კი დადნება, და ისეთ ლოცვას იტყვის, რომ დვთისმშობელსაც გააცოცხლებს“ (ჯავახიშვილი, 2011:388).

მიხეილ ჯავახიშვილის „მასალები ლექციისათვის“, რომელიც 1927 წლით თარიღდება, სწორედ რწმენადაკარგული ნიჰილისტების წინააღმდეგაა მიმართული. როგორც ვნახეთ, არც თავად მწერალი უყურებდა ვარდისფერი სათვალეებით თავის თანამედროვე საქართველოსა და ქართველებს, მაგრამ ამ ცხოვრების დარჯაკში გამოვლილმა, უგანათლებულესმა შემოქმედმა ისიც იცოდა, რომ „ამ ქვეყნად ცალ-ცალკე მარტო ანგელოზები ან ეშმაკები არცა ცხოვრობენ. ჩვენც ისეთივე ადამიანები ვართ, როგორც სხვები - ყველანი, და ჩვენცა გვყავს (თუ გვაქვს) ეშმაკიც და ანგელოზიც. ცალთვალა მხოლოდ ერთ-ერთს ხედავს: ან მარტო ანგელოზს (რომანტიზმი), ან მხოლოდ ეშმაკს (ნიგილიზმი, პესიმიზმი). ორთვალა კი ყოველი ხალხის ხასიათსა და ისტორიაში ადვილად აღმოაჩენს ორივეს. არ არსებობს ტომი, რომ თავისი გენიალობა (ანგელოზი) არა ჰქონდესო“ (ჯავახიშვილი, 2011:331) - დასძენს მწერალი და ნიჰილისტთა თვალსაზრისის გასაბათილებლად უხვად პოულობს ქართველი ხალხის ისტორიაში, ხასიათსა და მატერიალურ, გონებრივ და სულიერ-ზნეობრივ კულტურაში ამ გენიალობის (ანგელოზობის) დამადასტურებელ მაგალითებს, დაწყებული ქართველი ხალხის დახვეწილი „ფიზიკური ჯიშით“, რომელიც „დიდი კულტურის შედეგია“ და, რომელშიც ჩადვრილია „ბიოლოგიური გამძლეობაც“: „ხალხთა უღვეველ ჭიდილში ქართველ ხალხს ებრაელთა უკვ-დავება და ჯიანჭველას ძალა აღმოაჩნდა ... მაინც ზეზე ვართ, მაინც ვცხოვრობთ, მაინც

ვიცხოვრებთ“ - დამთავრებული ჰუმანისტური ხელოვნებით, რომლითაც ევროპასაც კი გავუსწართ (ჯავახიშვილი, 2011:322-342).

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, მიხეილ ჯავახიშვილისთვის სკეპსისით გულგამოჭმული, ნიკილიზმით დაავადებული ადამიანი მისაღები ვერაფრით იქნებოდა, ამიტომაც მის რომანებში ნიკილიზმი პერსონაჟის დეგენერაციის, დაცემის მაჩვენებელი ერთ-ერთი მძლავრი მარკერია. ასეა მის პირველ რომანში „კვაჭი კვაჭანტირაძე“. ალბათ, ძნელია წარმოიდგინო კვაჭიზე უფრო გაქნილი, თაღლითი, გაიძვერა, უპრინციპო ადამიანი, რომლისთვისაც არაფერი წმინდა არ არსებობს, მათ შორის არც ღმერთი და არც კაცი, არც სატრფო და არც მეგობარი, არც მშობლები და არც თანამემამულენი, არც მტერი და არც მოყვარე, რა თქმა უნდა, არც - სამშობლო: „სილიბისტროს შვილს მტკიცედ, ღრმად და ურყევად სწამდა, რომ ამ ქვეყნის ღერძი და დედაბოძი მხოლოდ და მხოლოდ ფულია, ხოლო დანარჩენი, რაც კი არსებობს – მთელი მსოფლიოს სული, გულიც და ხორციც – უკლებლივ ყველაფერი მხოლოდ ფულის მტვერია, მისი ყურმოჭრილი მონა-მორჩილია და ყოველივე ისევე იყიდება, როგორც ის ერთი წყვილი საცვალი, რომელიც მან იმ დღეს იყიდა ბათუმში“ (ჯავახიშვილი, 1960:329).

ბუნებრივია, ასეთი ფილოსოფიის მქონე - გარეგნულად მომხიბლავი, მოქნილი, გამჭრიახი, გონებამახვილი მლიქვნელი, გაიძვერა, მედროვე - არანაირ სისამაგლეზე არ დაიხვეს უკან. კვაჭი კვაჭანტირაძე მტაცებლის უტყუარი ინტუიციით ალღოს უღებს შეცვლილ პოლიტიკურ სიტუაციას: ხან თეთრია, ხან - წითელი, თუმცა სიმბოლურია, რომ „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ მოქმედება ხდება 1905 წლიდან 1921 წლამდე პერიოდში, რამდენადაც 1921 წელს საქართველოში ძალაუფლება ხელთ დიდი გაქანების მქონე მსხვილმა „პოლიტკვაჭებმა“ ჩაიგდეს, რომლებთან შედარებით კვაჭის „კვაჭობა“ მცირე თაღლითობად გამოჩნდა. როგორც ვიცით, თავის გადარჩენის ინსტინქტი კვაჭის გამაფრებული ჰქონდა, ამიტომაც დროულად გაერიდა ბოლშევიკებს და გადაიხვეწა თურქეთში.

სავსებით სწორია გურამ გვერდწითელი, როდესაც აღნიშნავს, რომ კვაჭი კვაჭანტირაძე „უთუოდ გროტესკული, მხატვრულად გაზვიადებული სახეა, თუმცა ამით მისი რეალისტური ბუნება ოდნავადაც არ იჩქმალება... იგი გვიხსნის ყველა „წვრილფეხა და მსხვილფეხა“ კვაჭის გარეგნული ბრწყინვალეობით შენიღბულ სულიერ სიმახინჯეს, ზნედაცემულობას“ (გვერდწითელი, 1977:87).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კვაჭისთვის არავინ და არაფერი წმინდა არ არსებობს. ბევრისმთქმელია მისი დამოკიდებულება სამშობლოსადმი. როგორც ყველა გადაგვარებული ნადირალა, ის უსამშობლო კოსმოპოლიტია, ნიკილისტი და უსინდისო: „საცა გემრიელი ლუკმა მაქვს, ჩემი სამშობლოც იქ არის“ ... „ან რა არის დიდი საქართველო? ბათუმში რომ თავი მისდო დასაძინებლად, ფეხები უნდა ქიზიყს მიაბჯინო; სოხუმში რომ ცხვირი დააცემინო, სიღნაღიდან გემახიან „ხერიო“. ქუთაისში ლაითამესთან ან ერემოსთან დანიელა ურიამ რომ მრავალ-ქამიერი დაიწყოს, ყაზბეგიდან ბანს ეტყვიან, ხოლო თელავიდან მადლობელს შემოსძახებენ; ბორჯომში რომ პაპიროსი ამოიღო, ფოთიდან ოცი ხელი მაინც მოგწვდება – ჩვენც მოგვაწვევინო; მერალი ხელსახოცი რომ იპოვნო, მთელი საქართველო მორბის ყვირილით – „ჩემია! ჩემია!“ (ჯავახიშვილი, 1960:238).

ეს მსჯელობა ზუსტად ახასიათებს კვაჭი-ტრიქსტერს, ანტიგმირსა და ფსევდორაინდს, როგორც მას მკვლევარი მანანა კვაჭანტირაძე უწოდებს: „ტრიქსტერი კი ისაა, ვისთვისაც ბედისწერად არასოდეს იქცევა დიდსულოვნება და კეთილშობილება; ვისთვისაც ხერხი ყოველ-თვის სჯობია ღონეს, ნაზრახი სიცოცხლე - სახელოვან სიკვდილს, მსოფლიო გეოგრაფიული

სივრცე - საკუთარ სამშობლოს და ა.შ... რომელიც სულით დაუმძიმებელი სხეულით სულ ზედაპირზე სრიალებს“ (კვაჭანტირაძე, 2010:51-52).

ამ „სულით დაუმძიმებელი სხეულის“ მქონე კვაჭიზე უარესი ვინდა უნდა დაეხატა მწერალს, რითი შეიძლებოდა მკითხველის გაოცებაცა და შეძვრაც ერთდროულად, მაგრამ ჯავახიშვილის გენიამ ესეც მოახერხა და „ჯაყოს ხიზნებში“ ქართველი კაცის, რაც ყველაზე მძიმეა, განათლებული ინტელიგენტის, „ჯიშიანი“ თავადის (რომლის მიმართ სიტყვა „ჯიშიანი“ ცინიკურ დაცინვად ისმის) დაცემა-გადაგვარების შემადრწუნებელი სურათი დაგვიხატა და, როგორც ცნობილია, ამ შემთხვევაშიც ილიას ბედი გაიზიარა: ქართველმა ინტელიგენციამ თეიმურაზ ხევსთავის სახე, ისევე როგორც თავის დროზე ქართველმა თავადაზნაურობამ - ლუარსაბ თათქარიძისა - პირად შეურაცხყოფად მიიღო. არადა, ამ ორ პერსონაჟს რომ უამრავი საერთო აქვს, მათ შორის დიალოგური კავშირი რომ აშკარაა, არაერთ მეცნიერს აღუნიშნავს.

აკაკი ბაქრაძე შესანიშნავ წერილში „მოუხმარელი ანუ ტრაგიკული თავისუფლება“ - დიდებულად ახასიათებს თეიმურაზ ხევსთავს, რომლისთვისაც თავისუფლება, მართლაც, მოუხმარელი ანუ ტრაგიკული აღმოჩნდა (ბაქრაძე, 1981:81-98). ხევსთავს არ სჭირდებოდა არც კლასობრივი თავისუფლება (ის თავადი იყო), ვერც სულის თავისუფლებამდე ამაღლდა (ის ლაჩარი იყო), ვერც სხვისი თავისუფლებისთვის იბრძოლებდა (ამას ფოლადის ნებისყოფა და უდიდესი ენერჯია სჭირდებოდა, რომლებიც თეიმურაზს არ გააჩნდა), არც ეროვნული თავისუფლებისთვის საბრძოლველად გამოდგებოდა, რადგან არ სწამდა ნაციონალური ენერჯიის და მხოლოდ ნიჰილისტურად ლაყბობდა: „ქართული სული! ქართული კულტურა! ქართული სული ზღაპარია! ქართული კულტურა ჭორია! ერთი სული მხოლოდ ერთს მთლიან ერს აქვს, ქართველობა კი, როგორც ფსიქიური და ეროვნული ერთეული არ არსებობს“ (ჯავახიშვილი, 1985:109-110). ბუნებრივია, ასეთი სკეპტიციზმით გულგამოჭმულ კაცს არაფრისთვის არ ძალუძს ბრძოლა. იგი უენერგიობის, უმოქმედობის, უნაყოფობის, უმიზნო, ფუჭი ლაყბობის, ცრუ კვებნის განსახიერებაა. ის განგებ იბრძავებს თვალს, ყველაფერს ობიექტურ მიზეზებს აბრალებს, რომ სუბიექტურად იმართლოს თავი, მაგრამ ამ ორმოცი წლის ახალგაზრდა მოხუცს - ნათავადარს, ნამამულევს, ნამოღვაწარს, ნავეჟილარს, რომელსაც „მარღვები სისხლის მაგივრად თითქო გაზეთების ნაგლეჯებით ჰქონდა გამოტენილი“ (ჯავახიშვილი, 1985:34) - ვერაფერი გაამართლებს. ის პასუხისმგებელია საკუთარი გვარის, ოჯახის, მარგოსა და, ზოგადად, ხალხის წინაშეც. ის იმ ინტელიგენციის წარმომადგენელია, რომელიც სათავეში მოექცა ხალხს, ლხინში წინ უძღოდა, ხოლო ჭირში უკან მიჩანჩალებდა.

მიხეილ ჯავახიშვილი დიდოსტატურად გვიჩვენებს თეიმურაზის დაცემის შემადრწუნებელ სურათს, შედეგიც შემზარავია - ადამიანური ღირსების ფეხქვეშ გათელვა. მწერალიც უძლიერესი მეტაფორით გვაგრძნობინებს ხევსთავის ტრაგედიას: „იმ დღიდან თეიმურაზს მისი სიცოცხლე კისერზე ისე ჩამოეკიდა, როგორც ლეკვის აყროლებული ლეში, რომელიც ვერ იქნა და ვერ ჩამოიგლიჯა“ (ჯავახიშვილი, 1985:129).

ნახუცარ ივანესთან საუბრებისას თეიმურაზ ხევსთავი ნიჰილისტურად მსჯელობს საქართველოს შესახებ: „საწ... წყალი ქართლი!.. იგი მომაგონებს დაბერებულს, ქაჩალს, უკბილოს, ბრუციანსა და დაყრუებულ ნაკაცარს, რომელსაც ჭამისა და განძრევის შნოც აღარ აქვს“ (ჯავახიშვილი, 1985:89) და ხევსთავთა გვარის უკანასკნელი შთამომავალი იმასაც ვერ ხვდება, რომ ამ სიტყვებით ის, ფაქტობრივად, ავტოპორტრეტს ხატავს.

სხვათა შორის, თეიმურაზს აქვს „გამონათებები“: ის საკმაოდ საღად მსჯელობს ქართველი ხალხის თვისებებზე, ხატავს მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს. მას მიაჩნია, რომ

ქართველები ბუნებით არისტოკრატები არიან, შესაბამისად, მათ მიერ დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება იყო საკუთარი ქერქიდან ამოხტომა და ყირამალა დგომა, კულაბ-ზიკურ-აზნაურული მაიმუნობა: „ყველანი ბუნებითვე აზნაურები ვიყავით, ვართ და დავრჩით. ყველა შრომას გაურბის და მინისტრობას და კომისრობას ეტანება. მთელი საქართველო სამსახურს ეძებს“ (ჯავახიშვილი, 1985:119).

თეიმურაზს არ მოსწონს თანამემამულეთა მეტისმეტად მოჭარბებული წამბაძველობის ნიჭიც. ამიტომაც დაემსგავსა ქართველი ხალხი მაიმუნს: სადაც საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა არ ჰყოფნის, იქ უცხოელთა წაბაძვით ცდილობს ლელოს გატანას. ის, ასევე, ხაზს უსვამს ქართველი კაცის ხასიათში ფულის სიყვარულსა და მისი შოვნის ხერხების, ვაჭრობის, მრეწველობის სიძულვილს. მისი აზრით, ქართველებს აკლიათ შრომა და ნებისყოფა, ესე იგი, – კულტურა, ამიტომაც გაამასხარავეს XIX საუკუნეში ვაჭარი: ადამიანს სძულს ის, რაც არ ეხერხება. ხევისთავის თქმით, „ფულიანების მახვილს ქართველებმა დაუპირისპირეს აზნაურული ფარი - დენდობა და რაინდობა, ესე იგი, ფუქსავატი ცხოვრება, მფლანგველობა, ყოყოჩობა, კულაბზიკობა, ნებამოშლილი ადამიანის უძლური ამპარტავნება და ლატაკის ჭექა-ქუხილი“ (ჯავახიშვილი, 1985:113-115).

როგორც ვხედავთ, ხევისთავმა თეორიულად კარგად იცის, რა უბედურებაც სჭირთ ქართველებს, თუმცა პრაქტიკულად თვითონ სწორედ ისე ცხოვრობს და იქცევა, როგორც მის მიერ დახატული ტიპური ქართველი. მაგალითისათვის ვნახოთ, სადამდე მიიყვანა ხევისთავის ყურწაგდებულობამ მისი სასახლე და მამული: „სახლში არცერთი წიგნი აღარ მოიპოვებოდა. თეიმურაზის მამის სურათი ფერადებით ნახატი და მშვენიერ მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული, ხონჩად არის გამოყენებული. ხატები და უძველესი წიგნების ყდეები მწნილებისა და ყველის ქილებისათვის დაუხურავთ...“ (ჯავახიშვილი, 1985:71). ეს სურათი მიგვანიშნებს, პირველი: სადამდე შეიძლება მიიყვანოს მამული, სასახლე, საკუთრება, სიწმინდეები უპატრონობამ, უგულისყურობამ, სიბეცემ, ფუქსაქმიანობამ, ბედოვლათობამ - ყველაფერ ამის მშობელი კი ნიპილიზმია, რომელიც ნებისყოფის, ქმედების, აქტივობის უნარის ატროფიას, დეგენერაციას იწვევს. სხვას რას უნდა ელოდე იმ ადამიანისგან, რომელსაც მიაჩნია: მისი ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ საქართველოში დაიბადა.

მეორე, ეს სურათი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ დაიჭირა უძველესი კულტურის, ტრადიციების მქონე არისტოკრატის ადგილი ბნელმა, უწიგნურმა, ველურმა, უკულტურო საზოგადოებამ, ვისთვისაც არ არსებობს არავითარი წმინდა, მშვენიერი, ამაღლებული, ტრადიციული და ესეც ისევ და ისევ ნიპილიზმით დაავადებული, დეგრადირებული „მოარული ენციკლოპედიის“ „დამსახურება“.

თანამედროვე ქართველმა ნიპილისტებმა არ უნდა დაივიწყონ სიტყვის დიდოსტატის მიერ, მართლაც, იგავმიუწვდენელი ხელოვნებით შექმნილი ეს პერსონაჟები - კვაჭი კვაჭან-ტირაძე და თეიმურაზ ხევისთავი, რომელთა პიროვნების დეგენერაციის ერთ-ერთი უმთავრესი მარკერი სწორედ ნიპილიზმია, ისაა ერთ-ერთი განმაპირობებელი მათი სულიერ-ზნეობრივი დაცემისა და გადაგვარებისა. ისინი ნათელი მაგალითია იმისა, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ცალკეული ადამიანი და მთელი ერი ურწმუნობამ, სკეპსისმა და ნიპილიზმმა. არ უნდა დაივიწყონ მიხეილ ჯავახიშვილის გაფრთხილება: თუ არ მოუვლი, შეინახავ იმას, რაც წმინდა და ძვირფასია და რაც შენმა წინაპრებმა ასეთი წვითა და დაგვით დაგიტოვეს, თუ სტუმარს მასპინძლად გაიხდი, ან დიდი თუ პატარა კვაჭების კლანჭებში მოექცევი, ან ჯაყოს ხიზნად ანუ საკუთარ მამულში ლტოლვილად იქცევი. ასეთი საშიშია ნიპილიზმი, ასეთ შედეგებამდე მიჰყავს მას ცალკეული ინდივიდი თუ მთელი ერი.

## NIHILISM - DEGENERATION MARKER

/According to Mikheil Javakhishvili's Novels – "Kvavichi Kvachantiradze" and "Jaqo's Dispossessed"/

SHORENA MAKHACHADZE

### SUMMARY

Nihilism is a Latin word and means nothing/zero. It has many different definitions, but we use this term in its general philosophical sense as denying and universal values, ideals, moral norms, culture. The word "Nihilism", in our sense, has obviously negative connotations. It is connected to skepticism and the feeling of total disappointment, which is naturally attributable to the fact that everything is permitted, from here to anarchy, to the day of immorality, and in our case - to the denial of everything that is Georgian – (starting with the history of Georgia, with the perspective of the present and future, cultures and traditions language and writings, people and even the land).

Mikheil Javakhishvili single-mindedly uncovered the defect of the Georgian people; he was fighting for the nationality of Georgians so courageously as Ilia Chavchavadze did. Despite the fact that the writer hated Bolshevik "Today's Day" of Georgia, he never doubted its bright, sunny day and always trusted in its future. He knew that it was impossible for the nation and the nation to survive without faith.

Mikheil Javakhishvili's "Materials for Lecture", dated 1927, is directed against the faithless nihilists. He would not accept people suffered by skepticism and nihilism, therefore, in his novels the nihilism is one of the powerful markers of the degeneration and the fall of the character. For Kvavichi Kvachantiradze no one and nothing is sacred. His attitude towards homeland is quite remarkable. As all degenerate villain, he is a cosmopolitan without homeland, nihilist and shameless.

Nihilism is not unknown for an educated person and a representative of the ancient aristocratic family member - Teimuraz Khevistavi. In parallel to the degradation of this villain, his hatred and disgust towards the homeland and the Georgian people is increasing, because he blames everyone in his inaccuracy and stupidity except for himself. Kvavichi Kvachantiradze and Teimuraz Khevistavi are clear examples of what unfaithfulness, skepticism and nihilism can do with an individual and the entire nation.

### ლიტერატურა:

1. **ბაქრაძე, 1981:** ბაქრაძე აკაკი, „მოუხმარელი ანუ ტრაგიკული თავისუფლება“, იხ. წიგნში: „პილპილმოყრილი მადლი“, გამ. „მერანი“, თბილისი.
2. **გვერდწითელი, 1977:** გვერდწითელი გურამ, მიხეილ ჯავახიშვილი, გამ. „მერანი“, თბილისი.
3. **კვაჭანტირაძე, 2010:** კვაჭანტირაძე მანანა, „ტრიქსტერი როგორც ანტიგმირი“ (მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“), იხ. კრ. „ქართული ლიტერატურა მოდერნიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი.
4. **ჯავახიშვილი, 1960:** მიხეილ ჯავახიშვილი, „კვაჭი კვაჭანტირაძე“, რჩ. თხზ. ტ. 3, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
5. **ჯავახიშვილი, 1985:** მიხეილ ჯავახიშვილი, „ჯაყოს ხიზნები“, გამ. „მერანი“, თბილისი.
6. **ჯავახიშვილი, 2011:** მიხეილ ჯავახიშვილი, „უბის წიგნაკიდან“, „მასალეები ლექციისათვის“, იხ. შვიდტომეული, ტ.7 გამ. პალიტრა, თბილისი.

## ენათმეცნიერება

### სუფიქსური წარმოება მარადიდის ტოპონიმიაში<sup>9</sup>

#### გამია ფალავა

მარადიდი ორად გაყოფილი კლარჯული სოფელია ჭოროხის ქვემო წელში. მისი ერთი ნაწილი, ქვემო მარადიდი, საქართველოს შემადგენლობაშია (აჭარის არ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), მეორე - თურქეთის რესპუბლიკის (ართვინის გუბერნია, ბორჩხის ილჩე). 1877-1878 რუსეთ ოსმალეთის ომის შემდეგ მარადიდელთა ნაწილი მეზობელი რეგიონების მცხოვრებთა მსგავსად მუჰაჯირად წასულა და თურქეთის რესპუბლიკის საქარისა, ქოჯაელისა და დუზუჯეს ილემში (გუბერნიებში) დაუარსებია 17 სოფელი. მარადიდელ მუჰაჯირებს ემიგრაციაში წაუღიათ ხსოვნა მშობლიური კუთხისა, ადათები, ფოლკლორი, მეტყველება და დღემდე მეტ-ნაკლებად დაუცავთ იგი. ახალ სამოსახლოში გაუგრძელებიათ მარადიდელი კაცის ყოველდღიურობა. უფრო მეტიც, სამოსახლოდ მშობლიურის მსგავსი ადგილები შეურჩევიათ, ყანა-ბახჩისათვის, მდინარეებისა და წყაროებისათვის, მცენარეებისათვის ქართული სახელები უწოდებიათ, ამით გადასახლებული არ წყვეტს სულიერ კავშირს ფესვებთან...

ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრმა ზემო და ქვემო მარადიდში, ასევე მარადიდელ მუჰაჯირთა სოფლებში სამეცნიერო პროგრამის, „მარადიდის“ (დამფინანსებელი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, (#217886)-ფარგლებში მოაწყო რამდენიმე კომპლექსური ექსპედიცია, შეგროვდა საინტერესო მასალები, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი მეცნიერებისათვის. სხვასთან ერთად ყურადღებას იქცევს მრავალფეროვანი ტოპონიმიკური მასალა, რომლის ლინგვისტური ანალიზი, ვფიქრობთ საინტერესოა.

მკითხველს ვთავაზობთ მარადიდის ტოპონიმის კვლევის ერთ ნაწილს, კერძოდ, სუფიქსურ წარმოებას. აღვნიშნავთ, რომ მარადიდის გეოგრაფიულ სახელებში ჭარბობს სხვადასხვა სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები.

**0.1. სუფიქსი –ეთ.** ჭოროხის ხეობის ტოპონიმთა ყველაზე გავრცელებული მაწარმოებელია ბოლოსართი –ეთ.

–ეთ სუფიქსს ნ. მარი განმარტავდა: ა. როგორც მრავლობითის მაჩვენებელს (Mapp, 1938:50); ბ. როგორც კრებითი მნიშვნელობის მატარებელს, რომელიც „ასევე ითვლება ქვეყნების, როგორც განსაზღვრული ეთნიკური სახელწოდების მატარებელი მოსახლეობის შემცველი კრებითი ცნებების, სახელწოდებათა საწარმოებლად“ (Mapp, 1925:69).

ეს მოსაზრებები გაზიარებული ლინგვისტურ ქართველოლოგიაში.

–ეთ სუფიქსი კრებითობის მაჩვენებელია კ. კეკელიძისათვის (იხ. კეკელიძე, 1955:116–119).

<sup>9</sup> წაკითხულია მოხსენებად XXXVIII რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ კონფერენციაზე 2018 წლის 9 ნოემბერს.

–ეთ სუფიქსი რისამე ან ვისამე მრავლად მყოფობის ადგილს აღნიშნავსო, წერს არნ. ჩიქობავა (იხ. ჩიქობავა, 1926:308; შდრ. დონდუა, 1948:146).

ვიზიარებთ თ. ზურაბიშვილის მოსაზრებას, გამოთქმულს –თს შემცველი სუფიქსების შესახებ, რომ „ყველა თ’ანიანი ბოლოსართი წარმოშობით მრავლობითობის, კრებითობის მაწარმოებელი ჩანს“ (ზურაბიშვილი, 1961:144).

მოყვანილი ყველა მოსაზრების მიხედვით –ეთ სუფიქსის ფუნქციაა მრავლობითობის თუ კრებითობის გამოხატვა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ –ეთ და ყველა თ’ს შემცველი სუფიქსისეული თ’ იგივეა, რაც სახელებსა და ზმნებში რიცხვის მაწარმოებელი თ(ა) (იხ. კლარჯეთი, 2016:607; ფაღავა, 2015:3; შდრ. შავშეთი, 2011:307). მიუხედავად სიცხადისა, ქართულ მეცნიერებაში „გაჩნდა“ განსხვავებული მოსაზრებაც, თუმცა ნაკლებსარწმუნო (ამის შესახებ ქვემოთ).

ორივე მარადიდში სამ ათეულამდე –ეთ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელი ჩავიწერეთ:  
**ლომგურ–ეთ’ი** (<\*ლომგულ–ეთ’ი. ქ. მარ.).

**ფანჩე–ეთ’ი** (ქ. მარ.).

**კალაფ–ეთ’ი** (<\*კარაფ–ეთ’ი? ქ. მარ.).

**ნამასკლაფ–ეთ’ი** (ქ. მარ.) <ნა–ვარსკ[ვ]ლაფ–ეთ’ი მ:ვ მონაცვლეობითა და ფუძისეული ვ’ს დაკარგვით. მასკლაფ’ი აჭარულში, შავშურსა და კლარჯულში გავრცელებული ფორმაა. მნიშვნელოვანია, რომ ნა–პრეფიქსიან ფორმას (ნა–მასკლაფი) დართვია –ეთ სუფიქსი და აღნიშნა ადგილი, სადაც მასკლაფები „ჩამოცვივდა“. მეორეცაა, მასკლაფი ადამიანის სახელადაც (ან მეტსახელად) შეიძლება შეგვხვდეს (შდრ. აჭარაში საქონლის სახელი ჩანს მასკლაფად)...

**კვირიკე–ეთ’ი//კვირიქ–ეთ’ი** (ქ. მარ.), კ:ქ მონაცვლეობით.

**სანახშირ–ეთ’ი** (ქ. მარ.). სანახშირე სა–ე კონფიქსით (სა–ნახშირ–ე–ეთ’ი) ნაწარმოები დანიშნულების სახელია –ეთ სუფიქსის დართვით ადგილის სახელად გამოყენებული. **სანახშირეთი** არის ადგილი, სადაც ნახშირს წვავდნენ (ამზადებდნენ). ჩანს, აქ **ნახშირის** (ქომურის) დასამზადებელი ქურები იყო, ამიტომაც დაერთო გეოგრაფიულ სახელს კრებითობის –ეთ სუფიქსი.

**ლიმურ–ეთ’ი** (ქ. მარ.), **ლიმ’** (თუშ.), იგივე **ჭყიმი**, მცენარეა, купырь лесной, Antriscus nemorosa M.B. მისი სინონიმებია: **ღრინჭოლა** (ქრთ.), **ჭიმი** (თუშ.), **მაყრანწალა**, **დიყინჭორა** (მთ. მოხ.), **მაყალურწა** (ფშ.), **მაწარა** (ზ. რაჭ.) (მაყაშვილი, 1991). **ლიმ’** მარტივი ფუძეა **ლიმურ’** სახელურ ფუძეში, იგი მცენარეული ძირია. იგივე **ლიმ’** უნდა გამოიყოს ლაზურ **ლიმ–ხანა**ში, ჩანს ვიწურში და ნიშნავს **გვიმრას** (იხ. თანდილავა, 2013). **ლიმურ–ეთ’ი** **გვიმრანარია**(?). ბარემ ვიტყვით, რომ მარადიდულში **ლიმური** გვიმრის მნიშვნელობით ცნობილი არაა, იცინა **ეწერი**.

**ობრ–ეთ’ი** <\*ორბეთ’ი? ბრ<რბ’საგან. **ობრეთი** ნასოფლარია მირვეთს ზემოთ.

**მონჯავრ–ეთ’ი//ონჯავრ–ეთ’ი** (ქ. მარ.),

**ონჩომ–ეთ’ი** (ქ. მარ.),

**მირგ–ეთ’ი** (სოფ.),

**ოკუხულ–ეთ’ი** (ქ. მარ.).

**საისალ–ეთ’ი** (ქ. მარ.) <\*საისარ–ეთ’ი? მვ. ქართულში დასტურდება **საისარი** (>\*საისალეთ’ი, რ:ლ მონაცვლეობით), იგივე „საისრე, ისრის სასროლი ადგილი: „მოღებად მიწად და შენებად საისართა“ O, ეზეკ. 21,7 (ვიმოწმებთ, აბულაძე, 1973–ის მიხედვით). **საისალეთი** ადგილია, საიდანაც ისარს ისროდნენ.

**სარაფ–ეთ’ი** (ქ. მარ.),

**თოდრი–ეთ’ი** (ქ. მარ.),



საჭალიმ-ეთი<საჭალი[მ]-ეთი, ტოპონიმში ნათლად ჩანს სა- პრეფიქსის მნიშვნელობა, აღნიშნოს დანიშნულება და ცალკე -ეთ სუფიქსის ფუნქცია, აღნიშნოს, კრებითობა, სიმრავლე: სა-ჭალიე-ეთი ჭალების ადგილია.

სა-ისეთი (<\*სა-ის[რ]ეთისაგან. ზ.მარ.),

სასახლ-ეთი (ქ.მარ.),

ქუთურ-ეთი (ქ.მარ.),

მაზლაგ-ეთი (ქ.მარ.),

ქუთლი-ეთი (ზ.მარ.)

დოლაბ-ეთი. დოლაბი სპარსულია, მისი მნიშვნელობაა წისქვილი, წისქვილის ქვა (ნიჭარაძე, 1971). დოლაბი წისქვილის მნიშვნელობით ჩანს კლარჯულში: მე იქ ვარ, დოლაბში (კირნ. კლარჯეთი, 2016:1051). დოლაბი „ბორბლის“ მნიშვნელობით გვხვდება „ლიმონარში“: „იყო ოდესმე ლოცვად და ომისაგან დოლაბისა მეჯურღმულეს არა ესმა რეკაჲ...“ (ლიმ.91,22). დოლაბს „ბორბლის“ მნიშვნელობა აქვს „ვისრამიანშიც“: გული ბრუნვასა დოლაბივითა დაგიწყებს (ვისრ.203). დოლაბის სპარსულ წარმომავლობაზე მსჯელობს ნ. გურგენიძე (გურგენიძე, 1973:27,28). მარადიდულ ტოპონიმს დაუცავს დოლაბის ერთი მნიშვნელობა წისქვილი, წისქვილის ქვა. სხვათაშორის კლარჯულს დაუცავს დოლაბის მეორე მნიშვნელობაც, კარადა: ეს კარი დოლაბია (ჰამიდიე> იხ. კლაჯეთი, 2016:1051).

კეკი-ეთი//კევი-ეთი (ზ.მარ.), ამოსავალი უნდა იყოს კეკიეთი.

ბუდუხ-ეთი (ზ.მარ.),

გული-ეთი (ზ.მარ.),

გელიარჩვ-ეთი (ქ.მარ.),

ბრევე-ეთი (ქ.მარ.). „მოსახლეობა ბევრი ყოფილა, ბევრეთი უთქმიან“ – განმარტა ინფორმატორმა. ბრე – „სიმინდის მარცვლის კანი, რომელიც რჩება დარკვევის შემდეგ“ (ნიჭარაძე, 1971). ბრე იცის საბამ: „მტვერი ბუნარევი“ (ორბელიანი, 1949). კირიონს ლეჩხუმურში სალექსიკონო ერთეულად გამოაქვს ბრელო – თივის ნაფშენიო, განმარტავს (კირიონი, 1913. შდრ. ალავიძე, 1938, ჭყონია, 1911). ტოპონიმი ბრევეთი თივის ნაფშენს, მტვერს უკავშირდება.

ონჩომეთი (ქ.მარ.),

ოკუხულ-ეთი (ქ.მარ.),

ტოტომ-ეთი (ზ.მარ). იმერულში დასტურდება ფუძე ტოტომი (>\*ტოტომი) ყოყოჩის მნიშვნელობით (ღლონტი, 1984; ალავიძე, 1962:279–291). შეიძლება ვიფიქროთ, ტოტომი კაცის მეტსახელია, ტოტომეთი კიდეც – მისი საცხოვრისი.

როგორც ვხედავთ, მარადიდში რაოდენობრივად სხვაზე მეტია -ეთ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები. შეიძლება ითქვას, -ეთ სუფიქსიანი წარმოება ყველაზე გავრცელებული მოდელია მარადიდის (ასევე მთლიანი კლარჯეთის) ტოპონიმიაში. ანალოგიური წარმოება ფართოდაა გავრცელებული კლარჯეთის მენაპირე აჭარის, შავშეთისა და ტაოს ტოპონიმიაში. მოვიხმობთ ზოგიერთ მაგალითს დასახელებული რეგიონების გეოგრაფიული ნომენკლატურიდან:

აჭარა: ლაკლაკეთი, ტომაშეთი, ძამლეთი/ზამლეთი, ცინარეთი, ბელეთი... (ნიჭარაძე, 1969:209–210).

მაჭახელი: ქოქოლეთი, კახიეთი, ბასილეთი, ხინკილეთის, დავითეთი, ძნელიეთი (მსახალაძე, 1954:21).

შავშეთი: **ბაზგირეთი, ივეთი, მაჩხატეთი, მიქელეთი, ტბეთი, წეთილეთი, წითვეთი...** (ცეცხლაძე, 2004:37; შავშეთი, 2011:319).

ტაო: **პერეთი, ვარდანეთი, ვაკეთი, ხაჯარეთი** (ჭიმჭიმი. იხ. ფალავა, 2015:72–73), **კედლეთი, საურმეთი, ხენძორეთი** (ასახელებს ვახუშტი ბატონიშვილიც. იხ. ქ.ცხ. IV, 687,2; შდრ. ჯიქია, III, 1958:604).

–ეთ სუფიქსიანი ტოპონიმები დასტურდება ლაზეთშიც: **ფილარგეთი, თრიმლეთი, კამილეთი** (ფალავა, თანდილავა, 2014:121).

დავუბრუნდეთ მარადიდის ტოპონიმებს.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ –ეთ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელწოდებებს აწარმოებს მცენარეთა, ცხოველთა, ეთნიკურ და ანთროპონიმულ სახელთაგან, შედარებით იშვიათად ჰიდრონიმთაგან (ტბეთი). მთავარია, რომ ყველა შემთხვევაში იგი გამოხატავს კრებითობას ან სიმრავლეს: რომელიმე **დოლაბეთი – დოლაბის** (აქ: წისქვილი) სიმრავლის აღმნიშვნელია, **ფანჩვეთი – ფანჩვის** ოჯახის საცხოვრისი (სხვაგან წაკითხავთ – **ფანჩვიძეების** ოჯახის საცხოვრისი. ვფიქრობთ, –ეთ უფრო ძველია, ვიდრე –ძე, როგორც გვარის მაწარმოებელი...). როგორც აღვნიშნეთ, –ეთ სუფიქსის ფუნქცია სწორადაა გაგებული ქართულ მეცნიერებაში, თუმცა გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებაც. მხედველობაში გვაქვს „ტბეთის სულთა მატთანზე“ დართული გამომცემლის გამოკვლევა (იხ. ენუქიძე, 1976:39) და მისი მიზანმიმართული ზოგიერთი სხვა ნაკვლევი. თ. ენუქიძეს –ეთ სუფიქსი გვარის მაწარმოებლად მიაჩნია ასეთ მაგალითებში: **გუნდარეთ დემეტრე, ჩიქუნეთით** შემომწირველთა, **ქუაბელეთ** ივანე... (სულ 109 სახელი, ძეგლის გამომცემელმა დაითვალა – ავტ.). რაც, ბუნებრივია, არაა მართალი. **გუნდარეთი, ჩიქუნეთი, ქუაბელეთი...** და დარჩენილი მსგავსი 106 ადგილის სახელებია, გარკვეული პატრიარქალური ოჯახის საცხოვრისის აღმნიშვნელი (ვრცლად იხ. კლარჯეთი, 2016:610–611). **გუნდარეთ დემეტრე** გვარი და სახელი კი არაა, ნიშნავს – **გუნდარეთიდან დემეტრე**, ანალოგიურად: **შემომწირველები ჩიქუნეთიდან, ქუაბელეთელი ივანე...** ამის დასტურად გამოდგება მაჭახლის (მსხალაძე, 1954), კლარჯეთის (კლარჯეთი, 2016) და ჩვენი საანალიზო მასალა: **მაბლავეთი** (<წაბლავეთი) **მაბლას<წაბლას** ოჯახის საცხოვრისია, **ფანჩ[ვ]ეთი – ფანჩის, კვირიკეთი – კვირიკეს, სარავეთი – სარის, თოდრიეთი – თოდრის...** აღვნიშნავთ, რომ დასახელებულ საგეოგრაფიო სახელებს გვარებად მიიჩნევენ ო. დიდმანიძე და ს. გოგიტიძე (იხ. დიდმანიძე, გოგიტიძე, 2006:207). ეს უკანასკნელი ფაქტიც „ტბეთის სულთა მატთანის“ არასწორი წაკითხვისა და ინტერპრეტაციის შედეგია.

დაბოლოს, ყურადღებას მივაქცევ კიდევ ერთ ფაქტს: მარადიდში, ისევე როგორც მაჭახელში (მსხალაძე, 1954) და ტაოში (ფალავა, 2017:3–9; Paghava, 2018:129–133) შტო–გვარები, უფრო პატრიარქალური ოჯახები ერთად, ბუდეებად ცხოვრობენ და ქმნიან სოფლის უბანს:

ზემო მარადიდის უბნებია:

**პაპნავეთი,**

**კეკიეთი,**

**ჯავნარეთი,**

**ჯღელიფეთი,**

**ბერძნევი|ბერძნეთი.**

ქვემო მარადიდის უბნებია:

**მაბლავეთი||<წაბლავეთი,**

**ქუთურეთი,**

სასახლეთი,  
 ბრევეთი,  
 ქეციკეთი,  
 ონჩომეთი,  
 ფანჩვეთი,  
 კალავეთი,  
 მონჯავრეთი||ონჯავრეთი.

ოთარ დიდმანიძე და სიმონ გოგიტიძე კიდევ ასახელებენ: **კვირიკეთს, სარავეთსა და თოდრიეთს** (დიდმანიძე, გოგიტიძე, 2006:207).

სოფლის უბნად ასახელებენ **დიდმანიძეს** (შდრ. **დიდმანეთი**).

ამდენად, მარადიდში და ჭოროხის ქვეყნების ბევრ სოფელში სოფელში შტო-გვარების, უფრო დიდი ოჯახების განსახლება ქმნის დასახლების უძველეს სტრუქტურას.

0.2. **სუფიქსი –ათ**. ლინგვისტურ ქართველოლოგიაში –**ათ ეთ**’ის ზანურ შესატყვისად არის მიჩნეული (ზურაბიშვილი, 1961:141). ზანური ფენა მარადიდის ტოპონიმიაში, ისე როგორც მთელი კლარჯეთის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში (იხ. კლარჯეთი, 2016:612–613) მოულოდნელი არ არის. ჩვენს მასალებში ერთი გეოგრაფიული სახელი დადასტურდა, რომელშიც –**ათ** სუფიქსი გამოიყო – **ნავლ–ათ**’ი (შდრ. ნავალი).

0.3. **სუფიქსი –ევ**. კლარჯეთის ტოპონიმიაში ორ ათეულზე მეტი –**ევ** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი დადასტურეთ (იხ. კლარჯეთი, 2016:626), ამათგან ერთი ზემო მარადიდში – **ბერძნ–ევ**’ი. მასალებიდან ჩანს, რომ ფორმაწარმოებისას ზოგჯერ მონაცვლეობენ –**ევ**, –**ეთ** და –**ებ** სუფიქსები: **ბერძნ–ევ**’ი//**ბერძნ–ეთ**’ი, სხვაგან **კასრ–ევ**’ი//**კასრ–ეთ**’ი, **ისკ–ევ**’ი//**ისკ–ებ**’ი<sup>10</sup>. პარალელური ფორმები კარგად აჩვენებენ –**ევ**, –**ებ** და –**ეთ** სუფიქსების ფუნქციას (კლარჯეთი, 2016:627; ფაღვა, 2014:62–64). სარწმუნოა აკ. შანიძის მოსაზრება, რომ –**ევ** მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი იყო და გვერდით ედგა იგი –**ნ**, –**თ**, –**ებ** და მეგრულ –**ეთ** სუფიქსებს (შანიძე, 1981:441. შდრ. ზურაბიშვილი, 1961:149–150). ასევე დამაჯერებელია, რომ „–**ევ** მრავლობითობის სუფიქსი გარკვეული დიალექტური წრის კუთვნილებაა და არა ერთი რომელიმე დიალექტისა“ (კლარჯეთი, 2016:628).

0.4. **სუფიქსი ა**. მარადიდის რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში გამოვყოფთ –**ა** ბოლოსართს, რომლის შესახებაც ერთგან ვკითხულობთ: „–**ა** დაერთვის როგორც მარტივ, ისე რთულ ფუძეებს... [და] აწარმოებს კნინობით, დანიშნულების, წარმომავლობის, ქონების აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებს“ (ცეცხლაძე, 2004: 34). ხოლო მეორე მკვლევრის დაკვირვებით, „–**ა**’ სუფიქსიანი ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი მსაზღვრელდაკარგული ფორმა ჩანს: **ონაგირ–ა**, **აკვან–ა**... ტიპის სახელებში იგულისხმება საზღვრული წევრი: **მთა**, **სერი**, **გორი**... ასეთ ტოპონიმებში **ა**’ საზღვრულის ერთგვარ ფუნქციას ასრულებს“ (ქამადაძე, 1992:220–21; შდრ. მაკალათია, 1976:42 და სხვ.). მ. ქამადაძის მოსაზრება საყურადღებოა, თუმცა ნაკლებად-სარწმუნოა მისი მეორე ნაწილი, რომ „ასეთ ტოპონიმებში –**ა**’ საზღვრულის ერთგვარ ფუნქციას ასრულებს“. უბრალოდ უჭირს მკითხველს ამის დაჯერება.

–**ა** სუფიქსის შესახებ ქართულ ენათმეცნიერებაში გამოთქმულია სხვა მოსაზრებებიც (შანიძე, 1973; ჯანაშია, 1959:232; ბედოშვილი, 1980; მანჯგალაძე, 1956:171–186). კნინობითობის თუ მსგავსების აღმნიშვნელია აღნიშნული ბოლოსართი მარადიდის ტოპონიმიაში:

<sup>10</sup> ქვემო მარადიდის უბანია **მაბლავეთ**’ი (-**წაბლავეთ**’ისაგან, შდრ. გვარი **წაბლაძე**). **მაბლავეთი** ასე დაიშლება: **მაბლა–ვ–ეთ–ი<მაბლა–(ე)ვ–ეთ**’ისაგან. **მაბლავე**’ში **ვ–ევ** სუფიქსის ნაშთი ჩანს.

**ონაგირა** (ქ. მარ.) – **ონაგირის** (<უნაგირის) მსგავსი ადგილი.

**ქუშალა** (ქ. მარ.) – გამოიყოფა **ქუშ** ძირი და **-ალ** და **-ა** სუფიქსები. **ქუშ** მნიშვნელობით იგივეა, რაც **პირქუში** (შდრ. კუშტი მიჰხვდეს, თუნდა **ქუში**. ვტყ. 25,3). **ქუშალა** პირქუში ადგილია. აღნიშნავთ, რომ **ქუში** საბასაც აქვს შეტანილი ლექსიკონში და განმარტებული აქვს როგორც „ძველი ოველა“ (ორბელიანი, 1949), თუმცა ცალკე აქვს **ქუშობა**: „მწყრალის მსგავსობა, რათა ადვილად სიტყვა ვერ შეჰკადროს კაცმან“ (ორბელიანი, 1949). ვფიქრობთ, ამ უკანასკნელ მნიშვნელობას უკავშირდება დასახელებული ტოპონიმიც.

**ჩხვენარა** (ზ. მარ.) – გამოიყოფა **-ნარ** და **-ა** ბოლოსართები. **ჩხვენარა** < **ჩხავ[ერ]ნარა** – **ჩხავერნარი** ადგილის მსგავსი(?).

**მოზენია** (ქ. მარ.) – ლაზური ფუძე უნდა იყოს (შდრ. **მოზინა** > **მოზენა** – გულის რევა(?). იხ. თანდილავა, 2013). შდრ. მეგრულში გვხვდება **მოზინდუა** (მოზინდუას) – მნიშვნელობით მოზინდვა, მოჭიმვა (ქაჯაია, 2002).

**ჯგერილა** (ზ. მარ.) – **ჯგერ-ილ-ა**. თურქეთის სარფში გვხვდება ტოპონიმი **ჯგი[რ]ოლა**. **ჯგირ** კიდევ **კარგი**, **წმინდაა** ლაზურად (თანდილავა, 2013).

**ჯგერ** ფუძე გამოიყოფა მეგრულ **ჯგერაგუნა** // **ჯგერეგუნა** (რელიგიური, ფუტკრისა და მეფუტკრის ღვთაება) სახელშიც. ი. ყიფშიძე გვთავაზობს შემდეგ განმარტებას: „ოკუმენტში გილადვალა (საკმეველის ჩამოდება), ასე ეწოდება შეწირვის წესს, რომელიც სრულდება მეფუტკრეების მიერ ქრისტეს ამალგების დღეს ღვთაების **ჯგერეგუნას** ანუ **ჯგერაგუნას** პატივსაცემად“ (ყიფშიძე, 1914:262). ს. მაკალათიას აზრით, **ჯგერ** – წმინდა, **აგუნა** – გურულ-მეგრულ მითოლოგიაში ღვთაების სახელია (იხ. ქაჯაია, 2002). მარადიდის **ჯგერ-ილ-ა** ში იგივე **ჯგერ** უნდა გვქონდეს, რაც მეგრულ **ჯგერეგუნაში** და ლაზურ **ჯგეროლაში**.

**ოხორდია** (ქ. მარ.) – კოლხურია, **ოხორ** სახლი, **დია** < \***დიდა** – დედა. **ოხორდია** – სახლის დედა (ოჯახის დედა?) (იხ. ქაჯაია, 2002).

როგორც ვხედავთ, მარადიდის ტოპონიმიში დადასტურებული ა'თი ნაწარმოები ხუთი გეოგრაფიული სახელიდან ოთხი ლაზურია.

0.5. **სუფიქსი -ომ**. ისტორიულ კლარჯეთში სავსე ექსპედიციების დროს ჩავიწერეთ ერთი ტოპონიმი – **კონტრომი**, რომელშიც გამოვყავით **-ომ** ბოლოსართი. ჩვენმა კოლეგამ, იმხანად დოქტორანტმა ჩაიწერა **კონტრომი** (ტ:თ თანხმოვანთმონაცვლეობით). ზ. შამიკაძემ არტანუჯის აღწერის ოსმალურ დავთარში ამოიკითხა **ქონტრომი**. **კონტრომი** და **ქონტრომი** **კონტრომის** თურქიზებული ფორმებია. **კონტრომს** შეიძლება დავუმატოთ ხუთვერსიან რუკაზე დატანილი რამდენიმე გეოგრაფიული სახელი ართვინიდან, ესენია: **Тольгомъ** (თოლგ-ომ'ი), **Хордомела** (ხორდ-ომ-ელ-ა), **Цхумри** (ცხუმრი < \*ცხ-უმ-არ'ი), **Шуртумъ** (შურთ-უმ'ი) (Пагирев, 1913). აღნიშნავთ, რომ რუკაზე დატანილი **-ომ/-უმ** სუფიქსიანი სახელები დღეს აღარ ისმის, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ინფორმატორებს არ დაუსახელებიათ. მარადიდში ჩავიწერეთ კიდევ ერთი ტოპონიმი იმავე სუფიქსით ნაწარმოები, **კორომები** (**კორ-ომ-ებ**'ი).

ადრე გამოქვეყნებულ ერთ შრომაში ვცადეთ დაგვედგინა **-ომ/-უმ** სუფიქსის ფუნქცია გეოგრაფიულ სახელებში (ფაღავა, 2009:33–15). აღმოჩნდა, რომ დასახელებული ბოლოსართი მცენარეთა სახელებიდან (ფიტონიმებიდან) აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს. აღნიშნავ, რომ ასეთი წარმოების ტოპონიმები ბევრი არაა, სულ ორ ათეულამდე თუ იქნება. **-ომ/-უმ** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ქართველური ლექსიკის უძველეს ფენას განეკუთვნება. ამიტომაც, ვფიქრობ, არსებულზე ყოველი ახალი ერთეულის მომატება მნიშვნელოვანია.

კორ-ომ-ებში გამოიყოფა კორომი სახელური ფუძე, რომელსაც საბა ასე განმარტავს: „ხენი ჯგუფად მდგარი“ (ორბელიანი, 1949); სხვა განმარტებით „ნარგავი ტყე, ტყენარგი“ (ქეგლ).

-ომ/-უმ სუფიქსის შესახებ არსებობს სხვა მოსაზრებებიც (Климов, 1964; გორდენიანი, 1985:111; მარი, 1938:173; ბედოშვილი, 2002; ჭუმბურიძე, 1987:463), რომელთა შესახებ საუბარს არ გავაგრძელებ (იხ. ფაღავა, 2009; კლარჯეთი, 2016:620–621).

0.6. სუფიქსი -ურ. კლარჯეთის ტოპონიმიაში მრავალია -ურ(//-ულ) სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები, ამათგან ორი ქვემო მარადიდშია: **ჭიბაკური** (ჭიბაკ-ურ'ი) და **გამტკიცული** (გამტკიც-ულ'ი).

აკ. შანიძე -ურ//ულ ბოლოსართს განიხილავს როგორც წარმომავლობის აფიქსს და აღნიშნავს: „-ურ'ის დართვისას (ისე როგორც -ელ'ის დართვისას) გეოგრაფიულ სახელს, რომელსაც ბოლოში -ეთ და -ის აქვს, შეიძლება ეს -ეთ ჩამოშორდეს ძველი წარმოების თანახმად: **დუშეთი – დუშური**“ (შანიძე, 1973:127–128; შდრ. ზურაბიშვილი, 1961:149; ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988). არნ. ჩიქობავას -ურ/-ულ რა კატეგორიის მაწარმოებლად მიაჩნია (ჩიქობავა, 2013:137).

მოყვანილი მოსაზრებებიდან გამომდინარე, მარადიდული **ჭიბაკური** წარმომავლობის სახელია ტოპონიმად ქცეული. ანალოგიური წარმოების ტოპონიმების სხვაც დასტურდება კლარჯეთში: **ასმაური** (კარჩხალა), **ზინეური** (კარჩხალა), **გალაზაური** (ანაკერტი), **ხახური** (||ხახული. ქურა)... ვფიქრობთ, დასახელებულ მაგალითებში -ურ/-ულ კუთვნილებაზეც მიუთითებს: **ასმაური** – ასმას კუთვნილებაა, **ხახური||ხახული** – ხახის, **გალაზაური** – გალაზას, **ჭიბაკური** – ჭიბაკის... **ჭიბაკი**, შესაძლებელია, მეტსახელია კაცისა.

**გამტკიცულ**შიც გამოიყოფა -ულ სუფიქსი. **გამტკიცვა** გვხვდება აჭარულში, „სამტკიცში გატარება, სამტკიცით გაცრა (ფქვილისა)“: არდაჰანლებს ფქვილის **გამტკიცვა** წესათ არ აქვან“ (ნიჟარაძე, 1971). გვხვდება ქიზიყურშიც (დლონტი, 1984; მენტეშაშვილი, 1943. შდრ. ქეგლ), შეიძლება სხვა დიალექტებშიც.

0.7. სუფიქსი -ერ. -ერ სუფიქსს გამოვყოფთ **გეფინერ**ში (გეფინ-ერ'ი. ქ. მარ.). აღნიშნული ბოლოსართის რამდენიმე ფუქნციას გამოყოფენ, რომელთაგანაც ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი: „[-ერ-ა] ...ქართული ენის ზოგ დიალექტში (გურულში...) აწარმოებს კნინობით სახელებს, დამატებით გამოხატავს რაიმესთან მსგავსებას: **ხოკერა** (შდრ. **ხოკი**)...“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:151). მოყვანილი მოსაზრება, ვფიქრობთ, დაზუსტებას მოითხოვს, კერძოდ: კნინობითობას გამოხატავს არა -ერ-ა, არამედ -ა, ხოლო მსგავსებაზე მიუთითებს -ერ. ეს -ერ კი შეიძლება ა'სთან ერთადაც შეგვხვდეს და ცალკეც: **ხოკერა – ხოკერი, ლოპერა – ლოპერი** (ლოპრი)... მათ გვერდით დადგება მარადიდული **გეფინერი**.

**გეფინერ**'ი ლაზურს ჰგავს, თუმცა მისი მნიშვნელობა ჩვენთვის ცნობილი არაა. შეიძლება მეორე დაშვებაც: **გეფინერ**'ი < \***გეფინარ**'ისაგან. მაშინ მაწარმოებლად -არ სუფიქსი გამოიყოფა, რომელიც „... გეოგრაფიულ სახელთაგან აწარმოებდა წარმომავლობის სახელს... **ოპიზა – ოპიზარი**“ (შანიძე, 1981:33 და შემდეგ). -არ ამ შემთხვევაში -ელ'ის ბადალია (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:151). -არ აკ. შანიძეს მეგრულ-ჭანურად მიაჩნია (შანიძე, 1981:24–31). ჩვენს ვარაუდს ერთი წინააღმდეგობა ელოდება: მარადიდული **გეფინერი** ტოპონიმია, **გეფინარი** – წარმომავლობის სახელი. ეს წინააღმდეგობა დაიძლევა, თუ გავითვალისწინებთ, რომ იშვიათად -არ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებშიც ჩანს: **ლაქომარი** (<\*ლაკომარი), **ნორგიალი** (<\*ნორგიარი), **კარჩხალი** (<კარჩხარი)...

0.8. სუფიქსი **-ნარ**(||-ნალ).-ნარ//ნალ სუფიქსიანი ტოპონიმები ათზე მეტი ჩავიწერეთ მარადიდში, ესენია:

**ინჯინარი** (<\*ინჯირნარი. ქვ. მარ.). შდრ. თ. incir - ლეღვი. ინჯინარი იგივეა, რაც **ლეღვნარი**.

**ნიგზნარი** (ზ. მარ.) – ზემო მარადიდში **ნიგოზ**ში **ო** მთლიანად იკარგება რედუქციის საფუძველზე. საპირისპიროდ **ნიგზნარ**ისა, ქვემო მარადიდში გვხვდება **ნიგვზნარა** (ოავ). ეს უკანასკნელი სალიტერატურო ქართულის გავლენად ჩაითვლება (ჩვენი ინფორმატორი სკოლის პედაგოგი ოყო და, მიუხედავად ჩვენი თხოვნისა, ცდილობდა, ლიტერატურული ენით ესაუბრა), კლარჯულისათვის ნორმა ჩანს რედუცირებული, **ო**დაკარგული ფორმა. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს აჭარულში: **ნიგოზი** – **ნიგზის**, **ნიგზნარი**.

**ჭოდნარა** (ქ.მარ.).

**კორნალი** (<\*[რ]კონალი).

**ვენახნარი** (ქ.მარ.).

**ჩირგვნარი** (ქ. მარ.) – ტოპონიმში გამოიყოფა **ჩირგვ** სახელური ფუძე. **ჩირგვი** (ბუჩქი – ქეგლ) თანამედროვე კლარჯულმა არ იცის (ყოველ შემთხვევაში, დღემდე არ დაგვიდასტურებია), ფუძე შეინახა ტოპონიმმა.

**ბოგნარი** (ქ.მარ.) – **ბოგ-ნარ**ი, **ბოგა** საყურადღებო სახელური ფუძეა, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, რომელთაგან ერთ-ერთია – **ბოგაზინი**, იგივეა, რაც აჭარული **შედგმული ზინი** (ნიქარაძე, 1971. მენტეშაშვილი, 1937), ოკრიბული **ხიბიკი** (ალავიძე, 1950:51).

**ბოგნარი** ადგილია, სადაც **ბოგა-ზინები** დგას.

**ყორნალი** (ქ.მარ.) – გეოგრაფიულ სახელში **ყორ** ფუძეს შენახული აქვს ძველი მნიშვნელობა და აღნიშნავს **ქვას** და არა „უკიროდ, უტალახოდ ნაგებ ქვის კედელს“ (ქეგლ): **ყორნალი** – ქვანარი, ქვიანი ადგილია. **ყორ** სახელური ფუძე გვხვდება ტოპონიმში **ყოროლისთავი** (სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ორთაბათუმის თემში).

**ბაღნარი** (ქ. მარ.).

**ჩხავნარა** (ზ. მარ.)-**ჩხავ**[ერ]ნარი (იხ. კლარჯეთი, 2016:624).

**ორნალა** ([ყ]ორნალა, [ქ]ორნალა თუ [კ]ორნალა?), – დაკარგულია ჩანს თავკიდური თანხმოვანი.

**ყორნალის** შესახებ უკვე ვისაუბრეთ.

**ქორნალი** თუა, გამოიყოფა **ქორ** ფუძე, რომელსაც იცნობს შავშური (შავშეთი, 2011:604) და რომელიც არ ჩანს კლარჯულში. თუმცა ზემო მარადიდში დავადასტურეთ ტოპონიმი **საქორია** (სა-ქორ-ია).

**კორნალი**<[რ]კო<sup>ნ</sup>ალი, **კო მუხის** მნიშვნელობით ცნობილია კლარჯულში (კლარჯეთი, 2016:1058). აღვნიშნავთ, რომ ზემო მარადიდში დავადასტურეთ ტოპონიმი – **კოთქედი**.

დაბოლოს, **კორი** კლარჯულში ტყესაც ნიშნავს. დავადასტურეთ მუჰაჯირებთან: „აქ **კორი** იყო მაშინ“ (ჩუბუქლუბალა) (კლარჯეთი, 2016:1058). **კორ**ი აღნიშნული მნიშვნელობით არ დაგვიდასტურებია კლარჯულში, ჩანს ტოპონიმმა შეინახა **კორ**ი **ტყის** მნიშვნელობით: **კორითავი** – **ტყის თავი**(!).

მოყვანილ მაგალითებში მონაცვლეობენ **-ნარ** და **-ნალ** ვარინტები. კანონზომიერია, რომ **-ნარ** სუფიქსი შესაბამისი აგებულების ფუძეებთან (**რ**ს შემცველ ფუძეებთან) **ნალ**ს გვამღევს.

0.9. –თან თანდებული სუფიქსის ფუნქციით. ზემო მარადიდში ერთი გეოგრაფიული სახელი ჩავიწერეთ, – **ჯინოშთანა**, რომელშიც მაწარმოებლად გამოვყოფთ –**თანა** (>**თან**) თანდებულს.

**ჯინოში//ჯინეში** წითელი ვაზის ჯიშია ისტორიულ კლარჯეთში გავრცელებული (იხ. კლარჯეთი, 2016:648), კარჩხალას ხეობაში. მოგვიანებით ტრაპენში გვითხრეს, რომ არის თეთრი **ჯინეშიც**.

**ჯინოშთანა** – სახელის თანდებულისანი ფორმა ტოპონიმად ქცეულა.

0.10. **სუფიქსი –იშ**. მონოგრაფიაში „კლარჯეთი“ ვკითხულობთ, რომ „კლარჯეთის ორიოდ ტოპონიმში გამოიყოფა –იშ სუფიქსი: **ქერტაში** (<\*ქერტა–იშ–ი), **ვალაში** (<\*ვალა–იშ–ი)“ (კლარჯეთი, 2016:626; ფაღავა, 2015:31). აღნიშნულს დავამატებ კიდევ ორი გეოგრაფიული სახელი მარადიდიდან: **ქვაბიში** (ქ.მარ.) და **კოფშიში** (ქ. მარ.). აღვნიშნავთ, რომ **ქვაბიში** ადგილის სახელია ორთაბათუმის თემშიც (ხელვაჩაური მუნიციპალიტეტი, აჭარის არ).

–იშ||–შ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები „ისეთივე წარმოშობისაა, როგორც –ის’ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები“ (ქალდანი, 1963:67).

ლექსუმის ტოპონიმიაში –იშ||–შ სუფიქსიან სახელებს ზანურ ფენად თვლიან ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, 1951:421) და გ. ჩიტაია (ჩიტაია, 1944:267). იმავე აზრს ავითარებენ მ. ჩიქოვანი (ჩიქოვანი, 1949:238) და მ. ალავეძე (ალავეძე, 1958:153). განსხვავებული შეხედულება აქვს მ. ქალდანს. მისი აზრით, –იშ||–შ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელების შემოქმედად ლექსუმში არის არა ზანური, არამედ სვანური მოსახლეობა (ქალდანი, 1963:69). ვფიქრობთ, ორივე მოსაზრება საყურადღებოა და აქვს არსებობის უფლება. სხვაგვარად, –იშ||–შ სუფიქსი საერთოა კოლხური და სვანური ენებისათვის.

სხვადასხვა რაოდენობით, მაგრამ მაინც, „აღნიშნული სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები გვხვდება როგორც სვანურ, ისე კოლხურ ენობრივ გარემოში“ (ფაღავა, თანდილავა, 2014:123).

ჭოროხის ხეობაში და აჭარის შავიზღვისპირა ზოლში ზანური ფენა ბუნებრივია. –იშ||–შ სუფიქსიანი ტოპონიმები მარადიდის ტოპონიმიაში კოლხურის კვალია.

0.11. **სუფიქსი –ჯი**. სუფიქსი –ჯი (<–ჩი, **ჯ:ჩ** მონაცვლეობით) თურქულში ხელობის სახელებს აწარმოებს (–ჯი ქართული მე–ე კონფიქსის ბადალია). იგი იშვიათად გვხვდება ტოპონიმებშიც: **ქვაიჯი** (ქ.მარ), **კაზანჯი** (ქ.მარ.). ერთი გეოგრაფიული სახელი –ჩი’თ ნაწარმოები დავადასტურეთ კლარჯეთის სხვა უბანში, – **ჩერმიჩი** (<\*ჩერმიჯი). ჯერ–ჯერობით მხოლოდ ესაა.

რაც შეეხება მარადიდის ტოპონიმებს – **ქვაიჯი** და **კაზანჯი**.

**ქვაიჯი (ქვა–ი–ჯი)** – ქვის ოსტატია, ქვითხურო პირდაპირი მნიშვნელობით. გეოგრაფიულ ნომენკლატურაში **ქვაიჯი** ადგილია, სადაც ქვის სამტეხლოა, ან სახელოსნო, სადაც **ქვაიჯი** (ქვითხურო) მუშაობს.

**კაზანჯი** ქართულად **მექვაბეა** (თ. **kazan** - ქვაბი). **მექვაბე//კაზანჯი**, ჩანს, ხელობა იყო ძველად, სადაც ის საქმიანობდა იმ ადგილს **კაზანჯი** უწოდეს მარადიდლებმა (მდრ. **მეწაღე, თერძი//თერძანა...**). **მექვაბე** ხელობა რომ იყო, დასტურად გვარი **მექვაბიშვილი**’ც გამოდგება (თავდაპირველად ჩამოყალიბდა **მექვაბისშვილი** – მეტსახელი გვარი, შემდეგ – გვარსახელი **მექვაბიშვილი**).

თერთმეტი სუფიქსი გამოვლინდა მარადიდის ტოპონიმთა საწარმოებლად. ბუნებრივია, ყველა თანაბარი სიხშირით არ გამოიყენება. მთავარია, რომ ერთის გარდა (–ჯი||–ჩი) ყველა

ბოლოსართი ქართულია (ქართველურია). შეიძლება ითქვას, უცხოური ფენა მარადიდის ტოპონიმიში უმნიშვნელოა.

### შემოკლებანი

**ქ.მარ.** – ქვემო მარადიდი; **ზ.მარ.** – ზემო მარადიდი; **თ.** – თურქული; **ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I-VIII, თბ. 1951–1964; **შდრ.** – შეადარე; **მ.ცხ.** – მამათა ცხოვრება; **ფშ.** – ფშაური; **კირნ.** – კირნათი; **ვისრ.** – ვისრამიანი, ალექსანდრე გვახარიასა და მაგალი თოდუას რედაქციით, თბ. 1964; **ქრთ** – ქართლური; **მისტ.** – მისტანა; **მთ.** – მთიულური; **ზ. რაჭ.** – ზემო რაჭული; **თუშ.** – თუშური; **ლიმ.** – იოანე მოსხი, ლიმონარი. ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ. 1963. **ვტყ** – ვეფხისტყაოსანი; **სოფ.** – სოფელი; **არ** – ავტონომიური რესპუბლიკა; **ეზეკ.** – წინასწარმეტყუელებად ეზეკიელისი; **ქ.ცხ.** – ქართლის ცხოვრება.

## SUFFICULAR PRODUCTION IN MARADIDI TOPONYMS

### MAMIA PAGHAVA

#### SUMMARY

In one part of Geographical names of Maradidi We allocated: -ეთ, -ათ, -ევ, -ა, -ომ, -ურ, -ერ, ნარ//ნალ, -თან, -იმ, -ჯი suffix. There was revealed twelve suffix to produce Maradidi's toponyms. Naturally, not all are used in equal frequency. The main thing is that every suffix is Georgian except one(-ჯი//–ჩი). It is possible to say, that it is negligible foreign layer in In the topology of Maradidi. Most of all spread is -ეთ suffix: დაბლავეთი, წაბლავეთი, ქუთურეთი, სასახლეთი, ბრევეთი, ფანჩვეთი, კალავეთი...Mentioned suffix in Geographical names indicates about a sat of something.

#### ლიტერატურა:

1. **აბულაძე, 1973** – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ.
2. **ალავიძე, 1962** – მიხეილ ალავიძე, ქართული დიალექტური ლექსიკიდან. ქპი შრომები, XXIV, ქუთაისი.
3. **ალავიძე, 1938** – მიხეილ ალავიძე, ლექსუმური ლექსიკონი. „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, თბ.
4. **ალავიძე, 1950–1951**, ოკრიბული ლექსიკონი, ქპი შრომები, X, ქუთაისი.
5. **ალავიძე, 1958** – მიხეილ ალავიძე, ლექსუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი. ქპი შრომები, XVIII, ქუთაისი.
6. **ბატონიშვილი, 1973** – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, თბ.
7. **ბედოშვილი, 2002** – გურამ ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმიტა ისტორიულ–ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ.
8. **ბედოშვილი, 1980** – გურამ ბედოშვილი, ერწო–თიანეთის ტოპონიმი, თბ.
9. **გორდეზიანი, 1885** – რისმაგ გორდეზიანი, წინარებერძნული და ქართველური, თბ.



10. **გურგენიძე, 1973** – ნ. გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბ.
11. **დიდმანიძე, გოგიტიძე, 2006** – ოთარ დიდმანიძე, სიმონ გოგიტიძე, სოფელი მარადიდი, ბათუმი.
12. **დონდუა, 1948** – კარპეზ დონდუა, „ლიპარიტეთისა და ანალოგიური ფორმის გვარ–სახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში. თსუ შრომები, XXXIIIb, თბ.
13. **ენუქიძე, 1977** – თინა ენუქიძე, გამოკვლევა ძეგლზე „ტბეთის სულთა მატთანე“, თბ.
14. **თანდილავა, 1913** – ალი თანდილავა, ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენაფუნა), თბ.
15. **ზურაბიშვილი, 1961** – თამარ ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის. ქესს, II, თბ.
16. **კეკელიძე, 1955** – კორნელი კეკელიძე, –ეთ სუფიქსიანი კრებითი სახელები ქართულში. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ.
17. **კირიონი, 1913** – კირიონი, სალექსიკონო მასალა, „ძველი საქართველო“, ექვთ. თაყაიშვილის რედაქტორიბით, II, განყ. V, თბ.
18. **კლარჯეთი, 2016** – მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, თბ.
19. **Климов, 1964** – Г. Климов, Этимологический словарь Картвельских Языков. М.
20. **ლექსიკონი, 2001** – თურქულ–ქართული ლექსიკონი, სტამბოლი.
21. **მაცაშვილი, 1991** – ალექსანდრე მაცაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ.
22. **მაკალათია, 1976** – ფიქრია მაკალათია, არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმის კვ. ტოპონიმის კვ., I, თბ.
23. **მანჯგალაძე, 1956** – ალექსანდრე მანჯგალაძე, ა ხმოვანზე დასრულებული ზოგიერთი სახელის ფუძის აგებულებისათვის ქართულში. სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ.
24. **Март, 1925** – Н.Я. Март, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л.
25. **Март, 1938** – Н.Я. Март, О языке и истории Абхазов. История термина „Абхаз“, Л.
26. **მენტეშაშვილი, 1943** – სტეფანე მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ.
27. **მენტეშაშვილი, 1937** – სტეფანე მენტეშაშვილი, აჭარის ეთნოგრაფიული მასალები. ენიმის მოამბე, II, ტფილისი.
28. **მსხალაძე, 1954** – ალექსანდრე მსხალაძე, მაჭახლის ხეობის ტოპონიმისათვის. ბპი სტუდენტთა შრომები, I, ბათუმი.
29. **ნიჟარაძე, 1971** – შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი.
30. **ნიჟარაძე, 1969** – შოთა ნიჟარაძე, აჭარის ტოპონიმის ძირითადი საკითხები. ბპი შრომები, XV, ბათუმი.
31. **ორბელიანი, 1949** – სულხან–საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბ.
32. **Paghava, 2018** – Mamia Paghava, The Formation of Family Group Names and Peculiarity of the Settlement in the Village Tao. სმამ, ტ.12, #1, თბ.
33. **Пагирев, 1913** – Д.Д. Пагирев, Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края... Тифлиси.
34. **ფაღავა, 2009** – მამია ფაღავა, –უმ/–ომ სსუფიქსი ტოპონიმებში და ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიის ცდა. ბსუ შრომები, XIII, ბათუმი.

35. **ფალავა, 2015** – მამია ფალავა, ოდენსუფიქსური წარმოება კლარჯეთის ტოპონიმიაში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, X, ბათუმი.
36. **ფალავა, 2015(1)** – მამია ფალავა, ქართული ენისა და კულტურის კუნძულები მეთურქულე კლარჯეთში. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო კონფერენცია, მასალები, გორი.
37. **ფალავა, თანდილავა, 2014** – ლაზეთის ტოპონიმის საკითხები. იხ. ისტორიულ ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, თბ.
38. **ფალავა, 2017** – მამია ფალავა, შტო-გვარის სახელთა წარმოების ერთი თავისებურება ტაოურში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, XI, ბათუმი.
39. **ქალდანი, 1963** – მაქსიმე ქალდანი, გეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა –იშ/–შ სუფიქსის საკითხისათვის. ქესს, III, თბ.
40. **ქაჯაია, 2002** – ოთარ ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I– III, თბ.
41. **ქამადაძე, 1992** – მიხეილ ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია. ადდლ, VIII, თბ.
42. **ღლონტი, 1984** – ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო–თქმათა სიტყვის კონა, თბ.
43. **ყიფშიძე, 1914** – И. Кипшидзе, Грамматика Мингрельского (Иверского) Языка с хрестоматией и словарем. СПб.
44. **შავშეთი, 2011** – მამია ფალავა, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტყარაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, შავშეთი, Tb.
45. **შანიძე, 1981** – აკაკი შანიძე, –ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში. თხზულებანი 12 ტომად, ტ. II, თბ.
46. **შანიძე, 1973** – აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ.
47. **ჩიქობავა, 1926** – არნოლდ ჩიქობავა, –ონ სუფიქსი მეგრულში. ტსუ მოამბე, VI, ტფილისი.
48. **ჩიქობავა, 2013** – არნოლდ ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თხზ. ტ. VII, თბ.
49. **ჩიტაია, 1944** – გიორგი ჩიტაია, ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X b, თბ.
50. **ცეცხლაძე, 2004** – ნუგზარ ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის ხეობის ტოპონიმებიდან, ბათუმი.
51. **ჭუმბურიძე, 1987** – ზურაბ ჭუმბურიძე, დედა ენა ქართული, თბ.
52. **ჭყონია, 1911** – ილია ჭყონია, სიტყვის კონა, საბა–სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში გამოტოვებული სიტყვები. სპბ.
53. **ჯავახიშვილი, 1951** – ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ.
54. **ჯანაშია, 1959** – სიმონ ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის –თა/–თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის. შრომები, III, თბ.
55. **ჯიქია, 1958** – სერგი ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ.
56. **ჯორბენაძე, კობაძე, ბერიძე, 1988** – ბესარიონ ჯორბენაძე, მარინე ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ.

## ზმნისწინთა სისტემა სარფის მეტყველებაში

### ოპარ ამიშიში

ცნობილია, რომ ქართველურ ენებში ზმნისწინი გამოხატავს რამდენიმე გრამატიკულ კატეგორიას: დროს, ასპექტს, ორიენტაციას.

ცნობილია ისიც, რომ ზმნისწინის თავდაპირველ ფუნქციას წარმოადგენდა გეზისა და ორიენტაციის გამოხატვა, ანუ მხოლოდ მოქმედების, პროცესის სივრცითი დანაწევრების საშუალება იყო იგი და მოგვიანებით შეიძინა პროცესის უწყვეტობისა და წყვეტილობის, დროში მიმდინარეობის გამოხატვის უნარი (ლ/მ გრამ, 2015:372).

ზმნისწინის განაწილებისა და სემანტიკის განსაზღვრაში მნიშვნელოვანია ფორმაწარმოების მოდელები. ზმნისწინი აქტიურად მონაწილეობს ზმნური ფორმების წარმოებაში ასპექტის, დროის, გვარის ქვევისა და კაუზატივის კატეგორიებში; ცვლის ზმნის ფორმოზრივ და შინაარსობრივ პლანს.

ზმნისწინი უცვლელად გვხვდება ან შეცვლილი სახითაც – იცვლება ხმოვანი. ცვლილება დამოუკიდებელია იმაზე, თუ როგორ ფუძეს ერთვის ზმნისწინი: თანხმოვანით დაწყებულს თუ ხმოვნით დაწყებულს; ერთვის თუ არა ზმნისწინს ნაწილაკები ანდა ორმაგად გართულებული ზმნისწინები.

ზმნისწინი ორგვარია: მარტივი და რთული. სტრუქტურულად მარტივი ზმნისწინი შედგება თანხმოვნისა და ხმოვნისაგან. თუმცა არის გამონაკლისი და ზმნისწინი წარმოდგენილია ოდენ ხმოვნით. რთული ზმნისწინის აგებულება ასეთია: თანხმოვანი+ ხმოვანი+ თანხმოვანი ან ხმოვანი+თანხმოვანი+ხმოვანი.

მარტივი ზმნისწინები განსაზღვრავენ ზმნურ ფორმას, გრამატიკულ კატეგორიას, ხოლო რთული ზმნისწინები უფრო ტოპოლოგიური მარკერებია, რომლებიც სივრცეში ქმედების თუ მდგომარეობის ლოკალიზაციას ახდენენ (ლ/მ გრამ, 2015:369).

ლაზურში მარტივი ზმნისწინი უცვლელია თანხმოვნების წინა პოზიციაში. ცვლილება ხდება რთულ ზმნისწინებში, კერძოდ, ზმნისწინის ხმოვნის ასიმილაცია ფუძისეულ ხმოვანთან; თუმცა ყოველთვის არ აიხსნება ასიმილაციით.

სარფის მეტყველებაში ხმოვნის ცვალებადობა ნაკლებ ვარიანტებს იძლევა. იდენტური ხმოვნები ერთ ხმოვნად შეირწყმებიან, რამაც პალატალიზაციამ გამოიწვია მთელი რიგი ბგერებისა და ბგერათკომპლექსთა იოტიზაცია, რასაც მოჰყვა დიფთონგის წარმოქმნა (ქუთელია, 2005:59).

ლაზურში ზმნისწინთა ფონეტიკური ცვალებადობა, შემადგენლობა და ფუნქციები განხილულია მარის შრომაში (მარი, 1910:37, 39, 40). ჩხალურში ი. ყიფშიძე მხოლოდ შა-ზმნისწინზე მიუთითებს (ყიფშიძე, 1994:639). არნ. ჩიქობავას შრომაში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ“ ჩამოყალიბებულია ლაზურის ზმნისწინთა სისტემა, დახასიათებულია მათი შემადგენლობა, ფონეტიკური ცვალებადობა და ფუნქციები (ჩიქობავა, 1936:58) მეგრულ-ლაზურში ზმნისწინის სტრუქტურულ-ფონეტიკური ანალიზი და მნიშვნელობები გამოწვილვით შესწავლილია ი. ასათიანის მიერ, რომლის სადისერტაციო ნაშრომში „წინდე-

ბული ზანურში“ (1952) გამოითქვა მოსაზრება, რომ ლაზურში მეგრულთან შედარებით ზმნის-წინების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია: 50 ზმნისწინიდან 8 მარტივია, ხოლო დანარჩენი რთული (ასათიანი, 2015:185).

ზმნისწინების წარმოებაზე მეგრულსა და ლაზურში წარმოდგენილია კ. დანელიას მონოგრაფიაში „კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა“ (დანელია, 2006:132).

ზმნისწინის სტრუქტურა, ფონეტიკური პროცესები ზმნისწინებში, ზმნისწინთა ფუნქციები, ზმნისწინი და სივრცის ტიპოლოგია შესწავლილია კოლექტიურ შრომაში „ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I, მორფოლოგია“ (ლ/მ. გრამ. 368-392). „ზოგი ზმნისწინის ფუნქციისათვის ლაზურში“ განიხილავს ო. მემიშიში (მემიშიში, 2013:37); მონოგრაფიაში „სარფი“ წარმოდგენილია ზმნისწინთა დანიშნულება, ასპექტი, გეზი და ორიენტაცია სარფის მეტყველებაში (სარფი, 2015:493).

სარფის მეტყველებაშიც ხუთ ათეულამდე მარტივი და რთული ზმნისწინია წარმოდგენილი.

მარტივი მე-პრევერბი შეესატყვისება ქართულის მე- ზმნისწინს და იგი უცვლელად მხოლოდ თანხმომვის წინ არის დადასტურებული, მაშინაც, როდესაც ეს თანხმომვი პრეფიქსია და მას ხმომვი მოსდევს. სქანი კულანი სი დიდო **მეგინგაფს** (ჩიქობავა, 1929:32) შენი ქალიშვილი შენ ძალიან გგავს; არ დღას ბათუმში მევიტი-ში... (ჩიქობავა, 1929) ერთ დღეს ბათუმში რომ მივდიოდი; აწი ეშელიშა **მეველურ** (ასათიანი, 1974:32) ახლა ვირთან მივდივარ. კილა მითის ვარ მეჩაფს (სარფ. მეტყ.) გასაღებს არავის არ მისცემს.

მეტყველებაში პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ხშირად დაკარგულია, ხმომვანთა მიმდევრობები გავლენას ვერ ახდენენ და მე- ზმნისწინი სრულადაა შენარჩუნებული.

ეშო **მეოყუფთ** ფხაჩქუფთ (ჩიქობავა, 1929:135).

ისე მივეყვებით და ვთოხნით.

თე მეუთანით (ჩიქობავა, 1929:97).

სინათლე მივუნათეთ.

ეშო მსქვა შეი ტუ-ქი... **მეაჯუნდამინტუ** (ჩიქობავა, 1929:82). ისეთი ლამაზი იყო, რომ მინდოდა მეკოცნა.

კაკალი ოხიუშა მეულუთ (კარტოზია, 1972:9).

კაკლის მოსაპარავად მივდივართ.

ქო-ნაწილაკის დართვით ზმნისწინი უცვლელია, მხოლოდ იცვლება ნაწილაკის ხმომვანი.

**ქო+მე+თანხმომვანი>ქომე... ქამე...**

გზა **ქომემოგურით!** (ჩიქობავა, 1929:62) გზა მიმასწავლეთ!

არ დემირჩიშა **ქომეფთი** (ასათიანი, 1974:32).

ერთ მჭედელთან მივედი

ფუჯი ქამე ოჭკიი (ასათიანი, 1974:29).

ძროხა დაგვალი.

ჯა ქამეკვათი (ჩიქობავა, 1929:98).

ხე მოვჭერი.

მეორე და მესამე პირში ხმომვით დაწყებული ფუძის წინ მე-ზმნისწინს ცვლის ნ-.

ფაა **ნობლუ** აწი ბიჭიქ ნოლამისას (ჩიქობავა, 1929:133) ფული მიაყარა ახლა ბიჭმა პატარძალს.

ლეზგეფე **ნოჩქუ** ნაიბიშა (ჩიქობავა, 1929:31). ლეკები მიაგზავნა ნაიბთან.

ხოჯი ღვაპას **ნუშქუ** (კარტოზია, 1972:20) ხარი მახრას დაუტოვა.

დულა კაითენ ნუჭკვიდუ (სარფის მეტყველება) საქმე კარგობით გადუწყვიტა.

**ქონ+ო>ქონო... ქანო...**

ჯაში კვათა **ქონოდუმელან** (ჩიქობავა, 1929:150) ხის კიბეს მიადგამენ.

**ქონოჩქუ** ხჩინი კულინიშა (ასათიანი, 1974:87) მიუგზავნა დედაბერი გოგოს.

ფენჯიეს **ქონოდგიტუ** (კარტოზია, 1972:14) ფანჯარას მიადგა.

ფუჯი **ქანოჭკიი?** (კარტოზია, 1972:31) ძროხა დაკალი?

მგეის კუჩხე **ქანოტახუ** (ჩიქობავა, 1929:69) მგელს ფეხი მოტეხა.

**ნუ-** : **ნულვან** კაკალი მეხიუშა (კარტოზია, 1972:9) მიდიან კაკლის მოსაპარავად. ვიტოხუთ ფარა **ნულტკოჩუ** (ჩიქობავა, 1929:18). თხუთმეტი ფული მიუგდო. მემედ-ფაშა არ დილენჩის **ნუნგაფტუ** (ჩიქობავა, 1929:61) მემედ-აღა ერთ მათხოვარს გავდა. ბერექ ბაბას ვარ **ნუსიმინუ** (სარფის მეტყველება) შვილმა მამას არ მოუსმინა.

**ქონ+უ>ქონუ... ქანუ...**

წკარის **ქონუდგიფან** (ჩიქობავა, 1929:137) წყალს მიუდგამენ.

ბერექ ბაბას ვარ **ნუსიმინუ** (სარფის მეტყველება) შვილმა მამას არ მოუსმინა.

**ქონ+უ>ქონუ... ქანუ...**

ნანა-მუშიქ არ კაზი **ქანუჭკიუ** (კარტოზია, 1972:23) დედამისმა ერთი ბატი დაუკლა.

ეს მამული ქანუკვათი (ჩიქობავა, 1929:45) ოცი მამალი დაუკლა.

**ნ+ი->ნი**: არ კოჩი გზას ნიტეენ-ში (ჩიქობავა, 1929:118) ერთი კაცი გზაზე რომ მიდიოდა.

მოტორი მზოლდექ ნიმერტუ (ჩიქობავა, 1929: ) მოტორი ზღვას მიჰქონდა.

**ქონ+ი>ქონი... ქანი...**

**ქონილუ** მანდაგეშ ოხოიშა (ჩიქობავა, 1929:11) წაილო მეზობლის სახლში.

ბიჭიქ კულანნი **ქონიჩქინუ** (სარფის მეტყველება) ბიჭმა გოგო დაინიშნა.

ფუჯიქ მჟა **ქანისქირაფს** (ჩიქობავა, 1929:127)

ძროხა რძე გაიშრობს

მსვამენ ჟურ თანე **ქანიწკუ** (ჩიქობავა, 1929:34)

ფრთიდან ორი ცალი ამოიძრო.

**ნ+ანა...**

ჭიტა ბეექ ნანა მუშის **ნამგაუ** (ჩიქობავა, 1929:122). პატარა ბავშვმა დედას მიატირა.

ჭუჭულის **ნანკაპუ** (ჩიქობავა, 1929:40) წიწილას მიახტა.

გზა მუთეფემის **ნაყონეს** (ჩიქობავა, 1919:55) თავიანთ გზას მიჰყვენ.

**ქონ+გ>ქონ... ქანა**

არ ოხო **ქონაგეს** (ასათიანი, 1974:67) ერთი სახლი შეხვდათ.

ჯოლოი **ქონარგუ** (კარტოზია, 1972:9) ძალი შეხვდა.

ფელუკას **ქონაკლიმუ** (ჩიქობავა, 1929:90) ნავს მოეკიდა.

ია **ქანაშქვეს** ოხოის (ასათიანი, 1974:101) ის დატოვეს სახლში.

მონჭვა ოფუტეს **ქანაშქუ** (ჩიქობავა, 1929:40) კრუხი ეზოში მიუშვა.

არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ ნ- ჩნდება მე-ს ადგილას გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში – ხმოვნის წინ. იგი ფონეტიკური ვარიანტი არ არის მე-წინდებულისა, არამედ გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში, ე,ი ხმოვნების წინ, შემონახულია ნ- პრევერბი. თანხმოვნის წინ იგი მე-ს გამოუდევნებია. ფუნქციით არავითარი განსხვავება მე-სა და ნ-ს შორის არ არის (ჩიქობავა, 1936:122).

ნ– მე–ს ენაცვლება მეორე და მესამე პირში, პირველი სუბიექტური პირის ნიშნის დაკარგვის შემდეგ პირველი და მეორე პირში ზმნები იდენტური აღმოჩნდნენ. მე – ულუ „მივდივარ“, მეულუ „მიდიხარ“, რაც ხოფურ–სარფულისათვის არ არის დამახასიათებელი I და II პირის გასარჩევად, საფიქრებელია მეტყველებამ გამოიყენა სონორი ნ, რომელიც ანალოგიით III პირშიც გაჩნდა ნ.

ობიექტური წყობის ზმნებთან ნ პრევერბი გამოვლინდა მხოლოდ III პირშიც.

**მო**– ზმნისწინი თანხმოვნის წინ უცვლელი სახითაა: კოჩეფე–ნა მოხვადერეტეს (ჩიქობავა, 1929:48) კაცები რომ შეხვედრიათ; ჩქინდა მუსაწირეფე მოხთერეტეს (სარფის მეტყველება) ჩვენთან სტუმრები მოსულიყვენ.

**ქო+მო+თანხმოვანი>ქომო ...**

შედის Áუქი **ქომოკიდუ** (ჩიქობავა, 1929:9) ვირს ტვრთი მოჰკიდა ხჩინიქ ექ **ქომოლა–ტკოჩუ** (ასათიანი, 1974:87) დედაბერმა იქ შეაგდო; კოჩითი ოხოიმა ქომოხთუ (კარტოზია, 1972:37) კაციც სახლში მოვიდა.

**ქამო**: ნჯაფეფე **ქამოკვათეს** (სარფ. მეტყ.) ხეები მოჭრეს ბიჭეფე ქამლორდეს (სარფ. მეტყ.) ბიჭები მოყუბდნენ.

**ქომა**: წკაის **ქომანძინუ** (სარფ. მეტყ.) წყალს მოემატა; გარო დილო **ქომაჰკომუ** (სარფ. მეტყ.) საჭმელი ბევრი შეჭამა.

**ქომუ**: სუწრა **ქომულეს** (ჩიქობავა, 1929:7) სუფრა მიუტანეს. ჯუმალეფექ დალიშენ დიშქა **ქომულეს** (სარფ. მეტყ.) ძმებმა ტყიდან შეშა მოიტანეს.

**ქამუ**: თო **ქამუკირუფან** (ჩიქობავა, 1929:139) თავს მოუკრავენ. ბადიქ ხჩინი ქამუ–შლეთინუ (სარფ. მეტყ.) მოხუცმა დედაბერი გადაარჩინა.

**მუი...** ქალამანი **მუიდუმელან** (ჩიქობავა, 1929:150) ქალამანს მოიდებენ.

**მუ...** ააა მამული მუ **მუყონია** (ჩიქობავა, 1929:23) ეს მამალი რა მოიყვანეო.

**ქამუი...** კოჩიქ **ქამუიშვაჯუ** (სარფ. მეტყ.) კაცმა დაისვენა

**ქომუი ...** ჩაფულაფე **ქომუიდუ** (ჩიქობავა, 1929:81) ფეხსაცმელები ჩაიცვა.

**ქამუი...** ჩაფულა **ქამუიწკეენ** (ჩიქობავა, 1929: ) ფეხსაცმელი გაუხდია.

**ქომუ ...** ოხოიმა **ქომულუ** (სიქობავა, 1929:11) სახლში მოიტანა.

**მო**– პრევერბის მნიშვნელობა ისეთივეა, როგორც ქართულის მო–სი.

სარფულში ე– წინდებულს ხშირად ენაცვლება **Áე** მიმდევრობა, როგორც თანხმოვნით დაწყებული ასევე ხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ.

ოთხენეჩდოვიტონჩხოვრო ვა მინონ–Áა, ვა

**ეზდიფ–Áა** (ჩიქობავა, 1929:3) ოთხმოცდაცხრამეტი არ მინდაო, არ ავიღებო

კოჩიქთი დოლოქუნუ **Áეზდუ** (ჩიქობავა, 1929:18)

კაცმაც ტანისამოსი აიღო.

ცაშა **Áეგიყონუ** (ჩიქობავა, 1929:35) ცაში აგიყვანა.

ხმოვნების წინ: **Áე>Áი – Áიყონი** „აიყვანე“. **Áე>Áა–Áაყონუ** „აყვა“.

**ქო+ე//Áე>ქე//ქÁე; ქეჰოფუ/ქÁეჰოფუ** „იყიდა“.

**ქო–ხე//Áე→ქაე//ქაე:ქაეხთუ//ქÁეხთუ** „ავიდა“

გე– პრევერბი ქართული და– ზმნისწინის მნიშვნელობისაა და მიუთითებს ზევიდან ქვევით სიბრტყეზე მიმართულებას თანხმოვნების წინ სრულად არის შენარჩუნებული.

გებუფან „დაასხემენ“.

**ქოგე**: ქოგეგობლი „დავაყარე“; ქაგე: ქაგეხთუ „ჩავიდა“

ხმოვნების წინ: გე+ხმოვანი>გი+ხმოვანი: გაიმგანან „დაიტირებენ“; გÁატენ „დაეცემა“ გიოდგიტუ „თავზე ადგა“. ქოგÁოხენ „ატყვია“ გÁუდუმელან „დაადებენ“.

გო/გონ ზმნისწინი სარჯის მეტყველებაში თითქოს ინტენსივობის გამომხატველია. მისი ქართული შესატყვისია გა/გან

გო-კუცხუ „გაიღვიძა“. გონწკუ „გაალო“

ქოგო>ქაგო: ქაგოკუცხუ დო ისელუ (ჩიქობავა, 1929:47) გაიღვიძა და წავიდა

გო> გვა: გვაშინუ „გახსენდა“ გვაშაშუ „აერია“.

გო/გონ ზმნისწინს შეუძლია ზმნების სემანტიკური გარდაქმნა (ტრანსლაცია): გონ-წკიფს „აღებს“, გო-წკიფს „ატყავებს“, გონ-დგინერი „გაზვიადებული“, გო-დგინერი „შემოდგომილი“, გონ-ტახერი „განელეხული“, გო-ტახერი „შემოტეხილი“ (მემიშიში, 2013:37).

დო- თანხმოვნების წოდებული სრულადაა შენარჩუნებული, ხმოვნების წინ ხდება ფონეტიკური ცვლილებები. დო-ს ქართული შესატყვისია და.

არ Fერმანი დოჰჰარათ (ჩიქობავა, 1929:144) ერთი ფირმანი დავწეროთ.

ქო+დო+თანხმოვანი: ქოდოსქიდუ „დარჩა“; ქოდოხედუ „დაჯდა“.

ხმოვნის წინ: ქოდოდგუ „დაუდგა“; დიმქვენ „დაფქვილა“, ქოდინჯირუ „დაიძინა“, დვაჩოდეს „გაუთავდათ“, ქოდვაჯოხინუ „დაეძახინა“.

მარტივ ზმნისწინებზე ნაწილაკების დართვით მიიღება რთული ზმნისწინები.

მეკა თანხმოვნების წინ უცვლელადაა: ღალის ნა მეკაფთი (ჩიქობავა, 1929:16). ღელეზე რომ გავედი;

მეკა+ა>მეკვა: მეკვასთოლუ „ესროლა“.

მეკა+ო>მეკო: მეკოლაფავს „გაატარებს“.

მეკა+უ>მეკიტეს „გადიოდნენ“. მიკილუ „გაიარა“.

ქო ნაწილაკიანი რთული წინდებულები თანხმოვნის წინ უცვლელია: ქომეკახთეს „გადავიდნენ“; შეიძლება შეგვხვდეს შეცვლილი სახითაც: ქომიკულუნ „გადავა“.

მოკა ზმნისწინი თანხმოვნების წინ უცვლელია მოკახთუ „გამოიარა“, მოკამათუ „მომეფარა“.

ხმოვნების წინ მოკა>მუკუ; მუკუღას „გამოუტანოს“ მოკიტას „გამოიაროს“.

ქო-მოკა+ თანხმოვანი: ქომოკახთით „გადმოდო“ ქამოკახთუ „გადმოვიდა“.

საურთიერთო ზმნისწინი ოკო თანხმოვნის წინ უცვლელია: ოკორთაფან „ინაწილებენ“, ოკობუნან „ჩხუბობენ“.

ხმოვნების შინ ოკო>ოკუ, უკუ, ოკი: ოკუკიუფან „მიზამენ ერთმანეთს“, უკუკიდინაფტუ „აჩხუბებდა“. ოკიკათეს „ერთად მოიყარეს“.

ოკო+ა>ოკვა: ოკვაკიდეს „იჩხუბეს“.

ქოკო+თანხმოვანი: ქოკოდვით „ერთმანეთს დაადეთ“, ქაკო: ქაკოჰჰვათი „გადავჭერი“.

ხმოვნების წინ: ქაკუწკეს „გაუხსნეს“, ქუქუკილეენ „შეუკრავს“, ქოკუიბდეს „შეიკრიბნენ“.

სარფულში გამოიყოფა კა წინდებულებიანი ფორმები, რომლებიც იქეთა და აქეთა მიმართულებას უჩვენებენ. ქართულში გამოიცემა გადა/გადმოთი.

მეკახთუ „გადავიდა“, მოკახთუ „გადმოვიდა“.

ხმოვნების წინ: მოკუდგინ „უკან დგას“ მუკუნტკობუნ „ეფარება“.

წა – დართული რთული ზმნისწინებში ზევიდან ქვევით მიმართულებას უჩვენებენ, მნიშვნელობით ქართულს შეესატყვისება ჩამო –

ეწა: ეწაცხონტუ „ახტა“, ეწახენ „ქვევით ზის“.

ეწო: ეწოზდუ „აზიდა, ასწია“.

იწუ : იწუხეტუ „ქვეშ იჯდა“.

ოწი: იწიწკედუ „აიხედა“.

ქეწუ: ქეწუდგუ „შეუყენა“.

ქიწუ: ქიწუხუნუ „ქვეშ დაიდგა“.

ქეწი: ქეწიდუ „ამოიდო“.

გონა: გონაგიმერს „გამოგართმევს“.

გოწო: გოწობუნ „კიდია“.

გოწუ: გოწულუ „გამოართვა“,

გუწუ: გუწუძინ „წინ უდევს“.

გოწვა: გოწვაკიდერუნ „წაჰკიდებია“.

ქოგოწო: ქოგოწოკიდეს „ჩამოკიდეს“.

ქა/ჰაგუწუ: ქაგუწულუ „გამოართვა“, ჰაგუწულუ „გამოართვა“.

მნიშვნელობის მიხედვით განსხვავებულ ჯგუფს ქმნის ლა– დართული ზმნისწინები. ასეთებია: მოლა–, დოლო–, ელა–, გელა–. ეს ზმნისწინები უჩვენებენ შიგნით ჰორიზონტალურ შიგნით და ქვევით მიმართულებას.

მოლა: ოქოთუმალეს ქოთუმეფე მოლახენან (ჩიქობავა, 1929:449). საქათმეში ქათმები არიან („შიგ სხედან“).

მოლი: ფორტუკალეფე ოდა ჩქინის მოლიბღეტუ (ჩიქობავა, 1929:92) ფორთოხლები ჩვენს ოთახში იყრებოდა.

მული: ოზას მოთ მულიდვი (ჩიქობავა, 1929:9) უბეში რად შეიდე.

ქომოლა: ქომოლახედუ ოხოის „დაჯდა სახლში“.

ქომოლო: ქომოლოხუნუ „ჩასვა“.

დოლო: ლაზუტი კალათის დოლოობლაფთ (ჩიქობავა, 1929:125) სიმინდს გოდორში ვყრით. ენთეფეს დოლოკიდენ ოღანწკილონი (ასათიანი, 1974:97). იმათვის გამოუკიდავს საწკრიალებელი.

დულუ: ია მზოდას დულუსტომელან (ჩიქობავა, 1929:150) იმას ზღვაში ჩაისვრიან.

დილი: დილიბენ „ჩაისხმება“.

დოლვა: თოლეფეს მჟუნა დოლვა ჩხატუ (ჩიქობავა, 1929:47) თვალეში მზემ ჩააჭყიტა.

ქოდოლო: ქოდოლობლუ „ჩაყარა“.

ქოდულუ: ქოდულუბლაფან „ჩაუყრიან“.

ელა: ზმნისწინის მნიშვნელობა უკავშირდება გვერდით, ნაპირას, კიდეზე, ფერდად.

მოხთია ელამაკათია (ჩიქობავა, 1929:32). მოდიო გამომეყვიო.

ხმოვნების წინ: ელუ, ილუ–, ქელუ–, ქილუ. ქელო–, ქელა–ქელვა...

გელა აღნიშნავს ზევიდან ქვევით მიმართულებას.

გელა – წინდებული ხმოვნებისა და თანხმოვნების წინ სხვადასხვა სახით: გელე–, გელო–, გელუ–, გილუ–, გელი–, გილი–, ქოგელა–, ქაგელა–.

გოლა პრევერბს აქვს ქართულის გადა წინდებულის მნიშვნელობა.

ხმოვნებისა და თანხმოვნების წინ სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი: გოლო–, გოლუ–, გულუ–, გოლი–, გული–, ქოგალა–, ქოგოლო–...

შა –წინდებული ქართული შე– პრევერბის შესატყვისია, იგი რამდენიმე ძირის ზმნებთან იხმარება: შევიგნი „გავიგონებდი, შევიგნეფტი, შემინახეს „შემინახეს“.



მეტწილ შემთხვევაში რთული ზმნისწინის ნაწილია. თანხმოვნების წინ წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმით: მუშა-, მეშე-, მეშო-, მეშუ-, მეში-, მიში-, ქომეში-, ქომოშა-, ეგშა-, ქეშა-, გეშა-, გოშა-.

შა-იანი მარტივი და რთული პრევერბები უჩვენებს ქვევიდან ზევით, შიგნით ადგილსა და მიმართულებას. ქართულად გადმოიცემა ა- და შე- წინდებულთ.

ჟა-იანი რთული ზმნისწინებში თანხმოვნების წინ წარმოდგენილია: მეჟო-, მეჟა-, მოჟა-, გეჟო-, ეჟა-; აღნიშნული წინდებულები ზედ, ზევით სიტყვათა მნიშვნელობას გამოხატავენ.

ოხო - ზმნისწინი ოკო - საურთიერთო წინდებულს ენაცვლება მნიშვნელობით. იგი სხვადასხვა კომბინაციებით წარმოდგენილია თანხმოვნების წინ: ოხუ-, უხუ-, ოხვა-, ოხვა-, ქოხო-, ქოხვა-.

მენდა- თანხმოვნების წინ: მენდო-, მენდუ-, მენდი-, მინდი-, ქომენდა-.

მა- დართული რთული ზმნისწინები: ამა-, ამო -, გამა-, ქოგამა-, ქაგამა-, გომა-, გამა- მიუთითებს გარედან შიგნით მიმართულებას და ქართულის გამო- ზმნისწინის ადექვატია მნიშვნელობით.

ნა - დართული რთული წინდებულები მეტყველებაში ნაკლებად გვხვდება.

რამდენიმე ზმნის ფუძესთან დასტურდება რთული ოკო- ნა- ელემენტდართული ზმნისწინი ზმნისდართული ოკო-ნა (ქართ.უკანა) გამოხატავს უკუქცევითობას და ზმნას უცვლის მნიშვნელობას: ღურუნ „კვდება“, ოკო-ნაღურუნ „გული წაუვა“, ოკო-ნახთუ „უკუიქცა“ ოკო-ნატკოჩუ „უკუტყორცნა“.

ძველ ქართულში უკუნ//უკუ, უკუმო, წიად, გარდამო ზმნისართადაც იხმარებოდა და ზმნისწინის ფუნქციასაც ასრულებდა (მარტიროსოვი, 1953:73).

გოწონა//გოწო მხოლოდ ერთადერთი ფუძის ზმნასთან გვხვდება: მა ვა გოწონავულუ, სი გოწონახთი (ჩიქობავა, 1929:26) მე არ გაგეცლები, შენ გამეცალე; სი გოწო დო მამეკავილა (ჩიქობავა, 1929:25).

ფონეტიკური პროცესების მხრივ (მეტყველებაში ხდება პროგრესული და რეგრესული ასიმილაცია), მეტყველებაში მიდრეკილებაა დიფტონგიზაციისკენ. დისიმილაციის შედეგად წინამავალი ხმოვანი დავიწროვებულია და ვიღებთ დიფტონგს. დამსგავსება ხდება ლიაობის ნიშნის მიხედვით.

## SYSTEM OF VERB REPOSITIONS IN THE SPEECH OF SARPI

OMAR MEMISHISHI

### SUMMARY

The structurally simple verb preposition in the speech of Sarpi consists of a consonant and a vowel. The exceptional verb preposition is presented with the only vowel. The structure of complex verb preposition is the following: consonant + vowel + consonant or vowel + consonant + vowel.

The variation of the vowel in the verb preposition in the speech gives fewer variants. Identical vowels interflow into one vowel. However, as the result of palatalization we get the iotization of a number of vowels and sound complex that is followed by formation of diphthongs.

## ლიტერატურა:

1. ლ/მ, გრამ, 2015: ჯ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I, მორფოლოგია.
2. ქუთელია, 2005: ნ. ქუთელია, ზანურის დიალექტთა ფონოტაქტიკისათვის, რესპ. დიალექტოლოგიური სესიის მასალები, XXV.
3. მარი, 1910: Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского) языка, с. Петербург.
4. ყიფშიძე, 1994: ი. ყიფშიძე, რჩელი თხზულებანი.
5. ჩიქობავა, 1936: არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი.
6. ასათიანი, 2015: ირ. ასათიანი, წინდებულები ზანურ (მეგრულ-ლაზურ) ენაში.
7. დანელია, 2006: ვ. დანელია, კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა.
8. მემიშიში, 2013: ო. მემიშიში, ზოგი ზმნისწინის ფუნქციისათვის ლაზურში, XXXVIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები.
9. სარფი, 2015: მ. ჩოხარაძე, ლ. თანდილავა, მ. ფაღავა, ო. მემიშიში, მ. ბარამიძე, ჯ. ვარშალომიძე, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, თ. შიოშვილი, მ. თავდგირიძე, ც. ნარაკიძე, ჯ. მიქელაძე.
10. მარტიროსოვი, 1953: ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში, იკე, ტ. V.

## წყაროები:

1. არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, I, 1929.
2. გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, 1972.
3. ი. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები, 1974.
4. ნ. კაკაბაძე, ლაზური ტექსტები, 2018.
5. სარფის მეტყველება.

## სახელებისა და ზმნის მიგრაციებისათვის გრამატიკაში

### ლევან ხალვაში, ლია გორგაძე

როგორც ცალკე დარგი გრამატიკა დაიწყო სახელისა და ზმნის გამოყოფით. ანტიკური მოაზროვნეები ამ ტერმინებით აღნიშნავდნენ როგორც აზრის ნაწილებს (სუბიექტსა და პრედიკატს), ისე შესაბამის სიტყვებსაც - მეტყველების ნაწილებს (Аристотель, 1978:56;93). ტრადიციულ გრამატიკაში სახელისა და ზმნის ძირითად კლასებად აღიარება განპირობებული იყო ამ ორი ტერმინის ლოგიკური წარმომავლობით. სახელისა და ზმნის როგორც აზრის ნაწილების დაპირისპირებაში ანტიკური ლოგიკა უპირატესობას ანიჭებდა პირველს. არისტოტელეს თანახმად, სახელი აღნიშნავს საგანს, რომელიც არც მოცემულია რამეში, არც ითქმის რაიმეს შესახებ, ხოლო ზმნა ყოველთვის ითქმის სახელის შესახებ (Аристотель, 1978:56;94). არისტოტელესეულმა ნომინოცენტრიზმმა სხვა ფაქტორებთან ერთად განსაზღვრა ევროპული გრამატიკის სახე. მხოლოდ მე-20 საუკუნეში ჯერ დესკრიფციულ ლინგვისტიკაში ზმნა აღიარეს წინადადების ყველაზე საჭირო სიტყვად (Блумфилд, 1968:177), ხოლო შემდეგ ზ. ჰერისთან და ლ. ტენიერთან - წინადადების სემანტიკურ ცენტრად (Теньер, 1988:121). ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ ლაიონზი არსებითი სახელის უნივერსალობასა და უწინარესობას ასაბუთებს აზრის ლოგიკური სტრუქტურის საფუძველზე. სახელი მსჯელობის საგანია, ამიტომ იგი წინ უსწრებს პრედიკატს, ამ უკანასკნელის პოზიციაში გამოიყენება: ზმნა, ზედსართავი მაერთით, არსებითი მაერთით:

1. Mary dances.
2. Mary is beautiful.
3. Mary is child (Лайонз, 1978:339).

მხოლოდ არსებითი სახელი, როგორც მსჯელობის საგნის აღმნიშვნელი, იკავებს სუბიექტის პოზიციას, ამიტომ იგი უპირისპირდება დანარჩენ მეტყველების ნაწილებს, რომლებსაც გამოვყოფთ პრედიკატში. ამის გამო არსებითი სახელებისა და სხვა მეტყველების ნაწილების გამიჯვნა პირველადია სიტყვათა ტაქსონომიისათვის. არსებითი სახელის დეფინიცია წინ უსწრებს სხვა მეტყველების ნაწილების განმარტებას. ზმნასაც ჯ. ლაიონზი განმარტავს ფუნქციურად: ზმნა აღნიშნავს სიტყვათა იმ კლასს, რომლისთვისაც პრედიკატის ფუნქცია პირველადია (Лайонз, 1978: 343). ზმნა გამოხატავს პირის, დროის, კილოს, ასპექტის გრამატიკულ ნიშნებს, რომლებიც აუცილებელია აზრის ჩამოსაყალიბებლად კომუნიკაციაში. არსებითი და ზედსართავი სახელები, აგრეთვე ზმნიზედებიც მოკლებული არიან ამ მაჩვენებლებს, ამიტომ პრედიკატის ფუნქციაში ისინი დაირთავენ დამხმარე ზმნას (მაერთს).

რუსულ ენაში აწმყო დროში მაერთი გამოიყოფება: Мария – красивая; Мария – ребенок. ბერძნულსა და ლათინურში მაერთის გამოყენება ასეთ კონსტრუქციებში იყო ფაკულტატური. ჯ. ლაიონზის აზრით, ამგვარი წინადადებები ინდოევროპული ენებისთვის უნდა ყოფილიყო პირველადი (Лайонз, 1978: 341). წარსულ და მომავალ დროში მაერთის გამოყენება აღნიშნულ ენებში აუცილებელია:

1. Мария – красивая.
2. Мария была красивая.
3. Мария будет красивая.

პირველად წინადადებებს ჯ. ლაიონზი გენერაციული გრამატიკის თანახმად მიიჩნევს სიღრმულად, ამიტომ დამხმარე ზმნას (to be) დაუშვებს მხოლოდ ზედსართულ სტრუქტურაში.

ისტორიულად ტრადიციული გრამატიკა არსებით და ზედსართავ სახელებს გრამატიკული ნიშნების მიხედვით აერთიანებს სახელთა კლასში და უპირისპირებს ზმნას. ლაიონზის შეფასებით, ამგვარი ვითარება გვაქვს ზედსართულ სტრუქტურაში, სადაც ზედსართავი სინტაქსური შეთანხმებით იმეორებს არსებითის ბრუნვასა და რიცხვს. პრედიკატის ფუნქციაში *Mary is beautiful* ზედსართავი სახელი თავად არ გამოხატავს დროს, კილოს, ასპექტს, ამას აკეთებს მეშველი ზმნა. სიღრმულად ზედსართავი უფრო ახლოს არის ზმნასთან, ვიდრე არსებითთან. ჯ. ლაიონზი შეგვახსენებს, რომ პლატონი და არისტოტელე ზედსართავის მთავარ ფუნქციად მიიჩნევდნენ პრედიკაციას და ამიტომ ზედსართავებს განიხილავდნენ ზმნათა კლასში, ხოლო ალექსანდრიელი გრამატიკოსები - როგორც არსებითი სახელების ქვეკლასს (Дж. Лайонз, 1978: 342). მართალია, ზედსართავი გამოხატავს „თვისებას“ და არა „მოქმედებას“, მაგრამ განსხვავება „თვისებასა“ და „მდგომარეობას“ შორის ნაკლებია (თუკი ის საერთოდ არსებობს), ვიდრე განსხვავება „მოქმედებასა“ და „მდგომარეობას“ შორის, - წერს ჯ. ლაიონზი (Дж. Лайонз, 1978: 343). სიტყვები: know (ცოდნა), exit (არსებობა), მეორე მხრივ, happy (ბედნიერი), young (ახალგაზრდა) ერთიანდებიან გრამატიკული ნიშნების საფუძველზე ანუ ზედსართულ სტრუქტურაში. მრავალ ენაში, მათ შორის ჩინურშიც, ზმნებისა და ზედსართავების ამგვარი გაყოფა არის შეუძლებელი. ამ შემთხვევაში ლინგვისტები ლაპარაკობენ არა ზმნებისა და ზედსართავების დაპირისპირებაზე, არამედ მოქმედების გამომხატველი ზმნებისა და სტატიკური ზმნების დაპირისპირებაზე და ზედსართავ სახელებს მიაკუთვნებენ უკანასკნელებს (Дж. Лайонз, 1978: 344). ამრიგად, მეტყველების ნაწილების სიღრმულ პლანში განხილვისას ზედსართავი სახელები უნდა გავაერთიანოთ ზმნებთან. არსებით სახელებთან ზედსართავი სახელები გააერთიანეს ალექსანდრიელმა გრამატიკოსებმა, ხოლო შუა საუკუნეების გრამატიკოსებმა ზედსართავი სახელები არსებითის მსგავსად დაუპირისპირეს ზმნას.

ლაიონზის კონცეფცია შეიძლება დავასაბუთოთ იმითაც, რომ, რაც უფრო მეტია ამა თუ იმ ენაში ზედსართავის სინტაქსური დამოკიდებულება არსებით სახელზე, მით უფრო ახლოს დგას იგი ამ პირველთან და, პირიქით, რაც უფრო ნაკლებია აღნიშნული დამოკიდებულება, მით უფრო უახლოვდება იგი ზმნას. ასე, მაგალითად, რუსულ ენაში ზედსართავი სახელი წინადადებაში ეწყობა ზმნას სქესში, ბრუნვასა და რიცხვში: *хороший ученик – хорошая ученица – хорошие ученики – хороших учеников*. გრამატიკული სქესის უქონლობის პირობებში და მსაზღვრელ-საზღვრულის განსხვავებული სინტაგმური ურთიერთმეწყობის გამო, ქართულ ენაში ზედსართავი ნაკლებად დამოკიდებულია არსებით სახელზე, შეადარეთ: „კარგი მოსწავლე - კარგმა მოსწავლემ“, მაგრამ „კარგი მოსწავლის - კარგი მოსწავლით; კარგი მოსწავლეები, კარგი მოსწავლეების“ და ა.შ. მოყვანილი მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ რუსულთან შედარებით ქართულ ზედსართავს უფრო ახასიათებს სიღრმული ბირთვული ფორმის თვისებები. თუ ქართული ზედსართავი ნაწილობრივ მაინც ეწყობა არსებითს, ინგლისური ენის ანალიტიკური სტრუქტურა საერთოდ არ გულისხმობს ამგვარ მორფოლოგიურ შეთანხმებას: „he is good pupil – she is good pupil – they are good pupils.“ თუ ინგლისურ ენაში სქესს განასხვავებენ პირის ნაცვალსახელები (he, she), ხოლო მრავლობით რიცხვში არსებითი სახელი დაირთავს შესაბამის ნიშანს (-s), ჩინურში ორივე სქესისთვის გამოიყენება ერთი და იგივე კონსტრუქცია: *Ta (ის) shi (არის) yige hao xuesheng*, ხოლო

მრავლობითი რიცხვი გამოიხატება მხოლოდ პირის ნაცვალსახელის შესაბამისი ფორმით: Tamen (ისინი) shi (არის) hao xuesheng. შევადაროთ:

რუსული	ქართული	ინგლისური	ჩინური
У меня нет хороших учеников	მე არ მყავს კარგი მოსწავლეები	I have not good pupils	Wo meiyou hao xuyesheng

ჩინურ ენაში ზედაპირულ სტრუქტურაში ზედსართავი სახელი წარმოდგენილია სიღრმული ფორმით, რომელიც ავლენს სრულ დამოუკიდებლობას არსებითი სახელისაგან. ჯ. ლაიონზის ზედსართავი სახელების ზმნებთან ერთ კლასში გაერთიანების ვერსიას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჩინურ ენაში შემასმენლის (პრედიკატის) პოზიციაში ზედსართავი გამოიყენება მეშველი ზმნის გარეშე, შევადაროთ:

ჩინური	ქართული	რუსული	ინგლისური	თურქული
Wo hen hao. „მე ძალიან კარგი“	მე კარგად ვარ	Я хорошо чувствую	I am good	Ben iyiyim

თურქულ ენაში მეშველი ზმნის ფუნქციას ასრულებს შემასმენლობითი აფიქსი, რომელიც იწერება ზედსართავთან შერწყმულად.

ცნობილია, რომ თავის ლინგვისტურ თეორიას ნ. ხომსკი ისტორიულად უკავშირებდა პორ-როიალის გრამატიკას, რომლის ავტორებმა ა. არნომ და კ. ლანსლომ სინტაქსური ტრანს-ფორმაციის გზით, ნ. ხომსკის შეფასებით, პრაქტიკულად განასხვავეს წინადადებაში „ზედა-პირული“ და „სიღრმული“ სტრუქტურები (Хомский, 2005: 89). წინადადებაში „უხილავმა ღმერთმა შექმნა ხილული სამყარო“ ფრანგმა ენათმეცნიერებმა გამოყვეს სამი მსჯელობა: 1) ღმერთი არის უხილავი. 2) ღმერთმა შექმნა. 3) სამყარო არის ხილული. (Арно, Лансло, 1990: 130). მიუხედავად იმ ფაქტის, რომ ჯერ არნოსა და ლანსლოს, ხოლო შემდეგ ხომსკის ვერსიით, სიტყვათა ატრიბუტულ შეხამებას ზედაპირულ სტრუქტურაში შეესაბამება სიტყვათა პრედიკატული შეხამება სიღრმულში; პირველი მიიღება მეორესაგან:

ზედაპირული	სიღრმული
უხილავი ღმერთი. ხილული სამყარო.	ღმერთი არის უხილავი. სამყარო არის ხილული.

სიღრმული კონსტრუქციები ბირთვულია, პირველადი, მათგან ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული ზედაპირული კონსტრუქციები - მეორეული.

ქართულ ენაში ზედსართავი არ დგას იმდენად ახლოს ზმნასთან, რომ ჩინურის მსგავსად, ჩაენაცვლოს მას მეტყველებაში, მაგრამ შორეულ დისტრიბუციულ გადაკვეთას ზედსართავის მსგავს ფორმებსა და ზმნას შორის მაინც აქვს ადგილი. ქართულს მოეპოვება გრამატიკული ფორმა, რომელიც ვნებითი გვარის ზმნის მიერ აღნიშნულ მოქმედებას წარმოგვიდგენს სტატიკურად - „უძრავ მდგომარეობაში“, არა როგორც პროცესს, არამედ როგორც პროცესის

შედგეს: სწერია, ხატია, აცხია, აკერია, აფარია, არჭვია, არტყია, ჰხურავს, აბია, აბარია, აბეჭდია, აგდია, სთესია, უკავია, ჰკიდია და სხვა ( შანიძე, 1980: 313). განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება მოვიყვანოთ ა. შანიძის შემდეგი შენიშვნაც: „სტატიკური ზმნა მნიშვნელობით ისეთია, რომ თამამად შეიძლება შევცვალოთ ის წინადადებაში შედგენილი შემასმენლით, რომელშიც ვნებითის მიმღეობა შედის: სთესია - დათესილია, სწერია - დაწერილია, ჰმარხია - დამარხულია, ანთია - დანთებულია, აწყვია - დაწყობილია, აბარია - მიბარებული აქვს (ან ჩაბარებული აქვს) და მისთ. ... ამიტომ, სადაც სტატიკური ფორმა არა გვაქვს, იქ სწორედ ასეთი შემასმენელი იხმარება...“ ( შანიძე, 1980: 314). მიმღეობა, როგორც ცნობილია, ზმნისა და ზედსართავის საზიარო (ჰიბრიდული) გრამატიკული ფორმაა. შეიძლება დავუშვათ: მიმღეობის ჩამოყალიბება ენაში შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ზედსართავი სახელი და ზმნა სიღრმულ პლანში მიეკუთვნებიან ერთ მეტყველების ნაწილს.

ანტიკურ პერიოდში ტერმინს „verb“ (ზმნა) ჰქონდა უფრო ფართო მნიშვნელობა, ვიდრე თანამედროვე გრამატიკებში: მეტყველების შესაბამის ნაწილთან ერთად იგი აღნიშნავდა პრედიკატსაც, რომელიც განსაზღვრავდა სუბიექტს (ანტიკური ტერმინოლოგიით „სახელს“). ამრიგად, პრედიკატის როლში სახელი თავიდანვე გაიგებოდა როგორც სახელის(სუბიექტის) განმსაზღვრელი სიტყვა(ზედსართავი სახელი), რის გამოც არისტოტელეს შემდგომ პერიოდში იგი მიაერთეს არსებით სახელს (Дж. Лайонз, 1978: 345). ლაიონზი აქცევს ყურადღებას იმ ფაქტს, რომ ტრადიციული გრამატიკა ზმნიზედას განმარტავს, როგორც მოდიფიკატორს - მეტყველების ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს ზმნას, ზედსართავს ან სხვა ზმნიზედას: *Mary dances beautifully* - მერი ლამაზად ცეკვავს. *Mary dances extraordinarily well* - მერი ცეკვავს ძალიან კარგად.

ინგლისურ ენაში ზედსართავი და ზმნიზედა განსხვავდებიან დისტრიბუციულად:

ზედსართავი: *Mary is beautiful woman* - მერი ლამაზი ქალია.

ზმნიზედა: *Mary looks beautiful* - მერი გამოიყურება ლამაზად.

მორფოლოგიურ ზღვარს ამ ორ მეტყველების ნაწილს შორის ავლებს დერივაციული ზმნიზედური აფიქსი *ly*:

ზედსართავი	ზმნიზედა
beautiful	beautifully
merry	merrily
angry	angrily

მაგრამ პრედიკატის პოზიციაში შესაძლებელია როგორც ზმნიზედა, ისე ზედსართავიც:

*Mary is beautiful* – 1) მერი არის ლამაზი 2) მერი არის ლამაზად.

*I am proud* – 1) მე ვარ ამაყი 2) მე ვარ ამაყად.

ჟ. ლაიონზის შეფასებით, ინგლისურ ენაში ზედსართავების უმრავლესობას სიღრმული სტრუქტურის დონეზე შეუძლია განსაზღვროს როგორც არსებითი სახელი, ისე ზმნაც.

მსგავსი ქართული მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ სასაუბრო მეტყველებიდანაც: „იგი უეჭველი მოვა“.

## FOR THE NOUN AND VERB APPEALING IN GRAMMAR

LEVAN KHALVASHI, LIA GORGADZE

### SUMMARY

Traditional grammar merits nouns and adjectives in one name class and confronts it to the verb. According to J. Lyons, we have such kind of situation on the superficial structure, while the adjective is synchronized with the verb.

The observation has shown that the proximity of the adjective with the verb varies from language to language, namely the less syntactic dependence of the adjective on nouns we have in the language, the closer it is to the verb. Adjectives are in different relationships with the verb in the Georgian, Russian, English, Turkish and Chinese languages.

### ლიტერატურა

1. შანიძე ა., 1980- თხზ12 ტ.,III, თსუ, თბილისი
2. Аристотель, 1978-соч. в 4т., т. 2, Мысль,М.
3. Арно А., Лансло К., 1990- Грамматика общая и рациональная, Прогресс, М.
4. Блумфилд Л., 1968- Язык, Прогрес, М.
5. Лайонз Дж., 1978-Введение в теоретическую лингвистику. Прогресс., М.
6. Теньер А., 1988- Основы структурного синтаксиса, Прогресс, М.
7. Хомский Н., 2005 –Картезианская лингвистика, Ком. Книга, М.

## ფოლკლორი

### ქართველ მუჰაჯირთა შრომის ლექს-სიმღერები

#### თინა შიოშვილი

ქართული ხალხური შრომის პოეზიას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს და მისი შემქმნელი ხალხის მდიდარი და ხანგრძლივი ისტორიის სხვადასხვა საფეხურთა ნათელი ანარეკლია. იგი გამორჩეულია როგორც თემატური, ისე სახეობრივი მრავალფეროვნებით და, ჩვენი ქვეყნის რელიეფური ნარგვარობიდან გამომდინარე, მსოფლიოში გავრცელებული შრომის თითქმის ყველა ძირითად სახეობას მოიცავს. მათ უმრავლესობას ჩვენმა წინაპრებმა შესაფერისი მელოდიებიც მიუსადაგეს და სწორედ ამგვარი, ამღერებული პოეტური ტექსტებით გაილამაზეს შრომითი სამყარო, რაც ჩვენი ერის სულიერი სიმდიდრისა და დახვეწილობის დასტურიც არის და, ამავე დროს - დიდი წვლილიც კაცობრიობის კულტურის ისტორიაში.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებამ შემოინახა ძირითადად ნადური და წველის ლექს-სიმღერები.

#### 1. ნადური ლექს-სიმღერები

ქართული ხალხური შრომის პოეზიის ერთ-ერთი უძველესი უბანია ნადური, იგივე ყანური, ანუ თოხნური, რომელიც უკავშირდება ძველთაგანვე ჩვენში გავრცელებულ შრომაში კოლექტიური დახმარების წეს-ჩვეულებას. “ნადი თავისი რიტუალებით, შესასრულებელი კაზმულსიტყვაობითა და ხალხური სცენებით, როგორც აღვნიშნეთ, კოლექტიური შრომის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ფორმა იყო და განუსაზღვრელი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ფუნქცია ენიჭებოდა. ნადის ზნეობრიობა უსასყიდლო, უანგარო ურთიერთ-დახმარებაში მდგომარეობდა და თაობებს ზრდიდა როგორც შრომისადმი, ისე კონკრეტულად ნადის წევრთა და ზოგადად სოციალური წევრთა ურთიერთსიყვარულით” (შიოშვილი, 2009: 49). ამ ურთიერთობის ამსახველი ტერმინებია აღმოსავლეთ საქართველოში - “მამითადი”, “მუშა”, “რიგრიგა”, დასავლეთ საქართველოში კი - “ნადი”. სულხან-საბას განმარტებით, ნადი არის “მუშაკნი შეყრილნი” (ორბელიანი, 1966: 556).

ჭირსა და ლხინში თავშეყრილობა, ერთად დგომა და ერთობის სიკეთე კარგად ჰქონდათ შეგნებული ჩვენს წინაპრებს; ერთობლივი შრომის ფასიც იცოდნენ, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ადულაბებდა ისტორიულად მტრებით გარემოცულ ჩვენ ერს, მეორე მხრივ კი საფუძველს უქმნიდა ნაციონალური ხელოვნების უნიკალურ გამოვლინებას - ქართულ ხალხურ ნადურ სიმღერებს, რომლებიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში სრულდებოდა როგორც უშუალოდ შრომის პროცესში, ისე - ფერხულების დროს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარული (ქობულეთური) ნადური (სიმინდის ყანის თოხნისას შესასრულებელი) სიმღერები, ანალოგიურ გურულ სიმღერებთან ერთად, პოლიფონიური მრავალხმიანობით გამოირჩევიან; ისინი ოთხხმიანი სიმღერებია და მიეკუთვნებიან იმ არქაულ ნიმუშებს, რომლებიც სათავეს იღებენ ხელოვნების სინკრეტიზმის ხანაში (ნოლაიძელი, 1971: 67-68, 98; ჩხეიძე, 1973: 32). ამდენად,



სრულიად ბუნებრივია, რომ ხანიერი ტრადიციისა და უნიკალური სამემსრულებლო ვირტუალობის მქონე ნადური ლექს-სიმღერები უაღრესად გამძლე აღმოჩნდა არა მარტო დღევანდელი საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ეთნოგრაფიული რეგიონების ზეპირსიტყვიერებაში, არამედ მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლებში რუსეთ-თურქეთის ომის (1853-1878) ბოლო ეტაპიდან (განსაკუთრებით კი მისი დამთავრების შემდეგ) აჭარიდან ლტოლვილ ქართველთა შთამომავლობის, აგრეთვე, ისტორიული ქართული რეგიონების (შავშეთი, კლარჯეთი) და ამ რეგიონებიდან თურქეთის შიდა რაიონებში მიგრირებულთა ზეპირსიტყვიერებაშიც. ეს სასიამოვნო ფაქტი დაადასტურა 2012-2018 წლებში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ მოწყობილმა სამეცნიერო-კომპლექსურმა ექსპედიციებმა (ხელმძღვანელი პროფ. მამია ფაღავა) თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაშიც.

ისტორიული ბედუკულმართობის გამო სამშობლოდან თურქეთში გადახვეწილ ქართველობას არა თუ დაუკარგავს, არამედ, როგორც ტრადიციულ საზოგადოებას ახასიათებს, შემოუნახავს და ჩვენს დრომდე მოუტანია ქართული ფოლკლორული შემოქმედების ამ არქაული ჟანრის ნიმუშები.

შრომაში კოლექტიური ურთიერთდახმარების ფაქტორის სიკეთისა და შრომის პროცესის მობილიზების თაობაზე ჩვენებურები ამბობენ:

“- ნადში მევიყრებით, ერთ დღეს შენ ყანას ვვხიკავთ, მეორე დღეს იმასთან; თხილსაც ვკრიფავთ ესე, ნადში; მარტუა<sup>1</sup> გვეზარებთან” (მთქმელი ასიე ქესკინი (ჩიკვაიძე), 65 წლის, მცხოვრები სამსუნის პროვინციის თერმეს რაიონის სოფელ ქუშჩაში. (ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2012 წლის 6 ივლისს სოფელ ქუშჩაში).

შრომაში უსასყიდლო დახმარებას, ანუ ნადს, ჩვენებურები “ფეხზე დაყენებას” უწოდებენ: “ - ნადი იცოდენ ძველებმა, დეესეოდენ, ჯერ ერთ დააყენებდენ ფეხზე, მემრე - მიორეს; წყალი მეიყვანეს, წისქვილი მუაწყეს, სახში ცეცხლაპირი გეიკეთეს”, - ასე მსჯელობს საქარიას (ადაბაზარი) პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუსმანიეს მკვიდრი რემზი სოლმესი (კოლოტაშვილი), რომლის წინაპრებიც ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მარადიდიდან წასულან (ზოსიძე, 2017: 134).

ერთმანეთის უანგარო დახმარება ჩვენებურებმა შრომის თითქმის ყველა სახეობაში იცოდნენ; “ - წინ იყო ნადობა. სიმინდი გავარჩევდით, თხილი, ლობიო გავარჩევდით”, - გვამცნობს მარადიდელ მუჰაჯირთა შთამომავალი, საქარიას (ადაბაზარი) პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ შერეფის მკვიდრი - 54 წლის ნურსელ ავჯი (ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2018 წლის 10 ივლისს).

“- ნადები ვიცოდით, სიმინდი დავარჩევდით, თუთუნი ავასხმევდით; ღამეში ნადები ვიქმოდით”, - გაგვანდო ცოცხობელი მუჰაჯირების შთამომავალმა ნურთენ მუთმა (ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2018 წლის 13 ივლისს).

“- იცოდნენ ნადები სამარგელი, პურის საჭარი, მისირნადები”, - გვიამბობდა ამჟამად სტამბულში მცხოვრები მარადიდელი მუჰაჯირების შთამომავალი და მშობლიურ სოფელში სტუმრად მყოფი 76 წლის ემინე ონერი (ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2018 წლის 9 ივლისს სოფელ ილიმბეში).

კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის დაცულ შრომის ლექს-სიმღერებში წარმოჩენილია შრომის სხვადასხვა სახეობათა თანმიმდევრობაც, რაც ერთგვარ მათრგანიზებელი

ფაქტორი უნდა ყოფილიყო გლახობისათვის. 68 წლის “გარმონჯისაგან” - ჯელალ დილდა-რისაგან (მცხოვრები ქოჯაელის პროვინციის ქართველ რაიონის სოფელ ბალაბანში) 2013 წლის 12 ივლისს ჩვენ მიერ ჩაწერილ შრომის სიმღერაში ამგვარ გეგმურ გარჯაზე საუბარი:

მოთავდა სიმინდობა,  
ახლა მოვდა პურობა;  
ორი წლის თოსუმია,  
დეაწყო ახლა ხტომობა.

(შიოშვილი, 2015: 130)

“- ნადი იქნებოდა, ყანაში წევდოდით, - გვითხრა აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავალმა - 93 წლის ჰაიდარიელმა ხასან ყურთმა (ყურთოღლი). - ნადებ ექცეოდენ: პური ჭრა, სიმინდი ჭრა. ღამე სიმინდ გავარჩევდით, ჰამბარში ჩევყრიდით, ზამთრიზა გავაჰაზირებდით; ზამთარში ვჰამდით (ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2014 წლის 13 ივლისს).

შრომისადმი მოწოდებას და მობილიზებას წარმოადგენს მ. ფაღავას მიერ ორდუს პროვინციის ორდუს ცენტრალური რაიონის სოფელ იუჯელერში (ძველი მიტრაბოლი) აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლის - ხასან ჯინჭარაძისაგან 2012 წლის 8 ივლისს ჩაწერილი ნადურში სამღერო მინიატურა:

ყესლი ბუძიევ, მიმყევ-მომყევ,  
წედი-მოდი, მე მოვალ!

(ფაღავა, 2016: 95)

აღსანიშნავია, რომ ყანის მკასა და თოხნაში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის ქალების ნადი ცალკე, მამაკაცებისაგან გამოყოფილად, საქმიანობდა.

“ყანებში წევდოდით ორადით, ცელით, მოვჭრიდით. ყანი ფხეკაში, პური ჭრაში ქალების ნადი იყო. კაცებში არ ერევიან ქალები”, - ასე გაგვაცნო აწ უკვე ფაქტობრივად მივიწყებული შრომაში კოლექტიური დახმარების ოდინდელი ტრადიცია 52 წლის გიულბახჩელმა (ბურსას პროვინციის ინეგოლის რაიონი) ქალბატონმა ფათმა შირინმა (ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 10 ივლისს), რომლის წინაპრებიც აჭარიდან იყვნენ; ბურსას პროვინციის გემლიქის რაიონში მცხოვრებმა აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავალმა - 93 წლის ხასან ყურთმა (ყურთოღლი) კი სიამოვნებით გაიხსენა ნადის ტრადიცია: “ნადი იქნებოდა, ყანაში წევდოდით. ნადებ ექცეოდენ - პური ჭრა, სიმინდი ჭრა, ღამე სიმინდ გავარჩევდით, ჰამბარში ჩევყრიდით, ზამთრიზა გავაჰაზირებდით, ზამთარში ვჰამდით” (ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2014 წლის 13 ივლისს).

ტრადიციისამებრ, შესვენებისას თუ შრომის პროცესში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები, როგორც ზოგადად საქართველოს ყველა რეგიონში ხდებოდა, ნადში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გართობას - ცეკვასა და სიმღერას. ამის ერთ-ერთი დასტურია გირესუნის პროვინციის ბულანჯაქის რაიონის სოფელ დამუდერეში ქედელი მუჰაჯირების შთამომავლის - 70 წლის ხატიჯე ყაჯარისაგან (ყურდოღლი) ჩაწერილი ლექს-სიმღერა, რომელსაც, მთქმელის განმარტებით, “სიმინდი ფხეკისხან იმღერებდენ”:

ემინევ, ჰაიდი, ვისამოთ,  
ნად, ნად, ნად, ნად!  
ემინევ, დღეს ვფხიკოთ სიმინდი!  
ხან დაგვცხება, ვისამებთ...  
ემინევ, ჰაიდი, გავგრილდებით,  
კიდევ ვისამებთ!..

გურჯების ნადური სიმღერა განთქმული ყოფილა და პროფესიონალი მონადე-მომღერებლებიც ყოფილან: “წინ-წინ ყანას ნადით მოთხრიდენ, ნადით “ჰორერა” იტყოდენ: შუაზე ერთი ლექს იტყოდა; ერთი ხუშუტ დედეა გვყავდა, იგი იტყოდა კარგათ. თურქები იტყოდენ, გურჯები კარგათ იმღერებთ, ჰამა ხუშუტა ამგრევესო, “ხუშიტ ბოზიორო”, იყვენ, რესული ჯავარდი, ისაც იტყოდა ლამაზათ”, - გაგვიმხილა სოფელ ჰილმიეს მკვიდრმა ახმედ მოლააჰმედ-ოღლიმ 2014 წლის 8 ივლისს (ფაღავა, 2017: 394).

კოლექტიური შრომის, ერთად ყოფნის სიხარული და სიამე კარგად არის გამოხატული ხეზელი (მარადიდი) მუჰაჯირების შთამომავლის - ქოჯაელის პროვინციის ქართველ რაიონის სოფელ ეშმეხმედიეს მკვიდრის - 62 წლის მუჰამმერ სონმეზისაგან 2018 წლის 14 ივლისს ჩაწერილ ლექს-სიმღერაში:

ვო, ჰოა, რივაა ნანა,  
ორი კუკუ, რივაა ნანა,  
ეს სიმღერა მეტი მიამა!..

ქართული ხალხური ნადური ლექს-სიმღერების თემატიკა მრავალფეროვანია. ნადის დროს, გარდა უშუალოდ შრომის თემატიკის შემცველი ნიმუშებისა, იმღერებოდა საყოფაცხოვრებო, საწესჩვეულებო, საგმირო და სატრფიალო ლექს-სიმღერები. არსებითად ამგვარი ვითარება გვაქვს თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა მემკვიდრეების ზეპირსიტყვიერებაშიც.

ორდუს პროვინციის უნიეს რაიონის სოფელ საილაში მცხოვრები ქობულეთელი მუჰაჯირების შთამომავლის - 87 წლის ისლამ თამაზოღლუსაგან (თამაზაშვილი) ჩვენ მიერ 2012 წლის 4 ივლისს სოფელ ჩათალფინარში ჩაწერილი ნადური თემატურად საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერას განეკუთვნება. მთქმელის განმარტებით, ის იმღერებოდა სიმინდის თოხნის დროს: “ჩვენი ძველები ისე ჩიოდნენ სიმინდის თოხნაში, ნადში; ყანას მარგლიდნენ, ამღერებდნენ:

ჰოო, ჰო, აბა დელი დელა!  
გედევარე ბაღჩაში და ...  
ჰოო, ჰო, აბა დელი დელა!  
ქალი ქათამს აგინებდა,  
ნანინაა, ნანინაა და ...  
- შე ქორის საჭმელეო!  
ნანინაა, ნანინაა და ...  
- შე ტურის საჭმელეო,  
ნანინაა და...

(შიოშვილი, 2012: 96; შიოშვილი, მახარაშვილი, 2013: 246)

სიმღერის თანმიმდევრობა და, ამავე დროს, ნადში ტრადიციული, ორი გუნდის პრინციპზე დამყარებული, საშემსრულებლო ტრადიცია ასე აგვიხსნა მთქმელმა:

“ - ვორი კაცი აქეთ თავზე იქნებოდა, ვორი - იქეთ თავზე. აქედან ვორი იმღერებდა, მერე დატევდა; იქეთა მხრიდან მერე მღეროდნენ; თოხნაშიც მღეროდნენ და ქორწილშიც”.

ამ ლექს-სიმღერის თითქმის იდენტური ვარიანტი დავაფიქსირეთ სოფელ ჩათალფინარში მცხოვრები 57 წლის ერქან ოზის (ბეჟოლი) თქმით; იგი სიმღერას ასრულებდა მუსიკალური ინსტრუმენტის - ბალავანის თანხლებით:

გედევარე ბაღჩაში და...  
 ქალი ქათამს აგინებდა,  
 ნანიანა, ნანიანა და ...  
 - შე ქორის საჭმელო!  
 - შე ტურის საჭმელო!  
 ნანიანა, ნანიანა და ...

ამ ლექს-სიმღერის ერთ-ერთი, ალბათ ყველაზე არქაული, ვარიანტი დასტურდება პეტრე უმიკაშვილის კოლექციაში, რაც ნათელს ხდის, რომ ეს ლექს-სიმღერა ძველთაგან ფართოდ იყო გავრცელებული მთელს საქართველოში:

გადვიხედე საგინეს,  
 ქალი ქათამს აგინებს:  
 “ - აქმა, აქმა, შე ტიელო,  
 ქორი მოგინადირებს!”

(უმიკაშვილი, 1937: 395)

ლექსი ჩაწერილია 1871 წელს ხევში, სოფელ არაფეთში. ცნობილია ჯუანშერ სონღულაშვილის მიერ 1954 წელს ქართლში, სოფელ დილომში, ჩაწერილი ვარიანტიც:

გადვიხედე სარკინეთსა,  
 ქალი ქათამს აგინებსა:  
 “ - აქმა, აქმა, შე ოხერო,  
 აგრემც ქორი წაგიღებსა!”

(ბ. სიტყვ. მ., 1955: 187)

ბუნებრივია, ეს ლექს-სიმღერა აჭარაშიც ფართოდ იქნებოდა გავრცელებული, თუმცა ჯერჯერობით, სამწუხაროდ, აჭარის ფოლკლორში არ ფიქსირდება; ამდენად, აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის ბოლო დრომდე შემორჩენილ ამ საყოფიერო ლექსს - “... გადვიხედე ბაღჩაში...”, რომელსაც ჩვენი წინაპრები ნადში მღეროდნენ, ქართული ფოლკლორის-ტიკისათვის ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა ენიჭება.

ნადი ჩვენებურთათვისაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრადიციული, ორი გუნდის პრინციპზე დაფუძნებული, შეჯიბრია როგორც შრომაში, ისე - ამ შრომის წამახალისებელ ლექს-სიმღერების თქმაში. სწორედ ამით აიხსნება ნადურში სამღერი საყოფაცხოვრებო თემატიკის ტექსტების სიმრავლე. სოფელ ბალჯიდედეში (ბალიქესირის პროვინცია, გონენის რაიონი) 63 წლის იუქსენ გენჩისაგან ჩაწერილ ლექს-სიმღერაში, რომელიც ნადურში იმღერება, მსუბუქი იუმორით ხასიათდებიან თანასოფლელები, იგივე ნადის წევრები:

ქერიმი აზმანია,  
 გაბლულავს ყველას კარში;  
 ასლანი ძიგძიგია,  
 გასულა კაკლის წვერში;  
 ისმაილი ღორსავენ ხრუტუნობს  
 გრძელ ნაპირში;  
 ჩვენ ოსმანი ტადასა  
 თეთრი შესვლია წვერში...

მთქმელმა საგანგებოდ გახაზა, რომ ნადური სიმღერები ორპირული შესრულებისაა: “- ნადში გაღმა-გამოღმა მდგარან დედები, მღერობენ...” (ჩაიწერა თინა შიომვილიმა 2014 წლის 17 ივლისს სოფ. ბალჯიდედეში).

ნადური ლექს-სიმღერების ორპირულობაზე მიუთითა, აგრეთვე, იმავე სოფლის მკვიდრ-მა - 67 წლის ნური ჩელიქმა: “- ნადობა იყო, გაღმა-გამოღმა დაჟდებოდენ, ერთმანეთ გამუთუქ-მებდენ; ნადებში იმღერებდენ”.

ნური ჩელიქისაგან 2014 წლის 17 ივლისს ჩაწერილი, ქალების ნადში სამღერი, ლექსი, როგორც ჩანს, პასუხია გაღმა მდგარი ვაჟებისათვის:

გაღმა ვენახში ტყემალი  
კუნწულ-კუნწულ კიდია,  
მე თქვენსავენ ბიჭები  
ახორში მიბია.

ამგვარი გამობმარება-გაპაექრებანი მუდმივად იყო ნადის დროს. სწორედ ამაზე მიუთითებს 2012 წლის 4 ივლისს ჩვენ მიერ სოფელ ჩათალფინარში (ორდუს პროვინცია, უნიეს რაიონი) 64 წლის მემედ ქუთლუსაგან (საფრიელაძე) ჩვენ მიერ ჩაწერილი ნადური სიმღერის ფრაგმენტი:

ჰაი, ჰაი და ეწრის ფაცხა,  
მამაძალი გეტყვის რაცხას!..

ტრადიციულად, ნადების დროს ხშირი იყო სატრფიალო თემატიკის სიმღერების შესრულებაც. მარადიდელ მუჰაჯირთა შთამომავალი, საქარიას (ადაბაზარი) პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ საფანჯის მკვიდრის - 81 წლის ჰურიე უსტას თქმით, “... თხრაში, ტყემითრევაში, პურიმოჭრაში, სიმინდი გარჩვენაში ნადი იქნებოდა, შორიდან ბიჭები იყურებოდენ. გოგო მუუღმღერებდა”:

ჰაიდე, წევდეთ, ლამაზავ,  
ჩვენი მიღმაღ ღელეში!  
ამწიე, გამაქციე  
თვარიანი ღამეში!

მარადიდელ მუჰაჯირულ შთამომავლის - საქარიას (ადაბაზარი) პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ შერეფიეში მცხოვრებ 40 წლის ინჯი ავჯისაგან ჩაწერილ ნადის დროს სამღერი ლექსით ერთმანეთს თავს აწონებდნენ მიჯნურები:

ღობი ძირში ბაყაყვი  
ფახტა-ფახტა უხტება;  
ჩემი ლამაზი ოარის  
რა სოღ მაგლა უხდება!

საქართველოში ნადურებში ტრადიციულად მღეროდნენ საწესჩვეულებო-მითოსურ ტექსტებსაც, რაც, აგრეთვე, დადასტურდა ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაშიც. სოფელ ჩათალფინარში 87 წლის ხასან ილდირიმისაგან (ნიჟარაძე), რომლის წინაპრებიც ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბრიდან წასულან, ჩავიწერე არქაული ქართული ხალხური მითოპოეტური ნიმუში “... ზეცას ვიყავ” როგორც ნადურში შესასრულებელი ლექს-სიმღერა:

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე,  
მარსკვლავებსაც დევენახე;  
თვარემ კაცი მიმიგზავნა:  
- მაქ თუ იყავ, რეიზა არ მნახე?  
(შიომვილი, 2012: 96)

მთქმელს ეს ლექს-სიმღერა დაუსწავლია დიდედისაგან. “- დიდნენე<sup>ა</sup>დან დევსწავლე, ჩემი ნენე<sup>ა</sup>ს ნენე<sup>ა</sup>დან. ჩვენებურების ქოქი, ძირი, ადრე ევდენ ცაში; ამერიკამ და გერმანიამ ახლად ევდენ და ქიბრობენ”, - ამყად გვითხრა და აქვე მიუთითა: “- ყანის მარგლა იყო, იქა იტყოდენ, გუუყივლეო”.

სასიამოვნო იყო ის რეალობაც, რომ ქობულეთელთა შთამომავლებმა შემოინახეს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული მითოპოეტური ნიმუშის - “... ზეცას ვიყავ” - ნადურში შესრულების ჩვეულება და, აგრეთვე, აჭარასა და გურიაში დამოწმებული ოთხხმიანი ნადურების ერთ-ერთი ხმის - “გამყივანის”, ანუ წვრილი ხმის, სახელიც (“... იტყოდენ, გუუყივ-ნეო”).

ნადურში (თოხნურში) არქაული ლექს-სიმღერების კონტამინაციის ნიმუში დადასტურებულია სოფელ ჰაირიეში (ბურსას პროვინცია, ინეგოლის რაიონი) მცხოვრებ აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორისაც: იქ მცხოვრებმა ჩვენებურმა ჰაირი ჰაირიოღლუმ (ვახტანგ მაღაყმაძე) დააფიქსირა უძველესი ნადური “ვაჭვის სიმღერა”, რომელშიც, არქაული მისამღერის გარდა, კონტამინირებულია ბალადის “ავთანდილ გადინადირას” ფრაგმენტი და ჩვენებურებს შორის ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაში არსებული სატრფიალო შაირების ცალკეული სტრიქონები:

ჰო, ჰო, ჰო, ვორერა, ნანინა...  
 დავჯექი, წიგნი დავწერე,  
 ჩიტ გავატანე ხებრათა,  
 აგი საყვარელ მუუტანე,  
 ვეღარ მოგივალ ჩქარათა!  
 ჰო, ჰო, ჰო, ვორერა, ნანინა...  
 ქედში ფრინავს მიმინო,  
 ჰად წახუელი, შირინო!..  
 ვაიმე, ჩემო მუშინავო,  
 ჰა წემიხუელ გუშინაო!..  
 ვორერა, ჰამე წაბლი,  
 ვორერა ნანასაო,  
 ვორერა, შეგიკერავ,  
 ვორერა, კაბასაო.  
 ვორერა, ფაციავ, მიხუალ  
 ვორერა, გორასაო,  
 ვორერა, იქ მოგართვამ  
 ყვავილების კონასაო...  
 ვორერა, ხე სათალი,  
 ვორერა, ხურმიანი,  
 ვორერა, არ შამეიხსნა,  
 მაგრე შამო<sup>ა</sup> ქემრიანი...  
 ვორერა ჰო, ჰო, ჰო,  
 ვორერა, ნანინა...

(ფუტკარაძე, 1993: 350-351)

სოფელ ქუმჩაში (სამსუნის პროვინცია, თერმეს რაიონი) მცხოვრები 70 წლის აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლის - ფატმა დირილისაგან ჩაწერილ ნადურში სამღერი ლექსი სავსეა

სამშობლო ქვეყნის სიყვარულით: “... ჩემი დედეა იქიდან (აჭარიდან - თ. შ.) მოსული იყო. ჩემი ბაბაა ხოჯა იყო; ჩამღერებდა, რაცხა მოაგონდებოდა. ბაბაა იტყოდა ამას:

ქედური, ქედური, ქედურია,  
შუაზე მემლექეთურია.  
მემლექეთში ნადია,  
იმის თქმა ძალიან ადვილია”.

ბოლოს კი დასძინა: “ - ნადში იმღერებდენ” (შიოშვილი, მახარაშვილი, 2013: 247).

ეს პატარა ლექს-საჩივარი ჩვენთვის ძვირფასია არა მარტო ჩვენებურთა შორის შემონახული ნადურის თვალსაზრისით, არამედ მისი “მემლექეთურობის” ხაზგასმით, სამშობლო მხარესთან სულიერი კავშირის არმოშლისა და საბოლოოდ - მამულ-დედულთან, საკუთარ ფესვებთან, განუმორებლობის რწმენით, რაც საბოლოოდ ქართველი მუჰაჯირების იდენტობის საფუძველთა საფუძველია.

სოფელ თაქთაბაშში (ორდუს პროვინცია, ფაცას რაიონი) მცხოვრებ ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლის - 60 წლის ჯელალ ქარასუსაგან (შავარდენიძე), რომლის წინაპრებიც სოფელ ქობულეთიდან წასულან, ჩავიწერე ნადურში სამღერი ბალადისებური სატრფიალო ლექს-სიმღერა:

ღელესავო გადმომდგარა  
თვალჟუჟულაა თეთრი ქალი,  
ხელსა მიქნევს: - აქ ამოი,  
შინ არ არის ჩემი ქმარი!  
აუყევი და ქი ევედი,  
ამოვკოცნე თვალებიო.  
- იგერ მუა, ჩემი ქმარი,  
რაფერ დუღლურზავს თვალებიო!  
ღმერთო, იგი მომიკალი,  
დაგიკლავ უღლად ხარი!

(შიოშვილი, 2012: 96; შიოშვილი, მახარაშვილი, 2013: 247-248)

მთქმელს ლექსი გაუგონია ბაბუსაგან (დედის მამისაგან) - ახმედ ბაუჟოღლისაგან. როგორც აღნიშნა, ამ სიმღერას “ - ქორწილზე და ნადზე იმღერებდენ; ყანის მარგლიხან ჩემი ბაბუაა იმღერებდა”.

ამ ლექსის მოკლე ვარიანტი სათაურით “ნადურაა სიმღერა” ორდუს პროვინციის ფაცას რაიონის სოფელ ბოზდაღში ქობულეთელი მუჰაჯირების შთამომავლის - 91 წლის ისმაილ გიუროსაგან (ჯინჭარაძე) ჩაიწერა მკვლევარმა ნიაზ ზოსიძემ 2016 წლის 26 აგვისტოს:

მაღლიდანა გადმომდგარა  
თვალჟუჟუნაა თეთრი ქალი,  
ხელსა მიქნევს, აქ ამოა,  
შინ არ არი ჩემი ქმარი.

ჩვენებურ მუჰაჯირთა შორის ნადურში სამღერი ლექსი “... ღელესავო გადმომდგარა” ქართული ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი პოპულარული ნიმუშია. დღემდე ფიქსირებულია მისი შვიდ ათეულამდე ტექსტი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (ქ. ხ. პ., VI, 1978: 148, 354-370). ლექსის მრავალი ვარიანტია გავრცელებული აჭარის ზეპირსიტყვიერებაში. მისი ერთ-

ერთი უძველესი ვარიანტი, რომელიც 1882 წელს ბათუმში ჩაიწერა იასონ ნათაძემ, დაიბეჭდა “დროებაში” (#60) 1882 წელს:

მალითა გადმომდგარიყო  
 თვალუჟუჟუნა თეთრი ქალი,  
 ხელს მიქნევს, ზეით ამოი,  
 შინ არ არის ჩემი ქმარი.  
 გაღმით მოვა ჩემი ქმარი,  
 გონჯათ უყლებია თვალი,  
 ღმერთო, შენ ის მომიკალი,  
 ზედ შევსწირო უღლად ხარი!  
 უღლათ ხარს თუ არ დამჯერობს,  
 ზედ დავადე ლიბრივ ცხვარი.

(ქ.ხ.პ., 1978: 363; აჭ.ხ.პ., 1969: 91-92)

“დროებაში” გამოქვეყნებულ ამ ლექსს და მის ვარიანტებს ახლავს პეტრე უმიკაშვილის შენიშვნა: “როგორც ეტყობა, ეს ლექსები ქობულეთის სოფლებს უნდა ეკუთვნოდეს... ეს ქვემო მოხსენებული ლექსებიც იასონ ნათაძის დაწერილია აჭარელ ოსმან წულუკიძის თქმით, ბათუმის გუბერნიაში”. როგორც ამ კომენტარიდან ჩანს, ქობულეთის მხარეშიც პოპულარული ყოფილა ეს ლექს-სიმღერა და, ბუნებრივია, ქობულეთელი მუჰაჯირები, რომელთა შთამომავალიც ბრძანდება ჩვენი მთქმელი ჯელალ შავარდენიძე, სხვა სულიერ ღირებულებებთან ერთად, მასაც ინარჩუნებდნენ ლტოლვილობაში და მომავალ თაობას გადასცემდნენ.

სამსუხის პროვინციის სალიფაზარის რაიონის სოფელ მუსლიბეიში მაჭახლიდან, სოფელ სინდიეთიდან, წასული მუჰაჯირების შთამომავლის - 52 წლის ისმაილ იავუზისაგან (ორიზადე) 2012 წლის 12 ივლისს ჩაწერილი ნაღში სამღერი ტექსტი ამგვარია:

ჰოადა, ნენე, შუუხტი, ბიჰო!  
 ჰოადა ნენე, უუხტი, ბიჰო!  
 ჰოა, ვოჰო, ჰოა, ვოჰო...ო...ო,  
 ნანა, ჰოადა, ვოჰო, ნანა...ა...ა.

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2013: 247)

ძველებური ნადების აღწერა ჩაიწერა პროფესორმა მამია ფაღავამ ბალიქესირის ცენტრალური რაიონის სოფელ არმუთალანში კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლის - თაირი სუბაშოღლისაგან: “ნადები იქნებოდა წინ, აბა?! იქ გამოვარჩევდით გოგვები ჩვენ, სიმინდი რჩევნაში, თუთუნი სხმაში. ვინცხას ვინცხა მოწონს, იმას შეხედავდა, სხვას არ შეხედავდა... იშმართ ვეტყოდით, ლაპარიკი ადეთი არ იყო” (ფაღავა, 2016: 421). ამგვარი “იშმართი” ნამღერია 81 წლის საფანჯელი (საქარიას პროვინცია, გეივეს რაიონი) ჩვენებურის - ჰურიე უსტასაგან 2018 წლის 11 ივლისს ჩაწერილი ნადური სიმღერა:

დავიწყევი დემირჩობა,  
 ნადი ვჰრი კათირისთინ;  
 სიმღერა ვიძახამა  
 ჯანავ, შენი ხათრისთინ!

საგულისხმოა, რომ ნაღში შეკრებილ მუშაკთა, ანუ “მანიდების”, გამასპინძლების ტრადიციის ამსახველი ლექს-სიმღერები შემორჩათ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს. ქოჯაელის პროვინციის გოლჯუქის რაიონის სოფელ სირეთიეში (ყოფილი მურღული) მცხოვრები 68 წლის



ქალბატონის - სემაჰათ შექირისაგან ჩაწერილ ნადურში “მონადეები” ყანის პატრონისაგან გამასპინძლებას ითხოვენ:

მოვდა პურის საჭარი,  
ახლა იქნება ნადი;  
ე რა ზორ მომემშია,  
მომიტანევიტ ჭადი!

(შიოშვილი, 2015: 132)

სამწუხაროდ, ქართველ მუჰაჯირთა შორის ვერ დავაფიქსირეთ კალაური ლექს-სიმღერები; დიდი ხანია, ისინი ხორბალს აღარ თესენ და, ბუნებრივია, გადაეჩვივნენ კალოსაც და იქ ჩასატარებელ სამუშაოებსაც, თუმცა კალოს ლეწვისა და კალოს განიავების მთელი პროცესის მახსოვრობა ჯერ კიდევ შემორჩათ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს. სოფელ ნუზჰეთიელი (ქოჯაელის პროვინცია, გოლჯუქის რაიონი) გურჯის - 74 წლის ჰასან ქალიონ-ჯუსაგან (ხაბაიზეშვილი//ხაბაძე) 2013 წლის 10 ივლისს ჩავიწერეთ სამეურნეო საქმიანობის ამ სახის მთელი პროცესი და ჟამთა სიავეს გადარჩენილი ქართული ტერმინოლოგიაც:

“კალო’ნა გავლეწოთო”, იტყოდენ; კევრში მოაბემდით ცხენ, ვარონიებდით, გავლეწდით; ბზეს ქარი წეღებს, ბზე და პური გეღრევა; გავკაზმევდით, “კალო გავკაზმოთო”, იტყოდენ. ბზეს ჩავყრით საბზელში, პურ ჩავყრით ბელელში. ნალიაში სიმინდ ჩავყრით” (შიოშვილი, 2015: 134).

უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადქართულ ზეპირსიტყვიერებაში დაფიქსირებული ნადურების მსგავსად, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის დამოწმებულ ნადურებში ხშირია უსიტყვო გაბმული შემახილები (“ჰოიდა”, “ჰოი”, “ჰო”, “ვოჰო”, “ნანა”, “დაა”), რაც მათი არქაულობის უტყუარი დასტურია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს არათუ ნადი და ნადის დროს შესასრულებელი სიმღერები შემოუნახავთ, არამედ - ამ ლექსთა სახელწოდებაც - “საჩივარი”, რომელიც გურიასა და ქობულეთშია გავრცელებული. ცნობილი ეთნოგრაფი აპოლონ წულაძე წერდა: “ნადური სიმღერა ძველია, ისტორიულია. ის წარმომოხილია ბატონყმობის დროს ყმა გლეხებში... (წულაძე, 1971: 17). აქვე მკვლევარი მიუთითებს მის სახელწოდებაზეც - “საჩივარი”, რაც, როგორც ჩანს, მხოლოდ ყანურის, ანუ თოხნურის, ტექსტებისათვის არის განკუთვნილი (წულაძე, 1971: 19). ჩვენ მიერ სოფელ საილაში ისლამ თამაზაშვილისაგან ჩაწერილი ლექს-სიმღერაც ეგრეთწოდებული “საჩივარია”, რაც მთქმელმაც დაადასტურა თავის განმარტებაში (“ჩვენს ძველებს ისე ჩიოდნენ სიმინდის თოხნაში, ნადში...”).

## 2. წველის ლექს-სიმღერები

ქართულ ხალხურ შრომის ლექს-სიმღერათა ერთ-ერთი არქაული ტრადიციული სახეა წველის ლექს-სიმღერები, რომლებიც ფართოდ იყო და არის გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, განსაკუთრებით კი - მთიან რეგიონებში.

წველის ლექს-სიმღერები ბოლო დრომდეა შემორჩენილი ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაშიც. საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა მცხოვრებლების მსგავსად, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებიც ეფერებიან მეწველ ძროხას, საალერსო სიტყვებით მიმართავენ, რათა უზვად გამოიმეტოს რძე. სამსუნის პროვინციის თერმეს რაიონის სოფელ ქუმჩაში მცხოვრები 65 წლის ასიე ქესკინისაგან (ჩიკვაძე) 2012 წლის 6 ივლისს ჩაწერილ წველის ლექს-სიმღერაში, რომელიც მაგიური დატვირთვის მქონე “აბრადაკაბრით” იწყება, მწველავი

ძროხას ეაჯება, ტლინკი არ მოარტყას, მშვიდობიანად მოაწველინოს; ამასთანავე, პირდება, რომ მოწველილ რძეს მის “ფუჩიას” დააღვინებს:

აგიზუმ, მაგიზუმ,  
ტრინკი არ მომატანო!  
შენ ფუჩიას'და ვასვა,  
მომაწველიე, მომაწველიე!

(შიოშვილი, მახარაშვილი, 2013: 247)

ქალბატონ ასიეს რწმენით, თუ ძროხას ამგვარად მიმართავ, “... მოწველი, ძეს არ დიგიმაღავს”.

ასევე ეხვეწება და “ანამუსებს” ძროხას გირესუნის პროვინციის ბულანჯაქის რაიონის სოფელ ქიშლას მკვიდრი - 85 წლის ფატმა ესედოდლი-ილმაზისა (ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2015 წლის 22 ივლისს):

ყიზიმ, აავრუმ,  
ძე მომეცი, ჩემემიყარე,  
ხოზო შიერი დარჩება!

“ხოზოს” ხსენება ჩვენებურთა წველის ლექს-სიმღერებში ძალზე ხშირია, რამდენადაც ცნობილია, რომ ძროხა სწორედაც ბოლომდე იმიტომ არ იძლევა რძეს, იმიტომ ინახავს, რომ შემდეგ ბოჩოლას მოაწოვოს; როგორც ჩანს, ჩვენი მწველავები მოფერებისეული ხრიკებით ცდილობენ, მეტი რძე დასტყუნონ ფურს; ამისათვის ათასგვარი საალერსო სიტყვებით მიმართავენ და ეფერებიან. “მევეფერებოდი იშტე, ძეს მომცემდა”, - გაგვანდო საიდუმლო ნუსრეთიელმა (ქოჯაელის პროვინცია, ქართეფეს რაიონი) 65 წლის ქალბატონმა - ნურთენ მუთმა (უზუნური) და სიამოვნებით ჩაგვაწერინა მისეული მოფერების “მაგიური” ტექსტი:

ლამაზი ხარ, აავრუმ, აანი,  
ხოზო აანზე გყავს, აავუმ, აანი,  
ძეა არ დიმიძალო, აანი,  
შენი ძე მომეცი, აანი,  
კუდი არ დამცხო, აანი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარად მიუმღერებენ ძროხას შუაფხოელი ფშავლებიც და ამას “დაყვავებას” ეძახიან:

მამიწველე, ნუ გამიჯავრდები,  
ხთშარეულო, აკი კარგი ხარო,  
არ იტლინკო, ნუ დამიღვრი რძესაო!

(ქ. ხ. პ., 1983: 186)

ასეთივე თბილ დამოკიდებულებას ავლენენ მეწველი ძროხის მიმართ აჭარაში. როგორც მკვლევარი ვახტანგ შამილაძე შენიშნავს, “... წველის პროცესში მემთევრი მოფერებითა და ალერსით უნდა მოპყრობოდა პირუტყვს... ზემო აჭარის თითქმის ყველა ხეობაში მემთევრე და მეახორე ქალი ძროხის წველის დროს სპეციალურ სიმღერას ასრულებდა... “მთხრობელთა გადმოცემით, ძროხაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდებდა, ძროხა მორჩილი და თვინიერი ხდებოდა და რძესაც სიამოვნებით იძლეოდა” (შამილაძე, 1964: 249).

შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულის მკვიდრი - 79 წლის ქალბატონი ნაზიკო კეკელიძე ასე ეფერება ფურს:

დიდაა, ანავ, წაბლიავ,  
ჩემო წაბლიავ!  
დიდაა, ანავ, გენაცვალე,  
ტრინკი არ გამიშალო!  
დიდაა, ანავ, გენაცვალე,  
ტრინკი არ გამიშალო!  
დიდაა, ანავ, ჩამოყარე,  
ჩემო წაბლიავ!  
დიდაა, ანავ, ჩამოყარე,  
ჩემო წაბლიავ!

(ჩაიწერა და მოგვაწოდა ბსუ II კურსის სტუდენტმა

თეონა კეკელიძემ 2014 წელს. მასალა დაცულია ბსუქცფა-ში)

უძველეს კულტურებში ძროხა საკრალური ცხოველია და, მის რძესთან ერთად, სამყაროს შემქმნელი კოსმიური ძალების სიმბოლოდ არის მიჩნეული; მეწველი ძროხა დედამიწის პერსონიფიცირებული სახეა, მისი მორკალული რქები კი ახალ მთვარესთან ასოცირდება (სიმბ. ილ. ენც., 2017: 140). ძროხა, მისი რძის სიმბოლურ-მითოლოგიური რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარე, მარჩენალად მიაჩნდა ბევრ ხალხს; ამგვარივე შეხედულებისაა ძველი შუამდინური ეპოსი “გილგამეშიანი”: ურუქის დედოფალი ნინსუნა (გილგამეშის დედა) “გალავნის ფურად” მოიხსენიება:

დედასთან მიჰყავს გილგამეშს ენქიდუ,  
გალავნის ფურთან მიჰყავს ენქიდუ...

(გილგ., 1984: 50)

ტრადიციულად, ქართულ ხალხურ წველის ლექს-სიმღერათა უმრავლესობაშიც ფური დედად მოიხსენიება; აჭარელი ქალები პარალელურად მას ზოგჯერ თურქული ტერმინით - “ანა” - მიმართავენ და საალერსო სიტყვებს არ იშურებენ:

ჩამოყარე, ჯოგიავო,  
ჩამოყარე, ჩემო ანავო!  
ჩემი დედიკოა ხარ,  
ჩემო ჯოგიავო,  
ჩემი ლამაზი დედოფალაა ხარ, ანავო!  
ჩამოყარე, ჯოგიავო,  
ჩამოყარე, ჩემო ანავო!

(ქ. ხ. პ., 1983: 186)

წველის ლექს-სიმღერაში, რომელიც 2018 წლის 7 იანვარს ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა თეონა მიქელაძემ ჩაიწერა (მთქმელი ნაზიკო მიქელაძე, მცხოვრები შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულში, გამოთხოვილია ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომიდან), მეწველ ძროხას ასე მიმართავენ:

დიდაა, ანავ, ჩამოყარე,  
ჩემო ტრედიავ!..  
დიდაა, ანავ, ჩამოყარე,  
ჩემო ტრედიავ!..  
დიდაა, ანავ, ჩამოყარე,

ჩემი დიდაა შენა ხარო!  
 დიდაა, ანავ, ჩამოყარე,  
 ჩემი დიდაა შენა ხარო!

დედის აღმნიშვნელი ქართულ-თურქული ტერმინებით მიმართავენ მეწველ ძროხას მესხი ქალებიც, რაც საქართველოს ორივე (აჭარა, მესხეთი) კუთხის ძნელბედითი ისტორიის შედეგია:

თფრუ, დედაჯან, ანამჯან,  
 თფრუ, დედაჯან, მოიწველე,  
 თფრუ, დედაჯან, ანამჯან!  
 (ქ. ხ. პ., 1983: 187)

აჭარელ მუჰაჯირთა ბურჰანეთინელი (ორდუს პროვინცია, ორდუს ცენტრალური რაიონი) შთამომავლის - 80 წლის ქალბატონ ლუთფიე ალბასლანისაგან (მამისეული გვარია გოხიძე) 2012 წლის 18 ივლისს ჩვენ მიერ ჩაწერილ წველის ლექს-სიმღერაში პატრონი ასე ეფერება თავის ფურს:

ჩამოყარე, ჩემო ნენევ,  
 ბრევილი ძეა მომეცი, ნენევ!  
 შენ კარგი ხარ, ნენევ,  
 ჩამოყარე, ჩემო ნენევ!  
 (შიოშვილი, მახარაშვილი, 2013: 247)

რძის მიცემას რომ სთხოვენ ფურს, მაგიერ პატივსაც პირდებიან; 70 წლის დამუდერელი (გირესუნის პროვინცია, ბულანჯაქის რაიონი) ქალბატონი - ხატიჯე ყაჯარი (ყურდოღლუ) ჭადსა და ნარცხს პირდება:

ჩამოყარე, ყიზიმ,  
 მემეცი, ყიზიმ, ძე!  
 მე შენ ჭადი'ნა გაჭამო,  
 კაჲ ნარცხი'ნა გაჭამო!  
 ჰაიდე, ყიზიმ,  
 ჩამოყარე, ყიზიმ!

“ - თავს მოვფხან, ზრუგზე ხელ გადუუსვამ, მუცელ მოვფხან და ვეტყვი”, - გაგვანდო წარმატებული წველის საიდუმლო ქალბატონმა ხატიჯემ.

ასევე, სათანადო პატივისცემას პირდებიან აჭარელი ქალები ოჯახის მარჩენალს, რათა უხვად მოიწველოს. ხარაულელი (ქედის მუნიციპალიტეტი) მუსემბე ზაქარაძე ასე მიმართავს მის ძროხას:

ჩემო გოგო სანათიო,  
 რა კარგი გაქ ზანათიო!  
 დილას თუ გაჭმევ ბევრსაო,  
 ხომ კარგად მომცემ ძესაო?  
 საღამო ხანს ადრე მოდი,  
 გამოასტარ ყველასაო.  
 კარგად ნარცხიც თუ გაჭამე,  
 დააჭარბებ ყველასაო!

(ჩაიწერა ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა ქეთევან მეგრელიძემ. მასალა დაცულია ბსუქცფა-ში)

წველის ლექს-სიმღერებში ხანდახან „მენიშვნებიც“ გამოერევა მეწველი ძროხისადმი. ბალიქსირის პროვინციის გონენის რაიონის სოფელ ქოჩბაირში მცხოვრები 80 წლის სულთან ოზი (ჩაუშოდლი) საყვედურობს ფურს:

რა ზორ ტლინკება ფური ხარო,  
რაფერ მოქწველო შენაო?!

ჩუბუქლუბალელი (ქოჯაელის პროვინცია, იზმითის რაიონი) 77 წლის ხატიჯე კაიმაზი კი მუქარასაც „უბედავს“, თუკი ძროხა აგრესიას გამოიჩინს:

ნენევ, ძე მომეცი, ნენევ,  
კუდი არ მიმარტყა, ნენევ!  
დაგცხებ გარგანი!

ამრიგად, თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორულმა შემოქმედებამ შემოინახა და ჩვენს დრომდე მოიტანა ქართული ზეპირ-სიტყვიერების ერთ-ერთი არქაული უბანი - შრომის ლექს-სიმღერები, კერძოდ კი - ნადურის, იგივე თოხნურის, ანუ ყანურის, ვარიანტები, მათი შესრულების წესები და ნადურში შესასრულებელ ლექს-სიმღერათა გურიასა და ქობულეთში ბოლო დრომდე შემორჩენილი სახელწოდება - „საჩივარი“; აგრეთვე - გურული და აჭარული ოთხხმიანი ნადურებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ხმის - „გამყინავის“, ანუ ეგრეთწოდებული „წვრილი ხმის“, სახელწოდებაც; საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირპოეტურ რეპერტუარში შემორჩა ნადის დროს სამღერი ლექსის ისეთი არქაული ნიმუშიც („... გადვიხედე ბაღჩაში...“), რომელიც დღეს აჭარაში აღარ დასტურდება.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა ყოფამ ბოლო დრომდე შემოინახა, აგრეთვე, წველის ლექს-სიმღერებიც და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ჩვენებურები, საქართველოს სხვა კუთხეთა მსგავსად, ფურს საალერსოდ, ტრადიციულად, დედად მოიხსენიებენ.

## THE GEORGIAN MUHAJIR'S WORKING SONGS AND VERSES

TINA SHIOSHVILI

### SUMMARY

After Russian-Turkish war many Adjarians, Klargians and Shavshians exiled in the central region of Turkey. Georgian Muhajirs, living in the regions of Ordu, Unie, Phatsa, Samsun, Bursa, Kocaeli, Durce, Amasia, Sakaria, Balikesiri and Inegol have help the working song-poems, socalled “Naduri” (song of “Nadi”).

It demonstrates the fast Georgian Muhajirs (refuges) have saved their folklore, that retains its originality and is part and parced of Georgian folklore.

## ლიტერატურა:

1. აჭ.ხ.პ., 1969 - "აჭარის ხალხური პოეზია", თბილისი;
2. გილგ., 1984 - "გილგამეშანი" (ძველი შუამდინარული ეპოსი), აქადურიდან და შუმერულიდან თარგმნა ზურაბ კიკნაძემ, თბილისი;
3. ზოსიძე, 2017 - ნიაზ ზოსიძე, "ნეტაი ადრე მოსულიყავით", თბილისი;
4. ნოღაიდელი, 1971 - ჯემალ ნოღაიდელი, "ნარკვევები და ჩანაწერები", წ. I, თბილისი;
5. ორბელიანი, 1966 - სულხან-საბა ორბელიანი, "ლექსიკონი ქართული", I, თბილისი;
6. უმიკაშვილი, 1937 - პეტრე უმიკაშვილი, "ხალხური სიტყვიერება", ნაწ. I, ტიფლისი;
7. ფაღავა, 2016 - მამია ფაღავა, "მუჰაჯირთა შთამომავლებთან", ბათუმი;
8. ფაღავა, 2017 - მამია ფაღავა, "მუჰაჯირი 2014" - ექსპედიციის დღიურები". - კრებულში "აჭარა წარსული და თანამედროვეობა", ტ. II, ბათუმი;
9. ფუტყარაძე, 1993 - შუმანა ფუტყარაძე, "ჩვენებურების ქართული", ბათუმი;
10. ქ. ხ. პ., 1978 - "ქართული ხალხური პოეზია", ტ. VI, თბილისი;
11. ქ. ხ. პ., 1983 - "ქართული ხალხური პოეზია", ტ. X, თბილისი;
12. შიოშვილი, 2009 - თინა შიოშვილი, "ქართული ხალხური ნადური ლექს-სიმღერები", - ჟ. "ფიროსმანი" #8, სტამბული;
13. შიოშვილი, 2012 - თინა შიოშვილი, "მუჰაჯირების ფოლკლორი". ჟ. "ჭოროხი", #6, ბათუმი;
14. შიოშვილი, 2015 - თინა შიოშვილი, "კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების შრომის ლექს-სიმღერები". - "ფილოლოგიური მაცნე", ტ. II, თბილისი,;
15. შიოშვილი, მახარაშვილი, 2013 - თინა შიოშვილი, გიორგი მახარაშვილი, "მუჰაჯირების ფოლკლორი (ტექსტები)". - ბსუ განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის "კრებული", ტ. VIII, ბათუმი;
16. ჩხეიძე, 1973 - ჯემალ ჩხეიძე, "შრომის პოეზია ქართულ ფოლკლორში (აჭარული მასალების მიხედვით)", ბათუმი;
17. ხ. სიტყვ. მ., 1955 - "ხალხური სიტყვიერების მასალები, შეკრებილი ჯუანშერ სონღულაშვილის მიერ, ელენე ვირსალაძის რედაქციით, თბილისი.

## ანდაზის აქტუალობა საქართველოში და საზრანბითი

### თამარ მაჭუტაძე

სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით რეგისტრირებული მაჩვენებლები ადასტურებს, რომ თანამედროვე სამყარო მუდმივად ისწრაფვის ისაუბროს მეტაფორებით, მათ შორის, ანდაზებით. ამას მოწმობს ზეპირ თუ წერილობით კომუნიკაციებში მათი ინტენსიური გამოყენება, შესაბამისად, დღეს, ახალი ეპოქალური გამოწვევების (მძლავრი კულტურული ექსპანსიის) დროს, როცა კომპარატივისტიკას უდიდესი ინტერესი ეთმობა, პარემიოლოგია გლობალურ ჭრილში სვამს საკითხს ანდაზის ენის ფუნქციის შესახებ ტრადიციულ და თანამედროვე კულტურაში. მეცნიერებს (ეროვნული პარემიების შემდგომ კვლევასთან ერთად) უმნიშვნელოვანესად მიაჩნიათ განსხვავებულ კულტურათა მონაცემების შეპირისპირებითი კვლევა, რათა შეიქმნას „საერთაშორისო“ ანდაზების გარკვეული ფონდი და დადგინდეს მათი მრავალფეროვანი ფუნქციები სხვადასხვა კულტურაში.

პარემიები ენის ფუნქციონირების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, ისინი მეტყველების ფორმის სიმბოლური ერთეულები არიან და ემსახურებიან მორალურ და უტილიტარულ ნორმებს. ეს ნორმები ერთი და იგივე კულტურისა თუ სხვა კულტურის შიგნით შეიძლება ემთხვეოდნენ ან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად იყენებენ ქართველი და ფრანგი ახალგაზრდები ანდაზას, გამოვიყენეთ გამოკითხვის მეთოდი. გამოკითხვის მიზანია იმის გარკვევა, ახალგაზრდები თანამედროვე ცხოვრებაში რამდენად ხშირად იყენებენ ანდაზებს, რამდენად აქტუალურია მათი გამოყენება ყოველდღიურობაში, რამდენად ემთხვევა ანდაზების კრებულებში მოცემული ანდაზები და გამოკითხვის შედეგად მიღებული ანდაზები ერთმანეთს და მოიპოვება თუ არა ისეთი ანდაზები, რომლებიც კვლევის დროს არ შემხვედრია. გამოკითხვა ვაწარმოე საფრანგეთის პუატიეს უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებში, ძირითადად გამოვიკითხე მაგისტრანტები.

ანკეტირების პირველ შეკითხვაზე: „რომელ ანდაზებს იყენებენ ყველაზე ხშირად?“ მივიღეთ შემდეგი შედეგი:

ქართული	ფრანგული
კვიცი გვარზე ხტისო;	Tout vient à point quand on attend;
აღდგომა და ხვალეო;	Quand on veut, on peut;
ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო;	Rien ne se fait par hasard;
ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებს;	Si les choses doivent se faire, elles se font;
რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო (7-ჯერ);	Il ne faut pas juger un livre par sa couverture;
თაგვმა თხარა თხარაო, კატა გამოთხარაო;	Il n'y a pas de fumée sans feu;
ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო;	Adviennequelquepourra;
სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს (2-ჯერ);	La peur n'évite pas le danger;
	Quiaimebienchâtiebien;
	Mieuxvauttardquejamais (2 fois);
	Fort comme un Turc;

<p>დედის წინ მარბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს ან მგლის შვილიო;</p> <p>ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო;</p> <p>ზოგი ჭირი მარგებელია;</p> <p>ჯერ გადახტი და „ჰოპ“ მერე დაიძახეო;</p> <p>ძალი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირეო (2-ჯერ);</p> <p>დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე (2-ჯერ);</p> <p>კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო;</p> <p>ასჯერ გზომე, ერთხელ გაჭერი;</p> <p>კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა;</p> <p>ბავშვი ჯერ არ დაბადებულა და აბრაამს არქმევდნენო;</p>	<p>Un(e) de perdu(e), dix de retrouvé(e)s</p> <p>Qui se ressembles'assemble (2 fois);</p> <p>Rien ne sert de courir, il faut partir à point (à temps)</p> <p>On ne fait pas des chiensavecdes chats</p> <p>Les chiens ne font pas des chats;</p> <p>Il ne faut pas vendre la peau de l'oursavant de l'avoirtué;</p> <p>Qui vivraverra;</p> <p>A chaque jour suffitsapeine;</p> <p>Un tiensvautmieuxquedeuxtul'auras;</p>
--	--

20 ქართველი სტუდენტიდან შვიდმა სტუდენტმა დაწერა ერთი და იგივე ანდაზა: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. ორივე ერის სტუდენტებმა გამოიყენეს შემდეგი ანდაზა „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“, შინაარსობრივად ემთხვევა შემდეგი ანდაზები:

- ჯერ გადახტი და „ჰოპ“ მერე დაიძახეო - Un tiens vaut mieux que deux tu l'auras;
- ბავშვი ჯერ არ დაბადებულა და აბრაამს არქმევდნენო - Il ne faut pas vendre la peau de l'oursavant de l'avoirtué;

ანკეტირებით მოპოვებული ანდაზები შეკითხვაზე: „რა ანდაზა იცით მეგობრობის შესახებ?“

ქართული	ფრანგული
<p>კაი ამხანაგობა კაი ძმობის დარიაო;</p> <p>ავადმყოფს ექიმი არჩენს, უბედურს-მეგობარიო;</p> <p>კარგი მეგობრობა კარგი ძმობის დარიაო;</p> <p>ნამდვილი მეგობარი ჭირში გამოიცნობაო;</p> <p>(კარგი მეგობარი ჭირში იცნობაო) (3-ჯერ);</p> <p>ძმა ძმისთვისაო შავი დღისთვისაო (4-ჯერ);</p> <p>მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ (3-ჯერ);</p> <p>ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო; (3-ჯერ);</p> <p>ცუდი მეგობარი მტერზე უარესიაო;</p>	<p>Il vaut mieux manger des spaghettis avec des amis, que du caviar avecdesconnards;</p> <p>Les bonscomptes font les bonsamis(5 fois);</p> <p>L'ennemi de monennemiestmonami;</p> <p>Les véritables amis se comptent sur les doigts d'une main;</p> <p>Les amis de mesamisontmesamis;</p> <p>Qui aimebienchâtiebien; (2 fois)</p> <p>Mieuxvautêtreseulque mal accompagné (2 fois);</p> <p>L'amitié est comme un roseau, ellepeut plier, elle peut se tordre</p>

ფრანგი ახალგაზრდების მიერ მოცემულ ანდაზებში გამოჩნდა ანდაზების ახალი ვერსიები:

- ✓ „Il vaut mieux manger des spaghettis avec des amis, que du caviar avec des connards - უმჯობესია ჭამო სპაგეტი მეგობრებთან ერთად, ვიდრე ხიზილალა სულელებთან ერთად“.



ანდაზის აქტუალობა საქართველოში და საზრანგეთში

✓ Mieux vaut un athée qui se comporte comme un croyant qu'un croyant qui se comporte comme une salope - უმჯობესია იყო ათეისტი, რომელიც იქცევა როგორც მორწმუნე, ვიდრე იყო მორწმუნე და იქცეოდეს როგორც კაზაა“.

ანდაზა, რომელიც 20 ფრანგი სტუდენტიდან ხუთმა დაწერა, იყო შემდეგი - „Les bons comptes font les bons amis - კარგი ანგარიშიანობა აყალიბებს მეგობრობას“...

სიყვარულის თემატიკაზე მოცემული ანდაზები ანკეტირების შედეგად:

ქართული	ფრანგული
სიყვარული გზად და ხიდად; კარგი ცოლ-ქმარი ცულის ტარზე დაეტევას; მოყვარული ცოლ-ქმარი თოხის ტარზე დაეტევას(5-ჯერ); ქალი ან დაგაქცევს ან აგაშენებსო (2-ჯერ); სიყვარული ბრმაა; შიში შეიქმს სიყვარულსა; ფერი ფერსა მადლი ღმერთსა;	Loin des yeux, loin du cœur (4 fois); Un de perdu dix de retrouvés (7 fois); Les opposés'attirent; Qui aime bien châtie bien (2 fois); Mieuxvautêtreseuleque mal accompagné; Mariage plus vieux mariage heureux; Le cœur a ses raisons que la raison ne connaît pas; (2 fois); L'amourestaveugle; Malheureux au jeu, heureux en amour;

როგორც ჩანს, ფრანგ ახალგაზრდებში ყველაზე აქტუალური ანდაზაა: „Unde perdu dix de retrouves“ (20/7) - ერთს დაკარგავ ათს იპოვი“, მიუხედავად იმისა, რომ ეს ანდაზა დაიბადა მე-13 საუკუნეში, ის აქტუალობას დღესაც არ კარგავს, მას განსხვავებულად იყენებდნენ წინა საუკუნეებში, „ათი ნაპოვნის“ მაგივრად ამბობდნენ: „Unde perdu deux de retrouvés“, „ერთს დაკარგავ მეორეს იპოვი“, თანამედროვეობაში როგორც ვხედავთ „ორი“ „ათმა“ ჩაანაცვლა.

ქართველმა სტუდენტებმა ყველაზე მეტად შემდეგი ანდაზა გაიხსენეს: „კარგი ცოლ-ქმარი ცულის ტარზე დაეტევას“, ასევე ალტერნატიული ფორმით: „მოყვარული ცოლ-ქმარი თოხის ტარზე დაეტევას“.

ორივე ერის სტუდენტებმა გამოიყენეს შემდეგი ანდაზა: „სიყვარული ბრმაა - L'amourestaveugle ».

ანკეტირების შედეგები რელიგიის თემასთან დაკავშირებით:

ქართული	ფრანგული
მეცნიერება რელიგიის გარეშე კოჭლია, რელიგია მეცნიერების გარეშე-ბრმა; ღმერთი ვისაც მიცემს, ორი ხელით მიცემს, ვისაც წაართმევს ორივე ხელით წაართმევს; ღვთის მოშიში კაცი ყველგან ცხონდებაო; მღვდელი ჭილოფშიც იცნობაო (2-ჯერ); კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო; კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცე; უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო; რწმენა მთებს შეძრავს; თუ კაცთმოყვარე არ ხარ ღმერთს ვერ შეიყვარებ;	L'habit ne fait pas le moine (6fois); L'enfer est pavé de bonnes intentions; Dieu seul le sait (2 fois)m Le monde ne s'est pas fait en un jour; Tu ne l'emporteras pas au paradis; Donner le bon Dieu sans confession; Le voies du Seigneur sont impénétrables; Mieux vaut un athée qui se comporte comme un croyant qu'un croyant qui se comporte comme une salope; Je ne crois que ce que je vois.

ქართველი და ფრანგი სტუდენტები გამოიყენებენ ერთი და იგივე ანდაზას: „L’habit ne fait pas le moine“ - მღვდელი ჭილოფშიც იცნობაო“, კუატიეს უნივერსიტეტში 20 გამოკითხულიდან - ექვსმა დაწერა ეს ანდაზა, ხოლო ქართველ სტუდენტებში მხოლოდ ორმა.

გამოკითხვის შედეგად მოცემულ ანდაზებს შორის ასევე გამოიკვეთა ანდაზის თანამედროვე ვარიანტი: *Mieux vaut un athée qui se comporte comme un croyant qu’un croyant qui se comporte comme une salope;*

გამოკითხვის შედეგი „ფულის“ საკითხთან დაკავშირებით:

ქართული	ფრანგული
ფული ჯოჯოხეთს ანათებს (6-ჯერ);	L’argent ne fait pas le bonheur, mais y contribue (3 fois) ;
ფული ხელის ჭუჭყია (3-ჯერ);	Rendre la monnaie de sa pièce;
ფულს სუნი არა აქვს;	L’argent ne fait pas le bonheur (6 fois);
ფული პატარა ღმერთია (2-ჯერ);	On ne peut pas avoir le beurre et l’argent du beurre;
ფულს დათვლა უყვარს;	Mieux vaut un petit chez-soi qu’un grand chez-les-autres;
ასი მანეთის ქონას, ასი მეგობარი გყავდესჯობია;	L’argent appelle l’argent;
ფული ფულთან მიდის.	Pierre qui roule n’amasse pas mousse;

ქართველი სტუდენტები ყველაზე ხშირად გამოიყენებენ შემდეგ ანდაზას: ფული ჯოჯოხეთს ანათებს (20/6), ხოლო ფრანგები შემდეგს: „L’argent ne fait pas le bonheur (6/20) - ფულს ბედნიერება არ მოაქვს ».

როგორც კვლევამ და კვლევის პროცესმა აჩვენა, ახალგაზრდებს გაუჭირდათ ანდაზების დაწერა, ანკეტაში არის შეუვსებელი გრაფებიც, მაგრამ მიუხედავად ამისა, თანამედროვე ეპოქაში ისინი მაინც აქტიურად გამოიყენებენ მათ. ანკეტირებამ ასევე ცხადყო, რომ დროთა განმავლობაში ზოგიერთი ანდაზა ისტორიას შემორჩება, თუმცა გამოკითხვის შედეგმა სხვა ტენდენციაც გამოავლინა: „ახალი“ ანდაზები, რომლებიც არ არის შეყვანილი წინა წლების ანდაზათა კრებულებში, მაგრამ მათ ზეპირსიტყვიერებაში აქტიურად გამოიყენებს ახალგაზრდობა.

კვლევამ კიდევ ერთხელ ცხადყო ანდაზის აქტუალობა და ის, რომ ანდაზა წარმოდგენს ცოცხალ ორგანიზმს და ის დროსთან ერთად ვითარდება.

დასკვნა: ფრანგული და ქართული მაგალითების შეპირისპირებითმა კვლევამ გამოავლინა, რომ მოცემული ენების ანდაზებში ასახული თითოეული ეთნოსის ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული სიბრძნე ამ ერებისთვის დამახასიათებელი კუთხით არის დაფიქსირებული. ამავდროულად, სინამდვილის ამსახველი მოვლენები მოცემული ხალხების მენტალური ხედვის ფარგლებში მეტ-ნაკლებად განსხვავებულად კატეგორიზდება. ერთი და იმავე იდეის ფიქსაციისათვის სხვადასხვა ეთნოსი, ერთი მხრივ, საკუთარ მასალას იყენებს და, მეორე მხრივ, - ანალოგიურს. ეს კიდევ ერთხელ ნათელიყოფს, რომ სრულიად განსხვავებული ენების, ეთნოცნობიერებისა და კულტურის მქონე ხალხები მოცემულ გარემოში არსებულ საგნებსა და მოვლენებს შორის ხან მსგავსი, ხან განსხვავებული ლოგიკური მიმართებების ფონზე ანალოგიურ ადამიანურ წარმოდგენებს აფიქსირებენ და ხშირ შემთხვევაში ცნებითი აზროვნების საერთო სისტემას იყენებენ; ანუ, სამყაროს შემეცნების პროცესში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე ცნებითი აზროვნების სტერეოტიპულ მოდელებს ქმნიან.

დღეს, კულტურათა ექსპანსიის ეპოქაში, ამგვარი შეპირისპირებითი კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისტორიულად და ცნობიერებით განსხვავებული ხალხების ყოფითი და მენტალური სპეციფიკის, მათი ეთნოსის, როგორც განსხვავებული, ისე მსგავსი მსოფლმხედველობის გამოსავლენად.

## URGENCY OF PROVERBS IN GEORGIA AND FRANCE

TAMAR MACHUTADZE

### SUMMARY

Modern world is constantly trying to speak with metaphors includeing proverbs. It is confirmed by their intensive using in oral and written communication, especially in politicians speech. Accordingly, today during the time of new epochal provocations (during the powerful cultural expansion), while the comparative literature has the greatest interest, paremiology raise the question about the function of proverb language in the global section in traditional and modern culture. Confrontation study of data of different cultures is considered as very important by the scientists (with the further study of the national paremia), in order to create the clear fund of “International proverbs” and to fix their various functions in different cultures.

### ბიბლიოგრაფია:

1. ისიდორე გვარჯალაძე, „ფრანგული ანდაზები და ხატოვანი თქმანი“, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,1981.
2. ალექსანდრე ღლონტი, „რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები“ თბილისი, 1957.
3. **Maurice Maloux**, « Dictionnaires des proverbes, sentences et maximes », Larousse,1998
4. Raymond Lulle,« Le livre de mille proverbes“,France, Lalle, 2008
5. <http://www.expressions-francaises.fr/expressions-u/309-un-de-perdu-dix-de-retrouves.html>

## ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკის ხალხური ფყარო

### ფატი აბაშიძე

ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების ერთ-ერთ ძირეულ პრობლემას წარმოადგენს სატრფიალო თემატიკა; ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზია ცხადყოფს, რომ იგი რომანტიზმის ძირითად ასპექტებს იზიარებს. მეორე მხრივ, შეუძლებელია, შეუმჩნეველი დაგვრჩეს ხალხური საწყისები, ეს იქნება ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ქალაქური სიმღერები თუ ყარაჩოღურ-აშულური პოეზია.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკის განხილვისას მკაფიოდ დავინახავთ ყარაჩოღურ-აშულურ, ბესიკის თუ საიათნოვას შემოქმედებითი სტილისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიხმოთ ლექსი „...როს არშიცი“, რომელშიც პოეტი სრულიად ბუნებრივად იყენებს აშულური პოეზიის სტილურ ნიშნებს:

როს არშიცი საყვარლისა ხილვას ეშურებოდეს,  
რაკი ნახოს, მეყვსეულად გრძნობით ეუბნებოდეს:  
მიყვარხარ!  
არა ვგონებ, ორთაშუა მოხდეს იქაც დალატი,  
ოდეს სული გულსა ტრფობით ეუბნებოდეს:  
მიყვარხარ!  
რაციფნი განფიცულან, ვცან მათნი განზრახვანი.  
გვედრებ, არ დაიჯერო მათნი ცუდნი თქმანი:  
მიყვარხარ!  
ვიცი, ჩემო სიცოცხლე, მრავალნი შემოგტრფიან.  
მაგრამ ჩემებრ ეშხითა ვერ გეტყვიან:  
მიყვარხარ!  
როცა მოვკვდე შენთვისა, მომიგონე სულითა  
ჩემსა შემდეგ გვედრებ, არვის უთხრა გულითა:  
მიყვარხარ!  
თუ დრო შეგხვდეს ფიქრისა და მკვდარი მომიგონო,  
მოდე, ნახე საფლავი, რომ იქაც გაიგონო:  
მიყვარხარ!

(ჭავჭავაძე, 1949: 108-109)

როგორც ვხედავთ, პოეტი, ძველი ფორმის „სააშიცი“ წერის მანერასთან ერთად, ახალ, მისთვის დამახასიათებელ, ნიშნებსაც იყენებს. ალექსანდრე ჭავჭავაძე ამ ლექსში ძირითადად ხორციელ, ეშხიან, მწველ სიყვარულს უმღერის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი შეუმჩნეველად მაინც მიმართავს რომანტიზმისათვის დამახასიათებელ სიყვარულის ამაღლებულ, სპექტაკ გრძნობას.

ლექსი „...როს არშიცი“ იმთავითვე აიტაცა საზოგადოებამ, აამღერა და ამგვარმა მასიურობამ გამოიწვია მისი დიდი ნაწილის გახალხურება და სხვადასხვა ქალაქურ სატრფიალო

## ზატი ავაშიძე

სიმღერებში ჩართვა. ამის ნათელი დასტურია ბოლო დრომდე ქართულ ესტრადას შემორჩენილი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსის გახალხურებული სტრიქონები:

„...ვიცი, მრავალს უყვარხარ,  
მრავალნი შეგნატრიან,  
მაგრამ ჩემებრ ეშხითა, გენაცვალე,  
ვერვინ გეტყვის მიყვარხარ“.

შდრ.: ალ. ჭავჭავაძე:

ვიცი, ჩემო სიცოცხლე,  
მრავალნი შემოგტრფიან.  
მაგრამ ჩემებრ ეშხითა  
ვერ გეტყვიან: მიყვარხარ!

(ჭავჭავაძე, 1949: 108)

ალექსანდრე ჭავჭავაძე რომ აღმოსავლური ხასიათის აშუღური პოეზიის გავლენას განიცდის, ამის ნათელი მაგალითია პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის საკმაოდ დიდი ნაწილი.

სიტყვა „აშული“ ამიერკავკასიაში XVI-XVII საუკუნეებიდან გვხვდება; იგი არაბული წარმომავლობისაა, რაც „მიჯნურს“, „მეტრფეს“ ნიშნავს. აშული ფართო გაგებით სახალხო მგოსანია, რომელიც თხზავს სასიმღერო ტექსტს, უწყობს ჰანგებს და თავადვე მღერის რომელიმე სიმებიანი საკრავის თანხლებით. აშუღური პოეზია დიდ ადგილს უთმობდა რომანტიკულ და საგმირო ჟანრის ხალხურ ნაწარმოებებს. აშუღებისათვის დამახასიათებელია პოეტური პაექრობა, რომელიც ერთგვარად ჰგავს ქართულ შაირობა-კაფიობასა და შემღერებას.

აშუღური სიმღერები აღმოსავლეთის მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკადია, რომელიც ემყარება ხალხურ ჰანგებსა და პოეზიას. მისთვის დამახასიათებელია განვითარებული ვოკალურ-ინსტრუმენტული ჟანრები - დასთან, ბაიათი, მუხამბაზი და სხვა. საქართველოში, კერძოდ თბილისში, აშუღობა განსაკუთრებით განვითარდა XVIII საუკუნის II ნახევრიდან. ცნობილია, რომ თბილისელი აშუღები სიმღერითა და ზეპირსიტყვაობით ავრცელებდნენ თავიანთ პოეზიას; სიმღერა უძლიერესი საშუალებაა ზეპირსიტყვიერების გავრცელებისა, ხალხის გულის დაპყრობისა. ამის თაობაზე შესანიშნავად ამბობს პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი: „სიმღერა მოქმედებს არა მარტო ადამიანზე, არამედ - შხამიან გველებზედაც... აკი შოთაც ამბობს, „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“. ეს „ტკბილად მოუბარნი“ იყვნენ ჩვენებური აშუღები, რომლებიც დადიოდნენ სოფლად თუ დაბა-ქალაქად დღეობებში, ყვავახანებში და სიმღერის საშუალებით ხალხური პოეზიის ნიმუშებს ავრცელებდნენ...“ (გრიშაშვილი, 2012: 85).

თბილისელ აშუღთაგან ამიერკავკასიაში ყველაზე ცნობილი იყო საიათნოვა. აშუღური პოეზიის ნაკადი კი მხატვრულ ლიტერატურაში საგრძნობია ბესიკის პოეზიაში.

„ბოლო დროს, - წერს აშუღების ცხოვრებისა და შემოქმედების უზადლო მკვლევარი ი. გრიშაშვილი, - ხალხის ერთი ნაწილის მოთხოვნილებაც გაიზარდა. მგოსნისაგან მოითხოვდნენ, ლექსთა ტრადიციულ ელემენტს გარდა, ცოტა მეტსაც: ორიგინალურობას, ფორმის სიფაქიზეს და შინაარსის სიღრმეს. აი, ამ დროს გაჩნდნენ სასახლის აშუღები... რომელნიც ქართველ მეფეთა სასახლეში ჰმღეროდნენ. თვით მომღერალთა და ხალხის კულტურულად ზრდის გამოისობით შეიქმნა ტიპი აშუღ-პოეტისა, რომლებმაც განვითარების ახალ გზაზე დააყენეს შუა საუკუნეების ლირიკა... მაგრამ მიუწვდომელ სიმაღლეზე აიყვანა აშუღთა პოეზია საიათნოვამ

თავისი პოეტური შემოქმედების წყალობით; მან სახალხო მომღერლის ხელობა გადააქცია პოეტის უმაღლეს მოწოდებად...“ (ზანდუკელი, 1972: 178). ამრიგად, აშუღთა რეპერტუარმა მოახერხა, გავლენა მოეხდინა ოფიციალური ლიტერატურის ისეთ წარმომადგენელზე, როგორც იყო ბესიკი, რომლის პოეზიაშიც მუხამბაზურ-აშუღურმა მოტივებმა თავიანთი წარუშლელი კვალი დატოვეს.

ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაზე, განსაკუთრებით კი ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის „მუხამბაზებზე“, ბესიკისა და აშუღური პოეზიის გავლენაზე არაერთი მკვლევარი მიუთითებს. ასე მაგალითად, მკვლევარი ალექსანდრე კალანდაძე ფიქრობს, რომ „ალექსანდრე ჭავჭავაძის არქაულსა და შესამჩნევად ხელოვნურ ენას ანტონ პირველისა და ბესიკის „მაღალი შტილის“ ბეჭედი აზის“ (კალანდაძე, 1987:189); ხოლო პოეტი აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი „მუხამბაზზე“ საუბრისას აღნიშნავს, რომ „მუხამბაზი“ პირველად საიათნოვამ შემოიტანა საქართველოში... აშუღური სიმღერის დამახასიათებელი ფორმაა ეგრეთწოდებული მუხამბაზი. საკუთრივ მუხამბაზი ნიშნავს ხუთეულს, ე. ი. ხუთ სტრიქონს, მაგრამ შემდეგში თვით საიათნოვამ და მისმა „მიმბამველებმაც“ განავითარეს, შეჰქმნეს ამნაირი ლექსების მრავალი ვარიანტი... მე-19 საუკუნის პოეტებს შორის საიათნოვას ლექსის ფორმა უმაღლესობამდე განავითარა ალექსანდრე ჭავჭავაძემ...“ (გრიშაშვილი, 2012: 175-176).

მკვლევარი თინათინ თვალთაშვილი აღნიშნავს, რომ „ისტორიული წყაროები ადასტურებენ 16-17 საუკუნეებში აშუღური სიმღერების შემოჭრის ფაქტს. როგორც ცნობილია, პირველმა ქართლის მეფე როსტომმა (1632-1658) დაამკვიდრა საქართველოში სპარსული ზნეჩვეულებანი და მათ შორის - სპარსული მუსიკაც...“ - მკვლევარი აქვე ხაზგასმით გადმოგვცემს: - „არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა, რომ აშუღური მუსიკა გენეტიკურად ხალხურ საწყისებზე აღმოცენდა და ის პროფესიულ ხასიათს ატარებდა...“ (თვალთაშვილი, 2014: 83).

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ასზე მეტი ლექსიდან ორმოცამდე სიყვარულის თემას ეძღვნება. აქედან ოცზე მეტ სატრფიალო ლექსში ყველაზე უფრო იგრძნობა ბესიკის გავლენა; სიყვარულის გრძნობის გადმოსაცემად და სატრფოს პორტრეტის შესაქმნელად პოეტი უმთავრესად ბესიკისათვის დამახასიათებელი პოეტიკით ხელმძღვანელობს; მზეს – სატრფოს აღმნიშვნელად; ბალახშის კარს, ძოწს, ლალს, იაგუნდს – ტუჩების მიმართ; დალალს, ზილფს – ნაწნავების მიმართ; ბროლ- ფიქალი, ბროლის ფიცარი, ბროლის ველი – გულმკერდს აღნიშნავს; ვარდი, ბალახში – ღაწვს; მელნის ტბა – თვალებს; ჰინდელნი, ჰინდთა ჯარნი – წამწამებს; მშვილდნი – წარბებს; მარგალიტნი, სპეკალნი – კბილებს და სხვა.

ალვისა ტანი, მალოვანი ვერ ვიცანი!  
 ლერწმად ახატოს, ვინც დახატოს მისი ტანია,  
 ლაშ-ლოყა ლბილნი, მკლავნი წვრილნი, შავნი თმანია,  
 სადაფ მჩაგვრელად ფერი ვლიან ბროლ-ფიქალნია.

ან კიდევ:

ტანად სარო ხარ, ვარდებრ ღაწვნი შენნი ლბილობენ,  
 ლალად თამაზია გიშრის ბეწვნი ხშირად ყრილობენ,  
 ვაი, ძუძუ-მკედრი, კოკობ-ვარდი ნაზად შლილობენ...

(ჭავჭავაძე, 1949: 12)

მოცემულ ლექსში („შენს ღირსებას ნატრულობენ“) ალექსანდრე ჭავჭავაძე სიყვარულს აღიქვამს ისე, როგორც ძველ ქართულ მწერლობას ახასიათებს - გარეგნულ, ხორციელ სილამაზეში პოულობს სატრფოს განსახიერებას, ვნება და ეშხი იპყრობს მთელს მის არსებას. მაგრამ

## ფატი აბაშიძე

ისიც უნდა აღვნიშნოთ რომ ეს ყველაფერი მას ქართულ ხალხურ სატრფიალო ლირიკასთანაც აახლოებს, რადგან პოეტისთვის დამახასიათებელი სიყვარულის ამგვარი აღქმა სახალხო მთქმელისთვისაც არ არის უცხო. მაგალითისათვის შეიძლება მოვიხმოთ ხალხური ლექსი „წარბები გადაგხატვია...“, რომლის მთქმელიც თეოფილე ბეთანელია, ხოლო ჩაუწერია გ. ხმალადეს ახალციხეში:

წარბები გადაგხატვია,  
გიმშვენებს ორსავ თვალებსა,  
ტანი ალვის ხეს მიგიგავს,  
პირი - გაბადრულ მთვარესა.

(ქ. ხ. პ., 1978: 46)

ან კიდევ, ხალხური სატრფიალო ლექსი „დილის ვარდო, ტან სურათო“, რომელიც თედო რაზიკაშვილს ქართლში ჩაუწერია. აქაც სახალხო მთქმელს, რომანტიკოსი პოეტის - ალექსანდრე ჭავჭავაძის მსგავსად, ქალის გარეგნულ სილამაზეზე დარჩენია თვალი:

დილის ვარდო, ტან სურათო,  
თავ-ბოლომდე მურასაო,  
ყელი გათლილ ბროლ მიგიგავს,  
ტანი - ოქროს სურასაო!

(ქ. ხ. პ., 1978: 46)

აქვე არ შეიძლება არ განვიხილოთ ხალხური ლექსი „ხომალდში ჩავჯექ“ (ლექსის 20 ვარიანტია აღრიცხული, ხოლო პირველი დათარიღებული ჩანაწერი 1869 განეკუთვნება), რომელიც აკაკი წერეთელს ს. აბაშელის სალამოზე წაუკითხავს 1913 წლის 30 მარტს; შეკრებილ საზოგადოებას მან ასე მიმართა: „ზეპირ-სიტყვაობა არის სარკე ჩვენის წარსულის, როგორც ხორციელის, ისე სულიერის ცხოვრების! ის არის მალამო, სულის ჩამდგმელი დღეს მომავლადვის!.. მისი დაკარგვა, დავიწყება, ჩვენი სიკვდილია და თუ სიკვდილი არ გვინდა, უნდა მალე მივეშველოთ და მოვაგროვოთ. თუ გავცხრილავთ ბევრს მარგალიტს, შევიძენთ საშვილიშვილოთ ხელი-ხელს საგოგმანებელს...“ (წერეთელი, 1990: 473-474). ერთ-ერთი „მარგალიტის“ ნიმუშად პოეტმა მოიხმო ლექსი „ხომალდში ჩავჯექ“:

ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ,  
ფრანგის ქვეყნები ვნახეო;  
სულ დავიარე ხმელეთი,  
ვერ ვნახე შენი სახეო.  
ანთებულ სანთელს გამსგავსე,  
დილით ცისკარზე გნახეო,  
ხელში გეჭირა ყმაწვილი  
ფარსაგ ვერ დაგინახეო.

(ქ. ხ. პ., 1978: 169)

ხალხურის გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკის მხატვრულ სახეთა საბადო ბესიკური პოეზიაც არის.

ბესიკ გაბაშვილის ლექსში “მე შენმა ფიქრმა მიმარინდა” ჭაბუკი მიჯნური უშუალოდ მიმართავს სატრფოს, რომელიც იშვიათი სილამაზის მატარებელია, მაგრამ, ამავე დროს, „უწყალოა“ და შეუბრალებელი:

მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჭირებსა:  
ანდამატისებრ მიმიზიდავ, ვჭგავნამჭირვებსა.  
ვარდის ბაგენი შევნიერად სხვას მაპირებსა,  
ჩემებრ უწყალოდ მიიყვანებგასაკვირვებსა.  
როდის იქნება, შემომხედო გულსა მწირებსა?..

(გაბაშვილი, 1990: 289)

სატრფიალო ლექსებში „სახე შენი მე მახევა“, „მაისის ვარდმან“, „ვარდო კოკობო“ და სხვა, ბესიკის მსგავსად, ალექსანდრე ჭავჭავაძესაც ქალის ხორციელ მშვენებაზე რჩება თვალი. იგი იყენებს ბესიკისა და აღორძინების ხანის სატრფიალო პოეზიის ტრადიციულ გარეგნულ ნიშნებს: სიმბოლიკას, ლექსიკას, ინტონაციას:

ვარდო კოკობო, ყოვლთამჯობო, მომხედე კრულსა,  
მე შენსა მჭვრეტსა, განარეტსა თვალ-დაურულსა!  
მოვედ, მეკონე და მიმონე, მეწამლე წყლულსა;  
აღთქმა გრძნობითი, წამ-ყოფითი სრულ უქმენ გულსა,  
გრძნობათა ჩემთა საკამათოვ, ვაჰ, შენგან კლულსა!

(ჭავჭავაძე, 1949: 31)

ბესიკისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფიალო ლექსებიდან ნათლად ჩანს, რომ ისინიც, მსგავსად სახალხო მთქმელისა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ქალის გარეგნულ სილამაზეს. თედო რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ ხალხურ ლექსში „თხუთმეტი დღის მთვარეს გეცხარ...“ სახალხო მთქმელი სასურველი ქალის სილამაზეს გავსებულ მთვარეს და მელნის ტბას ადარებს:

თხუთმეტი დღის მთვარეს გეცხარ,  
ქალო, აგრე რამ გაგავსო?  
თვალი გიგავს მელნის ტბასა  
და წამწამი ხშირი გაქვსო!

(ქ. ხ. პ., 1978: 46)

ალექსანდრე ჭავჭავაძის ზოგიერთი სატრფიალო ლექსის განხილვისას ბესიკის თავისებურ პოეტურ პერიფრაზზეც კი შეიძლება საუბარი. გარეგანი სილამაზე, რომელზეც პოეტი ლექსში „ვარდო კოკობო“ საუბრობს, წარმავალია, ამიტომ ავტორი ურჩევს შეყვარებულ ადამიანს, სანამ დრო აქვს, „ისიამოს“, რადგან შემდეგ გვიანი იქნება:

დრო წაჰმართობს, გამკობს სრულად;  
შეიცვალოს, გეპყრას სრულად.  
მაშინ რა ვჰყო, გნახო ზრულად...  
ხომ გსმენიან სხვათმკულება,  
მათ სახეთა ბებკულება,  
გფუცავ, შენც ის გეგულვება,  
ვიცი, შემდგომ მოიგონებ  
მაგ შევენებას, რომელს ვმონებ:  
მო, ჰყავ ნება, ნუ იყოვნებ.

(ჭავჭავაძე, 1949: 82)

სწორედ ამ ტიპის ლექსებზე საუბრობს მკვლევარი დავით გამეზარდაშვილი, როდესაც აღნიშნავს, რომ „ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ რიგის ლექსებს უდავო ნათესაობა და მსგავსება



## შპტი აბაშიძე

აქვთ ბესიკურ ლექსებთან, თვით ყარაჩოხელთა პოეზიასთანაც კი, მეტადრე თქმის მანერით, სიტყვათა მარაგითა და პოეტური საღებავებით...“ (გამეზარდაშვილი, 1975: 187). თავისთავად ყარაჩოხელთა პოეზიასთან კავშირი, ბუნებრივია, ხალხურ ძირებთან კავშირს გულისხმობს, რაც სისხლხორცეულია ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის. სახალხო მთქმელსაც ბევრჯერ დაუჩივლია წუთისოფლის წარმავლობაზე; ამ პრობლემას ეძღვნება ლექსი „წუთია წუთის ქვეყანა“, რომელიც დაგვაფიქრებს ამა სოფლის ცხოვრებაზე:

წუთია წუთის ქვეყანა,  
წუთის წეობით იწვება,  
ზოგი ლხინსაა, თამაშას,  
ზოგი უცეცხლოთ იწვება.

(ქ. ხ. პ., 1979: 35)

ამრიგად, თავისი სატრფიალო პოეზიით ალ. ჭავჭავაძე ერთგვარად ამთავრებს ბესიკურ ტრადიციას და დასაბამს აძლევს ახალ, რომანტიკულ ლირიკას, რაც უმაღლეს საფეხურზე აიყვანა რომანტიკოსთა ახალმა თაობამ... ნათლად დავინახეთ ისიც, რომ პოეტის სატრფიალო ლირიკა (ისევე როგორც მგოსნის მთლიანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა) გაჯერებული და ნასაზრდოებია უშრეტი ქართული ხალხური საუნჯით.

## A FOLKSOURCEO FAFFECTIONATELY RICSOF ALEXANDER CHAVCHAVADZE

### PATI ABASHIDZE

#### SUMMARY

The works of Alexander Chavchavadze demonstrate that he, on one hand, shares the aspects of romaniticism, yet it is impossible not to see the origins of folk sources, would that be the examples of orally transmitted Georgian folk, urban songs, or Karachogh-Ashugh poetry. The affectionate lyrics of the poet are full of and enriched with uniqueness of Georgian heritage.

#### ლიტერატურა:

1. **გაბაშვილი, 1990** - ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი), „ქართული მწერლობა“, ტ. 8, თბ.;
2. **გამეზარდაშვილი, 1975** - დავით გამეზარდაშვილი, „ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან“, ტ. III, თბ.;
3. **გრიშაშვილი, 2012** - იოსებ გრიშაშვილი, „წერილები“, ტომი IV, თბ.;
4. **ზანდუკელი, 1972** - მიხეილ ზანდუკელი, „თხზულებანი“, ტ. I, თბ.;
5. **თვალთაშვილი, 2014** - თინათინ თვალთაშვილი, „ქართული ქალაქური რომანსის გენეტიკა“. - „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XVIII;
6. **კალანდაძე, 1987** - ალექსანდრე ჭავჭავაძე, „გვაქვს საგანძური“, თბ.;
7. **ქ. ხ. პ., 1978** - „ქართული ხალხური პოეზია“, სატრფიალო ლექსები, ტ. VI, თბ.;
8. **ქ. ხ. პ., 1979** - „ქართული ხალხური პოეზია“, საყოფაცხოვრებო ლექსები, ტ. VII, თბ.;
9. **წერეთელი, 1990** - აკაკი წერეთელი, „მოხსენება, წაკითხული 30 მარტს ს. აბაშელის საღამოზე“. - რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, თბ.;
10. **ჭავჭავაძე, 1949** - ალექსანდრე ჭავჭავაძე, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, (პოეტის ბიბლიოთეკა), რედ.: ი. გრიშაშვილი, თბ.

## **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში**

რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ანგარიში მომზადებულია სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე განხილული საკითხების და გადაწყვეტილებების მიღების, დარგობრივი კომისიების მიერ მოწოდებული ანგარიშების საფუძველზე.

გაიმართა რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ერთი საერთო კრება, სამეცნიერო საბჭოს 12 სხდომა და დარგობრივი კომისიების 15 სამუშაო შეხვედრა, რომლებზეც განხილულ იქნა საკითხები, სამოქმედო პროგრამების და მათი შესრულების მიმდინარეობის, მიღწეული შედეგების შესახებ. შედეგები ასახულ იქნა რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ჟურნალში „შრომები“, სხვა პერიოდულ გამოცემებში, კონფერენციებისა და ფორუმების მასალებში.

რეგიონული სამეცნიერო ცენტრის მიერ განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

**ფიზიკა მათემატიკის** სფეროში განხორციელდა, როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი ღირებულების მქონე კვლევები, ისეთ საკითხებსა და პრობლემებზე როგორცაა, ტოპოლოგიურ სივრცეთა და უწყვეტ ასახვათა გეომეტრიული და ალგებრული ინვარიანტები, საზღვრული ჰომოლოგიის და კოჰომოლოგიის თეორიები, ნორმალურ სივრცეთა ჩაკეტილი წყვილების და საკუთრებრივი ასახვის კატეგორიებზე, ტოპოლოგიურ სივრცეთა და (კო)ჰომოლოგიური ფაქტორები და განზომილების ტიპის ფუნქციები, მათი გამოყენებანი და სხვა. გამოქვეყნებულ იქნა სტატიები იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში, პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდებით DOI ან ISSN. აღნიშნული მიმართულებით მონაწილეობა იქნა მიღებული სხვადასხვა დონის ფორუმებში, საქართველოში, საბერძნეთში, აზერბაიჯანში, ჩეხეთსა და ავსტრიაში.

**გეოგრაფიის, გეოლოგიისა და ექსტრემალური ეკოლოგიური სიტუაციების** მიმართულებით მეცნიერული კვლევების ჩატარებისა და მიღებული შედეგების პრაქტიკული გამოყენების არეალი მოიცავდა აჭარის რეგიონის რელიეფურ და კლიმატურ პირობებს, ჰიდროგეოგრაფიულ ქსელს, ლანდშაფტების ფორმირებისა და გარდაქმნის, მათი მდგრადობის და პოტენციალის შეფასების საკითხებს, ნიადაგების სხვადასხვა ტიპის გეოგრაფიული გავრცელების, გენეზისსა და თვისებებს და ა.შ.

შემუშავებული ღონისძიებების და რეკომენდაციების, წინადადებების განხორციელების ობიექტებად განსაზღვრულ იყო რეგიონის ჰიდრორესურსების ათვისების უზრუნველყოფი ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობები, ტურისტული ინდუსტრიის ობიექტების ქსელის გაფართოება, ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება, სამეწარმეო საქმიანობისათვის მიწისა და ტყის რესურსების კვლავწარმოება და გამოყენება, მეწყერული მოვლენების თავიდან აცილება, ნაპირგამაგრება, ინერტული მასალების მოპოვება, ავტომაგისტრალების მშენებლობა და ა.შ.

**საინჟინრო მეცნიერებების და ენერგეტიკის** სფეროში სამეცნიერო კვლევითი საპროექტო და დანერგვის სამუშაოების შედეგები აისახა გამოცემულ წიგნებში, მონოგრაფიებში, სახელმძღვანელოებსა და სტატიებში, რომლებიც ეხება შემუშავებულ ტექნოლოგიებს, რეკომენდაციებს, წინადადებებს, პროექტებსა და ხედვებს, ისეთ პრობლემებთან დაკავშირებით,

როგორცაა: კომპლექსური ნაგებობები ექსტრემალური ვითარებისათვის, თანაკვეთის წილების აგება ტოპოლოგიური გარდაქმნების გამოყენებით, ელექტროდების გარეშე ჩამამიწებლის წინაღობის გაზომვის სიზუსტის ამაღლების მეთოდები, ახალი ტიპის ვერტიკალურილივიანი ჩამჩებიანი ქარის ტურბინები, ახალი კონსტრუქციული სტრუქტურა ქარის გენერატორის და მზის ენერჯის გარდამქმნელი, ახალი მიდგომები სწრაფადსაგები მექანიზებული და ტრანსფორმირებადი ხიდების შექმნაში, კვლევებისა და პრაქტიკული დანერგვის შედეგები წარდგენილ იქნა საერთაშორისო კონფერენციებზე იტალიაში, ესპანეთში, ყაზახეთში, ბელორუსსა და სხვა ქვეყნებში.

**ბიოტექნოლოგიების, აგროტექნოლოგიების, აგროინჟინერიისა და კვების პროდუქტების წარმოება-გადამუშავების** მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი საპროექტო და დანერგვითი სამუშაოები ეხებოდა ტექნოლოგიების შემუშავებას და დანერგვას, რომლებიც შესაძლებელს გახდის აჭარის რეგიონში არსებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების გაფართოების, გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების, კონკურენტუნარიანი კვების პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის გაფართოების მიზნების მიღწევას. შემუშავდა რეკომენდაციები და წინადადებები ცალკეულ პროდუქტებზე იმპორტჩანაცვლებისა და ადგილობრივი წარმოების ინტერესების დაცვის პრობლემებთან დაკავშირებით. შემუშავდა პროექტი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებისათვის აჭარის ალპურ ზონაში. მეციტრუსეობის დარგის რეაბილიტაცია-განვითარების მიზნით შემუშავდა ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ უნარჩენო და კომპლექსურ გადამამუშავებას, ნედლეულის წარმოების ხარისხის მართვას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

სამეცნიერო კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება მოხდა მევე-ნახეობა-მეღვინეობის მიმართულებით, რომლებიც ითვალისწინებდა ადგილობრივი ენდემური ვაზის ჯიშების გამოყენებით ადგილწარმოშობის ღვინოების წარმოების პოტენციალის ათვისებას. აჭარის ტერიტორიაზე მოქმედ საკონსერვო პროფილის ობიექტებში რეკომენდაციები გაეწია ახალი სახის პროდუქციის წარმოებას. სამუშაოები ჩატარდა რეგიონში წარმოებული პროდუქციის რეკლამირებისა და საბაზო სეგმენტების მოძიების მიმართულებით, ასევე სამაცივრე და სასაწყობო მეურნეობების მოწყობის თაობაზე.

**ქიმის, ქიმიური ტექნოლოგიებისა და მცენარეთა დაცვის** სფეროში ჩატარებული იყო ცდების სერია, რაც მიზნად ისახავდა R,SOCANACEAZUM მიმართ აქტიური შერჩეული ბაქტერიოფაგების ნივთიერების მოქმედების ეფექტურობის შესწავლას კარტოფილის ტუბერებისა და კარტოფილის ახალგაზრდა მცენარეების მიმართ. დადგინდა, რომ STEVIA REBAUDIANA ფოთლებიდან მიღებული ექსტრაქტები მაღალი ანტიბაქტერიული და ანტიფუნდიციდური აქტივობით გამოირჩევა. ექსტრაქტები რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას IN VITRO პირობებში. რეალურ რეჟიმში გამოცდილ იქნა ქართველ მეცნიერთა მიერ შექმნილი აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო პრეპარატი „გიომეტრინი“ .

**სასოფლო სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების** სფეროში სამეცნიერო კვლევითი, საპროექტო და დანერგვითი სამუშაოების შედეგად გამოვლენილ იქნა აჭარაში გავრცელებული მსხლისა და ვაშლის ჯიშები, რომელთა ნაწილიც გადაშენების საფრთხის წინაშეა, მოხდა საკოლექციო ნაკვეთზე მათი სადედე პლანტაციების გაშენება, შესწავლილ იქნა ცალკეული მოკვლეული ჯიშების ნაყოფის ბიოქიმიური შემადგენლობა და განისაზღვრა გამოყენების მიმართულებები.

კვლევები ჩატარდა აჭარის მაღალმთიან ზონაში აქტიუნიდის მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიების შემუშავების მიმართულებით.

განხორციელდა იშვიათი, გაქრობის საშიშროების ქვეშ მყოფი ჯიშის და ფორმის ციტრუსოვანთა გენოფონდის მოძიება-კვლევა, მათი შემდგომი გამოყენების გაფართოების მიზნით კონსერვაციისათვის. ყურადღება იყო გამახვილებული აჭარა-გურიაში მანდარინის საადრეო და უხვად მსხმოიარე კლონებზე.

ჩატარდა კვლევები და შემუშავდა ღონისძიებები კარტოფილის მცენარეზე შავფეხა ბაქტერიული რბილი სიდაბლის მიმართ.

**მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მეფრინველეობისა და თევზის მეურნეობის** დარგებში შესწავლილ იქნა განვითარების მდგომარეობის რეალური დონის შესწავლა ცალკეული მუნიციპალიტეტებისა და ზონების მიხედვით. გაანალიზებული და შეფასებული იქნა თითოეული დარგის განვითარების რეალური პოტენციალის გამოყენების შემაფერხებელი ფაქტორები და მიზეზები. შემუშავდა რეკომენდაციები და წინადადებები ამ დარგების პერსპექტიული ხელშემწყობი გარემოს შექმნასთან დაკავშირებით.

**სოციალურ-ეკონომიკური და ტურიზმის** სფეროში შესწავლილ იქნა აჭარის ტერიტორიაზე მოქმედი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების, ფუნქციონირებისა და განვითარების მდგომარეობა. მომზადდა რეკომენდაციები ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გადაჭრის უზრუნველყოფისათვის, რომლებიც წარდგენილ იქნა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში და საფუძვლად დაედო მრჩეველთა საბჭოს სამუშაო პროგრამის მომზადებას. ჩატარდა კვლევები აჭარაში განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის დონის შესწავლისათვის, მომზადდა რეკომენდაციები და წინადადებები ამ პროცესის განვითარების დაჩქარებისათვის.

შემუშავდა პროექტი და მის საფუძველზე შეიქმნა „მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ფონდი“, რომელიც აქტიურად მუშაობს მოსახლეობის ცალკეულ ფენებთან სამეწარმეო საქმიანობის განვითარებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების გამოვლენის და მათ მიერ ბიზნესის სხვადასხვა სფეროებში პროექტების მომზადება განხორციელების ხელშემწყობი გარემოს შექმნაზე, სხვადასხვა საინვესტიციო წყაროების მოზიდვისა და მიწოდების გზით. პროექტის ფარგლებში უკვე შექმნილია ფართო სპექტრის საპროექტო წინადადებების მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს ეკონომიკის ყველა დარგს. პროექტის განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართულნი საქართველოს პარლამენტის დეპუტატები აჭარიდან.

განხორციელდა კვლევები რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეული მიგრაციული პროცესების პრობლემებზე. მოკვლევული მასალების საფუძველზე მომზადებული დასკვნები მიეწოდა რეგიონის საკანონმდებლო და ადმინისტრაციული, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

მომზადდა აჭარის რეგიონში ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ანალიტიკური მასალები, შემუშავდა წინადადებები და რეკომენდაციები ტურიზმის სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის, ცალკეული ტერიტორიული ერთეულებისა და ზონების მიხედვით. მომზადდა რეკომენდაციები და წინადადებები ადგილობრივი რესურსების კვლავწარმოების, ათვისებისა და რაციონალური გამოყენების საკითხებზე. შემუშავდა და მიმდინარეობს პროექტის შესრულება “თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეების შემუშავება-დანერგვის

ხელშეწყობა“ . კვლევების შედეგები ასახულია სხვადასხვა პუბლიკაციებში, კონფერენციებისა და ფორუმების მასალებში.

**მედიცინის დარგში** მუშაობის პროგრამა მოიცავდა სხვადასხვა სახის ღონისძიებების, პროგრამების, პროექტებისა და რეკომენდაციების შემუშავება-განხორციელებას, მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულებების და ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით ისეთი მიმართულებით, როგორცაა სასწავლო საკონსულტაციო პროგრამები, საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები და გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის დაავადებათა გავრცელების მიზეზების, სპეციფიურობის და მკურნალობის, გერეანტოლოგიის და გერეატრიის, ქირურგიის, ბიომედიცინის, დიაბეტთან და სიმსივნეებთან ბრძოლის, გულსისხლძარღვთა დაავადებებთან ბრძოლის. მიკრობიოლოგიის, ფარმაკოლოგიის და სხვა პრობლემების გადაჭრის თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების დანერგვა.

**ისტორიის, ეთნოლოგიის, არქეოლოგიის და ხელოვნების** დარგში გამოქვეყნდა მონოგრაფია „აფხაზები აჭარაში - წარსული და თანამედროვეობა“, ქართული ტრადიციული საზოგადოების არქიტექტონიკის თეორიული პრობლემები, ჩატარდა ექსპედიციები ტაოში, ბეშუმის ნამოსახლარში. გრძელდებოდა არქეოლოგიური ექსპედიციები გონიო-აფსაროსის შესასწავლად პოლონელ მეცნიერთა მონაწილეობით. გრძელდებოდა მუშაობა საგრანტო პროექტებზე „ტაო“ და „მარადიდი“ .

**ქართული ენის, ლიტერატურისა და ფოლკლორის** სფეროში მომზადდა და დაისტამბა ორმოცდაათამდე სამეცნიერო შრომა. კვლევის მასალებში ასახულია ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, სალიტერატურო ენის, ქართული ლიტერატურის საკითხები. მონაწილეობა იქნა მიღებული საერთაშორისო კონფერენციებში „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“, „აღმოსავლეთ ევროპის მულტიკულტურული სივრცე“ . ჩატარდა სავსე ექსპედიციები მარადიდელ მუჰაჯირთა დასახლებებში მარმარილოს ზღვის რეგიონში. სრულდება პროექტები „ტაო- ისტორიულ ფილოლოგიური გამოკვლევა“ და „მარადიდი“ (ორივე პროექტი დაფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ). ბსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა ჯგუფს მონოგრაფიისათვის „კლარჯეთი“ მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ჯავახიშვილის პრემია.

**ფილოსოფიის, პოლიტოლოგიის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის და იურიდიულ მეცნიერებათა** დარგებში მონაწილეობა იქნა მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში და წაკითხულ იქნა მოხსენებები: „ჰეგელის რელიგიის ფილოსოფია და რუსული სახელმწიფოს კონსტრუირების იდეა“, „ევროპეიზმი და ნეოევროპეიზმი“ „ ცნობიერების იდეალიზაცია“, „ისლამის იდეალები და ღირებულებები“. მომზადდა ნაშრომები „ეთნო-ეროვნული თვითცნობიერებისა და რელიგიის მიმართების ზოგიერთი თეორიული ასპექტი“, „მეცნიერების ფილოსოფია“, „ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური კვლევები“.

ფსიქოლოგიის მიმართულებით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები“. წაკითხულ იქნა მოხსენებები საერთაშორისო მეთოდურ კონფერენციაზე „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“. „განათლების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები თანამედროვე საზოგადოებაში.“

იურიდიული და სოციალური მეცნიერების მიმართულებით გამოქვეყნდა სტატია რეცენზირებად უცხოურ ჟურნალში „უკრაინა და საქართველო საერთაშორისო ურთიერთობებში“. ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „როგორ ჩავატაროთ არჩევნები“, „ისტორიისა და პოლიტიკის მეცნიერებები“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“.

**საზღვარგარეთის ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის** პრობლემებთან დაკავშირებით ჩატარდა კვლევები უცხოური ლიტერატურის და თარგმანმცოდნეობის მიმართულებით. მონაწილეობა იქნა მიღებული საერთაშორისო კონფერენციებში და სიმპოზიუმებში ქვეყანაში და საზღვარგარეთ. კვლევები განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით : „ბულგარულ-ქართული კულტურული და საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობები“, „თარგმანმცოდნეობის კერძო თეორიების განვითარება“, „ბათუმი უცხოური ლიტერატორების თვალით“, „ფემინიზმის სოციოკულტურული ასპექტები ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში“, „კულტურული მეხსიერება“, „ქალი მწერლები და ლიტერატურის პოეტიკა“, „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები“, „დასავლეთის ტრადიციები აღმოსავლურ რომანებში“.

**დემოგრაფიული და ეროვნებათაშორისი პრობლემების** მიმართულებით მონაწილეობა იქნა მიღებული პროგრამების განხორციელებაში, „არტანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“, „ისტორიული ჭანეთის ცენტრალურ ნაწილში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“. მონაწილეობა იქნა მიღებული დემოგრაფიული და ეროვნებათაშორისი პრობლემების სხვადასხვა დონის ღონისძიებებში, თურქეთში, პოლონეთში, უკრაინაში, ასევე ქვეყნის შიგნით გამართულ კონფერენციებში.

## **მეზუარი ავტორთათვის**

1. წარმოდგენილი სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს A4 ფორმატის თეთრ ქაღალდზე ორი ინტერვალით, ზედა და ქვედა არეები – 30-30 მმ, გვერდითი არეები – 25-25 მმ. სტატიის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 12 ნაბეჭდ გვერდს, ფორმულების, ცხრილებისა და სურათების ჩათვლით.

2. სტატია შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე მთავარი რედაქტორის სახელზე. სტატიას უნდა ახლდეს აგრეთვე:

- ცნობები ავტორის (ავტორების) შესახებ, მოცემულ შრომაში მისი წვლილის აღნიშვნით;
- აკადემიის წევრის წარდგინება ან ორი კვალიფიციური რეცენზია სხვადასხვა ინსტიტუტიდან (თუ ავტორი არ არის აკადემიის წევრი); მიმართვა რედაქციის სახელზე გამოქვეყნების თხოვნით იმ დაწესებულებიდან, სადაც შესრულებულია შრომა;

სტატიას განიხილავს სარედაქციო საბჭო და გადაწყვეტს მისი გამოქვეყნება-არგამოქვეყნების საკითხს.

**3. სტატია უნდა გაფორმდეს შემდეგი სახით:**

- მეცნიერების დარგი;
- სტატიის სათაური;
- ავტორის (ავტორების) სრული სახელი, გვარი;
- სამუშაო ადგილი, საფოსტო მისამართი, ელ. ფოსტა;
- ნაშრომის წარმომდგენი აკადემიის წევრის გვარი;
- რეზიუმე;
- საკვანძო სიტყვები;
- ტექსტი. ტექსტის ბოლოს დაფინანსების წყაროს და მადლობების ჩამონათვალი;
- ინგლისური ტექსტის შემდეგ რეზიუმე ქართულ ენაზე (გაფორმებული იმავე თანმიმდევრობით, როგორც ინგლისური ტექსტი), მოცულობა ერთ გვერდამდე;
- დამოწმებული ლიტერატურის სია უნდა დალაგდეს ტექსტში ციტირების მიმდევრობის მიხედვით (ლიტერატურა ტექსტში აღნიშნული უნდა იყოს ციფრებით კვადრატულ ფრჩხილებში);
- ნახაზები და ცხრილები მოცემული უნდა იყოს ცალკე გვერდებზე. ფოტოები – ორიგინალის სახით;

- სურათებს უნდა ახლდეს წარწერები;

- სტატიის ბოლო გვერდზე უნდა იყოს ყველა ავტორის ხელმოწერა (გარკვევით).

4. **ელექტრონული ვერსია:** CD-ROM, შრიფტი Times New Roman. ტექსტი: Supply – Word, Word Perfect, RTF. ცხრილები და ნახაზები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე ფაილად, ნახაზები უნდა შესრულდეს TIFF, EPS, მაღალი ხარისხის PDF, JPEG, ცხრილები: Word, Word Perfect, RTF.

5. სტატიის ტიპოგრაფიული თუ ელექტრონული სახით გამოქვეყნებაზე ავტორმა უნდა განაცხადოს თანხმობა;

- მიღებული სტატიის გასწორებული ვერსია, ან დაწუნებული ნაშრომი ავტორს არ უბრუნდება.

- სარედაქციო საბჭო არ განიხილავს ნაშრომს, რომელიც მოთხოვნების მიხედვით არ იქნება გაფორმებული.

- ავტორს შეუძლია ნიმუშად გამოიყენოს ჟურნალის რომელიმე ნომერი.

6. რუსული ტექსტის ტრანსლიტერაცია მოცემულია ლათინური ასოებით კონგრესის ბიბლიოთეკის სისტემის მიხედვით.

7. ნაშრომის გამოქვეყნება უფასოა.

ბათუმი, ნინოშვილის 35,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ოთახი 306

ტელ.: 576 262687; 599 380626

E-mail: [vano-papunidze@mail.ru](mailto:vano-papunidze@mail.ru)

---

---

## GUIDE FOR AUTHORS

**Manuscripts should be presented in the following form:**

**1. Two double-spaced copies of the manuscript, printed on a white paper A4, margined 30 mm below and above, 25 mm on the sides, must be provided. The length of the manuscript should not exceed 12 printed pages, including all text with figures, tables, and equations.**

**2. Manuscripts can be written in Georgian, English and Russian and sent to the Editorial Board. Attached to the manuscript should be:**

- Short information about the research work by the author(s), including specific contribution to the published work;

- Qualified references from different Institutions;

Articles will be evaluated by the Editorial Board and may be rejected or subjected to further review.

### **3. Manuscript order:**

- Classification;

- Title;

- Full name(s), surname(s) of the author(s);

- Affiliation(s), postal address, e-mail;

- Abstract;

- Key words;

- Text, including acknowledgements and funding sources;

- References in the order of citation (square brackets used);

- Figures and Tables must be given on separate pages. Pictures and photos must be original;

- Figure legends;

- The last page of the manuscript must be signed by the author(s).

**4. Electronic version:** CD-ROM in Times New Roman. Text: Supply Word, Word Perfect, RTF. Figures and Tables must be submitted as separate files, not imbedded in manuscript text. Provide figure images in TIFF, EPS, high resolution PDF, JPEG. Tables: Supply Word, Word Perfect, RTF. Include one Table per file. Do not use tabs or spaces to separate columns in Word or Word-Perfect Tables.

**5. The author will be asked to give consent to publish the manuscript in print and electronic version.**

- Corrected version is not returned to the author(s).

- The Editorial Board reserves the right not to consider the paper, if the instructions are ignored.

- For symbols and style conventions, authors should consult current issues of the Journal.

**6. Transliteration of the Russian text into Roman letters should be given according to the LC system.**

**7. Publication is free of charge.**

35 Ninoshvili Street, Batumi

Batumi Shota Rustaveli State University, Room 306

Tel.: 576 262687; 599 380626

E-mail: [vano-papunidze@mail.ru](mailto:vano-papunidze@mail.ru)